

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

სტუ-ს გენდერული თანასწორობის კვლევითი ცენტრი

სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი

საერთაშორისო -სამეცნიერო კონფერენცია

მსოფლიო და გენდერი -6

შრომების კრებული

თბილისი 2022

დღის წესრიგი:

11 მარტი, 2022 წელი

11:00 – 11: 15 კონფერენციის გახსნა, მისალმებები

11:15 – 13:00 პლენარული სხდომა

13:00 – 13: 15 შესვენება

13:15 – 15:00 კონფერენციის მუშაობის გაგრძელება

15:00 – 15:15 შესვენება

15:15 – 17:15 კონფერენციის მუშაობის გაგრძელება

17:15 – 17:30 კონფერენციის შეჯამება

საორგანიზაციო კომიტეტი:

ირაკლი გაბისონია - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის
დეკანი, პროფესორი

მაია ყიფიანი - სტუ-ს გენდერული თანასწორობის კვლევითი
ცენტრის უფროსი, სტუ-ს პროფესორი

ლია მეტრეველი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
პროფესორი

ავთანდილ კვიციანი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
პროფესორი

ემილია ალავერდოვი - საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის პროფესორი

მისაღმებები:

დავით გურგენიძე- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
რექტორი, პროფესორი

ირაკლი გაბისონია - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის
დეკანი, პროფესორი

ლია მელიქიშვილი - საქართველო მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის წევრ - კორესპონდენტი

თამარ კვიციანი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის
უფროსი, პროფესორი

შინაარსი

1. **მაია ყიფიანი** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი „გენდერული განზომილებანი ქართულ კულტურაში“.....9
2. **ლუ იუჯინგი** - „ჩინელი ქალების განათლების სტატუსი, წარსული და აწმყო“, ჩინეთი, ლანჯოუს უნივერსიტეტის პროფესორი.....17
3. **რუსუდან დაუშვილი** - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიწვეული პროფესორი „ქართველი ემიგრანტი ქალები - რედაქტორ-გამომცემლები“.....29
4. **ავთანდილ კიკნაძე** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი „ქალის როლი ჩინეთის ბიზნესში“.....42
5. **სალომე ხიზანიშვილი** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი „ცვლილებები თანამედროვე ოჯახში“.....60
6. **ავთანდილ სონღულაშვილი** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი „ისლამი და ქალთა უფლებები“.....67
7. **ია ბურდული** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი „მიგრანტ ქალთა დილემები გერმანულ პოსტმოდერნისტულ კონტექსტში: საშა-მარიანა ზალცმანი.....81
8. **ალექსანდრე ტალიაშვილი** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი „პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროში ქალთა წინაშე არსებული გამოწვევები“.....88
9. **მაია ქუთათელაძე** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი „ქართველი ქალები სეფიანთა შაჰების კარზე“.....97
10. **ნინო გომართელი** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი „ქალის ფენომენი ჯორჯ ბაირონის შემოქმედებაში“...110
11. **მზია მილაშვილი** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი;
ვალერი მჭედლიშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი „ქალთა შემოქმედების როლი ფემინისტური იდეოლოგიის ფორმირებაში“.....115
12. **თამარ ბერიძე** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი;

ლიკა ბერიძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი;	
სოფიო ბერიძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი „ქალთა როლი შეიარაღებული კონფლიქტის დროს“.....	130
13. ტატიანა ბიელსკა - უკრაინის დასაქმების სახელმწიფო სამსახურის პერსონალის მომზადების ინსტიტუტის მართვის განყოფილებების ხელმძღვანელი, მეცნიერებათა დოქტორი საჯარო ადმინისტრირებაში;	
თამარ კანაშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი;	
სოფიო ბერიძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი „ქალთა მეწარმეობის მნიშვნელობა“.....	130
14. ნენო გაბელია - პოლიტიკურ მეცნიერებათა დოცენტი, “ჩემასის” ცენტრის ექსპერტი, რომის “ლა საპინცას” უნივერსიტეტი.	
რომინა გურაში - ასოცირებული პროფესორი, რომის “ლა საპინცას” უნივერსიტეტი „სოციალური მედიის გავლენა გენდერულ დისკრიმინაციაზე“...145	
15. თამარ გითოლენდია - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი „ქალი ავტორები გაზეთ „აფსნის“ ფურცლებზე (1919-1921)“.....	154
16. თამარ პატაშური - ფილოლოგიის დოქტორი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი „ქალი და ლიდერობა“.....	161
17. მარინე სურმავა - სტუ-ს ასოცირებული პროფესორი „კლემენტინა ჰოზიერი და უინსტონ ჩერჩილი“.....	171
18. მარინა ჩხარტიშვილი - პედაგოგიკის დოქტორი „ქალი კლიმატური ცვლილების რაკურსში“.....	177
19. ვახტანგ სონდულაშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი „დედოფლის ფუნქციები ქართლ-კახეთის სამეფოში XVIII საუკუნეში“.....	182
20. შორენა ალხანაშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი „ფრანგი ქალების თავისუფლებისათვის“.....	190
21. ანა ანდრიაძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი „გენდერული როლების ცვლილება პანდემიის დროს“.....	202

22. ნატო თოდუა - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი „მშვიდობიანი პოლიტიკა, დიპლომატია და ქალები“.....208
23. ეკა ნინოშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი „გენდერული სტერეოტიპები სკოლამდელი ასაკის ბავშვებთან“.....218
24. თამარ ბაგრატი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი „აბსენტეიზმის გენდერული ასპექტები“.....226
25. მარიამ უგულავა - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი „ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობა საქართველოში“.....237
26. თამარ მუჯირი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი „ქალები ჩინეთის პოლიტიკაში“.....249
27. ირინა მელქაძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი „გენდერი სასკოლო სახელმძღვანელოებში (გენდერული თანასწორობის საკითხი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში)“.....262
28. ირინა ცერცვაძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი „გენდერული როლის მნიშვნელოვანი ასპექტები საზოგადოებრივ ურთიერთობებსა და ეფექტური კომუნიკაციის წარმართვის პროცესში“.....279
29. მარიტა ზუბიაშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი „სამოქალაქო საზოგადოების გენდერული კონცეპტი“.....287
30. მადონა კანტიძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი „ქალთა როლის მნიშვნელობა ამერიკისა და ევროპის ქვეყნების პოლიტიკაში“.....303
31. მარინე ბერძენაძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი „მობინგის გენდერული ასპექტები საქართველოს შრომით ორგანიზაციებში“.....313
32. მარიამ კუკულაძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი „ქალთა მიმართ დისკრიმინაცია და ვიქტიმიზაცია მედიაში“.....323
33. მარიამ წიკლაური - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი „ქალთა მეწარმეობის პრობლემები და თავისებურებები“.....331
34. ლიკა ანთაძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი „ქალის როლი საქართველოში“.....341

35. ბელა კუტიბაშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი „ქალთა ეკონომიკური გაძლიერება მდგრადი განვითარების პირობებში“.....348
36. სოფიო ცაციაშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი „სპორტი და გენდერი“.....357
37. ნათია აბულაძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი „პრობლემური დამოკიდებულების სტიგმატიზაცია და გენდერული განსხვავებები“.....363

მაია ყიფიანი

საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის პროფესორი

აბსტრაქტი

სამეცნიერო ნაშრომში „გენდერული განზომილებანი ქართულ კულტურაში“, გადმოცემულია ქართული კულტურის ანალიზი ქალის სოციალურ სტატუსთან დაკავშირებით. ნაშრომში წარმოჩენილია, ახალ აღთქმაში სქესათა თანასწორობისა და თავისუფლების იდეა, აგრეთვე ის თავისებურებანი, რომლებიც ქალთა მიმართ ამბივალენტურ დამოკიდებულებებზე მიუთითებს. ხაზგასმულია, ის გარემოება, რომ თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე ცვლილებებმა, ტექნოლოგიების არნახულმა განვითარებამ, დემოკრატიულმა შეხედულებებმა ქალი ცალსახად ახალ განზომილებაში გადაიყვანა, რომ გენდერული თანასწორობის იდეა ქართულ კულტურაში თანდათან სულ უფრო მნიშვნელოვან ადგილს იკავებს.

საკვანძო სიტყვები: გენდერული თანასწორობა, კულტურა, ქალი, დისკრიმინაცია, სტერეოტიპი.

გენდერული განზომილებანი ქართულ კულტურაში

შესავალი

გენდერული განზომილებანი კროსკულტურულია და სტერეოტიპები საზღვრავენ, ეს უკანასკნელი სტატუსთან, როლებთან, იდენტიფიკაციებთან არის დაკავშირებული. სტერეოტიპები ყალიდება ამა თუ იმ საზოგადოების აზროვნებიდან, კულტურიდან, ისტორიიდან, რელიგიიდან გამომდინარე. გენდერულ როლებს ახასიათებს ერთი მხრივ მდგრადობა, მეორე მხრივ მონაცვლეობა. საქართველოს მრავალათასწლოვან ისტორიასა და კულტურაში ქალის როლი განუზომლად დიდია. ეპოქების ცვლილებასთან ერთად იცვლებოდა ქალის მიმართ დამოკიდებულებები, ქრისტიანულმა რელიგიამ მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა ქალის სტერეოტიპის ჩამოყალიბებაში.

გენდერული სტერეოტიპები

სტერეოტიპები გულისხმობენ ჯგუფებთან მიკუთვნილობასა და შესაბამის მოლოდინებს.[1] მაგალითად - მეცნიერისგან მოელიან ახალ აღმოჩენებს,

მასწავლებლსაგან სწავლებას, ექიმისგან მკურნალობას, მუშისგან ფიზიკურ შრომას და ა. შ. საქმიანობიდან გამომდინარე თავისდაუნებურად აზროვნებაში ჩნდება სხვადასხვა, მაღალი და დაბალი სოციალური სტატუსის მქონე ადამიანთა მწკრივი და მათ მიმართ არსებული შესაბამისი მოლოდინები. გენდერული სტერეოტიპებიც ანალოგიურად იქმნება, თუმცა აქ საფუძველშივე დევს სქესთა შორის დიჰარმონია, ქალთა მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება, გამოწვეული პატრიარქალური შეხედულებებით, რომელიც ანტიკური პერიოდის ფილოსოფიიდან და ქრისტიანული სწავლებიდან იღებს სათავეს. ტრადიციულმა აზროვნებამ განაპირობა სქესის თეორიების ბიოდეტერმინისტული ხასიათი და მკვეთრად გამოხატული მიზოგინურობა. [2.66]

ქალი ქართულ კულტურაში

ყველა კულტურას თავისი წარმოდგენების სისტემა აქვს სამყაროზე, ღმერთზე, სამშობლოზე. ის რაც ბუნებრივად გვეჩვენება, ხშირად კულტურისა და ისტორიის მიერაა ნაკარნახევი. გენდერული სტერეოტიპები მაღალი სიცოცხლისუნარიანობით გამოირჩევა, მათი კვლავწარმოება სოციალური ინსტიტუტების - ოჯახის, ეკლესიის, საზოგადოების მიერ ხორციელდება. ისინი ცნობიერებაში ღრმადაა დაღეჭილი და თაობიდან თაობას გადაეცემა.

ქალის ფენომენი ქართულ კულტურაში უაღრესად მნიშვნელოვანია. საქართველოს განსაკუთრებულმა გეოპოლიტიკურმა მდებარეობამ ქართველ ქალს საუკუნეების მანძილზე საპასუხისმგებლო ფუნქცია დააკისრა. არაკეთილგანწყობილ მეზობელთა გარემოცვაში ქართველი ქალი, ტრადიციულად მშვიდობის მშენებლის, შემრიგებლის, მედიატორისა და კულტურტრეგერის როლს ასრულებდა. [2.72]

ქართული სულიერი და მატერიალური კულტურა ქრისტიანული რელიგიის საფუძველზე დგას. ქართულ კულტურაში არსებული დედის კულტის განმტკიცებას მნიშვნელოვანწილად ხელი შეუწყო ქრისტიანობამაც. ჩვენი კვლევა გვინდა ქრისტიანული რელიგიის ჭრილში წარვამართო, რადგან ქალისა და მამაკაცის თანასწორობის საკითხებზე მსჯელობისას, მავანნი აპელირებენ ქრისტიანული რელიგიით, მიუთითებენ, რომ ქალთა უფლებების გაზრდა ოჯახსა თუ

საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რელიგიური თვალთახედვის გათვალისწინებით მიუღებელია, ისინი ქალთა ჩაგვრის გასამართლებლად ქრისტიანობას იყენებენ.

ქალი და ქრისტიანობა

ბიბლიური დოქტრინა პატრიარქალური აზროვნების ქვაკუთხედაა. ძველი და ახალი აღთქმა ადამიანის მიმართ დამოკიდებულების თვალსაზრისით განსხვავებულია. ძველი აღთქმა მეტად მკაცრი და შურისმაძიებელია, მისი არსის განმსაზღვრელია შეგონება „კბილი კბილის წილ, სისხლი სისხლის წილ“. ძველი აღთქმის წიგნებში ქალისადმი დამოკიდებულება მკვეთრად უარყოფითია, იგი დაკნინებული და მარგინალიზირებულია. ახალი აღთქმა მიმტევებლობასა და სიყვარულს ეფუძნება, აქ ქალისადმი დამოკიდებულება შერბილებულია.

სქესთა შორის ურთიერთობის, ძირითადად დაპირისპირების მიზეზის დადგენის თვალსაზრისით ამოსავალია დაბადების წიგნში ადამისა და ევას წარმოშობის ისტორია - ღმერთმა ადამი მიწისაგან შექმნა, ევა ადამის გვერდისაგან, ნეკნისაგან. ყურადღებას იქცევს აკრძალული ხილის, სიკეთისა და ბოროტის ცნობადი ხის ნაყოფის გემოსხილვის ამბავიც, სადაც ევა ითვლება ადამის მაცდუნებლად, რასაც მოჰყვა ედემის ბაღიდან მათი გაძევება. ბიბლიიდან ეს ორი მომენტი წარმოადგენს ქალთმომულეობის საფუძველს. თუმცა ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ უფალი არ ანსხვავებს ერთმანეთისგან კაცსა და ქალს, რადგან ნათქვამია, რომ ისინი შექმნილია „უფლის ხატად“ და არ არის ნათქვამი, რომ მხოლოდ ადამია შექმნილი უფლის მსგავსად. ღმერთი ერთნაირად აკურთხებს ორივე მათგანს, არ ლოცავს მხოლოდ ადამს. ასევე არ სჯის მხოლოდ ქალს, ისინი, ორივე ქალიც და კაციც უფლის თვალში ერთნაირად შეცდნენ აკრძალული ხილის გემოსხილვისას. აქ იკვეთება უფლის დამოკიდებულება ორივე სქესის წარმომადგენლის მიმართ, რომლისთვისაც ქალს და კაცს კი არა აქვს მნიშვნელობა, არამედ ადამიანის საქციელს, რაც ადასტურებს სქესთა თანასწორობას. სამწუხაროდ, აღნიშნული ეპიზოდები პატრიარქალურ პრიზმაშია აღქმული.

ქრისტიანული რელიგიის ოფიციალურად გამოცხადებისა და გავრცელების ადრეული პერიოდიდანვე ჩამოყალიბდა ქალის ხატის მიმართ ორმაგი, ნეგატიური და პოზიტიური მიდგომა. ძველი აღთქმის მთავარი ქალი ევა - მაცდუნებელი, სექსუალური, ენაგრძელი, ხოლო ახალი აღთქმის მარიამ ღვთისმშობელი -

ამაღლებული, ასექსუალური, თავმდაბალი. სწავლება მყარად ჩაჯდა ქრისტიანული საზოგადოების, მათ შორის ქართველთა აზროვნებაში. საქართველო მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა, განმანათლებელი წმინდა ნინოა, აქდან გამომდინარე ქალის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულება ჩვენში ყოველთვის არსებობდა. ღვთისმშობლის სახების ანალოგიით ჩამოყალიბდა დედის იდეალი, რომლის საფუძველი მორჩილებაა, ხოლო მთავარი ღირსებები - თავგანწირვა, თანაგრძნობა, უბიწოება და უმანკობაა. რაც შეეხება ქალს, ის დიდწილად ევას მაგალითზე შექმნილი მაცდური ქალის სტერეოტიპული სახით ჩამოყალიბდა.[3.102]

ცნობილია, რომ ქართველებისათვის ქრისტიანობა ეთნიკური იდენტობის მდგენელია. საქართველოს მოსახლეობის 83% ქრისტიანული რელიგიის მიმდევარია, [4] აქედან გამომდინარე, ქრისტიანული მორალი საზოგადოების ცხოვრების წესია. სამწუხარო ისაა, რომ ქალებთან დაკავშირებით ქრისტიანული შეხედულებები ბოლომდე სწორად არ არის გაგებული, ამიტომ ჩვენი ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ახალი აღთქმის ზოგიერთ მუხლზე, რომლებიც დღევანდელი საზოგადოების ნაწილისათვის ქალის დაჩაგვრის არგუმენტია.

ახალი აღთქმა და ქალი

ახალ აღთქმაში ქალებს ერთის მხრივ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ და შარავანდედით არიან მოსილნი, განსაკუთრებით ღვთისმშობელი მარიამი, ლაზარეს დები მართა და მარიამი, მეღვინესადაცხებლე დედები და სხვები, მაგრამ მეორეს მხრივ, ქალის მიმართ დამოკიდებულება სუბორდინაციულია.

წმინდა პავლე მოციქულის ეპისტოლეებში, ქრისტიანული დოქტრნა ადამიანებს შორის ქრისტიანული ურთიერთობების სტანდარტების, მათ შორის ქალთა მიმართ, ცოლ-ქმარს შორის დამოკიდებულებები მკაფიოდ არის განსაზღვრული. ესენია: ურთიერთსიყვარული, ურთიერთპატივისცემა, თანასწორობა.

თავდაპირველად ყურადღებას გავამახვილებთ ახალი აღთქმაში იმ ეპიზოდებზე, სადაც ქალი დაკნინებულია. მათეს სახარება იესო ქრისტეს გენიალოგიით იწყება, სადაც ქალის სახელები განსკუთრებული შემთხვევის გარდა არ მოიხსენიება: „აბრაამ შვა ისააკი, ისააკმა შვა იაკობი, იაკობმა შვა იუდა და ძმანი

მისნი“.[1. 959] აღნიშნული ეპიზოდი ძველი აღთქმის ქალთა დაქვემდებარებული მდგომარეობის ანარეკლია.

პავლე მოციქული კორინთელთა მიმართ პირველ ეპისტოლეში აღნიშნავს, რომ „კაცის თავი ქრისტეა, ხოლო ქალის თავი კი კაცია. კაცმა არ უნდა დაიბუროს თავი, ვინაიდან ხატია და დიდება ღვთისა, ხოლო ქალი ქმრის დიდებაა, რადგან კაცი კი არ არის ქალისაგან, არამედ ქალი კაცისაგან და კაცი კი არ შეიქმნა ქალისათვის, არამედ ქალი კაცისათვის“. [5.1141]

ქალის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულებების დამადასტურებელია პეტრე მოციქულის შემდეგი შეგონება: „...**თქვენც, ქმრებო, სათუთად მოეპყარით ცოლებს, როგორც უმყიფეს ჭურჭელს, პატივი ეცით მათ**“. [5.1109] ცოლისა და ქმრის თანასწორობას მიუთითებს პავლე მოციქულის კორინთელთა მიმართ წარმოთქმული ფრაზა: „**ქმარი ჯეროვან პატივს მიაგებდეს ცოლს, ასევე ცოლი-ქმარს. ცოლი კი არ არის საკუთარი სხეულის უფალი, არამედ ქმარი; ასევე ქმარიც როდია თავისი სხეულის უფალი, არამედ ცოლი**“. [5.1138]

განსაკუთრებით საინტერესოა ეფესელთა მიმართ შემდეგ ეპიზოდში გამოთქმული აზრები: „**ჰმორჩილებდეთ ერთმანეთს ქრისტეს შიშით. ცოლებო, დაემორჩილეთ თქვენს ქმრებს, როგორც უფალს; ვინაიდან ქმარია ცოლის თავი, ისევე როგორც ქრისტე თავია ეკლესიისა, და თვითვეა სხეულის მხსნელი. მაგრამ როგორც ეკლესია ემორჩილება ქრისტეს, ასევე ცოლებიც თავიანთ ქმრებს დაემორჩილეთ ყველაფერში. **ქმრებო, გიყვარდეთ თქვენი ცოლები, როგორც ქრისტემ შეიყვარა ეკლესია, და მისცა თავისი თავი მისთვის****“. [5.1164] ამ ამონარიდიდან ნათლად ჩანს, რომ უფალი მოითხოვს ქალისაგან ქმრის მორჩილებას, ხოლო ქმრისაგან სიცოცხლის გაწირვას. პატრიარქალურ საზოგადოებაში ხშირად ისმის ქალის ქმრისადმი მორჩილების ქრისტიანული ვალდებულება, მაგრამ არავის ახსენდება, რომ ცოლისათვის ქმარმა სიცოცხლე უნდა გაწიროს, როგორც უფალმა კაცობრიობისათვის.

ქრისტიანებისათვის წმინდათაწმინდაა ოჯახი, იგი სიწმინდესა და უბიწობას ეფუძნება, საქორწინო თეთრი კაბა ქალის ქალწულების სიმბოლოა. ერთგულება და პატიოსნება მან მთელი ცხოვების მადილზე ღირსეულად უნდა ატაროს, ღალატის

შემთხვევაში იგი სასტიკად იკიცხება. ქრისტიანული მორალით, იგივე მოეთხოვება კაცსაც, მაგრამ საზოგადოება მის მიმართ შემწყნარებლურია.

ქალისა და მამაკაცის თანასწორობის იდეაა გაცხადებული პავლე მოციქულის ეპისტოლეში - „აღარ არის იუდეველი, აღარც წარმართი; აღარც მონა, აღარც თავისუფალი; აღარც მამრი და აღარც მდედრი, რადგან ყველანი ერთნი ხართ ქრისტე იესოში“.[5. 1158]

როგორც, დავინახეთ ახალ აღთქმაში მკაფიოდ არის გაცხადებული სქესთა შორის თანასწორობის იდეა.

დასკვნა

ქართველი ერი თავისი არსებობის მანძილზე ყოველთვის განვითარების, განათლების და მშვიდობის მომხრე იყო და არის. ქრისტიანობა ამ მაღალი მორალური ფასეულობების მატარებელი რელიგიაა. ქართული კულტურა ცხადია ამ ღირებულებების გავლენით განვითარდა. საქართველოში ქალის მიმართ დამოკიდებულება ყოველთვის ტოლერანტული იყო, ხოლო დედა ერის სულიერ სიმბოლოდ და კულტად მიიჩნეოდა. თანასწორობის იდეა ქრისტიანობის ამოსავალი დებულებაა, მათ შორის გენდერული თანასწორობა, რასაც ჩვენს მიერ მოყვანილი მაგალითებიც ადასტურებენ. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე საქართულო სეკულარული დემოკრატიული ქვეყანაა, რელიგია და სახელმწიფო ერთმანეთისაგანაა გამიჯნული, რელიგიური ფაქტორი ღრმადაა დაღეჭილი ერის ცნობიერებაში და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოების მენტალობაზე. ქალთა დისკრიმინაციის გასამართლებლად ხშირად არაეკლესიური ადამიანები აპელირებენ ქრისტიანობით. მათ ქრისტიანობის არსი არა აქვთ გაცნობიერებული, რაც იწვევს ფემიციდს, ოჯახში ძალადობას, ქალთა წარმომადგენლობის ნაკლებობას პოლიტიკაში, ეკონომიკასა და გადაწყვეტილების მიმღებ თანამდებობებზე.

ზოგადად, საქართველო ორმაგი სტანდარტების ქვეყანაა, გვაქვს ორი დამოუკიდებლობის დღე, ორი ახალი წელი, ასევე ქალის მიმართ ორმაგი მიდგომა. ქრისტიანობაშიც ქალთან დაკავშირებით ორმაგი დამოკიდებულებებია. ხაზგასასმელია, რომ ძველ აღთქმაში ღმერთი ადამიანს, ქალსაც და კაცსაც ერთნაირად ლოცავს და სჯის, ახალ აღთქმაში სქესთა თანასწორობა მრავალჯერ

არის დადასტურებული, თუმცა ქალის მიმართ დამოკიდებულება ამბივალენტური და არათანმიმდევრულია.

ამასთანავე, ქართული კულტურა, ვეფხისტყაოსნის იდეებითაა ნასაზრდოები, მათ შორის „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“ აფორიზმით. ქართული მსოფლმხედველობის ანარეკლია სიტყვა მეუღლე, რომელსაც ორმაგი დატვირთვა აქვს, რაც ნიშნავს როგორც უღელში შებმულ ორ ხარს, ასევე ცოლსა და ქმარს, რომლებიც ოჯახის ჭაპანს ერთად ეწევიან და თანასწორნი არიან. ქართულ ენაში საუკუნეების მანძილზე ამ სიტყვის არსებობა ადასტურებს, რომ ჩვენში სქესთა თანასწორობის იდეა ორგანულია და არა თავსმოხვეული, წინააღმდეგ შემთხვევაში მას ენა, როგორც ცოცხალი ორგანიზმი ამოაგდებდა. საქართველოს კულტურა და ისტორია ამაყობს ღვაწლმოსილი ქართველი ქალებით. ესეც კულტურული კოდია. აღნიშნულმა თავისებურებებმა გამოიწვიეს ქალისადმი ორმაგი დამოკიდებულების არსებობა - დედის კულტი, ქალისადმი კი სკეპტიკური დამოკიდებულება, არსებობს ქალთა დისკრიმინაციის შეფარული ფორმა. [5.19]

თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე ცვლილებებმა, ტექნოლოგიების არნახულმა განვითარებამ, დემოკრატიულმა შეხედულებებმა ქალი ცალსახად ახალ განზომილებაში გადაიყვანა. გენდერული თანასწორობის იდეა ქართულ კულტურაში თანდათან სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Рябова Т.Б. Стереотипы и стереотипизация как проблема гендерных исследований“
<https://www.cens.ivanovo.ac.ru/publication/riabova-stereotipy.htm> (გადამოწმებულია 2022 წლის 30 აპრილს)
2. კონფლიქტი, გენდერი და მშვიდობის მშენებლობა, ავტორთა კოლექტივი, თბ. 2003
3. მ. ჯავახიშვილი, ქალის საკითხი ქრისტიანული მოძღვრების მიხედვით, გენდერული პრობლემატიკა საქართველოში, თბ. 2002 წ.

4. კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართმადიდებელ ეკლესიას შორის, <https://patriarchate.ge> (უკანასკნელად გადამოწმებულია 01.06, 2022)
5. ბიბლია, თბ. 1989 წ.
6. ლ. სურმანიძე, ქართული კულტურის ზოგიერთი ორიენტაცია (ძალადობა და გენდერი), გენდერული პრობლემატიკა საქართველოში, თბ. 2002;

Maia Kipiani
Professor of GTU

Gender dimensions in Georgian culture

Abstract

The paper "Gender Dimensions in Georgian Culture" deals with the analysis of Georgian culture concerning the social status of women. The paper presents the idea of gender equality and freedom in the New Testament, as well as the features that indicate ambivalent attitudes towards women. The work highlights the current changes in the modern world, the unprecedented development of technology, and democratic views that have taken women to a distinctly new dimension. Moreover, it states that the idea of gender equality is gradually gaining an increasingly important place in Georgian culture.

Women's Education in China: Past and Present

Abstract: With the rapid development of China's economy, the level of female education in China has developed rapidly. Based on data collected, this study presented the historical development process of Chinese women's education, the proportion of women who received higher education, and the proportion of women who obtained university degrees. After comparing with the situation of some developed countries, the author anticipated the future situation of Chinese female education. A brief analysis is done to the problems and deficiencies of Chinese female education and the corresponding countermeasures are proposed.

Key words: Women's education, China, educational development

Introduction

Ancient China experienced a long period of patriarchal society, emphasizing "Ignorance is

a woman's virtue", when women basically did not receive education, thus most are illiterate. In the 19th century when links between East and West increased and more women were educated in schools or missionary girls' schools. It was not until the 20th century that girls' schools were established, mainly in Jiangsu, Shanghai and other economically, culturally and transportation-developed areas, but the number of schools was still not large [1][2]. After the 1911 Revolution, women's education had great progress due to the legal confirmation of women's right to education and the progress of social concepts, as well as the strong demand of women's right on equal education. During that period, social unrest and unbalanced development impeded the development of women's education. By 1949, the female illiteracy rate was as high as 90% [3][4]. Since the founding of new China, women's education has been on the right track and developed rapidly. In particular, over the past 40 years of reform and development, women's education has been fully developed, especially in higher education. At present, it can be said that Chinese women have completely equal rights with men in education, reaching a new height. The development of Chinese women's education has also led to the

corresponding development of women's employment and the increase of women's income, thus promoting the improvement of women's social status. Chinese women have been fully involved in all aspects of society, politics, economy and science, and profoundly changed the Chinese society. The development course of Chinese women's education will be shown below by detailed statistical data. Used in this article are based on data from the Chinese women's social status report [5] [6] [7] [8], the Chinese women's development report [9], the Chinese women's development outline [10], news reports and a variety of research materials

[11] [12] [13] [14] [15] [16] [17] [18] [19] [20]. As data sources at different stages may come from multiple literatures and some statistics are done on demographic data, so the source of data will not be specified in the following data analysis. When different statistical data appear, official release data will be used.

I. Chinese women's education: History and development

Development of female education can be reflected by indicators such as female illiteracyrate, girls' enrollment rate, the number of girls in school and the average number of female education years. The proportion of female students in each educational stage reflects the situation that female students receive education, compared with male students, and to some extent represents the importance that a society attaches to female students.

In the early years of the People's Republic of China, only a limited number of Chinese women was receiving education. In 1949, 90% of Chinese women were illiterate. It decreased to 32% by 1990 . Figure 1 shows the proportion of illiterate women over the age of 15 in China. As can be seen, the illiteracy rate among Chinese women had been reduced to 4.1 percent by 2020. This is a great achievement, showing that more than 95 percent of Chinese women can read and write, completely changing the situation from ancient China where women in the patriarchal society almost did not receive much formal education.




Figure 1. Female illiteracy rate in China

The reduction of illiteracy rate among women is mainly the result of vigorously increasing girls' school enrollment rate since 1949. Figure 2 shows the change of the rate of school-age girls in China. As can be seen from the figure, the enrollment rate of girls rocketed in the first 30 years after 1949. By 1986, girl enrollment rate had reached 93.6%. This fundamentally changed the situation that women were discriminated against, and it became




Figure 2. Enrollment rate of school-age girls in China (unit: %)

a social consensus that women should receive formal education. By 2017, 99.9% of girls were able to attend school and receive proper education, completely changing the traditional perception.

The proportion of girls in primary school reflects the degree of women's access to basic education compared with that of men. Figure 3 shows the historical change of the proportion of girls in primary schools in China in the past 70 years. As can be seen from

the figure, the proportion of girls in primary schools in the early years after 1949 was only 23%, indicating the existence of serious gender discrimination in education. By the 1980s, girls accounted for more than 45 percent of primary school students, indicating that women's education level has been greatly improved. Since 2000, the proportion has been more than 46%, indicating that girls' access to primary education is basically the same as that of men. The little difference of a few percentage here may due to the difference in the gender ratio between boys and girls.




Figure 3. Proportion of girls in Primary Schools in China (unit: %)

Whether girls continue higher levels of education after primary education can be reflected in the proportion of girls in general secondary schools and the proportion of girls in tertiary institutions. In 2002, the proportion of girls in regular middle schools in China reached 46.7%, while by 2020, it is 50.4%. Figure 4 shows the change of the proportion of female students in universities and colleges in China. As can be seen from the figure, the proportion was only 19.8% in the early years of the People's Republic of China, and 24.1% in 1978. During this period, the number of female students receiving education was relatively small, accounting for less than a quarter of that of male students. Since China's reform and opening up, especially since 2000, the level of Chinese women higher education has increased significantly, accounting for more than 52% of the total in 2015. This fully shows



Figure 4. Proportion of female students in Chinese universities and colleges (unit: %)

Figure 5 shows the change on the average years of Chinese women education, which depicts the education level of women in a country as a whole. In 1980, the average length of schooling for Chinese women was 4.2 years, indicating that most of them had only primary school education at that time. In 2000, the average length of schooling was 7.07 years, which means most girls receive junior secondary education. By 2020, it is 9.59 years (9.66 years for males), indicating that the majority of females complete high school. By 2020, the average number of years of schooling for women aged 18-24 was 12.81. Such improvement of the average education level of Chinese women has promoted the overall level of the labor force and promoted the overall economic and social development.



Figure 5. Average years of education for Chinese women (unit: years)

As the number of Chinese women receiving higher education increases, so does the number of Chinese women enrolled in advanced degree studies. Figure 6 shows the change of the proportion of female students in master's degree programs in China. As can be seen from the graph, the proportion of female postgraduate students has increased from 26% in 1993 to 54.98% in 2020. After the reform and opening up, the number of girls receiving high-level education has taken a




Figure 6. Proportion of female postgraduate students in China (unit: %)

has surpassed the number of men. While we can say girls are more diligent than boys in their studies, the jump is also a reflection of society's recognition and inclusiveness. Chinese women have come to the era of receiving higher and high quality education.

II. Female education in China: Future prospects

The rising of Chinese women's education promoted Chinese women's participation in society. Figure 7 shows the change of female employment in China. As can be seen from it, the number of women employed was about 170 million in 1978, 290 million in 1990 and 340 million in 2010. This is the result of social and economic development since 1978, which has increased the employment opportunities, and the result of the increase of female education level to obtain more employment opportunities. Figure 8 shows urban female employment in China, which can better reflect the situation of female employment in urban areas. While there is urban employment reduction caused by the restructuring of state-owned enterprises in the 1990s, the number of female urban employment grew rapidly after 2000, which also proves that the improvement of female education increases female employment opportunities.




Figure 7 Number of women employed in China (unit: 100 million)




Figure 8. Number of women employed in urban areas in China

The number of female professionals in public economic enterprises and institutions can reflect the high quality of female employment. The number of female skilled workers in the public sector was 12.7 million in 2010, 14.58 million in 2015 and 15.29 million in 2017. This shows that with the increase in the number of women receiving higher education, female professional and technical personnel are also increasing rapidly. By 2017, women accounted for 48.6% of professionals, indicating that women are on a par with men in the field of technology.

Although the proportion of women among Chinese college students has increased from 24.1% in 1978 to 52.04% in 2020 (Figure 4), the proportion of Chinese women receiving higher education is still low. By 2020, 18.0% of Chinese women had received college education or higher, only 1.6% higher than that of men. Among women aged 18-24, the proportion was 50.9%. Compared with the US higher education rate of 35% (2018), there is still a lot of room for growth. In the United States, 72% of high school girls

enrolled in college in 2008, and in Sweden, more than 50% of women enrolled in higher education in 2020. The comparison shows that the proportion of women receiving higher education in China is still not high, and there is still large space for development.

Compared with developed countries in Europe and the United States, the overall proportion of female students in higher education in China is relatively low, so female college students in China will have a large increase in the future. Figure 9 shows the change of the number of female college students in China from 2004 to 2020. The data being basically conform to linear growth. Linear estimation is done to predict the number of female college students in the next 13 years, as is shown in Table 1. It is predicted that the number of female college students in China will reach 26.197 million in 2033.




Figure 9. Number of female college students

Table 1. Number and forecast of female college students in China (Unit: person)

Year	Number of female college students	Year	Prediction of the number of female college students
2004	6220763.04	2021	16799639.45
2005	7352844.70	2022	17582804.48
2006	8356884.75	2023	18365969.50
2007	9258606.21	2024	19149134.53
2008	10076830.15	2025	19932299.55

2009	10914159.47	2026	20715464.58
2010	11859498.69	2027	21498629.61
2011	11805708.89	2028	22281794.63
2012	12277013.78	2029	23064959.66
2013	12769807.63	2030	23848124.69
2015	13704066.00	2031	24631289.71
2019	15776082.12	2032	25414454.74
2020	16755030.00	2033	26197619.77

Presently 13.1% of U.S. adults have a master's degree, or doctoral degree. To narrow the gap, there is plenty room for Chinese women to receive high-level higher education and achieve rapid development in the future.

III. Women education in China: Problems and countermeasures

Since 1949, women's education in China has made great progress and remarkable achievements, but there are still problems.

The traditional preference for sons over daughters leads to the lower average number of years of schooling for women than for men (9.59 years for women while 9.66 years for men in 2020), and the illiteracy rate for women higher than the average (4.10% for women and 2.9% for the total). The average length of schooling for women in rural western China is only

7.44 years which shows that in rural areas of China, the traditional preference for boys leads to lack of attention to female education when parents are willing to spend more resources on boys. But in Chinese cities, especially big ones, that problem no longer exists. Social economy development and parents' education level improvement will change this situation in the near future.

There is still a gap in higher education and high-level degree education between Chinese female education and developed countries. Although women make up more than 52% of college students in China, the number of women who have received higher education is still low, accounting for 18% of the female population, far lower than the

rate of more than 50% in developed countries. This shows that China's higher education, especially female higher education, still needs development. In 2020, the proportion of female postgraduate students in China was 50.9%, more than that of male students, but the total number was only 1,599,000, which is relatively small compared with the whole female population and has large room for development. At present, the number of female doctoral students in China accounts for 43.23% of doctoral students, there is large space as well, considering the total number of female population.

With the increase of years of education and the improvement of education level for women, problems have arisen accordingly. As women's education age increases, age of marriage is delayed and fewer children are born. It also delays the age of employment, marriage and childbearing. Rising levels of education have also changed the concept of Chinese women's child-rearing, seeking fewer but better child-rearing strategies. What happened in the early developed countries, especially in the East Asian cultural circle, where the concept of marriage and child-rearing is more traditional, where children born out of wedlock and children raised by single parents are not recognized by the society, is happening in China at present. The phenomenon of fewer children caused by the extension of education is more serious. Solution to this problem is likely to be a long-term process, requiring cooperation at all levels of society. Adjusting the education stage of college students and graduate students to implement supporting measures for marriage, such as flexible academic system, change in centralized dormitory management and other measures can be used as improvement strategies. Legislation and social recognition of the legality of children out of wedlock, increased living allowances and maternity care for women in university and postgraduate education may help to ameliorate the situation.

As women become more educated, another problem is the rural-urban gender imbalance. At present, men in rural areas find it difficult to find a wife, while women in big cities find it difficult to find a husband. Female rural college graduates tend to seek jobs and homes in big cities, resulting in rural young men facing the mentioned challenge. This is a temporary problem in the urbanization development to be solved gradually with social economy development.

Conclusion

In short, Chinese female education has experienced the embryonic stage after 1911, the vigorous development after 1949 and achieved remarkable achievements. Chinese women have gone through the rapid elimination of illiteracy in the early days of the founding of the People's Republic of China, the universal primary education before and after the Cultural Revolution, the universal middle school education after the reform and opening-up, and the vigorous development of higher education in the 21st century. Women's education in China has achieved gender equality and moved towards "half the sky" in a real sense.

References

1. DUAN Minli. The Development of Women's Education in Modern China [J]. Journal of Inner Mongolia Normal University (Philosophy and Social Sciences Edition), 2007(S1):171-172.
2. DENG Xueli. Western Missionaries and Modern Chinese Women's Education [J]. Reform and Opening up, 2011(02):175-176.
3. LIU Zi. The Promotion of Women's Education in China since the Founding of the People's Republic of China [J]. Journal of Fujian Socialist College, 2012(01): 117-121.
4. ZHANG Zhaowen. Overview of Chinese Women's Literacy Education [J]. China Adult Education, 1995(09): 19.
5. "Women's Social Status in China", Research Group. Chinese Women's Social status survey preliminary Analysis report [J]. Collection of Women's Studies, 1992 (1): 4.
6. The Second Chinese Women's Social Status Survey Research Group. Report on the Main data of the Second Phase sampling Survey of Chinese women's social status [J]. Collection of Women's Studies, 2001(5): 9.
7. The Third Chinese Women's Social Status Investigation Team. Main Data report of the Third Chinese Women's Social Status Survey [J]. Collection of Women's Studies, 2011(6): 11.
8. The Fourth Chinese Women's Social Status Survey Office. Main data of the 4th Chinese Women's Social Status Survey. February 2022.
9. Wang Jinling. Chinese Women's Development Report [M]. Social Sciences Academic

Press, 2006.

10. National Bureau of Statistics. The Final Statistical Monitoring Report of the Program for the Development of Chinese Women (2011-2020) [M], December 2021.
11. LIN Danyan. Progress and achievements of Chinese women's Education in the 70 Years of New China [J]. China Women's Games, 2019(09):42-45.
12. SHI Kailang, LIU Yunshan. Chinese women's education and social status in the New Era:Based on the Data of the 3rd Chinese Women's Social status Survey [J]. China Women's Sports, 2014(05): 25-27+24.
13. REN Zhengying. The Increase of female participation rate in all levels of education [N]. China Women's Journal, 2008-10-20(A01).
14. HAN Lian, SHEN Bobin. Journal of China Women's University, 2008 (02): 37-41.
15. SUN Xiaomei. Journal of China Women's University, 2005(04):10-13.
16. HUANG Xiaohong. History and Existing Problems of Women's Higher Education inChina [D]. Fujian Normal University, 2004.
17. WEI Yu. The New development of Women's Education in China [J]. Collection ofWomen's Studies, 2000 (03): 9-10.
18. GUO Ge. The Development and Countermeasures of women's education [J]. EducationalResearch, 1995 (09): 43-47.
19. WANG Chun. Status quo and Prospect of Women's Education in China [J]. EducationGuide, 1995(05): 7.
20. MENG Qiuli. Analysis on the regional differences of Chinese women's educational level[J]. Population and Family Planning, 1994(02): 35-38.

აბსტრაქტი

სტატიაში საუბარია XX საუკუნის I-II ტალღის 3 ქართველ ემიგრანტ ქალზე, რომლებმაც წარმატებას საგამომცემლო საქმიანობაში მიაღწიეს.

ექიმი, ისტორიკოსი, ქართველოლოგი ნინო ქურციკაშვილი-სალიამ მეუღლესთან, ემიგრანტ კალისტრატე სალიასან ერთად თავისი სახსრებით და საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ინსტიტუტის დახმარებით, 1948 წელს დააფუძნეს სამეცნიერო, ისტორიულ-ლიტერატურული და ქართველოლოგიური ჟურნალი „ბედი ქართლისა“, „Bedi Kartlisa. Revue de Kartvélogie“. 35 წლის განმავლობაში ჟურნალმა მრავალი ცნობილი ევროპელი და ქართველი მეცნიერის მნიშვნელოვან ნაშრომი გამოაქვეყნა. ნინო აგვარებდა ადმინისტრაციულ, ტექნიკურ და ფინანსურ საქმეებს, თავადაც წერდა და აქვეყნებდა სტატიებს.

გენერალი ზაქარია მდივანის 5 შვილიანი ოჯახი 1921 წლის ოკუპაციის შემდეგ საფრანგეთში დასასახლდა. მათ მალე დაიმკვიდრეს ადგილი პარიზსა და ამერიკის საზოგადოებში. უფროსი ნინო იურისტ ჩარლზ ჰუბერის მერე, 1936 წელს ცოლად გაჰყვა დეტექტივების მწერლის არტურ კონან-დოილის უფროს ვაჟს, იურისტ და ავიატორ დენის კონან-დოილს. მამამთილის გარდაცვალების შემდეგ ნინო გახდა მისი ნაწარმოებების გამომცემელი. დააარსა ლიტერატურული ფონდი „ბასკერვილ ინვესტფონდი“. ლონდონში შერლოკ ჰოლმსისადმი მიძღვნილ მუზეუმში გამოფენილია ნინო მდივანის ფოტო, როგორც მწერლის ნაწერების ერთ-ერთი ყველაზე აქტიური გამომცემელ-გამავრცელებლის.

ჰოლანდიელი ქართველი ალექსანდრა გაბრიელის მამა, II მსოფლიო ომის დროს ტყვედ ჩავარდნილი ქართველი კირილე გაბრიელაშვილი ბავშვის დაბადებამდე დახვრიტეს გერმანელებმა. კ. ტექსელელზე მცხოვრები ქართველთა შთამომავლებისგან ალექსანდრამ ბევრი რამ შეიტყო საქართველოზე. მისი

ინიციატივით დაარსდა ჰოლანდიაში პოპულარული უფლისწულის ალექსანდრე ბაგრატიონის სახელობის საზოგადოება და ფონდი, ჩაატარა საქართველოს დღეები ჰოლანდიაში, 1996-2002 წლებში ამსტერდამში, საკუთარი ხარჯით გამოსცემდა კულტურულ-საგანმანათლებლო ჟურნალ „Georgica“-ს. ჟურნალი ეგზავნებოდა ჰოლანდიის და ევროპის მნიშვნელოვან კულტურულ თუ სამეცნიერო ცენტრებს და პროპაგანდას უწევდა ქართულ კულტურას.

საკვანძო სიტყვები: ქალები, ემიგრაცია, საგამომცემლო საქმე, კულტურა.

ქართველი ემიგრანტი ქალები - რედაქტორ-გამომცემლები

Georgian Immigrant Women – Editor-Publisher

შესავალი

XX საუკუნის I-II ტალღის ქართველმა ემიგრანტმა ქალებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართული ემიგრაციის კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებაში. მათ შორის არიან: მეცნიერები, მწერლები, პოეტები, ხელოვნების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები. პროფესიულ ასპარეზზე წარმატებას ცოტამ მიაღწია, რადგან I ტალღის ემიგრანტთა უმეტესობამ დაიტოვა დამოუკიდებელი საქართველოს მოქალაქეობა და ლტოლვილის სტატუსი. მიუხედავად ამისა, ბევრმა მოახერხა დაბრკოლებათა გადალახვა და საინტერესო კვალი დატოვა ქართული ემიგრაციისა და იმ ქვეყნების ისტორიაში, სადაც ცხოვრება მოუწიათ.

რედაქტორ-გამომცემლებიდან ჩვენი თემისათვის შერჩეული ქალბატონები სხვადასხვა ქვეყნებში ცხოვრობდნენ: ნინო ქურციკაშვილი-სალია - საფრანგეთში, ნინო მდივანი - ინგლისში, ალექსანდრა გაბრიელი - ჰოლანდიაში.

* * *

ექიმი, ისტორიკოსი, ქართველოლოგი ნინო ქურციკაშვილი დაიბადა 1898 წელს კახეთში, სოფელ ვარდისუბანში. განათლება თბილისში მიიღო, შემდეგ პეტერბურგში სწავლობდა მედიცინას. I მსოფლიო ომის დროს მოწყალეების დად მუშაობდა. ომის შემდეგ ვარშავაში დაამთავრა უმაღლესი კურსები ისტორიის განხრით. მერე ოჯახი ჩრდილოეთ ჩინეთში, ქ. ხარბინში დასახლდა. ქალაქი 1899 წელს, ჩიტა-ვლადივოსტოკს შორის „ჩინეთ-აღმოსავლეთის რკინიგზის“ მშენებლობის დროს რუსებმა დააარსეს. იქ ბევრი ქართველი შეძლებულად

ცხოვრობდა. 1925 წელს დაწყებული ჩინეთის რევოლუციის, კომუნისტების ხელისუფლებაში მოსვლის გამო ქართველებმა მანჯურია დატოვეს. ნაწილი სამხრეთ ჩინეთში, ქ. შანხაიში გადასახლდა, ნაწილი საბჭოთა კავშირში დაბრუნდა, ნაწილმა - ევროპა-ამერიკას მიაშურა (1). ნინო ქურციკაშვილიც საფრანგეთში გადასახლდა. იმ დროს პარიზში დიდი ქართული სათვისტომო. წმ.ნინოს სახელობის ქართული მართლმადიდებლური ეკლესია, ბევრი ქართული საქველმოქმედო, კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაცია არსებობდა; აღინიშნებოდა რელიგიური და სამოქალაქო დღესასწაულება, მნიშვნელოვანი თარიღები: შობა-ახალი წელი, ნინობა, თამარობა, 26 მაისი, პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეთა იუბილეები, ხსოვნის დღეები (2). ასეთ მჩქეფარე ცხოვრებაში ჩაერთო ახალგაზრდა ნინოც. ამასთან, იკვლევდა საქართველოს ისტორიის, ქართული კულტურის საკითხებს.

სტუდენტი კალისტრატე სალია საქართველოს ოკუპაციის შემდეგ შეიპყრეს. მეტეხის ციხეში ჩასვეს. პატიმართა ნაწილი რუსეთში გადაგზავნეს, სადაც მათ დახვრეტა ელოდათ. ბერლინში მყოფმა ქართულმა დიპლომატიურმა კორპუსმა ყოფილი ელჩის, ვლადიმერ ახმეტელის მეთაურობით, მთელი მსოფლიო ფეხზე დააყენა. ემიგრაციაში ატეხილმა ხმაურმა საბჭოთა ხელისუფლება აიძულა 1922-1923 წლებში 92 ქართველი პატიმრისათვის ევროპაში წასვლის უფლება მიეცა, სადაც მათ პოლიტიკური თავშესაფარი მიიღეს. გასახლებულთა შორის იყო კალისტრატე სალიაც (3). დაამთავრა ბერლინის უნივერსიტეტთან არსებული გერმანული ენის ინსტიტუტი, 1924 წელს საფრანგეთში გადასახლდა, 1927 წელს დაამთავრა პარიზის უნივერსიტეტი. ქართული ნაციონალისტური ორგანიზაცია „თეთრი გიორგის“ დამფუძნებელი თანამშრომლობდა მის გაზეთ „თეთრი გიორგისთან“ და სხვა ემიგრანტულ ჟურნალ-გაზეთებთან. ბეჭდავდა პოლიტიკური და ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის სტატიებს. 1929 წელს გაიცნო ნინო სალია. მალე დაქორწინდნენ (4).

II მსოფლიო ომის შემდეგ, აღარ არსებობდა ომამდელი ქართული პრესა, ამიტომ ნინომ, მეუღლესთან ერთად, თავისი სახსრებით და საფრანგეთის ეროვნული სამეცნიერო კვლევების ეროვნული ინსტიტუტის დახმარებით, 1948 წელს დააფუძნა ისტორიულ-ლიტერატურული ჟურნალი „ბედი ქართლისა“,

რომელმაც 35 წელი იარსება. 1985 წლიდან „Bedi Kartlisa. Revue de Kartvélologie“-ს გამოცემა განახლდა ახალი სახელწოდებით „Revue des Etudes Georgiennes et Caucasiennes“. მისი რედაქტორი იყო აკადემიკოსი ჟორჟ დუმეზილი, შემდეგ II ტალღის ემიგრანტი, სორბონის უნივერსიტეტის პროფესორი, ხელოვნებათმცოდნე გიორგი შარაშიძე. 1948-58 წლებში ჟურნალში სტატიები ძირითადად იბეჭდებოდა ქართულ ენაზე, 1958-83 წლებში - ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ ენებზე. ჟურნალმა შემოიკრიბა უცხოეთში მოღვაწე ქართველოლოგები. კალისტრატე სალიას თავმჯდომარეობდა ჟურნალის სამეცნიერო საბჭოს. საბჭოში შედიოდნენ: იულიუს ასფალგი, მიხეილ წერეთელი (მიუნხენი), ჟორჟ დიმეზილი, შარლ მერსიე (პარიზი), რენე ლაფონი (ბორდო), დევიდ ლენგი, რობერტ სტივენსონი (ლონდონი), ირენე მელიქოვი (სტრასბურგი), იოჰან მოლითორი (ბამბერგი), ბერნარ უტიე (საბლე-სიურსართი), ჰერტრუდ პეჩი (იენა), კარლ ჰაინც შმიდტი (ბონი), მიშელ ვან ესბროკი (ბრიუსელი), ჰანს ფოგტი (ოსლო) და სხვები. ჟურნალი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქართული კულტურის პოპულარიზაციის საქმეში. „ბედი ქართლისა“, სხვა ემიგრანტული გამოცემებისაგან განსხვავებით, საქართველოში, უცნობი არ დარჩენილა. იბეჭდებოდა ქართველ, აზერბაიჯანელ, ჩრდილოკავკასიელ საბჭოთა მეცნიერთა სტატიები. ასევე კალისტრატე სალიას ნაშრომებიც საქართველოს ისტორიის, ქართული ლიტერატურის საკითხებზე. სალია საქართველოზე წერილებს უცხოურ ენციკლოპედიებშიც ბეჭდავდა, იყო ბევრი სამეცნიერო საზოგადოების წევრი: სააზიო, ისტორიის, ბიზანტინისტიკის, ლინგვისტური, მეცნიერული პრესის საერთაშორისო კავშირის ვიცე-პრეზიდენტი (1964). სალიები ეხმარებოდნენ უცხოელ ქართველოლოგებს, მონაწილეობდნენ სამეცნიერო კონფერენციებსა და კონგრესებში. 1980 წელს ფრანგულ ენაზე გამოაქვეყნა 550-გვერდიანი „ქართველი ერის ისტორია“ (5). წიგნს საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიის პრემია მიენიჭა და ცნობილი საქართველოშიც გახდა.

მთელ ამ საქმიანობაში მას მხარში ედგა მეუღლე ნინო ქურციკაშვილი-სალია. ის იყო ჟურნალის დირექტორი, აგვარებდა ადმინისტრაციულ, ტექნიკურ და ფინანსურ საქმეებს. თავადაც წერდა სხვადასხვა თემებზე ქართულად ან ფრანგულად. რამდენიმე წერილი გარდაცვლილი ქართველების ნეკროლოგი ან მოსაგონარია: „25 წლისთავი ვანო სარაჯიშვილის გარდაცვალებიდან“ (1949), „მარიამ

მამულაიშვილის ხსოვნას“ (1952), „ევგენი გეგეჭკორის უკანასკნელი დღე“ (1954), „მამა მიხეილ თარხნიშვილი“ (1958), „გრიგოლ რობაქიძის საფლავთან“ (1964), „გრიგოლ რობაქიძის არქივის ბედი“ (1964). სტატიები ეძღვნება ემიგრანტ და საბჭოთა ქართველთა კულტურულ საქმიანობას: „ქართველთა კულტურული აქტივობა პარიზში“, „გრიგოლ რობაქიძის საღამო ქართული სიტყვისა“ (1950), „ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლი პარიზში (1958), „რამდენიმე სიახლე ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში“ (1959), „მსოფლიო პრესა ქართულ ფოლკლორულ ცეკვებზე“ (1960), „საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ეკუმენისტური ეკლესიების კონგრესზე პარიზში“ (1962). საისტორიო ნაშრომებია: მსოფლიოს რელიგიების მიმოხილვა „ლოცვა“ (1954-7, 1962), „დედოფალ ქეთევანის წამება“ (1957), „შოთა რუსთაველის უცნობი პორტრეტი“ (1961), „კვიპროსქართველების წვლილი კულტურულ ურთიერთობათა ისტორიაში“ (1963), „ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები“ (1971), „წმ. ნინოს მიერ ქართლის მოქცევის შესახებ“ (1972), „პორტუგალიური მასალები ქეთევან დედოფლის წამებაზე“ (1973), კალისტრატე სალიასა და ვახტანგ ბერიძის თანაავტორობით - „საქართველო: (ისტორიულ-კულტურული მიმოხილვა)“ (1972) და სხვა.

დიდია სალიების ღვაწლი ქართული მეცნიერების წინაშე არა მარტო ამ ჟურნალის გამოცემით, არამედ მიხაკო წერეთლისა და გრიგოლ რობაქიძის საარქივო მასალების გადარჩენის საქმეში. 1980 წლებში ნინო და კალისტრატე სალიების პირადი ბიბლიოთეკა და ნივთები ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს გადაეცა. სალიების კაბინეტში დაცულია რამდენიმე ათასი პერიოდული გამოცემა და წიგნი, მდიდარი ქართველოლოგიური და ორიენტალისტური ლიტერატურით, ლექსიკონებით, ენციკლოპედიებით და სხვა უნიკალური გამოცემებით, რომლებიც მთელ მსოფლიოში ბიბლიოგრაფიულ იშვითობადაა მიჩნეული. მემორიალურ კაბინეტში ინახება კალისტრატე და ნინო სალიების პირადი ნივთები, რომლებსაც სამუზეუმო ექსპონატის სტატუსი აქვთ მინიჭებული.

კალისტრატე სალია გარდაიცვალა 1986 წელს პარიზში, დაკრძალეს ლევილის სასაფლაოზე. 1988 წლის 27 თებერვალს, ანდერძის თანახმად, მისი ფერფლი დიდუბის პანთეონის მიწას მიაბარეს. ნინო გარდაიცვალა 1993 წელს

პარიზში, მისი ფერფლიც ჩამოასვენეს საქართველოში და მეუღლის გვერდით დაკრძალეს დიდუბის პანთეონში.

ნინო მდივანი ცნობილი ოჯახიდან იყო. 1920-30-იანი წლების ევროპულ-ამერიკული საზოგადოებისა და პრესის ყურადღების ცენტრში იყო 5 და-ძმა მდივანი. მათი სახელები შეგხვდებათ ჰოლივუდის ვარსკვლავთა და ცნობილ პიროვნებათა შორის, გახმაურებულ ისტორიებში, ელიტარულ ქრონიკებში, ლიტერატურულ ტექსტებში, ფილმებში. მათ აქებდნენ, აღმატებული ან არასახარბიელო ეპითეტებით ამკობდნენ. ერთი ეპითეტი კი ყველას მიმართ იხმარებოდა: „მექორწინე მდივნები“, რადგან 10 წელიწადში 11 ქორწილი გადაიხადეს (6).

გენერალ ზაქარია მდივნის და ნახევრად პოლონელი ელისაბედ საბალევსკას შვილებმა კარგი განათლება მიიღეს თბილისში, პეტერბურგში, ვარშავაში, ოკუპაციის შემდეგ - ევროპაში. მალე დაიმკვიდრეს ადგილი ევროპისა და ამერიკის საზოგადოებაში ნინო იყო უფროსი და პირველი ის გათხოვდა. 1925 წელს 25 წლის ნინო მდივანი ცოლად სტენფორდისა და ჩიკაგოს უნივერსიტეტების პროფესორს, იურისტ ჩარლზ ჰუბერის გაჰყვა (7). არ ვიცით რა პროფესიის იყო ნინო, მაგრამ ფრიად განათლებული და ევროპული ენების მცოდნე ჩანს, რადგან შესანიშნავად გრძნობდა თავს იურისტებისა და ინტელექტუალთა წრეში. ერთხანს ინგლისში ცხოვრობდნენ. ქორწინება 10 წლის შემდეგ, 1936 წელს ბრისტოლის ავიაგამოფენაზე ნინომ გაიცნო დეტექტივების განთქმული მწერლის არტურ კონან დოილის უფროსი ვაჟი, იურისტი და ავიატორი დენის კონან-დოილი. დენისი მოხიბლა ნინოს მშვენიერებამ და განაცვიფრა მისმა ღრმა ცოდნამ ავიაციაში. 1936 წლის 19 მაისს ნინო გაეყარა ჩარლზ ჰუბერის და 18 აგვისტოს ცოლად გაჰყვა დენის კონან-დოილს. იურისპრუდენციის გარდა დენისი საფრენოსნო სპორტითა და ავია მოდელების შექმნით იყო გატაცებული, მასზე უმცროსი ძმა, მწერალი ადრიანი - ავტორბოლებით, ნადირობით, მოგზაურობით. უმცროსი და ჯინი 30 წელი მსახურობდა ბრიტანეთის სამეფო სამხედრო-საავიაციო ძალების ქალთა ესკადრიაში. არცერთს არ ეცალა მამის მემკვიდრეობისათვის. 1930 წელს არტურ კონან დოილის გარდაცვალების შემდეგ მისი ცოლი ჯენი გახდა ქმრის მემკვიდრე. დედის გარდაცვალების შემდეგ დენისმა მეუღლეს გადასცა მამის მემკვიდრეობა.

ნინომაც ენერგიულად მოჰკიდა ხელი მამამთილის თხზულებათა გამოცემას. უნარიანად წარმართავდა საქმეს და, როგორც წერდნენ, ყველაზე დიდი ტირაჟით არტურ კონან-დოილის თხზულებები სწორედ ნინოს საგამომცემლო საქმიანობის დროს იყიდებოდა (8).

1955 წელს დენისის დალუპვის შემდეგ ნინომ მწერლის თხზულებების გამოცემაზე საავტორო უფლება მემკვიდრეობით მიიღო მულთან და ადრიანის ცოლთან, ანა ანდერსონთან ერთად, რამაც იგი კიდევ ერთხელ აქცია ელიტარული ქრონიკის ინტერესის საგნად. მემკვიდრეობით მიღებული ქონებით ნინომ მიწა იყიდა და დააარსა ლიტერატურული ფონდი „ბასკერვილ ივესტფონდი“. ორივე - საგამომცემლო და ლიტერატურულ დარგში ნინოს საქმიანობა წარმატებული იყო, თუმცა რამდენიმე წლის შემდეგ ფინანსური პრობლემების გამო ფონდი ბანკმა გაყიდა. მწერლის მემკვიდრეობაზე უფლებები კი ნინომ შემდეგაც შეინარჩუნა, როცა მესამედ გათხოვდა კონან-დოილის წარმატებულ გამომცემელ ენტონი ჰარვუდზე (9).

ნინო მდივანი გარდაიცვალა 1987 წელს. 3 წლის შემდეგ, 1990 წელს ლონდონში ბეიკერსტრიტის N221-ბ გაიხსნა არტურ კონან-დოილის ლიტერატურული პერსონაჟის „შერლოკ ჰოლმსის მუზეუმი“. მუზეუმში მწერალთან დაკავშირებულ სხვა რეალურ პირებს შორის ფიგურირებს ნინო მდივანი, როგორც მწერლის რძალი და მისი ნაწერების ყველაზე აქტიური გამომცემელი და გამავრცელებელი.

მესამე ქალბატონმა, ჰოლანდიელმა ქართველმა ალექსანდრა გაბრიელმა (გაბრიელაშვილი) 1996 წელს ჰოლანდიაში დაიბეჭდა ჟურნალ „Georgica“ პირველი ნომერი, რომლის მასალა ნაცნობებისა და ინტერნეტის საშუალებით მოიპოვა. მამამისი, ტყვეობიდან გათავისუფლებული და გერმანულ არმიაში ჩაწერილი კირილე ბავშვის დაბადებამდე დახვრიტეს გერმანელებმა ისე, რომ ალექსანდრს დედას ანა-მარიას მისი სურათიც კი არ შერჩა. არ ახსოვდა გრძელი ქართული გვარის დაბოლოებაც, ამიტომ ქალიშვილს მამის გვარის ფუძე „გაბრიელი“ მისცა. ალექსანდრას დედამ და დეიდებმა ისე ცოტა რამ იცოდნენ საქართველოზე, რომ გოგონას ცნობისმოყვარეობას ვერ აკმაყოფილებდნენ. ომის შემდეგ ოჯახი ჰოლანდიაში გადასახლდა. ალექსანდრამ იქ გაიგო ტექსელის აჯანყების ისტორია,

დაუკავშირდა კუნძულის მცხოვრებთ, რომელთა შორისაც ომის დროს დაბადებული და უმამოდ გაზრდილი ქართველთა შთამომავლობა მრავლად აღმოჩნდა. მათი ბიოგრაფია ძალზე ჰგავდა ალექსანდრას ბიოგრაფიას, თუმცა ტექსელელ ქართველებს მამების სამშობლოსთან კავშირი ჰქონდათ და ალექსანდრამაც საქართველოს შესახებ ბევრი რამ მათგან შეიტყო.

მოვლენები ისე წარიმართა, რომ საქართველოში ჩამოსვლა და ნათესავების მოძიება ვერ მოახერხა, თუმცა ყოველთვის ცდილობდა საქართველოზე ინფორმაციების მოპოვებას. მონაწილეობდა საქართველოსთან დაკავშირებულ ღონისძიებებში. 1990-იან წლებში, ემიგრანტთა მოზღვავებამ ჰოლანდიაში, ადგილობრივ მოსახლეობას ქართველებზე მცდარი წარმოდგენა შეუქმნა. სურვილი გაუჩნდა თანამემამულეთათვის საქართველოზე სიმართლე ეთქვა და დაიწყო მოქმედება. მისი ინიციატივით დაარსდა ჰოლანდიაში პოპულარული, არჩილ II ვაჟის, ალექსანდრე ბაგრატიონის სახელობის საზოგადოება და ფონდი. გერმანიაში მცხოვრები დედის ფინანსური დამხმარებით ჰოლანდიაში საქართველოს დღეები ჩაატარა, 1996 წელს კი - საკუთარი ხარჯით გამოსცა კულტურულ-საგანმანათლებლო ჟურნალი „Georgica“ („ხეორხიკა“).

1997 წლის აგვისტოში ალექსანდრა გაბრიელი პირველად ჩამოვიდა საქართველოში. აქ მას კუნძულ ტექსელის აჯანყების მონაწილის ევგენი არტემიდის ქალიშვილმა გულიკომ და მისმა მეუღლემ, დრამატურგმა ალექსანდრე ქოქრაშვილმა უმასპინძლეს. ისინი დაეხმარნენ სტუმარს, მამისეული გვარის დადგენაში. ნათესავების მოსაძებნად მოინახულეს გაბრიელაშვილებით დასახლებული სოფელი ნაფარეული, გადაჩხრიკეს არქივებიც, მაგრამ უშედეგოდ - ვერავის მიაკვლიეს. სამაგიეროდ, მასპინძლების სახით ალექსანდრამ საქართველოში ახლობლები და მეგობრები შეიძინა. დეიდაშვილების წინააღმდეგობის მიუხედავად, რომლებსაც ვერ უხსნიდა, რა უფრო ეწეოდა პოლიტიკური და ეკონომიკური გართულებებით სავსე ქვეყნისკენ - სისხლის ყივილი თუ ახალი მეგობრები, ვისთან ერთადაც უნდა გადაეტანა საქართველოს ჭირი და ლხინი, 1998 წლის ოქტომბერში მამის სამშობლოში მეორედ ჩამოვიდა. ჰოლანდიელ ქართველს ამჯერად სხვა პროგრამა ჰქონდა, რაც ვერ შეაცვლევინა პირველმა წარუმატებლობამ, როცა ჩამოსვლისთანავე ქურდებმა მთელი ფული

ამოაცალეს. მან მოინახულა თბილისის მუზეუმები, ჟურნალთა რედაქციები, ინსტიტუტები, ახალი მეგობრები - სექტემბერში ამსტერდამის უნივერსიტეტის 50 წლისთავზე ჰოლანდიაში მიწვეული ახალგაზრდა მეცნიერები - ცირა ჩიკვაიძე და ნანა ციხისთავი. მათი დახმარებით ალექსანდრა თსუ ისტორიის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს შეხვდა. მოინახულა ქართული ემიგრაციის მუზეუმი და საჩუქრად ჟურნალის 3 ნომერი გადასცა (10). 1999 წლის მაისში ალექსანდრა მესამედ იმყოფებოდა საქართველოში და ემიგრაციის მუზეუმს ჟურნალის ახალი, N4 დაუტოვა, რომლის გარეკანზე როლფ შრადეს ფერადი ფოტოა მოთავსებული - „ლაგურკა. წმ. კვირიკეს ეკლესია სოფელ კალაში“ და ქართული ფილმების ვიდეოკასეტათა ნაკრები.

ჟურნალი „ხეორხიკა“ გამოდიოდა ამსტერდამში წელიწადში ერთხელ. რედაქტორი იყო ალექსანდრა გაბრიელი, დირექტორი - ქართულ-აფხაზური ენების მცოდნე, თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ყოფილი სტაჟიორი ვიმ ლუკასენი. ჟურნალში სტატიები ჰოლანდიურის გარდა გერმანულ, ინგლისურ ენებზეცაა, გაბრიელისა და ლუკასენის გარდა ავტორები ქართველი, ჰოლანდიელი და უცხოელი ავტორები არიან. სტატიები ეხება: ქართულ ლიტერატურას, ისტორიას, ეთნოგრაფიას, მატერიალური კულტურის ძეგლებს, არქიტექტურას, ხელოვნებას, სამართალს და ა.შ. დაბეჭდილია საქართველოს რუკა. საქართველოს პატრიარქისა და ქართული ეკლესიის მიერ კ. ტექსელზე ქართველთა სამძო სასაფლაოს კურთხევა. რუბრიკებში „ახალი ამბები“, „ახალ პროექტები და პუბლიკაციები“, „ქართველები ჰოლანდიაში“, „ჰოლანდიელები საქართველოში“, „ბიბლიოგრაფია“ განხილული ბევრი საინტერესო მოვლენა, წიგნი, ჟურნალი, საქართველოსთან დაკავშირებული ევროპულ-ჰოლანდიური ღონისძიება, მათ შორის 1993 წელს ქ. ზანდაამში ალექსანდრე ბაგრატიონის ძეგლის გახსნას, 1996, 1997, 1998 წლებში საქართველოს დღეებს ჰოლანდიაში, ასევე საქართველოში ჩატარებული საერთაშორისო სემინარები, კონფერენციები და ა.შ. ჟურნალების ფერად ყდებზე გამოსახულია: თამარ მეფის ფრესკა ბეთანიიდან, ფიროსმანის, თანამედროვე მხატვრების, კერამიკოსების ნამუშევართა ფოტოები (11).

მომდევნო 3 ნომერი ინტერნეტში მოვიძიეთ, მაგრამ ჟურნალებზე მხოლოდ ყდების და მათზე დატანილი შინაარსების მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ. N5 დაიბეჭდა 2000 წელს, N6 - 2001 წელს, N7 - 2002 წელს. ყდებზე დატანილია გელათის მოოქროვილი

ვერცხლის ტონდო, დიმიტრი ერმაკოვი გადაღებული ქრთული პორტრეტები, მხატვარ სოფიო ტაბატაძის ნახატი. ავტორები კვლავ ქართველი, ჰოლანდიელი და უცხოელები არიან. სტატიები ეძღვნება: ქართულ მწერლობას, პოეზიას, ლექსიკოლოგიას, არქეოლოგიას, ეთნოლოგიას, რელიგიას, არქიტექტურას, მხატვრობას, მუსიკას, კინოს. განხილულია ლტოლვილთა და სოციალური საკითხები, მოვლენები აფხაზეთში, ქვემო ქართლში, ჰოლანდია-საქართველოს ეკონომიკური კავშირები, ჰოლანდიის წარმომადგენლობა, ინფორმაცია 10 ჰოლანდიელ მოგზაურზე და ა.შ. სამივე ნომერში 2-2 რუბრიკაა „ახალი ამბები და დღის წესრიგი“ და „ახალი წიგნები“.

ასეთია ზოგადად ქართული კულტურის პროპაგანდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო, ჰოლანდიური ჟურნალი „გეორგიკა“. მიუხედავად მცირე ტირაჟისა - 100 ცალი, ჟურნალი დიდ საქმეს აკეთებდა. ეგზავნებოდა არა მარტო ჰოლანდიის, არამედ ევროპის მნიშვნელოვან კულტურულ და სამეცნიერო ცენტრებს და პროპაგანდას უწევდა ქართულ კულტურას, ალექსანდრა გაბრიელი კი სხვა საინტერესო პროექტებს ახორციელებს საქართველოსა და ჰოლანდიაში და თანამგრძნობებსა და მხარდამჭერებს უმრავლესს საქართველოს (12).

* * *

ამგვარად, სხვადასხვა ქვეყნებსა და სხვადასხვა ეპოქაში მცხოვრები სამი ქალბატონი - ნინო ქურციკაშვილი-სალია, ნინო მდივანი და ალექსანდრა გაბრიელი თავიანთი საგამომცემლო საქმიანობით შევიდნენ ემიგრაციისა და ქართული კულტურის ისტორიაში და ევროპულ საზოგადოებაშიც პატივისცემა და აღიარება მოიპოვეს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. დაუშვილი რ. ქართველები მანჯურიაში - „ქართული დიპლომატია“, ტ.11, 2004, გვ.135-147
2. დაუშვილი რ. ქართული ემიგრაცია 1921-1939, თბ, 2007, გვ.180-225
3. ნოზაძე ვ. საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებიდან ქართველ საზოგადო მოღვაწეთა გამეფება _ „კავკასიონი“, N16-17, პარიზი, 1972-73, გვ.57-94
4. შარაძე გ. კალისტრატე და ნინო სალიები, „უცხოეთის ცის ქვეშ“, ტ.I, 1991, გვ.448-456
5. Salia k. Histoire de la Nation Georgienne, Paris, 1983

6. დაუშვილი რ. მდივნების ოჯახი - ამერიკის შესწავლის საკითხები, VII, თსუ, 2018, გვ.136-143
7. Nina Mdivani - <https://de.wikipedia.org>
8. The Arthur Conan Doyle Encyclopedia - <https://www.arthur-conan-doyle.com>
Nina (Mdivani) Harwood (1901-1987) - <https://www.wikitree.com>
10. დაუშვილი რ. ჰოლანდიელი ქართველი სტუმრად საქართველოში - გაზ. „ახალი ქართული გაზეთი“, 1998, 28 XI, .N08, გვ.ე-1
11. დაუშვილი რ. „გეორგიკა“ და მისი ქართველი გამომცემელი - გაზ. „თბილისი“, 2000, 2 XII, N134, გვ.4
12. <https://adoc.pub> › het-georgische-wo

Rusudan Daushvili

Invited professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Georgian Immigrant Women – Editor–Publisher

The article is about three Georgian immigrant women of I-II wave of XX century who achieved success in editorial activities.

The doctor, historian, specialist of Georgian studies Nino Kurtsikashvili-Salia, together with the spouse, immigrant Kalistrate Salia, established the journal „Bedi Kartlisa. Revue de Kartvéologie“ using their own financial means and assistance of national scientific research institute of France in 1948. “During 35 years the journal published significant pieces of work of many famous European and Georgian scientists”. Nino was taking care of administrative, technical and financial affairs and himself wrote and published articles.

The 5-child family of general Zaqaria Mdivani settled in France after the 1921 occupation. They soon found their stable place in Paris and USA societies. After Charles Huberich, the older daughter, Nino, married the lawyer, older son of the detective story writer Arthur Conan Doyle, the lawyer and aviator Dennis Conan Doyle. Following the death of the father-in-law, Nino became the publisher of his pieces of work. The literary foundation „Baskerville Invest-Foundation” was established. The photo of Nino Mdivani is exhibited in London at the Museum of Sherlock Holmes as one of the most active editor-distributors of the writer’s pieces of work.

Germans shot Kirile Gabrielashvili, father of the Dutch Georgian Alexandra Gabriel, who has been taken a prisoner during WWII, before the child’s birth. Alexandra learned a lot about Georgia from the descendants of Georgians living on the Texel island. Upon his initiative, the society and the foundation of the popular prince in the Netherlands, Alexander Bagrationi, was established. He held Georgian days in the Netherlands. In 1996-2002 he paid his own money to

publish the cultural-educational journal „Georgica“ which was sent to important cultural and scientific centers of the Netherlands and Europe and propagated the Georgian culture.

აბსტრაქტი

ჩინელი ქალების, როგორც მეწარმეების პოპულარიზაცია ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან ისინი სულ უფრო და უფრო დიდ როლს თამაშობენ ჩინეთის ეკონომიკაში. სტატიაში განხილულია ქალთა მეწარმეობის თავისებურებები ჩინეთში. იგი ასევე, აღწერს ტენდენციებსა და პრობლემებს, რომლებსაც ბიზნესმენი ქალები აწყდებიან ჩინეთში. განიხილავს განსხვავებებს ქალებისა და მამაკაცების მიერ მართულ კომპანიებში. სტატია აანალიზებს ეფექტურ სტრატეგიებს ქალთა ბიზნესის განვითარებისთვის ჩინეთში. კვლევის მიზანია, გენდერული კუთხით გადახედოს ჩინეთში ქალი ბიზნეს ლიდერების მდგომარეობას, და მეტი შუქი მოჰფინოს ამ საინტერესო თემას, ხელი შეუწყოს გამოწვევების ახალი გაგების აღქმას. მნიშვნელოვანია გვესმოდეს, თუ როგორ ხდება მეწარმეობის, მენეჯმენტისა და გენდერული როლების დაბალანსება, რადგან ის მნიშვნელოვან პრობლემებს უქმნის ქალ მეწარმეებს, მათ ბიზნესის მართვას, ზრდას, შენარჩუნებას და გავლენას ახდენს პირად ცხოვრებასა და სოციალურ მოლოდინებზე.

საკვანძო სიტყვები: ჩინეთი, ქალები, მეწარმეები, ქალთა ბიზნესი ჩინეთში, მენეჯერი ქალები

ქალის როლი ჩინეთის ბიზნესში

შესავალი

ბიზნესის განვითარება გადამწყვეტია ნებისმიერი ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური განვითარებისა და ადამიანების კეთილდღეობისთვის. ამ კონტექსტში, ჩინელი ქალების, როგორც მეწარმეების პოპულარიზაცია ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან ისინი სულ უფრო და უფრო დიდ როლს თამაშობენ ჩინეთის ეკონომიკაში. სტატიაში განხილულია ქალთა მეწარმეობის თავისებურებები ჩინეთში. იგი ასევე, აღწერს ტენდენციებსა და პრობლემებს, რომლებსაც ბიზნესმენი ქალები აწყდებიან ჩინეთში. განიხილავს განსხვავებებს

ქალებისა და მამაკაცების მიერ მართულ კომპანიებში. სტატია ანალიზებს ეფექტურ სტრატეგიებს ქალთა ბიზნესის განვითარებისთვის ჩინეთში.

ჩატარებული ემპირიული კვლევის, სხვადასხვა ნაშრომებისა და ოფიციალური დოკუმენტების შესწავლა საფუძველს იძლევა ჩინეთში მეწარმე ქალთა დღევანდელი მდგომარეობისა და მომავლის განხილვისთვის.

აქტუალური საკითხის ანალიზის შედეგად, თამამად შემიძლია ითქვას, რომ გენდერული მრავალფეროვნება, მათ შორის უფროს მენეჯმენტსა და კომპანიების მართვაში, დადებით გავლენას ახდენს საწარმოების პროდუქტიულობაზე, ზრდის მათ კონკურენტუნარიანობას და ხელს უწყობს ეკონომიკურ აღმავლობას ქვეყანაში.

ამ ნაშრომის მთავარი მიზანია გენდერული კუთხით გადახედოს ჩინეთში ქალი ბიზნეს ლიდერების მდგომარეობას, და მეტი შუქი მოჰფინოს ამ საინტერესო თემას, ხელი შეუწყოს გამოწვევების ახალი გაგების აღქმას. მნიშვნელოვანია გვესმოდეს, თუ როგორ ხდება მეწარმეობის, მენეჯმენტისა და გენდერული როლების დაბალანსება, რადგან ის მნიშვნელოვან პრობლემებს უქმნის ქალ მეწარმეებს, მათ ბიზნესის მართვას, ზრდას, შენარჩუნებას და გავლენას ახდენს პირად ცხოვრებასა და სოციალურ მოლოდინებზე. [1.21]

ქალების როლი ბიზნესში მნიშვნელოვნად იზრდება მთელ მსოფლიოში, მათ შორის ჩინეთში.

ჩინელი ქალი და ბიზნესი

უკანასკნელ 40 წელიწადში ჩინეთში ქალთა მონაწილეობის ზრდა შრომით ბაზარზე ეკონომიკური და სამეწარმეო საქმიანობის განვითარების სტიმული გახდა.

ამავდროულად, ქალების როლის შემდგომი გაძლიერება შრომის ბაზარზე, განსაკუთრებით იმ სექტორებსა და პროფესიებში, სადაც ტრადიციულად დომინირებენ მამაკაცები, ბიზნესის განვითარების ფართო შესაძლებლობებს იძლევა.

ჩინეთში ოფიციალურად, ქალებს იგივე უფლებები აქვთ, რაც მამაკაცებს სამუშაო ადგილებზე და მთავრობა ბოლო ოცდაათი წლის მანძილზე ამ თანასწორობას უჭერს მხარს. თუმცა, ტრადიციული კონფუციანური აზროვნება კარგად არ ჯდება გენდერული თანასწორობის იდეასთან და შესაბამისად,

უცხოელი საქმიანი ქალები ჯერ კიდევ ნაკლებად განიხილავენ, ჩინელ ქალებს, როგორც ბიზნეს პარტნიორებს, ვიდრე მათ მამაკაც კოლეგებს.

ჩინეთში ქალების სტატუსში ცვლილებები დაიწყო 1954 წლის კონსტიტუციით, რომელიც ქალებს „მამაკაცებთან თანაბარ უფლებებს ანიჭებდა პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული, სოციალური და საოჯახო ცხოვრების ყველა სფეროში“. მომდევნო ათწლეულებში, სამთავრობო რეფორმებმა დაიწყო ქალების დაცვა და გაძლიერება ეროვნული განათლების მოთხოვნებისა და ანტიდისკრიმინაციული კანონების მეშვეობით, მათ შორის ქალთა შრომის დაცვის რეგულაციები 1988 წელს, ქალთა უფლებების დაცვის აქტი 1992 წელს და შრომის აქტი 1994 წელს.[2.31]

1980-იან და 1990-იან წლებში გაჩნდა მეტი სოციალური პროგრამა, შეიქმნა ჩინეთის ბიზნესმენ ქალთა ასოციაცია, სრულიად ჩინეთის ქალთა ფედერაცია, ქალთა წარმატებული კარიერული პროგრამა და ტიანძინის ქალთა ბიზნეს ცენტრი.

ეს პროგრამები და ინსტიტუციები ქალებს თავაზობს ხელშეწყობას კარიერულ ზრდაში, მომსახურებას, მათ შორის პროფესიულ სწავლებას, სუბსიდიებს, საგადასახადო შეღავათებს, საკრედიტო პროგრამებს, კონსულტაციებს და მენტორობას.

1980-იან წლებში ჩინეთში განხორციელებულმა ეკონომიკურმა რეფორმებმა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ გამოიწვია კერძო სექტორის გაფართოება და მეწარმეობის ზრდა. ბევრმა ჩინელმა ქალმა, განსაკუთრებით უფრო განათლებულმა ნაწილმა, ისარგებლა ეკონომიკური რეფორმების შესაძლებლობებით.

2019 წელს მიღებულ იქნა კანონი, რომელიც ცალსახად კრძალავს გენდერულ დისკრიმინაციას სამუშაო ადგილზე, მაგრამ ექსპერტების აზრით, ამან მცირე შედეგი გამოიღო.

კანონი ჯარიმებს აწესებს იმ კომპანიებისთვის, რომლებიც არ შეასრულებენ მას, მაგრამ ფულადი ჯარიმა იმდენად მცირეა, რომ კომპანიების ხელმძღვანელები ხშირად არღვევენ მას.

ჩინეთი მუდმივად ავითარებს და აუმჯობესებს მექანიზმებს, რომლებიც მიზნად ისახავს ქალების სტატუსის გაუმჯობესებას. ამის შესახებ ნათქვამია თეთრ

წიგნში „გენდერული თანასწორობა და ქალთა განვითარება ჩინეთში“, რომელიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ დაამტკიცა.

თეთრი წიგნი 11000 ჩინური სიმბოლოსგან (იეროგრიფისგან) და სამი ნაწილისგან შედგება.

ის მოიცავს ისეთ თემებს, როგორცაა გენდერული თანასწორობისა და ქალთა განვითარების სისტემური გარანტიები, ქალები და ეკონომიკა, ქალები და განათლება, ქალები და ჯანმრთელობა, ქალები და გადაწყვეტილების მიღება, ქალები და გარემო, გენდერული თანასწორობის საკანონმდებლო დაცვა და ქალთა განვითარება, საერთაშორისო გაცვლები და თანამშრომლობა გენდერულ თანასწორობასა და ქალთა განვითარებაში.

პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა მიღებულ იქნა გაეროს ქალთა მეოთხე მსოფლიო კონფერენციაზე, რომელიც გაიმართა ქ.პეკინში, 1995 წელს და დიდი გავლენა მოახდინა გენდერული თანასწორობისა და ქალთა განვითარების პროგრესის ხელშეწყობაში მთელ მსოფლიოში. წელს აღინიშნება ამ კონფერენციის 27 წლისთავი, რომელსაც ჩინეთის მთავრობამ და გაეროს ქალთა ორგანიზაციამ ერთობლივად უმასპინძლეს.[2.9]

აღსანიშნავია, რომ, ჩინეთი მუდმივად აუმჯობესებს სამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც შექმნილია ქალების სტატუსის გასაუმჯობესებლად, 1990 წელს სახელმწიფო საბჭომ შექმნა ქალთა და ბავშვთა საკითხთა სამუშაო კომისია, რომელიც ორგანიზებას და კოორდინაციას უწევს, ხელმძღვანელობს შესაბამისი დეპარტამენტების საქმიანობას, რომელიც მიმართულია გენდერული თანასწორობისა და ქალთა განვითარების ხელშეწყობისკენ. შესაბამისი სტრუქტურები შეიქმნა ქვეყნისა და ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე.

ქალთა განვითარება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების მნიშვნელოვანი ნაწილია. შესაბამისი ამოცანები შეტანილი იყო ქვეყნის განვითარების გეგმებში. სახელმწიფო საბჭომ 1995 წლიდან სამჯერ გამოაქვეყნა ჩინეთის ქალთა განვითარების პროგრამა. ამავდროულად, მუდმივად მდიდრდება ქალთა განვითარებასთან დაკავშირებული პროგრამების შინაარსი, დგინდება უფრო მკაფიო მიზნები და ამოცანები, გამოიყენება მიზნების მიღწევის

უფრო ეფექტური გზები, ხორციელდება გეგმების შესრულებაზე კონტროლი და შეფასება.

გარდა ამისა, ჩინეთი თანდათან აუმჯობესებს სტატისტიკის სისტემას გენდერული თანასწორობის სფეროში. შეიქმნა ქალთა განვითარებასთან დაკავშირებული ყოვლისმომცველი სტატისტიკის მექანიზმი. ჩინეთი ასევე ქმნის ქვეყანაში ქალთა მდგომარეობის მონიტორინგის სისტემას სახელმწიფო და რეგიონულ დონეზე, შეიმუშავებს შესაბამისი სტატისტიკური მაჩვენებლების სისტემას და ა.შ. 1990, 2000 და 2010 წლებში ჩინეთში ჩატარდა კვლევები ქალთა მდგომარეობის შესახებ, რომელიც სრულყოფილად და ობიექტურად ასახავს ამ სფეროში არსებულ ცვლილებებს და საფუძველს იძლევა ჩინეთში ქალთა განვითარების წინსვლისა და გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის. 1995, 1999, 2004, 2007 და 2012 წლებში გამოქვეყნდა კვლევები „ქალები და კაცები ჩინურ საზოგადოებაში: ფაქტები და ციფრები“, ხოლო 2008 წლიდან ყოველწლიურად ქვეყნდება „სტატისტიკური მასალები ჩინეთში ქალებისა და ბავშვების მდგომარეობის შესახებ“.

დასაქმებაში გენდერული თანასწორობის აქტიური ხელშეწყობისა და ქალების დასაქმების ან ბიზნესის წამოწყების შესაძლებლობის ასამაღლებლად, ჩინეთის მთავრობამ გააქტიურა თანამშრომლობა გაეროს განვითარების პროგრამასთან, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციასთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რამაც კარგი შედეგები გამოიღო. ამჟამად ის, კიდევ უფრო გაძლიერდა, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე ჩინეთის, გაეროს დისკრიმინაციის (დასაქმება და პროფესია) კონვენციასთან მიერთების შემდეგ.

ჩინეთი ძირითადად სოფლის მეურნეობის ქვეყანაა და ქალები შეადგენენ სოფლის სამუშაო ძალის 60 პროცენტზე მეტს და წარმოადგენენ ძირითად ძალას ფერმერულ საქმიანობაში. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონი სოფლად მიწის კონტრაქტის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2003 წელს, ქალებს და მამაკაცებს თანაბარ უფლებებს ანიჭებს სოფლად მიწის კონტრაქტის დროს და არც ერთმა ორგანიზაციამ ან ინდივიდმა არ უნდა ჩამოართვას ქალებს კონტრაქტისა და საქმიანობის უფლება მიწაზე ან დაარღვიოს მათი უფლება.[1.22]

ბოლო წლებში ჩინეთის მთავრობამ აქტიური პოლიტიკა გაატარა და შესაბამისი ზომები მიიღო სოფლის მეურნეობის განვითარების, სოფლად ფერმერების პრობლემების გადასაჭრელად, გაზარდა სოფლის მეურნეობაში ინვესტიციების რაოდენობა, წინ წაიწია საგადასახადო რეფორმამ სოფლად და განახორციელა სოფლის მეურნეობის გააქტიურების სტრატეგია მეცნიერებისა და ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით.

ქალაქებში მომუშავე სოფლად მცხოვრები ქალების კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვის მიზნით, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ჩინეთის მთავრობამ თანდათან შეამცირა ან გააუქმა ქალაქებში სოფლის მოსახლეობის დასაქმების შემზღვევით რეგულაციები და დიდი ძალისხმევით მოაგვარა ხელფასების დავალიანების, პროფესიული უსაფრთხოების, თანაბარი სამუშაოსთვის თანაბარი ანაზღაურებისა და სოციალური უზრუნველყოფის პრობლემები. სოფლად მცხოვრები მიგრანტი მუშები გაათავისუფლეს ქალაქებში ცხოვრების რეგისტრაციისგან და მათი შვილების სკოლაში სწავლასთან დაკავშირებით არსებული შეზღუდვებისაგან. აქტიურად დაიწყო ქალაქებში მომუშავე სოფლად მცხოვრებ ქალთა ლეგიტიმური უფლებებისა და ინტერესების დაცვა.

გენდერული დისკრიმინაცია ჩინეთის შრომის ბაზარზე

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დაარსების დღიდან ქვეყანა ოფიციალურად ახორციელებს ქალთა და მამაკაცთა თანაბარი უფლებების პოლიტიკას. მაგრამ პრაქტიკაში გენდერული დისკრიმინაცია ფართოდ იყო გავრცელებული და სხვადასხვა ფორმას იღებდა. ეს ყველაზე მეტად გამოიხატებოდა ქალების, მამაკაცებთან შედარებით დაბალ ხელფასებში ერთნაირ სამუშაოზე, ქალების შეზღუდული შესაძლებლობები კარიერაში და ქალების ნაკლები ხელმისაწვდომობა განათლებაზე. ეკონომიკური რეფორმის განხორციელებამ მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია ჩინეთში შრომის ბაზარზე ქალების პოზიციაში.

აქ შეიძლება გამოიკვეთოს რამდენიმე მნიშვნელოვანი ტენდენცია.

სოციალურ სამუშაოებში ქალების დასაქმების გაზრდა. პირველ რიგში, საგრძნობლად გაიზარდა მომუშავე ქალების რაოდენობა. თუ 1986 წელს ქალები

შეადგენდნენ დასაქმებულთა 36,6%-ს, 1996 წელს - 39,6%, 2000 წელს - უკვე 40,2%. ეს აღემატება გლობალურ საშუალო მაჩვენებელს 34,5%¹, მაგრამ ოდნავ დაბალია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების საშუალოზე (50%). თუ 1990 წელს ქვეყანაში 291 მილიონი ქალი მუშაობდა, მაშინ 2003 წელს უკვე 337 მილიონი.

2014 წელს იყო 29 მილიონი ქალი მეწარმე, რაც შეადგენდა მეწარმეთა საერთო რაოდენობის 20%-ზე ნაკლებს. 2019 წელს ქალი ბიზნესის მფლობელების პროცენტული მაჩვენებელი გაიზარდა 25.6%-მდე (შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, 2019).[3.32]

უფრო მეტიც, 2001 წლის მაისში, ჩინეთის მთავრობამ მიიღო გრძელვადიანი "ჩინელ ქალებზე ორიენტირებული განვითარების პროგრამა (2001-2010)". პროგრამის მიზანია ქალთა დასაქმების გაზრდა; იმ ინდუსტრიების განვითარების სტიმულირება, სადაც ქალების დასაქმება ჭარბობს. პროგრამის განხორციელება ვარაუდობს, რომ გაიზრდება ქალების დასაქმება. უპირველეს ყოვლისა, სოფლიდან მიგრანტი ქალების ქალაქში დასაქმებაში ჩართულობის გზით.

ხელფასი. ეკონომიკური რეფორმის წლებში ქალთა ხელფასები თანდათან გაიზარდა, თუმცა ქალების ხელფასები ჯერ კიდევ უფრო დაბალია, ვიდრე მამაკაცების. ქალების ხელფასი ამჟამად მამაკაცების ანაზღაურების დაახლოებით 84%-ია. ეს ოდნავ აღემატება მსოფლიო საშუალო მაჩვენებელს 60%-70%-ს და აღემატება 80%-ს, რომელიც დამახასიათებელია ისეთი განვითარებული ქვეყნებისთვის, როგორცაა აშშ, კანადა და ევროპის ქვეყნები.

ხელფასების სხვაობა გაიზარდა საშუალო და არასრული საშუალო განათლების მქონე ადამიანებისთვის, მაგრამ შემცირდა მათთვის, ვინც დაამთავრა ტექნიკური სკოლები და კოლეჯები. გენდერული ხელფასის სხვაობის ყველაზე მნიშვნელოვანი შემცირება დაფიქსირდა იმ მუშაკთა ჯგუფში, რომლებმაც მიიღეს უმაღლესი ტექნიკური განათლება. ამის საპირისპიროდ, ქალაქში არაკვალიფიციური ქალების ხელფასი შემცირდა მსგავს სამუშაოს შემსრულებელი მამაკაცების შემოსავალთან შედარებით.

განათლების დონე. ზოგადად, სამუშაო ასაკის ქალებს უფრო დაბალი განათლება აქვთ, ვიდრე მამაკაცებს. ამრიგად, 1990 წელს 16-დან 64 წლამდე ასაკის ქალებში გაუნათლებლობა იყო 30,1%, ე.ი. იყო ორჯერ მეტი ქვეყნის საშუალოზე.

მიუხედავად იმისა, რომ მომდევნო ათი წლის განმავლობაში, ე.ი. 2000 წლისთვის ქალის გაუნათლებლობის მაჩვენებელი 16.1%-მდე შემცირდა, რის გამოც ქალთა გაუნათლებლობის მაჩვენებელსა და ეროვნულ საშუალო მაჩვენებელს შორის ორჯერ მეტი განსხვავებაა. 2003 წელს ეს მაჩვენებლები იყო 15,85% და 6,72% შესაბამისად⁴. ქალებში გაუნათლებლობის დონე განსაკუთრებით მაღალია სოფლად, სადაც მშობლები ზოგავენ ფინანსებს თავიანთი ქალიშვილების განათლებისათვის.[2.21]

ეკონომიკური რეფორმების განმავლობაში, განათლების დონე ქალებსა და მამაკაცებს შორის შემცირდა, მაგრამ მაინც შესამჩნევია. დაწყებითი განათლების მქონე პირებს შორის მამაკაცებისა და ქალების წილი დაახლოებით ერთნაირია (49% და 50%, შესაბამისად). მაგრამ უფრო ნაკლები ქალი იღებს დამატებით განათლებას. დღეისათვის არასრული საშუალო განათლების მიმღებთა შორის ქალები შეადგენენ 45%-ს, დასრულებული საშუალო განათლება - 43,5%, უნივერსიტეტებისა და პროფესიული სასწავლებლების სტუდენტებს შორის - 41%⁵. შედეგად, ქალებს შეუძლიათ განაცხადონ მხოლოდ დაბალ თანამდებობებზე დაბალი ანაზღაურებით. დღეისათვის უმაღლეს სასწავლებლებში უფრო მეტი ქალი სწავლობს, ვიდრე მამაკაცი.

ქალთა დასაქმების სტრუქტურა. ეკონომიკური რეფორმების პირველ ათწლეულში, მიუხედავად საწარმოს დარგობრივი სპეციალიზაციისა, ქალები უფრო ხშირად მუშაობდნენ კერძო და არა სახელმწიფო საკუთრების საწარმოებში, აგრეთვე „მშენებლებისა და დასახლებების საწარმოებში“ (VVP), ანუ საწარმოებში, რომლებიც არ უზრუნველყოფდნენ თავიანთ თანამშრომლებს რაიმე სოციალურ დაცვას და არ უზრუნველყოფდნენ ელემენტარული შრომითი უფლებების დაცვას. ქალების შრომა ჭარბობდა ისეთ ინდუსტრიებში, როგორცაა ტანსაცმელი (დასაქმებულთა 70,9%), ქალაქის (68,9%) და ქიმიური მრეწველობა.(53,8%).[3.28]

ეკონომიკური რეფორმის მეორე ათწლეულის განმავლობაში მოხდა ქალთა შრომის გარკვეული გადანაწილება ინდუსტრიებს შორის. 2000 წლისთვის ქალების წილი მუშაკებს შორის 40%-ს აღემატებოდა ისეთ სექტორებში, როგორცაა ჯანდაცვა და სოციალური დაზღვევა (57%); განათლება, კულტურა, მასმედია (44%); ვაჭრობა და საზოგადოებრივი კვება (45,7%); კომუნალური (43,5%)⁶. მაგრამ

დასაქმების სფეროს მიუხედავად, ქალების წილი ხელმძღვანელ პოზიციებზე რჩება უკიდურესად მცირე.

ცვლილების მასშტაბის გასაგებად, შეიძლება ითქვას, რომ მაშინ, როცა 2005 წელს კერძო საწარმოებში 51,24 მილიონი ჩინელი მუშაობდა, 2018 წელს მან 139,52 მილიონს მიაღწია. ამავდროულად, SOE-ებში დასაქმებულთა რაოდენობა შემცირდა 139.52 მილიონიდან 2008 წელს 57.4 მილიონამდე 2018 წელს (Statista, 2018a) - და დათხოვნილ მუშაკთა უმრავლესობა (62.8%) ქალები იყვნენ (Wang, 2003). [4.17]

ქალთა დასაქმების გეოგრაფიული განაწილება. ეკონომიკური გარდაქმნების დროს შეიცვალა ქალთა დასაქმების გეოგრაფია. სოციალურ სამუშაოში ქალების ჩართულობის ხარისხი საშუალოზე მაღალი იყო ცენტრალური დაქვემდებარების ქალაქებში - პეკინში, შანხაიში, ტიანძინში, სადაც უკვე 1980-იანი წლების დასაწყისში ეს მაჩვენებელი 40%-ს აჭარბებდა. მეორე ადგილზეა ეკონომიკურად განვითარებული სანაპირო პროვინციები - Liaoning, Jilin, Jiangsu, Guangdong, სადაც ექსპორტზე ორიენტირებული მრეწველობის განვითარებამ გაზარდა მოთხოვნა მუშაკ ქალებზე.

ანალოგიურად, 1990-იან წლებში, ჩინეთის შიდა პროვინციებში, განსაკუთრებით ცენტრალურ პროვინციებში, ქალთა დასაქმების დაბალი ტენდენცია გაგრძელდა. უფრო მეტიც, რიგ პროვინციებში, განსაკუთრებით პროვინციებში, სადაც შედარებით ჭარბი სოფლის მოსახლეობაა და პროვინციებში, რომლებიც მძიმე მრეწველობის ყოფილ ცენტრებს წარმოადგენდნენ, ქალების დასაქმება მცირდება. ეს განპირობებული იყო რეფორმით და წამგებიანი საწარმოების დახურვით, სადაც ქალები პირველები დაითხოვეს.

შრომის ბაზარზე ქალთა პოზიციის ნორმატიული რეგულირება.

შრომის დაცვის წესები (1988), შრომის კოდექსი (1994) და კანონი ქალთა უფლებებისა და ინტერესების დაცვის შესახებ აცხადებს თანაბარ უფლებებს ქალისა და მამაკაცის სამუშაო ადგილზე და შექმნილია ქალების კანონიერი უფლებების დასაცავად. და უზრუნველყოს მათ თანაბარი ანაზღაურება მამაკაცებთან. საკანონმდებლო აქტები კონკრეტულად ხაზს უსვამს, რომ ქალებს არ შეუძლიათ უარი თქვან სამუშაოზე მათი სქესის გამო. თუმცა, შრომის კოდექსის მე-5 მუხლში

ნათქვამია, რომ მთელ რიგ დარგებში შეიძლება იყოს შეზღუდვები ქალების დასაქმებაზე. მათ შორისაა დარგები, რომლებშიც სამუშაო პირობები სახელმწიფოს მიერ ქალის ჯანმრთელობისთვის საზიანოდ არის აღიარებული. კანონი არ შეიცავს ასეთი დარგების დახურულ ჩამონათვალს, ის მხოლოდ ზოგად მიდგომას განსაზღვრავს. ეს არის სამუშაო მიწისქვეშა სამუშაოები, სამუშაო სიმაღლეზე, ინტენსიური ფიზიკური შრომა მაღალ ან დაბალ ტემპერატურაზე. კანონმდებლობაში იმ სექტორების დახურული ნუსხის არარსებობა, რომლებშიც ქალების დასაქმება შეზღუდულია, პრაქტიკაში საშუალებას აძლევს საწარმოების ხელმძღვანელებს, თვითნებურად გადაწყვიტონ ქალების დაქირავების საკითხი⁷.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მშრომელი ქალების ჯანმრთელობის დაცვას და შრომის დაცვის წესებში ორსულთა უფლებების დაცვას. ამრიგად, წესები ითვალისწინებს, რომ ორსულობისა და ახალშობილის მოვლის დროს ქალებმა უნდა შეინარჩუნონ ძირითადი ხელფასი და შრომითი ხელშეკრულება არ შეიძლება გაუქმდეს. დამსაქმებელი ვალდებულია დასაქმებულს უზრუნველყოს დეკრეტული შვებულება 90 დღით, მათ შორის მშობიარობამდე 15 დღით ადრე, ხოლო მას შემდეგ რაც ქალი სამსახურში დაბრუნდება, სამუშაო დღის განმავლობაში 30 წუთიანი შესვენება დაუთმოს ბავშვის კვებას.^[3.37]

გენდერული დისკრიმინაციის თანამედროვე გამოვლინებები

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ქალთა სრულიად ჩინეთის ფედერაციამ გამოავლინა გენდერული დისკრიმინაციის მრავალი ფაქტი: ქალებს პირველებს ათავისუფლებენ სამსახურიდან; საწარმოები აწესებენ შეზღუდვებს ქალების დასაქმებაზე; დეკრეტული შვებულების დროს ქალებს უმცირებენ ხელფასს; ქალები ჩვეულებრივ იღებენ უფრო დაბალ ხელფასს იმავე სამუშაოსთვის, ვიდრე მათი მამაკაცი კოლეგები; ზოგიერთ საწარმოში, ქალებს აიძულებენ ხელი მოაწერონ ვალდებულებას, არ დაქორწინდნენ ან არ გააჩინონ შვილი 3-5 წლის განმავლობაში.

უახლესი ოფიციალური მონაცემები მიუთითებს იმაზე, რომ ჩინეთში არის ფირმების 17,5% (როგორც სახელმწიფო, ასევე არასახელმწიფო) ტოპ მენეჯერებით ქალი (ჩვეულებრივ HR და CFO როლებში). ჩინეთის ჩამოთვლილი კომპანიების საბჭოს დირექტორთა მხოლოდ 9.7% არის ქალი (მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი,

2020). უფრო მეტიც, კორელაცია TEA-სა და ქალთა ბიზნესის დამკვიდრებულ მაჩვენებლებს შორის კონტინენტურ ჩინეთში შესამჩნევად დაბალია და ადგილი აქვს 11%-ს 3%-ის წინააღმდეგ (Mastercard Index of Women Entrepreneurs 2019). გლობალური გენდერული ანგარიში ჩინეთს სიის ბოლოში აყენებს - 2020 წელს ჩინეთი 106-ე ადგილზეა კვლევაში შეტანილ 153 ქვეყანას შორის (მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, 2020). [2.41] შედარებისთვის, 2008 წელს ჩინეთმა 57-ე ადგილი დაიკავა 130 განხილულ ეკონომიკას შორის (მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, 2008). ეს შეუსაბამობები (Tan, 2008) ვარაუდობს, რომ ქალის მეწარმეობის თემა ჩინეთში იმსახურებს უფრო ღრმა ხედვას.[3.29]

ჩინეთში 685 მილიონზე მეტი ქალი ცხოვრობს (უფრო მეტი, ვიდრე პლანეტის ნებისმიერ სხვა ქვეყანაში). ასეთი მაღალი მაჩვენებლებით, უნდა ველოდოთ, რომ ქალები მნიშვნელოვან როლს შეასრულებენ ბიზნესში.

ჩინეთის ისტორიულმა ეკონომიკურმა ზრდამ ბოლო 20 წლის განმავლობაში დადებითი გავლენა იქონია ქალთა მეწარმეობაზე: [ყველა ბიზნესის 25,6 პროცენტი](#) ჩინეთში ქალებს ეკუთვნის.

ჩინელი ქალები ლიდერობენ მსოფლიოს ბიზნეს ლიდერის პოზიციებში, სჯობნიან ჰონგ კონგს და სხვა მოწინავე ეკონომიკებს, როგორცაა შეერთებული შტატები და გაერთიანებული სამეფო, აჩვენა საბუღალტრო ფირმა Grant Thornton International-ის გამოკითხვამ.[4.54]

გამოკითხვამ, რომელიც ჩატარდა ნოემბრიდან იანვრამდე, აჩვენა, რომ ჩინური კომპანიების აღმასრულებელი და ფინანსური თანამდებობების ნახევარი (51 პროცენტი) ქალებს ეკავათ, რაც 25 პროცენტზე მეტით აღემატება გასული წლის მაჩვენებელს.

ჩინელი ქალები გადამწყვეტ როლს თამაშობენ Red Dragon-ის ბიზნესში, იკავებენ მნიშვნელოვან პოზიციებს და ქმნიან ახალი ონლაინ ბიზნესის ტალღას. მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთის მთავრობა ბევრს აკეთებს თავისი ქალი სამუშაო ძალის დასახმარებლად, მას ჯერ კიდევ ბევრი აქვს გასაკეთებელი და პოლიტიკა, რომელსაც ის აირჩევს მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში, გადამწყვეტი იქნება იმის დასადგენად, თუ რამდენად შორს შეიძლება წავიდნენ ჩინელი ქალები.[5.3]

ჩინეთში მომუშავე ქალების რაოდენობა უკვე აღემატება მამაკაცების წილს ბევრ განვითარებულ ქვეყანაში.

დღესდღეობით სულ უფრო და უფრო ხშირად ხდება ქალების დაწინაურება საკმაოდ მაღალ თანამდებობებზე დიდ ჩინურ ორგანიზაციებში, განსაკუთრებით დიდ და თანამედროვე ქალაქებში. ჩინელი ქალები ძალიან წარმატებულები არიან განათლებაში და აქტიურად იკეთებენ თავიანთ კარიერას.

მაგრამ ეს ყველაფერი არ არის. ჩინელი ქალები უფრო მეტ ონლაინ ბიზნესს იწყებენ, ვიდრე ჩინელი მამაკაცები და შეადგენენ მსოფლიოში წარმატებულ ქალ მეწარმეთა 64%-ს. ეს ნიშნავს, რომ ჩინეთი მართლაც ერთ-ერთი საუკეთესო ადგილია მსოფლიოში მეწარმე ქალებისთვის.

ჩინეთი პლანეტის ერთ-ერთი ყველაზე ტექნოლოგიური ქვეყანაა და დიდი კომპანიები ეხმარებიან ქალებს STEM ინდუსტრიაში ფეხის მოკიდებაში, რასაც მოწმობს Samsung STEM Girls პროგრამა, რომელიც ჩინეთის ქალთა განვითარების ფონდმა დაარსა.[6.25]

ქალები ხელმძღვანელობენ ჩინეთის ტექნოლოგიური სტარტაპების ნახევარზე მეტს, თუმცა, ჩინეთს აქვს უფრო შემზღუდავი ინტერნეტ პოლიტიკა, ვიდრე ბევრ განვითარებულ ქვეყანას, რაც ართულებს ჩინელი ქალებისთვის საერთაშორისო ბიზნესის დაწყებას. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩინეთში ქალები ვერ ქმნიან გლობალურ კომპანიას. მაგალითად, თუ ჩინელ ქალს სურს შექმნას ონლაინ კომპანია, ჩინეთში არის მრავალი პროვაიდერი და სხვა საშუალებები, რომელიც მათ საერთაშორისო ბაზრებზე წვდომის საშუალებას აძლევს.

ჩინეთში მეწარმეების 70% ქალია. ამ მხრივ ჩინეთი გამონაკლისია მსოფლიოში მისი ქალბატონების სიმრავლის გამო ბიზნესში.[7.9]

რაც კიდევ უფრო გასაოცარს ხდის ყველა ამ მონაცემს, არის ის ფაქტი, რომ ჩინეთში ქალები მთლიანი მოსახლეობის მხოლოდ 45 პროცენტს შეადგენენ. მსოფლიოში მიმდინარე ფინანსური და მრავალი კრიზისების და COVID-19 პანდემიის მიუხედავად, რეკორდული 456 ჩინელი მოხვდა მსოფლიოს მილიარდერების 2021 წლის სიაში, რომელიც გამოაქვეყნა ჟურნალმა Forbes-მა. [8]

განსაკუთრებით საინტერესოა, ამბობს პროფესორი მინგ-ჯერ ჩენი, წამყვანი ექსპერტი ბიზნეს სტრატეგიისა და აღმოსავლეთ-დასავლეთის კონკურენციის

საკითხებში, არის ჩინელი მილიარდერების რაოდენობა, რომელიც ერთ წელიწადში დაემატა ამ სიას.

მსოფლიოს უმდიდრესი ქალების უმეტესობამ, როგორცაა ალის უოლტონი და ფრანსუაზა ბეტანკურ-მაიერსი, მემკვიდრეობით მიიღეს თავიანთი ქონება. 2095 მილიარდერის სიაში შემავალი 234 ქალიდან მხოლოდ 67 ითვლება თვით რეალიზებულად“, რასაც Forbes-ი აღწერს, როგორც მათ, ვინც თვითონ შექმნა კომპანია ან დამოუკიდებლად გამდიდრდა. მათი თითქმის ნახევარი ჩინეთიდან არის: მაგალითად, ინდოეთში, მხოლოდ ორი ქალია, რომლებმაც მილიარდობით დოლარი დამოუკიდებლად იშოვეს. [9]

ჩინეთის მილიარდერი მეწარმეებისთვის რთული წლის მიუხედავად, Forbes-ის 2021 წლის სიაში შეყვანილი ჩინეთის 100 უმდიდრესი ადამიანის ერთობლივი ქონება შარშანდელთან შედარებით 1,33 ტრილიონი დოლარიდან 1,48 ტრილიონ დოლარამდე გაიზარდა.

ტოპ 100-ში მოსახვედრად საჭირო მინიმალური წმინდა ღირებულება 5,74 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა 5,03 მილიარდი დოლარიდან ერთი წლის წინ.[10]

2021 წლის ფორბსის რეიტინგში ყველაზე მდიდარი ქალი ჩინეთში იან ჰუიანია, რომლის ქონება 32.9 მლრდ დოლარია და ჩინეთის მილიარდერთა სიაში 11 ადგილზე იმყოფება. იან ჰუიანი მეშვიდე უმდიდრესი ქალია მსოფლიოში. აზიაში კი ყველაზე მდიდარი ქალია.

გასულ წელს, მან 4 დღეში \$2 მილიარდი დოლარი გამოიმუშავა.

ჩინელ მილიარდერთა ასეულში 10 ქალი ბიზნესმენია, მათი ჯამური ქონება 100 მილიარდ დოლარს აღემატება.[11]

აღსანიშნავია, რომ ჩინეთის მდიდარ ქალთა ასეულში გასულ წელს 40 ახალი სახე შევიდა. მდიდარი, ძლიერი ქალები იშვიათობა არაა ჩინეთში. Hurun Report-ის მიხედვით, რომელიც ყოველწლიურად აქვეყნებს ჩინეთის უმდიდრესი ადამიანების რეიტინგს, 78 თვითრეალიზებული მილიარდერიდან 49 ამ ქვეყანაში ცხოვრობს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დღეისათვის ჩინეთში 85 მილიარდელი ქალი ცხოვრობს.[12]

თუმცა, ჯერ კიდევ მცირეა ქვეყანაში ქალ ბიზნეს ლიდერთა რაოდენობა.რომლებიც ხელმძღვანელობენ სხვადასხვა კომპანიებს.

მილიარდერთა სიაში მყოფი ქალების საშუალო ასაკი 50 წელია, ნახევარზე მეტს აქვს მაგისტრის ხარისხი ან უმაღლესი განათლება(მათ შორის MBA), ხოლო მეოთხედს საზღვარგარეთ აქვს განათლება მიღებული. უმეტესობა პეკინსა და შანხაიში ცხოვრობს.აქვე მინდა აღვნიშნო,რომ ამ ქალაქებში ცხოვრობს შესაბამისად ყველაზე მეტი 145 და 130 მილიარდერი.[13]

ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ოთხი ჩინელი ბიზნესმენი ქალი მოხვდა ჟურნალ Forbes-ის ბოლო რეიტინგში მსოფლიოში ყველაზე გავლენიანი ქალების სიაში. ეს ქალები ძირითადად ბიზნესმენები არიან: პირველი ლედის გარდა,.Zhang Xin, SOHO China-ს თანადამფუძნებელი და აღმასრულებელი დირექტორი; Yang Mian Mian, Haier Group-ის პრეზიდენტი; ევა ჩენგი, Amway-ის (დიდი ჩინეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია) აღმასრულებელი დირექტორი და ჯინ ულრიხი, JP Morgan Chase-ის (China Equities) თავმჯდომარე და მმართველი დირექტორი.

ჩინეთში ცხოვრობს მსოფლიოში ყველაზე მდიდარი ქალი მილიარდერების ორი მესამედი. თუმცა ქალები კვლავ ჩამორჩებიან პოლიტიკურ ასპარეზზე, განსაკუთრებით ჩინეთის პოლიტიკური სისტემის უმაღლეს დონეზე.[14] მხოლოდ ერთი ქალი იკავებს პოსტს 25-კაციან პოლიტიკურში, პარტიის უმაღლეს მმართველ ორგანოში.

ცოტა უკეთესი მდგომარეობაა ჩინეთის დიპლომატიურ სამსახურში.ოფიციალური დოკუმენტის მიხედვით, 2015 წელს ჩინელ დიპლომატებს შორის ქალების წილი 30,7 პროცენტი იყო, ანუ 1695 ადამიანი, მათ შორის 12 ელჩი, 19 გენერალური კონსული და 132 მრჩეველი.დღეისათვის,უფრო მეტი ქალი ელჩი ჰყავს ჩინეთს სხვადასხვა ქვეყანაში,მ.შ. პირველი ქალი ელჩი საქართველოში.[15]

აღსანიშნავია, რომ ქალთა ორგანიზაციები ჩინეთში აქტიურად მონაწილეობენ გაეროს აქტივობებში გენდერული თანასწორობისა და ქალთა განვითარების შესახებ მნიშვნელოვანი კონვენციების შემუშავების მიზნით.

ჩინეთის ისტორიის დიდი ნაწილისთვის მამაკაცი ოჯახის და მთლიანად საზოგადოების ბირთვად ითვლებოდა. ქალის როლები ძირითადად დაკავშირებული იყო: ქალიშვილები, დები, ცოლები, დედები და ა.შ. ყველა ამ როლში ქალებს მკაცრად მოეთხოვებოდათ შეესაბამებოდნენ მამაკაცის სურვილებსა და საჭიროებებს. დღეისათვის, თანამედროვე ჩინეთში, ისევე როგორც დანარჩენ მსოფლიოში, რეპრესიების ძველი მეთოდები, ძირითადად აღმოფხვრილია.

თუმცა, კომუნიზმის ათწლეულების შემდეგ, რასაც მოჰყვა ეკონომიკური ლიბერალიზმი, ჩინეთის საზოგადოება, გარკვეული გაგებით, ძალიან მიჯაჭვული რჩება თავის სოციალურ და ოჯახურ ტრადიციებთან.

ჩინური კულტურა ყოველთვის მეტ მნიშვნელობას ანიჭებდა მამრობითი სქესის წარმომადგენლებს. მთელი ისტორიის მანძილზე, როდესაც სოციალურ-ეკონომიკური გარემოებები ჩინურ ოჯახებს აიძულებდა შეეზღუდათ ბავშვების რაოდენობა, ვაჟებს ანიჭებდნენ უპირატესობას ქალიშვილებზე, რამაც გამოიწვია ახალგაზრდა ქალების დეფიციტი.

ერთი შვილის პოლიტიკის (ჩინეთში 1979 წელს შემოღებული) შედეგად, ჩინეთი ამჟამად ერთ-ერთი იშვიათი ქვეყანაა მსოფლიოში, სადაც [მეტი მამაკაცია ვიდრე ქალი](#). ოფიციალური შეფასებით 2019 წ. [20-დან 24 წლამდე საქორწინო ასაკის ახალგაზრდებში მამაკაცების სიჭარბე](#) იყო თითქმის 115-დან 100-მდე. ეს ახალგაზრდა ჩინელი ქალების დეფიციტს ბუნებრივად ახლავს მრავალი სოციალური, დემოგრაფიული და ეკონომიკური პრობლემა, მათ შორის პატარძლების შავი ბაზარი და მეუღლეებს შორის ასაკობრივი სხვაობა.[16] მეორეს მხრივ, ჩინეთი ერთ-ერთი პირველი ქვეყანაა მსოფლიოში, რომელმაც ქალების ემანსიპაციისა და გენდერული თანასწორობისთვის ბრძოლა პოლიტიკურ დღის წესრიგში დააყენა - პირველი ფემინისტური მოძრაობები ჩინეთში მეცხრამეტე საუკუნის შუა ხანებით თარიღდება. უკვე 1950-იან წლებში დაიწყო კონკრეტული ქმედებები ოჯახის გარეთ ქალების მუშაობის და მეუღლეთა თანასწორობის სასარგებლოდ. ბოლო ათწლეულების განმავლობაში ჩინელმა ქალებმა უდავოდ მოიპოვეს მეტი ეკონომიკური დამოუკიდებლობა, უმაღლესი განათლება და პროფესიული კვალიფიკაცია. ზოგი მეწარმე ქალთა ელიტაზეც კი

საუბრობს, რომელთა სოციალური წარმატება ჩინელების ერთ-ერთ სიმბოლოდ იქცა.ეკონომიკური ბუმის პერიოდში.[17]

2019 წელს ზრდასრულთა წილი [ჩინეთის მოსახლეობაში,ვინც ჩართულია ბიზნესში დამწყებ საქმიანობაში](#) საკმაოდ ახლოს იყო ქალებსა და მამაკაცებში - შესაბამისად 7,9 და 9,4 პროცენტი.

მთლიანობაში ჩინელი ქალების დასაქმებამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა ბოლო ათწლეულების განმავლობაში. მონაცემები აჩვენებს, რომ ქალთა უმუშევრობის დონე უფრო დაბალია, ვიდრე მამაკაცების და დაბალია ვიდრე [უმუშევრობის დონე ქალებს შორის აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის სხვა ქვეყნებთან შედარებით.](#) [18]

შრომის ბაზარზე და პოლიტიკაში ქალთა გაძლიერების გარკვეულ გაუმჯობესებასთან ერთად, ბოლო წლებში ექვეყნებ დადგა ჩინურ საზოგადოებაში სტერეოტიპული გენდერული როლების ღრმად დამკვიდრებული ინტერნალიზება. გამოკითხვამ აჩვენა რომ [ქალებში ქალურობასთან ყველაზე მტკიცედ დაკავშირებული თვისებები](#) იყო „დამოუკიდებლობა“, „დედობა“, „აქტიურობა“ და „ენერჯია“. უფრო მეტიც,[გენდერული თანასწორობა პირადად მნიშვნელოვანი იყო ჩინელი ქალების 86 პროცენტისთვის](#) 2018 წლის მდგომარეობით ჩინელი ქალების ადგილი საზოგადოებასა და ოჯახში ამჟამად დიდ ცვლილებებს განიცდის. ბევრი ქალი და გოგონა კვლავ განიცდის დისკრიმინაციას, უთანასწორობას და ძალადობასაც კი, განსაკუთრებით სოფლად. თუმცა, ქალთა სტატუსის ევოლუცია ჩინეთში, გარკვეულწილად სტაბილურია და სწორი მიმართულებით მიდის.[19]

დასკვნა

დასკვნის სახით, შეიძლება აღინიშნოს,რომ ქალთა მეწარმეობის კიდევ უფრო განვითარებას შეუძლია დიდი გავლენა იქონიოს ქვეყნის ეკონომიკაზე. კვლევა აშკარად მიუთითებს,რომ თუ დღეს არსებული ძირითადი პრობლემები დროზე გამოსწორდება, ბიზნესში დასაქმებულ ქალებს შესაძლებლობა მიეცემათ მაქსიმალურად გამოავლინონ თავიანთი თავი და კიდევ უფრო მეტი წვლილი შეიტანონ ქვეყნის განვითარებაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Brescoll, V. L., (2016). Leading with their hearts? How gender stereotypes of emotion lead to biased evaluations of female leaders. *The Leadership Quarterly*, 27(3)
2. Golley, J., Zhou, Y. and Wang, M., (2019). Inequality of Opportunity in China's Labor Earnings: The Gender Dimension. *China & World Economy*, 27(1)
3. Yang, V., (2017, November 9). Five ways China's women are closing the gender gap.

Women in business and management: the business case for change / International Labour Office. - Geneva:ILO, 2019.

4. Women in business and management: gaining momentum in Asia and the Pacific / ILO Regional Office for Asia and the Pacific; ILO Bureau for Employers' activities (ACT/EMP). Bangkok: ILO, 2015
5. Women in business and management: the business case for change / International Labour Office. - Geneva:ILO, 2019.
6. Women in business and management: gaining momentum / International Labour Office. Geneva: ILO, 2015
7. Yan (Anthea) Zhang: "Lessons for executive women from Chinese boardrooms" in Forbes.com, (10 Sep. 2010) (2,100 publically listed companies in 2010).
8. UNwomen -www.unwomen.org www.un.org/womenwatch
9. UN Global compact – Women's Empowerment Principles-
www.WEPrinciples.org
10. ILO Labour Statistics -<http://laborsta.ilo.org>
11. Resource site on ILO's women entrepreneurship activities, ILO Strategy on Promoting Women's Entrepreneurship Development- www.ilo.org/wed
12. Women's Enterprise Development (WED) programme tools -
http://www.ilo.org/gb/WCMS_090565/lang--en/index.htm
13. www.ilo.org/empent/Publications/WCMS_117998/lang--en/index.htm
14. Asian Women in Business-www.awib.org
15. Asia Pacific Business Council for Women Inc- www.asiapacificbcw.org

16. <http://www.unescap.org/sdd/>
17. <http://documents.worldbank.org/curated/en/2012/01/16902857/toward-gender-equality-east-asia-pacific-companion-world-development-report>
18. Women in Leadership Asia Forum -<http://www.wilforumasia.com>
19. Resources for women in business-
<http://www.quantumleapsinc.org/resources/east-asia-and-pacific-websites.html>

Abstract

Business development is critical to the economic and social prosperity of any country. In this context, the promotion of women as entrepreneurs is very important because they are playing an increasingly prominent role in business in China. The article discusses the features of women's entrepreneurship in China. It also describes the trends and obstacles faced by women in China, and considers the differences in companies run by women and men. The article identifies and collects the most effective strategies for developing women's businesses in China.

Keywords:; China, Women, Entrepreneurs, women's businesses in China; Women managers,.

აბსტრაქტი

ბუნებრივ სამყაროში ადამიანის არსებობის მახასიათებლები მუდმივ ცვლილებებს განიცდის. ოჯახი, როგორც სიცოცხლის ბუნებრივი მოცემულობა, როგორც ადამიანთა კულტურული ყოფის გამოხატულება, განვითარების გარკვეულ საფეხურებს გადის და მყარ სოციალურ ინსტიტუტად ყალიბდება.

დღესდღეობით, ოჯახის ფენომენის შესასწავლად ფართომასშტაბიანი და მრავალმხრივი კვლევები მიმდინარეობს. ამის საჭიროებას ქმნის საზოგადოებებს შორის ეპოქალურ-ისტორიული, ტერიტორიული განსხვავებულობები, სოციალური ცხოვრების შეცვლილი წესები, ეკონომიკურ-პოლიტიკური ფაქტორები, კულტურული, განსაკუთრებით მსოფლმხედველობრივ-რელიგიური ტრადიციების განსხვავებული ფორმები და ა.შ. მათი დარეგულირება ადამიანთა კულტურული თანაარსებობისა და განვითარების მთავარი წინაპირობაა.

ჩვენ ვცხოვრობთ XXI საუკუნეში - გლობალიზაციის ეპოქაში, რომელიც რამდენადაც საზოგადოებრივი ცხოვრების ფართო და მრავალმხრივი განვითარების შესაძლებლობებს იძლევა, იმდენად დიდია მისი გავლენები და რისკები როგორც ინდივიდის პირად ცხოვრებაზე, ასევე, ოჯახურ ურთიერთობებზე. სამართლიანად წერს მარტინ ოლბროუ: „გლობალიზაციის დროს საქმე მხოლოდ ტექნიკურ ან ეკონომიკურ მხარეებში როდია. ...არის რაღაც გაცილებით მნიშვნელოვანი. ლაპარაკია იმაზე, თუ მე და შენ როგორ ვაშენებთ ჩვენ ცხოვრებას“.

თანამედროვე ნუკლეანური ოჯახის კულტურული ფორმა ქალსა და მამაკაცს შორის, შვილებთან ერთად, თანაცხოვრება. ისაა სტანდარტული, მყარი სახელმწიფოებრივი უჯრედი, როგორც მისი არსებობის წინაპირობა და გარანტი. მაგრამ იცვლება რეალობა, მოთხოვნილებები, ადამიანური თავისუფლების ხარისხი და იცვლება ოჯახის ინსტიტუტის სპეციფიკა, შესაბამისად, იკვეთება განსხვავებული მიდგომები, შეფასებები. როგორც ირკვევა, ოჯახური ცხოვრების განმაპირობებელი ობიექტური ფაქტორების ბალანსი ოჯახის ინსტიტუტის

გამლიერება-განვითარების აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა. თანამედროვე ოჯახის სიმყარის მაჩვენებელი, ობიექტურთან ერთად, სუბიექტური ფაქტორების გააქტიურებაა. ოჯახის მომავალზე მათი გავლენები დიდია.

ოჯახი ურთიერთობათა გრძელ ჯაჭვს მოიცავს, ის მუდმივ დაბალანსებას საჭიროებს; ის არის ხიდი წინა და მომავალ თაობებს შორის, გაჟღენთილი და გამდიდრებული ჩვეულებებით, ტრადიციებით, ინოვაციებით, სულიერი მიდრეკილებებითა და მყარი, გარკვეული შეხედულებებით. ამ ფონზე ნებისმიერი ცვლილება ბუნებრივად მოჩანს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ განსხვავებულ ქვეყნებში, ხალხებში, საზოგადოებებში ოჯახური ნიმუშების ცვლილება განსხვავებული ტემპით, ტენდენციებითა და წინააღმდეგობებით მიმდინარეობს. ამას თავისი მიზეზები აქვს.

საკვანძო სიტყვები: ოჯახი, პირადი ცხოვრება, ტრადიციები, ცვლილებები, ოჯახის მომავალი.

ცვლილებები თანამედროვე ოჯახში

შესავალი

ჩვენ ვცხოვრობთ XXI საუკუნეში - გლობალიზაციის ეპოქაში, რომელიც რამდენადაც საზოგადოებრივი ცხოვრების ფართო და მრავალმხრივი განვითარების შესაძლებლობებს იძლევა, იმდენად დიდია მისი გავლენები და რისკები როგორც ინდივიდის პირად ცხოვრებაზე, ასევე, ოჯახურ ურთიერთობებზე. სამართლიანად წერს მარტინ ოლბროუ: „გლობალიზაციის დროს საქმე მხოლოდ ტექნიკურ ან ეკონომიკურ მხარეებში როდია. ...არის რაღაც გაცილებით მნიშვნელოვანი. ლაპარაკია იმაზე, თუ მე და შენ როგორ ვაშენებთ ჩვენ ცხოვრებას“. [1.135].

დღესდღეობით, ოჯახის ფენომენის შესასწავლად ფართომასშტაბიანი და მრავალმხრივი კვლევები მიმდინარეობს. ამის საჭიროებას ქმნის საზოგადოებებს შორის ეპოქალურ-ისტორიული, ტერიტორიული განსხვავებულობები, სოციალური ცხოვრების შეცვლილი წესები, ეკონომიკურ-პოლიტიკური ფაქტორები, კულტურული, განსაკუთრებით მსოფლმხედველობრივ-რელიგიური ტრადიციების განსხვავებული ფორმები და ა.შ. მათი დარეგულირება ადამიანთა კულტურული თანაარსებობისა და განვითარების მთავარი წინაპირობაა.

ოჯახის ცვლილებები და გენდრული ასპექტი

ოჯახის ფენომენის ცვლილებებთან დაკავშირებით, ძირითადად, ორი რადიკალურად განსხვავებული შეხედულება არსებობს. პირველი პესიმისტურია, მეორე - ლიბერალური და შესაბამისად, ოპტიმისტური. ოჯახური ტრადიციების გულმხურვალე დამცველებს მიაჩნიათ, რომ **“ოჯახი გადაშენების გზაზე დგას!”**, ამიტომ ამ უმთავრეს სახელმწიფოებრივ ინსტიტუტს, რომელიც ამაღროულად ეროვნული გენოფონდის მთავარი არსენალია, გადარჩენა სჭირდება. „გადაშენების“ არგუმენტად ასახელებენ რამდენიმე ფაქტორს, კერძოდ: **სექსუალობის მიმართ ღია და ლიბერალურ დამოკიდებულებას, განქორწინების მზარდ მაჩვენებლებსა და ტრადიციული ოჯახური ვალდებულებების ხარჯზე, პირადი ბედნიერების ძიების ტენდენციას.** ოჯახური ტრადიციების მომხრეები ითხოვენ ოჯახური ცხოვრების მორალური პრინციპების აღდგენას, რაც მათი აზრით სტაბილური და მოწესრიგებული ოჯახის მომავლის მყარი გარანტიაა, „ვიდრე ურთიერთობათა ის ჩახლართული ქსელი, რომელშიც დღევანდელ ადამიანთა უმრავლესობა აღმოჩნდა“.

„ტარდიციონალისტებს“ მოწინააღმდეგეებიც ჰყავს. უნდა ითქვას, რომ ისინი, გარკვეულწილად, ჯანსაღი პოზიციიდან აფასებენ ოჯახური ცვლილებების სირთულეებს. კერძოდ, მათ მიაჩნიათ, რომ ოჯახი „გადაშენებას“ კი არა, სახეცვლილებას განიცდის; ის გვევლინება სოციალური ცვლილებების უწყვეტ პროცესის ერთ-ერთ მთავარ „მონაწილედ“, ამდენად ცვლილებები ბუნებრივია და მის მომავალ ბედზე ზრუნვა სულაც არ საჭიროებს განგაშის ატეხვას. აქედან გამომდინარე, ჯანსაღი ოჯახის მომავლის საილუსტრაციოდ საჭიროა არა უიმედო წუხილი ან უშედეგო, თავდაუზოგავი ბრძოლა წარსული სიკეთეების დასაბრუნებლად, არამედ მისი ფორმების გამრავალფეროვნება და მათი განვითარებისათვის ხელშეწყობა. ვინაიდან, ოჯახის ნიმუშების ცვლილების საკითხი პიროვნების თავისუფლების საკითხის პირდაპირპროპორციულია. მით უმეტეს, იმის გათვალისწინებით, რომ საზოგადოებრივი განვითარების თანამედროვე ეტაპზე პირადი დამოუკიდებლობისათვის ეკონომიკური საფუძვლები ამის შესაძლებლობებს იძლევა.

რა სახის ცვლილებები ვლინდება ოჯახის ინსტიტუტის მიმართ ან რას ეფუძნება ის?

ამერიკელი სოციოლოგის უილიამ ჯ. გუდის* (საუკუნის დასაწყისში) კვლევების საფუძველზე (მსოფლიო მასშტაბით) იკვეთება შემდეგი ცვლილებები:

1. გაფართოებული ოჯახისა და სხვა ნათესაური ჯგუფების გავლენების შემცირება;
2. მეუღლის საკუთარი სურვილით შერჩევის ზოგადი ტენდენცია;
3. ქალთა უფლებების სულ უფრო ფართოდ აღიარება, რაც გამოიხატება მათი გაზრდილი როლით ქორწინების ინიციატივაში და ოჯახში გადაწყვეტილების მიღებაში;
4. ნათესაური ქორწინებების შემცირება;
5. ჯ.გუდი (1917-2003) ავტორი ნაშომებისა: „განქორწინების შემდეგ“, „თანამედროვე საზოგადოების დინამიკა“, „განქორწინებაში მყოფი ქალები“ და სხვა.
5. შეზღუდულ საზოგადოებებში სექსუალური თავისუფლების ხარისხის მომატება;
6. ბავშვთა უფლებების გაფართოების ზოგადი ტენდენცია.

კვლევები ადასტურებს, რომ (სოციოლოგიური კვლევის მაჩვენებლები ვრცელდება დასავლურ განვითარებულ საზოგადოებებზე), თანამედროვეობაში, ოჯახის ინსტიტუტის სიმყარის საფუძველი წყვილებს შორის რომანტიული, სიყვარულზე დაშენებული ურთიერთობაა.

მაგრამ „რა იქნება ამ პროცესების შედეგი?“, [2.183] სამართლიან კითხვას სვამს ინგლისელი სოციოლოგი, ენტონი გიდენსი. მეცნიერის აზრით, საქმე იმაშია, რომ პიროვნული თავისუფლების ზრდა, ერთი მხრივ, ხელს უწყობს ოჯახური ურთიერთობების სიმყარეს, მაგრამ ის, ამავე დროს, შესაძლებელია ოჯახის დაშლის პირობაც გახდეს, რაც, მისი აზრით, დიდ შფოთვებს არ უნდა იწვევდეს. საკუთარი თვალსაზრისის გასამყარებლად მეცნიერს რამოდენიმე არგუმენტი აქვს. ჯერ ერთი, „ქალმა ოჯახური ყოფიდან თავი დიდი ძალისხმევით შედეგად დაიხსნა და ის ძველებურ როლს არაფრით აღარ შეეგუება“, და მეორეც: „ჩვენ ინდივიდუალური თავისუფლების მოპოვებას უნდა ვეცადოთ. იმისთვის, რომ შევძლოთ სტაბილური

და ხანგრძლივი ურთიერთობების ფორმირება, ჩვენი პირადი ცხოვრების დაფასება უნდა ვისწავლოთ“³[2.183] წერს მკვლევარი.

პიროვნული თავისუფლების საკითხს მეორე მხარეც აქვს. წარსულმა თუ თანამედროვე ისტორიამ ცხადად აჩვენა, რომ „ადამიანის თავისუფლება ამოუხსნელ ამოცანად რჩება“, რომ „კაცობრიობის აზროვნებამ მას ვერასოდეს გაართვა თავი“⁴[4.279] ამდენად თავისუფლების გზის გავლა, ნებისმიერი მიმართულებით, მათ შორის ოჯახის ინსტიტუტის სიმყარის შენარჩუნების პოზიციიდან, გარკვეულ რისკებს ატარებს. ამ რისკების გათვალისწინებით, ქართველი ფილოსოფოსი, ზურაბ კაკაბაძე თავისუფლებასთან „საერთო ენის“ გამონახვას გვირჩევს. “თავისუფლებასთან „საერთო ენის“ გამონახვა კი ნიშნავს ადამიანის თავისუფლება მისი დაკარგვის გარეშე ობიექტურ ყოფიერებას დავუკავშიროთ. სწორედ ეს არის თანამედროვე ფილოსოფიის ყველაზე აქტუალური და, ამასთან ერთად, ყველაზე რთული ამოცანა“⁵[2.8]წერს იგი.

საკითხი, თუ რამდენად რთულია “თავისუფლებასთან „საერთო ენის“ გამონახვა, ფაქტები მეტყველებენ. ირკვევა, რომ დღევანდელ ქორწინებათა 60 პროცენტი, ათი წლის შემდეგ, სავარაუდოდ, განქორწინებით დასრულდება. გაერთიანებულ სამეფოში 1976 წელს ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენეს, რომ იმ დროს ქალების მხოლოდ 1 პროცენტს არ სურდა დედობა. ხოლო მოგვიანებით, ეს ციფრი საგრძნობლად გაიზარდა; 1960-დან 1990 წლამდე დაბადებული ქალების 20 პროცენტი, საკუთარი სურვილით, უშვილო იქნება. ცხადია ისიც, რომ ინდივიდის პიროვნული თავისუფლება ორიენტირებულია პირად ცხოვრებაზე და კარიერულ წინსვლაზე. წარმოდგენილი თუ სხვა მსგავსი ფაქტი ადასტურებს, რომ შობადობის მაჩვენებელი თითქმის ყველა სხვა დასავლურ ქვეყანაში ეცემა.

დასკვნა

ოჯახის ინსტიტუტის ცვლილება მიმდინარეობს საზოგადოებრივი ცხოვრების ცვლილებებთან შესაბამისობით. ცვლილებები ვლინდება, ერთი მხრივ, საზოგადოების პოლიტიკურ-ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების დონეზე, ხოლო მეორე მხრივ, ადამიანთა პირადი ცხოვრების წესისა და სტილის, პიროვნული თავისუფლების ზრდის ხარისხით. ეს ყველაფერი საბოლოოდ იწვევს ოჯახის ნიმუშების ცვლილებებს. გამოდის, რომ ოჯახის

გრძელვადიანი მომავლის საკითხი დამოკიდებულია ისტორიული ცვლილებების განვითარების გზებზე და ტენდენციებზე. ხოლო ამ გზაზე პროცესები რამდენადაც პროგნოზირებადია, იმდენად გაურკვეველ მომენტებს შეიცავს. ერთი რამ ცხადია: „ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ამჟამად გზაჯვარედინზე ვდგავართ“. დარჩენილ კითხვებს მომავალი ისტორია უპასუხებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბეკი ულრიხ. რა არის გლობალიზაცია? ელფის გამომცემლობა. 2003.
2. გიდენსი ე. სოციოლოგია. თბილისი. 2011.
3. კაკაბაძე ზ. ადამიანი, როგორც ფილოსოფიური პრობლემა. გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1987.
4. საფრანსკი რიუდიგერ. ბოროტება ანუ თავისუფლების დრამა. ილის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2015.
5. გენდერი - სოციალური და პოლიტიკური სწავლებანი. თამარ კიკნაძე, ნათელა დონაძე. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი , 2006.
6. ფრეიზერ ელიზაბეტ. გენდერი, ძალადობა და პოლიტიკა. მე-4 ყოველწლიური კონფერენცია გენდერის კვლევაში. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 6 დეკემბერი, 2012 წ. წყარო: http://css.ge/wp-content/uploads/2019/07/frazer_gender_geo.pdf
7. ტობიას გომბერტი და სხვები. სოციალური დემოკრატიის კურსი. სოციალური დემოკრატიის საფუძვლები. წყარო: <http://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/08733.pdf>

Res u m e

The family is a solid state institution. The cultural form of the modern nuclear family is the coexistence of a woman and a man, with their children.

Changes in family patterns are linked, on the one hand, to changes in public life and, on the other hand, to the development of personal freedom. The long-term future of the family is somewhat uncertain.

ავთანდილ სონღულაშვილი
საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის პროფესორი

აბსტრაქტი

რელიგია განსაზღვრავს ადამიანის ადგილსა და დანიშნულებას სამყაროში, თუ როგორ და რისთვის უნდა იცხოვროს მან. ეს კი მოითხოვს გარკვეული ზნეობრივი ნორმების დაწესებას, რომელთა დაცვა და შესრულება ადამიანს მიიყვანს სასურველ მიზნამდე. ამისთვის რელიგია აყალიბებს მცნებებს, რომლებიც შეიცავენ მოთხოვნებს – თუ რა უნდა აკეთოს და რა არ უნდა აკეთოს ადამიანმა. ძველი აღთქმიდან ცნობილია ათი მცნება. მათგან სანიმუშოდ გამოვყოთ რამდენიმე: „არა კაც-ჰკლა“, „არა იქურდო“, არა ცილი სწამო“ და „არა იმრუმო“. ეს შეგონებები საფუძვლად დაედო არა მარტო ქრისტიანულ, არამედ საერთოდ ყოველგვარ მორალს. ისინი, საერთოდ, ადამიანური ქცევის ნორმებად იქცნენ. მათ შეიძინეს ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა.

მიუხედავად გლობალიზაციისა და მმართველობის დემოკრატიული პრინციპების გავრცელებისა, ისლამის აღმსარებელ უმეტეს სახელმწიფოებში, ქალისადმი დამოკიდებულება კვლავ ტრადიციულ ნორმებს ემყარება და მათი უფლებების შეზღუდვას აანონსებს.

საკავანძო სიტყვები: ქალი, ისლამი, გლობალიზაცია, ნორმები

ისლამი და ქალთა უფლებები

შესავალი

ყოველი რელიგია განსაზღვრავს ადამიანის ადგილსა და დანიშნულებას სამყაროში, თუ როგორ და რისთვის უნდა იცხოვროს მან. ეს კი მოითხოვს გარკვეული ზნეობრივი ნორმების დაწესებას, რომელთა დაცვა და შესრულება ადამიანს მიიყვანს სასურველ მიზნამდე. ამისთვის რელიგია აყალიბებს მცნებებს, რომლებიც შეიცავენ მოთხოვნებს – თუ რა უნდა აკეთოს და რა არ უნდა აკეთოს ადამიანმა. ძველი აღთქმიდან ცნობილია ათი მცნება. მათგან სანიმუშოდ გამოვყოთ რამდენიმე: „არა კაც-ჰკლა“, „არა იქურდო“, არა ცილი სწამო“ და „არა იმრუმო“. ეს

შეგონებები საფუძვლად დაედო არა მარტო ქრისტიანულ, არამედ საერთოდ ყოველგვარ მორალს. ისინი, საერთოდ, ადამიანური ქცევის ნორმებად იქცნენ. მათ შეიძინეს ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა [1, 51].

ქალი ისლამში

ისლამის დამოკიდებულება ქალისადმი მეტად მკაცრია. ამ საქმეში იგი მხარში უდგას სხვა რელიგიებს. თუ მორწმუნე ებრაელი დილის პირველი ლოცვით მაღლობას სწირავს ღმერთს, რომ ქალად არ გააჩინა, ისლამი უფრო შორს მიდის. იგი ქალს უკიდურესად დამამცირებელ მდგომარეობაში აყენებს, რასაც კიდევ უფრო აძლიერებს სპეციალური აღმოსავლური დესპოტიზმი. ქალი პატარაობიდანვე ვაჭრობის საგნად არის გადაქცეული. იგი შეიძლება იყიდოდ, გაყიდოდ, გაასაჩუქრო. ყურანი ქალს მამაკაცთან შედარებით დაბალ არსებად თვლის: „თქვენი ცოლები მინდორ თქვენდა არიან. თქვენ მინდორზე გადით, როგორც გნებავდესთ“. ისლამი ქალს უწოდებს „შეზღუდული ჭკუის არსებას, რომელიც უდიდესი სასჯელია მამაკაცისთვის“ და ა. შ. ქალი საზოგადოების წევრად არ ითვლება, იგი მხოლოდ მონაა, რომელმაც ჩადრით უნდა იაროს. ქალები ჯოჯოხეთში იცხოვრებენ; სამოთხეში მხოლოდ ქალიშვილები იქნებიან მამაკაცის გასართობად [2, 79-80].

შარიათის მიხედვით ქალი დაბალი დონის არსებაა; როდესაც მაჰმადიანს გოგონა შეეძინება მას „სახე შავი უხდება და დამწუხრებულია“ [3, 149].

ჯერ კიდევ ისლამამდელ არაბ ტომებში ქალიშვილის დაბადება უბედურებად ითვლებოდა: მისგან ნაკლებ სიკეთეს ელოდა მოხეტიალე და მმართველური ყოფის მატარებელი ტომი. ამიტომ არაბები სალოცავებისადმი მსხვერპლშეწირვის დროს „უპირატესობას“ გოგონებს აძლევდნენ, ან ცოცხლად მარხავდნენ [4, 11].

ზოგადად, ყველა მომთაბარე ხალხში ქალი არ იყო გათანაბრებული მამაკაცთან. მომთაბარეთა სამეურნეო ცხოვრებაში ქალის როლი საკმაოდ დაბლა იდგა. იმისათვის, რომ ტომს თავისი ტერიტორიის საზღვრები გაეფართოებინა საჭირო იყო პირველ რიგში მეზობელი მამაკაცი და არა ქალი [5, 16].

არაბ მომთაბარეს შეეძლო ჰყოლოდა შეუზღუდავი რაოდენობის ცოლები, და ასევე, ხარჭა განუსაზღვრელი რაოდენობით. გოგონას დაბადება კი აღიქმებოდა უბედურებად. ასეთი ფაქტები, მხოლოდ წარმართი არაბებისათვის არ იყო დამახასიათებელი. მსგავსი დანაშაული დღესაც წარმოადგენს ტრაგიკულ სინამდვილეს: ინდოეთში ახალდაბადებულ გოგონას ზოგჯერ კლავენ, რამდენადაც ეშინიათ სიღარიბისა და სირცხვილისა, როცა მათი გამზითვების დრო დადგება. ჩინეთში, სადაც კანონით აკრძალულია ერთ შვილზე მეტის ყოლა, ქალები ხშირად აბორტს იკეთებენ, როდესაც გაიგებენ, რომ ქალიშვილი შეეძინებათ [6, 226].

ქალებზე დამამცირებელი წარმოდგენა მუსლიმანურ რელიგიაში ნასესხებია წარმართობის დროინდელ არაბთა ყოფა-ცხოვრებიდან. ბედუინ არაბს ყოველთვის თავი მოჰქონდა ვაჟიშვილებით; როგორც აღვნიშნეთ, მისთვის ქალიშვილის დაბადება უბედურება იყო. როდესაც არაბეთში იქმნებოდა მრავალღმერთიანობის კულტიდან ერთღმერთიანობის კულტი და გაბატონდა ღმერთი ალაჰი, ალაჰმა დაამცირა და მოიძულა არაბისათვის „არასრულფასოვანი“ ქალის არსება. ფეოდალური საზოგადოების მმართველმა წრეებმა კი ალაჰის სახელით, ყურანით დააკანონეს ქალების უთანასწორობა. საზოგადოებრივ და ოჯახურ ცხოვრებაში მას მიაკუთვნეს არასრულფასოვანი, მორჩილი და დამცირებული ადგილი. ყურანის თანახმად მემკვიდრეობის განაწილებისას „მამაკაცს იმდენი უნდა ერგოს, რამდენიც ორ ქალს, ანდა, თუ მიცვალებულს მემკვიდრედ ვაჟი არა ჰყავს, ქალი მემკვიდრეები მაინც ვერ მიიღებენ მამის მთლიან ქონებას. უფალი განმარტავს ამას, რომ თქვენ არ გადაცდეთ. ღმერთმა იცის ყველა საგანი“ [7, 118-119]. რელიგიური დოგმებით „ქალი ეშმაკის მარყუჟი და სიყვარული მიწიერისადმი ყველა ცოდვათა საფუძველია...“ [7, 55]. ყურანის მეორე სურის 228-ე აიათში აღნიშნულია: „ქმრებსა აქვთ ხარისხი თავიანთი ცოლთა უმაღლეს“ [8, 34].

ქალის უფლებების შეზღუდვას ასევე განაპირობებს ის ფაქტი, რომ ისლამი ოფიციალურად ნებას რთავს მამაკაცს ოთხი ცოლი იყოლიოს. ასევე ხშირია მცირეწლოვანთა გათხოვება. მაგალითად, ახალი რელიგიის ფუძემდებელმა, წინასწარმეტყველმა მუჰამედმა ცოლად შეირთო მომავალი ხალიფა აბუ-ბექრის 7 წლის ქალიშვილი აიშა [4, 75]. ამ დროს მუჰამედი 54 წლის იყო. ვიდრე აიშა წამოიზრდებოდა მუჰამედი ხის თოჯინებით ეთამაშებოდა. ამავე დროს, მუს-

ლიმებში ჩვეულებრივი მოვლენაა ბიძაშვილების, დეიდაშვილების და ბიძაშვილ-მამიდაშვილის ურთიერთზე დაქორწინება [9, 12, სქოლიო 24].

როგორც ცნობილია ახლო ნათესავებს შორის ქორწინების ფაქტები დადასტურებულია ისლამამდელი პერიოდის ირანელებშიც. კერძოდ, ზოროასტრელთა ორ საღვთო წიგნში: შ ა ი ა ს თ ლ ა-შ ა ი ა თ ს ა და დ ი ნ კ ა რ ტ შ ი, სადაც ასეთი კავშირი დასაშვებად და მოსაწონად არის მიჩნეული. ზოროასტრელებისათვის ახლო ნათესავებს შორის ქორწინება ითვლებოდა წმინდა საქმედ. შაიასთ და შაიასთის განმარტების მიხედვით ღმერთი ეუბნება ზოროასტრელთ... რომ სწორია მისი მოქმედება, ვინც ურყევია ღმერთის (აჰურამაზდას) თაყვანისცემაში და განამტკიცებს ღვთისმოყვარეობას თავის ახლო ნათესავთან ქორწინებით [10, 101-102].

შაჰ-თამაზ I დროს (1524-1576 წწ.) ირანის ქალაქებში პროსტიტუცია ფართოდ გავრცელდა. აქედან მიღებული შემოსავლის ნაწილს მეძავეები სახელმწიფოს უხდიდნენ. პროსტიტუციის ბუმმა მრავალი ადამიანი დაავადმყოფა. ვენერიული დაავადება მოედო მოსახლეობას. შაჰი იძულებული გახდა მკაცრი ზომები მიეღო. „სადაც გამოჩნდებოდა ასეთი დედაკაცი ბრძანებდა საშინელი წამებით მოეკლათ იგი“ [11, 44]. მოგვიანებით, შაჰის ხელისუფლებას შემოსავლის წყარო რომ არ დაეკარგა, მ ა შ ა ლ დ ა რ ბ ა შ ი ს („მეჩირადნეთა უფროსი“), სხვა ფუნქციებთან ერთად მის კომპეტენციაში შევიდა და დაექვემდებარა ისპაჰანში მდებარე საროსკიპოები [12, 146].

სეფიანი შაჰების ჰარამხანა (საქალაქო) დიდი და რთული დაწესებულება იყო. იგი ზოგჯერ მნიშვნელოვან, არაიშვიათად კი, გადამწყვეტ როლს თამაშობდა იმპერიის როგორც საშინაო, ასე საგარეო პოლიტიკაში. აქ ცხოვრობდნენ შაჰების როგორც ახლო ნათესავები (დედები, დები, ქალიშვილები, ბიძაშვილები და სხვ.), ისე მათი ცოლები, ხარჭები და მხევლები, ზოგჯერ ათასამდე სული [13, 304].

შაჰის ცოლებს მეტი ძალაუფლება ჰქონდათ სამეფო კარზე, ვიდრე დედებს. პ ი ე ტ რ ო დ ე ლ ა ვ ა ლ ე ს ცნობით, მეფის სისხლით ნათესავ ქალებს სეფიანთა ხანაში ბ ე გ უ მ ი ს წოდებით იხსენიებდნენ, ხოლო სხვა ცოლებს, რომელნიც შაჰის ნათესავები არ იყვნენ (ირანის შაჰის ცოლებში ცოტა როდი იყო თვითონ შაჰის სისხლით ნათესავი, ვთქვათ, ბიძაშვილი), ხანუმს უწოდებდნენ [13, 305].

კემპფერის ცნობით, მის დროს (1683-1685 წლებში) „ჰარამხანაში პირველი ადგილი შაჰის დედას უჭირავს“ [13, 304].

ირანის შაჰს ბაბახანს 300-ზე მეტი კანონიერი ცოლო ჰყავდა. მის ჰარემში დაახლოებით 700 ქალი ყოფილა. ხელმწიფეს 60-მდე ვაჟიშვილი და 50 ქალიშვილი ჰყოლია. საერთოდ კი, ფათჰალი-შაჰის მემკვიდრეებს ორი ათასამდე ანგარიშობენ: 200 შვილი, 600-მდე შვილიშვილი და დანარჩენი_შვილიშვილის შვილები [14, 48].

ზოგადად, მთელ მუსულმანურ სამყაროში ფართოდ გავრცელდა მცირეწლოვანი ბავშვის გათხოვება ასაკოვან მამაკაცზე. მათი რწმენით ასეთ საქციელს გამართლება ჰქონდა თვით მუჰამედისა და აიშას ქორწინების მაგალითით [15, 35].

ბაბა-ხანის დროს ირანში გავრცელებული ყოფილა ერთი მეტად მანკიერი წესი. ქვეყნის სხვადასხვა მხრიდან შაჰს უგზავნიდნენ ხოლმე ახალგაზრდა ქალიშვილებს. შაჰი მხოლოდ ერთ ღამეს ატარებდა მათთან და შემდეგ გადასცემდა თავის ერთ-ერთ დიდებულს ან მაღალ სამხედრო პირს, რომელიც ამას უდიდეს პატივად თვლიდა და ასეთი შემთხვევის აღსანიშნავად დიდ წვეულებას მართავდა; ამ წვეულებას თვით შაჰიც ესწრებოდა [14, 48, სქოლიო 8].

მეჩეთებში ქადაგების დროს ხშირად მოუწოდებდნენ შემდეგი სიტყვებით: „ვინც არ უნდა გახდეს, როგორი განათლებაც არ უნდა მიიღოს, თქვენ დაბადებიდან მუსულმანები ხართ და უნდა შეასრულოთ თქვენი ხალხისა და წინაპრების ვალდებულება [16, 50].

ყოფაში, ოჯახში შედარებით ნათლად მჟღავნდება ქალის უფლებობა. ქალისადმი დამოკიდებულებაში სამართლებრივი და ზნეობრივი ნორმები, რაც მოცემულია ყურანსა და შარიათში, გამოხატავს რეალურად არსებულ ფეოდალურ-პატრიარქალურ დამოკიდებულებას „მუსულმანურ სამყაროში“.

ყურანზე დაფუძნებული ისლამის მორალი ბღალავდა ქალის უფლებებსა და ღირსებას, მას განიხილავდა, როგორც ნივთს, რომელიც შეიძლება გაყიდოს, იყიდოს, გააჩუქოს. უარყოფით როლს თამაშობდა მაჰმადიანი ქალის მდგომარეობაზე ოჯახსა და საზოგადოებაში ყურანის მითითება ქალის „ჩაკეტვაზე“ და მასთან დაკავშირებულ სხვადასხვა რიტუალურ ტანსაცმელზე (ჩადრი და სხვ.).

ქალის იზოლირებაზე მითითებამ თავი იჩინა მუსულმანური დასახლებების მშენებლობაში: სახლები შემორტყმული იყო მაღალი ღობით, აშენებდნენ სპეციალურ შიდა ეზოებს, სადაც იმყოფებოდნენ ქალები და სადაც უცხო მამაკაცს შესვლის უფლება არ ჰქონდა. ფანჯარა გადიოდა არა ქუჩის მხარეს, არამედ ეზოში, და თუ ქუჩას უყურებდა მაშინ წვრილი ბადით იყო გადავსებული, რომლის მიღმა ატარებდნენ მთელ თავის ცხოვრებას ქალები. საუკეთესო ქებას იმსახურებდა მამაკაცი, რომლის მეუღლის, დის, ქალიშვილის სახეს ვერ ნახავდა უცხო ადამიანი [16, 56].

„ყაბუს-ნამეში“ (XI ს.) აღნიშნულია, რომ „თუ გეყოლებათ ქალიშვილები... მოუყვანეთ აღმზრდელი, რომ ასწავლოს ნამაზი, მარხვა და შარიათის პირობები... მაგრამ არ ასწავლოთ წერა. ხოლო როდესაც გაიზრდება, ეცადეთ სწრაფად გაათხოვოთ. ისე უკეთესია ქალიშვილები არ გყავდეთ, და თუ მაინც გეყოლებათ უკეთესია გათხოვილი იყვეს ან საფლავში იწვეს“ [16, 57].

ქალის უფლებებთან დაკავშირებით, შედარებისთვის მოვიტანოთ ერთი მაგალითი ინდოელი ქვრივი ქალის ცხოვრებიდან: ინდოელი პროგრესული მოღვაწეების ძალისხმევით ინგლისის ხელისუფლებამ 1829 წელს კანონით აკრძალა ს ა ტ ი _ქვრივი ქალის თვითმკვლელობა (დაწვა) გარდაცვლილი ქმრის ნეშტთან [17, 68].

ძველი ტრადიციების გადმონაშთების თანახმად ქმრის გარდაცვალების შემდეგ ქვრივი არ მონაწილეობდა ოჯახის სხვა წევრებთან ერთად დღესასწაულებში და რელიგიურ ცერემონიებში, რათა არ მოეტანა უბედურება, ქვრივს მშობლებთან დაბრუნება არ შეეძლო... მას ეძინა ცარიელ მიწაზე, საკვებს იღებდა დღეში ერთხელ, არ შეეძლო ექამა თავლი, ხორცი, გამოეყენებინა მარილი, დაეღია ღვინო და ა. შ. უფლება არ ჰქონდა ეტარებინა ძვირფასეულობა, ღია ფერის ტანსაცმელი, შეეღება თმები. უფრო ადრე პერიოდში თავს იპარსავდნენ. ქვრივი ეწეოდა ასკეტურ ცხოვრებას: კითხულობდა დაუსრულებელ ლოცვებს და აწყობდა რიტუალებს ქმრის ხსოვნასთან დაკავშირებით... გასაკვირი არ არის, რომ ისინი თვითმკვლელობას მიმართავდნენ... [17, 69].

ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუციაში დეკლარირებულია ოჯახსა და საზოგადოებაში ქალისა და მამაკაცის უფლებების ფორმალური

თანასწორობა. მაგრამ სინამდვილეში ირანელმა ქალებმა დაკარგეს ბევრი ის უფლება, რაც მათ მონარქიული რეჟიმის დროს მოიპოვეს. ისლამურმა ხელისუფლებამ კვლავ აღადგინა პოლიგამია, რაც მეტად ამცირებს ქალის ღირსებას. ქალს კვლავ დაუბრუნეს ჩადრი, რომელიც აკრძალული იყო მონარქიულ ირანში. მას უკვე აღარ შეუძლია დაიკავოს მნიშვნელოვანი თანამდებობები სახელმწიფო აპარატში, ეკრძალება საზოგადოებრივ ადგილებში (მაგალითად, საპარიკმახეროებში, რესტორნებში და სხვ.) მოემსახუროს მამაკაცს და ა. შ. ყოველივე ეს კონსტიტუციურ დაპირებათა მიღმა რჩება [18, 179].

ირანის ქალაქების ქუჩებში ხშირად შეხვდებით „ზნეობის პატრულებს“. როდესაც შენიშნავენ ქალს, რომლის ტანსაცმელიც მათი აზრით, ისლამის ნორმებს არ შეესაბამება, აკავებენ მას და იქვე უწყობენ „ტრიბუნალს“ მოლას მონაწილეობით. თუ ქუჩაში კაცმა ქალს ხელი ჩამოართვა, „ტრიბუნალი“ მაშინვე იქვეა.

სასჯელი შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს: გაკიცხვიდან_ცემამდე. იყო შემთხვევები, როცა სასამართლომ სოფლის მოლას თავმჯდომარეობით ქალებს_ფეხმძიმეებსაც კი_სიკვდილი მიუსაჯა. ისინი ქვებით ჩაქოლეს. იშვიათი არ არის შემთხვევები, როცა მუსულმან ფანატიკოსთა ჯგუფები_ „ზნეობის პატრულების“ მოხალისე თანაშემწეები_სამართლებლით სერავენ არამუსულმანური ნორმებით ჩაცმულ ქალებსა და გოგონებს, მათ ხელკეტებით სცემენ, სახეში ქერძაფს ასხამენ.

ნორმები მკაცრია. ავტობუსებში, კინოთეატრებში, რესტორნებში ადგილები გაყოფილია კაცებისა და ქალებისათვის. ოჯახში, სამუშაოზე, საზოგადოებრივ ადგილებში ქალი აღიარებულია „მეორეხარისხოვან“ არსებად. მისთვის აკრძალულია ბევრი პროფესია, წართმეული აქვს სამსახურში დაწინაურების შესაძლებლობა. სასამართლოშიც კი არ სარგებლობს თანაბარი უფლებით. ერთი მამაკაცის მოწმობა გათანაბრებულია ორი ქალის მოწმობასთან. ყოველგვარ ძალმომრეობას ქალთა უფლებების მიმართ ირანში ღვთისმეტყველი კანონმდებლები განამტკიცებენ. მათი მტკიცებულებით „გოგონას შეუძლია 9 წლიდან გათხოვდეს“, _ და ათასობით ბავშვისათვის სამუდამოდ იკეტება სკოლის გზა. სხვა მითითებით „ქალთა სპორტი შეუთავსებელია ისლამთან“, _ და აუზები, სტა-

დიონები, ჩოგბურთის კორტები ნორჩი სპორტსმენი გოგონებისათვის აკრძალულ ადგილად იქცევა [19].

საინტერესოა, როგორი იყო ყოფილი საბჭოთა კავშირის მაჰმადიან მოსახლეობაში ქალის უფლებების მდგომარეობა. შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა კავშირში და ზოგადად საქართველოში ისლამის აღმსარებელთა ცხოვრება თავისებურებებით გამოირჩეოდა.

ჯერ კიდევ საბჭოთა რეჟიმის საწყის ეტაპზე მუსულმანური სამართალი „კანონგარეშე“ მაინც განაგრძობდა არსებობას, გამოჰქონდათ გადაწყვეტილებები და განაჩენი შარიათისა და ადათის მიხედვით. მოწმის სტატუსის განსაზღვრისას ერთი მამაკაცის ჩვენება სასამართლოში თანაბარი იყო ორი ქალის ჩვენებისა.

ყადის (მოსამართლის) გადაწყვეტილებით ქალი ისჯებოდა, თუ ქუჩაში ჩადრის გარეშე გამოვიდოდა, უცხო მამაკაცს დაელაპარაკებოდა ან უარს იტყოდა ცოლად გაყოლოდა იმ პიროვნებას, რომელზეც ბავშვობაში იყო დანიშნული. ამავე დროს ყადი დასაშვებად თვლიდა არასრულწლოვანის გათხოვებას, სკოლაში სიარულზე უარის თქმას და ა. შ. [16, 14]. შარიათიდან გამომდინარე 9 წლის გოგონას კალიმის (გამოსასყიდის) შემდეგ ხშირად ათხოვებდნენ მოხუცზე, რომელსაც უკვე ჰყავდა რამდენიმე ცოლი. კალიმის გადახდის შემდეგ „მამაკაცი სრულუფლებიანი მბრძანებელი ხდებოდა მეუღლეზე“ [16, 57]. ტაჯიკეთში ბევრი მამაკაცი იძულებული ხდებოდა ცოლად შეერთო ახლო ნათესავი, რადგანაც ასეთ შემთხვევაში კალიმს გადაიხდიდა მცირე რაოდენობით ან საერთოდ გადახდის გარეშე გადარჩებოდა [20, 19].

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საუკუნეთა განმავლობაში ისლამის გავრცელებას სხვადასხვა ხალხებში მოჰყვა ამ რელიგიის ადგილობრივი ფორმების თავისებურებათა აღმოცენება. მაგალითად, რწმენა და რიტუალები აზერბაიჯანში განსხვავდება უზბეკეთში ანალოგიური ტრადიციებისაგან.

შუა აზიაში და აზერბაიჯანში ისლამი უკრძალავდა რელიგიური წამოსასხამის გარეშე გავლას. ეს წესი კი მომთაბარე მუსლიმანებში, მაგალითად, ჩრდილო კავკასიასა და ბაშკირეთში, სავალდებულოდ არ მიიჩნეოდა, რადგან იგი ხელს უშლიდა მათ სწრაფ მოძრაობაში, რაც ამ ხალხის ტრადიციულ თავისებურებას წარმოადგენდა;

საბჭოთა კავშირის ევროპულ ნაწილსა და ციმბირში მუსლიმანობა ქალებს მეჩეთში სალოცავად სიარულის ნებას რთავდა, ხოლო კავკასიაში მცხოვრებ ქალებს ეკრძალებოდათ ამგვარი რამ; უზბეკეთში, ტაჯიკეთში, თურქმენეთსა და სხვა რესპუბლიკებში მუსლიმან ქალებს ეკრძალებოდათ სამგლოვიარო პროცესიაში მონაწილეობის მიღება. იგივე წესი კი ყაზახეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკებში მცხოვრებ კულტის მსახურ ქალებს არ უკრძალავდა სასაფლაომდე მიეცილებინათ მიცვალებული [7, 86].

პანკისის ხეობაში მცხოვრები ქისტები მიცვალებულისთვის ამოთხრიდნენ საფლავს ორი მეტრის სიღრმეზე და შეჭრიდნენ გვერდიდან. ქალის საფლავი მამაკაცის საფლავზე 10 სანტიმეტრით ღრმად ითხრებოდა. მათი რწმენით „ქალისა და მამაკაცის სული საიქიოში ერთმანეთს არ უნდა შეხვდეს. ცხოვრებაში ქალისაგან შეწუხებულმა მამაკაცმა სამარეში უნდა დაისვენოს და ქალთან მიმავალ ეშმაკს დაუდარაჯდეს და მუდმივი მფარველი იყოს მისი“ [21, 196].

ჩეჩენი ქალი დაქვრივების შემდეგ იშვიათად ინარჩუნებდა ქმრის გვარს. შვილებს ბებია-პაპას უტოვებდა და მშობლიურ ოჯახში ბრუნდებოდა; ერთ-ორ წელიწადში კი აუცილებლად ახალ ოჯახს ქმნიდა [21, 198].

შუა აზიაში რესპუბლიკების ცხოვრებაში უარყოფით როლს თამაშობდა ქალისადმი აგდებული დამოკიდებულება, ფეოდალურ-ბეგური ურთიერთობის რეციდივები. ქალები დილიდან დაღამებამდე მძიმე სამუშაოს ასრულებდნენ. ხშირად გადაჰქონდათ მძიმე ტვირთი და ამავე დროს უძღვებოდნენ საოჯახო საქმეს. უზბეკეთის სახალხო მწერალი ა. ი ა კ უ ნ ო ვ ი სამართლიანად წერდა ამასთან დაკავშირებით, რომ: „დღეს ჩვენი მამაკაცები რომლებმაც უარყვეს „წარსულის გადმონაშთები“, უპირატესობა მიანიჭეს ნაკლებად დამღლეულ სამუშაოს. ივლისში ისინი მუშაობენ მწონავებად. და, როგორ მძიმეა უყურო, როდესაც ქმარი ასწორებს სასწორს, როცა წელში მოხრილ ცოლსა და შვილს წინსაფრით მოაქვს ბამბა“. აღნიშნულ რეგიონში გოგონას ხელს უშლიდნენ სწავლაში, ძალით ათხოვებდნენ მშობლები მათთვის სასურველ კანდიდატურაზე, ცემენ, აზუჩად იგდებენ, რის გამოც ასობით თავს იწვავდა უზბეკეთში, ათობით – ტაჯიკეთში...“ [22, 118].

მიუხედავად იმისა, რომ ისლამს ასეთი მკაცრი დამოკიდებულება აქვს ქალისადმი, სექტანტ_მიურიდებს წმინდანთა შორის შერაცხული ჰყავთ ქალებიც. ერთ-ერთ ასეთ წმინდანს წარმოადგენს საქართველოში, მარნეულის რაიონის სოფელ სადახლოში დ ე ლ ი ე თ ა რ ი ს (ეთერი) საფლავი. ეს ქალი ყოფილა მიურიდი და გამოირჩეოდა განსაკუთრებული რელიგიურობით, რის გამო, სუნიტმა მორწმუნეებმა ის წმინდანად ჩათვალეს. ასეთივე წმინდანადაა ჩათვლილი აგრეთვე აზერბაიჯანში ვინმე ს ე ი დ ნ ი გ ა რ ი. მის საფლავზე მიდიან სხვადასხვა ვითარების გამო, ალთქმის შემთხვევაში, უმეტესად _ უშვილო ქალები[23, 19-20].

და მაინც, ქალის უფლებების დარღვევის მთავარი მაგალითია არაბული სამყარო. საილუსტრაციოდ მოვიტანთ შემდეგ მაგალითს: საუდის არაბეთში XX საუკუნის 70-იან წლებში არცერთ ქალს არ ჰქონდა უფლება მიეღო უმაღლესი განათლება. მიუხედავად ამისა მ უ ჰ ა მ ე დ ი ბ ნ ს ა უ დ ის შვილიშვილი მ ი შ ა ა ლ ი მრავალრიცხოვანი დაცვისა და მსახურების თანხლებით 1977 წელს 19 წლის ასაკში გაემგზავრა არა ევროპაში, არამედ, მრავალკონფესიურ ისლამურ ქვეყანაში _ ლ ი ბ ა ნ შ ი. პრინცესას შეუყვარდა ლიბანში საუდის არაბეთის ელჩის ვაჟიშვილი ხ ა ლ ი დ ა ლ-შ ა ი რ ი, რაც მიუღებელი აღმოჩნდა სამეფო ოჯახისათვის. სამშობლოში დაბრუნებულ მიშაალს სიკვდილი ელოდა. მან გაქცევა სცადა, თუმცა უშედეგოდ. მიუხედავად იმისა, რომ ადათობრივი სამართლის მიხედვით არ აღმოჩნდა ოთხი მოწმე, ვინც დაადასტურებდა პრინცესას სასიყვარულო ურთი-ერთობას, მაინც მიესაჯათ ორივეს სიკვდილი.

მიშაალი და ხალიდი სახალხოდ დასაჯეს 1977 წლის 15 ივნისს. პირველი იყო მიშაალი. ქალი, რომელსაც ბრალად ედება მრუმობა, ქვებით ქოლავენ. პრინცესას მიმართ გამონაკლისი დაუშვეს. სწრაფად, რომ მომკვდარიყო მუხლებზე დააჩოქეს და კეფაში ესროლეს. ხალიდს აყურებინეს სატრფოს დასჯა. ასეთი განაჩენი სისრულეში მოყავს პროფესიონალ ჯალათს, რომელსაც შეუძლია ერთი დარტყმით თავი მოაცილოს ტანს და ამით შეუმსუბუქოს ზედმეტი ტანჯვა დამნაშავეს. ხალიდის შემთხვევაში პროფესიონალი ჯალათი არ იყო. ხმალი გადასცეს სამეფო ოჯახის ერთ-ერთ წევრს, რომელსაც ბუნებრივია არ ჰქონდა აუცილებელი უნარ-ჩვევები და გამოცდილება. მან მხოლოდ მეხუთე დარტყმაზე შეძლო ახალ-

გაზრდისთვის თავის მოკვეთა. ძნელია წარმოვიდგინოთ, როგორი ტანჯვით გარდაიცვალა ახალგაზრდა, რომელიც პრინცესასადმი სიყვარულს შეეწირა.

1980 წელს ინგლისელებმა გადაიღეს დოკუმენტური ფილმი „პრინცესას სიკვდილი“, რასაც საერთაშორისო სკანდალი მოყვა. საუდის არაბეთის ხელისუფლებამ ფილმის ჩვენება ჩათვალა ქვეყნის საშინაო საქმეებში უხეშ ჩარევად. ერიადიდან გააძევეს ბრიტანეთის ელჩი, ხოლო საუდის არაბეთში დაბრუნდნენ ინგლისში სხვადასხვა მიზეზით მყოფი სამეფო ოჯახის წევრები... [24, 31].

მიუხედავად ქალისადმი ასეთი დამოკიდებულებისა, ზოგიერთ ისლამურ სახელმწიფოში შედარებით რბილი კანონები მოქმედებს. ასეთ ქვეყნებში, რომელთა რიცხვი ძალიან მცირეა ქალებს შეუძლიათ მოწმედ გამოვიდნენ სასამართლოში, ჰქონდეთ საკუთრება და მიიღონ მემკვიდრეობა გარდაცვლილი მშობლებისგან, ნათესავებისა და მეუღლისაგან. ამიტომ ქმრის ხელისუფლება არ ვრცელდება ცოლის საკუთრებაზე. ქალის ღირსებაზე თავდასხმა მკაცრად ისჯება [25, 24].

ზოგადად, ისლამი, იუდაიზმისა და ქრისტიანობის მსგავსად, აბრაამისტული რელიგიაა, ანუ საკუთარ თავს ძველი აღთქმის ერთ-ერთი პატრიარქის, აბრაამის რწმენის მემკვიდრედ მიიჩნევს. მას შემდეგ, რაც (ისლამის შეფასებით) იუდეველებმა და ქრისტიანებმა დაამახინჯეს აბრაამის რწმენა, ღმერთი მუჰამედს შემდეგს ავალებს: „დაიცავი აბრაამის რელიგია, რომელიც ჭეშმარიტი რწმენა იყო“ (ყურანი 16:123)

„უფალმა აბრაამი გამოარჩია თავის მეგობრად“ (ყურანი 4: 125). ეპითეტი „უფლის მეგობარი“ მხოლოდ აბრაამის მიმართ არის გამოყენებული ყურანში. ყველა დანარჩენ შემთხვევაში ღმერთთან ადამიანის ურთიერთობის აღსანიშნავად გამოყენებულია გამოთქმა „მონა ღვთისა“.

ფაქტია, რომ არაბი მუსლიმები საკუთარ თავს მიიჩნევენ აბრაამის არა მხოლოდ სულიერ მემკვიდრეებად (მსგავსად ქრისტიანებისა), არამედ საკუთარ სისხლისმიერ წინაპრადაც (იუდეველთა მსგავსად) თვლიან ისმაილს, აბრაამისა და აგარის ვაჟს. სწორედ ამიტომ XX საუკუნის დასაწყისამდე ქრისტიანულ ლიტერატურაში მუსლიმები ხშირად იწოდებოდნენ აგარიანებად, ისმაილიტებად, ან სარკინოზებად [26, 182-183].

დასკვნა

ჯერ კიდევ XX საუკუნის 80-იან წლებში მუსლიმანური თემები გავრცელებული იყო მსოფლიოს 120-ზე მეტ სახელმწიფოში და დაახლოებით 800 მილიონ მოსახლეს შეადგენდა. 35 ქვეყანაში მაჰმადიანები მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდნენ, ხოლო 18 ქვეყანაში – გავლენიან უმრავლესობას. 28 სახელმწიფოში ისლამი სახელმწიფო რელიგიის რანგშია აყვანილი [27, 7].

მიუხედავად გლობალიზაციისა და მმართველობის დემოკრატიული პრინციპების გავრცელებისა, ისლამის აღმსარებელ უმეტეს სახელმწიფოებში, ქალისადმი დამოკიდებულება კვლავ ტრადიციულ ნორმებს ემყარება და მათი უფლებების შეზღუდვას ანონსებს.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ვ. ერქომაიშვილი, ფილოსოფია, თბილისი, 2005
2. ორი მორალი, თბილისი, 1978
3. История и Теория атеизма, М., 1990
4. В. Ирвинг, Жизнь Магомета, М., 1987
5. В. П. Панова, Ю. Б. Вахтин, Жизнь Мухаммеда, М., 1990
6. Таня Ал Харири-Вендель, Символы ислама, М-П., 2005
7. ბ. დავითაძე, მოდერნიზმი _ ისლამის ამაო იმედი, ბათუმი, 1989
8. ყურანი, თბილისი, 1906
9. მ. ძნელაძე, ემირ დოსთ მუჰამედის ბრძოლა ავღანეთში ხელისუფლების ცენტრალიზაციისათვის, კრ. „მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორია“, თბილისი, 1983
10. მ. მეტრეველი, ირანული გავლენა დრუიზმზე, კრ. „მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორია“, თბილისი, 1983
11. არაქელ დავრიჟეცის ცნობები საქართველოს შესახებ, თარგმანი, შესავალი და კომენტარები კარლო კუციასი, თბილისი, 1974
12. ნ. სურგულაძე. სეფიანთა ირანის ცენტრალური მმართველობა, თბილისი 1990

13. მ. თოდუა, დედოფლის ინსტიტუტი სეფიანთა ირანის სამეფო კარზე, კრ. „ახლო აღმოსავლეთი და საქართველო“, თბილისი, 1991
14. ზ. შარაშენიძე, ირანის შინაპოლიტიკური ვითარება და საგარეო ურთიერთობანი XIX საუკუნის დასაწყისში, თბილისი, 1994
15. Густав Эдмунд Фон Грюнебаум, Классический ислам, пер. С английского, М., 1988
16. Ислам в СССР, М., 1983
17. В. Я. Ивбулис, Моя золотая бенгалия, пер. С Латви. М., 1988
18. გ. ჭიპაშვილი, ირანის სახელმწიფო წყობილება, თბილისი, 1990
19. კომუნისტი, 1984, 29 აპრილი
20. Д. Валентей, монолог о человеке и препонах экономического развития, сб., `СССР: Демографический диагноз~, М., 1990
21. ლ. მარგოშვილი, პანკისის ხეობა (ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევა), თბილისი, 2006
22. Ю. И. Римаренко, По следам `снежного человека~, М., 1989
23. რ. ანდრიაშვილი, ისლამის გადმონაშთები საქართველოში, თბილისი, 1983
24. Н. Артонкина, Аладин и Жасмин XX века, журн. „Загадки истории“, 2021 №43
25. Алим Ахмедов, Социальная доктрина ислама, М., 1982
26. დ. თინიკაშვილი, ზ. ჯაში, მსოფლიო რელიგიები, თბილისი, 2012
27. Алим Ахмедов, Ислам в современной идейно-политической борьбе, М., 1985

Avtandil Songulashvili

Doctor of Historical Sciences, Professor,
Georgian Technical university

Keywords: Islam, woman, religion, state, law

Islam and Women's Rights

Each religion determines the place and destination of man in the world, how and for what he should live. It even requires the establishment of certain moral norms, the observance and observance of which will lead a person to the desired goal. Nearly one-fifth of the world's population (more than a billion people) is Muslim. There are more than 20 million adherents of Islam in Western Europe and the United States, and their number is growing systematically. According to believers, Islam is the second religion in the world after Christianity. Islam's attitude towards women is very strict. In this case he supports other religions, though he goes further. It puts a woman in an extremely humiliating situation, which is further reinforced by a special oriental despotism. Women have been traded since childhood. It can be bought, sold, gifted. The Qur'an considers women to be inferior to men. Restrictions on women's rights are also due to the fact that Islam officially allows men to have four wives. In life, a woman's rights are relatively clearly manifested in the family. The legal and moral norms regarding women, as given in the Qur'an and Sharia, reflect the actual feudal-patriarchal remnants of "Muslim law."

აბსტრაქტი

თანამედროვე გერმანულენოვანი მწერალი საშა-მარიანა ზალცმანი, რომელის ბავშვობამ 90-იანი წლების პოსტსაბჭოთა სივრცეში გაიარა, თავის ინტერვიუებსა და მხატვრულ ტექსტებში სწორედ ამ პერიოდის სინამდვილზე საუბრობს.

იგი აღწერს იმ პოლიტიკურ და სოციალურ პროცესებს, ომს, მამაკაცურ აგრესიას, ადამიანური ღირსების შემლახვ პროცესებს, კორუფციას, რაც უბიძგებს ადამიანებს, რომ დატოვონ თავიანთი ქვეყანა, მოერგონ ახალ ცხოვრებას და წარსულის ტკივილით გაუმკლავდნენ იდენტობის გამოწვევებს; ამ ადამიანებს ავტორი გმირ ქალებს უწოდებს.

პოსტსაბჭოური პროცესების აღწერითა და უკრაინის კონტექსტით ზალცმანის ტექსტი დღევანდელ დღეს კიდევ უფრო მეტ აქტუალობას იძენს და არსებულ პოლიტიკურ-ეკონომიკური პროცესების გაგრძელებად აღიქმება.

დღევანდელი ზალცმანის ემპათიასა და ემოციას სარკესავით ირეკლავს.

საკვანძო სიტყვები: დილემები, იდენტობა, პოზიტიური თავისუფლება, ქალები

**მიგრანტ ქალთა დილემები გერმანულ პოსტმოდერნისტულ
კონტექსტში:**

საშა-მარიანა ზალცმანი

შესავალი:

როგორც ამბობენ, ისტორია მეორდება და დღეს, 21-ე საუკუნეში ცივილიზებული სამყარო ისევ გლობალური ომის საფრთხის წინაშეა, კვლავ საფრთხის წინაშეა ადამიანთა უფლებები, დემოკრატიული პრინციპები,

ჯარისკაცების გარდა, მსხვერპლი მშვიდობიანი მოსახლეობაა, ყველაზე დაუცველი კი ქალები და ბავშვები.

თუმცა ქალური საწყისი სიცოცხლის ენერჯიაა და თან ფაქიზი.

ქალური საწყისი თავად ცხოვრებაა, ამიტომ ის უმკლავდება ძალადობას, აგრესიას და ახერხებს თავის გადარჩენას, ომისა და ემიგრაციის პირობებშიც კი ახერხებს ცხოვრებას ტკივილთან ერთად, სიცოცხლის გაგრძელებას.

სწორედ ამის შესახებ მოგვითხრობს თავის ნაწრმოებებსა თუ ინტერვიუებში თანამედროვე გერმანულენოვანი დრამატურგი, პუბლიცისტი და მწერალი ქალი საშა-მარიანა ზალცმანი.

ის ათი წლის იყო, როცა ებრაელთა მსოფლიო ლტოლვილის სტატუსით ოჯახთან ერთად გერმანიაში გადავიდა საცხოვრებლად.

მარიანა ზალცმანი საბჭოთა კავშირში ვოლგოგრადში დაიბადა 1985 წელს და მოსკოვში იზრდებოდა. იგი თავის ერთ-ერთ ინტერვიუში იხსენებს, თუ როგორი სახიფათო იყო 90-იან წლებში თვით სათამაშო მოედნებზე მშობლების გარეშე თამაში, მაგრამ ამავდროულად ემიგრაციით ის გამოემშვიდობა ბავშვობას, სკოლას, ყველაფერს... და დიდი ძალისხმევა დასჭირდა მენტალობის, თინეიჯერული ცხოვრების გასაახლებლად, მან თავისი იდენტობა „გადატვირთა“.

საშა-მარიანა ზალცმანი სწავლობდა ლიტერატურას, თეატრისა და მედიის ხელოვნებას ჰილდესჰაიმის უნივერსიტეტში, მოგვიანებით კი ბერლინში. ძირითადი საკითხი, რის შესახებაც ის წერს არის იდენტობა.

საშა-მარიანა ზალცმანი გერმანულ პოსტმოდერნისტულ კონტექსტში

საშა-მარიანა ზალცმანი განიხილავს იმ პოლიტიკურ და სოციალურ პრობლემებს, რაც იდენტობის გამოწვევებს განაპირობებს: იქნება ეს საკუთარ ქვეყანაში დაუცველობის სინდრომი, უსამართლობა და ემიგრაცია, თუ მიგრაცია. იგი განიხილავს იდენტობამდე მისასვლელ რთულ გზებს, ფსიქო-სოციალურ პრობლემებს (1).

არაბილარული მწერალი ქალი ამჟამად ბერლინში ცხოვრობს, სადაც ის წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა მაქსიმ გორკის სახელობის თეატრის სტუდია A-ს სცენას. ძალიან მნიშვნელოვანია მისი ჩართულობა პროექტში:

„სმენადაქვეითებულთათვის, აგრეთვე ადამიანთათვის, რომელთაც სერთოდ არ ესმით და რომელთაც ესმით“.

ამ პროექტიდან და ზოგადად, მწერლის ინტერვიუებიდან ცხადია, რომ სამა-მარიანა ზალცმანი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ადამიანებისათვის სადისკუსიო, სალპარაკო სივრცეების აუცილებლობას. ეს სივრცე უპირველესყოვლისა ხელოვნებაა. ადამიანებისათვის ხელოვნება მაშველი რგოლია იზოლაციის პერიოდში, კორონა ვირუსის პანდემიის პერიოდში. ამ აზრს ავითარებს სამა-მარიანა ზალცმანი, როდესაც ინტერვიუში ხელოვნების შესახებ სუბრობს (2).

რაც შეეხება, სამშობლოში ტოტალიტარიზმითა და აგრესიით შექმნილ სოციალურ და პოლიტიკურ იზოლაციებს, ზალცმანი ამ საკითხს თავის მხატვრულ ტექსტებში განიხილავს. მწერალი პერსონაჟების პირით საუბრობს და მკითხველს სადისკუსიო სივრცეს უქმნის. ასეთი ე.წ. სადისკუსიო სივრცე იკვეთება მის სადებიუტო რომანში, რომელშიც მწერალი საბჭოური ყოფიდან ახალ გზას ადგება და ფლუიდებით ძერწავს იდენტობას. ეს საბჭოური და პოსტსაბჭოური ტოტალიტრული პოლიტიკურ-სოციალური ხაზი მკვეთრად გასდევს აგრეთვე მის მეორე ახალ რომანს: „ადამიანში ყველაფერი მშვენიერი უნდა იყოს“, რომელიც 2021 წელს გამოქვეყნდა, პრესაში დიდი გამოხმაურება ჰპოვა და მწერალი 2021 წლის „გერმანული წიგნის-პრიზის“ ნომინანტი გახდა(3).

ეს ფრაზა: „ადამიანში ყველაფერი მშვენიერი უნდა იყოს“, ანტონ ჩეხოვის ეკუთვნის(4). ზალცმანთან ჩეხოვის პათოსი ქვეტექსტად იკითხება, ხოლო ირონიულ კოდად ამ ფრაზის საბჭოური ისტორია მოჩანს. ეს ფრაზა ზოია კოსმოდემიანსკაიას დღიურის ჩანაწერიდან საბჭოური პერიოდის ლოზუნგად იქცა, საბჭოთა ადამიანის სამკაულად, ხოლო ჩეხოვი კი საბჭოური ყოფისა და იდეოლოგიის გულშემატკივარ მწერლად დასახელდა (5).

ზალცმანის რომანში ვკითხულობთ: როგორ შეიძლება „მშვენიერი“ იყო ქვეყანაში, რომელშიც კორუფცია და ჩაგვრა ბატონობს? ზალცმანის ტექსტს ლაიტმოტივად გასდევს რიტორიკული შეკითხვა, თუ როგორ შეიძლება ამ საბჭოური და პოსტსაბჭოური ყოფიდან მიღებული გამოცდილების, ამ ტკივილის

დაძლევა, როცა ამაზე არავინ საუბრობს? თვით ემიგრაციაშიც კი... თვით საკუთარი ქალიშვილებიც კი არ საუბრობენ ამ თემაზე...(6).

რომანი „ადამიანში ყველაფერი მშვენიერი უნდა იყოს“ მოგვითხრობს ოთხი ემიგრანტი ქალის - ორი დედისა და მათი ორი ქალიშვილის ისტორიას. ზალცმანი ფსიქო-სოციალურ ჭრილში განიხილავს ამ ქალების განცდებსა და ცხოვრებისეულ გამოცდილებას, გვიყვება იმდროინდელ ბნელ პროცესებზე, ომსა და კორუფციაზე, რამაც განაპირობა დედების ემიგრაცია, გვიყვება მათ გონებაში ტრაგიკულად გამჯდარ საბჭოურ ცხოვრებასა და დილემებზე, მიგრაციის სირთულეებსა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ყოფაზე.

მამაკაცური საწყისი ზალცმანისთვის გაფერმკრთალებულია.

მამის კონცეპტით ბევრს ვერაფეს დავიწყებდი - წერს პირველ პირში მოსაუბრე მთავარი პერსონაჟი(7).

რომანში აღწერილია ბრეჟნევის ე.წ. ოქროს ხანა, შემდგომში უძრაობის პერიოდად აღიარებული და გორბაჩოვის „მონსტრი-პერესტროიკის“ დრო (6).

ამ ყოფაში გაიარა დედების ბავშვობამ და ახალგაზრდობამ. აღწერილია ერთი დედის ცხოვრების ეპიზოდები: სამშობლო უკრაინა, წუხილი და უკრაინული ენის საჭიროების საკითხის განხილვა, სოჭში მცხოვრები ბების ცხოვრება, მასთან გატარებული არდადეგების სურნელი, მისი გამძლეობა და გმირული სული, გარდაცვალების ტკივილი, აღწერილია ომის ტრაგიზმი, ორსულობა და ბავშვის ჩეჩენი მამის საქციელი, ჩეჩნების მენტალური განწყობა, კორუფციის, მემჩანობის სინდრომი და სტუდენტობა, ასეთ კორუმპირებულ სოციალურ ექიმის შესაბამისი პროფესიული ცხოვრება...

ტექსტში მოთხრობილია აგრეთვე მეორე დედის მიერ ცხოვრების გატანისა და ქვეყნიდან თავისდაღწევის არაწესიერი გზების ძიება, კრიმინალური სამყარო და შემდგომ, მიგრაციის პერიოდში ამ ქალების ურთიერთთანადგომა.

საშა-მარიანა ზალცმანი თავის რომანზე საუბრისას აღნიშნავს, რომ მისთვის ამ რომანის შთაგონების წყარო დედამისის თაობის ემიგრანტი ქალბატონები იყვნენ (7).

ეს ყოფა, საბჭოური პერიოდი და საბჭოთა კავშირის კოლაფსი ზალცმანთან ასე გამოიყურება: „ჩვენი ქვეყანა საოპერაციო მაგიდაზე წევს, გაკვეთილი მუცლიდან ხორხამდე...“ (8)

შეკითხვების ღიად დასმა საშა-მარიანა ზალცმანის სტილია. დემოკრატიის საკითხები მისთვის ყოველთვის აქტუალურია(9).

დასკვნა

თავისუფალი სიტყვით დემოკრატიისათვის ბრძოლა მწერლისთვის გადამწყვეტია. იგი თავისუფლებას ფრომის მიხედვით „პოზიტიურ თავისუფლებად“ განიხილავს.

ამ მხრივ ძალიან საინტერესოა საშა-მარიანა ზალცმანის ინტერვიუ ემიგრანტ ამერიკელ მწერალთან და პუბლიცისტთან მაშა გესენტან.

ზალცმანის აზრით, ცხადია, დემოკრატია არჩევნების ჩატარების სამართლებრივი უფლება გააჩნია, მაგრამ თუკი ხელისუფლება მიტაცებულია, მაშინ უნდა განვაახლოთ დემოკრატია, დემოკრატიის ხელახლა აღმოსაჩენად ახალი გზების მოძიებაა საჭირო.

ზალცმანი სვამს შეკითხვას პუტინისა და ტრამპის პოლიტიკის შესახებ, თუ როგორ მოხერხდა, რომ ორი ფუნდამენტალურად განსხვავებული ქვეყანა ერთ პოლიტიკურ წერტილში აღოჩნდა?

მაშა გესენი შეეცადა ერთი კონტექსტი მოემეზნა ამ შეკითხვისთვის, რომ ავტორიტარული ხელისუფალი მუდმივად იმ მარგინალურ წარსულისკენ უხმობს მოსახლეობას, როცა იყო სითბო, უსაფრთხო გარემო და რაც სინამდვილეში არასდროს ყოფილა.

ზალცმანის ინტერვიუს მიხედვით, ტოტალიტარული მმართველობის პერიოდში ეს დაპირებული დრო არ არსებობს. ეს არის ძალაუფლების შესანარჩუნებლად მმართველი სტრუქტურების დიდი ტყუილი.

ღიახ, ადამიანში ყველაფერი მართლაც მშვენიერი უნდა იყოს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Salzman S.-M.(Sep.12,2017). Identität: Sasha Marianna Salzman
1. über ihren Roman Auser sich, „Suhrkamp Verlag“, subscribers,2,477 views.
2. <https://www.youtube.com/watch?v=VIi18w78A14>
3. <https://www.youtube.com/watch?v=TE3ROwyqGK0>
4. Friedman M.,Wenzel M. (Mai 17,2020). *TachlesVideocast Kunst und Utopien in der Krise*
 - a. Gespräch mit Sasha Marianna Salzman, Frankfurt am Main, Jüdisches
 - b. Museum, 418 views.
5. <https://www.youtube.com/watch?v=TOst0322UZo>
6. Salzman S.-M.(Sep.17,2021). Nominert für den Buchpreis: Im Menschen muss alles
a. herrlich sein, Prominantin 2021, „Suhrkamp Verlag“, 334 views.
7. <https://www.youtube.com/watch?v=KVRkzxMunVM>
8. Tschechow A. (Aug 9,2019) Onkel Wanja. Akt zwei 6,351 views ZDF: (1988)
9. Solotonosow M., (Jan 29, 2021). Im Tschechow pod Moskoi. Intiligent w Pensne i ego
i. Schenschtschini, Moskau: „Nrawi“: Ermilov V., 1946, S. 357; Tschukowski
ii. 1960, S.23
10. <https://gorod-812.ru/chehov-pod-maskoy-intelligent-v-pensne-i-ego-i.zhenshhinyi/>
 - i. zhenshhinyi/
 - ii. Carsten O.(Okt 10,2021). Sasha Marianna Salzman-Im Menschen muss alles herrlich sein, Audio,Buchkritik, aus der Sendung vom lesenswert Magasin, SWR2.
11. <https://www.swr.de/swr2/literatur/sasha-marianna-salzman-im-menschen-muss-alles-herrlich-sein-100.html>
 - a. Salzman S.-M.(Sep.17,2021). Nominert für den Buchpreis: Im Menschen muss alles herrlich sein, Prominantin 2021, „Suhrkamp Verlag“, 334 views.
12. <https://www.youtube.com/watch?v=KVRkzxMunVM>
 1. Salzman S.-M.(2021). Im Menschen muss alles herrlich sein, Berlin: „Verlag Suhrkamp“ ISBN: 978-3-518-43010-1, Audio-Buch.
13. https://www.google.com/search?q=https%2F%2F%3Audible.de%2FIm-Menschen-muss-alles-herrlich-sein-Hoerbuch%2FB09FTGFSCQ&rlz=1C1BNSD_en&oq=https%2F%2F%3Aaudi.de

1. Salzmann S.-M.(Nov.01, 2020): Salzmann Sasha Marianna im Gespräch mit Masha Gessen Amerikas fehlerhafte Idee von Demokratie:Warum blinder Glaube an die ii. Institutionen gefährlich ist und Trumps Versprechungen für viele seiner Landsleute attraktiv erscheinen. Tagesspiegel, Das Gäsprech: Autokratie überwinden, 788 views.
14. <https://www.tagesspiegel.de/kultur/sasha-marianna-salzmann-im-gespraech-mit-masha-gessen-amerikas-fehlerhafte-idee-von-demokratie/26579990.html>
15. <https://www.youtube.com/watch?v=yk-x8AgWxk8>

Summary

The Dilemmas of Migrant Women in the German Postmodernist Context:

Sasha-Marianna Salzmann

Contemporary German-language writer Sasha-Marianna Salzmann, whose childhood was spent in the post-Soviet space of the 90s, talks about the reality of this period in her interviews and literary texts.

It describes the political and social processes, war, masculine aggression, degrading processes, corruption that push people to leave their country, to adapt to a new life, and to face the challenges of identity through the pain of the past; The author calls these people hero women.

In describing the post-Soviet processes and the context of Ukraine, Salzmann's text is becoming even more relevant today and is perceived as a continuation of the existing political-economic processes.

The present reflects Salzmann's empathy and emotion like a mirror.

Keywords: Dilemmas, Identity, Positive Freedom, Women.

აბსტრაქტი

საქართველოს დემოკრატიული განვითარების გზაზე კვლავ პრობლემად რჩება გენდერული თანასწორობის მიღწევა. მიუხედავად საკანონმდებლო, ინსტიტუციური და სამოქალაქო საზოგადოების დონეზე განხორციელებული არაერთი პოზიტიური ცვლილებისა და აქტივობისა, საქართველოში გენდერული უთანასწორობის მაჩვენებელი კვლავ მაღალია.

სახელმწიფო პოლიტიკის წარმართვის პროცესში გენდერულ საკითხებზე პასუხისმგებლობის დამკვიდრებისას, როგორც წესი, გათვალისწინებულია პოლიტიკისა და ეკონომიკის მიმართულებები, კერძოდ: ეკონომიკა, თანასწორობის თემატიკა, განათლება, გენდერულ საკითხებზე დამყარებული ძალადობა და პროფესიული თუ პირადი ცხოვრების ბალანსი.

ახალი ინიციატივების შემოთავაზებისას გენდერული საკითხების გათვალისწინება პოლიტიკასა და კანონმდებლობაში აუცილებელი წინაპირობაა გენდერულ თანასწორობაზე უარყოფითი გავლენების თავიდან ასაცილებლად.

ქალთა ეკონომიკური გაძლიერება, თავის მხრივ, ერთ-ერთ მნიშვნელოვან გზას წარმოადგენს გენდერული თანასწორობის მიღწევის პროცესში, ეკონომიკური ძალადობის აღმოფხვრა და ეკონომიკური რესურსების ხელმისაწვდომობა კი ეკონომიკურ გაძლიერებას უწყობს ხელს.

საკვანძო სიტყვები: გენდერული თანასწორობა, მწვანე ეკონომიკა, ინდივიდუალური და ოჯახური სიღარიბე, ეკონომიკური თანამშრომლობა, ძალადობა, დისკრიმინაცია.

პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროში ქალთა წინაშე არსებული

გამოწვევები

შესავალი

საქართველოს დემოკრატიული განვითარების გზაზე კვლავ პრობლემად რჩება გენდერული თანასწორობის მიღწევა. მიუხედავად საკანონმდებლო,

ინსტიტუციური და სამოქალაქო საზოგადოების დონეზე განხორციელებული არაერთი პოზიტიური ცვლილებისა და აქტივობისა, საქართველოში გენდერული უთანასწორობის მაჩვენებელი კვლავ მაღალია.

ქალთა ეკონომიკური გაძლიერება, ერთ-ერთ მნიშვნელოვან გზას წარმოადგენს გენდერული თანასწორობის მიღწევის პროცესში, ეკონომიკური ძალადობის აღმოფხვრა და ეკონომიკური რესურსების ხელმისაწვდომობა კი ეკონომიკურ გაძლიერებას უწყობს ხელს.

პოლიტიკა და გენდერული თანასწორობის მნიშვნელობა

გენდერული თანასწორობის მთავარ გამოწვევად ისევ რჩება პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა მონაწილეობის დაბალი მაჩვენებელი. ქვეყანაში გატარებულმა პოზიტიურმა ცვლილებებმა ბოლო საპარლამენტო არჩევნების შედეგად, მართალია, უზრუნველყო ქალთა წარმომადგენლობის გაზრდა საკანონმდებლო ორგანოში, თუმცა, როგორც ჩატარებული კვლევები აჩვენებს, საქართველო კვლავ რჩება იმ ქვეყნებს შორის, სადაც გადაწყვეტილების მიღების დონეზე ქალთა წარმომადგენლობის მაჩვენებელი ჯერ კიდევ დაბალია.

ეს მაჩვენებელი დაბალია აღმასრულებელ ხელისუფლებაშიც. ბოლო რამდენიმე წლის მონაცემებით, მინისტრთა კაბინეტში ქალი მინისტრების რაოდენობა თითქმის უცვლელია და ის მერყეობს 16%-დან 21%-მდე.

გენდერული თანასწორობის მისაღწევად ადგილობრივ თვითმმართველობებს უდიდესი როლი აკისრიათ. ადგილობრივი თვითმმართველობა კარგ მმართველობას ვერ განახორციელებს, თუ სათანადო ყურადღებას არ დაუთმობს გენდერულ თანასწორობასა და ქალების გაძლიერებას.

ბოლო წლებში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ გენდერული თანასწორობის გაუმჯობესებისაკენ მიმართული არაერთი აქტივობის მიუხედავად, კვლავ პრობლემად რჩება ქვეყნის გენდერულ პოლიტიკაში რეგიონების განსხვავებული საჭიროებების ასახვა.

როგორც კვლევები აჩვენებს, უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე ქალთა მონაწილეობის მაჩვენებელი ადგილობრივ თვითმმართველობებშიც თითქმის არ შეცვლილა. იგი განსაკუთრებით დაბალია ეთნიკური უმცირესობებით

დასახლებული მინიციპალიტეტების საკრებულოებში, სადაც ქალთა წარმომადგენლობა დეპუტატთა საერთო რაოდენობის მხოლოდ 3%-ს შეადგენს.

მდგომარეობა განათლების სფეროში

გენდერული თანასწორობის საკითხი ჯერ კიდევ არასრულყოფილია ევროპულ ქვეყნებშიც, ისეთ ქვეყნებშიც კი, სადაც განათლების ხელმისაწვდომობა თავისთავად უზრუნველყოფილი უფლებაა, ქალები საშუალოდ უფრო მეტად განიცდიან უმუშევრობას, ვიდრე მამაკაცები, შრომის ბაზარზე გენდერული დანაწილება წარმოიქმნება სკოლებსა და უნივერსიტეტებში მიღებული უმაღლესი განათლებისა და პროფესიული არჩევანის შედეგად.

ნ. გაფრინდაშვილი ნაშრომში – „გენდერული გავლენის შეფასება“ – მიუთითებს: „ბოლო წლების მონაცემებით 30-34 წლის ასაკის მოსახლეობის 37,9%-ს აქვს უმაღლესი განათლება, მათგან ქალების ეს რიცხვი არის 42,3% და კაცებს შორის 33%, თუმცა ქალები მნიშვნელოვნად ნაკლებად არიან წარმოდგენილი გარკვეულ სფეროებში, მაგალითად, მეცნიერება, ტექნოლოგიები, ინჟინერია, მათემატიკა. ამ დარგებში სამეცნიერო ხარისხი უფრო მეტად მამაკაცებს აქვთ დაცული, ხოლო ჰუმანიტარულ და სოციოლოგიურ მეცნიერებებში – ქალებს.“[1.2] (პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, 2020, გვ. 2). ეს სიტუაცია ქმნის ე.წ. „კაცურ“ და „ქალურ“ პროფესიებს, რაც არა მხოლოდ გოგონების ტალანტს კარგავს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მიმართულებით, არამედ ვაჟებისთვისაც ხელშემშლელი პირობაა პროფესია აირჩიონ ჰუმანიტარული მეცნიერების მიმართულებით.

კვლევები ადასტურებს, რომ თითქმის ყველა ევროპულ ქვეყანაში, გარდა ფინეთისა, სადაც დაბალანსებულია სკოლის მოსწავლეთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში, მასწავლებელთა 75%-ს ქალები წარმოადგენენ. რაც შეეხება აკადემიურ თანამდებობებს, აქ კაცების უპირატესობა აშკარაა. ეს ეხება არა მხოლოდ მათემატიკურ და სხვა ტექნოლოგიურ დარგებს, სადაც უფრო მეტი კაცი სწავლობს და მუშაობს, არამედ იმ დარგებსაც, რომლებსაც ქალები უფრო ირჩევენ.

ტრადიციული გენდერული „როლები“ (ქალი, როგორც დიასახლისი და ბავშვების მომვლელი და კაცი, როგორც ოჯახში შემოსავლის შემომტანი) ჯერ კიდევ დომინანტურია ოჯახში, სამუშაოსა თუ საზოგადოებაში. ჩატარებული

კვლევების მიხედვით, გოგონებთან შედარებით ბიჭებს უფრო დაბალი უნარები და აკადემიური მოსწრება აქვთ, სწავლების მინიმალური დონე ვერ დააკმაყოფილა ბიჭების 14%-მა და გოგონების 9%-მა, ამასთან, გოგონებს, ზოგადად, უფრო მაღალი საშუალო მაჩვენებელი აქვთ ჰუმანიტარული მიმართულებით, ბიჭებს კი – მათემატიკაში [2.13].

არსებობს მტკიცებულებები, რომ სკოლებში, განსაკუთრებით გოგონათა შემთხვევაში, ჯერ კიდევ გავრცელებულია სექსუალური და სხვა სახის ძალადობა, თუმცა ბიჭებიც მნიშვნელოვანი რისკის ქვეშ დგანან და განიცდიან დისკრიმინაციას, ბულინგსა და ძალადობას, განსაკუთრებით სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობებისა და ეთნიკურობის გამო.

კვლევის თანახმად, ქალები ნაკლებად არიან წარმოდგენილნი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმძღვანელ პოზიციებზე. ამის მიზეზად ნ. გაფრინდაშვილი ასახელებს გენდერულად დისკრიმინაციულ მიდგომებს [3.15]. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მეცნიერების სფეროში გენდერული დისკრიმინაცია ხშირად დაფარული ფორმით მიმდინარეობს. კვლევასა და მეცნიერებაში გენდერული კრიტერიუმების ჩართვას დიდი შესაძლებლობები აქვს. იგი იძლევა საშუალებას წარმოიქმნას ახალი პერსპექტივები დარგში, გაჩნდეს ახალი კითხვები და კვლევის ახალი სფეროები.

ეკონომიკა

ქალთა ეკონომიკური მდგომარეობის გაძლიერების მიზნით, საქართველოს რიგი ვალდებულებები აქვს აღებული. მაგალითად, „ევროპის სოციალური ქარტია“ ქვეყანას ავალდებულებს გაატაროს მნიშვნელოვანი ცვლილებები, კერძოდ, აღმოფხვრას გენდერული სახელფასო სხვაობა; საქართველოს ასევე ხელი აქვს მოწერილი ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციაზე და მიერთებულია პეკინის დეკლარაციასა და პლატფორმას. მიუხედავად ამისა, ქალების სოციო-ეკონომიკური სტატუსი ქვეყანაში შორსაა სასურველისაგან. კერძოდ, ქალებში ჯერ კიდევ ძალზე დაბალია ეკონომიკური აქტიურობა.

გაეროს ფონდის მონაცემების მიხედვით, სოფლის მეურნეობაში გაცილებით მეტი ქალი მუშაობს, ვიდრე მამაკაცი, ხოლო საჯარო ადმინისტრაციაში,

ინდუსტრიაში, ტრანსპორტსა და კომუნიკაციებში დომინანტები მამაკაცები არიან, ამასთან, ქალები უფრო მეტად გვევლინებიან ოჯახის დამხმარედ, ვიდრე დამსაქმებლად.

გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა ქალების უნარებისა და ტალანტის გამოვლენას ისახავს მიზნად, რაც, თავის მხრივ, აუცილებელია მდგრადი განვითარების მიზნებისათვის. უშუალოდ ეკონომიკის სექტორში, შრომის ბაზარზე, მნიშვნელოვანი დადებითი კორელაცია ფიქსირდება გენდერულ თანასწორობასა და ეკონომიკურ ზრდას შორის.[4.34]

ბოლო პერიოდში განსაკუთრებული აქცენტი კეთდება მწვანე ეკონომიკასა და მდგრად განვითარებაზე. კვლევების თანახმად, ენერგეტიკის დარგში ქალები მამაკაცებთან შედარებით გაცილებით მომჭირნე მომხმარებელი არიან. ისინი ორიენტირებულნი არიან ეკოპროდუქტის ყიდვაზე, მათვის უფრო მნიშვნელოვანია ენერგო-ეფექტური ტრანსპორტი და საწვავი. მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად ქალები მეტად გამოხატავენ სურვილს შეცვალონ ქცევა, მათ შორის ენერგო-ეფექტურობის მიმართულებით.

ტურიზმი

ტურიზმი ქვეყანაში შემოსავლის ერთ-ერთი თვალსაჩინო შემომტანია. შეფასებულია, რომ მისი წვლილი მსოფლიო ეკონომიკაში მშპ-ის დაახლოებით 9%-ს აღწევს. ტურიზმი ქალებისათვის გარკვეულ გამოწვევებთან ერთად, დიდ შესაძლებლობებსაც წარმოშობს, შესაბამისად, გენდერული თანასწორობის პერსპექტივას დიდ მნიშვნელობას სძენს. კერძოდ, ტურიზმი განვითარებად ქვეყნებში შრომის ბაზარზე შესვლის სერიოზულ საწყის პუნქტს წარმოადგენს, განსაკუთრებით ქალების, ახალგაზრდების, სოფლის მოსახლეობისა და მიგრანტებისათვის. მსოფლიო ტურიზმის სექტორში დასაქმებულთა 60-70%-ს ქალები წარმოადგენენ, მაშინ, როცა ევროპაში ეს მაჩვენებელი 58%-ს აღწევს. ტურიზმის სექტორში მუშაობა საკმაოდ მოქნილია და ნახევარ განაკვეთზე, ცვლებში მუშაობის შესაძლებლობას იძლევა. ტურიზმი ამცირებს ინდივიდუალურ და ოჯახურ სიღარიბეს. იგი ახლო კავშირშია სხვა სექტორებთან (კვება, ტრანსპორტი, გარემოს დაცვა, ადგილობრივი მცირე საოჯახო მეწარმეობა და სხვა) და ამ სექტორებშიც მეტი სამუშაო ადგილის შექმნა შეუძლია. [5.23-24]

რაც შეეხება გამოწვევებს ტურიზმის სექტორში, ეს უკავშირდება რამდენიმე საკითხს, მათ შორის შრომის ბაზრის დაყოფას. როგორც ბევრ სხვა სექტორში, ტურიზმშიც ქალები ხშირად დაბალ ანაზღაურებად პოზიციებზე არიან დასაქმებული; არც ისე დიდია ქალების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში; კაცებთან შედარებით, ტურიზმის სექტორით მოსარგებლე ქალები ნაკლებად სარგებლობენ ტურისტული შესაძლებლობებით, მაგალითად, ხშირად აცხადებენ, რომ ვერ აიღებენ შვებულებას პირადი ან ფინანსური პრობლემების გამო; ამ სექტორში ქალები უფრო მოწყვლადნიც არიან, განსაკუთრებით სასტუმრო ინდუსტრიაში ისინი ხშირად ხდებიან გენდერული ნიშნით ძალადობისა და სექსუალური შევიწროების მსხვერპლნი (მაგალითად, ბარმენები, მიმტანები, სასტუმროს დამლაგებლები და სხვ.).

მნიშვნელოვან გენდერულ სხვაობას ვხვდებით სატრანსპორტო სექტორშიც, სადაც ძირითადად მამაკაცები არიან დასაქმებული (მაგ., მძღოლები, პილოტები...), ქალები კი უმთავრესად მომსახურებასთან დაკავშირებულ პოზიციებს იკავებენ. მსგავსი მდგომარეობაა გადაწყვეტილებების მიმღებ პოზიციებზეც – დარგში მოღვაწე კომპანიების მმართველ საბჭოებში ქალები მხოლოდ 20%-ს წარმოადგენენ [6.18-20].

მეწარმეობა

ქალების გააქტიურება სამეწარმეო საქმიანობის მიმართულებით სასარგებლოა არა მხოლოდ მათი გაძლიერებისა და სოციალური ჩართულობის მიზნით, არამედ ეკონომიკური თვალსაზრისითაც, ვინაიდან ქალები წარმოადგენენ ძლიერ ეკონომიკურ რესურსს.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ქვეყნების ბიზნესების 30%-ს წარმოადგენს ქალების მფლობელობაში არსებული ბიზნესები. ბიზნესის დაწყებისას ქალები შედარებით მცირე მასშტაბს არჩევენ. კრედიტისა და ფინანსების ხელმისაწვდომობა მათთვის უფრო შეზღუდულია, ვინაიდან ისინი ხშირად არ ფლობენ ე.წ. საიპოთეკო ქონებას, როგორც არის მიწა ან სხვა უძრავი ქონება, რომლებიც ძირითადად კაცების სახელზეა რეგისტრირებული და თუ ქალს დამოუკიდებლად უნდა სესხის აღება, გრანტის მიღება, ამაზე სჭირდება კაცის ნებართვა. ქალები თავიათი ორმაგი საქმიანობის

(ოჯახი და სამსახური) და ზოგადი სოციალური ვალდებულებების გამო უფრო მეტად იზოლირებულნი არიან და ნაკლები დრო აქვთ ბიზნესში შესაბამისი კონტაქტების მოძიებისა და მათთან ურთიერთობისათვის. [7.54]

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას იმისათვის, რომ ქალი ეკონომიკურად გაძლიერდეს, საჭიროა მას ჰქონდეს ფინანსებსა და რესურსებზე ხელმისაწვდომობა, ზურგს უმაგრებდეს მყარი და ეფექტური ინსტიტუტები და, რაც მთავარია, გააჩნდეს არჩევანის თავისუფლება და კონტროლი საკუთარ ცხოვრებაზე. გენდერულ თანასწორობაზე უარყოფითი გავლენის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია ახალი ინიციატივების შემოთავაზებისას გათვალისწინებულ იქნას გენდერული საკითხები პოლიტიკასა და კანონმდებლობაში.

საჭიროა ხელი შეეწყოს ლიდერ ქალთა დაწინაურებას ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე; განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებსა და სოფლად მცხოვრებ ქალთა ჩართულობას.

ინტერვენციები და დახმარება ყველაზე უკეთ მუშაობს მაშინ, როცა ქალს აქვს მცირე სოციალური შეზღუდვები, ეკონომიკური დამოუკიდებლობა ან ავტონომია (ფიზიკური მობილურობის შესაძლებლობა და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება). სწორედ ეს მახასიათებლებია წარმატების წინაპირობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაფრინდაშვილი ნესტანი. „გენდერული გავლენის შეფასება“, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, 2020.
2. დიაკონიძე ანა, ეკონომიკური განვითარების დღის წესრიგის ფემინისტური ანალიზი, 2020.
3. კახიძე შორენა, „გენდერული ბიუჯეტირების გამოწვევები საქართველოში მუნიციპალურ დონეზე“, 2020.
4. მარგველაშვილი ქრისტინე, „ქალთა ეკონომიკური გაძლიერება საქართველოში“, არსებული პოლიტიკისა და ინიციატივების ანალიზი, 2020.
5. საქართველოს სახალხო დამცველი, გენდერული თანასწორობა და ქალთა უფლებები.

6. ყიფიანი მ., გაბისონია ი., გლოველი ც.. „ოჯახში ძალადობის პრობლემები საქართველოში“, თბ., 2018, გამომცემლობა „იურისტის სამყარო“.
7. ავტორთა კრებული. „გენდერული თანასწორობა და დისკრიმინაციის აღმოფხვრა“, თბ., 2020, გამომცემლობა „მერიდიანი“.

Prof. Aleksandre Taliashvili

Faculty of Law and

International Relations

Challenges facing women in political and economic spheres

In order to make the woman economically strong, she has to have an access to finances and resources, to be supported by firm and effective institutions, and, the most important, to have freedom of choice and control over her own life. With a view to get rid of negative impact of gender equality it is necessary to take gender issues into account, when offering new initiatives in politics and legislation.

It is important to promote women advancement at the local self-government level; a special attention has to be paid to representatives of ethnic minorities and involvement of rural woman population.

Interventions and assistance are the most effective, when woman is barely limited in social sphere, has an economic independence or autonomy (opportunity of physical mobility and independent decision making). Exactly these characteristics are the preconditions of success.

აბსტრაქტი

ირანის სეფიანთა შაჰების კარზე ქართველთა მოღვაწეობის, მათი პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის შესახებ საყოველთაოდაა ცნობილი. შედარებით მწირია ინფორმაცია ირანში სხვადასხვა გზით მოხვედრილი ქართველი ქალების შესახებ.

შაჰ-თამაზ I-ის, ჰეიდარ-მირზას, ხოდაბენდეს, შაჰ-აბას I-ის კარზე მყოფი ქართველი ქალები, რომელთა ცხოვრებაზეც ირანში მიმდინარე პოლიტიკურმა მოვლენებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს. ამასთანავე, ამ ქალებმა გარკვეული როლი ითამაშეს სეფიანთა ირანის სამეფო კარზე განვითარებულ პროცესებში. ირანის შაჰების კარზე მყოფი ქართველი ქალების შესახებ ცნობები დაცულია ძირითადად სპარსულ და ნაწილობრივ ევროპულ წყაროებში. ქართული ნარატივები ამ კუთხით მცირე ინფორმაციის შემცველია და რიგ შემთხვევებში უზუსტობებსაც აქვს ადგილი.

საკვანძო სიტყვები: ირანი, სეფიანები, ყიზილბაშები, შაჰი, ქართველი ქალები, ჰარამხანა.

ქართველი ქალები სეფიანთა შაჰების კარზე

შესავალი

ირანის სეფიანთა შაჰების კარზე ქართველთა მოღვაწეობის, მათი პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის შესახებ საყოველთაოდაა ცნობილი. შედარებით მწირია ინფორმაცია ირანში სხვადასხვა გზით მოხვედრილი ქართველი ქალების შესახებ. სწორედ ამ საკითხის უკეთ წარმოჩენის მცდელობას წარმოადგენს ნაშრომი.

კვლევის ძირითადი მიზანია საზოგადოებას გავაცნოთ სეფიანთა ირანის მბრძანებლების: შაჰ-თამაზ I-ის, ჰეიდარ-მირზას, ხოდაბენდეს, შაჰ-აბას I-ის კარზე მყოფი ქართველი ქალები, რომელთა ცხოვრებაზეც ირანში მიმდინარე პოლიტიკურმა მოვლენებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს. ამასთანავე, ამ ქალებმა გარკვეული როლი ითამაშეს სეფიანთა ირანის სამეფო კარზე

განვითარებულ პროცესებში. ირანის შაჰების კარზე მყოფი ქართველი ქალების შესახებ ცნობები დაცულია ძირითადად სპარსულ და ნაწილობრივ ევროპულ წყაროებში. ქართული ნარატივები ამ კუთხით მცირე ინფორმაციის შემცველია და რიგ შემთხვევებში უზუსტობებსაც აქვს ადგილი.

სეფიანები და ქართველი ქალები

ქართველი ქალების ირანში ყოფნისა და მისი მასშტაბების შესახებ ჯერ კიდევ 1627 წელს პიეტრო დელა ვალე რომში გაგზავნილ თავის მოხსენებაში აღნიშნავდა. მისი აზრით, XVII საუკუნეში მთელი სპარსეთი და ოსმალეთი სავსე იყო საქართველოდან წაყვანილი ქართველთა შვილებით: „არ მოიძებნება სადმე ვინმე ფაშის ან ბეგის ოჯახი, რომ იქ ერთი ან ორი ქართველი ყმაწვილი არ ყოფილიყო დაკავებული“ (პიეტრო დელა ვალე 1879: 57).

1921 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „ქართველები კონსტანტინოპოლში და სპარსეთში“ კონსტანტინოპოლის წარსულის მკვლევარი ევგენი დალეჯიო დ'ალესიო, რომელსაც ოსმალეთის არქივებში დაცულ მრავალრიცხოვან საისტორიო წყაროებზე მიუწვდებოდა ხელი, წერდა: „რიცხვრმრავალ ქართველთა ტომის შვილებთა შთამომავლებით სავსე იყო ოსმალ-სპარსეთი, ირანის შაჰებისა და ოსმალთა სულთნების ჰარამხანები ხომ ყოველთვის ქართველთა ქალებით იყო სავსე. ასე ეწაფებოდნენ ქართველებს სპარსელნი“ (დალეჯიო დ'ალესიო 1990:59).

სეფიანთა სპარსეთის შაჰების ჰარამხანებში სხვადასხვა დროს მოხვედრილი ქართველი ქალების შესახებ ვ. კეკელიძეს ამგვარი პოზიცია გააჩნდა: „ის ქალები, მეფე-დიდებულთა ოჯახებიდან, რომლებიც იგზავნებოდნენ შაჰების კარზე, როგორც მეუღლეები და თანამეცხედრეები მრისხანე ტირანისა, ან იძულებით ან ნებაყოფლობით, უკანასკნელნი იმ ანგარიშით, რომ დასიძების გზით აეცილებინათ ან შეერბილებინათ გულისწყრომა და რისხვა ჯალათისა, საბოლოოდ ამ ქალებსაც სამშობლოსათვის განწირულთა როლში ვხედავთ... ისინი ღირსნი არიან მათი სახელებიც მოიხსენიებოდეს იმ პირთა შორის, რომელნიც საქართველოს სამსხვერპლოზე იღწვოდნენ ქვეყნის ავბედობის დროს“ (კეკელიძე 1957: 217-225).

XVI საუკუნეში დაიწყო და XVII საუკუნეში კიდევ უფრო გაძლიერდა ირანის სეფიანთა შაჰების ექსპანსია საქართველოს მიმართ. ამის დასტურია შაჰ-თამაზის ხუთგზის ლაშქრობა (1541-1554 წწ.) ქართლში, რის შედეგადაც ათასობით ქალ-ვაჟი

ტყვედ წაიყვანეს ირანში. ამასთანავე, ქართლ-კახეთის მეფეები და სამცხის ათაბაგები იძულებით ან გულის მოგების მიზნითაც უგზავნიდნენ შაჰ-თამაზს ქალიშვილებს.

ირანის შაჰის თამაზის ჰარამხანა დაახლოებით 400-500 ქალს ითვლიდა, რომელთა უმრავლესობა კავკასიის ქვეყნებიდან იყო (სვანაძე 1990: 242). ცნობილია, რომ შაჰ-თამაზს (1524-1576 წწ.) მრავალრიცხოვანი შვილებიდან - ოთხი ვაჟი და ერთი ქალიშვილი ქართველი ცოლებისგან შეეძინა. თამაზს ქართველი ცოლებისგან ჰყავდა ვაჟები: ჰეიდარ-მირზა, რომლის დედა იყო ზადე ხანუმი; მუსტაფა-მირზა და ალი-მირზა, რომელიც ზაჰრა ბაჯისგან ეყოლა და იმამყული-მირზა, დედამისი ხანფარვან ხანუმი. შაჰის რვა ასულიდან დედით ქართველი იყო ზეინაბ ბეგუმი, რომელსაც ადრე ანა ერქვა.

შაჰის თამაზის ქართველი ცოლებისა და შვილების შესახებ ქართული წყაროების ინფორმაცია მწირია. ვახუშტისა და ბერი ეგნატაშვილის ცნობით, 1548 წელს შაჰ-თამაზ I-მა ქაიხოსრო II ათაბაგს ასული სთხოვა ცოლად. რადგან ქაიხოსროს ქალიშვილი არ ჰყავდა, მან ირანის შაჰს ოთარ შალიკაშვილის ასული მიათხოვა. ამ ქართული წყაროებით, ირანის შაჰის თამაზის უფროსი ვაჟის ხოდაბენდეს დედა იყო სწორედ ოთარ შალიკაშვილის ასული. ამ ინფორმაციას არ ადასტურებენ სპარსეული წყაროები, რომლებიც თამაზის ორი უფროსი ვაჟის დედად ასახელებენ თურქმანული წარმოშობის სულთანამს. ეს ვერსია უფრო სარწმუნოა, რადგან შალიკაშვილის ასულის ცოლად მოყვანის დროს, შაჰ-თამაზის უფროსი ვაჟები საკმაოდ მოზრდილები იყვნენ.

არსებობდა თვალსაზრისი, რომ ქართველი ცოლებისგან, კონკრეტულად შალიკაშვილის ქალისგან შეძენილი უნდა ყოფილიყო ჰეიდარ მირზა, თუმცა სპარსეულ წყაროებში ესეც არ დასტურდება. საგულისხმოა, რომ შაჰ-თამაზის გარდაცვალების შემდეგ ტახტისთვის გამართულ ბრძოლებში შალიკაშვილების ფეოდალური სახლის წარმომადგენლები მონაწილეობას არ ღებულობდნენ. ეს იმაზე მიგვანიშნებს, შაჰთან შალიკაშვილის ქალიშვილს ვაჟი მემკვიდრე არ ჰყოლია. მათი საერთო შვილი იყო ქალი ანა, შემდგომში ზეინაბ ბეგუმად წოდებული.

შაჰ-თამაზს შვილებიდან ყველაზე მეტად ჰეიდარ-მირზა უყვარდა, რომელიც შაჰის მოადგილედ ითვლებოდა. ვენეციის რესპუბლიკის ელჩის დ'ალესანდროს ანგარიშებიდან ირკვევა, რომ 18 წლის უფლისწული ჰეიდარ-მირზა კარგი გარეგნობით, შესანიშნავი ორატორული ნიჭით, ბრწყინვალე მოჯირითის თვისებებით იყო დაჯილდოვებული და მამის დიდი ნდობითაც სარგებლობდა. სპარსული წყაროების თანახმად, ჰეიდარ-მირზასა და იმამყული-მირზას ბიძები დედის მხრიდან ალიხან-გურჯი და ზაალ გურჯი იყვნენ და იმასაც აღნიშნავენ, რომ მათ სხვადასხვა დედები ჰყავდათ. სპარსელი ავტორის ნ. ფალსაფის მიხედვით, ქართველი სარდლები ზაალი, დაუდი და თამაზი იმამყული-მირზას დედის - ხანფარვან ხანუმის ძმები იყვნენ და შაჰის ტახტზე ჰეიდარ-მირზას კანდიდატურას უჭერდნენ მხარს, რადგან ისიც დედით ქართველი იყო, ხოლო თავად ჰეიდარ-მირზას ბიძად კი ალი ხანია დასახელებული. „მესხური დავითნის“ ქრონიკაში მოხსენიებულია ვინმე იოთამაშვილი ალიხან და ხაზი აქვს გასმული იმ ფაქტს, რომ სამცხის ათაბაგებსა და მათ ოჯახის წევრებს მჭიდრო ურთიერთობა აქვთ ირანის შაჰის კართან. სავარაუდოდ, ჰეიდარ-მირზას დედა სარდალ ალიხან იოთამაშვილის დაა და არა ქართულ წყაროებში მოხსენიებული შალიკაშვილის ასული. ჰეიდარ-მირზას მხარს უჭერდნენ სხვა ქართველი უფლისწულები, როგორც უკვე აღვნიშნეთ მათი ბიძები ალი-ხანი, ზაალ ბეგი, დაუდი და თამაზი. ისქანდერ მუნში ჰეიდარ-მირზას ნდობით აღჭურვილ პირთა შორის ასახელებს სიაუმ ბეგ ქართველსა (ცნობილი მხატვარი შაჰ-აბასის დროს) და მის ძმას ფეროხ ბეგს, რომელსაც შაჰის ხაზინადარის თანამდებობა ეკავა (ისქანდერ მუნში 1969: 27).

სპარსელი ავტორის ნასროლა ფალსაფის ცნობით, შაჰ-თამაზის მძიმე ავადმყოფობის დროს ტახტისთვის ბრძოლაში მეტად აქტიურობდა ორი ქალი. აქედან ერთი იყო „შაჰ-თამაზის ჰარამხანაში სულთან ზადე ხანუმი - ჰეიდარ-მირზას დედა, რომელიც ქართველი ქალი იყო და შაჰს ცოლებში ყველაზე მეტად უყვარდა. ზადე ხანუმი ქართველი სარდლების საშუალებით, რომლებსაც შაჰის კარზე დიდი გავლენა და ძალა ჰქონდათ, შვილის ტახტზე ასაყვანად ნიადაგს ამზადებდა (ფალსაფი 1947: 10-11). 1576 წელს შაჰ-თამაზი გარდაიცვალა და მისი ანდერძის თანახმად, ტახტზე ჰეიდარ-მირზა ავიდა. (ირანის ისტორიის ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ეს ანდერძი ჰეიდარ-მირზას მომხრეების მიერ იყო

გაყალბებული). ახალი შაჰი პრაქტიკულად სასახლეში დატყვევებული აღმოჩნდა, რადგან სასახლეს ტახტის სხვა მემკვიდრის მომხრე თურქმანული ტომები, მათ შორის ყაჯარები იცავდნენ. ჰეიდარ-მირზას მხარდამჭერებმა სასახლეზე შეტევის განხორციელება სცადეს, მათ შორის იყო ქართველთა რაზმი ზაალ ბეგის მეთაურობით. ჰეიდარ-მირზა მანამდე მოკლეს, სანამ მის დასახმარებლად შეჭრილმა სამხედრო ძალამ შაჰის აპარტამენტებამდე მიაღწია. ტახტზე ისმაილ მირზა ავიდა, რომელიც შაჰ-ისმაილ II-ის სახელით მართავდა ირანს. ახალი შაჰი სასტიკად გაუსწორდა საკუთარ ძმებსა და მათ მომხრეებს. ჰეიდარ-მირზას მხარდამჭერებიდან მხოლოდ ალი ხანმა შეძლო სამშობლოში დაბრუნება.

შაჰ-ისმაილ II-მ გაათავისუფლა სიმონ I, რომელიც 1569 წლიდან მასთან ერთად იმყოფებოდა ტყვეობაში. ახალ შაჰს დიდხანს მმართველობა არ დასცალდა. იგი 1577 წელს გარდაიცვალა, შესაძლოა მოკლეს კიდეც. ტახტზე მისი ძმა ხოდაბენდე (1557-1587 წწ.) ავიდა. უსინათლო შაჰის პირობებში ქვეყნის მმართველობის სადავეები მისმა ცოლმა მაჰდი ულამ აიღო. მან სიკვდილით დასაჯა ყველა პირი, რომელმაც შაჰ-ისმაილის ხელისუფლებაში მოყვანის საქმეში დიდი როლი ითამაშა. მათ შორის იყვნენ შაჰის ოჯახის წევრები.

ხოდაბენდეს მმართველობის დროს შაჰ-თამაზის მეუღლე - შალიკაშვილის ასული და მისი ქალიშვილი ზეინაბ ბეგუმი (ანა) სასახლის კარზე დიდი პატივისცემით სარგებლობდნენ. აღმოსავლური და ევროპული წყაროებიდან ირკვევა, რომ ზეინაბ ბეგუმმა განსაკუთრებული გავლენა და ავტორიტეტი შაჰ-აბასის ზეობის ეპოქაში მოიპოვა.

ირან-ოსმალეთს შორის 1555 წელს დადებული ამასიის ზავი ოსმალთა მხრიდან 1578 წელს დაირღვა. საომარი მოქმედებების განახლების პირობებში, შაჰის კარზე ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურ გზებს ეძებდნენ. ირანელთა მიერ ქართლის ტახტზე დასმული დაუდ ხანი საკუთარ ქვეყანაში ავტორიტეტით ვერ სარგებლობდა და შესაბამისად, ოსმალებს სათანადო წინააღმდეგობას ვერ უწევდა. ზოგიერთი ქართველი მკვლევარი, მათ შორის მ. სვანაძე მიიჩნევს, რომ ირანის მმართველ ელიტას ირანში მყოფი სიმონ I-ის კვლავ ქართლის ტახტზე დაბრუნების იდეა სწორედ ოთარ შალიკაშვილის ასულმა მიაწოდა. ქალი თვლიდა, რომ ოსმალთა წინააღმდეგობის დასაძლევად სწორედ სიმონი მოახდენდა

ქართველი ხალხის დარაზმვას და საბოლოო წარმატების მიღწევას (სვანაძე 1990: 248). ქართული წყაროების თანახმად, შალიკაშვილის ქალმა მოიყვანა მეფე სიმონ, ქართული ტრადიციის თანახმად დაულოცა ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლის გზა და ასე მიმართა: „მეფე სვიმონ გწადდეს ლეჩაქი ესე, აიღეო და გწადდეს ხმალიო, ჩვენც მოგუეხმარე და შენს საბატონოსა, და მისცა ნიჭი მრავალი და სამოსელი სამეფო და წარმოგზავნა თვისსა ქართლად და წარმოვიდა (ბერი ეგნატაშვილი 1959: 364, ვახუშტი 1973: 411).

სეფიანთა შაჰებიდან ყველაზე მრავალრიცხოვანი ჰარამხანა შაჰ-აბას I-ს (1586-1629 წწ.) ჰყავდა. მის ჰარამხანაში დიდი რაოდენობით იყვნენ ქალები კავკასიიდან, განსაკუთრებით საქართველოდან. ნ. ფალსაფის ცნობით, საქართველოს მეფეები, სომხეთისა და შარვანის გამგებლები შაჰს ყოველწლიურად საჩუქრად განსაზღვრული რაოდენობით ქართველ, სომეხ და ჩერქეზ ქალებს უგზავნიდნენ. მათგან რამდენიმე მეფური შთამომავლობის ქალი შაჰის კანონიერი ცოლი ხდებოდა, ზოგიერთს ჰარამხანაში ტოვებდა, დანარჩენებს თავის სარდლებს უგზავნიდა (ფალსაფი 1947: 213).

შაჰ-აბასის უფროს ძმას ჰამზა-მირზას ორი ცოლი ქართველი გყავდა. ამის შესახებ ისქანდერ მუნში მოგვითხრობს: შაჰ ხოდაბენდემ ქართლის მეფე სიმონსა და კახეთის მეფე ალექსანდრეს თავიანთი ქალიშვილების უფლისწულ ჰამზა-მირზასთვის გაგზავნა მოსთხოვა. ქართველი მეფეები იძულებული გახდნენ დაეკმაყოფილებინათ შაჰის ეს ბრძანება. ამ ფაქტს 1582 წელს ირანში მცხოვრები კარმელიტი მისიონერიც ადასტურებს, რომელიც წერს: თბილისი, რომლის მეფე ქრისტიანია, ხარკს უხდის ირანს და თავისი ქალიშვილი შაჰის ვაჟიშვილზე ჰყავს გათხოვილიო.

ჰარამხანაში მცხოვრები ქართველი ქალები ხშირად ფარულად ინარჩუნებდნენ ქრისტიანობას და ქართულ ადათ-წესებს. შაჰ-აბასის კარზე მყოფი პორტუგალიელი ელჩის ცნობით, შაჰ-მირზას ცოლმა, კახეთის მეფის ასულმა მას აჩვენა ჯვარი, რომელსაც ავადმყოფი მეუღლის გამოჯანმრთელებას შესთხოვდა.

სამეცნიერო ლიტერატურაში ხაზგასმულია, რომ მძვინვარე შაჰი აბასი დიდ „სისუსტეს“ ამჟღავნებდა ქართველი ქალების მიმართ. სპარსული და ევროპული წყაროები შაჰ-აბასს სიმონ მეფის სიძედ მოიხსენიებენ. ნ. ფალსაფი მოგვითხრობს,

რომ ჰამზა-მირზას სიკვდილის შემდეგ შაჰ-აბასმა თავისი უფროსი ძმის ცოლზე იქორწინა. ანალოგიური ინფორმაცია გვხვდება ფარსადან გორგიჯანიძესთანაც: მას შემდეგ რაც შაჰ ხოდაბენდეს შვილმა აბასმა მეფობა წაართვა, სიმონ მეფის ქალიშვილზე ფახრიჰ-ჯან ბეგუმზე იქორწინა - წერს ქართველი ავტორი (**ფარსადან გორგიჯანიძე 1925: 16**). სავარაუდოდ, ფახრიჰ-ჯან ბეგუმი სიმონ I-ის ის ქალიშვილია, რომელიც თავის დროზე ქართლის მეფემ ჰამზა-მირზას მისცა ცოლად და რომლის სიკვდილის შემდეგ იგი შაჰ-აბასის ცოლი გახდა.

მოგვიანებით, ქართლის მეფე ლუარსაბ II იძულებული გახდა შაჰ-აბასისთვის ცოლად მიეცა საკუთარი და ელენე (ლელა) (**ვახუშტი 1973: 411**). 1623 წელს შაჰ-აბასმა ლელა კახეთის მმართველ ფეიქარ ხანს დაუთმო, რადგან ლუარსაბის ვერაგულად მოკვლის გამო, შიშობდა ლელას მასზე ძმის გამო შური არ ეძია.

მრავარიცხოვანი ცოლებიდან შაჰ-აბასს ხუთი ვაჟი ჰყავდა. ავსტრიის ელჩის ცნობით, ირანის მზრძანებელს ქართველი მეფის ასულისგან ორი ძე ჰყავდა: სეფი-მირზა და მუჰამედ-მირზა. მართალია, იგი არ ასახელებს ქართველი მეფის სახელს, მაგრამ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული თვალსაზრისით, საუბარია სიმონ I-ის ქალიშვილზე, რომელიც მას კანონიერ ცოლად ესვა (**სვანაძე 2007: 195**).

XVII საუკუნის 20-იან წლებში ირანში მყოფი ინგლისის ელჩის თომას ჰერბერტის გადმოცემით, შაჰის შვილებიდან განსაკუთრებით დიდ იმედებს ოთხი ჭაბუკი იძლეოდა: ისმაილი, სეფი-მირზა, ხოდაბანდე სულთან და იმამყული-მირზა. პირველი ორის დედა ქართველი ქალი, ქართლის მეფის სიმონის ასულია, რომელსაც ავტორი გორდინას უწოდებს. ორი დანარჩენის დედაც ქართველია, ისქანდერ მირზას ქალიშვილი და მას მართად მოიხსენიებს. ჰერბერტი აღნიშნავს, რომ ქართველი ქალები გამოირჩეოდნენ განსაკუთრებული სილამაზით და შაჰს დიდ სიხარულს ანიჭებდა მათთან შეძენილი პირმშვენიერი შვილები, რომლებიც მამას დაემსგავსნენ გამჭრიახი გონებითა და მამაცობით. ოთხივე ყრმობის ასაკში დაიღუპა, აქედან ორი თავად შაჰმა მოიშორა თავიდან. ორივე ევროპელი ავტორი ასახელებს შაჰ-აბასის მეუღლედ სიმონ მეფის ქალიშვილს და მასთან შეძენილ ორ ვაჟს, განსხვავება მხოლოდ მათ სახელებშია.

საწინააღმდეგოა ნ. ფალსაფის ცნობები, რომლის მიხედვითაც, შაჰ-აბასის შვილებიდან მხოლოდ ერთს მუჰამედ-მირზას ჰყავდა ქართველი დედა. რაც შეეხება სეფი-მირზას, მის დედად ჩერქეზი ქალია მიჩნეული. ევროპულ და სპარსულ წყაროებში დაცული განსხვავებული ინფორმაციის მიზეზი შეიძლება იყოს: 1. იმის შესაძლებლობა, რომ ევროპელები ყველა კავკასიელს ქართველებად მოიხსენიებდნენ; 2. სპარსული წყაროების ტენდენციურობა. სეფი-მირზას ორი ვაჟი დარჩა: სულეიმან მირზა, რომელიც შაჰ-ისმაილ II-ის ქალიშვილისგან ჰყავდა და სამ-მირზა ქართველი ცოლისგან. შაჰ აბასს გამორჩეულად შვილიშვილი სამ-მირზა უყვარდა. რადგან შაჰ-აბასს მემკვიდრე არ დარჩა, მისი გარდაცვალების შემდეგ ტახტზე სამ-მირზა აიყვანეს, რომელიც ისტორიაში შაჰ-სეფი I-ის (1629-1641 წწ.) სახელითაა ცნობილი.

შაჰ-აბასი მრავალრიცხოვან ცოლებს შორის განსაკუთრებულ სულიერ სიახლოვესა და სიყვარულს ქართველი ქალის თამარის მიმართ განიცდიდა. ამის შესახებ ქართულ, სპარსულ და რუსულ წერილობით წყაროებში მეტად საყურადღებო ცნობებია შემონახული.

ქართული ნარატივებიდან საგულისხმოა ირანში მცხოვრები ისტორიკოსის ფარსადან გორგიჯანიძის მონათხრობი: „შაჰ-აბას ყაენს ცოლად ჰყავდა და ნამეტნავად უყვარდა ანდუყაფარ ამილახორის და თამარ“ (**ფარსადან გორგიჯანიძე 1925: 65**). ნ. ფალსაფის მოწმობით, ჰარამხანაში დადარდიანებულ და ნაღვლიან შაჰ-აბასთან მიახლოებასა და დალაპარაკებას მხოლოდ წარმოშობით ქართველი, უფროსი და კანონიერი ცოლი ბედავდა. ეს კი იყო ანდუყაფარ გურჯის, კახეთის ვალის ალექსანდრე ხანის ნათესავის ასული, რომელიც მან 1596 წელს შეირთო. სპარსული წყაროებიდან ირკვევა, რომ 1596 წელს შაჰმა აბას I-მა შეიტყო ქართველი აზნაურის ანდუყაფარ ამილახვარის უმშვენიერესი ასულის თამარის შესახებ და მისი ცოლად მოყვანა გადაწყვიტა. ამ მიზნით, მან საქართველოში გაგზავნა ირანის კარზე მყოფი უფლისწული ბაგრატ მირზა და ყიზილბაში სარდალი. მართლაც, თამარი ყაზვინში ჩაიყვანეს და შაჰს ჰარამხანაში მიჰგვარეს. სპარსული წყაროების მონაცემები დასტურდება რუსი დესპანის ბელოკუროვის მიერ გამოქვეყნებული დიპლომატიური ხასიათის მასალებიდანაც. ირკვევა, რომ თამარი კახთა მეფე ალექსანდრე II-ის ცოლის დისწული ყოფილა. ქვეყნის აოხრების საფრთხის

თავიდან ასაცილებლად, კახეთის მეფე იძულებული გახდა დაეკმაყოფილებნა შაჰის მოთხოვნა და თამარი დიდი პატივითა და ამალით ირანში გაეგზავნა.

შაჰ-აბასის კარზე განსაკუთრებით დიდი პატივისცემითა და გავლენით სარგებლობდა დედით ქართველი, ოთარ შალიკაშვილის შვილიშვილი, შაჰ-თამაზის ასული ზეინაბ ბეგუმი, იგივე ანა ხანუმი. იგი დანიშნული იყო ჰერეთის მმართველზე, მაგრამ ქორწინება სასიძოს სიკვდილის გამო ჩაიშალა. ნ. ფალსაფის სიტყვებით: „ხოდაბენდესა და ჰამზა-მირზას შაჰობის პერიოდში ზეინაბ ბეგუმი ჰარამხანის ფავორიტი, ხოლო შაჰ-აბასის დროს ჰარამხანის უფროსი და ქალთა შორის შაჰთან ყველაზე დაახლოვებული ქალი იყო“. ამასთანავე ირკვევა, რომ შაჰი მას უდიდეს პატივს სცემდა და სხვადასხვა საკითხებზე რჩევას ეკითხებოდა. ანა ხანუმი ბევრ ისეთ თათბირსა და ლხინს ესწრებოდა, სადაც მხოლოდ მამაკაცები იკრიბებოდნენ (ფალსაფი 1947: 207). ირანში მცხოვრები კარმელიტი მისიონერი აღნიშნავდა, რომ ზეინაბ ბეგუმი გამორჩეული ინტელექტის მქონე ყოფილა, ძალზე დაფასებული აბას I-ის მიერ და სამხედრო ლაშქრობებშიც ახლდა ხოლმე ირანის მბრძანებელს. ზოგიერთი ევროპული წყაროს თანახმად, ავი ენები ზეინაბ-ბეგუმისა და შაჰ-აბასის სასიყვარულო ურთიერთობაზეც ავრცელებდნენ ჭორებს.

სპარსულ წყაროებში დაცულია მეტად საინტერესო ცნობა იმის შესახებ, რომ შაჰ-აბასმა საქართველოში შემოჭრის საბაზად გამოიყენა „თავდავიწყებული“ სიყვარული ქართლის მეფის ლუარსაბ II-ის დის ხორეშანის მიმართ.

ამ ისტორიის უკეთ წარმოსაჩენად გთავაზობთ მოკლე ექსკურსს. 1609 წელს კახეთის დაქვრივებულმა მეფე თეიმურაზმა გადაწყვიტა ცოლად შეერთო ქართლის მეფე ლუარსაბის და ხორეშანი. ამ ქორწინებით მყარდებოდა ნათესაური კავშირი ქართლისა და კახეთის სამეფოებს შორის, რასაც ორივე ქვეყნისათვის უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა და სამომავლოდ ყიზილბაშების წინააღმდეგ ერთიანი სამხედრო ძალებით დაპირისპირების შესაძლებლობას იძლეოდა. ირანის შაჰისათვის მიუღებელი იყო მოვლენათა ამგვარი განვითარება. შაჰ-აბასი შეეცადა ქართლ-კახეთის მეფეების დანათესავებისათვის ხელი შეეშალა და ქართლის მეფე ლუარსაბს და - ხორეშანი ცოლად მოსთხოვა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მას უკვე ჰყავდა მეუღლედ ლუარსაბის უმცროსი და ელენე (ლელა). ქართლის მეფემ სამჯერ უარით გაისტუმრა ირანის

მბრძანებლის დესპანი და ზრდილობიანად მოახსენა, რომ ხორეშანი თეიმურაზზე უკვე დანიშნული იყო. ამის შემდეგ შაჰმა კახეთის მეფე თეიმურაზს წერილით შეუთვალა, რომ უარი ეთქვა ხორეშანის შერთვაზე და ისპაჰანში გამოცხადებულიყო. ნ. ფალსაფის თანახმად, ამ დროს შაჰ-აბასი ოსმალეთთან ომით იყო დაკავებული და საქართველოზე გალაშქრება არ შეეძლო, ამიტომ წყენა არ შეიმჩნია და ქართველ მეფეებთან გარეგნულად თავაზიანი ურთიერთობა შეინარჩუნა. როგორც ოსმალეებთან ომისგან მოიცალა, აბას I-მა კვლავ გაიხსენა თავისი სიყვარულის ამბავი ლუარსაბის დის მიმართ, რომელიც უკვე კახეთის მეფე თეიმურაზზე იყო გათხოვილი. ეს ფაქტი მან აღმოსავლეთ საქართველოში შემოჭრის საბაზად გამოიყენა, რადგან მისი დაპყრობა უკვე დიდი ხნის გადაწყვეტილი ჰქონდა. შაჰი აცხადებდა, რომ ხორეშანსაც უყვარდა, სასიყვარულო წერილებიც ჰქონდა მისთვის გამომგზავნილი და მეფის ასული საკუთარი ნების წინააღმდეგ მიათხოვეს თეიმურაზს. ირანის შაჰის აბას I-ისა და ხორეშანის „სიყვარულის“ ამბავი ირანის შაჰის კარის პოეტებისა და მუსიკოსების საყვარელი თემა გახდა, რომელზეც შეთხზულ ლექსებსა და სიმღერებს სეფიანთა ეპოქის დასასრულამდე ლხინისა და ნადიმების დროს ასრულებდნენ (**ფალსაფი 1947: 221**).

საქართველოში ხორეშანისადმი შაჰის სიყვარულის არავის სჯეროდა. ქართველ პოლიტიკოსებს ესმოდათ, რომ ეს მხოლოდ ქვეყანაში შემოჭრისა და მისი დარბევის საბაზი იყო. არც ირანელი ისტორიკოსი იზიარებს ვერსიას, რომ: „შაჰ-აბასი იმ ქალის საბაზით, რომელიც არასოდეს ენახა, საქართველოს თავს დაესხა და მშვიდობიანი მოსახლეობის გაჟლეტის ბრძანება გასცა“ (**ფალსაფი 1947: 139**).

ბოლოს, უნდა შევეხოთ შაჰ-აბასისა და კახეთის დედოფალ ქეთევანის ურთიერთობას. შაჰ-აბასისა და ქეთევან დედოფლის გზები ჯერ კიდევ 1606 წელს გადაიკვეთა. ამ წელს ირანის შაჰმა შემახას ციხის აღებისას კახეთის მეფე თეიმურაზს ჯარით გამოცხადებისკენ ორჯერ მოუწოდა. თეიმურაზმა ბოდიში მოიხადა და ლაშქრობიდან გათავისუფლება ითხოვა. შაჰ-აბასს ათასკაციანი რაზმით ქეთევან დედოფალი ეახლა. შაჰს ეწყინა, მაგრამ არ შეიმჩნია, დედოფალი პატივით მიიღო და ჯარი არ დაუსაქმებია (**ისქანდერ მუნში 1969: 69-70**). მეორედ 1612 წელს შაჰ-აბასმა ნადირობის საბაზით, ქართლ-კახეთის მეფეები ლუარსაბ II და თეიმურაზ I ერთად დაიბარა. ქართველმა მეფეებმა უარი შეუთვალეს. 1614 წელს

ირანის მბრძანებელმა თეიმურაზს განჯიდან კაცი გაუგზავნა და მძევლების მიცემა მოსთხოვა. მეფემ ვაჟები - ალექსანდრე, ლევანი და დედა - ქეთევან დედოფალი გაუგზავნა, საიდანაც შაჰის ბრძანებით ისინი ირანში გაგზავნეს. როგორც ისქანდერ მუნში მოგვითხრობს, თეიმურაზის გაუტეხლობითა და მისი ოსმალეთთან და რუსეთთან კავშირებით გაცოფებული შაჰ-აბასის ბრძანებით, 1624 წელს ქეთევან დედოფალი სასტიკად აწამეს, შემდეგ კი სიკვდილით დასაჯეს (**ისქანდერ მუნში 1969: 120-121**).

დასკვნა

ქართული, ევროპული და სპარსული წყაროების მონაცემები ერთხმად ადასტურებს, რომ სეფიანთა შაჰების კარზე მრავლად იყვნენ ქართული წარმოშობის ქალები. შაჰების ბრძანების მიხედვით, ქართლისა და კახეთის მეფეები, სამცხის მთავრები იძულებული იყვნენ თავიანთი დები, ქალიშვილები, ოჯახის წევრები გაეგზავნათ ირანში. ყველა უცხოური წყარო საუბრობს ქართველი ქალების სილამაზეზე, გარეგნულ ხიბლზე, სიღარბაისლესა და სათნოებაზე. ჰარამხანაში მოხვედრილი ეს ქალები აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ ირანის შაჰების კარზე მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში. ამის საუკეთესო მაგალითია შაჰ-აბას I-ის კარზე დაწინაურებული, გამორჩეული ინტელექტის მქონე შაჰ-თამაზის ქალიშვილი ზეინაბ-ბეგუმი (ანა) და მისი დედა შალიკაშვილის ასული, რომლის ინიციატივითაც მოხდა ქართლის მეფე სიმონის ირანიდან სამშობლოში დაბრუნება და ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაბმა. სასანიანთა ეპოქაში დედით ქართველი ირანელი უფლისწულები, ხშირ შემთხვევაში მათი დედები და დედის ძმები, აქტიურად იყვნენ ჩართულნი შაჰის ტახტისთვის გამართულ ბრძოლებში.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. **პიეტრო დელა ვალე:** მოგზაურის, პიეტრო დელა ვალეს მოხსენება საქართველოზე პაპი ურბანუს მერვესადმი 1627 წელს, „ივერია“, 3, თბ., 1879
2. **ალეჯიო დ'ალესიო 1990:** ე. დალეჯიო დ'ალესიო, ქართველები კონსტანტინოპოლში და სპარსეთში, თბ., 1990

3. კეკელიძე 1957: კ. კეკელიძე, ქართველი ქალები შაჰ-აბასის კარზე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. III, თბ., 1957
4. სვანაძე 1990: მ. სვანაძე, საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები, თბ., 1990
5. სვანაძე 2007: მ. სვანაძე, თურქეთის ისტორია, თბ., 2007
6. ისქანდერ მუნში 1969: ისქანდერ მუნში, ცნობები საქართველოს შესახებ, ქართულად თარგმნა და სპარსულ ტექსტთან ერთად გამოაქვეყნა ვ. ფუთურიძემ, თბ., 1969
7. ფალსაფი 1947: ნასროლა ფალსაფი, შაჰ-აბასის ცხოვრება, ტ. I, თეირანი, 1947 (სპარსული). ქართული თარგმანი ლ. ჟორჯოლიანისა.
8. ბერი ეგნატაშვილი 1959: ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959
9. ვახუშტი 1973: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973
10. ფარსადან გორგიჯანიძე 1925: ფარსადან გორგიჯანიძე, ისტორია, საისტორიო მოამბე, II, თბ., 1925

Maia Kutateladze

Associate professor of gtu

The Georgian Women at the Court of Safavid Shahs

Summary

It is well known that Georgian women enjoyed significant influence at the court of the Safavid Iran. However, the sources are scarce to unveil how these Georgian women came to Iran. This paper aims to introduce Georgian women and their activities at the court of several Safavid rulers: Shah Tahmazp, Heidar-Mirza, Xodabende and Shah Abbas I.

The Georgian women at the Safavid court played an important role. The information about these women is preserved in the Persian and European sources, while Georgian accounts are very poor.

All accounts, Persian, European, and Georgian, assert that there were many Georgian women at the Safavid court. By order of the Safavid Shahs, the kings of different Georgian states were forced to send the female member of their family to the Safavid court. Georgian women in the Safavid harem had an influence on political processes in Iran. For instance, an excellent example of influential Georgian women at the Safavid court are Zeinab begum (Ana) and her mother from the Shalikashvili noble family. These noble Georgian women initiated the release of king Simeon I from the Persian captivity and secured his return to Kartli. In the Safavid Iran, Iranian princes who had Georgian mothers were actively involved in the fight for the power and throne.

აბსტრაქტი

XIX საუკუნის ცნობილი ინგლისელი პოეტი, მამაცი და გაბედული ლორდი ჯორჯ ნოელ გორდონ ბაირონი, დიდგვაროვანი არისტოკრატი, „მსოფლიო სევდის“ გამომხატველი რომანტიკოსი პოეტი, მხატვრული სიტყვის დიდოსტატი, რომლის სახელთან დაკავშირებულია სკანდალები, ჭორები, უცნაური ისტორიები... მას ეკუთვნის მშვენიერი პოეტური ნაწარმოებები, რომანტიკული და ლირიკული პოემები, მშვენიერ მანდილოსანთათვის მიძღვნილი სიყვარულითა და ვნებით გამსჭვალული ამაღლვებელი სტრიქონები. მისმა პოეზიამ მრავალი ქვეყნის ლიტერატურაში დაბადა თავისებური მიმდინარეობა - ბაირონიზმი.

საკვანძო სიტყვები: პოეტი, თანამგზავრი ქალბატონები, რომანტიკოსი, უცნობი საქართველო, გოგონა თირზა, ელადა.

ქალის ფენომენი ჯორჯ ბაირონის შემოქმედებაში

შესავალი

ჯორჯ ნოელ გორდონ ბაირონი (1788-1824) უფაქიზესი, საოცრად მგრძნობიარე სულის მქონე პოეტი... მის ყოველ ლექსს თავისი ისტორია და ხიბლი აქვს, თითოეული სტრიქონი მშვენიერი სქესის მიმართ დიდი გრძნობითა და მოზღვავებული შთაბეჭდილებითაა შექმნილი. ჯორჯ ბაირონის ცხოვრების დეტალები ისეთივე ამაღლებული და გასაოცარია, როგორც მთელი მისი შემოქმედება. ბაირონის სიშმაგე, ექსცენტრიულობა, მოგზაურობისადმი სიყვარული, დარდიმანდობა მისი ხასიათის ანგლოსაქსური ელემენტებია. (3,42) ბაირონი მხატვრული სიტყვის დიდოსტატი, ნაზი და მღელვარე სტრიქონების ავტორი, ულამაზეს ქალბატონთა გულთამპყრობელი და მხურვალე პატრიოტია

ქალი ბაირონის შემოქმედებაში

ლორდ ბაირონის პოეზიის სტრიქონები სრულად განსაზღვრავენ ქალის ღირებულებით ფენომენს. მისმა თანამგზავრმა ქალბატონებმა უდიდესი ზეგავლენა მოახდინეს არა მარტო მის პოეზიაზე, არამედ განაპირობეს მისი

ბედისწერაც. ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ ბაირონის მხრიდან მომხიბლავი ქალბატონებისადმი დამოკიდებულებაზე, პოეტისა და ქართველი გოგონა თირზას ამდელვებელ ისტორიაზე, ბაირონის გულწრფელ განცდებზე, რომლებიც გამოიხატა მის ლექსებში მისთვის უცნობი საქართველოსადმი მიძღვნილ სტრიქონებში... ბაირონის ცხოვრების თანამგზავრი ქალბატონებისადმი ტრფობამ განაპირობა ბაირონის პოეზიის უკვდავება.

პოეტის სტრიქონებში გაღმერთებულია ქალი. გულდასმით გავეცანი მის პოეზიას, სასიყვარულო ბარათებს და მინდა თქვენც გაგიზიაროთ მისი გულიდან ამოთქმული რამდენიმე სტრიქონი, რომელთა გაცნობის გარეშე, ვფიქრობთ, შეუძლებელია ქალის ღირებულებითი ფენომენის სრულად განსაზღვრა: „ყველაზე ჭკვიანური, რასაც ადამიანმა მიაღწია ქალის სიყვარული და მისი სილამაზის თაყვანისცემაა. ქალის სიყვარულიდან იშვა ყველაფერი, რაც კი მშვენიერია ამ ცოდვილ მიწაზე“ ... „გიყვარდეთ და პატივი ეცით ქალს, ეძიეთ მასში არა მხოლოდ ნუგეში, არამედ შთაგონების ძალაც და გონებრივი უნარის წყაროც“ ... „ქალი უნდა იყოს მშვენიერი, ბრძენი, მაგრამ აუცილებლად კეთილგონიერი, რომლის ღირსებაც მის სილამაზეს აღემატება...“ „ქალი ყოველი არსის გვირგვინია, მასში იმალება საოცარი, დიდებული, დიდი ცხოვრებისეული გამოცანა, წყარო ყველა სიხარულისა და ზრუნვისა...“ „ვისაც ქალი არ უყვარს, მას არაფრის სიყვარული არ შეუძლია...“ (1,181-185)

ბაირონის ცხოვრების თანამგზავრი ქალბატონები უდიდეს ზეგავლენას ახდენდნენ ბაირონის არა მარტო გრძნობებზე, არამედ მის ბედისწერაზე. ამ ქალბატონთა გაღერება საკმაოდ შთამბეჭდავია: შოტლანდიელი მერი დეფი, ულამაზესი მერი ჩევროსი, რომელთანაც პოეტს გოგონა მედორა შეეძინა, ადმირალ კორდოვას ასული მადამ სმისი, მეუღლე ანა იზაბელ მილბენკი, რომელთანაც პოეტს შეეძინა ქალიშვილი ადა, კლარა გოდვინი, რომელთანაც პოეტს შეეძინა გოგონა ალეგრა, იტალიელი ელიზაბეთ ჰერვე, მისის კაროლინა ლემი, მარიანა ფალკონე და მისი უდიდესი სიყვარული და მუზა ტერეზა გვიჩიოლე.(5, 121-124)

პოეტი ერთ-ერთ წერილში აღნიშნავს: „...სიყვარულმა შესაძლოა ისეთი საშინელი დანაშაული ჩამადენინოს, რომელიც ჩვენს საუკუნეს უთუოდ გააოცებსო“. ჟურნ. „პარალელების“ 2014 წლის მე-6 ნომერში დაიბეჭდა ვრცელი

სტატია, სადაც ქართულ ენაზე პირველად ითარგმნა და გამოქვეყნდა ბაირონის სასიყვარულო მიმოწერა. ამჯერად თქვენს ყურადღებას მივაპყრობ თუ როგორ მოიხსენიებს ბაირონი მისთვის უცნობ საქართველოს და როგორი განცდით მოგვითხრობს მის მიერ ტყვეობიდან დახსნილ ქართველ გოგონას ბედზე.(1,192)

ვფიქრობ, საინტერესო იქნება, პასუხი გავცეთ კითხვაზე - რა აკავშირებდა ბაირონს საქართველოსთან? 20 წლის ასაკში ბაირონმა გამოსცა პოემა, რომელშიც აღნიშნავდა: „მინდა ვეწვიო სილამაზის მშობლიურ მხარეს, სად კავკასიონს, კლდით შემოსილს, პირქუშს, მრისხანეს, გვირგვინად ადგას დიდებული თეთრი მყინვარი. XIX საუკუნის გამოცემებში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ სილამაზის მშობლიური მხარე - საქართველოა. ბაირონი პოემა „დონ-ჟუან“-ში ქართველ ქალს გამოსახავს, როგორც სილამაზის ეტალონს. პოემა „გიაურ“-ში კი ქართველი ქალის კოსტიუმში გვიხატავს მომხიბლავი გარეგნობის ასულს, სახელად ლეილას... დიდ პოეტს მიაჩნია, რომ დედამიწის ზურგზე ყველაზე ლამაზი მხარე საქართველოა და ყველაზე ლამაზი ქალი ქართველი ქალია. ბაირონი აღნიშნავს, დონ-ჟუანი ქალის კოსტიუმში ისეთი ლამაზი იყო, ქართველ ქალს ჰგავდაო... საქართველოში ბაირონის შესახებ პირველი ცნობები ალ. გრიბოედოვის სახლს უკავშირდება. სწორედ გრიბოედოვი იყო საქართველოში მისი პირველი გზამკვლევი. ბაირონს თავიანთ ნაწარმოებებში მოიხსენიებდნენ ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები. დიდი ილია „მგზავრის წერილებში“ თერგს ბაირონს ადარებს.

საქართველოს ბაირონის საზოგადოების პრეზიდენტ პროფესორ ინესა მერაბიშვილს გამოქვეყნებული აქვს ბაირონის ლექსების თარგმანები, რომელთა შორის ერთი ლექსი სწორედ ქართველ გოგონა თირზას (შესაძლოა ცისას) ეძღვნება. ლექსი პოეტის ღრმა ტკივილის გამომხატველია, რაც გამოწვეულია პატარა გოგონას მოულოდნელი გარდაცვალებით. მცირე აზიაში, კერძოდ, ალექსანდრიაში მოგზაურობისას პოეტი შეესწრო საქართველოდან ჩერქეზეთიდან ტყვე ქალების საჯარო გაყიდვას. მისი ყურადღება მიიპყრო 13 წლის პატარა გოგონას განწირულმა გოდებამ. პოეტს შეუტყვია, რომ იგი ქართველი მემამულის ერთადერთი ასული ყოფილა, რომელიც ქურთებს მოუტაციათ და ტყვედ გაუყიდიათ. ბაირონმა ვაჭრებს 800 პიასტრი გადაუხადა და გოგონა ტყვეობისგან დაიხსნა; პოეტი სათუთად ზრუნავდა მასზე, ვაჭარ ფლექჩერს დიდი თანხა გადაუხადა, რათა თირზა

სამშობლოში დაებრუნებინა, მაგრამ ვაჭარი მოღალატე და გაიძვერა აღმოჩნდა... ბაირონმა რამოდენიმე თვის შემდეგ დიდი ძალისხმევის ფასად კვლავ მოახერხა გოგონას განთავისუფლება, მაგრამ თირზას ჯანმრთელობა საგრძნობლად შერყეულიყო, პოეტი კვლავ შეპირდა გოგონას, რომ სამშობლოში დააბრუნებდა, მიაბარა კონსტანტინოპოლში მყოფ შვედ ელჩს, რომელსაც გოგონა ჰავის გამოცვლის მიზნით კუნძულ კრეტაზე წაუყვანია სადაც იგი ქალაქ კანადაში გარდაცვლილა. პოეტს მტკივნეულად განუცდია ქალიშვილის სიკვდილი. მას რამოდენიმე სულის შემძვრელი ლექსი ეძღვნება. ბაირონის თხოვნით თირზას სასაფლაოზე ქვის ძეგლი დაუდგამთ და მისი სახელი და თავს დატრიალებული ამბავიც ამოუტვიფრავთ... ჟამთა სვლამ, საუბედუროდ, საფლავიც დაკარგა. (2,34-35)

დასასრულ, მოგახსენებთ, რომ იტალიაში მყოფ ბაირონს ოსმალთა წინააღმდეგ მებრძოლმა საბერძნეთმა უხმო დასახმარებლად. დიდი პოეტის სიცოცხლე ელადის განთავისუფლებას შეეწირა. ბაირონს სწორედ საბერძნეთში ყოფნისას შეუსრულდა 36 წელი, მისი უკანასკნელი ლექსის სათაურია „დღეს შემისრულდა 36 წელი“. საბერძნეთის პატარა ნავსადგურ მისოლუნგში ტროპიკული ციებ-ცხელებით შეპყრობილი პოეტის გვერდზე აღმოჩნდა პატარა გოგონა ხატაჯე, ხატო - როგორც უწოდებდა მოფერებით მას დიდი პოეტი და რომელსაც მიუძღვნა ლექსი. (6, 321-324) მომაკვდავი პოეტი სევდიანად აცხადებდა: „ამ წუთისოფლად ძალიან ძვირფას ადამიანს ვტოვებ“-ო. ძვირფასი ადამიანი იყო მისი პოეზიის მუზა, უკანასკნელი მგზნებარე სიყვარული ულამაზესი ტერეზა გვიჩიოლე.

აღსასრულის წინ ბაირონი ახსენებდა ლედი ბაირონს, ავგუსტას, მერის, კლარას, ტერეზას... ქალბატონებს, რომელთა არსებობამაც განაპირობა მისი პოეზიის უკვდავება... ყველა გლოვობდა დიდ პოეტს, ზარბაზნებმა 36-ჯერ გაისროლეს და მთელ მსოფლიოს ამცნეს დიდი პოეტის, უბადლო რაინდისა და ქალთა გულთამპყრობელის გარდაცვალება.

დასკვნა

ბაირონი მხატვრული სიტყვის დიდოსტატი, რომლის სახელთან დაკავშირებულია სკანდალები, ჭორები, უცნაური ისტორიები... მას ეკუთვნის მშვენიერი პოეტური ნაწარმოებები, რომანტიკული და ლირიკული პოემები,

მშვენიერ მანდილოსანთათვის მიძღვნილი სიყვარულთა და ვნებით გამსჭვალული ამაღელვებელი სტრიქონები. ცხოვრების უკანასკნელ წლებში ბაირონი გაიტაცა იტალიელთა პატრიოტულმა იდეებმა, იგი თანაუგრძნობდა კარბონარიებს - საიდუმლო საზოგადოების წევრებს, რომლებიც ავსტრიის მიერ იტალიის ოკუპაციის წინააღმდეგ იბრძოდნენ. ამ განმანათავისუფლებელ ბრძოლაში მის გვერდით იდგა მშვენიერი ტერეზა გვიჩიოლევ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გომართელი ნ. ბაირონის ცხოვრების თანამგზავრი ქალბატონები, იხ. ჟურნ. „პარალელები“, N6, თბ. 2014, გვ. 183-192;
2. მერაბიშვილი ი. ბაირონი და ქართველი გოგონა, იხ.: ჟურნ. „ისტორიანი“, N9 (33), თბ., 2013, გვ. 33-38;
3. M.archand L. A. Byron, A Bibliography. V. 1-3. N-Y., 1999;
4. “He loved but one” Frank Frankfort Moor, the story of Lord of Byron and Mary Chavorth;
5. Elkin Mathews, Byron and Byroniana: A Catalogue of Books (London: Elkin Mathews, 1930);
6. Robert Escarpit, Lord Byron: Un temperament litteraire, 2 vlumes (Paris: Le Cercle du Livre, 1957), II: 269-324

Key words: Immortal poet, companions, romantic, unknown Georgia, girl Tirza, sacrificed life of Greece.

Nino Gomarteli

Associate Professor of GTU

Abstract

The famous English poet of the 19th century, the brave and courageous Lord John Noel Gordon Byron, a noble aristocrat, a romantic poet expressing "world sorrow", a master of artistic speech, whose name is associated with scandals, rumors, strange stories ... He is a wonderful poetic work and lyrical verses , exciting lines imbued with love and passion, dedicated to beautiful women. His poetry gave rise to a peculiar trend in the literature of many countries - Byronism.

მზია მილაშვილი
საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტი. პროფესორი
ვალერი მჭედლიშვილი
საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტი. ასოცირებული პროფესორი

ქალთა შემოქმედების როლი ფემინისტური იდეოლოგიის ფორმირებაში

აბსტრაქტი

მოხსენებაში ლიტერატურული წყაროების, ინტერნეტრესურსებში არსებული ინფორმაციის შესწავლის საფუძველზე, განხილულია ქალთა შემოქმედების როლი ფემინისტური მოძრაობის იდეოლოგიის ფორმირებაში.

ფემინისტური იდეების გავრცელება შუა საუკუნეებში მოღვაწე იტალიელი მწერალი ქალების იზოტა ნოგაროლასა და ლაურა ჩერეტას უკავშირდება.

ქალთა უფლებრივ საკითხებს ეხება მწერლი ქალების აფრა ბენისა და მერი ესტელის შემოქმედებაც. ისინი მოითხოვდნენ ქალთა და მამაკაცთა თანასწორ უფლებებს და ქალთა უფლებების პირველ დამცველებად მოიხსენებენ.

ფრანგი მწერალი პულენ დე ლია ბარი თავის ესეში “ორივე სქესის თანასწორობა” ქალთა არათანაბარ მდგომარეობაზე წერდა. მიაჩნდა, რომ “ასეთი მდგომარეობა არაა “ბუნების კანონი”, არამედ ეს მამაკაცების უხეში ძალის დამსახურებაა”.

ფემინიზმის “მეორე ტალღის” ფუძემდებლად მწერალი სიმონა დე ბოუვარი მოიჩნევა. იგი ცნობილია ტრაქტატით “მეორე სქესი” (1949წ). ამ ნაშრომში, ფოლკლორისა და მითოლოგიის ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური ანალიზით, ავტორი აღწერს, როგორ ფორმირდებოდა წარმოდგენა ქალთა მეორეხარისხვნების შესახებ და როგორ ირგებენ ქალები ე.წ. “მეორე სქესის” სტატუსს. ბოუვარის აზრით ის წარმოდგენა, რომ ქალი დავიანტურად მიიჩნევა, სამუდამოდ წარსულს უნდა ჩაბარდეს.

მკვლევარი ქალი იმეღდა ველეხანი ვარაუდობს, რომ “მეორე ტალღა” წინა ფაზის გაგრძელებაა და მის ორ ფრთას გამოყოფს – ლიბერალურსა და რადიკალურს.

ლიბერალური ფემინიზმის აღორძინება ამერიკელი მწერლის ბეტი ფრიდანის ნაწარმოებს “ქალურობის მისტიკას” (1963წ) უკავშირდება. ავტორი აკრიტიკებს, ქალის მხოლოდ საოჯახო სფეროსა და შვილების აღზრდის სფეროში რეალიზების იდეას. ფრიდანს მიაჩნდა, რომ ქალებზე ეს როლი თავსმოხვეულია და აქარწყლებს “ზედნიერი დიასახლისის” მითს.

ფემინისტური მოძრაობის რადიკალური ფრთის ახალგაზრდა აქტივისტები, ქალთა თვითშეგნების გაზრდის მიზნით, ქმნიან ჯგუფებს, სადაც პირად პრობლემებზე და ოჯახურ ურთიერთობებზე მსჯელობენ. შედეგად მიდიან დასკვნამდე, რომ პირადი გამოცდილება უნივერსალურია. მათ ლოზუნგად იქცა პუბლიცისტი ქალის კეროლ ხანიშის ფრაზა: – ”პირადი – ეს პოლიტიკურია”.

ქალთა მოძრაობის შემდეგი ეტაპი “მესამე ტალღად” მოიხსენიება. იგი, საზოგადოებაში კონსერვატიული შეხედულებების ცვლილებების აუცილებლობის საფუძველზე, გასული საუკუნის 90-იან წლებში ყალიბდება. მათი მოსაზრებით საფუძვლიანად უნდა შეიცვალოს საზოგადოებრივი შეგნება. ”მესამე ტალღის” მნიშვნელოვან განმასხვავებელ ნიშანს ტრადიციული, მეცნიერული ცოდნის თანმიმდევრული და არგუმენტირებული კრიტიკა წარმოადგენს. ამ მიმართებით ხორციელდება მრავალმხრივი კვლევები ანთეროპოლოგიის, სოციოლოგიის, ეკონომიკის, ლიტერატურის, ხელოვნების, ფსიქოანალიზისა და ფილოსოფიის სფეროში და XXI საუკუნეში ქალთა უფლებებისათვის მოძრაობა ახალ სტადიაში გადადის.

საკვანძო სიტყვები – ქალთა უფლებები, ფემინიზმი, დისკრიმინაცია, კანონი, ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური.

შესავალი

ქალთა უფლებებისათვის ბრძოლას ხანგრძლივი ისტორია აქვს, მნიშვნელოვანია, რომ ყველა ეტაპზე საკმაოდ დიდია ქალთა შემოქმედების როლი ფემინისტური მოძრაობის იდეოლოგიის ფორმირებაში.

ფემინიზმი (ლათ. ფემინა-ქალი) სოციალურ-პოლიტიკური მოძრაობის სპექტრია, რომელიც ქალთა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური თანასწორობისაკენაა მიმართული. კერძოდ, ქალების არჩევნებში მონაწილეობა, სახელმწიფო თანამდებობების დაკავება, შრომის თანაბარი ანაზღაურება, საკუთრება, განათლება, ქორწინებაში თანაბრობისა და დეკრეტული შვებულება, ასევე ქალთა ხელშეუხებლობა და ოჯახური ძალადობისგან დაცვა

ფემინისტებს უწოდებენ მათ, ვისაც გაცნობიერებული აქვთ ქალთა სოციალური სტატუსი, რომელიც არაა მამაკაცის სტატუსის ტოლფასი და მხარს უჭერენ ემანსიპაციის იდეებს..

ქალი მწერლებისა და პოეტების შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ქალთა უფლებრივ საკითხებისადმი მიძღვნილ თემებს. ისინი თავიანთ ნაწარმოებში კრიტიკულად აფასებდნენ ქალთა უფლებების მიმართ საზოგადოებაში დამკვიდრებულ ტრადიციულ შეხედულებებსა და ურთიერთობებს.

ფემინისტური მოძრაობის რეტროსპექტული ანალიზი

საგულისხმოა, რომ ფემინისტური იდეების გავრცელება ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში, აღორძინების ეპოქაში მოღვაწე იტალიელი მწერალი ქალების იზოტა ნოგაროლასა და ლაურა ჩერეტას სახელებს უკავშირდება.

ქალთა უფლებრივ საკითხებს ეხება ინგლისელი მწერლების აფრა ბენისა და მერი ესტელის შემოქმედებაც. ისინი მოითხოვდნენ ქალთა და მამაკაცთა თანასწორ უფლებებს, რის გამოც მათ ქალთა უფლებების პირველ დამცველებად მოიხსენებენ.

ფრანგი მწერალი ქალი პულენ დე ლია ბარი თავის ესეში “ორივე სქესის თანასწორობა” წერდა ქალთა არათანაბარ მდგომარეობაზე და მიაჩნდა, რომ ასეთი მდგომარეობა არა “ბუნების კანონის”, არამედ მამაკაცების უხეში ძალის დამსახურებაა.

ქალთა უფლებებისათვის მოძრაობამ ორგანიზებული ხასიათი ევროპასა და აშშ-ში მე-18 საუკუნის ბოლოს მიიღო, როცა საფრანგეთის რევოლუციის დროს ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის საკითხი დადაგა. ამავე საუკუნის შუა წლებში ფრანგმა განმანათლებლებმა დიდად შეუწყეს ხელი ფემინისტური იდეების ჩამოყალიბებას.

ვოლტერი თავის ნაშრომებში წერდა ქალთა ხვედრის არასამართლიანობს შესახებ. შარლ მონტესკიე მიიჩნევდა, რომ “ქალი უნდა მონაწილეობდეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში”. კლოდ გელვეცს ღრმად სწამდა, რომ “ქალთა გაუნათლებლობა მათი არსრული და არასწორი განათლების შედეგი იყო.”

მე-18 საუკუნეში, ევროპაში, ქალებმა საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის მიღება დაიწყეს. მათმა ნაწილმა ეკონომიკური დამოუკიდებლობაც მოიპოვა, მაღალი წრის ქალბატონები კი პოლიტიკაში ჩართვას ცდილობდნენ. ქალები მოითხოვდნენ უფლებების აღიარებას ისეთ სფეროებში, როგორცაა საზოგადოებრივი ცხოვრება, განათლება, შრომა, პატივისცემას ოჯახსა და საზოგადოებაში.

აშშ-ში ერთ-ერთ პირველ ფემინისტად პრეზიდენტი ჯონ ადამსის მეუღლე, აბიგეილ სმიტ ადამსი ითვლება. ის ისტორიაში ცნობილი ფრაზით შევიდა: “ჩვენ არ დავემორჩილებით იმ კანონებს, რომლის მიღებაში მონაწილეობა არ მიგვიღია და არც იმ ხელისუფლებას, რომელიც ჩვენ ინტერესს არ წარმოადგენს.”

ფემინიზმის “პირველი ტალღის” და ქალთა ორგანიზებული მოძრაობის საწყისად მიჩნეულია 1848 წელი, როცა ქალაქ სენეკა-ფოლზში (ნიუ-იორკის შტატი) ქალთა უფლებების დამცველი ყრილობა ჩატარდა ლოზუნგით: “ყველა ქალი და მამაკაცი თანასწორადაა შექმნილი”. ყრილობაზე მიიღეს ე.წ. “გრძნობების დეკლარაცია.” დეკლარაციის ავტორებად მწერალი და საზოგადო მოღვაწე ქალები ელიზაბედ კედი სტენტონი და ლუკრეცია მოტი გვევლინობიან. დეკლარაცია აყენებდა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა _ საკუთრებაზე თანაბარი უფლებები, პროფესიის თავისუფალი არჩევანის, სრულფასოვანი განათლების მიღებისა და სხვა უფლებები.

1860 წელს, ამერიკელი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, “გრძნობების დეკლარაციის” ერთ-ერთი ავტორის ელიზაბედ კედი სტენტონის მიმართვის შემდეგ, ნიუ-იორკის შტატის საკანონმდებლო კრებამ კანონის სახით მიიღო “გათხოვილ ქალთა საკუთრების აქტი”. ეს აქტი ქალს გარანტიას აძლევდა, რომ მისივე ყოფილიყო გამომუშავებული ქონება, ქმართან თანაბრად ეზრუნა შვილებზე. თანაბრდებოდა ქვრივ ქალთა და მამაკცთა ქონებრივი უფლებებიც.

მე-19 საუკუნეში ბრძოლის ერთ-ერთ ძირითად ცენტრს ინგლისი წარმოადგენდა, ამიტომ მიიღო ქალთა უფლებებისათვის მოძრაობამ ინგლისური სახელწოდება “სუფრაჟიზმი,” რაც “ხმის უფლებას” ნიშნავს.

1867 წელს, მანჩესტერში ჩამოყალიბდა “ქალთა საარჩევნო უფლებების საზოგადოება”, და მისმა წევრებმა “ქალთა სუფრაჟისტული ჟურნალის” გამოცემა დაიწყეს. სადაც აქტუალურ პრობლემატიკის თემებზე იბეჭდებოდა ქალი ავტორების ნაშრომები. 1868 წელს ეს საზოგადოება სუფრაჟისტების ნაციონალურ ორგანიზაციად გადაკეთდა, რომელმაც ერთ წელიწადში 5000 წევრი გაეერთიანა. ორგანიზაცია სუფრაჟისტული იდეების გავრცელებას უელსში, ირლანდიასა და შოტლანდიაში ცდილობდა.

1869 წელს, ინგლისელმა ლიბერალ ფილოსოფოსმა ჯონ სტიუარდ მილმა გამოაქვეყნა ნაშრომი “ქალის დაქვემდებარება”, რომელშიც აღნიშნავს, რომ “ერთი სქესის მეორისადმი დაკანონებული დაქვემდებარება მავნებელია.... და...ეს ერთ-ერთი მთავარი წინააღმდეგობაა საერთოსაკაცობრიო სრულყოფისაკენ მიმავალ გზაზე”.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ქალთა მოძრაობის მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენდა მწერალი ქალი და საზოგადო მოღვაწე ემელინ პანკჰუსტი. იგი არჩევნებში მონაწილეობის ქალთა უფლებებისათვის მოძრაობის ერთ-ერთი დამაარსებელია. მისი მიზანი ბრიტანულ საზოგადოებაში ფესვგადგმული სექსიზმის მოსპობა იყო.

1903 წელს პანკჰუსტმა ჩამოაყალიბა “ქალთა საზოგადოებრივი და პოლიტიკური უფლებების დამცველი ორგანიზაცია”, სადაც ერთ წელიწადში ათასობით ქალი გაერთიანდა. ისინი ყურადღებას გაუმართლებლად მკაცრ კანონებზე ამახვილდნენ. ორგანიზაციის წევრები მუდმი დევნისა და პატიმრობის მსხვერპლნი ხდებოდნენ. ბევრი მათგანმა პროტესტს შიმშილობითაც გამოხატავდა. ამ ორგანიზაციის წევრთა დაუღალავი ბრძოლითა და ზეწოლით ინგლისის პარლამენტმა მიიღო კანონები, რომლებიც ქალთა მდგომარეობას მნიშვნელოვნად აუმჯობესებდნენ და ქალებს ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობის უფლებას მიენიჭათ.

აშშ-ში, 1869 წელს ასეთივე ორი ორგანიზაცია ჩამოყალიბდა, რომლებიც 1890 წელს გაერთიანდნენ და “ქალთა არჩევნების უფლების ამერიკული ნაციონალური ასოციაცია” ეწოდა. მისი აქტიურობით ამერიკის ზოგ შტატში ქალები ხმის მიცემაზე დაუშვეს.

სუფრაჟისტებს სამოცდათწლიანი შეუპოვარი ბრძოლა დასჭირდათ იმისათვის, რომ მე-20 საუკუნის ოციან წლებში აშშ-ში და ევროპაში ქალებს არჩევნებში მონაწილეობა მიეღოთ. რუსეთში ეს უფლება ქალებმა უფრო ადრე 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდგომ მიიღეს, ხოლო ფრანგ და იტალიელ ქალებს კიდევ 25 წელი მოუწიათ ლოდინი, მათ საარჩევნო უბნებზე მისვლა მხოლოდ ორმოციანი წლების მეორე ნახევარში მიიღეს.

ინგლისში კანონი ქალთა საპარლამენტო და ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობის უფლების შესახებ იგვიანებდა. ინგლისელმა ქალებმა არჩევნებში მონაწილეობის უფლება შეზღუდული ფორმით – მხოლოდ გათხოვილი ქალებისათვის, 1918 წელს მიიღეს, ხოლო ყველა ინგლისელი ქალისათვის არჩევნებში მონაწილეობა 1928 წელს გახდა შესაძლებელი.

აღსანიშნავია, რომ ქალთა არჩევნებში მონაწილეობის უფლება მსოფლიოში პირველად ახალ ზელანდიაში, 1893 წელს დაკანონდა. 1902 წელს ეს უფლება ავსტრალიელმა, 1906 წელს ფინელმა, 1913 წელს ნორვეგიელმა, 1915 წელს დანიელმა და ისლანდიელმა, 1918 წელს ქართველმა და კანადელმა, 1919 წელს ავსტრიელმა, გერმანელმა, ჰოლანდიელმა, პოლონელმა, შვედმა, ლუქსემბურგელმა და ჩეხმა, 2005 წელს ქუვეითელმა, 2006 წელს არაბთა გაერთიანებული სამეფოსა და 2011 წელს საუდის არაბეთის ქალბატონებმა მოიპოვეს.

მეოცე საუკუნის ოციანი წლების ევროპასა და აშშ-ში ფემინისტური მოძრაობის “პირველი ტალღის” შედეგად არჩევნებში ქალთა მონაწილეობის უფლების გარდა, მიიღეს კანონები, რომლებიც ქალებს უფლებას ანიჭებდნენ ესწავლათ უნივერსიტეტებში და ემუშავათ სამსახურებში. თუმცა, არც ამ შედეგის მიღწევა ყოფილა ადვილი, რადგან ემანსიპაციის მოწინააღმდეგებს სჯეროდათ, რომ უმაღლესი განათლება და სამსახური, ისე როგორც არჩევნების უფლება,

ქალებისათვის მავნებელი იყო, რადგან ეს მათ დააშორებდათ ქალის ერთადერთ ბუნებრივ ფუნქციისაგან –“იყოს დედა”.

ჩათვალა რა თავისი ამოცანები ამოწურულად, მეოცე საუკუნის 20-ან წლებში, ქალთა მოძრაობა მნიშვნელოვნად შესუსტდა და შეიძლება ითქვას, რომ მიღწევებით დამთავრდა ფემინიზმის პირველი ტალღა.

ორმოცი წლის შემდეგ, მეოცე საუკუნის სამოციან წლებში, დაიწყო ფემინისტური მოძრაობის მეორე, უფრო მძლავრი ტალღა, რომელშიც ასი ათასობით ქალი იღებდა მონაწილეობას.

ეს მოძრაობა იმითაც იყო განპირობებული, რომ ქალები ნაკლებად იყვნენ დასაქმებული საპასუხისმგებლო თანამდებობებსა თუ განათლების სფეროში. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ აშშ-ს ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ, ჰარვარდის უნივერსიტეტში, გასული საუკუნის სამოცდაათიან წლების დასაწყისში, 483 პროფესორ _ მასწავლებელთაგან არცერთი პროფესორი ქალი არ იყო. აშშ-ს სხვა პრესტიჟულ უნივერსიტეტებში, უმაღლეს სამედიცინო და ბიზნეს სკოლებში კი ქალი სტუდენტების რაოდენობა მხოლოდ 5-8%-ს შეადგენდა.

ფემინიზმის “მეორე ტალღის” ფუძემდებლად მწერალი ქალი სიმონა დე ბოუვარი მოიჩნევა, მართალია, იგი თავს პირდაპირი მნიშვნელობით “ფემინისტად” არ თვლიდა, მაგრამ სწორედ მან დაამსხვრია შრომის სქესობრივი ნიშნით დაყოფის დოგმა. სიმონა დე ბოუვარი ცნობილი გახდა ჯერ კიდევ 1943 წელს გამოსული მეტაფიზიკური რომანით “სტუმრები” და 1954 წელს დაბეჭდილი ნაწარმოებით “მანდარინები”. მან 1949 წელს დაწერა ტრაქტატი “მეორე სქესი”, სადაც დეტალურად გაანალიზა ქალთა ჩაგვრის საკითხები. სწორედ ეს ნაშრომები იქცა ფემინიზმის “მეორე ტალღის” ერთ-ერთ საფუძვლად. ამ ნაშრომში, ფოლკლორისა და მითოლოგიის ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური ანალიზის შემდგომ, ავტორი აღწერს, თუ სხვადასხვა კულტურასა და საზოგადოებაში, ასწლეულების მანძილზე, როგორ ფორმირდებოდა წარმოდგენა ქალთა მეორეხარისხვნების შესახებ. ასევე იმას, თუ მამაკაცებთან მიმართებაში, ნებით თუ უნებლიედ, როგორ ირგებენ ქალები ე.წ. “მეორე სქესის” მეორეხარისხოვან სტატუსს.

იყო რა ეგზისტენციალისტი, ბოუვარმა გაიზიარა ფილოსოფოს ჟან-პოლ სარტრის თეზისები იმის თაობაზე, რომ “ქალებად კი არ იბადებიან _ არამედ

ხდებიან”. მის შემოქმედებაში ძირითადი ყურადღება ეთმობა “ქალს”, როგორც “სხვა” სოციალურ კონსტრუქტს და სწორედ ეს “სხვანაირობა” მიაჩნია მას ქალთა ჩაგვრის საფუძვლად. ბოვუარის აზრით ის, რომ ქალი ისტორიულად დავიანტურად _ არანორმალურად მიიჩნევა, ეს წარმოდგენა სამუდამოდ წარსულს უნდა ჩაბარდეს.

ამრიგად, მეოცე საუკუნის სამოციან წლებში, ქალთა სოციალური თვითშეგნების გაღვიძებამ ფემინიზმის “მეორე ტალღა” გამოიწვია. მისი განვითარების პერიოდად 1960-1980 წლებია მიჩნეული.

მკვლევარი ქალი იმეღდა ველეხანი ვარაუდობს, რომ “მეორე ტალღა” წინა ფაზის გაგრძელებაა და ფემინიზმის “მეორე ტალღის” ორ ფრთას გამოყოფს _ ლიბერალურსა და რადიკალურს.

ლიბერალური ფრთის ფემინისტები საკუთარი უფლებებისათვის ბრძოლაში, ხელისუფლებაზე ზეწოლისათვის საპროტესტო მსვლელობების, დემონსტრაციების მოწყობის და პეტიციების წარდგენის ტრადიციულ მეთოდებს იყენებდნენ, ლობირებდნენ ახალ კანონებსა და ამომრჩევლებს არწმუნებდნენ იმაში, რომ ხმა იმ პოლიტიკოსებისათვის მიეცათ, რომლებიც სქესთა თანასწორობის იდეას უჭერდნენ მხარს. ლიბერალი ფემინისტები პოლიტიკური რეფორმების გატარებისა და დისკრიმინაციის ამკრძალავი კანონების მიღების მოთხოვნით გამოდიოდნენ.

ლიბერალური ფემინიზმის აღორძინება უკავშირდება ამერიკელი მწერლი ქალის ბეტი ფრიდანის 1963 წელს გამოსულ წიგნს “ქალურობის მისტიკა”. ავტორი აკრიტიკებს იდეას, რომლის მიხედვითაც, ქალს საკუთარი თავის რეალიზება მხოლოდ საოჯახო სფეროსა და შვილების აღზრდაში შეუძლია. როგორც შემდგომ, 2006 წელს ჟურნალ “თჰე Nეწ Yორკ თიმეს” გამოქვეყნებულ ფრიდანის ნეკროლოგში იყო ნათქვამი: “ქალურობის მისტიკამ”... 1963 წელს საწყისი იმპულსი მისცა თანამედროვე ქალთა მოძრაობასა და სამუდამოდ შეცვალა აშშ-სა და სხვა ქვეყნების საზოგადოების სტრუქტურა”. “ზევრისათვის იგი განიხილება, როგორც მეოცე საუკუნის ერთ-ერთი გავლენიანი პუბლიცისტური წიგნი”.

ფრიდანი მიიჩნევდა, რომ ქალებზე დიასახლისისა და შვილების აღზრდელის როლი ე.წ. “ქალურობის მისტიკის” საშუალებით იყო

თავსმოხვეული. ფსევდომეცნიერული თეორიები, ქალთა ჟურნალები და სარეკლამო ინდუსტრია “ასწავლიან,” რომ “ნამდვილი ქალურობის” მფლობელ ქალებს არ სჭირდებათ კარიერა, უმაღლესი განათლება და პოლიტიკური უფლებები – ერთი სიტყვით, მათ არ სჭირდებათ დამოუკიდებლობა და შესაძლებლობები, რომლისთვისაც წინა პერიოდის ფემინისტები იბრძოდნენ. ყველაფერი, ის რაც ქალებს მოეთხოვებათ, ისა რომ ადრეული ასაკიდანვე ეძიონ მომავალი ქმარი და გააჩინონ შვილები”.

ფრიდანი თავის შემოქმედებაში აქარწყლებს მითს – “ბედნიერი დიასახლისის” შესახებ. ის წერდა – “ოჯახის მყუდრი საკონცენტრაციო ბანაკში გამოკეტილი ქალები იჩაგრებიან არარეალიზებული შესაძლებლობების გამო. ისინი იძულებული არიან ე.წ. “ქალურობის” სახელით თავისთავში ჩაახშონ საკუთარი ინტელექტუალური შესაძლებლობები”.

ფრიდანის წიგნი მსოფლიო ბეტსელერად იქცა და მილიონობით ქალის ცნობიერებაზე იქონია გავლენა. ფრიდანი მისი საშუალებით ქალთა მოძრაობის ერთ –ერთი ლიდერი დახდა, სადაც 250 ატასზე მეტი ქალი იყო ჩართული.

მაღე აშშ-ში ჩამოყალიბდა ქალთა ნაციონალური ორგანიზაცია, რომელიც 300 ათასზე მეტ წევრს აერთიანებდა. ორგანიზაციის მიზანი ორივე სქესისათვის რეალიზების თანაბარი პირობების შექმნა და ისეთი კანონების მიღება იყო, რომელიც ეკონომიკურ სფეროში სქესობრივ დისკრიმინაციას გამორიცხავდა.

გენდერული თვალსაზრისით, აშშ-ს პოლიტიკის ფორმირება 1961 წელს, პრეზიდენტ ჯორჯ კენედის დროს დაიწყო. შეიქმნა ქალთა უფლებების შემსწავლელი ე.წ. “ქალთა სტატუსის კომისია”.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ლიბერალური ფემინიზმი ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის მიღწევას პოლიტიკური და რეფორმების გზით მიიჩნევდა. ფემინიზმის ეს მიმართულება ფოკუსირდება ქალთა შესაძლებლობებზე და მიიჩნევს, რომ ქალებმა თანაბარ უფლებებს აქტიური მოქმედებითა და გადაწყვეტილებების მიღებით უნდა მიაღწიონ.

ლიბერალური ფემინიზმი ქალისა და მამაკაცის პირად ურთიერთობას იმ საყრდენ წერტილად მიიჩნევს, საიდანც უნდა იწყებოდეს საზოგადოების გარდაქმნა და ყველა ქალს უნდა ქონდეს უფლება მამაკაცის თანასწორი იყოს.

ეს პოზიცია ჯერ კიდევ ფრანგი განმანათლებლების კლასიკური კონცეფციიდან მომდინარეობდა და კაცობრიობის გონიერებასა და თანაბარ შესაძლებლობებს ეფუძნებოდა. გამომდინარე აქედან, მიიჩნეოდა, რომ ქალთა მდგომარეობის შეცვლა საზოგადოებრივის სტრუქტურის რადიკალური ცვლილების გარეშეც იყო შესაძლებელი.

ლიბერალი ფემინისტებისათვის ასევე მნიშვნელოვანი იყო ისეთი საკითხები როგორცაა: _ ხმის მიცემის, განათლების, შრომის ანაზღაურების და სხვა უფლებები, სექსუალური ძალადობის, ბავშვთა მოვლის, სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის, აბორტის, სექსუალური და ყოფითი ძალადობის და სხვა საკითხები.

ამავე პერიოდში, პარალელურად ფორმირდება ფემინისტური მოძრაობის რადიკალური ფრთა, რომელის წევრებიც უმეტესად ახალგაზრდა აქტივისტები იყვნენ. მათ მიაჩნდათ, რომ მხილოდ კანონებით შეუძლებელი იყო პატრიარქალური სისტემის შეცვლა, ამისათვის აუცილებელია შეიცვალოს საზოგადოებრივი შეგნება და უარი ითქვას გენდერულ სტერეოტიპებზე, ასევე აუცილებელია პირველ რიგში შეიცვალოს ქალთა შეგნება.

ქალთა თვითშეგნების გაზრდის მიზნით, ისინი ქმნიან ჯგუფებს, სადაც მსჯელობენ პირად პრობლემებზე, განცდებზე, ოჯახურ ურთიერთობებზე. შედეგად მიდიან იმ დასკვნამდე, რომ პირად გამოცდილებას უნივერსალური ფესვები აქვს და ეს დამოკიდებულობებისა და დაჩაგრულობის ფესვებია, ამიტომ მათ ლოზუნგად იქცა გამონათვამი: _ ”პირადი _ ეს პოლიტიკურია”.

ფემინისტური მოძრაობის აქტივისტმა და პუბლიცისტმა მწერალმა ქალმა კეროლ ხანიშიმ მოიგონა “მეორე ტალღასთან” ასოცირებული ლოზუნგი “ პირადი _ ეს პოლიტიკურია”. “მეორე ტალღის” ფემინისტებს მიაჩნდათ, რომ კულტურული და პოლიტიკური უთანასწორობის სხვადასხვა ფორმები განუყოფლადაა დაკავშირებული. ისინი ქალებს მოუწოდებდნენ გაეცნობიერებინათ, რომ მათი პირადი ცხოვრების ცალკეული ასპექტები ღრმად პოლიტიზირებულია და სექსისტურ ძალაუფლებრივ სტრუქტურებს წარმოადგენს.

შემდგომ ეტაპზე, თვითშეგნების ჯგუფებიდან, რადიკალური ფრთის ფემინისტები აქტიურ მოქმედებაზე გადავიდნენ. ლიბერალებისაგან განსხვავებით,

ისინი სახალხო აქციებს, საპროტესტო მარშებსა და დემონსტრაციებს არ სჯერდებოდნენ. მათ ძირითადი ძალისხმევა ავტონომიური ორგანიზაციებისა კრიზისული ცენტრების შექმნისაკენ მიმართეს. ისინი ცდილობდნენ დაემსხვრიათ დამკვიდრებული კულტურული ნორმები და, ამ მიზნით, პროვოკაციულ პერფორმანსებსაც მიმართავდნენ.

ცნობილია რადიკალი ფემინისტების მიერ, 1958 წელს “მის ამერიკის” კონკურსზე მოწყობილი სკანდალური აქცია-პერფორმანსი. მათ საკონკურსო დარბაზის ეზოში “მის ამერიკის” გვირგვინი ცხვარს დაადგეს, ხოლო ყუთში, წარწერით – “ქალთა უფლებები,” ქალის ტუალეტის ნივთები, პრიალა ჟურნალები, კოსმეტიკა და ის საგნები ჩაყარეს, რომელიც ქალებს ატყვევებენ და სილამაზის ცრუ, არარეალურ სახეს უქმნიან.

რადიკალური ფემინიზმი ერთ-ერთ მძლავრ მიმართულებას წარმოადგენდა. მათთვის სახელმწიფო, პირველ რიგში, ქალთა სექსუალობაზე კონტროლის იარაღადაა მიჩნეული, მამაკაცები კი ის სოციალური ჯგუფია, რომელიც ქალთა სექსუალობას საკუთარი მოთხოვნებისა და სურვილების დასაკმაყოფილებელ მომსახურებად მიიჩნევს. რადიკალმა ფემინისტებმა საზოგადოების სამსჯავროზე გამოიტანეს ადრე აკრძალული ისეთი თემები, როგორცაა – სექსუალური ძალადობა, ოჯახური ძალადობა და სხვა.

დროთა განმავლობაში, ჩამოყალიბდა რადიკალური ფემინიზმის სხვადასხვა მიმართულებები – კულტურული ფემინიზმი, სეპარატიული ფემინიზმი, ანტიპორნოგრაფიული ფემინიზმი და სხვა.

კულტურული ფემინიზმი “ქალური ბუნებისა” და “ქალური არსის” იდეოლოგიაა, რომელიც ცდილობს განსხვავებულ და დაუფასებელ ქალურ თვისებებს ღირსება დაუბრუნოს. ზოგ რადიკალ ფემინისტის მოსაზრებით, საზოგადოებაში არსებული მამაკაცურ საწყისებზე დაფუძნებული სახელისუფლებო სტრუქტურები ქალთა ჩაგვრისა და უთანასწორობის მიზეზია და სანამ ეს სისტემა და ღირებულებები იარსებებს, საზოგადოებაში მნიშვნელოვანი რეფორმების გატარება შეუძლებელია. ამიტომ, ისინი, მიზნის მისაღწევად საზოგადოებრივი ცნობიერების სრული რეკონსტრუქციის გარდა, სხვა ალტერნატივას ვერ ხედავენ. მაგალითად, ამერიკელი ფილოსოფოსი და მწერალი

ქალი მერი დეილი მხარს უჭერს იმ მოსაზრებას, რომ “სამყარო ბევრად უკეთესი იქნებოდა, თუ უფრო ნაკლები მამასკაცი იქნებოდა”.

თეორიკოსები ქალთა მოძრაობის ამჟამინდელ ეტაპს “მესამე ტალღად” მოიხსენიებენ, რომელიც გასული საუკუნის 90-იან წლებში იღებს სათავეს. იგი მრავალმხრივობით გამოირჩევა და აერთიანებს ისეთ მიმართულებებს, როგორცაა – შავკანიან ქალთა ფემინიზმი, ეთნიკური უმცირესობის, რელიგიური ფემინიზმი და სხვა. “მესამე ტალღის” ფემინიზმისათვის დამახასიათებელია ანტირასიზმი, ინტერნაციონალიზმი, ქალთა სექსუალობის დესტიგმაცია.

ფემინიზმის “მესამე ტალღის” აღმავლობა აშშ-ში დაიწყო, რომლის საფუძველსაც საზოგადოების კონსერვატიული შეხედულებები და ანტიფემინისტური რეაქციები წარმოადგენდა.

“მესამე ტალღამ” იმ აქტივისტების მრავალი პოლიტიკური და თეორიული თეზისი გაიზიარა, რომლებიც “მეორე ტალღის” ფარგლებში მარგინალურ პოზიციებს იკავებდნენ, მათ შორისაა მკვლევარი და საზოგადო მოღვაწე ბელ ჰუკსი, გლორია ანზალდუა და სხვა. დღეისათვის “მესამე ტალღის” აქტიურ მოღვაწეებად ითვლებიან ელის უკერი, ლილი ტეილორი, ნაომი ვულფი.

დასკვნა

ამრიგად, ქალები თავიანთი შემოქმედებით და სამეცნიერო-კვებითი მოღვაწეობით ყოველ ეტაპზე იდგნენ ქალთა უფლებებისათვის ბრძოლის ავანგარდში და კვლავ აგრძელებენ ბრძოლას საკუთარი უფლებების მოპოვებისათვის. ჩნდება ახალ-ახალი თემები, რომლებიც მოიცავენ კვლევებს ანთროპოლოგიის, სოციოლოგიის, ეკონომიკის, ლიტერატურის, ხელოვნების, ფსიქონალიზისა და ფილოსოფიის სფეროში. აკრიტიკებს რა დამკვიდრებულ წარმოდგენებს სქესსა და რასაზე, “მესამე ტალღის” მნიშვნელოვან განმასხვავებელ ნიშანს ტრადიციული, მეცნიერული ცოდნის თანმიმდევრული და არგუმენტირებული კრიტიკა წარმოადგენს, შედეგად, XXI საუკუნეში ქალთა უფლებებისათვის მოძრაობა ახალ, გლობალურ სტადიაში გადადის.

გამოყენებული ინტერნეტ რესურსი:

1. https://ru.boell.org/sites/default/files/uploads/2016/11/lyudmila_popkova_istoriya_fem_inizma.pdf
2. <https://ru.wikipedia.org/wiki/Феминизм>
3. https://ru.wikipedia.org/wiki/История_феминизма

Mzia Milashvili

Georgian Technical University. Professor

Valeri Mchedlishvili

Georgian Technical University. Associate Professor

The role of women's creativity in the formation of feminist ideology

Resume

This report discusses the role of women's creativity in shaping the ideology of the feminist movement.

The spreading of feminist ideas in the Middle Ages is linked to the Italian women writers - Isotta Nogarola and Laura Cereta.

Issues of women's rights are also addressed in the works of women writers - Afra Ben and Mary Estelle. They are referred to as the first defenders of women's rights.

French writer Pauline De Lia Barry wrote about the unequal status of women in her essay "Equality of both sexes".

Simone de Beauvoir, the founder of The Second Wave of Feminism, in her treatise "The Second Sex" (1949), describes that based on an analysis of folklore and mythology the formation of the notion of women as the second class and the idea that women are considered deviant, should be a thing of the past.

According to Vemelkhan, the female researcher, Imelda is a continuation of the previous phase of the "second wave" and separates two wings - the liberal and the radical.

Liberal feminism is associated with "The Mysticism of Femininity" (1963) - work of American writer Betty Friedan. The author criticizes the idea of women's realisation only in the family raising children and refutes the myth of the "happy housewife".

Radical wing activists form groups to discuss personal issues and family relationships to improve women's self-awareness. As a result, they conclude that personal experience is universal. The slogan of it became the phrase of publicist woman Carol Khanish: "Personal - this is political".

The next stage of the women's movement is the "third wave". It was formed in the 90s of the last century, based on the necessity of changes in conservative views. The distinguishing mark of the "third wave" is the reasonable critique of scientific knowledge. They conduct research in anthropology, sociology, economics, literature, art, psychoanalysis, and philosophy, and in the 21st century the movement of women's rights enters a new phase.

თამარ ბერიძე

საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის პროფესორი

ლიკა ბერიძე

საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის პროფესორი,

სოფიო ბერიძე

საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

შეიარაღებულ კონფლიქტურ ზონებში არსებული უახლესი გამოცდილებების თანახმად, მშვიდობის მშენებლობასა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, ქალების სრული ჩართულობა აუცილებელია. მათი აქტიური მონაწილეობა შეიარაღებული კონფლიქტების პრევენციის, მოგვარების, მშვიდობის, უსაფრთხოების ხელშეწყობისა და შენარჩუნებისთვის მეტად მნიშვნელოვანია.

ქალების დიპლომატია ალტერნატიული სტრატეგიაა, რომელიც ქმნის მშვიდობის მშენებლობისათვის ახალ სივრცეს და უპირისპირდება კონფლიქტის ნარატივებს. კვლევებმა გვიჩვენა, რომ ქალების დიპლომატია ხელს უწყობს შერიგების პროცესებს, ქალები შედარებით მარტივად და წარმატებით ამყარებენ კავშირებს მოწინააღმდეგე მხარეებთან, თუმცა, დღესდღეობით საკმაოდ ბევრი ბარიერია ცნობილი, რომელიც ხელს უშლის ქალების მონაწილეობას მშვიდობის მშენებლობის პროცესებში. მიუხედავად იმისა, რომ იზრდება ქალთა თანაბარი მონაწილეობის მხარდაჭერა სამშვიდობო მისიებში, პროგრესი ქალების ხელმისაწვდომობის კუთხით ისეთ პროცესებზე, როგორცაა სამშვიდობო მოლაპარაკებები, შეზღუდულია.

გენდერული თანასწორობის საკითხებს კონფლიქტების პრევენციაში, მშვიდობის შენარჩუნებასა და მშენებლობაში, ჰუმანიტარულ სიტუაციებსა და პოსტკონფლიქტურ რეკონსტრუქციაში მეტი ყურადღება უნდა მიექცეს, რაც

შესაბამისად, განაპირობებს გაუმჯობესებულ ძალისხმევას ინსტიტუციების, მექანიზმებისა და საზოგადოების, მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან, ეროვნული დონის მხარდაჭერის უნარების ამაღლებას. ქალების მონაწილეობა პოსტკონფლიქტულ უსაფრთხოების სამსახურებში გადამწყვეტია ისეთი სტრუქტურების შესაქმნელად, რომლებიც იქნება წარმომადგენლობითი, სანდო და ლეგიტიმური, ქალებს შეუძლიათ დააკმაყოფილონ როგორც მამაკაცების, ასევე ქალების უსაფრთხოების საჭიროებები.

საკვანძო სიტყვები: შეიარაღებული კონფლიქტი, ქალთა ჩართულობა, დიპლომატია, პრევენცია

ქალთა როლი შეიარაღებული კონფლიქტის დროს

შესავალი

ქალების სრული ჩართულობა შეიარაღებული კონფლიქტების პრევენციისა და მოგვარების ყველა ძალისხმევაში აუცილებელია მშვიდობისა და უსაფრთხოების ხელშეწყობისა და შენარჩუნებისთვის. გენერალური ასამბლეის ოცდამესამე საგანგებო სესიამ სახელწოდებით „ქალები 2000: გენდერული თანასწორობა, განვითარება და მშვიდობა ოცდამეერთე საუკუნეში“ მოუწოდა ქალებს სრული მონაწილეობისაკენ გადაწყვეტილების მიღებაში ყველა დონეზე მშვიდობიანად. გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო მნიშვნელოვანი რეზოლუცია 1325 (2000) - ქალთა, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ, რომელიც ეხებოდა ომის გავლენას ქალებზე და ქალთა წვლილს კონფლიქტების მოგვარებისა და მდგრადი მშვიდობის საქმეში.

რეზოლუცია მოუწოდებს ქალთა თანაბარ მონაწილეობას მამაკაცებთან და მათ სრულ ჩართულობას მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისა და ხელშეწყობის ყველა ძალისხმევაში. ასევე, ზომების მიღებას გენდერული პერსპექტივების განსახორციელებლად კონფლიქტების პრევენციის, სამშვიდობო მოლაპარაკებებისა და კონფლიქტების შემდგომი კუთხით. ამ რეზოლუციის განხორციელების პროგრესის შესახებ უშიშროების საბჭო ყოველწლიურად ატარებს ღია დებატებს. უშიშროების საბჭოს რვა პრეზიდენტის განცხადება იძლევა დამატებით მითითებებს რეზოლუციის სრულად განხორციელების გზებსა და საშუალებებზე. საბჭო სულ უფრო მეტად აცნობიერებს ურთიერთკავშირს

გენდერული თანასწორობას, ქალთა გაძლიერებასა, მშვიდობიანი მოსახლეობისა და შეიარაღებული კონფლიქტის დროს ბავშვების დაცვის, საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისათვის. შეიარაღებულ კონფლიქტში ბავშვების მდგომარეობაზე მუშაობამ ხელი შეუწყო ამ საკითხების აქტუალურობას, მათ შორის უშიშროების საბჭოს მიერ 1612 (2005) რეზოლუციით ჩამოყალიბებული მონიტორინგისა და მოხსენების მექანიზმის შემუშავების გზით.

2005 წლის მსოფლიო ლიდერებმა სამიტზე კიდევ ერთხელ დაადასტურეს თავიანთი ვალდებულება უშიშროების საბჭოს რეზოლუციის 1325 (2000) სრული და ეფექტიანი განხორციელებისადმი. მათ ხაზი გაუსვეს ქალთა მნიშვნელოვან როლს კონფლიქტების პრევენციასა და მოგვარებაში და ასევე, ხაზი გაუსვეს გენდერული პერსპექტივის ინტეგრირების მნიშვნელობას, ყველა დონეზე გადაწყვეტილების მიღებისას მათი როლის გაზრდის აუცილებლობას.

მსოფლიო სამიტის შედეგად, 2006 წლის ივნისში შეიქმნა სამშვიდობო კომისია, როგორც გენერალური ასამბლეისა და უშიშროების საბჭოს მრჩეველთა ორგანო, რომლის მიზანი იყო საერთაშორისო თანამეგობრობის ხელთ არსებული რესურსების გამოყენება და ინტეგრირებული სტრატეგიების შეთავაზება პოსტკონფლიქტური აღდგენისთვის - მდგრად განვითარებაზე კონფლიქტიდან გამოსულ ქვეყნებში.

2008 წლის ივნისში უშიშროების საბჭომ გამართა ღია თემატური დებატები თემაზე „ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება: სექსუალური ძალადობა შეიარაღებული კონფლიქტის სიტუაციებში“, რომელიც დასრულდა 1820 (2008) რეზოლუციის მიღებით. ამ რეზოლუციაში უშიშროების საბჭომ კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი გადაწყვეტილება ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის აღმოსაფხვრელად, მათ შორის დაუსჯელობის შეწყვეტის გზით.

ქალების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების დაუსჯელობის კულტურის დასრულების ახალი ვალდებულებები ასევე იქნა მიღებული საერთაშორისო სამართალში.

1995 წლიდან საგრძნობლად გაიზარდა ცნობიერება ქალებზე შეიარაღებული კონფლიქტის გავლენის შესახებ, მათ შორის სექსუალური და გენდერული ძალადობის როლისა და ქალთა წვლილისთვის სამშვიდობო პროცესებში.

გენდერული თანასწორობის საკითხებს კონფლიქტების პრევენციაში, მშვიდობის შენარჩუნებასა და მშენებლობაში, ჰუმანიტარულ სიტუაციებსა და პოსტკონფლიქტურ რეკონსტრუქციაში მიეცა მეტი ყურადღება, შესაბამისად, ამან განაპირობა გაუმჯობესებული ძალისხმევა ინსტიტუციების, მექანიზმებისა და საზოგადოების, მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან, ეროვნული დონის მხარდაჭერის უნარების ასამაღლებლად.

უშიშროების საბჭოს 1325-ე რეზოლუციის საფუძველზე, ქალებმა მოაწვეეს გაცვლა კონფლიქტურ ნაწილებში, ლობირებდნენ ქალების მონაწილეობას ოფიციალურ სამშვიდობო მოლაპარაკებებში და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში. მათ გამოიყენეს რეზოლუცია, რომელიც ითარგმნა 90-ზე მეტ ენაზე, ცნობიერების ამაღლებისთვის. შეიქმნა სამუშაო პარტნიორობა ქალთა სამინისტროსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის 1325 რეზოლუციის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით.

მიუხედავად იმისა, რომ იზრდება ქალთა თანაბარი მონაწილეობის მხარდაჭერა სამშვიდობო პროცესებში, პროგრესი ქალების ხელმისაწვდომობის კუთხით ისეთ პროცესებზე, როგორცაა სამშვიდობო მოლაპარაკებები, შეზღუდულია. 2003 წელს, ქალთა სტატუსის კომისიის 48-ე სესიისთვის მოსამზადებლად, ოტავაში, (კანადა) ქალთა განვითარების განყოფილების მიერ მოეწყო ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა. ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრამ მიიღო რეკომენდაციები სამომავლო სამშვიდობო შეთანხმებებში ჩართვისათვის. 1325 რეზოლუციით, ისრაელის მთავრობამ ქალების ჩართვა განახორციელა იმ ჯგუფში, რომელიც დაინიშნა სამშვიდობო მოლაპარაკებებისა და კონფლიქტების მოგვარებისთვის. ასევე მიღებულია ზომები ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე ყურადღების მიქცევის მიზნით ჭეშმარიტებისა და შერიგების კომისიებში. ავღანეთში ათასობით ქალი მთელი ქვეყნიდან მონაწილეობდა სამუშაო შეხვედრებში, რომლებიც ფოკუსირებული იყო ქალთა საკითხებსა და დემოკრატიაზე.

ქალის როლი კონფლიქტის დროს

გაეროს ქალთა განვითარების განყოფილებამ (DAW) აიღო საკონსულტაციო მისიები ავღანეთში, ჰაიტიში, ლიბერიაში, სიერა ლეონესა და ტიმორ-ლესტში.

DAW-მ ჩაატარა სამუშაო შეხვედრები ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტისთვის ეროვნული ანგარიშების მომზადების მხარდასაჭერად.

ისეთმა ქვეყნებმა, როგორებიცაა რუანდა, ბურუნდი, მოზამბიკი, სამხრეთ აფრიკა და ტიმორ-ლესტე, გადადგეს მნიშვნელოვანი ნაბიჯები პოსტკონფლიქტურ არჩევნებში ქალი კანონმდებლების რაოდენობის გასაზრდელად.

ქალების მონაწილეობა პოსტკონფლიქტულ უსაფრთხოების სამსახურებში გადაწყვეტია ისეთი სტრუქტურების შესაქმნელად, რომლებიც იქნება წარმომადგენლობითი, სანდო და ლეგიტიმური და შეუძლიათ დააკმაყოფილონ როგორც მამაკაცების, ასევე ქალების უსაფრთხოების საჭიროებები. ოთხი ქვეყანა, არგენტინა, ნიგერია, პაკისტანი და სამხრეთ აფრიკა შეთანხმდნენ, განახორციელონ საპილოტე პროექტი, რომელიც საშუალებას მისცემს მიღებული კარგი პრაქტიკის დოკუმენტირებას და სისტემატურ გაზიარებას.

2008 წლის ივლისში ქალები შეადგენდნენ სამხედრო პერსონალის 2,2 %-ს, რომლებიც მსახურობდნენ გაეროს სამშვიდობო ოპერაციებში. იმ პირობებში, სადაც სამშვიდობო მისიები მხარს უჭერენ პოლიციის სამსახურების რესტრუქტურირებას (სიერა ლეონე, ტიმორ-ლესტე და კოსოვო) სამოქალაქო პოლიციელები 15 %-ზე მეტს წარმოადგენენ. მიღწეულია გაუმჯობესება იძულებით გადაადგილებული და ლტოლვილი ქალების დაცვასა და მათი საჭიროებების დაკმაყოფილებაში. მათ შორისაა გაუმჯობესებული საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტები, სამშვიდობო ოპერაციების მანდატები და ჰუმანიტარული აქტორების რეაგირება. რეგიონულმა ორგანიზაციებმა, როგორცაა აფრიკის კავშირი და ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაცია, შექმნეს პროტოკოლები და პოლიტიკა იძულებით გადაადგილებულთა უფლებების შესახებ. სახელმწიფოებმა მიიღეს კანონები ლტოლვილებთან და თავშესაფრის მაძიებლებთან დაკავშირებით.

მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული პროგრესი იქნა მიღწეული სამშვიდობო და პოლიტიკურ მისიებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე ქალთა რაოდენობის გაზრდაში, არსებული მონაცემები აჩვენებს, რომ მეტის გაკეთებაა საჭირო. 2009 წლის სექტემბერში სამი ქალი იყო მისიის ხელმძღვანელი (ლიბერია, ცენტრალური

აფრიკის რესპუბლიკა და ნეპალი) და მისიის მეთაურის ხუთი მოადგილე (ბურუნდი, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა და ჩადი, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა, ლიბერია და სუდანი). ასევე, მიუხედავად იმისა, რომ ქალთა როლი და წვლილი სამშვიდობო პროცესებში გლობალურად არის აღიარებული, პრაქტიკაში რჩება დაბრკოლებები მათ მონაწილეობასთან დაკავშირებით ოფიციალურ სამშვიდობო პროცესებში და გადაწყვეტილების მიღებაში - რეკონსტრუქციისა და რეფორმების პროცესებში. 2008 წელს, UNIFEM-მა შეაფასა, რომ ქალები შეადგენდნენ ფორმალური მოლაპარაკებების დელეგაციების წევრების საშუალოდ 10 %-ზე ნაკლებს.

გამოწვევად რჩება ინფორმაციის არაადეკვატური ხელმისაწვდომობა და შეზღუდული შესაძლებლობები, სტატისტიკური ინფორმაციის მოსაპოვებლად ეროვნულ დონეზე, გენდერულ და ასაკობრივ ჭრილში. ასეთი მონაცემების გარეშე უსაფრთხოების სიტუაციების ანალიზი, მათ შორის ქალთა ადამიანის უფლებების დარღვევის ჩათვლით, არასრული იქნება და ქალთა წვლილს სამშვიდობო პროცესებში და მათ მონაწილეობას კვლავ ეჭვქვეშ დააყენებს.

გენერალურმა მდივანმა არაერთხელ მოუწოდა უშიშროების საბჭოს შექმნას მექანიზმი, რომელიც მიძღვნილი იქნება ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების ჩარჩოს ფარგლებში განხორციელების მონიტორინგისთვის.

უშიშროების საბჭოს 2004 წლის მოხსენებაში გენერალურმა მდივანმა აღნიშნა, რომ არაადეკვატური კონკრეტული რესურსების განაწილებამ ხელი შეუწყო ქალთა მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ 1325 რეზოლუციის იმპლემენტაციის შენელებას. გენდერული თანასწორობის დაფინანსების შესახებ შეთანხმებულ დასკვნებში კომისიამ ხაზი გაუსვა ქალთა სრული, თანასწორობის ადეკვატური დაფინანსების უზრუნველყოფის აუცილებლობას და ეფექტიან მონაწილეობას ყველა დონეზე კონფლიქტების პრევენციაში, მართვასა და გადაწყვეტაში, მშვიდობის მშენებლობაში.

დასკვნა

გენდერული თანასწორობის საკითხებს კონფლიქტების პრევენციაში, მშვიდობის შენარჩუნებასა და მშენებლობაში, ჰუმანიტარულ სიტუაციებსა და პოსტკონფლიქტურ რეკონსტრუქციაში მეტი ყურადღება უნდა მიექცეს, რაც

შესაბამისად, განაპირობებს გაუმჯობესებულ ძალისხმევას ინსტიტუციების, მექანიზმებისა და საზოგადოების, მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან, ეროვნული დონის მხარდაჭერის უნარების ამაღლებას. ქალების მონაწილეობა პოსტკონფლიქტულ უსაფრთხოების სამსახურებში გადამწყვეტია ისეთი სტრუქტურების შესაქმნელად, რომლებიც იქნება წარმომადგენლობითი, სანდო და ლეგიტიმური, ქალებს შეუძლიათ დააკმაყოფილონ როგორც მამაკაცების, ასევე ქალების უსაფრთხოების საჭიროებები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გენდერი და შეიარაღებული კონფლიქტი - www.bridge.ids.ac.uk/reports_gend_con_em.htm
2. უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ (2006) გაეროს რესურსების ინვენტარიზაცია ქალებზე, მშვიდობაზე და უსაფრთხოებაზე. www.un.org/womenwatch/osagi/resources/wps/Inventory-27Oct2006.pdf
3. არასამთავრობო ორგანიზაციების სამუშაო ჯგუფი ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ (2005) ლოკალურიდან გლობალურამდე: მშვიდობის ამოქმედება ქალებისთვის. www.womenpeacesecurity.org/media/pdf-fiveyearson.pdf.
4. Cárdenas, Magda Lorena. 2019. "Women-to-Women Diplomacy in Georgia: A Peacebuilding Strategy in Frozen Conflict." *Civil Wars* 21(3):385-409. <https://www.tandfonline.com/doi/full/10.1080/13698249.2019.1667713>

Keywords: armed conflict, women's participation, diplomacy, prevention.

Tamari Beridze

GTU Professor,

Lika Beridze

GTU Professor,

Sophio Beridze

PhD student

The role of women in armed conflict

Resume

According to recent experience in areas of armed conflict, the full involvement of women in peacebuilding and decision-making is essential in all efforts to prevent and resolve armed conflict, i.e. to promote and maintain peace and security.

Women's diplomacy is an alternative strategy that creates a new space for peace building and confronts conflict narratives. Studies have shown that women's diplomacy contributes to reconciliation processes, women are relatively easy and successful in establishing ties with warring parties, but there are many barriers that prevent women from participating in peacebuilding processes. Despite increasing support for women's equal participation in peacekeeping missions, progress has been limited on women's access to processes such as peace negotiations.

Gender equality issues need to be given more attention in conflict prevention, peacekeeping and construction, humanitarian situations and post-conflict reconstruction, which in turn leads to increased efforts by institutions, mechanisms and the public, including international organizations, to support this level of national support service. The participation of women in post-conflict security services is critical to creating representative, credible and legitimate structures that can meet the security needs of both men and women.

ტატინა ბიელსკა

უკრაინის დასაქმების სახელმწიფო სამსახურის
პერსონალის მომზადების ინსტიტუტის მართვის
განყოფილებების ხელმძღვანელი, მეცნიერებათა
დოქტორი საჯარო ადმინისტრირებაში

თამარ კანაშვილი

საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის დოქტორანტი

სოფიო ბერიძე

საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის დოქტორანტი

ქალთა მეწარმეობის მნიშვნელობა

აბსტრაქტი

დღევანდელ ციფრულ სამყაროში რა ცოდნა და უნარებია საჭირო პროფესიულ წინსვლასა და მეწარმე ქალად წარმატების მისაღწევად? რა არის მთავარი ბარიერები წარმატებული მეწარმეობისთვის, რაც ხელს უშლის ქალებს სრულად გამოავლინონ თავიანთი პოტენციალი ან თუნდაც დაიწყონ ბიზნესი? ბოლო დროინდელი შესაბამისი ლიტერატურის მიმოხილვით (2011–2019) აქცენტი კეთდება ქალთა სამეწარმეო ინიციატივებზე, უნარებზე, მახასიათებლებზე, ატრიბუტებზე, მოტივებსა და ლიდერობის სტილზე, რომელიც ასახავს წარმატების სტრატეგიებსა და ბარიერებს, ავლენს ცვლილებების გარკვეულ ნაწილს. მეორეს მხრივ, ქალები მეწარმეები კვლავ ჩართულნი არიან მრავალფუნქციური სამუშაოების მორევში, კვლავ განიცდიან ფინანსური რესურსების, მარკეტინგის უნარებისა და დამხმარე სერვისების ნაკლებობას, ასევე ბიზნეს ქსელებზე შეზღუდული წვდომას.

კვლევის მიხედვით, ქალებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ უფრო დიდი მოცულობის მეწარმეობის ფენომენებსა და ეკონომიკურ განვითარებაში (Sarfaraz et al, 2014). შედეგად, საჭიროა ქალთა მეწარმეობის მრავალი ასპექტის შესწავლა - ქალთა მეწარმეობის, როგორც კვლევის თემის შესასწავლად, არსებული თეორიული ცნებები უფრო მეტად უნდა გაფართოვდეს.

ქალებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ სამეწარმეო საქმიანობაში (Noguera et al., 2013) და ეკონომიკურ განვითარებაში (Kelley et al., 2017; Hechevarra et al., 2019) ახალი სამუშაო ადგილების შექმნისა და მშპ-ის გაზრდის თვალსაზრისით (Bahmani-Oskooee et al., 2013; Ayogu and Agu, 2015) - ეფექტიანი შედეგით სიღარიბესა და სოციალურ გარიყულობაზე (Langowitz and Minniti, 2007; Rae, 2015). მეორეს მხრივ, სანამ აღვნიშნავთ გაზრდილ რაოდენობას და წავახალისებთ მოუძაადებელი ქალების სამეწარმეო გზას, მნიშვნელოვანია გამოვიკვლიოთ მზარდი მაჩვენებლების მიღმა არსებული რეალობა, შევაფასოთ სოციალური როლები და სტერეოტიპები, რომლებიც მინიჭებული აქვთ მამაკაცებსა და ქალებს, რაც შეიძლება გახდეს საწყისი წერტილი მეწარმეობაში გენდერული განსხვავების ასახვნელად. ამ მიდგომების შეცვლა და უფრო მეტი ქალის ხელმძღვანელ თანამდებობებზე დაწინაურების მცდელობები ძირითადად ფოკუსირებულია თანასწორობის საკითხებთან.

საკვანძო სიტყვები: ქალთა მეწარმეობა, გენდერი და მეწარმეობა,
თანასწორობა

Tetiana Bielska, Doctor of Science in Public Administration, Head Departments of Management, Institute of Personnel Training State Employment Service of Ukraine,

Tamar Kanashvili, President of the Trainers Association in Georgia,

PhD student, GTU

Sophio Beridze, PhD student, GTU

The Importance of Women Entrepreneurship

ABSTRACT

In today's digital world, what knowledge and skills are required to advance professionally and succeed as a woman entrepreneur? What are the major barriers to successful entrepreneurship that prevent women from reaching their full potential or even starting a business? A recent literature review (2011–2019) on women's entrepreneurial initiatives, skills, characteristics, attributes, motives, and leadership styles, documenting success strategies and barriers encountered, reveals some part of changes. On the other side women entrepreneurs continue to face the whirlwind of multitasking, as well as a lack of

financial resources, marketing skills, and support services, as well as limited access to business networks.

Women can play a big part in the greater entrepreneurship phenomena and economic development, according to the research (Sarfaraz et al, 2014). As a result, there is a need to look into many aspects of women's entrepreneurship. To further understand the distinctiveness of women entrepreneurship as a research topic, existing theoretical notions must be broadened.

Women can contribute significantly to entrepreneurial activity (Noguera et al., 2013) and economic development (Kelley et al., 2017; Hechevarra et al., 2019) in terms of creating new jobs and increasing GDP (Bahmani-Oskooee et al., 2013; Ayogu and Agu, 2015), with positive effects on poverty and social exclusion (Langowitz and Minniti, 2007; Rae, 2015).

On the other hand before celebrating over increased numbers and encouraging untrained women to embark on the entrepreneurial path, it is critical to examine the truth behind rising figures. The social roles and stereotypes that are culturally assigned to men and women can serve as a starting point for explaining the gender gap in entrepreneurship. Efforts to change this and promote more women to positions of leadership have primarily focused on issues of equality.

Keywords: Women Entrepreneurship, Gender and Entrepreneurship, Equality

Introduction. In today's highly competitive world, women entrepreneurs play an important role in the worldwide drive for long-term economic development and social improvement. Women-owned enterprises are developing in practically every country's economy as a result of increased industry, urbanization, social regulation and the expansion of higher education and awareness.

Schumpeter wrote– “Women entrepreneurs are those women who innovate, initiate or adopt a business activity”. Also we may refer Frederick Harbison – “Any women or group of women which innovates, initiates or adopts an economic activity may be called women entrepreneurship”.

In a brief, women entrepreneurs are individuals who come up with the idea for a business, start it up, organize and combine production aspects, run the firm, take chances, and deal with the economic uncertainty that comes with it.¹

Julie Weeks, the Director of Research National Foundation for Business Owners in Jalbert wrote (2000:14): “Entrepreneurship offers tremendous opportunities for women across the world by opening doors to greater self-sufficiency, self-esteem, education, and growth – not only for the women themselves but also for their families and their employees. And women are changing the face of business ownership internationally; between one-quarter and one-third of the world’s businesses are owned by women. As their numbers grow and as their businesses prosper, they will change the way the world does business.”²

Georgia is in need of woman entrepreneurs and several causes have prompted the female generation to laung their own enterprises. The following are the motivator needs that drive modern women to become entrepreneurs: economic necessities, a desire for high achievement, independence, government encouragement, education, role of training and development, growing awareness and other motivators.

For Woman Entrepreneurship it is important to have access a network, to establish social capital, gather, receive support from advisory groups, and acquire education and training on available resources in order to promote female entrepreneurship. Knowing that someone else has faced and overcome a comparable challenge may be a powerful motivation.

It is also worth noting that developments are taking place in the sector of some commercial banks. In Georgia 'Traditional' banks began targeting female entrepreneurs in 2010, seeing them as a potentially high-growth sector. In 2019, the Bank of Georgia began a offering small percentage of loans for female entrepreneurship and provided a variety of financial educative courses to assist women in business. ³

Fredrick Horbison has listed the following five functions of a female entrepreneur:

1. Investigating the feasibility of launching a new company venture.
2. Taking risks and dealing with economic uncertainty in company.

¹ <https://doi.org/10.3917/fbc.020.0079>

² <https://www.jstor.org/stable/41211918>

³ Women Entrepreneurship: a Second Best Solution? Dina Ionescu Dans Finance & Bien Commun 2004/3 (No 20), pages 79 à 90

3. Implementation of new ideas or replication of existing ideas
4. Coordination, administration, and management
5. Management and leadership.

It is worth noting that different researchers have described distinct sets of functions of entrepreneurs, whether male or female.

However, all of these functions may be generally grouped into three groups, namely:

- a) Takers of risks
- b) Organization
- c) Creativity

A woman entrepreneur must undertake all of the responsibilities needed in the establishment of a business as an entrepreneur. These functions include the generation and screening of ideas, the determination of objectives, the preparation of projects, the analysis of projects, the determination of forms of business organization, the completion of promotional formalities, the raising of funds, the logistics, machines and materials and the operation of the business.

Furthermore, discussing 'women's entrepreneurship' has great value because it opens up the subject to previously unexplored topics such as 'balancing family/professional life,' the meanings of 'risk-taking,' the role of 'entrepreneurial culture,' the question of how and when to begin teaching business, and the significance of 'self-confidence' in entrepreneurship.⁴

Today's women are taking more and more responsibilities and taking number of professional and technical degrees in order to meet market demands, and they are thriving as designers, interior decorators, exporters, publishers, garment makers, and are still exploring new routes of economic engagement.

The Advantages of Female Entrepreneurship. According to Jalbert (2002), economic development has remained stable in countries where women have advanced in business. In nations where women's entrepreneurship is restricted, on the other hand, the economy has remained stagnant. Women's productive activities, especially in industry, provide them with economic empowerment and allow them to contribute more to overall growth.

⁴ (Fielden and Davidson, 2005)

Women's entrepreneurial activities, whether in small or medium production, in the informal or formal sectors, are not only a means of economic survival, but also have good social ramifications for the women themselves and their social milieu (UNIDO 2001).

Women who enter fields such as entrepreneurship and company governance have a good impact on society. While wealth creation is a trait shared by males, women have demonstrated that they can do it as well and they produce - distribute money in society, as well as give jobs, like any other entrepreneur.⁵

To establish an image transformation, women entrepreneurs must attend events, conferences, workshops, and seminars, as well as actively participate in educational activities. When women's image in society improves, it becomes easier for them to have a stronger effect on the younger generation.

As a result, many rural families may begin to send their girl daughters to complete their education. This can also have an influence on how the following generation grows up. Women, as the central figure in a family, promote factors such as culture and family values more effectively in society, on both personal and professional levels.

Summary

It is obvious that entrepreneurship is not just for men anymore. Despite the obstacles, a rising number of women throughout the world are launching businesses in many fields.

With the transition from the industrial to the information eras, it is more crucial than ever to examine how women's rights and respect are welcomed in the business today. With technology penetrating most industries, the tendency for more women to join and take part in entrepreneurial activities appears to be beneficial and encouraging. Though the general trend is exciting, it is also critical for both men and women to take the practice seriously.

When women's social position improves, it becomes easier for them to have a greater influence on the younger generation. Pandit Jawahar Lal Nehru wrote: "When woman moves forward, the family moves, the village moves and the nation moves."

⁵ <https://www.tycoonstory.com/women-entrepreneur/need-and-importance-of-female-entrepreneurs/>

Literature:

1. <https://www.unwomen.org/en>
2. Women Entrepreneurship: a Second Best Solution? Dina Ionescu Dans Finance & Bien Commun 2004/3 (No 20), pages 79 à 90 <https://doi.org/10.3917/fbc.020.0079>
3. Women Entrepreneurship <https://www.yourarticlelibrary.com/women/women-entrepreneurship/women-entrepreneurship/99813>
4. <https://theconversation.com/women-entrepreneurs-thrive-managing-talented-teams-and-balancing-many-investors-115282>
5. <https://www.forbes.com/sites/forbesbusinesscouncil/2021/09/21/overcoming-some-of-the-barriers-to-women-entrepreneurship/?sh=3bd6e6942780>
6. <http://www.womenentrepreneurshipplatform.org/>
7. <https://www.tycoonstory.com/women-entrepreneur/need-and-importance-of-female-entrepreneurs/>
8. WOMEN ENTREPRENEURS IN SMALL AND MEDIUM ENTERPRISES (SMEs) IN GHANA by Smile Dzisi Australian Graduate School of Entrepreneurship Faculty of Business and Enterprise Swinburne University of Technology Victoria, Australia March 2008;

ნენო გაბელია

პოლიტიკურ მეცნიერებათა დოცენტი,
“ჩემასის” ცენტრის ექსპერტი
რომის “ლა საპიენცას” უნივერსიტეტი.

რომინა გურაში

ასოცირებული პროფესორი
რომის “ლა საპიენცას” უნივერსიტეტი.

სოციალური მედიის გავლენა გენდერულ დისკრიმინაციაზე

აბსტრაქტი

ქალისა და მამაკაცის თანასწორობა ევროკავშირის ერთ-ერთი დამფუძნებელი პრინციპია. ბოლო ათწლეულების განმავლობაში, ევროკავშირმა მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა გენდერული თანასწორობის კუთხით. თუმცა, უთანასწორობა შენარჩუნებულია და შრომის ბაზარზე ქალები კვლავ ზედმეტად არიან წარმოდგენილნი ყველაზე დაბალანაზღაურებად სექტორებში და ნაკლებად არიან წარმოდგენილნი გადაწყვეტილების მიღების დონეზე. ევროკომისიამ გენდერული თანასწორობა დააყენა თავის პოლიტიკურ დღის წესრიგში და ახლახან მიიღო გენდერული თანასწორობის ამბიციური სტრატეგია (2020-2025), რომელიც მიზნად ისახავს ისეთ ევროპაში ცხოვრებას, სადაც გენდერული თანასწორობა უმთავრესი წესია. ჩვენ მტკიცედ გვჯერა იმ ტრანსფორმაციული როლის, რომელიც სოციალურმა მედიამ შეიძლება ითამაშოს საზოგადოებებში გენდერული თანასწორობის მიღწევაში, გენდერულად მგრძობიარე და გენდერული ტრანსფორმაციული შინაარსის შექმნით და გენდერული სტერეოტიპების დამსხვრევით.

საკვანძო სიტყვები: ევროკავშირი, სქესი, სოციალური მედია, თანასწორობა, დისკრიმინაცია

Neno Gabelia

Dr. of Political Science, Expert at the research center “CEMAS”

“La Sapienza” University in Rome.

Romina Gurashi

Associate Professor

“La Sapienza” University of Rome.

“Gender Discrimination, what about the role of gender representation in social media“

Abstract

Equality between women and men is one of the founding principles of the European Union. Over the past decades, the EU has made significant progress with regard to gender equality. However, disparities persist and in the labor market women continue to be over-represented in the lowest paid sectors and under-represented in decision-making levels. The European Commission has put gender equality at the top of its political agenda and recently adopted an ambitious strategy for gender equality (2020-2025) aimed at achieving a Europe where gender equality is the rule. We strongly believe in the transformative role social media can play in achieving gender equality in societies. By creating gender-sensitive and gender-transformative content and breaking gender stereotypes.

Key Words: EU, gender, social media, equality, discrimination

Intoduction

Online social media are information resources that can have a transformative power in society. While the Web was envisioned as an equalizing force that allows everyone to access information, the digital divide prevents large amounts of people from being present online. Online social media, in particular, are prone to gender inequality, an important issue given the link between social media use and employment.

Media play important roles in society. They report on current events, provide frameworks for interpretation, mobilise citizens with regard to various issues, reproduce

predominant culture and society, and entertain (Llanos and Nina, 2011). As such, the media can be an important actor in the promotion of gender equality, both within the working environment (in terms of employment and promotion of female staff at all levels) and in the representation of women and men (in terms of fair gender portrayal and the use of neutral and non-gender specific language).

Participation and influence of women in the media

Studies have found that although the number of women working in the media has been increasing globally, the top positions (producers, executives, chief editors and publishers) are still very male dominated (White, 2009). This disparity is particularly evident in Africa, where cultural impediments to women fulfilling the role of journalist remain (e.g. travelling away from home, evening work and covering issues such as politics and sports which are considered to fall within the masculine domain) (Myers, 2009). The Global Media Monitoring Project (GMMP) reports that throughout the world, female journalists are more likely to be assigned 'soft' subjects such as family, lifestyle, fashion and arts. The 'hard' news, politics and the economy, is much less likely to be written or covered by women.

The level of participation and influence of women in the media also has implications for **media content**: female media professionals are more likely to reflect other women's needs and perspectives than their male colleagues. It is important to acknowledge, however, that not all women working in the media will be gender aware and prone to cover women's needs and perspectives; and it is not impossible for men to effectively cover gender issues. Recent research from 18 disparate countries shows that male and female journalists' attitudes do not differ significantly (Hanitzsch & Hanusch, 2012). Nonetheless, the presence of women on the radio, television and in print is more likely to provide positive role models for women and girls, to gain the confidence of women as sources and interviewees, and to attract a female audience.

Furthermore, social media opened the door to a "new economy", social media entrepreneurship. Instagram, YouTube, TikTok and other online platforms are blooming, and influencers, who are mainly women, in 2020 a survey of 1600 influencers from more than 40 countries showed that male influencers received more money per post than females

(1411\$ compared with 1315\$) and they had a wider variety of sponsoring brands in comparison to women (Garlick, 2020).

Understanding gender inequality in social media is a challenging task due to the necessity of data sources that can provide large-scale measurements across multiple countries. Here, we show how the Facebook Gender Divide (FGD), a metric based on aggregated statistics of more than 1.4 billion users in 217 countries, explains various aspects of worldwide gender inequality. Our analysis shows that the FGD encodes gender equality indices in education, health, and economic opportunity. We find gender differences in network externalities that suggest that using social media has an added value for women. Furthermore, we find that low values of the FGD are associated with increases in economic gender equality. Our results suggest that online social networks, while suffering evident gender imbalance, may lower the barriers that women have to access to informational resources and help to narrow the economic gender gap. Equality between women and men is one of the founding principles of the European Union. Over the past decades, the EU has made significant progress with regard to gender equality. Online social media are information resources that can have a transformative power in society. While the Web was envisioned as an equalizing force that allows everyone to access information, the digital divide prevents large amounts of people from being present online. Online social media, in particular, are prone to gender inequality, an important issue given the link between social media use and employment. Understanding gender inequality in social media is a challenging task due to the necessity of data sources that can provide large-scale measurements across multiple countries.

What is the role of media in gender equality?

Media play an important role in how people form their identities, social norms and values in relation to gender. From a young age, children are influenced by the gendered stereotypes that media present to them. For example, Plan International and the Geena Davis Institute on Gender in Media conclude that girls and young women lose confidence and ambition if they do not see role models and women as leaders on screens.

Gender inequality in media content exists through both the under-representation and mis-representation of women. Men are far more likely to be visible as journalists, experts and subjects than women, and also to be portrayed in a way that values their opinions, experiences and professions.

Gender inequality is also clearly visible within media institutions. Even though an increasing number of women are studying and entering the journalism profession, they continue to face significant barriers to safety, support and career progression, and remain under-represented in the sector.

Gender inequalities that are present across many aspects of society are reflected in the media. Media can perpetuate gender inequalities, but also have the power to address and challenge them. There is an enormous potential for media to show more balanced, inclusive and diverse portrayals of gender, thereby contributing to a more just society.

Gender-sensitive reporting

[What is gender-sensitive reporting?](#)

For the media to accurately mirror societies and produce coverage that is complete and diverse, it is critical that it reflects the world as seen through the eyes of all genders. Journalists can help to change attitudes by portraying women and men as equally valued and diverse, rather than re-enforcing problematic gender-based stereotypes.

Gender-sensitive reporting is the practice of producing media content in a way which is sensitive to gender inequalities and portrays women and men fairly.

Gender-sensitive reporting should be considered a key principle of professional media production, similar to values of accuracy and balance. Gender must be considered at all levels of news production: from the editorial department where decisions are made about what stories to cover, to the field where stories are gathered.

[How can media report in a gender-sensitive way?](#)

Media outlets and journalists can report in a gender-sensitive way through:

- [Selection of sources and stories](#)
- [Elimination of gender stereotypes](#)
- [Use of gender-sensitive language](#)
- [Coverage of gender equality issues](#)

Selection of sources and stories

For journalists and producers selecting media sources, it is crucial to strive to balance the presence of women and men. This allows the media to accurately reflect society and the actions, views and concerns of all genders.

The inclusion of women who are experts in their fields is especially important, particularly in areas traditionally dominated by men's voices such as politics, economics, conflict, science and sports.

Overall, it is important for journalists to strive to:

- Ask equal numbers of women and men for their opinions on all topics.
- Cover issues of particular importance to women's lives.
- Make special consideration to include and represent the diverse stories and voices of people who are least visible in media (for example, older women).
- Consider additional gender angles to major news stories.
- Seek the expertise of women and women's organizations to see whether there is an alternative interpretation or a more significant story to be reported.
- Ensure balanced representations of all genders in visual and multimedia aspects of a story.

Media content and portrayal of men and women in the media

Fair gender portrayal in the media should be a professional and ethical aspiration, similar to respect for accuracy, fairness and honesty (White, 2009). Yet, unbalanced gender portrayal is widespread. The Global Media Monitoring Project finds that women are more likely than men to be featured as victims in news stories and to be identified according to family status. Women are also far less likely than men to be featured in the world's news headlines, and to be relied upon as 'spokespeople' or as 'experts'. Certain categories of women, such as the poor, older women, or those belonging to ethnic minorities, are even less visible.

Stereotypes are also prevalent in every day media. Women are often portrayed solely as **homemakers and carers of the family, dependent on men, or as objects of male attention.** Stories by female reporters are more likely to challenge stereotypes than those filed by

male reporters (Gallagher et al., 2010). As such, there is a link between the participation of women in the media and improvements in the representation of women.

Men are also subjected to stereotyping in the media. They are typically characterised as powerful and dominant. There is little room for alternative visions of masculinity. The media tends to demean men in caring or domestic roles, or those who oppose violence. Such portrayals can influence perceptions in terms of what society may expect from men and women, but also what they may expect from themselves. They promote an unbalanced vision of the roles of women and men in society.

However, in social media female empowerment and entrepreneurship are diminished, women cannot grip media because of its' gender-coded uses. One example of gender bias is the social media advertisement, which was part of COVID-19 campaign "Stay Home. Save Lives" in the UK. This image depicted women taking care of the household and the children, while the man was sitting on the sofa with his family (Topping, 2021).

Conclusion

The media play a very significant role in shaping public perceptions about women and men, which is why it is crucial that reporting avoids and challenges gender stereotypes. A gender stereotype is a preconceived idea where women and men are assigned characteristics and roles determined and limited by their gender. These stereotypes present an inaccurate view of the world and limit both women and men. Stereotypes influence what society may expect from people based on their gender, and also what people expect of themselves.

It is therefore crucial to:

- Ensure that coverage reflects a holistic and realistic view of people of all genders.
- Not assign generalized stereotypical characteristics to people based on gender. For example, do not imply that girls are always shy and boys are aggressive, that men are admired for their accomplishments and women for their physical attributes, or that women are passive victims and men are active survivors.

- Try not to make any gender-based assumptions. For example, try to avoid representing certain roles or jobs as only held by women or men respectively – like portraying all domestic care-givers as women or all public leaders as men.
- Treat all subjects with dignity. Avoid belittling women’s experiences and concerns.
- Provide adequate context, balance and analysis of gender. This may include looking beyond the events surrounding a story to raise underlying issues.
- Be sensitive to and avoid any double-standards in the gendered use of images, especially ones that emphasize physical or sexual aspects of women.

Using gender-sensitive language can make it easier to see important differences between the needs of women and men and challenge unconscious assumptions people have about gender roles in society. To be truly equal, women and men must be seen and heard to be equal. This means eliminating language that misrepresents, excludes or offends women.

Covering gender equality issues and discussions should be treated as an important and integral part of the media’s role as a watchdog of society.

It is not only important that regular media content is gender-sensitive and takes into account all perspectives, but media can also be a tool to raise awareness about women’s issues and concerns related to gender inequality.

Therefore, everything leads to the assumption-and sadly reality- that social media is the battlefield of the new generation. Young people need to be aware of the social pressure and adopt values that will help them cultivate their resiliency and responsibly choose their path in the digital era. To conclude, gender discrimination and stereotypes are still here as they are an integral part of our culture, and they define our role and actions in the society (digital or not) and our well-being.

References:

1. Lariviere, C. Ni, Y. Gingras, B. Cronin, C. R. Sugimoto, Global gender disparities in science. *Nature* **504**, 211–213 (2013).
2. H. Shen, Inequality quantified: Mind the gender gap. *Nature News* **495**, 22–24 (2013).
3. L. Holman, D. Stuart-Fox, C. E. Hauser, The gender gap in science: How long until women are equally represented? *PLoS Biol.* **16**, e2004956 (2018).
4. “Gender in the global research landscape” (Tech. Rep., Elsevier, 2017; <https://www.elsevier.com/research-intelligence/campaigns/gender-17>).
5. M. F. Fox, K. Whittington, M. Linkova, “Gender,(in) equity, and the scientific workforce” in *Handbook of Science and Technology Studies* (MIT Press, Cambridge, MA, 2017).
6. M. F. Fox, Gender, family characteristics, and publication productivity among scientists. *Soc. Stud. Sci.* **35**, 131–150 (2005).
7. M. Jadidi, F. Karimi, H. Lietz, C. Wagner, Gender disparities in science? Dropout, productivity, collaborations and success of male and female computer scientists. *Adv. Complex Syst.* **21**, 1750011 (2017).
8. D. Maliniak, R. Powers, B. F. Walter, The gender citation gap in international relations. *Int. Organ.* **67**, 889–922 (2013).
9. S. F. Way, D. B. Larremore, A. Clauset, “Gender, productivity, and prestige in computer science faculty hiring networks” in *Proceedings of the 25th International Conference on World Wide Web* (International World Wide Web Conferences Steering Committee, 2016), pp. 1169–1179.

თამარ გითოლენდია

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

პირველი აფხაზური გაზეთი „აფსნი“ გამოვიდა 1919 წლის 27 თებერვალს დიმიტრი გულიას რედაქტორობით საქართველოს მენშევიკური მთავრობის მმართველობის დროს. გაზეთი „აფსნი“ გამოსვლის პირველივე დღიდან პოლიტიკური და საზოგადოებრივი საქმიანობის ასპარეზად იქცა. „აფსნის“ სარედაქციო ჯგუფის წევრებმა იმთავითვე დაიწყეს ზრუნვა საზოგადოების განათლებული ნაწილის შექმნაზე და გაზეთის მეშვეობით შეუდგნენ განათლების პროპაგანდას. ქართველ და აფხაზ საზოგადო მოღვაწეთა რწმენით, აფხაზურენოვანი პერიოდული ორგანოს დაარსება აფხაზი ხალხისთვის „ახალი დროების“ დადგომას მოასწავებდა, ხოლო 27 თებერვალი აფხაზებისათვის ღისრშესანიშნავ თარიღად იქცა - „დღესასწაულთა შორის უმნიშვნელოვანესი“ - ასე შეფასდა ეს მოვლენა („აფსნი“ #1,1919).

გაზეთი გამოიცემოდა სოხუმში აფხაზურ ენაზე 1919-1921 წლებში მოქმედი შრიფტით, რაც განსხვავდება დღეს არსებული შრიფტისაგან. ამდენად, იგი სრულიად შეუსწავლელია ქართველი მეცნიერების მიერ და მას კომპლექსური ანალიზი სჭირდება. საკითხი აქტუალურია იმდენად, რამდენადაც პირველი აფხაზური გაზეთი „აფსნი“ წარმოადგენს ისტორიულ დოკუმენტურ წყაროს.

გაზეთ „აფსნის“ (1919-1921) შექმნაში 195-მა ავტორმა მიიღო მონაწილეობა, მათ შორის 19 ავტორი გაზეთს ფსევდონიმით აწერდა ხელს. აღსანიშნავია, რომ ავტორთა შორის არის 8 ქალი ავტორი (ავირ-ფჰა მარია, ალანია-ფჰა მაშა, ჰამ-ფჰა ბაბუჩკა, ჰამ-ფჰა ოლია, წურწუშია მატრონა, ჩაჩხალია-ფჰა მარია, შაყრილ-ფჰა ტატიანა, ჯინჯიალ-ფჰა მაშინა), რომელთა პუბლიკაციები ნამდვილად იმსახურებს ყურადღებას.

ამჯერად, ჩვენი მიზანია დავაკვირდეთ გაზეთ „აფსნის“ ქალ ავტორთა პუბლიკაციებს, ინიციატივებს და წარმოვაჩინოთ მათი ჩართულობა და როლი 1919-1921 წლების მოვლენებში. მოხსენება წარმოადგენს გაზეთ „აფსნის“ სისტემური კვლევის ნაწილს, რომლის საბოლოო მიზანია გაზეთის ფურცლებზე

გამოქვეყნებული ისტორიული თუ შემთხვევითი ფაქტების რეპრეზენტირება და მიუკერძოებელი ანალიზი.

საკვანძო სიტყვები: გაზეთი „აფსნი“, ქალი ავტორები, დემოკრატიული მმართველობა, აფხაზი ქალები.

ქალი ავტორები გაზეთ „აფსნის“ ფურცლებზე (1919-1921)

კვლევა ხორციელდება „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით [Fდ-19-1759, ეთნიკური ჯგუფები და მათი პერიოდული გამოცემები საქართველოში 1819-1921 წლებში]

შესავალი

პირველი აფხაზური გაზეთი „აფსნი“ გამოვიდა 1919 წლის 27 თებერვალს დიმიტრი გულიას რედაქტორობით საქართველოს მენშევიკური მთავრობის მმართველობის დროს. დღეისათვის გაზეთი „აფსნი“ წარმოადგენს ისტორიულ დოკუმენტურ წყაროს. იგი სრულიად შეუსწავლელია რამდენიმე მიზეზის გამო: გაზეთის ნომრები (ბეჭდურად) ენგურს აქეთ ჯერჯერობით არ არის მიკვლეული. გარდა ამისა, გაზეთი არის აფხაზურენოვანი და დაბეჭდილია 1919-1921 წლებში მოქმედი აფხაზური შრიფტით, რაც განსხვავდება დღეს მოქმედი შრიფტისაგან.

გაზეთი „აფსნი“ გვაწვდის საყურადღებო ინფორმაციას საქართველოს ისტორიის, ქართულ-აფხაზური ურთიერთობების, აფხაზი ხალხის ადგილისა და როლის შესახებ დემოკრატიული საქართველოს ისტორიაში; იგი ასახავს აფხაზური საზოგადოების მიერ საკუთარი იდენტობის ჩამოყალიბების პროცესს.

დემოკრატიული გაზეთი „აფსნი“ გამოიცემოდა 2 წლის განმავლობაში თვეში ორჯერ.

გაზეთის დაარსება განაპირობა აფხაზი ხალხის განვითარებისა და სასიკეთო ცვლილებების დიდმა სურვილმა. ქართველ და აფხაზ საზოგადო მოღვაწეთა რწმენით, აფხაზურენოვანი პერიოდული ორგანოს დაარსება აფხაზი ხალხისთვის „ახალი დროების“ დადგომას მოასწავებდა, ხოლო 27 თებერვალი აფხაზებისათვის ღირსშესანიშნავ თარიღად იქცა - „დღესასწაულთა შორის უმნიშვნელოვანესი“ - ასე შეფასდა აღნიშნული მოვლენა.

ძირითადი ნაწილი

გაზეთის სარედაქციო ჯგუფის წევრები და კორესპონდენტები იყვნენ იმდროინდელ მოვლენებში ჩართული ადამიანები, საზოგადოების ინიციატივიანი წევრები, რომელთაც ჰქონდათ საკუთარი ხედვა და სიძნელების გადალახვის უდიდესი სურვილი. ისინი ცდილობდნენ განეხორციელებინათ თავიანთი შეხედულებები, რაც მიმდინარე ისტორიული ვითარებით და საყოველთაო განწყობით იყო ნაკარნახევი.

გაზეთ „აფსნის“ (1919-1921 წწ) სარედაქციო კოლეგიის წევრები და ავტორები არიან ქართველი და აფხაზი საზოგადო მოღვაწეები, აფხაზი განმანათლებლები, სახალხო მასწავლებლები, მწერლები, ლიტერატურული ნიჭით დაჯილდოებული ადამიანები, აქტივისტები, რომლებიც განსაზღვრავდნენ რეგიონში საზოგადოებრივი ცხოვრების მიმართულებას. აქედან გამომდინარე, გაზეთის ფურცლებზე პოლიტიკურ საკითხებთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ისეთ თემებსაც, როგორც არის განათლება, კულტურა, მწერლობა... გაზეთში დაიბეჭდა 120-ზე მეტი მხატვრული ნაწარმოები (ლექსები, მოთხრობები, პიესები, თარგმანები) და 4 ლექსი რუსულ ენაზე.

გაზეთ „აფსნის“ (1919-1921 წწ) შექმნაში 195-მა ავტორმა მიიღო მონაწილეობა, მათ შორის 19 ავტორი გაზეთს ფსევდონიმით აწერდა ხელს. ყველაზე ნაყოფიერი ავტორები იყვნენ კაცები დიმიტრი გულია (127 პუბლიკაცია), სამსონ ჭანბა (46 პუბლიკაცია), მოსე ბულია (53 პუბლიკაცია), მ. ახაშბა (40 პუბლიკაცია), მ. ლაკრბა (36 პუბლიკაცია), დიმიტრი ალანია (30 პუბლიკაცია), მიშა ხოკერბა (25 პუბლიკაცია)... აღსანიშნავია, რომ ავტორთა შორის არის 8 ქალი ავტორი

გაზეთ აფსნის ფურცლებზე ქალი ავტორებიც არიან:

მარია აგირ-ფჰა. იგი არის 2 პუბლიკაციის ავტორი (1920 წლის 28-ე და 37-ე ნომრები). მისი პუბლიკაციები წარმოადგენს იგავებს და განეკუთვნება დიდაქტიკური ჟანრს.

მაშა/მარია ალანია-ფჰა. 1919 წლის მე-10 ნომერში გამოქვეყნებულია მისი ლექსი „გაზაფხული“. შემდგომი პერიოდის საზოგადო მოღვაწე გ. მიძარია წერს მაშა/მარია ალანია-ფჰაზე, როგორც აფხაზური ლექსის ორიგინალური ფორმის

ავტორზე და ხაზს უსვამს მის მნიშვნელოვან როლს რევოლუციამდელი აფხაზი ინტელიგენციის ფორმირების პროცესში. აღსანიშნავია, რომ პირველი აფხაზი ავტორები განიცდიდნენ თავიანთი თანამედროვე ქართველი და რუსი მწერლების გავლენას. ფაქტობრივად, ბევრი ნაშრომი წარმოადგენს მიბაძვას. მაგალითად, შეიძლება დავასახელოთ დ. გულიას ლექსი „გაზაფხული“, რომელიც ძალიან ჰგავს ილია ჭავჭავაძის ლექს „გაზაფხულს“. ამიტომ როცა აფხაზი ავტორების შემოქმედებას განიხილავენ შემდგომი პერიოდის მკვლევრები, აღნიშნავენ, ვინ არის მათ შორის ორიგინალური პოეტური ფორმების ავტორი და ერთ-ერთი ასეთი არის სწორედ მამა/მარია ალანია-ფჰა.

ბაბუჩკა ჰამ-ფჰა. 1919 წლის 32-ე ნომერში გამოქვეყნდა მისი ლექსი „ნანასო“, რაც შექმნილია ფოლკლორულ მოტივებზე და წარმოადგენს ჩონგურის სიმღერას.

ოლია ჰამ-ფჰა. 1919 წლის 26-ე ნომერში დაიბეჭდა მისი ლექსი „ფუ გვადა“ (ჩონგურის სიმღერა. ოლია ჰამ-ფჰას ლექსები მოგვიანებით შევიდა აფხაზური ლექსების ანთოლოგიის I ტომში, რომელიც 1992 წელს დაიბეჭდა სოხუმში.

მატრონა წურწუმია. 1920 წლის მე-9 ნომერში აქვეყნებს ფოლკლორულ მასალას (სახელწოდებით „ახაგა“). ამ პუბლიკაციის შემდეგ ავტორის ბიოგრაფია უცნობია.

მარია ჩაჩხალია-ფჰა. 1920 წლის მე-9 ნომერში დაიბეჭდა მისი ლექსი „აიძიძირუირა“, ხოლო იმავე წლის მე-13 ნომერში - დიდაქტიკური იგავი „ნესტორ აქუჯმა შიშიზ“. მარია ჩაჩხალია-ფჰას როგორც პირველი აფხაზი ქალი პოეტის ლექსები შემდგომში იბეჭდებოდა მოსკოვში გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთში“ (1983 წლის 8 ივლისის ნომერი).

ტატიანა შაყრილ-ფჰა. 1920 წლის 23-ე ნომერში გამოქვეყნდა საავტორო სტატია „გუდაუთა აგუჩრა ათემა“, რომელიც შეეხება გუდაუთის სიახლეებს.

მაშინა ჯინჯიალ-ფჰა. 1919 წლის მე-17 ნომერში აქვეყნებს დიდაქტიურ იგავს საეკლესიო ცხოვრებიდან.

პირველი აფხაზურენოვანი გაზეთის გამოცემისას აფხაზური დამწერლობის ისტორია უკვე 60 წელს ითვლიდა, თუმცა ამის მიუხედავად, გაზეთის სხვადასხვა ნომრიდან ირკვევა, რომ აფხაზური დამწერლობა და წერა-კითხვა ჯერ კიდევ არ იყო გავრცელებული სახალხო. სარედაქციო ჯგუფმა გადაწყვიტა გაზეთი

გამოყენებინა ხალხში აფხაზური წერა-კითხვისა და განათლების გასავრცელებლად. ამისათვის სარედაქციო კოლეგია აფხაზურად წერა-კითხვის მცოდნე პირებს მოუწოდებდა გაზეთის წაკითხვაში დახმარებოდნენ მათ, ვინც ჯერ კიდევ არ იცოდა წერა-კითხვა. წერა-კითხვის ცოდნა და ზოგადად განათლება თავისთავად დასახული იყო ცხოვრების ხარისხის, კეთილდღეობის ამაღლების გზად. სარედაქციო ჯგუფი ყოველ ადამიანს ავალდებულებდა თავისი ერის ისტორიისა და მშობლიურ ენაზე წერა-კითხვის ცოდნას და ამას პრინციპულად მნიშვნელოვან საკითხად თვლიდა პატარა ერის გადარჩენის თვალსაზრისით.

გაზეთ “აფსნის” სარედაქციო კოლეგია მოუწოდებდა მკითხველს და გაზეთთან თანამშრომლობის (ავტორობის) მსურველებს, გაეზიარებინათ თავიანთი ცხოვრებისეული გამოცდილება, პრობლემები, სირთულეები, რომელთა წინაშეც იდგა იმდროინდელი საზოგადოება; ესაუბრათ საჭირბოროტო საკითხებზე. რედაქცია მოუწოდებდა ხალხს გაერთიანებისკენ, რათა ერთიანი ძალებით ესწრაფათ უკეთესი მომავლისკენ. ამგვარ იდეოლოგიურ ფონზე ქალ ავტორებსაც დაეთმობთ გაზეთი.

ერთი შეხედვით, პროვინციული/პერიფერიული გაზეთი „აფსნი“ საკმაოდ მნიშვნელოვანი გაზეთია. იგი არ ავრცელებს სტერეოტიპებს. პირიქით, თავისი არსით იმ დროისათვის (1919-1921 წწ) არის საკმაოდ ინოვაციური პერიოდული ორგანო. გაზეთი მოსახლეობისადმი უდიდესი მზრუნველობით გამოირჩევა, რასაც ადასტურებს არაერთი დადებითი მოწოდება და კომპლექსური ინფორმაცია, რომელიც აფხაზეთის მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას ემსახურებოდა. იკვეთება, რომ საანალიზო პერიოდში აფხაზებს ჰქონდათ თვითგამოხატვის სრული თავისუფლება და გაზეთი ემსახურებოდა მათი ეროვნული ინტერესების დაცვას.

დასკვნა

გაზეთ “აფსნის” ფურცლებზე ქალი ავტორების პუბლიკაციები წარმოადგენს ორიგინალურ და ფოლკლორულ მოტივებზე შექმნილ ლექსებს, ასევე ზეპირი ისტორიის სახით შეკრებილ ფოლკლორულ იგავ-არაკებს. გვხვდება ერთ საავტორო საინფორმაციო სტატიაც. ქალ ავტორთაგან ზოგიერთმა მათგანმა შეძლო გაეგრძელებინა შემოქმედებითი საქმიანობა და მათი სახელები და გვარები

შემოინახა ლიტერატურულმა კრებულებმა, ხოლო ზოგიერთი მათგანის ბიოგრაფია უცნობია გაზეთ “აფსნისის” შემდეგ. მათ ტექსტებზე დაკვირვების შედეგად ირკვევა, რომ აფხაზ ქალთა საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლის დროისათვის მათთვის პრიორიტეტული თემატიკა იყო განათლების გავრცელება, საგანმანათლებლო საქმიანობა, საზოგადოებრივი აქტიურობა. ისინი აგროვებდნენ აფხაზური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს ან თავად წერდნენ ხალხური ცხოვრების ამსახველ ორიგინალურ იგავებისა და ლექსებს, გამოხატავდნენ საკუთარ განცდებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გამახარია, ჯ. (2007). აფხაზეთი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი უძველესი დროიდან დღემდე, თავი XVI. გვ., 287-324. თბილისი. გამომცემლობა „ინტელექტი“.
2. ენციკლოპედია ლექსიკონი. (2008). საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921). თბილისი. „უნივერსიტეტის გამომცემლობა“.
3. მუსხელიშვილი, დ., ო. ჯაფარიძე, გ. მელიქიშვილი, ა. აფაქიძე, მ. ლორთქიფანიძე, რ. მეტრეველი, მ.სამსონაძე, ნ. ასათიანი, გ. ჯამბურია, გ. ოთხმეზური, მ. ნათმელაძე, ალ. ბენდიანიშვილი, ალ. დაუშვილი. (2012). საქართველოს ისტორია. ტომი-4, საქართველოს ანექსიიდან საბჭოთა კავშირიდან გამოსვლამდე. თბილისი. გამომცემლობა „პალიტრა“.
4. ტორაძე, მ. და მაისაშვილი. ხ. (2019). მედიისა და კომუნიკაციის კვლევის მეთოდები. თბილისი. „უნივერსიტეტის გამომცემლობა“.
5. ხორავა, ბ. (2011). აფხაზეთის სამთავროს გაუქმება და მიხეილ შარვაშიძე. თბილისი. გამომცემლობა „უნივერსალი“.
6. Агазет “Апсны” (1919-1921 гг.) Еикәиршәеит, Апхъажәеи азгәатақәеи ицит У.Ш. Аәзба, Акәа – 2006.

Women Authors on the Pages of “Aphsni” Newspaper

(1919-1921)

The research is conducted with the financial support of “Shota Rustaveli Georgian National Science Foundation [FR-19-1759, ethnic groups and their periodicals in Georgia in 1819-1921]”

Resume

To create the Newspaper “Aphsni” 195 authors were involved (1919-1921), including 19 authors who signed the newspaper under a pseudonym. Noteworthy is that among the authors there is 8 female (Agir-Pha Maria, Alania-Pha Masha, Hash-Pha Babuchka, Hash-Pha Olia, Tsurtsunia Matrona, Chachkhalia-Pha Maria, Shakril-Fha Tatiana, Jinjial-Pha Mashina), whose publications genuinely deserve attention.

As it turned out, the publications of female authors are poems based on original and folk motifs, as well as folk tales passed on by word of mouth. There is also one authorized news article. Some of the female authors were able to continue creative activities, so their names were preserved in literary collections. However, the biographies of some female authors are unknown after their publications in the newspaper "Apsni". The consequence of observing texts of female authors identified that by the time of the public appearance of Abkhazian women, their primal concern was to spread Literacy and educational activities. They collected samples of Abkhazian Oral Traditions or wrote original proverbs and poems depicting folk life.

აბსტრაქტი

ქალების მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მათი ლიდერობა გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი საკითხია. მიუხედავად იმისა, რომ ქალების პოლიტიკაში ჩართვის მიმართ ზოგადი მხარდაჭერა არსებობს, რესპონდენტების ნახევარს სჯერა, რომ კაცები უკეთესი პოლიტიკური ლიდერები ხდებიან. სამოქალაქო და პოლიტიკური ჩართულობის დონეები ზოგადად დაბალია, მაგრამ უფრო დაბალია ქალებში, ვიდრე კაცებში. რესპონდენტების უმრავლესობა ფიქრობს, რომ ქალებს კაცების თანაბრად შესწევთ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უნარი, თუმცა ასე უფრო მეტი ქალი ფიქრობს, ვიდრე კაცი. კვლევის ფარგლებში საინტერესო იყო იმის შესწავლა, თუ როგორი სტრუქტურა აქვს ოჯახს საქართველოში, ასევე ქცევის რა მოდელები არსებობს ქართულ ოჯახში, როგორაა განაწილებული სხვადასხვა ფუნქცია ოჯახის წევრებს შორის და რა მოვალეობები აკისრია მამაკაცს და ქალს ოჯახში.

საკვანძო სიტყვები: პოლიტიკური ჩართულობა, ქალები და კარიერა, ქალი და ოჯახი


ქალი და ლიდერობა

ქალების მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მათი ლიდერობა გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებულ მდგრადი განვითარების მეხუთე მიზნის კონტექსტში, მნიშვნელოვანი საკითხია. ეს, ასევე, ერთ-ერთი სფეროა, სადაც გენდერული ნორმები და სტრუქტურული ბარიერები ხელს უშლიან თანასწორობის მიღწევას. ამ ნაწილში საუბარია ქალების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის, კარიერული წინსვლისა და ლიდერობის შესახებ გამოკითხვის შედეგებზე.


ქალების მონაწილეობა პოლიტიკურ ცხოვრებაში

მიუხედავად იმისა, რომ ქალების პოლიტიკაში ჩართვის მიმართ ზოგადი მხარდაჭერა არსებობს, რესპონდენტების ნახევარს სჯერა, რომ კაცები უკეთესი

პოლიტიკური ლიდერები ხდებიან. ათიდან, დაახლოებით, ექვსმა რესპონდენტმა განაცხადა, რომ მხარს უჭერდა ქალების ჩართულობას საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. 2013 წელს, რესპონდენტების 50 პროცენტი (ქალების 56 და კაცების 43 პროცენტი) დაეთანხმა აზრს, რომ ქალების პოლიტიკაში მონაწილეობა ქვეყანას სარგებელს მოუტანდა. 2019 წელს, ეს წილი რესპონდენტების 60 პროცენტამდე გაიზარდა (ქალების 72 და კაცების 45 პროცენტი). ამ თვალსაზრისით, შეხედულებები გენდერული ნიშნით იყოფა, თუმცა აზრი, რომ კაცები ლიდერობისთვის უფრო შესაფერისი არიან, კვლავაც პრევალენტური რჩება, რამეთუ, დაახლოებით, ყოველი მეორე რესპონდენტი ეთანხმება ან სრულიად ეთანხმება აზრს, რომ კაცები უკეთეს ლიდერებად ყალიბდებიან. დაახლოებით, იგივე რაოდენობა მიიჩნევს, რომ პოლიტიკა უფრო კაცის საქმეა, ვიდრე ქალის. როდესაც ჰკითხეს, ვის უფრო წარმოიდგენდნენ პრეზიდენტად, რესპონდენტების 56 პროცენტმა უპასუხა, რომ მათთვის კანდიდატის სქესს მნიშვნელობა არ ჰქონდა. თუმცა, რესპონდენტების 39 პროცენტის აზრით, კაცი უკეთესი კანდიდატი იქნებოდა. ასეთი აზრი მეტწილად კაცებმა გამოთქვეს, ანუ ყოველმა მეორე კაცმა და ყოველმა მესამე ქალმა უპირატესობა კაც კანდიდატს მიანიჭა.



პროცენტული მაჩვენებელი რესპონდენტებისა, რომლებიც დაეთანხმნენ იდეას
ქალების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის შესახებ⁶



ქალის პოლიტიკაში მონაწილეობის აღქმა, ახლო წარსულთან შედარებით, იცვლება. 2013 წლის მონაცემების მიხედვით, რესპონდენტების 61 პროცენტი მიიჩნევს, რომ კაცები ქალებზე უკეთესი პოლიტიკური ლიდერები არიან. ეს წილი, 2019 წელს, 49 პროცენტამდე შემცირდა. აღნიშნული ცვლილება, ძირითადად, ქალი რესპონდენტების შეხედულების გადაფასებამ გამოიწვია. 2013 წელს, ქალების 56 და კაცების 69 პროცენტი მიიჩნევდა, რომ კაცები ქალებზე უკეთესი პოლიტიკური ლიდერები არიან. 2019 წელს, ასე ფიქრობდა ქალების 37 და კაცების 62 პროცენტი. ამდენად, ქალების შეხედულება 17 პროცენტული ქულით შეიცვალა, მაშინ, როდესაც, კაცების შემთხვევაში, ცვლილება მხოლოდ 7 პროცენტული ქულით მოხდა. ასევე, 2013 წელს, რესპონდენტების 66 პროცენტი (ქალების 56 და კაცების 77 პროცენტი) მიიჩნევდა, რომ პოლიტიკა უფრო კაცის სფეროა, ვიდრე ქალის. ეს თანაფარდობა, ექვსი წლის შემდეგ, 52 პროცენტამდე შემცირდა, სადაც 42 პროცენტი ქალი, 63 პროცენტი კი კაცია.

პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალების კვოტირების თემა, ქალებს შორის უფრო პოპულარულია, ვიდრე მამაკაცებში. მთლიანობაში, ყოველმა მეორე რესპონდენტმა განაცხადა, რომ მხარს უჭერს საპარლამენტო ცხოვრებაში ქალების მონაწილეობას,

⁶ სურათზე ნაჩვენებია პროცენტული მაჩვენებელი რესპონდენტებისა, რომლებიც სრულიად დაეთანხმნენ ან დაეთანხმნენ კონკრეტულ დებულებას. მითითებული პროცენტული მაჩვენებელი გულისხმობს, რომ დარჩენილი რესპონდენტები არ დაეთანხმნენ ან სრულიად არ დაეთანხმნენ მოცემულ დებულებებს. მაგალითად, ქალების 37 პროცენტი დაეთანხმა შეხედულებას, რომ კაცები ქალებზე უკეთესი პოლიტიკური ლიდერები არიან. აღნიშნული გულისხმობს, რომ ამ დებულებას არ ეთანხმება ქალების 63 პროცენტი.

მაგრამ, მათ შორის, ქალი ათიდან ექვსია, ხოლო კაცი - ათიდან ოთხი. თვისობრივმა კვლევამ გამოავლინა, რომ საქართველოს მოქალაქე ქალებს და

კაცებს არაერთგვაროვანი შეხედულებები აქვთ პოლიტიკაში გენდერულ კვოტირებასთან დაკავშირებით. ფოკუსჯგუფის წევრი ზოგიერთი კაცი მიიჩნევს, რომ კვოტირება ქალებს დაუსაბუთებელი მეთოდებით უკვალავს გზას ლიდერობისკენ.

„ევროპულ ყაიდაზე გადასვლის გამოა, რომ ქალ ლიდერებს წინა პლანზე ანაცვლებენ. გენდერული ბალანსის უზრუნველსაყოფად გარკვეული ძალისხმევაა გაწეული, მაგრამ ეს არაბუნებრივი პროცესია. ბუნებრივი პროცესი რომ იყოს, ამ ადგილებზე შესაფერისი ქალები აღმოჩნდებოდნენ“ (კაცების ფოკუსჯგუფი, ქუთაისი).

ქალები თავიანთ ოჯახურ ვალდებულებებს პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართვის შემაფერხებელ ძირითად ფაქტორად ასახელებენ. ზუგდიდში მცხოვრებ ქალებთან ჩატარებულმა თვისობრივმა კვლევამ გამოავლინა, რომ ისინი საოჯახო საქმის ტვირთს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვნად ჩართვის შემაბრკოლებელ ფაქტორად აღიქვამდნენ. კაცების დამოკიდებულება ქალების საოჯახო და სასოფლო სამეურნეო აუნაზღაურებელ შრომასთან დაკავშირებით, ასევე საკმაოდ უარყოფითია და მოქმედებს როგორც შემაფერხებელი ფაქტორი. პოლიტიკაში მონაწილეობა აღიქმება როგორც „ფუფუნება“, რომელზეც ხელი მხოლოდ ცოტა ქალს თუ მიუწვდება.

„ყველა ქალს არ შეუძლია ამის გაკეთება. მათ, შესაძლოა, ჰქონდეთ ოცნებები და სურვილები, მაგრამ მათ ასასრულებლად ვერაფერი გააკეთონ სახლში დიდი დატვირთვის ან მეუღლეების გამო“ (ქალების ფოკუსჯგუფი, ზუგდიდი).

„ქალები, რომლებიც ერთდროულად ბევრი რამის კეთებას ახერხებენ, ძლიერი პიროვნებები არიან: მათ ჰყავთ ოჯახები, ზრუნავენ შვილებზე და სამუშაოზე, მაგრამ ასეთი ცოტაა. ასეთი ქალები ყოველთვის ლიდერები არიან, მაგრამ ყველას არ შეუძლია თავის გამოჩენა, ამიტომ არიან ასე ცოტა“ (ქალების ფოკუსჯგუფი, ზუგდიდი).

პოლიტიკური ჩართულობა

სამოქალაქო და პოლიტიკური ჩართულობის დონეები ზოგადად დაბალია, მაგრამ უფრო დაბალია ქალებში, ვიდრე კაცებში. სამიდან, დაახლოებით, საქართველოს ორი მოქალაქე აცხადებს, რომ სამშვიდობო დემონსტრაციას ან მიტინგს დასწრებია. კაცების 54 და ქალების 70 პროცენტი აცხადებს, რომ არასოდეს ყოფილა ამგვარ აქციაზე. ქალების 95 პროცენტის განცხადებით, არასდროს გამოსულა საჯაროდ, ხოლო, კაცების შემთხვევაში, ეს მაჩვენებელი 87 პროცენტს შეადგენს. კაცებისა და ქალების პოლიტიკურ და სამოქალაქო აქტივიზმში ონლაინ მონაწილეობა, ისევე იყო შეზღუდული, როგორც ამ პროცესში ფიზიკური ჩართულობა. ათიდან, დაახლოებით, ცხრა კაცი და ქალი ამბობს, რომ არასოდეს მოუწერია ხელი პეტიციაზე ან გამოუხატავს პოლიტიკური შეხედულება სოციალურ ქსელში.

სამოქალაქო და პოლიტიკური ჩართულობის დონეები ზოგადად დაბალია, მაგრამ უფრო დაბალია ქალებში, ვიდრე კაცებში. სამიდან, დაახლოებით, საქართველოს ორი მოქალაქე აცხადებს, რომ სამშვიდობო დემონსტრაციას ან მიტინგს დასწრებია. კაცების 54 და ქალების 70 პროცენტი აცხადებს, რომ არასოდეს ყოფილა ამგვარ აქციაზე. ქალების 95 პროცენტის განცხადებით, არასდროს გამოსულა საჯაროდ, ხოლო, კაცების შემთხვევაში, ეს მაჩვენებელი 87 პროცენტს შეადგენს. კაცებისა და ქალების პოლიტიკურ და სამოქალაქო აქტივიზმში ონლაინ მონაწილეობა, ისევე იყო შეზღუდული, როგორც ამ პროცესში ფიზიკური ჩართულობა. ათიდან, დაახლოებით, ცხრა კაცი და ქალი ამბობს, რომ არასოდეს მოუწერია ხელი პეტიციაზე ან გამოუხატავს პოლიტიკური შეხედულება სოციალურ ქსელში.

ქალები და კარიერა

რესპონდენტების უმრავლესობა ფიქრობს, რომ ქალებს კაცების თანაბრად შესწევთ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უნარი, თუმცა ასე უფრო მეტი ქალი ფიქრობს, ვიდრე კაცი. კითხვაზე, ვინ უკეთესი პოლიტიკური ლიდერია -კაცი თუ ქალი, რესპონდენტების 55 პროცენტმა თქვა, რომ მათ თანაბარი შესაძლებლობები აქვთ. ეს არის მნიშვნელოვანი ცვლილება 2013 წლის შემდეგ, რადგან მაშინ მხოლოდ 33 პროცენტს მიაჩნდა, რომ კაცებს და ქალებს, როგორც


ბიზნესლიდერებს, თანაბარი შესაძლებლობები აქვთ. თუმცა, პრეზიდენტობის კანდიდატის წარმოდგენაზე პასუხების მსგავსად, 2019 წელს, რესპონდენტების 39 პროცენტმა განაცხადა, რომ კაცი უკეთეს ბიზნეს-ლიდერად მიაჩნდა. მათ შორის 42 პროცენტი იყო კაცი, ხოლო 37 პროცენტი -ქალი. ასევე, ქალების 76 და კაცების 59 პროცენტი მიიჩნევს, რომ ქალი კაცივით კვალიფიციურია და რომ ერთი და იგივე სამუშაოს შესრულება თანაბრად შეუძლიათ. კაცების, დაახლოებით, 40 პროცენტი არ ეთანხმება ამ დებულებას. თანასწორობის მნიშვნელოვანი მხარდაჭერის მიუხედავად, კვლავ რჩება განსხვავებული დამოკიდებულება ქალისა და კაცის თანასწორი შესაძლებლობების მიმდებლობის კუთხით, გარკვეული სამუშაოების შესრულებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის თვალსაზრისით.

თუმცა, მიიჩნევა, რომ ქალებს მეტი წინააღმდეგობა კარიერული წინსვლის გზაზე ხვდებათ. მთლიანობაში, რესპონდენტების 37 პროცენტი ფიქრობს, რომ კარიერული წინსვლა კაცებისთვის უფრო მარტივია და რომ მათ ამისთვის მეტი შესაძლებლობები აქვთ. ასევე, ათიდან შვიდმა რესპონდენტმა მიიჩნია, რომ ქალებს წარმატებისკენ მიმავალ გზაზე მეტი წინააღმდეგობის გადალახვა უწევთ, რასაც ქალების 85 და კაცების 58 პროცენტი დაეთანხმა. 2013 წელს, დაახლოებით, ათიდან 6 რესპონდენტი დაეთანხმა მოცემულობას, რომ კაცებს უფრო მარტივად მიუწვდებათ ხელი პრესტიჟულ სამუშაოზე. ბოლო ექვსი წლის განმავლობაში, გაორმაგებულია იმ რესპონდენტების რაოდენობა, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ქალებს და მამაკაცებს კარიერული წინსვლის თანაბარი შესაძლებლობები აქვთ. ამჟამად მათი მაჩვენებელი 43-50 პროცენტია (იხ. სურათი 3.2), 2013 წელს კი იმავს, დაახლოებით, 25 პროცენტი აცხადებდა.⁷

⁷ დ. რაკშიტი; რ.ლევეტოვი; კაცები, ქალები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში: საზოგადოების აღქმა და დამოკიდებულება; თბილისი, 2020

სურათი 3.2: პროცენტული მაჩვენებელი რესპონდენტებისა, რომლებიც მიიჩნევენ, რომ კაცებს ან ქალებს უფრო მარტივი კარიერული გამოცდილება აქვთ

ქალი და კაცი (N=2403)



ქალი და ოჯახი

წინამდენარე ქვეთავი მიმოიხილავს საზოგადოებრივ დამოკიდებულებებს ოჯახში ქალების როლისა და ფუნქციების შესახებ. აღნიშნულ ქვეთავში წარმოდგენილი ინფორმაცია დამოუკიდებელ ღირებულებასთან ერთად მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მიანიშნებს ქალთა პოლიტიკაში და ბიზნეს-საქმიანობაში ჩართვის იმ ბარიერებზე, რომლებიც ოჯახს უკავშირდება. ქვეთავში წარმოდგენილია როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი კვლევის შედეგები.

ოჯახის სტრუქტურა და ქცევა ოჯახში

კვლევის ფარგლებში საინტერესო იყო იმის შესწავლა, თუ როგორი სტრუქტურა აქვს ოჯახს საქართველოში, ასევე ქცევის რა მოდელები არსებობს ქართულ ოჯახში, როგორაა განაწილებული სხვადასხვა ფუნქცია ოჯახის წევრებს შორის და რა მოვალეობები აკისრია მამაკაცს და ქალს ოჯახში.

ოჯახის სტრუქტურა

როგორც რაოდენობრივი კვლევის შედეგები აჩვენებს, ქორწინებაში იმყოფება და ამჟამად მეუღლესთან ერთად ცხოვრობს მოსახლეობის ნახევარზე მეტი (54%). მოსახლეობის 9% მეუღლესთან ერთად არ ცხოვრობს, თუმცა ზოგიერთი მათგანი კვლავ ოფიციალურ ქორწინებაში იმყოფება (4%). ყოველი მეხუთე ადამიანი დაუოჯახებელია (21%), ხოლო გამოკითხულთა 5% აცხადებს, რომ განქორწინებულია. აღსანიშნავია, რომ განქორწინებულთა რიცხვი უფრო დიდია ქალაქის ტიპის დასახლებაში (7%) სოფლის ტიპის დასახლებებთან შედარებით (2%). გამოკითხული ქალების 18% ქვრივია, ასეთი სტატუსის მქონე მამაკაცების წილი კი არ აღემატება 5%-ს. ქორწინების გარეშე პარტნიორთან ერთად ცხოვრობს მოსახლეობის 7%.

მოქალაქეების უმეტესობა სამოქალაქო ქორწინებაში იმყოფება (95%), ხოლო მოსახლეობის 37% იმყოფება საეკლესიო ქორწინებაში. აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდა რესპონდენტების უფრო დიდი ნაწილი იმყოფება საეკლესიო ქორწინებაში ვიდრე უფროსი ასაკის.

ჩვეულებრივ, ოჯახები საშუალოდ 4 წევრისგან შედგება, რომელთა შორისაც საშუალოდ 1 წევრი 6-დან 18 წლამდე ბავშვია.

ოჯახების უმეტესობა (63%) ცალკე ცხოვრობს, 28% კაცის მშობლებთან ან ნათესავებთან, 9% კიქალის მშობლებთან ან ნათესავებთან ერთად. ამ შემთხვევაში საინტერესოა მონაცემის ასაკობრივ ჭრილში განხილვა: რესპონდენტთა ასაკის მატებასთან ერთად იზრდება იმ ადამიანთა რიცხვი, ვინც მარტო ცხოვრობს.

ახალგაზრდა წყვილების (18-24 ასაკობრივი კატეგორია) მხოლოდ 14% არ ცხოვრობს მშობლებთან ერთად.

(იხილეთ ცხრილი #1).

ცხრილი #1	წყვილის ცხოვრების ადგილი ასაკის ტრილი						
	18-24	25-34	35-44	45-54	55-64	65+	სულ
ვცხოვრობთ ჩემს მშობლებთან/ ნათესავთან ერთად	34%	24%	13%	14%	6%	3%	15%
ვცხოვრობთ ჩემი მეუღლის/პარტნიორის მშობლებთან/ნათესავთან ერთად	50%	35%	23%	16%	12%	8%	22%
ვცხოვრობთ ცალკე	14%	41%	64%	71%	82%	89%	63%

N=1081 - რესპონდენტები, რომლებიც არიან დაოჯახებულნი ან ცხოვრობენ პარტნიორთან ერთად

გამოკითხვამ ნათლად აჩვენა, რომ საქართველოში ჯერ კიდევ მყარია ტრადიციული შეხედულებები გენდერულ როლებზე: ქალის ფუნქციაა შვილების მოვლა და აღზრდა, საშინაო საქმეების კეთება, ხოლო კაცის - ოჯახის ფინანსური უზრუნველყოფა. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად ოჯახის მარჩენალთა 30% ქალია, მოსახლეობას მიაჩნია, რომ ეს არ არის იდეალური მდგომარეობა და თუ იქნება ეკონომიკური შესაძლებლობა, უმჯობესია ქალი არ მუშაობდეს ან ნაკლებად დატვირთული, „ქალისთვის შესაფერისი“ სამუშაო ჰქონდეს. ასევე, ქალი ქმრის მორჩილი უნდა იყოს და დაუთმოს მამაკაცს ლიდერის პოზიციასხვადასხვა ასპარეზზე.⁸

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დ. რაკშიტი; რ.ლევტოვი; კაცები, ქალები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში: საზოგადოების აღქმა და დამოკიდებულება; თბილისი, 2020
2. მომზადებულია ეისითის მიერ გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობის საქართველოში“ ფარგლებში; საზოგადოებრივი დამოკიდებულებები გენდერულ თანასწორობაზე პოლიტიკასა და ბიზნესში; თბილისი 2013;

⁸ თბილისი 2013; მომზადებულია ეისითის მიერ გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობის საქართველოში“ ფარგლებში; საზოგადოებრივი დამოკიდებულებები გენდერულ თანასწორობაზე პოლიტიკასა და ბიზნესში

3. https://www.undp.org/sustainable-development-goals?utm_source=EN&utm_medium=GSR&utm_content=US_UNDP_PaidSearch_Brand_English&utm_campaign=CENTRAL&c_src=CENTRAL&c_src2=GSR&gclid=Cj0KCQiAmKiQBhClARIsAKtSj-15509dujq9gxKzMXpvJGrZJcFE8B4N2tdX4td1CztdTU08ASBaPKcaAr8DEALw_wcB#gender-equality

Key words: Political engagement, Women and careers, Woman and family

Tamar Patashuri

Doctor of Philosophy

Georgian National University SEU

Women and Leadership

Women's participation in public life and leadership is an important issue in relation to gender equality. In spite of general support for greater involvement of women in politics, half of all respondents believed that men make better political leaders. Levels of civic and political engagement are generally low—and lower among women than men. Most respondents think women are equally capable as men in participating in public life—but more women tend to think so than men. Within the framework of the research, it was interesting to study the structure of the family in Georgia, as well as what models of behavior exist in the Georgian family, how different functions are distributed among family members and what responsibilities are assigned to men and women in the family.

კლემენტინა ჰოზიერი და უინსტონ ჩერჩილი

აბსტრაქტი

ნასრომში წარმოდგენილია დიდი პოლიტიკური მოღვაწის უინსტონ ჩერჩილის პირადი ცხოვრების ეპიზოდები, რომლებიც ქალებთან დამოკიდებულებას ეხება. უპირველეს ყოვლისა, გავეცნოთ მის ურთიერთობას მეუღლესთან კლემანტინა ჰოზიერთან, რომელსაც 1904 წელს აპრილში ერთ-ერთ წვეულებაზე შეხვდა და ოთხი წლის შემდეგ 12 სექტემბერს მასზე იქორწინა. ამის შესახებ თავის მემუარებში იგი სიამაყით აღნიშნავს: „ჩემთვის ყველაზე წარმატებული გარიგება შედგა ჩემს მეუღლესთან, როცა იგი ცოლობაზე დავითანმხე“. ამ ქორწინებიდან ჩერჩილს ხუთი შვილი ჰყავდა. მრავალშვილიანობის მომხრე დიპლომატი ხშირად ამბობდა, რომ „ოჯახში სულ მცირე ოთხი შვილი უნდა იყოს, ერთი დედისათვის, ერთი-მამისათვის, ერთი სამშობლოსათვის და ერთი-უბედური შემთხვევისთვის“...

ჩერჩილი ქალების საზოგადოების მოყვარული ნაკლებად იყო. წვეულებებზე არც ილხენდა, არც ცეკვავდა, სუფრასთან მყოფი არც შაბლონური ბაასით ართობდა თანამეინახეებს. უფრო ხშირად, გვერდით მყოფი რომელიმე ქალბატონი თუ გამოიწვევდა სასაუბროდ, ან მის ამბავს იკითხავდა, ან ქვეყნის მომავლით დაინტერედებოდა, თორემ თვითონ ჩერჩილი მანდილოსანთა მიმართ ზედმეტად ინერტულიც კი იყო.

საკვანძო სიტყვები: უინსტონ ჩერჩილი, ქალი, ქორწინება, კლემენტინა ჰოზიერი

შესავალი

ჰერცოგ მარლბოროს არისტოკრატიული გვარის ღირსეული შთამომავალი უინსტონ ჩერჩილი დაიბადა 1874 წლის 30 ნოემბერს. სერ უინსტონ ლეონარდ სპენსერ ჩერჩილი იყო ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწე, ჩინებული ორატორი, მწერალი, პუბლიცისტი, სამხედრო ისტორიულ-მემუარული ხასიათის ნაშრომთა ავტორი, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი 1940-1945 და 1951-1955 წლებში, ერთ-ერთი თვალსაჩინო მსოფლიო რანგის პოლიტიკოსი, რომლის საშუალო

თანამონაწილეობითა და მცდელობით ჩამოყალიბდა თანამედროვე სამყარო. იგი ბრიტანეთის ისტორიაში შევიდა, როგორც მეოცე საუკუნის ყველაზე თვალსაჩინო პოლიტიკოსი, რომელიც ხელისუფლებაში ყოფნისას მოესწრო ექვს მონარქს - დედოფალ ვიქტორიიდან - ელისაბედ მეორის ჩათვლით.

ვფიქრობთ, საინტერესო იქნება უინსტონ ჩერჩილის პირადი ცხოვრების ზოგიერთი ნაკლებად ცნობილი დეტალის, თუ წერილის გამომზეურება.

კლემენტინა ჰოიზერი

უპირველეს ყოვლისა, გავეცნოთ მის ურთიერთობას მეუღლესთან კლემანტინა ჰოიზერთან, რომელსაც 1904 წელს აპრილში ერთ-ერთ წვეულებაზე შეხვდა და ოთხი წლის შემდეგ 12 სექტემბერს მასზე იქორწინა. ამის შესახებ თავის მემუარებში იგი სიამაყით აღნიშნავს: „ჩემთვის ყველაზე წარმატებული გარიგება შედგა ჩემს მეუღლესთან, როცა იგი ცოლობაზე დავითანმხე“. ამ ქორწინებიდან ჩერჩილს ხუთი შვილი ჰყავდა. მრავალშვილიანობის მომხრე დიპლომატი ხშირად ამბობდა, რომ „ოჯახში სულ მცირე ოთხი შვილი უნდა იყოს, ერთი დედისათვის, ერთი-მამისათვის, ერთი სამშობლოსათვის და ერთიც-უბედური შემთხვევისთვის“...

კლემენტინა ჰოიზე იყო ქალი, რომელმაც 57 წელი გულმხურვალედ უერთგულა მსოფლიო მნიშვნელობის უდიდეს დიპლომატს და გარკვეულ გავლენასაც კი ახდენდა მის ქმედებებზე. იგი ცდილობდა მუდმივად გამოეყვანა უსიამოვნო სიტუაციიდან ეს მწვავე პოლიტიკური სიტუაცია იქნებოდა თუ პირადი პრობლემები. კლემენტინა ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ბედის მამოძრავებელი ძალა იყო. ქმარს ოსტატურად ხელმძღვანელობდა, იგი ჩართული იყო მეუღლის სახელმწიფო საქმეებში, ხშირად რისკავდა ყველაფერს, რათა ჩერჩილი ქვეყნის პრემიერ-მინისტრი გამხდარიყო. როდესაც პირველი მსოფლიო ომის დროს ჩერჩილი სანგრებში საბრძოლველად მონაწილეობდა, დარდანელის ოპერაციის სავალალო შეცდომის გამოსასყიდად, რომლის დროსაც დაიღუპა დაახლოებით 120000 ბრიტანელი ჯარისკაცი, კლემენტინამ დალოცა ქმარი და თან გაჰყვა ფრონტზე, თან ურჩია: „სწრაფად არ დაბრუნებულიყო“-„ჩემო საყვარელო, ძვირფასო უინსტონ, შენზე ფიქრით გული მეთუთქება, როგორ გითხრა „იყავი სადაც ხარ“, მაშინ როცა, შეიძლება, საბედისწერო ტყვიამ შეგიწიროს,

დარწმუნებული, რომ ვიყო, უვნებელი დამიბრუნდებოდი, გეტყოდი - „დაიცადე, ნუ იჩქარებ, ნუ მოწყვეტ ნაყოფს, სანამ დამწიფდება.“ დიდი ადამიანების საქციელი უბრალო ხალხისთვის გასაგები უნდა იყოს. შენი განზრახვა ~, ფრონტზე წასულიყავი, არ იყო ძნელი გასაგები, მაგრამ ნაჩქარევი დაბრუნება - უკვე ახსნას ითხოვს „... სწორედ ამ ნაბიჯის წყალობით ჩერჩილის რეპუტაცია საგრძნობლად ამაღლდა. მან სასურველი არაერთი რჩევა მისცა რთული პოლიტიკური ვითარების დროს და მხარდაჭერა გაუწია მის მოკავშირეებს. ქალი ყოველთვის იქ იყო, სადაც ჩერჩილს გაუჭირდა, თვით ხანგრძლივი დეპრესიის დროსაც კი, რომელსაც მან „შავი ძაღლი“ უწოდა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კლიმენტინა ყოველთვის არ ეთანხმებოდა ჩერჩილის მწვავე პოლიტიკურ შეხედულებებს. იყო მტკიცე ლიბერალი და არაერთხელ დაგმო კონსერვატიული პარტია, რომლის ლიდერი იყო მისი საყვარელი მეუღლე. ერთადერთი იყო, ვინც გაბედა და ღიად შეეწინააღმდეგა ჩერჩილის მოსაზრებას. ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა მეუღლის გავლენით განახორციელა მთელი რიგი სოციალური რეფორმები, მათ შორის ქალთა უფლებების გაფართოების მიზნით. კლიმენტინა ხუმრობით საკუთარ თავს ქმრის „პოლიტიკური სინდისიც“ კი უწოდა.

ჩერჩილმა კლიმენტინასთვის გადასაცემად სევდიანი ბარათი დაწერა, სადაც ვკითხულობთ: „მინდა ჩაგაბარო ყველაფერი, თუ რამე დამიწერია, განსაკუთრებით, სამხედრო საზღვაო სამინისტროსთან დაკავშირებული ნაშრომები, ამავე დროს გნიშნავ საავტორო უფლების ერთადერთ აღმსრულებლად... ნუ აჩქარდები, მაგრამ დადგება დრო, როცა ვისურვებდი, სიმართლე განცხადდეს. რენდოლფი გზას გაგინათებს, ჩემს გამო ბევრი არ იდარდო. ვიცი, რასაც ვაკეთებ. სიკვდილი მხოლოდ და მხოლოდ შემთხვევაა და შეიძლება, სულაც არ იყოს ყველაზე მნიშვნელოვანი ჩვენს ცხოვრებაში. ვფიქრობ, იმ დღიდან რაც გაგიცანი, ბედნიერად ვიცხოვრე. შენგან გავიგე, როგორი კეთილშობილებით აღსავსე შეიძლება იყოს ქალის გული. მომავლით იცხოვრე, თავისუფლად იგრძენი თავი, დატკბი ცხოვრებით, ბავშვებს მზრუნველობა არ მოაკლო, უდარაჯე ჩემს ხსოვნას. ღმერთმა დაგლოცოს. მშვიდობით!“

27 იანვარს ჩერჩილმა ფრონტის ხაზიდან კლიმენტინს მისწერა: „ის ჯგუფი ვისთანაც ერთად მუშაობა მსურს, ლოიდ ჯორჯისგან, სმიტისგან, ბონარ ლოუსგან,

ქარზონისა და კარსონისგან შედგება. კარგად დაიმახსოვრე გახდება ალტერნატიული ხელისუფლება.- „რაც იქნება, იქნება-ს დრო უკვე დამთავრდა“. კლიმენტინამ მეურლეს მიწერა: „ჩემო საყვარელო, ძვირფასო უილსონ, იმედია, როცა შევხვდებით, ერთმანეთისთვის მეტ დროს გამოვნახავთ. ჯერ ახალგაზრდები ვართ. დრო სწრაფად გარბის, მას ჩვენი სიყვარული შეუმჩნევლად მიაქვს და მხოლოდ მეგობრობადა გვრჩება, რაც თავისთავად მშვენიერია, მაგრამ წახლისება და სითბო მაინც სჭირდება.“

27 ნოემბერს საკმაოდ დეტალურად აღწერა კლიმენტინისადმი გაგზავნილ ბარათში მიტინგის ამბები ჩერჩილმა. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მეღვინეს სისტემატიურად უზიარებდა მოვლენებს და მისგანაც საჭირო რჩევებსაც იღებდა: „არ მისცე უფლება ტორებს ადვილად ჩაგიგდონ ხელში. უნდა აგრძნობინო, წარსულში ძალიან ცუდად რომ გექცეოდნენ“.

მეორე მსოფლიო ომის დაწყების დროს, 21 მაისს კლიმენტინი წერდა: „ძვირფასო, იმედია მაპატიებ, თუ გეტყვი, რასაც ვფიქრობ. უნდა ვაღიარო, რომ უკანასკნელ ხანს ვამჩნევ, ცუდი მანერები დაგჩემდა. ამას წინათ შენი გარემოცვიდან ერთი კაცი ჩემთან მოვიდა და მითხრა - არსებობს საფრთხე, რომ სარკასტული და უხეში მანერების გამო კოლეგები შეგიძულევენ. გაღიზიანებით და უხეშობით კარგს ვერაფერს მიაღწევ... გთხოვ, მიუტვე შენზე მზრუნველ, ერთგულ და მუდამ ფხიზლად მყოფ კლიმენტინს“.

1944 წელს 13 ოქტომბერს ჩერჩილმა კლიმენტინას მოსკოვიდან წერილი გაუგზავნა: „საქმე კარგად მიდის... ბებერ დათვთან სასიამოვნო შეხვედრა მქონდა - აქ პატივს მცემენ და დარწმუნებული ვარ, სამომავლოდ ჩემთან თანამშრომლობაც სურთ“.

1945 წლის 9 მაისს გამარჯვების დრეს კლიმენტინი სპეციალური მიწვევით საბჭოთა კავშირში გაემგზავრა და მას, სტალინმა კრემლში პირადად უმასპინძლა. პოლიტიკური კარიერის დასასრულს ჩერჩილისთვის კითხვა დაუსვამთ: „რა გახდებოდით, რომ არ იყოთ ის ვინც ხართ?“ დიდმა პოლიტიკოსმა მშვიდად უპასუხა: „მე რომ არ გავმხდარიყავი ის, ვინც ვარ, სიამოვნებით გავხდებოდი ქალბატონი ჩერჩილის მეორე მეუღლე“.

კლემენტინა რამდენიმე საპატიო ხარისხი მიიღო გლაზგოს, ბრისტოლის და ოქსფორდის უნივერსიტეტებიდან. 1952 წელს მასვე გადასცეს ნობელის პრემია, რომელიც უინსტონ ჩერჩილს მიენიჭა ლიტერატურის დარგში ისტორიულ-მემუარული ხასიათის ნაწარმოების შექმნისთვის. დაჯილდოებისას სტოკჰოლმში თქვა: „ჩერჩილის პოლიტიკური და ლიტერატურული მიღწევები იმდენად მნიშვნელოვანია, რომ იგი თავისუფლად შეიძლება შევადაროთ როგორც კეისარს, ისე ციცერონს“...

კლემენტინა ჭეშმარიტად ამაყობდა თავისი მეუღლითა და ცდილობდა ყოფილიყო მისი ღირსეული თანამეცხედრე.

კლემენტინა გარდაიცვალა 1977 წლის 12 დეკემბერს 92 წლის ასაკში. იგი დაკრძალულია ღირსეული მეუღლის გვერდით, ოქსფორდშირის საგრაფოს ბლეიდონის პატარა სასაფლაოზე.

დასკვნა

ჩერჩილი ქალების საზოგადოების მოყვარული ნაკლებად იყო. წვეულებებზე არც ილხენდა, არც ცეკვავდა, სუფრასთან მყოფი არც შაბლონური ბაასით ართობდა თანამეინახეებს. უფრო ხშირად, გვერდით მყოფი რომელიმე ქალბატონი თუ გამოიწვევდა სასაუბროდ, ან მის ამბავს იკითხავდა, ან ქვეყნის მომავლით დაინტერედებოდა, თორემ თვითონ ჩერჩილი მანდილოსანთა მიმართ ზედმეტად ინერტულიც კი იყო. ჩერჩილისთვის დიდი მნიშვნელობა ქორწინებას და ემაყებოდა თავისი მეუღლე კლემენტინა ჰოიზერი ,თავის მემუარებში იგი სიამაყით აღნიშნავს: „ჩემთვის ყველაზე წარმატებული გარიგება შედგა ჩემს მეუღლესთან, როცა იგი ცოლობაზე დავითანმხე“.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბლეკემორი, ერინი. – „შევხვდით ქალს უინსტონ ჩერჩილის მიღმა“ - ისტორია, 2017
2. ჯენკინს როი. – „ჩერჩილი“ . – 2011., - გვ., 296
3. პურნელი. - პირველი ლედი - კლემენტინა ჩერჩილის პირადი ომები., 2015წ
4. მარიამ სოემსი.- კლემენტინა ჩერჩილი.- 2002 ., დუბლი
5. სვანაძე ლ. - უინსტონ ჩერჩილის, პოლიტიკური ბიოგრაფია.,ქ., 2006.,ტ.

Marine Surmava

Associate professo of GTU

Klementina Hoizes and Winston Churchill

კლემენტინა ჰოზიერი და უინსტონ ჩერჩილი

Resume

We think it would be interesting to look at some of the lesser known details of Winston Churchill's personal life if the letter. First of all, let's get acquainted with his relationship with his wife Clementina Hozier, whom he met at one of the parties in April 1904, and four years later he married her on September 12th. In his memoirs, he proudly states: "The most successful deal for me was with my wife when I married her." From this marriage Churchill had five children. The pro-polygamist diplomat often said that "there should be at least four children in a family, one for a mother, one for a father, one for a homeland and one for an accident" ...

Churchill was less fond of the female community. He neither danced nor danced at parties, nor did he entertain the audience with a patterned bass. More often than not, if any of the women next door were invited to talk, or read her story, or be interested in the future of the country, then Churchill herself was even overly inert towards women.

აბსტრაქტი

კლიმატის ცვლილება კაცობრიობის ერთ-ერთი უდიდესი გამოწვევაა, ატმოსფეროში სათბურის გაზების კონცენტრაციის მომატება გამოვლინდება მრავალი სხვადასხვა ფორმით, როგორცაა ზღვებისა და ოკეანეების დონის აწევა, საშუალო ტემპერატურის მატება, ნალექიანობის რეჟიმის შეცვლა, წყლის რესურსების შემცირება, მყინვარების დნობა, სეზონური ცვლილება და სხვა. კლიმატური ცვლილებების პროცესი თანდათან დაჩქარდა ადამიანის ინტენსიური საწარმოო საქმიანობით, განსაკუთრებით კი წიაღისეული საწვავის ინტენსიური მოხმარებითა და ეკოსისტემებზე მავნე ზემოქმედებით. კლიმატის ცვლილება სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ფენომენია, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გენდერულ თანასწორობაზე. კლიმატის ცვლილების დროს ქალები განსაკუთრებული რისკის ქვეშ არიან არსებული გენდერული, სოციალური, კულტურული თუ ეკონომიკური უთანასწორობის განმაპირობებელი მიზეზების გამო. კლიმატის ცვლილების საკითხებზე პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში აუცილებელია ქალების ჩართულობა, რათა მიეცეთ მეტი შესაძლებლობა საკუთარი მდგრადი მომავალი განავითარონ.

საკვანძო სიტყვები: გენდერული თანასწორობა. კლიმატური ცვლილება, სათბურის ეფექტი.

ქალი კლიმატური ცვლილების რაკურსში

შესავალი

კაცობრიობის წინაშე არსებულ გლობალურ პრობლემათა შორის უმთავრესი „გლობალურ დათბობაა“, რაც კლიმატის ცვლით გამოიხატება. დედამიწის ზედაპირის სხვადასხვა რეგიონში წარსულში მიმდინარე კლიმატური ცვლილებები, ბუნებრივი და თანმიმდევრული პროცესი გახლდათ, მე-20 საუკუნიდან მოყოლებული კლიმატური ცვლილებების პროცესი თანდათან დაჩქარდა ადამიანის ინტენსიური საწარმოო საქმიანობით, განსაკუთრებით კი წიაღისეული საწვავის ინტენსიური მოხმარებითა და ეკოსისტემებზე მავნე ზემოქმედებით.

ადამიანის უარყოფითი ზეგავლენა ბუნებრივ გარემოზე განსაკუთრებით გაიზარდა ინდუსტრიული რევოლუციის შემდეგ- ამ პერიოდიდან მოყოლებული, ატმოსფეროში ათჯერ მეტი სათბურის გაზი გაიფრქვა, რაც ქმნის, ე.წ. „სათბურის ეფექტს“.[1.9]

გლობალური დათბობა და ქალი

სათბურის ეფექტი ეს არის ბუნებრივი პროცესი, როდესაც მზიდან გამოსხივებული რადიაციის ნაწილი შეიწოვება სათბურის გაზებით GHG (წყლის ორთქლი (H_2O), ნახშირორჟანგი (CO_2) და ოზონი (O_3)). მნიშვნელოვანი შთანთქმის უნარი აქვთ აგრეთვე მეთანს (CH_4), აზოტის ჟანგს (NO_2) და ქლორფტორნახშირწყალბადები) ნაწილი კი შეიწოვება დედამიწის ზედაპირის მიერ. მზის რადიაციის გავლისას დედამიწის ზედაპირი თბება და ინფრაწითელ გამოსხივებას (სითბოს) გამოყოფს, მაგრამ ატმოსფერო ამ სითბოს ნაწილს შთანთქავს. ამ გზით ატმოსფეროს და ღრუბლების შრეები თბება და სითბოს ასხივებს ყველა მიმართულებით. [1.42]

მიუხედავად იმისა, რომ სათბურის ეფექტი ბუნებრივი პროცესია ამ პროცესების კატასტროფულად დაჩქარებას ხელი ანთროპოგენულმა ფაქტორებმა შეუწყო, როგორცაა არის გაზრდილი ნახშირორჟანგის რაოდენობა ატმოსფეროში ბუნებრივი საწვავის, ოზონის ხვრელის, აგროკულტურის, ტყეების გაჩეხვის ხარჯზე. თითოეული მათგანი ცალ-ცალკე და ერთობლივად მონაწილეობს მიკროკლიმატის და შემდგომში გლობალური კლიმატის ჩამოყალიბებაში და, ცხადია, თითოეული მათგანის ცვლილება ადრე თუ გვიან გავლენას ახდენს კლიმატზე.[2.4]

სათბურის გაზების კონცენტრაციის მომატება ატმოსფეროში, გამოვლინდება მრავალი სხვადასხვა ფორმით, როგორცაა ზღვებისა და ოკეანეების დონის აწევა, საშუალო ტემპერატურის მატება, ნალექიანობის რეჟიმის შეცვლა, წყლის რესურსების შემცირება, ნიადაგის დეგრადაცია, მყინვარების დნობა, ექსტრემალური მოვლენების ინტენსიფიკაცია, სეზონური ცვლილება (სეზონების „გადაწევა“ ან/და გაქრობა) და სხვა, რაც, თავის მხრივ, დაკავშირებულია ცოცხალი ორგანიზმების, მათ შორის ადამიანის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პირობების ცვლილებებთან. კლიმატის ცვლილების გლობალური ხასიათის.

კლიმატის ცვლილება, პირდაპირ თუ არაპირდაპირ აისახება ადამიანის ჯანმრთელობაზე. მნიშვნელოვანია, რომ ადამიანი შეეგუოს კლიმატის შემადგენელი კომპონენტების ცვლილებას, თუმცა ადაპტაციის პროცესი არც ისე მარტივია და იგი გარკვეული ძვრების ფონზე მიმდინარეობს. კლიმატის ცვლილების დროს იმატა სიღარიბის დონემ, ადგილი აქვს ეკონომიკურ კრიზისს, გაიზარდა სხვადასხვა დაავადების რისკი, კერძოდ ონკოლოგიური, გულ - სისხლძარღვთა და ვირუსული პათოლოგიები.[3.35]

კლიმატის ცვლილება ყველას გვეხება. თუმცა კლიმატის ცვლილების ნეგატიური ზეგავლენა ყველაზე მეტად საზოგადოების ღარიბ, დაუცველ და მცირე რესურსების მქონე ნაწილს აზარალებს.

კლიმატის ცვლილების დროს ერთ-ერთ მოწყვლად ჯგუფს მიეკუთვნებიან ქალები, კვლევაში, რომელიც კავკასიის გარემოსდაცვითი ცენტრის (REC Caucasus) მიერ ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით 2020 წელს ჩატარდა, ვკითხულობთ:

- ქალები უფრო დაუცველად გრძნობენ თავს კლიმატის ცვლილებისა და მასთან დაკავშირებული გამოწვევების წინაშე, ვიდრე კაცები;
- ქალები, კაცებთან შედარებით, მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ კლიმატის ცვლილების გავლენას შემდეგ სფეროებზე: სიღარიბის ზრდა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შემცირება, სხვადასხვა ტიპის ინფექციებისა თუ ვირუსული დაავადებების (მათ შორის, COVID-19-ის) წარმოშობა/ გავრცელება, გულის დაავადებების, ინსულტისა და კიბოს განვითარების შემთხვევების მატება, და სიკვდილიანობის ზრდა.[4.21]

კლიმატის ცვლილების დროს ქალები განსაკუთრებული რისკის ქვეშ არიან განვითარებად ქვეყნებში, ქალებს მამაკაცებთან განსხვავებით არა აქვთ სამსახური, საკუთრება, ვერ იღებენ განათლებას, სწორედ ამიტომ მსოფლიოში სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ მოსახლეობის 70% ქალია. [5.33] დისკრიმინაციას ხშირად ქალებისთვის ლეტალური შედეგები მოაქვს. მაგალითად, სხვადასხვა ქვეყნების სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ბუნებრივი კატასტროფების დროს გაცილებით მეტი ქალი იღუპება, ვიდრე მამაკაცი. მუდმივმა სისტემურმა დისკრიმინაციამ შეიძლება გამოიწვიოს გენდერულად დიფერენცირებული

გავლენა ჯანმრთელობაზე, სურსათის უსაფრთხოებაზე, საარსებო წყაროსა და ადამიანის მობილურობაზე, სხვა საკითხებთან ერთად.

კლიმატის ცვლილება გავლენას ახდენს ეკონომიკის თითქმის ყველა სფეროზე. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია სოფლის მეურნეობა. შინამეურნეობაში დასაქმებული ქალები, ამჩნევენ, რომ კლიმატის ცვლილებით გამოწვეული სტიქიური მოვლენები, სეტყვა, გვალვა, უფრო მეტად აზიანებს მოსავალს. განვითარებად ქვეყნებში ბევრი ქალი ფერმერია, ისინი პრობლემების წინაშე დგანან განათლების, შემოსავლის, მიწის, პირუტყვის და ტექნოლოგიების წვდომის კუთხით, რაც ნიშნავს, რომ კლიმატის ცვლილებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ქალ ფერმერებზე უფრო მეტად, ვიდრე მამაკაცი ფერმერები.[6.11] ზოგ განვითარებად ქვეყნებში ქალებს ხშირად უწევთ ფეხით შორს გამგზავრება, რათა შეაგროვონ სულ უფრო მწირი საკვები, საწვავი და წყალი.

ურბანულ დასახლებებში ქალები რომლებიც მიძეხად მუშაობენ ან თავიანთ შვილებს ასეირნებენ, უფრო მეტად დროს ატარებენ ეზოებსა თუ პარკებში და აქვთ საშუალება იგრძნონ თბური ტალღების გავლენა როგორც ბავშვზე, ისე საკუთარ თავზე, რაც მწვანე სივრცეების ნაკლებობის შემთხვევაში კიდევ უფრო მძაფრად აღიქმება.

კლიმატის ცვლილებით განპირობებული ბუნებრივი კატასტროფები განარჩევს სქესსა და ასაკს. კატასტროფების და გენდერული სტატისტიკის მონაცემების მიხედვით მსოფლიო მასშტაბით, ბუნებრივი კატასტროფების დროს 14-ჯერ მეტი დაღუპული ქალი, ბიჭი და გოგოა, ვიდრე მამაკაცი. ამის მიზეზი ისაა, რომ გოგონებს ნაკლებად ასწავლიან, ფიზიკურ აქტივობებს, შესაბამისად, მათ ნაკლებად გააჩნიათ სტიქიასთან გამკლავების უნარ-ჩვევები.[7]

დასკვნა

ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორები ნათელყოფს, რომ კლიმატის ცვლილების დროს ქალები განსაკუთრებული რისკის ქვეშ არიან არსებული გენდერული, სოციალური, კულტურული თუ ეკონომიკური უთანასწორობის განმაპირობებელი მიზეზების გამო. კლიმატის ცვლილების საკითხებზე პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში აუცილებელია ქალების ჩართულობა, რათა მიეცეთ მეტი შესაძლებლობა საკუთარი მდგრადი მომავალი განავითარონ.

ლიტერატურა

1. ბენდელიანი ნ., გენდერული თანასწორობის შეფასება საქართველოში საერთაშორისო ინდექსების და რეიტინგების მიხედვით, თბილისი, 2012.
2. გაეროს ქალთა ფონდი (UNIFEM) და გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) 2010.
3. საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ 2010 წელი
4. სუპატაშვილი გ. ქაჯაია გ. გარეო და ადამიანი. 2001 წ.
5. ქაჯაია.გ. ეკოლოგია 2000 წ
6. The European Union for Georgia, GeoStat, UN Women; National Study on Violence Against Women, Summary Report, 2017.
6. <https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%92%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98>

Marina Chkhartishvili

Doctor of Study

"Woman in the Perspective of Climate Change"

Marina Chkhartishvili, Doctor of Pedagogy

Summary

Women are at particular risk of climate change due to gender inequality, structural barriers, access to finance, information, and other social, cultural, or economic inequalities. Involving women in the process of making policy decisions on climate change is essential to give them more opportunities to develop their own sustainable future.

აბსტრაქტი

საქართველო საუკუნეების მანძილზე წარმოადგენდა მონარქიული მმართველობის ქვეყანას, სადაც აღნიშნული სახელმწიფოებრივი წყობისათვის დამახასიათებელი სისტემა არსებობდა. ქართული საკანონმდებლო ძეგლები, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია, ძირითადად განვითარებული და გვიანი ფეოდალიზმის ხანას განეკუთვნება. მათი გათვალისწინებით შესაძლებელი ხდება, როგორც ცენტრალური, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების ფუნქციების განსაზღვრა. XVIII საუკუნე ერთ-ერთი რთული და მრავალმხრივი პერიოდია საქართველოს ისტორიაში, როგორც პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის თვალსაზრისით, ასევე სამართლებრივი ვითარებითაც. კვლევაში ყურადღება გამახვილებული და განხილული მასალა მოწმობს დეოდფლის ფუნქციებისა და როლის საკმაოდ მნიშვნელოვან როლს.

საკვანძო სიტყვები: XVIII საუკუნე, დეოდფალის ფუნქციები, ქართლ-კახეთი,

დეოდფლის ფუნქციები ქართლ-კახეთის სამეფოში XVIII საუკუნეში

თანამედროვე ეტაპზე, სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი ინსტიტუციონალური განვითარების ფონზე, როდესაც მიმდინარეობს საქართველოს სახელმწიფოებრივი სტრუქტურებისა და ორგანოების დახვეწა-სრულყოფა, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ცენტრალური ხელისუფლების ორგანიზაციის საკითხის გაშუქებას. როგორც ცნობილია, საქართველო საუკუნეების მანძილზე წარმოადგენდა მონარქიული მმართველობის ქვეყანას, სადაც აღნიშნული სახელმწიფოებრივი წყობისათვის დამახასიათებელი სისტემა არსებობდა. ქართული საკანონმდებლო ძეგლები, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია, ძირითადად განვითარებული და გვიანი ფეოდალიზმის ხანას განეკუთვნება. მათი გათვალისწინებით შესაძლებელი ხდება, როგორც ცენტრალური, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების ფუნქციების განსაზღვრა. XVIII საუკუნე ერთ-ერთი რთული და მრავალმხრივი

პერიოდია საქართველოს ისტორიაში, როგორც პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის თვალსაზრისით, ასევე სამართლებრივი ვითარებითაც. XVIII საუკუნის ქართული საკანონმდებლო ძეგლების გათვალისწინებით გამოვყავით ორი ეტაპი: 1. XVIII საუკუნის I ნახევარი, როდესაც ქვეყანა ირანისა და ოსმალეთის გავლენის ქვეშაა და სახელმწიფო მმართველობაში ჭარბობს აღმოსავლური სამყაროსათვის დამახასიათებელი თანამდებობები და სახელწოდებები და 2. XVIII საუკუნის II ნახევარი – ევროპულ სისტემაზე მორგებული თანამდებობების შემოღება და სახელმწიფოებრივი რეორგანიზაციის მთელი რიგი მოვლენები. თითოეული ქართული საკანონმდებლო ძეგლის შექმნა დაკავშირებული იყო ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობით გამოწვეულ მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ვითარებასთან, რამაც განსაზღვრა მათი სამართლებრივი დანიშნულება. ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერების და ქვეყანაში წესრიგის დამყარების მიზნით საჭირო იყო მმართველობის სისტემის სრულყოფა და პრაქტიკაში დანერგვა. როგორც აღვნიშნეთ, XVIII საუკუნის ქართლ-კახეთი მონარქიული წყობის სახელმწიფოა, რომლის სათავეში დგას ერთპიროვნული მმართველი – მეფე. მონარქიისთვის დამახასიათებელი პრინციპის თანახმად მეფობა მემკვიდრეობითია. ქართლ-კახეთის მეფე საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებდა „დარბაზის“ მეშვეობით, სადაც გაერთიანებული იყვნენ ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები. „დარბაზი“ მეფის თავმჯდომარეობით განიხილავდა ყველა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხს და თითოეული დადგენილება მეფის თანხმობით მიიღებოდა. დღევანდელი გადასახედიდან XVIII საუკუნე ასევე გამოირჩევა რეფორმატორული მნიშვნელობით. აღნიშნული საუკუნის პირველ მეოთხედში სჯულმდებელმა მეფემ ვახტანგ VI მაშინდელი სამართლებრივი კულტურის გათვალისწინებით შეადგინა კანონთა კრებული. ასევე შექმნა სახელისუფლებო სამართლის წიგნი „დასტურლამალი“ XVIII საუკუნის 40-იან წლებში აღმოსავლეთ საქართველო თავს აღწევს ირანის გავლენას. ქრისტიანული წესით ხდება თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის მეფედ კურთხევა, რაც ხელს უწყობს სახელმწიფო მართვის სფეროში მთელი რიგი ცვლილებების გატარებას. XVIII საუკუნის II ნახევარში იქმნება იოანე და დავით ბატონიშვილების, ალექსანდრე

ამილახვარის პროექტები სახელმწიფო ხელისუფლების რეორგანიზაციის შესახებ. მათგან, იმ დროსაც კი ბატონიშვილების პროექტები სახელმწიფო ხელისუფლების ევროპულ სისტემაზე მოწყობას ითვალისწინებდა.

სახელმწიფოს, ხელისუფლების ორგანიზების პრობლემა ყველა ეპოქაში ყურადღების ცენტრში იყო მოქცეული, დაწყებული ანტიკური პერიოდიდან დამთავრებული დღემდე. ამასთან, ეს საკითხები განიხილებოდა სხვადასხვაგვარად. ერთის მხრივ, თეორეტიკოს-ისტორიკოსებისა და ფილოსოფოსების მხრიდან, რომლებსაც სპეციალურად აინტერესებდათ სახელმწიფო წყობილების ხელისუფლების ორგანიზაციის საკითხები, იქმნებოდა სპეციალური ლიტერატურა. ისტორიამ შემოგვინახა პოლიტიკური მოძღვრებები, რომლებიც წარმოადგენდნენ სხვადასხვა მიმდინარეობებს. მიუხედავად მათი მრავალფეროვნებისა, ყველას მიზანი იყო შეექმნა იდეალური სამართლებრივი სახელმწიფოს თეორიული საფუძვლები (1, 3). მეორეს მხრივ, თავად ხელისუფალთა მიერ თუ მათი მოთხოვნით მუდმივად ყალიბდებოდა და იწერებოდა სპეციალური საკანონმდებლო ძეგლები, როგორც სახელმწიფოებრივი სტრუქტურის დახვეწისა და სრულყოფის, ასევე საკუთარი პოზიციების განმტკიცების მიზნით. მმართველი პირის სიძლიერეს თავისთავად გულისხმობს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მტკიცედ ჩამოყალიბებული სისტემები. რაც შეეხება საქართველოს, ქართული საკანონმდებლო ძეგლები მხოლოდ XI საუკუნიდან მოგვეპოვება. შესაძლებელია მანამდეც არსებობდა ასეთი ტიპის ძეგლები, თუმცა ჩვენამდე არ მოუღწევია. დღეისათვის შემორჩენილი საკანონმდებლო ძეგლები, რომლებიც ძირითადად განვითარებული ფეოდალიზმის ხანას განეკუთვნება და საინტერესო ინფორმაციას შეიცავს ხელისუფლების ორგანიზაციის საკითხთან დაკავშირებით. ხელისუფლების სტრუქტურის შესასწავლად მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის „ხელმწიფის კარის გარიგება“, გიორგი ბრწყინვალის „ძეგლისდება“, ბექა-ალბულას „წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოვლადვე“ და „წესი და განგება მეფედ კურთხევისაი“. აღნიშნულ ძეგლებში მეტნაკლები სისრულით წარმოდგენილია როგორც ცენტრალური, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების ფუნქციები. საქართველოს გაერთიანებასთან ერთად იქმნებოდა ქვეყნის მართვისა და სამოხელეო წყობის ერთიანი სისტემა. ცენტრალური ხელისუფლების თან-

დათანობითი განვითარება იწვევდა აგრეთვე ამ ხელისუფლებისათვის შესაფერისი ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების სტრუქტურების დახვეწას და საჭიროების შემთხვევაში ახლის შექმნას. ვალერიან გაბაშვილის მოსაზრებით, ქართული სახელმწიფოებრივი წყობილების სამოხელეო სისტემის განვითარება უკავშირდება დავით აღმაშენებლის სახელს. დავით აღმაშენებელმა შექმნა რამდენიმე ახალი სახელმწიფოებრივი ინსტიტუტი, მანამდე უკვე არსებულს ახალი ძალა და შინაარსი მისცა და ამით საფუძველი ჩაუყარა ცენტრალური სახელმწიფოსათვის შესაფერისი სამოხელეო აპარატის და მართვის სისტემის შექმნას. გიორგი III-ის დროს და მის მომდევნო ხანაში თანდათანობით დამატება-შესწორებებით ამ სისტემამ დასრულებული სახე მიიღო (2, 349). საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების მუდმივი სრულყოფა დაკავშირებულია იმ ფაქტთან, რომ სახელმწიფო, როგორც ადამიანთა პოლიტიკური ერთიანობის განსაკუთრებული ინსტიტუტი, თავის ფუნქციებსა და ამოცანებს ახორციელებს სხვადასხვა ორგანოს მეშვეობით. სწორედ სახელმწიფო ორგანოთა სისტემა არის ის საშუალება, ძალა და ავტორიტეტი, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება სახელმწიფო ხელისუფლება (3, 12).

თანამედროვე საქართველო დასავლური ორიენტაციის ქვეყანაა. ასევე, ერეკლე II ცდილობდა ქართლ-კახეთის სამეფოს „ევროპეიზაციის“ გზაზე გაყვანას. XVIII საუკუნის ქართლ-კახეთის სამეფოს და თანამედროვე საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ორგანიზაციის საკითხთან დაკავშირებით სხვადასხვა სახის წყაროთა ბაზა და მრავალრიცხოვანი ლიტერატურა არსებობს. ჩვენს მიერ დასმული პრობლემის ანალიზი წარმოდგენილია სწორედ არსებული მონაცემების გათვალისწინებით უფრო დამოუკიდებელნი გახადა (4, 79). მეფეთმეფის გვერდში იდგა მისი თანამეცხედრე „დედოფალთ დედოფალი“, რომელიც გარკვეული პერიოდიდან მოყოლებული პოლიტიკური და ეკონომიური პროგრესებით სარგებლობდა სახელმწიფო მართვა-გამგეობის სფეროში. X-XIV საუკუნეების საქართველოში, სამეფო სიგელების სახელდებაში არც დედოფალთ-დედოფალი და არც უფლისწულები, როგორც წესი, მოხსენიებული არ არიან. მე-15 საუკუნის დამდეგიდან, კი პირველად ალექსანდრე I-ის სიგელებში ჩვეულებრივი ხდება მეფის სახლობის ყველა წევრთა მოხსენიება, რაც ივანე ჯავახიშვილის აზრით

ქართული სახელმწიფოებრიობის დაქვეითების გამომხატველია (5, 3). დედოფალს, როგორც მსხვილ ფეოდალს, გააჩნია საკუთარი ცენტრალური დაწესებულება: „დარბაზი“, ანუ „დედოფლის კარი“ და რასაკვირველია ჰყავდა საკუთარი დარბაისელები. სადედოფლო დასტურლამალში დედოფლის ორი დარბაისელია მოხსენიებული „დარბაისელი გერმანოზიშვილი ოთარი და ბარათასშვილი მანუჩარი“ (6, 128). დედოფალს ჰყავდა მრავალრიცხოვანი დარბაზის რიგის მოხელენი: დედოფლის სალთხუცესი, ეშიკადასბაშები, მოლარეთუხუცესი, სუფრაჯი, მეჯინბეთუხუცესი, მოურავები, მამასახლისები, ხოჯა, იასაულები, თუმშალები, ამბარდანი, მხატვარი, მეთეფშენი, ფარემ-უხუცესი და ფარემები (7, 17). დედოფალს აკრეფილი გადასახადებიდან თავისი წილი ჰქონდა, რასაც მის მიერ წარგზავნილი პირი აწარმოებს: „ქუეყნის აღწერაში ერთს მხარეს დედოფლის მდივანი წავიდეს. რაც იმის აღწერაში სამეფო კაცი იყოს, იმ სამეფოს კაცის სარგო მეფის მდივანს უნდა მოუტანოს, და სადაც მეფის მდივნის აღწერაში სადედოფლო კაცი ერიოს, იმისი სარგო და აღმსაწერლი დედოფლის მდივნებს მოუტანონ. საურთან დედოფლის სალთხუცესს და მდივანს აქვს. მეფის სალთხუცესსა და მდივნებისა არის ორი შაური, რომ მესაყრისა აილების მისგან ნახევარ შაური“ (6, 14). მიხეილ კეკელიას აზრით, ფეოდალიზმის ეპოქა საერთოდ არ იცნობს ფაქტებს, რომ ქალი იყო მსაჯული და რაც მთავარია, ამ ფუნქციას იგი არა ეპიზოდურად, არამედ სისტემატურად ანხორციელებდეს, რომ იგი მეფის შემდეგ, მთელ სამეფოში მეორე მოსამართლედ ითვლებოდა. ასევე ვერ ვხვდებით შემთხვევებს, რომ იგი ამტკიცებდეს გამოტანილ განაჩენს და ნიშნავდეს აღმასრულებელს ე. ი. აკეთებდეს ყოველივე იმას, რასაც ასე უხვად ვხვდებით XVIII საუკუნის II ნახევრის ქართლ-კახეთის სამეფოში. მთელ სამეფოში დედოფლის გარდა არც ერთ ქალს არ ჰქონდა მინიჭებული სასამართლო ფუნქცია. ასევე, მეფის გარდა სხვას არავის შეეძლო დედოფლისათვის დაევალებინა საქმის გარჩევა, მაშინ როდესაც სადედოფლო საქმის გარჩევას ავალებდა ბატონიშვილებს, მდივანბეგებს, ცალკეულ მებატონეებს და იშვიათ შემთხვევაში დიკასტერიასაც კი (8, 121, 126). დედოფალი არა მარტო ისეთ საქმეებს არჩევს, რაც მის საკუთრებაში მყოფ მამულებსა და ხელქვეით პირებს შეეხება, არამედ სამეფოს სხვადასხვა კუთხეში მომხდარ დავებსაც. შეუძლია ასეთი დავების განხილვა ზოგჯერ სხვებსაც დაავალოს, დაამტკიცოს მათ მიერ გამო-

ტანილი განაჩენ-გადაწყვეტილებები და დანიშნოს აღმასრულებლები. მაგალითად, 1788 წელს დედოფალი დარეჯანი დოსითეოს ნეკრესელის, კახეთის მდივან-ბეგებისა და მდივნების მონაწილეობით არჩევს დავას მამულსა და სხვა საკითხებზე ისეთ დიდ ფეოდალთა შორის, როგორც იყვნენ: ეშიკადასბაში ჩოლოყაშვილი ჯარდანი და მისი ძმისწული თუშთ მოურავი დურმიშხანი (8, 122). მეფეთ-მეფის, როგორც სამეფოს უზენაესი ხელმწიფის უფლება განაწილებული იყო სამეფო სახლობის ყველა წევრებზე: დედოფალსა და უფლისწულებზე. მეფის ახლო ნათესავების დასტური, ბეჭედი და ხელრთვა აუცილებელი პირობა იყო სახელმწიფო საბუთების დასამტკიცებლად (7. 2-3).

XVIII საუკუნეში მონარქიული სახელმწიფოს სათავეში დგას მეფე, რომელიც ამავე დროს არის ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდალი. მეფობა არის მემკვიდრეობითი და მეფე აუცილებლად იყო ბაგრატიონთა დინასტიიდან. მისი ძალა-უფლება იყო ერთპიროვნული. საინტერესოა აღინიშნოს, რომ აღნიშნულ პერიოდში სახელისუფლებო სტრუქტურებში დიდია დედოფლის და უფლისწულების გავლენა. მათ უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტაში. მეფე საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს „დარბაზის“ მეშვეობით. „დარბაზში“ გაერთიანებული იყვნენ უმაღლესი საერო და სასულიერო არისტოკრატია. დიდგვაროვნების თანამდებობები მათი შემოსავლის და სიძლიერის მიხედვით განისაზღვრებოდა. როგორც საკანონმდებლო ძეგლებიდან ჩანს, ფეოდალები არ იყვნენ შეზღუდული რამოდენიმე თანამდებობის შეთავსებისგან. ეს ფაქტი როგორც ჩანს, განპირობებული იყო მეფის ხელისუფლების სისუსტით.

დასკვანა

ამდენად, როგორც განხილული მასალა მოწმობს დეოდფლის ფუნქციები და როლი საკმაოდ მნიშვნელოვანია და საყურადღებოა. ბუნებრივია, აღნიშნული პრობლემის კვლევა საკმაოდ საინტერესოა და აქტუალურია და ეხება ქართლ-კახეთის სამეფოს ისტორიის იმ ხანას, როდესაც სხვადასხვა სამართლის ძეგლი შეიქმნა და მასში დედოფლის მნიშვნელობა გამოკვეთილია. ასევე, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ დედოფალი საკმაოდ აქტიური ფიგურაა და სხვადასხვა მიმართულებით, რომელიც ქვეყნის ცხოვრებას შეეხება იღებს მონაწილეობას.

გარდა პრობლემის ამ მიმართულებით დასმისა, ისიც საინტერესოა, რომ ქალის, დედოფლის ფუნქცია გამოკვეთილია, არ არის მეორეხარისხოვანი ფიგურა და მისი მოვალეობა და როლი მრავალმხრივია.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. პ. ცნობილაძე, ეროვნული სახელმწიფოებრიობა და ინსტიტუციონალიზმის განვითარება თანამედროვე ეტაპზე, დისერტაცია წარმოდგენილი სამართლის მეცნიერებათა კანდიდატის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2002,
2. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბილისი, 1979
3. ზ. რუხაძე, ხელისუფლება და კანონმდებლობა, დისერტაცია წარდგენილი იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2003
4. ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII საუკუნეებში, თბილისი, 1958
5. ვ. გაბაშვილი, ქართლის სამეფოს სახელმწიფო წესწყობილება დასტურლამალის მიხედვით. ნაშრომი წარდგენილი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 1942
6. ვახტანგ მეექვსე, „დასტურლამალი“, პეტრე უმიკაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 1986
7. დ. ბაქრაძე, ცხოვრება ვახტანგ მეექვსისა, თბილისი, 1880, გვ. 17
8. მ. კეკელია, სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ, წიგნი I (ქართლ-კახეთის სამეფო), თბილისი, 1981, გვ. 121, 126
9. დ. ბაქრაძე, ცხოვრება ვახტანგ მეექვსისა, თბილისი, 1880, გვ. 2-3

Vakhtang Songulashvili

Doctor of Law, Asosieit Professor

Georgian Technical University

Keywords: queen, state, right, monarch

Functions of the queen in the Kingdom of Kartli-Kakheti in the XVIII century

The XVIII century is one of the most difficult and multifaceted periods in the history of Georgia, both in terms of political, socio-economic status, as well as the legal situation.

Considering the Georgian legislative monuments of the XVIII century, we have distinguished two stages: 1. The first half of the XVIII century, when the country was under the influence of Iran and the Ottomans and the positions and titles typical of the Eastern world prevailed; and 2. The second half of the XVIII century. A number of events. The creation of each Georgian legislative monument was related to the difficult socio-economic and political situation caused by the domestic and foreign situation of the country, which determined their legal purpose. In order to strengthen the central government and establish order in the country, it was necessary to improve the system of governance and put it into practice. As we have mentioned, Kartli-Kakheti of the XVIII century is a state of monarchical order, headed by a sole ruler - the king. According to the principle characteristic of a monarchy, kingship is hereditary. The King of Kartli-Kakheti exercised legislative and executive power through a "hall" where representatives of central and local government were united. The "hall" under the chairmanship of the king considered all matters of state importance and each decree was adopted with the consent of the king. From the present point of view the eighteenth century is also distinguished by its Reformed significance. In the first quarter of this century, the ruling king Vakhtang VI, based on the legal culture of the time, compiled a collection of laws. He also wrote a book on government law, Dasturlamali. In the 1840s, eastern Georgia gained Iranian influence. The consecration of Teimuraz II and Erekle II as kings takes place in a Christian manner, which contributes to a number of changes in the field of public administration. In the second half of the XVIII century, the projects of Ioane and Davit Batonishvili, Alexander Amilakhvari on the reorganization of the state government were created. Among them, even at that time, the nobles' projects envisaged the arrangement of state power in the European system. Against this background it is important to highlight and study the function and role of the Queen.

აბსტრაქტი

თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურმა პროცესებმა, განსაკუთრებით წინა პლანზე წამოწია ისეთი მნიშვნელოვანი, პრობლემური საკითხები, როგორცაა ქალთა უფლებების დაცვა და მათი თავისუფლება.

თავისუფალი ნება და თავისუფლებისკენ სწრაფვა საზოგადოებრივ კანონებზე და ცრურწმენებზეც ძლიერია. ამიტომაც, რომ ფრანგი, თავისუფლებისთვის მებრძოლი, ძლიერი ქალები არასოდეს უმინდებოდნენ სკეპტიკური, დამანგრეველი საკითხების წინააღმდეგ წასვლას, რომელთა მიზანი, ჩაგვრის, დამორჩილების, პატრიარქალური იდეების ნგრევა და ახალი, ინტელექტუალური სამყაროს მშენებლობა იყო. თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის პრინციპი კი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია.

სტატიის „ფრანგი ქალები თავისუფლებისთვის,“ მიზანია, სქესთა თანასწორობისა და თავისუფლების საკითხის გაანალიზებაა საფრანგეთის მაგალითზე, როგორც მსოფლიოში გამორჩეული თავისუფლებისათვის მებრძოლი სახელმწიფოსი.

საკვანძო სიტყვები: ქალი, საფრანგეთის რევოლუცია, სახელმწიფო, თავისუფლება, თანასწორობა.

ფრანგი ქალების თავისუფლებისათვის

შესავალი

საფრანგეთის სახელმწიფო, თავისუფლების, ჰუმანიზმის და ადამიანის ღირსებების აქტიური დამცველია. რასაც მისი ეროვნული დევიზიც ადასტურებს: „თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა“. თავისუფლება კაცობრიობის ისტორიაში აზროვნების უმნიშვნელოვანესი და უძველესი საკითხია, რომელიც საფუძლიან კავშირშია გენდერულ თანასწორობასთან. ქალთა მართ დამოკიდებულება მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა სოკრატეს, პლატონისა და არისტოტელეს შეხედულებებმა. [9,21-97]

გამოჩენილი ინგლისელი პოლიტიკოსი, ჯონ სტიუარტ მილი (1806-1873 წწ.) თავის ნაშრომში „ქალთა დაქვემდებარებაში“ მიიჩნევს, რომ „ქალების და კაცების კანონის წინაშე უთანასწორობას გამართლება არ აქვს და ის სრული თანასწორობით უნდა შეიცვალოს; რომ ქალების ჩაგვრა ძველი დროის გადმონაშთია და კაცობრიობის წინსვლას აფერხებს. იგი პირველია კაცია, რომელმაც ნაშრომი ქალის უფლებების დაცვას მიუძღვნა, მილი გამოყოფს ქალთა განვითარების დამაბრკოლებელ სამ დიდ ფაქტორს: საზოგადოებაში არსებული გენდერის ნორმები, განათლების არსებული სისტემა, ოჯახი. მილი წერილებსა და საჯარო გამოსვლებშიც აქტიურად იცავდა ქალის და კაცის თანასწორობას; პარლამენტის წევრობის პერიოდში მისი ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული პოლიტიკური კამპანია ქალებისათვის ხმის უფლების მინიჭების ინიციატივა იყო, რის გამოც ის თანამედროვეთა მხრიდან არაერთი თავდასხმისა და დაცინვის საგანი გახდა. ქალის უფლებების და თავისუფლების პრობლემების მიმართ ინტერესის გაღვივებას მილი თავის მეუღლეს ჰარიეტ ტეილორს უმაძლიოდა. ჰარიეტ თვითონაც წერდა ქალთა უფლებებზე და მილის „ქალთა დაქვემდებარების“ ტექსტის შექმნაშიც აქვს წვლილი შეტანილი. [13,5-98]

თავისუფლების ცნება მნიშვნელოვან როლს თამაშობს ეგზისტენციალიზმში (სიორენ კირკეგორი, სიმონ დე ბოუვარი, მარტინ ჰაიდეგერი, ჟან-პოლ სარტრი, და ა.შ.). აქ თავისუფლება ადამიანის არსის განმსაზღვრელ ფაქტორადაა მიჩნეული. უფრო მეტიც, ადამიანი „დაწყვეტილია“ თავისუფლებით და თავის ყველა ქმედებაზე პასუხს აგებს. მაშასადამე, ეგზისტენციალისტებთან თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის პრინციპი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია განხილული.

პოლიტიკური თავისუფლება ყველა მოქალაქისთვის „განურჩევლად მათი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობისა, თანაბარი უნდა იყოს, იმ გაგებით, რომ ყველას აქვს სამართლიანი შესაძლებლობა დაიკავოს სახელმწიფო თანამდებობები და გავლენა მოახდინოს პოლიტიკური გადაწყვეტილების შედეგებზე.“[14]

ფრანგი ქალები თავისუფლებისთვის

სქესის თეორია და სქესის დიალექტიკა ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო კაცობრიობის ისტორიაში. უძველესი დროიდან დღემდე, ქალისა და მამაკაცის თანასწორობის საკითხი მეცნიერების მხრიდან დიდ ინტერესს იწვევდა.

საფრანგეთში ქალთა მიმართ დამოკიდებულების გასაანალიზებლად კვლევა, მინდა დავიწყო საფრანგეთის ისტორიაში იმ ძლიერი, მტკიცე ხასიათის ქალების მაგალითზე, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს საფრანგეთის ისტორიაში. ნებისმიერ სიმწიფესთან გამკლავების უნარს, როგორც წესი, მამაკაცების მახასიათებლებად მიიჩნევდნენ, თუმცა, ყველა დროსა და ეპოქაში არსებობდნენ ქალები, რომლებიც განცვიფრებასა და აღფრთოვანებას იწვევდნენ.

საფრანგეთის ისტორიის კვლევისას, აღმოჩნდა, რომ მას სულ 53 დედოფალი ჰყავდა, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ქვეყნის საერთაშორისო ურთიერთობებში. აქედან 49 დაქორწინებული მეფეზე იყო და დედოფლის ტიტული ჰქონდათ, ხოლო 3 დაქორწინებული იყო იმპერატორზე და მათ იმპერატრიცის ტიტული ჰქონდათ. დედოფლებმა ინგებორგ დანიელს და ანა ბრეტონელს ისეთი დიდი ძალაუფლება ჰქონდათ, რომ საფრანგეთის დედოფლების ტიტული ორჯერ მიიღეს. რაც შეეხება დედოფალ, მარია ჯუზეპინა სავოიელს იგი დეკუტატიც გახლდათ, როგორც რესპუბლიკურ, ისე იმპერიულ პერიოდში.

საფრანგეთის პირველ დედოფალად ერმენტრუდა ორლეანელს მიიჩნევენ, ხოლო უკანასკნელი - ეუხენია დე მონტიხო გახლდათ, დედოფალი მეუღლესთან ერთად 1871 წელს ტახტიდან ჩამოაგდეს. [15, 12-190]

სამეფო ცერემონიალის დამკვიდრებაში მნიშვნელოვანია, საფრანგეთის დედოფლის, ანა იაროსლავის ასულის, [1027-1079] იაროსლავ ბრძენის შვილის სახელი საფრანგეთის ისტორიაში, რომელიც ასევე, ანა კიეველის სახელითაცაა ცნობილი. სწორედ მან ჩაიტანა საფრანგეთში სახარება, რომელზეც XVI საუკუნიდან მოყოლებული, საფრანგეთის მეფეები ტახტზე ასვლის წინ ამ სახარებაზე ფიცს დებდნენ.[8, 24-50]

საფრანგეთის ისტორიაში ყურადღებას იმსახურებს მარკიზა დე პომპადური, საფრანგეთის მეფის , ლუდოვიკო XV-ის ერთ-ერთი გამორჩეული

ქალი, რომელსაც 20 წლის განმავლობაში განუზომელი ძალაუფლება ჰქონდა, რომ საფრანგეთის უგვირგვინო დედოფალს ეძახდნენ. ამ წლების განმავლობაში მან მრავალი სახელმწიფო მნიშვნელობის გადაწყვეტილებები მიიღო. მისი მრავალმხრივი ნიჭის დამადასტურებელია სასახლეში პატარა თეატრი დაარსება და ულამაზესი ვარდისფერი ფაიფურის შექმნა. მისი ნამდვილი სახელი ჟანა ანტუანეტა პუასონია (Jeanne-Antoinette Poisson) , (1721-1764). მარკიზა დე პომპადურის ტიტული მას მეფე ლუდოვიკომ უბოძა.

მარკიზას მეფის ყველაზე უახლოს მრჩევლად მიიჩნევდნენ, იგი ქვეყნის პოლიტიკაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა. ფაქტიურად, საფრანგეთს პომპადური მართავდა. პერიოდულად ვრცელდებოდა ხმა იმის შესახებ , რომ პომპადურის მდგომარეობა ეჭვქვეშ იყო: “მთავარი სულთანი თავის მდგომარეობას კარგავს” ... თუმცა, ლუდოვიკომ მარკიზას ყველა პრივილეგია შეუნარჩუნა, მაგრამ ვითარება გართულდა მას შემდეგ, რაც მარკიზამ ავსტრიასთან პოლიტიკური მოლაპარაკებები გამართა. ამან ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა შეცვალა. საფრანგეთი პრუსიის ტრადიციული მოკავშირე იყო და ამჯერად ავსტრიის გახდა. [7, 20-150]

ასევე მნიშვნელოვან ყურადღებას იქცევს, საფრანგეთის სახალხო გმირი, შეუპოვრობით, გამბედაობითა და ნიჭიერებით გამორჩეული ქალი, ჟანა დ'არკი [Jeanne d'Arc 1412-1431], რომელიც ინგლისელთა წინააღმდეგ ფრანგი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას ხელმძღვანელობდა, რომელიც ცნობილია „100 წლიანი ომის სახელით“.

1428 წლის 12 ოქტომბერს, როდესაც ინგლისელებმა ალყა შემოარტყეს საფრანგეთის მეფის ხელში მყოფ უკანასკნელ ქალაქს, ერთი წლის შემდეგ მამაკაცის ტანსაცმელში გამოწყობილი ჟან დ'არკი დოფინთან შინონის ციხეში გაემგზავრა. აღსანიშნავია, რომ ჟანამ მეფის ნდობა მოიპოვა და საფრანგეთის ჯარების სარდლად დაინიშნა. მაშინვე ახალგაზრდა ქალბატონმა, რამდენიმე ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა და ინგლისელების მიერ დაპყრობილი ქალაქების გათავისუფლებაც მოახერხა.(1429 წელს გაანთავისუფლა ქალაქი ორლიანი.) ეს არის „ ბნელი ხანა“ ევროპის ისტორიაში, მიმდინარეობდა „კუდიანებზე ნადირობა, ინკვიზიცია ბობოქრობდა. ინგლისელებმა, 1431 წელს, დიდი თანხის სანაცვლოდ

შეპყრეს ჟანა დ'არკი, „ჯადოქრად“ ცნეს და ქალაქ რუანის ძველი ბაზრის მოედანზე კოცონზე დაწვეს. 1921 წელს თავდადებული მებრძოლი ქალი კათოლიკურმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა. ამდენად ჟანა დ'არკმა თავისი მოკლე, 19 წლის ცხოვრების მიუხედავად შეძლო საფრანგეთის ისტორიაში დიდი ადგილი დაეკავებინა და ეჩვენებინა ყველასათვის თავგანწირვისა და გამირობის მაგალითი. [9, 120-187]

ძლიერი ქალის მაგალითია, ევროპული მოდის კანონმდებელი, საფრანგეთის ულამაზესი დედოფალი ევგენიაც. [1826-1920] იგი არა მარტო მაღალი წლის საზოგადოებობის წარმომადგენელი იყო, არამედ დიდ გავლენასაც ახდენდა პოლიტიკაზე. როდესაც მისი ქმარი (ნაპოლეონ III) ქვეყანაში არ იმყოფებოდა, ის ფაქტობრივად, რეგენტის მოვალეობას ასრულებდა. ითვლება, რომ სწორედ მან უბიძგა მეუღლეს მექსიკურ ავანტიურაში ჩართვაზე. ასევე, საფრანგეთ-პრუსიის ომის მიზეზიც იგი გახდა. [6, 51-165]

XVIII საუკუნის ბოლოს, საფრანგეთში, ქალთა უფლებების საკითხები უკვე, საზოგადოებრივი განხილვის საგანი გახდა. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქალთა თვალშისაცემი აქტივობები და მონაწილეობა საფრანგეთის ბურჟუაზიულ რევოლუციაში (1789-1799), რომელიც თავისუფლებისა და თანასწორობის იდეის განხორციელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაგალითია.

საფრანგეთში, ბურჟუაზიული რევოლუციის დროს, ქალებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს და აქტიურად მოქმედებდნენ რევოლუციის დღეებში. აღსანიშნავია, რომ იმ პერიოდში მწვავე სასურსათო კრიზისი იდგა, მშრომელი მოსახლეობა ფაქტობრივად შიმშილობდა, ქალები ბავშვებს ვერ კვებავდნენ, იყო გაუსაძლისი მდგომარეობა, მეფე კი ვერსალში იმყოფებოდა და ხალხის ბედი სულაც არ ადარდებდა. მაშინ, 7000 პარიზელი ქალი გაემართა ვერსალისკენ, რათა საფრანგეთის მეფე, ლუი XVI-ისათვის პური მოეთხოვათ. ამ მსვლელობაში სხვადასხვა სოციალური წარმომავლობის ქალები მონაწილეობდნენ. მათ შორის ბაზარში მომუშავე, დიასახლისები და მსახიობები ქალები, მათ ცუდი ამინდის მიუხედავად, 14-კილომეტრიანი გზა გაიარეს წვიმაში და ვერსალის სასახლემდე ასე მივიდნენ. მათი მიზანი მეფესთან შეხვედრა და ლუი XVI-ის პარიზში ჩამოყვანა იყო, რათა მეფეს ფრანგი ხალხი საკვებით უზრუნველყო. ქალებმა

შემდეგ, რომ მეფის პარიზში ჩამოსვლა. თუმცა მემატიანები, საფრანგეთის რევოლუციაში ქალთა როლის დასაკნინებლად ავრცელებდნენ აზრს, თითქოს ვერსალისკენ მსვლელობაში მონაწილე ქალები მამაკაცებმა მოისყიდეს და მონაწილეთა შორის ბევრი იყო ქალად გადაცმული კაცი.[10, 17-70]

სფრანგეთის ისტორიაში აღნიშნული ეპიზოდი უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან ეს გახლდათ პირველი შემთვევა ქალთა ორგანიზებული მსვლელობის, ხელისუფლების მიმართ მოთხოვნის წაყენების და შედეგის დადგომის, მხედველობაში გვაქვს მეფის პარიზში დაბრუნება.

ამ პერიოდში, ფრანგი დრამატურგი და აქტივისტი ქალი, ოლიმპ დე გუჟი (Olympe de Gouges, 1748-1793) ქალების პოლიტიკური უფლებების მოთხოვნით გამოვიდა. იგი ასევე აქტიურად მონაწილეობდა მონათმფლობელობის წინააღმდეგ კამპანიებშიც. როგორც „ჭემმარიტების მეგობართა საზოგადოების“ წევრი, მის მიზანს ქალებისათვის თანასწორი პოლიტიკური და სამართლებრივი უფლებების მოპოვება წარმოადგენდა. თავის ნაშრომებში ოლიმპ დე გუჟი ძირითადად მონობის, შავკანიანი ადამიანებით ვაჭრობის, ქალთა უფლებრივი მდგომარეობის, თავისუფალი სიყვარულის საკითხებს ეხება. ოლიმპ დე გუჟის ყველაზე ცნობილი ნაშრომია: „ქალისა და ქალი მოქალაქის უფლებების დეკლარაცია“.[Declaration des droits de la femme et de la citoyenne] რომელიც 1791 წელს დაწერა. მისი აღშფოთება გამოიწვია ქალი მოქალაქეების აქტიურობის იგნორირებამ, მამაკაცი რევოლუციონერების მხრიდან, როდესაც საფრანგეთის რევოლუციური მთავრობის მიერ გამოქვეყნდა „ადამიანის და მოქალაქის უფლებების დეკლარაცია“, აღმოჩნდა, რომ მასში მხოლოდ მამაკაცთაშორის თანასწორობის საკიტხებზე იყო საუბარი, სქესთა შორის უთანასწორობა კი უცვლელი რჩებოდა.

ოლიმპის აზრით, საფრანგეთში ქალები, ისევე როგორც, მონები და უცხოელები პოლიტიკური უფლების გარეშე იყვნენ. იგი ითხოვდა, ქალისა და მამაკაცის თანაბარ უფლებებს, სასკოლო განათლების გოგონებისთვის ხელმისაწვდომობას, დასაქმებას. ოლიმპ დე გუჟის სურვილი იყო ქალთა გენერალური ასამბლეის დაარსება და ერთ-ერთ შეხვედრაზე განაცხადა კიდევაც: „თუ ქალს ეშაფოტზე ასვლის უფლება აქვს, მას ტრიბუნაზე ასვლის უფლებაც უნდა

ჰქონდეს“. სამწუხაროდ ოლიმპ დე გუჟს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს, მას გილიოტინაზე თავი მოჰკვეთეს.

საფრანგეთის რევოლუციიდან, ორი წლის შემდეგ, ფრანგი ქალები კიდევ ერთხელ შეეცადნენ პოლიტიკური ქმედებისათვის ძალთა მობილიზებას, ამის მიზეზი გახდა ღარიბთა დასაქმების სამსახურის გაუქმება. რასაც, პარიზელმა ქალებმა ტრადიციული გაფიცვებითა და არეულობით უპასუხეს. შედეგად მაისში ასამბლეამ გამოსცა კანონი, რომელიც ქალების სახლში ყოფნას მოითხოვდა და პოლიციას უფლებას აძლევდა დაერბია და დაეპატიმრებინა ხუთზე მეტი ერთად შეკრებილი ქალი. ქალებს აკრძალათ ასევე ასამბლეის სხდომების მოსმენა გალერეებში. ამგვარად, დასრულდა ქალთა პოლიტიკური აქტივობა საფრანგეთის რევოლუციის პერიოდში.[1,10-90]

საფრანგეთში ქალთა სტატუსმა 1789-1804 წლებში მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. 1792-93 წელს მათ იმასაც კი მიაღწიეს, რომ ქორწინება მშობლის ნებართვის გარეშე შეეძლოთ, ასევე გაყრის პროცესის წამოწყება, ქორწინების გარეთ გაჩენილი ბავშვის მამის სახელის დასახელება, შეცდენის ასანაზღაურებლად ფულადი კომპენსაციის მოთხოვნა და საკუთრების ქონა. პარიზელი ქალები ტრადიციულად მონაწილეობდნენ ქუჩის პოლიტიკაში, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე სარჩოს მოპოვებას შეეხებოდა. პარიზელი ქალები გამოთქვამდნენ თავიანთ აზრებსა და მოთხოვნებს, პეტიციების, დემონსტრაციების და თვით „სახალხო დაბეგვრის, (ტახატიონ პოპულაირე) გზითაც. როდესაც ქალების დიდი ჯგუფი თავს ესხმოდა მოვაჭრეს, იტაცებდა მის საქონელს, სამართლიან ფასად ყიდულობდა და შემდგომ გაჭირებულ პარიზელებს ურიგებდა.

საფრანგეთის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ ასევე, შთააგონა ინგლისელ მერი უოლსტონკრაფტს დაეწერა ნაშრომი „ქალთა უფლებების დაცვა“, რომელშიც ჟან ჟაკ რუსოს აღზრდის კრიტიკა იყო წინ წამოწეული. მერის ღრმა რწმენით, გოგონას და ბიჭს აბსოლუტურად ერთნაირი აღზრდისა და განათლების პირობები უნდა ჰქონოდათ, ქალის დაქვემდებარებული მდგომარეობა ოჯახში სოციალიზაციის დროს ყალიბდებოდა. მერი უოლსტონკრაფტის ნააზრევმა ფართო აუდიტორია 1840-1850 წლებში მოიპოვა, სუფრაჟისტული მოძრაობის დასაწყისში,

განსაკუთრებით პოპულარული ფემინიზმის მეორე ტალღის დროს გახდა და დღემდე არ კარკავს აქტუალობას..

მნიშვნელოვანია, ელისაბედ ბადინტერის გამოცხადება ქალების რევოლუციაში ჩართულობის საკითხზე, მისი აზრით:“ ქალებს სურდათ არჩევნებში ხმის მიცემის, განათლებისა და შრომის უფლების მოპოვება, მაგრამ ლოზუნგი, - „თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა“, - მათ არ ეხებოდა.“

ბურჟუაზიული რევოლუციის დროს ქალები კაცების გვერდით იბრძოდნენ, მათ იმედი ჰქონდათ, რომ თანასწორობასა და თავისუფლებაზე დამყარებულ რესპუბლიკას შექმნიდნენ, სადაც ქალებს მამაკაცებს ერთნაირი უფლებები ექნებოდათ. თუმცა, როგორც ოლიმპ დე გუჟი იტყოდა ”საერთო მოძრაობამ შთანთქა ქალთა ინტერესები. მათი ხმა ჩაიკარგა კაცების ხმაში და არ მიეცათ საშუალება, საკუთარი სქესის ჩაგვრაზე გაემახვილებინათ ყურადღება, მიზოგინიის წინააღმდეგ ებრძოლათ.”

ადანიშნავია, რომ სწორედ, 1789 წლის საფრანგეთის რევოლუციამ, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ფემინიზმის პირველი ტალღის ჩამოყალიბებაში. ფემინისტური მოძრაობის პირველ ეტაპებზე მიზნად იქნა დასახული ქალებისათვის საარჩევნო უფლებების მოპოვება, ამიტომ მოძრაობის მონაწილეებს სუფრაჟისტებს (ინგლისური სიტყვიდან suffrage – ხმის უფლება) უწოდებდნენ. სუფრაჟიზმი აღმოცენდა ინგლისში XIX საუკუნის მეორე ნახევარში, მოგვიანებით კი გავრცელდა აშშ-ში, გერმანიაში, საფრანგეთსა და მსოფლიოს მრავალ სხვა ქვეყანაში.

პირველი ტალღის ფემინისტთა საქმიანობა ქალთა უფლებებისათვის ბრძოლის სათავედ მიიჩნევა. ფემინიზმის პირველი ტალღის აღმოცენება განსაკუთრებით, დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთში და ამერიკაში იგრძნობოდა. კერძო და საჯარო სფეროებიდან დაიწყეს ქალების საჯარო სივრციდან განდევნა.

სამწუხაროდ ქალის როლის მოაზრება არ გაცდა დიასახლისის როლსა და ოჯახის ჩარჩოებს და ამ ფარგლებშიც კი ვერ მოხერხდა ქალთა უფლებების გაფართოება.[2, 9-101]

საფრანგეთში, ქალთა უფლებების დაცვისა და ფემინისტური იდეებისთვის განსახორციელებლად, ფრანგი მწერალი, ეგზისტენციალიზმის თეორეტიკოსი,

პედაგოგი, გონკურის პრემიის ლაურეატი, ფემინიზმის ფუძემდებელი სიმონ დე ბოვუარი (Simone de Beauvoir 1908-1986] გამოჩნდა. მან გამოქვეყნა თავისი ნაშრომი „მეორე სქესი“. თუმცა, თავად სიმონ დე ბოვუარი თავის ნაშრომს ფემინისტა „მეორე ტალღის“ სათავედ არ მიიჩნევა. მისი აზრით ფემინისტური მოძრაობის მეორე ტალღის აქტივობა სამოციანი წლების დასაწყისიდან გახდა მნიშვნელოვანი. ამას ადასტურებს, წიგნის დაწერიდან 27 წლის შემდეგ სიმონ დე ბოვუარის ჟურნალისტ ჯონ გერასისთვის მიცემული ინტერვიუც. ეს ინტერვიუ 1976 წელს ჟურნალ „სოსიათის“ (Society) იანვარ-თებერვლის ნომერში დაიბეჭდა.

ფემინისტები ქალთა უფლებებისა და ზოგადად საზოგადოებაში მათი მდომარეობის გაანალიზებისა და გაუმჯობესების ირგვლივ ერთიანდებოდნენ.

აღსანიშნავია, ის ფაქტიც, რომ მეორე ტალღის პოსტმოდერნისტმა ფემინისტებმა ქალებისა და ქალთა პრობლემების უნიფიცირების, გაერთიანების პრობლემურობის საკითხი წამოწიეს წინა პლანზე. ვინაიდან ქალები, როგორც ინტერესთა ჯგუფი ეთნიკური, რელიგიური, კლასობრივი ე.ი. სოციალურ-კულტურული მახასიათებლების მიხედვით დივერსიფიცირებულია. ამდენად, ქალთა შორის განსხვავებების დანახვა და ამგავრი სახით ბრძოლა ფემინიზმის პოლიტიკური მიზნების მისაღწევად ყველაზე მნიშვნელოვანია.

სიმონ დე ბოვუარის აზრით, ქალობა ნიშნავს :”არა იმდენად ბიოლოგიური კატეგორიის კუთვნილებას, რამდენადაც განსაკუთრებული სოციო-ფსიქიკური რეალობისადმი, „ქალურობისადმი“ მიკუთვნიებას. ეს სიტუაცია ერთდროულად ქმნის როგორც ქალის „გასაგნებას“, მისი თავისუფლების დაკარგვის, ასე მამაკაცის გარკვეული სექსუალურ-ქცევითი და კულტურული უპირატესობის გაჩენასაც.“

მისი აზრით, სამყაროს, რომელის ფორმირებას მამაკაცი განაგებს, ქალი განწირულია, როცა იგი მეორე ნახევრის როლს თამაშობს. მას მიაჩნია, რომ ბიოლოგიური სტატუსი ნაკლებ როლს თამაშობს ქალისა და მამაკაცის თანაბარ უფლებებზე, ქალურმა ემოციურობამ და თვითშეფასებამ განსაზღვრა საზოგადოებაში სოციალურ როლთა განაწილების ასეთი სახე. ბოვუარისთვის მიუღებელია, რომ ქალი ყოველთვის კაცობრიობის მეორე ნახევრის როლს თამაშობდეს. ქალმა თავისი ადამიანური ღირსება საკუთარი შემოქმედებითი

თვითდამკვიდრების პროცესში უნდა აღიდგინოს. პერსპექტიულად, მას ამის სრული შესაძლებლობა აქვს.

სიმონ დე ბოუვარს მიაჩნდა, რომ ქალთა ემანსიპაცია ნიშნავს, იმას, რომ ქალი ცალკე, დამოუკიდებელ პიროვნებად განიხილებოდეს და არა კაცთან მიმართებაში. სწორედ, ამის შემდეგ შესძლებს ქალი მამაკაცისათვის არსებობას. როდესაც ქალიც და კაციც ერთმანეთს აღიარებს როგორც ცალკე პიროვნებას, თოთოეული მათგანი დარჩება ერთმანეთისთვის „სხვად“, „განსხვავებულიდ“. მისი ცნობილი ფრაზაა: „ქალებად არ იბადებიან, ქალებად ხდებიან“.[1, 50-90]

ფრანგულ ლიტერატურაშიც, ასევე არაერთმა ქალმა მწერალმა გამოხატა პროტესტი ქალთა ჩაგვრის წინააღმდეგ. ისინი გმობდნენ სქესთა უთანასწორობას, ქალთმომძულეობას, მიზოგინიას, პატრიარქალურ იდეოლოგიას, მასკულინურ დომინაციასა და სუპრემაციას. ესენი იყვნენ: მარი დე ფრანსი, კრისტინ დე პიზანი, მარი დე გურნეი, მადლენ დე სკუდერი, მადამ დე ლაფაიეტი, მადამ დ'ეპინე, ემილი დიუ შატლე, მადამ დე სევინიე, მადამ დე სტალი და ჟორჟ სანდი.

ჟორჟ სანდი ამათგან იმით გამოირჩეოდა, რომ მწერალი, საზოგადო მოღვაწე და ფემინისტური მოძრაობის იდეოლოგიც იყო, რომელიც იძულებული გახდა კაცის ფსევდონიმით ესარგებლა, რათა ქალი ინტელექტუალურად ამაღლებულიყო. [14, 147-255]

დასკვნა

ამდენად, სტატიაში: „ ფრანგი ქალები თავისუფლებისთვის“ ნათლადაა, წარმოდგენილი ფრანგი, თავისუფლებისთვის მებრძოლი ქალები, რომლებამც თავისუფალი სამყაროს შენება დაიწყეს. სწორედ, საფრანგეთის ბურჟუაზიულ რევოლუციაში მონაწილე ქალებმა დაუდეს საფუძველი თავისუფლების, თანასწორობისა და ქალთა უფლებების დაცვის საქმეს. მართალია ქალებმა ვერ შეინარჩუნეს რევოლუციის მონაპოვარი, ყველა უფლებები დაკარგეს, რაც ქალების მიზეზიც იყო, რადგან მათ გაცნობიერებული არ ჰქონდათ სქესთა თანასწორობისა და თავისუფლების არსი, მათი თვალთახედვა ოჯახის ფარგლებს ვერ სცილდებოდა, მაგარამ ქალთა აქტივობამ და უფლებებისათვის ბრძოლამ დიდი სამსახური გაუწია ფემინიზმის პირველი ტალღის ჩამოყალიბებას, მეორე ტალღის წარმოშობის საკითხშიც უაღრესად მნიშვნელოვანია ფრანგი მოაზროვნეების

წვლილი, განსაკუთრებით სიმონ დე ბოვარის, რომელმაც ქალის არსებობის არსზე და მისი დანიშნულების შესახებ გაამახვილა ყურადღება.

ფემინიზმის არსი მდგომარეობს იმაში, რომ გააზრებული და აღმოფხვრილი იქნას ქალთა მიმართ ძალადობის თუ სხვა უფლებრივი საკითხები. თავისუფლება ყველა მოქალაქის, ქალისა და მამაკაცის უფლებაა, რომლის დაცვაც განამტკიცებს დემოკრატიული სახელმწიფოს ფუნდამენტს და ყოველი მოქალაქის უფლებას. თავისუფლება ასევე, საბაზისო ღირებულებაა, რომელსაც პოლიტიკურ პროცესებში მნიშვნელოვანი ადგილის უჭირავს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კიკნაძე თ. დონაძე ნ. : „გენდერი - სოციალური და პოლიტიკური სწავლებანი“ -2006
2. საბედაშვილი, თ. ქალთა უფლებების ისტორიული თბილისი, 2006წ.
3. თ. ირემაძე, „თავისუფლების იდეა ფილოსოფიაში, თეოლოგიასა და სოციალურ მეცნიერებებში“2016 წ.
4. Philippe Hourcade “Parmi les livres de Madame de Pompadour -2
5. Butler Judith Pamela : “Gender Trouble: Feminism and the Subversion of Identity “,New- York,1990.
6. Virginia Woolf (1992 [1938]). Three Guineas. Oxford University Press, p. 147.
7. Christine Bard “Les premières femmes au Gouvernement (France, 1936-1981)”
8. Thébaud F; “l’histoire des femmes et du genre” École normale supérieure Editions, Collection Sociétés, espaces, temps, octobre 2007
9. Galibert Ch. “A l’usage de toutes les générations” PUG, 2019 politiques “ Quelle-s place-s pour les femmes?”Paris- 2019
10. Yannick Ripa “Histoire féminine de la France, 768 Pages 41,00 € ISBN : 978-2-410-01125-8 – Belin, 2020
11. Christophe Pincemaille “Versalia. Revue de la Société des Amis de Versailles” -2003

12. 12. Cécile Talbot:” Nous qui sommes sans passé, les femmes » : usages et réappropriations de l’Hymne des femmes dans les collectifs féministes de la troisième vague”-2020,Paris
13. <https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/03/jon-stiuart-mili-1.pdf>
14. <http://www.freeuni.edu.ge/ge/nomos/2528>
15. Marianne Dupont-Joris- “Toutes les reines de France”-2016

Shorena Alkhanashvili

PHD student of GTU

French women For the freedom

Summary

France is one of the first country in the world for which freedom and equality are of paramount importance. France is also a pioneer in the field of equality between women and men, which is known to have originated from the period of the bourgeois revolution. Although women could not maintain the gains of the revolution, they lost all rights, which was also the reason for women, because they did not realize the essence of gender equality and freedom, Their vision could not go beyond the family, but women's activism and the struggle for rights did a great service in shaping the first wave of feminism, The contribution of French thinkers, especially Simone de Beauvoir, who focused on the essence of a woman's existence and its purpose, is also extremely important in the origin of the second wave. Underlined the conditions conducive to the subordination of women that he saw in the institutions of socialization.. The essence of feminism is to understand and eliminate issues of violence against women or other legal issues. Freedom is the right of every citizen, woman and man, the protection of which strengthens the foundation of a democratic state and the right of every citizen. Freedom is also a base value that takes an important place in the political process.

Keywords: France, State, freedom, women, equality

აბსტრაქტი

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ მსოფლიო პანდემიად გამოცხადებამ ცხადყო კოვიდ ვირუსის რეალური მასშტაბები, რომელებიც თითოეულ ადამიანზე აისახა. პანდემიამ ერთის მხრივ შეიწირა მრავალი სიცოცხლე, თუმცა, მეორეს მხრივ კრიზისმა დააჩქარა ციფრული ტრანსფორმაციის ტენდენციები მთელს მსოფლიოში. პანდემიის პირობებში აუცილებელი გახდა როგორც სახელმწიფო სტრუქტურის დიდი ნაწილის ასევე ორგანიზაციების მიერ სერვისების ციფრულ მიწოდებაზე გადასვლა. მიუხედავად იმისა, რომ პანდემიამ უარყოფითი გავლენა იქონია ბევრ ბიზნესზე, მან ასევე გამოავლინა ახალი შესაძლებლობები ონლაინ სფეროში, რამაც ადამიანების მუშაობის წესში გამოიწვია მკვეთრი ცვლილება.

ჩემს მიერ ჩატარებული კვლევისას ევროკავშირის კვლევის შედეგების მსგავსად, გამოვლინდა რომ პანდემიის პირობებში დისტანციური მუშაობის პრაქტიკამ დადებითი შედეგი მოიტანა მომუშავე ქალებისათვის, მათ მეტი დრო დარჩა ოჯახის საქმიანობისთვის და ბავშვებისთვის, ისე რომ მათ სამსახურს არ დამუქრებია საფრთხე. კვლევაში არსებული მონაცემებით ასევე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ შეინიშნება დადებითი ცვლილებები გენდერული თანასწორობისაკენ, გამოკითხვის შედეგად სახლში მეტი დროის გატარების შემდეგ მეუღლეების 12%-მა გადაინაწილა ოჯახის საქმიანობა.

როგორც კვლევებმა ანახა, საქართველოში ტექნოლოგიების გამოყენება და ინტერნეტის წვდომა ქალების და კაცების შემთხვევაში თითქმის თანაბარია, ახალ სამუშაო ჰიბრიდულ რეჟიმზე შენარჩუნება კი, სამომავლოდ დიდ დადებით პერსპექტივას იძლევა, რომ სწრაფი დიგიტალიზაციის შედეგად, რომელიც კოვიდმა შეუქცევადი გახადა, კაცების გვერდით ქალებისთვისაც შექმნის ახალ შესაძლებლობებს.

ტექნოლოგიური განვითარება, რომელიც პანდემიამ კიდევ უფრო დააჩქარა, შეგვიძლია თამამად დავასახელოთ გენდერული თანასწორობის მიღწევის ერთ-ერთ მექანიზმად.

საკვანძო სიტყვები: გენდერული თანასწორობა, კოვიდ პანდემია, ტექნოლოგიური განვითარება, ციფრული ტრანსფორმაცია, გენდერული როლები, დიגיტალიზაცია.

გენდერული როლების ცვლილება პანდემიის დროს

შესავალი

კორონა ვირუსი (COVID-19) ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ პანდემიად 2020 წლის 11 მარტს გამოაცხადა. რასაც მოჰყვა არაერთი შეზღუდვა და საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება მრავალ ქვეყანაში. [1]

შეიძლება ითქვას რომ კორონა ვირუსმა საკმაოდ კომპლექსური რეალობა შექმნა. მთლიანად შეცვალა მსოფლიო წესრიგი და სახელმწიფოები დააყენა ახალი გამოწვევის წინაშე.

მიზანშეწონილად მივიჩნე, რომ აუცილებელი იყო შემესწავლა ის გავლენა რაც კოვიდ-19-ის პანდემიამ იქონია ადამიანის განვითარებაზე, კერძოდ კი ქალების მდგომარეობაზე.

გენდერული როლები პანდემიის დროს

გაეროს მოსახლეობის ფონდის თანახმად, გლობალური ჯანდაცვისა და სოციალური სექტორის თითქმის 3/4 არის ქალი, მათ შორის ჯანდაცვის წინა ხაზზე მომუშავეები. ეს აშკარად ზრდის კოვიდ-19-ით უფრო მეტი ქალის დაინფიცირების რისკს, ამას ემატება ისიც, რომ მიწოდებული PPE აღჭურვილობის დიდი ნაწილი მამაკაცებისთვისაა განკუთვნილი. [2]

მაგრამ ინფექციის რისკი მხოლოდ აისბერგის მწვერვალია. იმ პრობლემების დიდი ჩამონათვალისა, რომელიც პანდემიამ ქალებს მოუტანა.

დასაქმებულ პირებს, რომლებსაც კარანტინის დროს არსებულმა შეზღუდვებმა ყველაზე მძიმე პრობლემები შეუქმნა, უმეტესწილად ქალები წარმოადგენენ. ეს სფეროებია ტურიზმი, სარესტორნე სექტორი, ზრუნვის სფეროში შემავალი საქმიანობები როგორებიცაა, აღმზრდელობა, მომვლელობა, დამლაგებლობა. ნეგატიური გავლენები, განსაკუთრებით მძიმედ დაბალი და

საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნებზე აისახა, სადაც სამსახურის მქონე ქალების დაახლოებით 70%, სწორედ ზემოთჩამოთვლილ სფეროებშია დასაქმებული.

ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობა გლობალურად იზრდება, რადგან კოვიდ-19 პანდემია აძლიერებს ეკონომიკურ და სოციალურ სტრესებს, ზოგიერთ ქვეყანაში ეს მაჩვენებლები 20-დან 40%-მდე გაიზარდა.[3] ანალოგიური მდგომარეობა საქართველოშიც ოჯახში ძალადობა 33%-ით გაიზარდა.[4] იმავდროულად, გადატვირთულმა სახლებმა, სოციალური კონტაქტის, გადაადგილებისა და სერვისებზე შეზღუდვებმა, გაართულა მოძალადე მეუღლესთან, პარტნიორთან გამკლავების შესაძლებლობები.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ოჯახში ძალადობის პრევენციისთვის მიზნით დანერგა ე.წ ჩუმი განგაშის აპლიკაცია.

ასევე აღსანიშნავია ელექტრონული სამაჯურები, შემაკავებელ ორდერთან ერთად, მოძალადეები ახლა შეიძლება აიძულონ ატარონ ელექტრონული სამაჯური, თუ არსებობს განმეორებითი ძალადობის რეალური რისკი.

თუმცა არსებობს ის დადებითი მხარეები, რაც პანდემიამ მოიტანა გენდერული როლების ცვლილებისათვის, კერძოდ კი კოვიდ-19 ვირუსმა დააჩქარა ციფრული ტრანსფორმაციის ტენდენციები მთელს მსოფლიოში, მიუხედავად იმისა, რომ პანდემიამ უარყოფითი გავლენა იქონია ბიზნესზე, მან ასევე გამოავლინა ახალი შესაძლებლობები ონლაინ სფეროში, სადაც კაცების გვერდით ქალებისთვისაც შეიქმნა ახალი შესაძლებლობები. რადგან, ევროპაში, კვლევების შედეგად სახლის საქმიანობა და გადაადგილების მანძილი არის ბარიერი ქალებისთვის, რომლებიც ეძებენ მაღალ თანამდებობებს, ამიტომ დისტანციური მუშაობა წყვეტს ამ დილემის დიდ ნაწილს.

ნაწილობრივი ან სრული ონლაინ მუშაობის პარამეტრების შენარჩუნება, როდესაც კომპანიები ნორმალურ რეჟიმში დაბრუნდებიან, უზრუნველყოფს სამუშაო საათების მეტ მოქნილობას და შესთავაზებს სამუშაო-ცხოვრების ბალანსს, რომელიც ქალებს სჭირდებათ საშინაო და პროფესიული როლების შესასრულებლად. როდესაც სადაზღვევო კომპანია ციურიხმა გამოაცხადა თავისი ვაკანსიები მოქნილი სამუშაო ვარიანტებით, მან დაინახა 20%-იანი ზრდა იმ ქალების რიცხვის, რომლებიც მენეჯმენტის ვაკანსიაზე შეიტანეს განაცხადი.[5]

ასევე, ჩემს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგადაც ნათლად დაფიქსირდა მოსაზრება, რომ ონლაინ რეჟიმში მუშაობა ბევრად ხელსაყრელია რესპოდენტებისთვის, დროის უფრო უკეთესი მენეჯმენტისთვის, თუმცა, აქვე 60,5% აღნიშნა, რომ მისი საოჯახო საქმიანობა პანდემიისას არ შეცვლილა. 12% აღნიშნა, რომ მეუღლემ გადაინაწილა საქმიანობა. ასევე, 25,6% თქვა, რომ პანდემიის პერიოდში მეტი დრო დარჩა ოჯახისათვის.

ტრადიციულად, საქართველოში ოჯახში ქალისა და მამაკაცის მოვალეობები პატრიარქალური შეხედულებებით რეგულირდებოდა, ოჯახის მოვლა მხოლოდ ქალის საქმედ ითვლებოდა. იმის დასადგენად შეიცვალა თუ არა მათი მოვალეობები დავსვით კითხვა - თქვენს ოჯახში ქალისა და მამაკაცის მოვალეობები თანაბრად არის გადანაწილებული? გამოკითხულთა 59.6% ფიქრობს, რომ თანაბრადაა გადანაწილებული, 31% აზრით - არა, ხოლო 8.9% მიიჩნევს, რომ ოჯახის საქმე ქალის მოვალეობაა. პასუხების ღრმა გაანალიზების შედეგად მივედით იმ დასკვნამდე, რომ ოჯახში ქალისა და მამაკაცის მოვალეობების გადანაწილების საკითხში ცვლილება, რადგან 59.6% უპასუხა რომ თანაბრადაა გადანაწილებული, მათ არ მიაჩნიათ ოჯახში მოვალეობების თანაბრად გადანაწილება მიუღებლად, რაც რამდენიმე წლის წინ არ აღინიშნებოდა, 31% ისევ მიიჩნევს, რომ არათანაბრადაა გადანაწილებული, ხოლო 8.9% მიიჩნევს რომ ქალის საქმეა, ეს შედეგი ტრადიციული შეხედულებების ასახვაა და ადასტურებს, რომ ძველი შეხედულებები ისევ შემორჩენილია, თუმცა გენდერული თანასწორობისაკენ დადებითი ტენდენცია იგრძნობა.

დასკვნა

პანდემიამ მოიწვია ყველა სფერო, განსაკუთრებით დიდი დარტყმა მიაყენა ეკონომიკას. ბევრი ადამიანი დატოვა უმუშევრი, მათ შორის კვლევის შედეგად დადგინდა, რომ პროცენტული უმრავლესობა მოდის ქალებზე. ამ ვირუსმა ერთის მხრივ, შეიწირა მრავალი სიცოცხლე, გაზარდა აგრესია, სტრესი. სტატისტიკურად გაიზარდა ოჯახში ძალადობის ფაქტები, როგორც მსოფლიოს მასშტაბით ისე საქართველოშიც. არსებულმა, პრობლემებმა მოითხოვა სწრაფი რეაგირება, რაც საკმაოდ რთული აღმოჩნდა კრიტიკურ პირობებში.

თუმცა, მეორეს მხრივ კრიზისმა დააჩქარა ციფრული ტრანსფორმაციის ტენდენციები მთელს მსოფლიოში, მიუხედავად იმისა, რომ პანდემიამ უარყოფითი გავლენა იქონია ბევრ ბიზნესზე, მან ასევე გამოავლინა ახალი შესაძლებლობები ონლაინ სფეროში. რამაც ადამიანების მუშაობის წესში გამოიწვია მკვეთრი ცვლილება.

როგორც კვლევებმა ანახა, პანდემიის პირობებში დისტანციური მუშაობის პრაქტიკამ, დადებითი შედეგი მოიტანა მომუშავე ქალებისათვის, ახალ სამუშაო ჰიბრიდულ რეჟიმზე შენარჩუნება კი, სამომავლოდ დიდ დადებით პერსპექტივას იძლევა, რომ სწრაფი დიგიტალიზაციის შედეგად, რომელიც კოვიდმა შეუქცევადი გახადა, კაცების გვერდით ქალებისთვისაც შექმნის ახალ შესაძლებლობებს,[6] რაც ძალაუვნებურად ხელს უწყობს გენდერული უთანასწორობის შემცირებას და ქალისა და მამაკაცის თანასწორობის იდეის ხორცშესხმას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Covid-19-ის წინააღმდეგ საქართველოს მთავრობის გატარებული ღონისძიებების ანგარიში, 2021
2. Collaboration from the Human Development Report Office and the Gender Team: Gender inequality and the COVID-19 crisis: A Human Development perspective, 2021
3. World Health Organization, COVID-19 and violence against women, 2020
4. United Nations Women: საქართველოში COVID-19-ით გამოწვეული სიტუაციის სწრაფი გენდერული შეფასება, თბილისი, 2020
5. Here's How the Pandemic Can Give Women More Opportunities in Digital Technology: <https://blogs.adb.org/blog/here-s-how-pandemic-can-give-women-more-opportunities-in-digital-technology> (გადამოწმებულია 05.03.2022)
6. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური: ქალი და კაცი საქართველოში, სტატისტიკური პუბლიკაცია, თბილისი, 2021

Changing gender roles during a pandemic

Resume

Covid-19 was recognized as a world pandemic by the World Health Organization. Virus on the one hand, claimed many lives, however, on the other hand the crisis accelerated the trends of digital transformation around the world. In the conditions of the pandemic, it became necessary to switch to digital delivery of services by a large part of the state structure as well as by organizations. While the pandemic has had a negative impact on many businesses, it has also identified new opportunities in the online field. Which led to a drastic change in the way people worked.

In Europe, studies show that housework and distance are a barrier for women looking for senior positions, so remote work solves much of this dilemma. The resources needed to empower women, flexibility in the workplace, and training for the future can lead to positive change.

A study by me is similar to the results of an EU study, found that the practice of remote work in pandemic conditions had a positive effect on working women, leaving them more time for family activities and children so that their service was not endangered. In the survey, the available data can also suggest that positive changes towards gender equality were observed, with 12% of spouses surveying family activities after spending more time at home.

Studies have shown that in Georgia, the use of technology and Internet access are almost equal for men and women, and maintaining a new working hybrid mode offers great prospects for the future, with rapid digitalization that Covid-19 has made irreversible, creating new opportunities for women alongside men.

Technological development, which has accelerated the pandemic even further, can be boldly named as one of the mechanisms for achieving gender equality.

აბსტრაქტი

სტატიაში რეტროსპექტულ ჭრილში გაანალიზებულია ქართველი ქალის მისია ქვეყნის მშვიდობიანი პოლიტიკის წარმართვის საქმეში. ყურადღება გამახვილებულია ქართველი დედის განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და ღვაწლზე ქართულ მენტალიტეტში. სამეცნიერო კვლევები ადასტურებენ ქალის, როგორც მშვიდობიანი თანაცხოვრების წარმართვის ხელშემწყობის, გარონტორის, შემთანხმებლის როლს, რომელიც მიმართულია კონსენსუსისა და კომპრომისის დამყარებისაკენ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათი ჩართულობა კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესში. საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე ქართველი ქალი საუკუნეების განმავლობაში ასრულებდა მედიატორულ ფუნქციებს სხვადასხვა ეთნოსის, რელიგიის წარმომადგენელთა თუ სახელმწიფოებს შორის. საყოველთაოდ ცნობილია ქართველი ქალის სულიერი სიმტკიცე და ქრისტიანობისათვის თავდადება, მათ შემუშავებული ჰქონდათ მშვიდობიანი თანაარსებობისა და ურთიერთპატივისცემის ეფექტური და რეალურად მოქნილი პოლიტიკური სტრატეგიები. ნაშრომში მრავალი მაგალითია წარმოდგენილი ქართველი ქალების მონაწილეობაზე დიპლომატიური მოლაპარაკებების დროს, რომლებმაც დაანახეს მსოფლიოს ქართველი ქალის სიძლიერე წარსულსა თუ უახლესი ისტორიაში. მშვიდობიანი პოლიტიკის განმახორციელებელი ქალების პოლიტიკური და ცხოვრებისეული მაგალითები იმ ნიჰილიზმის გაქარწყლებას უწყობს ხელს, რომლებიც საქართველოში ეთნოკონფლიქტების შემდგომად ჩამოყალიბებული.

საკვანძო სიტყვები: ქალი, კონფლიქტი, ქალების დიპლომატია, აფხაზეთი

მშვიდობიანი პოლიტიკა, დიპლომატია და ქალები

შესავალი

XX საუკუნის 90-იანი წლებიდან საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა, მხედველობაში გვაქვს სამოქალაქო დაპირისპირება, ეთნოკონფლიქტები, ღრმა კვალი დატოვა საზოგადოების მენტალიტეტსა და ყოფაზე. საქართველოს მოწყდა მისი

ძირძველი ისტორიული ტერიტორიები აფხაზეთი და შიდა ქართლი. განსაკუთრებით დაზარალდა დევნილი მოსახლეობა, რომელიც დღემდე დიდ მორალურ და სოციალურ ტკივილს განიცდის. კრიტიკულ მომენტებში დიდ დარტყმას ოჯახის დედა, ქალი იღებს, მას უდიდესი ტვირთვის ზიდვა უწევს დევნილობაში. ამასთანავე იგი არის ოჯახისათვის არამართო იმედისმიმცემი, არამედ უკეთესი მომავლის შემქმნელი, აქტიური მებრძოლი შერიგებისა და დაპირისპირებულ მხარესთან ნდობის აღმდგენი. საქართველოს ისტორიაში განუზომლად დიდია ქალის როლი მშვიდობის მშენებლობის პროცესში, მათ არაერთი ომის აცილება, კონფლიქტის ტრანსფორმაცია და მშვიდობის დამყარება შეძლეს. ჩვენი სამშობლოს ისტორიაში ოქროს ასოებითაა ჩაწერილი თავდადებული ქალების, დედოფლების, რელიგიური მრწამსის დამცველი მანდილოსნების სახელები.

ქალი მშვიდობის მშენებელი, ისტორიული ექსკურსი

XX საუკუნის 90-იან წლებში განვითარებულმა მოვლენებმა მსოფლიო წესრიგის ახლებური მოდელი მოითხოვა და ბევრ ქვეყანას სამომავლო პროექტებისა და გეგმების გადასინჯვის აუცილებლობა დაუსახა მიზნად. დაიშალა საბჭოთა კავშირი, წარმოიქმნა ახალი საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა. სამწუხაროდ, მესამე ძალის ჩარევით გაჩაღდა ეთნოკონფლიქტი, საქართველოს ჩამოშორდა აფხაზეთი.

დღეისათვის ქართულ-აფხაზეთი კონფლიქტი „გაყინული კონფლიქტების“ რიგს მიეკუთვნება, ჩიხშია შესული ფორმალური მოლაპარაკებები, ქართულ-აფხაზეთი საზოგადოებები გაყოფილია, აუცილებელი ხდება დიალოგისთვის ალტერნატიული გზების ძიება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება სახალხო დიპლომატიის გამოყენება, სადაც ქალთა მონაწილეობა და აქტიურობა მათი ბუნებიდან გამომდინარე შეუცვლელია. მშვიდობის მშენებლობის პროცესში ქალთა ჩართულობა ქმნის საფუძველს საერთო თანამშრომლობისა და ინტერ-ეთნიკური დიალოგისთვის.[1. 87]

ისტორიას ახსოვს ქალები, რომლებმაც შეცვალეს მსოფლიო და სამყარო გახადეს უფრო უკეთესი, ვიდრე იყო. ლეგენდები, ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, ქართული და უცხოური ისტორიული წყაროები გადმოგვცემენ, რომ საქართველოში ქალს განსაკუთრებული ადგილი, ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული,

განსაკუთრებული იყო ქალისადმი პატივისცემაც. [2.3] ჭკვიანი და სათნო ქალი ამოყვრებდა, ამეგობრებდა და არიგებდა გადამტერებულ ადამიანებს, ზოგჯერ სახელმწიფოებსაც, ის იყო სიყვარულის, ერთობისა და მეგობრობის სიმბოლო.

„ქართლის ცხოვრება“ გადმოგვცემს, რომ მეფე ფარსმან ქველის შვილიშვილის სრულწლოვანებამდე მეფობდა ფარსმანის ცოლი ღ ა დ ა ნ ა (ეს ის ფარსმანია, რომის იმპერია რომ გააოცა თავისი ვაჟკაცობით, მშვენიერებით და სიჩაუქით და პატივის ნიშნად ძეგლი დაუდგეს რომაელებმა მარსის მოედანზე.) მეუღლის გარდაცვალების შემდეგ იბერიას დროებით მართავდა ს ა გ დ უ ხ ტ ი-დედა ვახტანგ გორგასლისა.[2.4]

პირველი დიპლომატი ქალის სახელი, რომელიც ისტორიულმა წყაროებმა შემოგვინახეს იყო საქართველოს მეფის ბაგრატ IV დედა მარიამი. საქართველოსა და ბიზანტიას შორის ურთიერთობა დაიძაბა, მოსალოდნელი იყო მისი კიდევ უფრო გაღრმავება, 1030 წელს მარიამი ბიზანტიაში გაემგზავრა დიპლომატიური მისიით. გონიერი დიდებული მანდილოსნის ელჩობამ შედეგი გამოიღობიზანტიის იმერატორმა რომანოზ III არიგიუსმა მარიამს ყველა სათხოვარი აღუსრულა მისცა ერთობისა და სიყვარულის ფიცი, ბაგრატს კურაპალატის ტიტული უბოძა და ურთიერთობების შემდგომი გამყარების მიზნით თავისი ძმისწული ელენეც გამოაყოლა სარძლოდ.[2.5]

ქართველი ქალის მაღალი მდგომარეობა, მისი როლი ისტორიაში, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, კარგად ჩანს უამრავ ისტორიულ-მხატვრულ ძეგლში, რომლის გვირგვინია უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“, ამ გენიალურმა ნაწარმოებმა სულ სხვა თვალთ დაანახა პატრიარქალურ სამყაროს ქალის როლი და ძალა ქვეყნის მართვის თუ ადამიანური ურთიერთობების დარეგულირების საქმეში. საქართველოში თაობები აღიზარდა „ვეფხისტყაოსნზე“, რომელიც მე-12 საუკუნის შედეგია, მისი საყოველთაოდ ცნობილი აფორიზმი „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდაც ხვადია“, სქეთა შორის თანასწორობის იდეის არსებობის დამამტკიცებელია. უაღრესად მნიშვნელოვანია შემდეგი ტაეპი პოემიდან „თუცა ქალია ხელმწიფედ, მართ ღმრთისგან დანაზადია“. აღსანიშნავია, რომ ქალთა უფებებისათვის მეზრძოლი მერი უონსტონკრაფტის თეორია ეფუძნება

რელიგიურ ფაქტორს ქალისა და მამაკაცის თანასწორობის საკითხთან დაკავშირებით.

საამაყო, რომ მაშინ როდესაც ევროპაში „კუდიანებზე ნადირობდნენ“, ქალებს ინკვიზიცია კოცონზე წვადა, საქართველოს საჭეთმპყრობელმა მეფემ გიორგი III -ემ, ტახტზე თავისი ქალიშვილი თამარი აიყვანა, რაც უდავოდ მეტყველების ქართული საზოგადოების განვითარების მაღალ საფეხურზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ქალის გამეფების აზრიც კი არ წარმოიშობოდა, არათუ მისი განხორციელება. თამარ მეფემ თავისი გონიერებით, შორსმჭვრეტელობით, მებრძოლი სულითა და დიპლომატიურობის წყალობით გააძლიერა და გააფართოვა საქართველო, მადლიერმა ერმა და ეკლესიამ იგი წმინდანად შერაცხა.

ქართველ ქალებზე აღფრთოვანებულები წერდნენ: ესქილე, ქსენოფონტე, სტრაბონი, პიეტრო დელა - ვალე, ვაგიფი, ვიქტორ ჰიუგო, ალექსანდრე დიუმა, ბარონი ტორნაუ, ალ.პუშკინი და სხვები. უდიდესი იყო ქალის ინტელექტუალური პოტენციალი, რაზედაც ყურადღებას ამახვილებს ცნობილი იტალიური მისიონერი არქანჯელო ლამბერტი.[3.9] იგი ოსმალეთის მიერ განადგურებული საქართველოს მდგომარეობის აღწერისას აღნიშნავდა: „ქართული წერა კითხვა სულ განადგურებული იქნებოდა, რომ ქალებს არ შეენახათ იგი. თუ ვისმეს უნდა წერა კითხვა შეისწავლოს, უნდა რომელიმე ქალს მიეხაროს. იქ სადაც დამპყრობელთა ძალადობისა და ისლამის გავლენის წყალობით ვაჟებში ქრებოდა ქართულის ცოდნა და იფერფლებოდა ქართველობის გრძნობაც კი, ეროვნულ თვითშეგნებას ქართულ ენასა და მწიგნობრობასთან ერთად ინახავდნენ ქალები.“

ქართველი ქალის დამსახურებას, პატივისცემასა და დიდი როლს საქართველოს საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში ადასტურებს თეთრი მანდილის ჩაგდების ტრადიცია, რომელიც ქართულ ეროვნულ ცეკვაში დღემდეა შენარჩუნებული. ხშირად ქალის ავტორიტეტი, სახელი, სიბრძნე, კლდედამოსილება გადაუწყვეტელ საკითხს წყვეტდა, მაშინ როდესაც მამაკაცების შესაძლებლობა უძლური იყო. [1.45]

ქვეყნისთვის უმძიმეს წუთებშიც ქართველი დედები, დები, მეუღლეები დიპლომატიურ მოღვაწეობას ეწეოდნენ. ისტორიამ შემოგვინახა დიდებული დიპლომატი ქალბატონების სახელები კრავაი ჯაყელი და ხვაშაქ ცოქალი.[2.4]

სიბრძნით აღმატებულმა თამარმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო როცა აჯანყებულ თავადებთან ეს ორი ქალბატონი გაგზავნა. შედეგმაც არ დააყოვნა და თავადები დაშოშმინდნენ. გონიერმა ქალბატონებმა დაარწმუნეს აჯანყებულები, რომ ქვეყნის შიგნით დაპირისპირება მხოლოდ გარეშე მტრის წისქვილზე ასხამდა წყალს. გამჭრიახი მანდილოსნების ღვაწლმა შედეგი გამოიღო, ამბოხებულებმა იარაღი დაყარეს, თამარს შენდობა სთხოვეს. უცხოურმა წერილობითმა წყაროებმა შემოგვინახეს საოცარი ისტორია ქართველი დიპლომატი ქალისა რომლის აქტიური მონაწილეობით 1612 წელს ოსმალეთსა და ირანს შორის ზავი დაიდო, ამ ქალბატონის, ქართველი გულჩარას შესახებ ცნობებს გვაწვდიან აღმოსავლელი და ევროპელი სწავლულები.

ქალისადმი დისკრიმინაციული დამოკიდებულება ანტიკური პერიოდიდან იღებს სათავეს. საქართველოში დედის კულტი იყო, რასაც ქართულ ენა ადასტურებს, მაგალითად დედაბოძი, დედასამშობლო, დედა ენა, ადგილის დედა და სხვა, [2.3] ქალი კი დაბალი სოციალური სტატუსით სარგებლობდა. თანამედროვე მსოფლიოში ნებისმიერი კონფლიქტის თუ დაპირისპირების მოგვარება პირველ რიგში სახელმწიფოებს შორის დიპლომატიური გზით არის შესაძლებელი, სისხლისღვრის გარეშე, მაგრამ როდესაც ყველა რესურსი ამოიწურება მაშინ კონფლიქტი, ომი გარდაუვალი ხდება. გახანგრძლივებული, ან გაყინული კონფლიქტების დროს, როდესაც ურთიერთობები ჩიხშია შესული სახალხო დიპლომატია ერთ-ერთი ალტერმატივაა, სადაც ქალთა უნარები და შესაძლებლობები შეუცვლელია. დღეს ქალები ასოცირდებიან მშვიდობასთან, ხოლო მათი ცხოვრება და ღირებულებები დაკავშირებულია სიცოცხლის დაცვასთან, დიალოგთან, შერიგებასთან, მოლაპარაკებებთან, კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებასთან.

„ჩვენი ცივილიზაცია და კოსმოსური სისტემა ქალის გონიერებაზე დიდ იმედს ამყარებს, რადგან ქალებს შეუძლიათ რაციონალურად აზროვნება და მთელი პასუხისმგებლობით ეკიდებიან რიგ საკითხებს, სწორედ ამიტომ ჩვენ გვაქვს უკეთესი მომავლის იმედი.“ ეს სიტყვები ეკუთვნის იტალიელ ფილოსოფოსს და ფსიქოლოგს ანტონიო მენეგატის, რომელიც სამყაროს სიკეთეებს ქალთა არსებობასა და მათ სხარტ აზროვნებას უკავშირებს. მავანს შესაძლოა

გადაჭარბებულად მოეჩვენოს, ლიდერი ქალის როლი, მაგრამ თანამედროვე სამყაროში მრავალი ქალი ლიდერია ცნობილი, რომელთაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს არამარტო თავიანთი სახელმწიფოს კეთილდღეობაზე, არამედ გლობალურ პოლიტიკაზე, მაგალითად ინდირა განდი, მარგარეტ ტეტჩერი, ანგელა მერკელი.

პირველი ქალი, რომელმაც 1960 წელს პრემიერ მინისტრის პოსტი დაიკავა იყო შრილანკელი სირიმავო ბანდარანაიკე და მისი მმართველობის პერიოდი მნიშვნელოვანი და თამამი სოციალ-ეკონომიკური რეფორმებით გამოჩნდა. პირველი პრეზიდენტი ქალი გახდათ ესტელა მარტინეს დე პერონი, რომელმაც 1974 წლის არგენტინის საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა. მისმა გამარჯვებამ მრავალ ქალს გაუკვალა გზა პოლიტიკისაკენ და დღესდღეობით ქალებს თანამედროვე ქვეყნების სახელმწიფო აპარატებში 10%-ზე მეტი უჭირავთ. აღსანიშნავია, რომ 2018 წლიდან საქართველოს ქალი პრეზიდენტი, გამოცდილი დიპლომატი, სალომე ზურაბიშვილი ჰყავს, იგი რიგით მე-5 პრეზიდენტია და 6 წლით არის არჩეული.

მაინც რა არის ის მთავარი, რასაც პოლიტიკოსი ქალისგან ელის საზოგადოება. პოლიტიკაში ქალთა მოღვაწეობის შესახებ არსებობს თეორია, რომლის თანახმად, პოლიტიკაში გამოყოფენ განსაკუთრებულ, ქალურ სტილს რომელსაც ადამიანებისა და სოციალური საკითხების მიმართ განსაკუთრებული ყურადღება ახასიათებს. იგი მშვიდობის მოყვარეობით გამოირჩევა, ვინაიდან ქალები არ არიან მიდრეკილნი ძალის გამოყენებით, ომებითა და კონფლიქტებით გადაჭრან პრობლემები. თუმცა, მიმაჩნია, რომ პოლიტიკური მართვის სტილი ადამიანის სქესზე კი არა ფსიქოლოგიურ ტიპზეა დამოკიდებული, რადგან არსებობენ მშვიდობის მოყვარე მამაკაცები და მეზომოლი ქალები. ამის მაგალითს თავად ისტორია გვაძლევს. უკანასკნელი ათწლეულების ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი პოლიტიკოსი ქალი მარგარეტ ტეტჩერი ატარებდა მამაკაცურ პოლიტიკურ ხაზს, ე.წ. „ტეტჩერიზმის“ პოლიტიკას, რისთვისაც მას ეწოდა „რკინის ლედი.“ მეორეს მხრივ არიან ქალი პოლიტიკოსები, რომლებიც ახორციელებენ მშვიდობიან პოლიტიკას, არიან გაწონასწორებულები, ფრთხილები, ძალიან გამოცდილები და ინტერესს სოციალური საკითხების მიმართ ამახვილებენ, ესაა

მთავარი მიზეზი იმისა, რომ ამომრჩევლები ნდობით უყურებენ პოლიტიკოს ქალბატონებს.

ქართულ-აფხაზური კონფლიქტი და სახალხო დიპლომატია

მინდა ყურადღება გავამახვილო ქართულ-აფხაზური კონფლიქტზე. სამეცნიერო კვლევები ადასტურებენ ქალის, როგორც მშვიდობიანი თანაცხოვრების წარმართვის ხელშემწყობის, გარონტორის, შემთანხმებლის როლს, რომელიც მიმართულია კონსენსუსისა და კომპრომისის დამყარებისაკენ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათი ჩართულობა კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესში. მშვიდობის მშენებლობის პროცესში ქალების ჩართულობაზე, არაოფიციალური მოლაპარაკებებისა და სახალხო დიპლომატიის ფარგლებში, ჩიხში შესული ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების პირობებში დიალოგისთვის მნიშვნელოვან როლს თამაშობს ალტერნატიული გზები, მათ შორის ქალთა დიპლომატია. მაგდა ლორენა კარდენასს შემოაქვს „ქალები-ქალების დიპლომატიის“ ცნება, რომლის საშუალებითაც იგი ცდილობს წარმოაჩინოს ის ყოვლისმომცველი როლი, რომელსაც ქალები თამაშობენ კონფლიქტის გადაწყვეტისა და მშვიდობის მშენებლობის პროცესში.[4.]

ქალების დიპლომატია წარმოადგენს მშვიდობის მშენებლობის ალტერნატიულ სტრატეგიას, რომელიც უპირისპირდება კონფლიქტის ნარატივებს და ქმნის ახალ სივრცეს დიალოგისა და თანამშრომლობისათვის. ქალებს საშუალება ეძლევათ ერთმანეთს გაუზიარონ კონფლიქტით გამოწვეული გამოცდილებები. სამშვიდობო პროცესებში ქალების ჩართულობის ზრდა მეტწილად დაკავშირებულია ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიურ შრომასთან, რომელთაც ძალზე დიდი წვლილი მიუძღვნით სახალხო დიპლომატიასა და პოსტ-კონფლიქტური მშვიდობის მშენებლობის პროცესებში. უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციები ამყარებენ პირდაპირ კავშირებს კონფლიქტის შედეგად სხვადასხვა მხარეს დარჩენილ ქალებს შორის, საუბრობენ ერთმანეთის განცდებსა და საფრთხეებზე, აშენებენ ნდობას და ამგვარად მიიკვლევენ ხანგრძლივ გზას მშვიდობიანი და სტაბილური მომავლისაკენ. [4] არაერთი მტკიცებულებით დასტურდება, რომ ქალების

მონაწილეობა არსებითია და მათი ჩართულობით მიღებული სამშვიდობო შთანხმებები უფრო მეტად მდგრადია.

ყოველივე აქედან გამომდინარე, შემთხვევითი არ არის, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია #1325 მტკიცე აქცენტს აკეთებს ქალების გაზრდილ მონაწილეობაზე მშვიდობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ქალები, რომლებიც კონფლიქტის დროს განიცდიან დისკრიმინაციასა და ადამიანის უფლებების დარღვევას, მშვიდობის პერიოდში აქტიურად მონაწილეობენ არსებული სიტუაციების შეცვლაში. თუმცა ისინი იშვიათად იკავებენ ადგილს სამშვიდობო მოლაპარაკებების მაგიდასთან. მიუხედავად იმისა, რომ მათ გააჩნიათ ღირებული პერსპექტივები კონფლიქტების მიმდინარეობის, მათი გადაწყვეტისა და რეკონსტრუქციის ფაზების თაობაზე. არაერთი ფაქტით არის დადასტურებული, რომ სამშვიდობო მოლაპარაკებებში მამაკაცები დომინირებენ, რაც ეფუძნება დაშვებას, რომ მხოლოდ მამაკაცი მეომრები შეძლებენ იმ ომის დასრულებას, რომელიც მათ წამოიწყეს.[5]

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შედეგად იძულებით გადაადგილებულმა ქალებმა მამაკაცებისაგან განსხვავებით უკიდურესად მძიმე ეკონომიკური პირობების შემთხვევაშიც კი ადვილად შეძლეს ახალ გარემოში ადაპტირება. ქალებს აქვთ მნიშვნელოვანი, საქმიანი და ნდობაზე დამყარებული კონტაქტები აფხაზურ მხარესთან, ჩატარებული აქვთ მნიშვნელოვანი კვლევები და განახორციელეს მნიშვნელოვანი პროექტები ნდობის აღდგენის მიმართულებით. მშვიდობის მშენებლობის პროცესში ქალების მნიშვნელოვან მიღწევებს განეკუთვნება მათ მიერ ინიცირებული უამრავი ტრენინგი, სხვადასხვა ტიპის საუბრები და დისკუსიები მშვიდობის მშენებლობის, კონფლიქტების დეესკალაციისა და დასრულების თემაზე.

მშვიდობის პოლიტიკის აქტიური კურსის გამტარებელი და აღნიშვნის ღირსია, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, აფხაზეთის შრომის, ჯანმთელობისა და სოციალური დაცვის ექს-მინისტრი, ღირსების ორდენის კავალერი, მსოფლიო მშვიდობის ელჩი 2010 წლიდან გალიდან დევნილი დალილა ხორავა.

ცალკე აღვნიშვნის ღირსია ის ახალგაზრდა ქალბატონები, რომლებიც აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე განაგრძობენ პროფესიულ საქმიანობას

და ამით ოჯახის რჩენასთან ერთად მათი საქმიანობა მოიცავს დიპლომატიურ მხარესაც. ერთ-ერთი მათგანია გალის რაიონ სოფელ საბერიოში მომუშავე სამი შვილის დედა, ექიმი თერაპევტი, თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის დოქტორანტი, ბერტა ფონ ზუტნერის მშვიდობის პრემიის ლაურეატი, ხათუნა გარგულია.

დასკვნა

ნაშრომში გაანალიზებულია ქალების როლის რეტროსპექტულ ჭრილში, ხაზგასმულია ქალის პოტენციური მშვიდობის მშენებლობის პროცესში, მისი უნარები და მიღწევები კონფლიქტის დარეგულირების პროცესში. ამასთანავე წარმოჩენილია იმ დევნილი ქალბატონების როლი და აქტიური მუშაობა შერიგების პროცესში, რომლებიც მართალია კონფლიქტის მსხვერპლები არიან, მაგრამ ამასთანავე რეური ცვლილებების პირველი აგენტები.

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქალები სიტუაციის ცვლილებების კვალდაკვალ იცვლიან თავიანთ სოციალურ როლებს, ისინი პირველები არიან მშვიდობის მშენებლობისა და შერიგების საქმეში. ამდენად მათი აქტივობა სახალხო დიპლომატიაში დიდად წაადგება მშვიდობიანი გზით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საქმეს. ქალები ასოცირდებიან მშვიდობასთან, მათი მსოფლმხედველობა და ღირებულებები დაკავშირებულია სიცოცხლის დაცვასთან, დიალოგთან, შერიგებასთან, მოლაპარაკებებთან, კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებასთან.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ავტორთა კოლექტივი, სამეცნიერო ჟურნალი „კონფლიქტი, გენდერი მშვიდობის მშენებლობა“, თბ. 2003წ.
2. ნ. ხაზარაზე, „ქალი და მწიგნობრობა საქართველოში“, ჟურნალი „გენდერული პრობლემატიკა საქართველოში“, თბ. 2003წ.
3. კ. მაჩაბელი, „ქართველი ქალის ისტორიული როლი“, ჟურნალი „გენდერული პრობლემატიკა საქართველოში“, თბ. 2003წ.
4. მ. მჭედლიშვილი „ქალების როლი მშვიდობის მშენებლობის პროცესში ქართულ-ავხაზური კონფლიქტის მაგალითზე.“ თბ. 2019; <https://womensvoice.tsu.ge/in>
5. რეზოლუცია #1325 (2000) <https://georgia.unwomen.org/ka/digita>

Nato Todua

PHD Student of GTU

Peaceful politics, diplomacy and women

Resume:

It is clear that the problem of women's political activism has been largely defined in the past and now by the process of democratization that is taking place both in Georgia and around the world. The modern world today comes to the conclusion that not only men but also women are important figures in establishing peace, and their lives and values are linked to life protection, reconciliation, negotiation, peaceful resolution of conflicts. Today, women make up half of the planet's population, and the most realistic way of tackle global poverty in the future is to create a healthier gender climate that requires concerted action, including state policy, legislation, education, to raise public awareness.

აბსტრაქტი

ადამიანის განვითარების ყველა ეტაპი თვისებრივად ცვლის მას, თუმცა ბავშვობა არის ყველაზე დიდი ტრანსფორმაციის პერიოდი, საიდანაც იღებს სათავეს თითოეული ინდივიდის უნიკალურობა. ადამიანის მრავალ მახასიათებლებთან ერთად გენდერული იდენტობის ფორმირებაც ბავშვობის პერიოდიდან იწყება. „გენდერული იდენტობა განიხილება როგორც პიროვნების ქალად ან კაცად ყოფნის განცდა, თვითიდენტიფიკაცია, მაგრამ ეს არ არის სქესობრივი კუთვნილება, როგორც ხშირად ჰგონიათ ხოლმე.“ ბავშვი იბადება კონკრეტული ბიოლოგიური სქესით, რომელიც მშობლების მიერ გადაცემული გენებით არის განპირობებული, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბავშვს დედის მუცლიდანვე დაჰყვება გენდერული იდენტობის შეგრძნება. ცნება გენდერი ეხება იმას, რაც მოცემულ კულტურაში ქალის და მამაკაცის ცნების შინაარსის განმსაზღვრავი როლების, მოქმედებებისა და სხვა მახასიათებლების გამაერთიანებელ სქესობრივ კუთვნილებასთან ასოცირდება. აღსანიშნავია, რომ ძირითად შემთხვევაში ადამიანის ბიოლოგიური სქესი ემთხვევა ხოლმე გენდერულ იდენტობას. გენდერული იდენტობის ფორმირება და განვითარება წლების განმავლობაში ხდება, ადამიანის გენდერული როლი და მასთან დაკავშირებული გენდერული ქცევები უკვე სკოლამდელი ასაკის ბავშვებთან იწყებს გამოვლენას.

ფსიქოლოგიაში ცნობილია, რომ სკოლამდელი ასაკის ბავშვისთვის წამყვანი ქცევა არის თამაში თუ განვიხილავთ სკოლამდელ ასაკში ბავშვების თამაშს, აშკარად დავინახავთ ამ თამაშების შინაარსში გენდერული სტერეოტიპისთვის დამახასიათებელ სპეციფიურ თავისებურებას, რაც ადამიანის შემდგომი განვითარების პროცესზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. მკვლევარები ამტკიცებენ, რომ ბავშვის საკუთარ სქესთან დაკავშირებული წარმოდგენების სისტემის ანუ გენდერული სქემების განვითარება განსაზღვრავს რელევანტური

ქცევის მოდელების და წესების ათვისების პროცესს. იმის გაცნობიერება, რომ ადამიანები იყოფიან ბიჭებად ან გოგონებად უკვე ადრეული ასაკის ბავშვობიდან იწყება, საინტერესოა როგორ ხვდებიან ბავშვები გენდერულ განსხვავებას, რა სხვაობაა მამაკაცებსა და ქალებს შორის, რას ფიქრობენ და რა ქცევებს ავლენენ ამ დროს. ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს მრავალი კვლევა, რომელთა განხილვაც შესაძლებლობას მოგვცემს აღმოვაჩინოთ საინტერესო მონაცემები სკოლამდელი ასაკის ბავშვებთან გენდერული როლებისა და სტერეოტიპების არსებობის შესახებ.

საკვანძო სიტყვები: გენდერული როლი, გენდერული სტერეოტიპები, ბავშვი, განათლება, ბავშვები.

გენდერული სტერეოტიპები სკოლამდელი ასაკის ბავშვებთან

შესავალი

ბავშვების განვითარება პირველ ეტაპზე იწყება იმ მიკროსოციუმში რომელსაც ოჯახი სთავაზობს, ხოლო შემდეგ ნელ-ნელა, როდესაც მისი მაკროსოციუმში გასვლა ხდება განვითარება გრძელდება კონკრეტული კულტურისთვის დამახასიათებელ გენდერული სპეციფიკური სოციალური და ქცევითი ნორმის ფარგლებში. თუმცა ბავშვები ჯერ კიდევ მანამდე, სანამ გენდერული როლების შეთვისებას დაიწყებენ უკვე ძალიან პატარა ასაკში ავლენენ კონკრეტული გენდერული სტერეოტიპებისთვის დამახასიათებელ ნიშნებს. რომელსაც დროთა განმავლობაში ემატება კონკრეტული გენდერული როლები და ამ როლთან დაკავშირებული შესაბამისი ქცევები თუ დამოკიდებულებები. უკვე სკოლამდელ ასაკში ვლინდება გარკვეული გენდერული სტერეოტიპები, რომლებიც შემდგომ გავლენას ახდენენ ადამიანის მთელ ცხოვრებაზე.

გენდერული ასპექტი საკოლამდელ პერიოდში

მანამდე, სანამ გენდერულ როლებთან დაკავშირებული სტერეოტიპები ჩამოყალიბდება უკვე წლინახევრის ასაკში შეიმჩნევა გარკვეული განსხვავებები გენდერული ნიშნის მიხედვით, ბიჭებსა და გოგონებზე ჩატარებული დაკვირვების შედეგებმა უჩვენა, რომ უკვე 18 თვის ასაკში ისინი განსხვავებულ სათამაშოებს ანიჭებენ უპირატესობას. გოგონები მეტ ხანს უყურებდნენ ფოტოებზე გამოსახულ

თოჯინებს, მაშინ როცა ბიჭები უფრო დიდხანს აჩერებდნენ მზერას მანქანებზე. [1, 697-699]

ორი წლის ასაკიდან ბავშვები ადამიანების სქესის მიხედვით დაყოფას იწყებენ ქალების ან კაცების კატეგორიებად, იციან რომ დედა-გოგოა, მამა-ბიჭი. ხვდებიან, რომ არსებობს ფიზიკური განსხვავება ბიჭებსა და გოგონებს შორის და საკუთარ თავსაც მოიხსენიებენ შესაბამისი ტერმინით. შემდეგ იწყება ამ კატეგორიებთან დაკავშირებული გენდერული როლის მიხედვით მოქმედებების დალაგება. ასევე

ორი წლის ასაკიდან იწყებენ ბავშვები გენდერული სტანდარტების ათვისებას რაც პირდაპირ ჩანს იმ თამაშებში, რომლებსაც ამ ასაკის ბავშვები ანიჭებენ უპირატესობას.

მაგალითად ის, რომ გოგონები უფრო ხშირად თამაშობენ თოჯინებით, რომლებსაც საჭმელს უმზადებენ, ხოლო ბიჭები უპირატესობას ხმაურიან თამაშებს ანიჭებენ როგორცაა მანქანებით ან თოფებით თამაში. უკვე ოთხი წლის ასაკისთვის ბავშვებთან გენდერული იდენტობის სტაბილური გრძნობის ჩამოყალიბება ხდება. ცხოვრების ამ პერიოდის განმავლობაში ბავშვები სწავლობენ გენდერული როლის შესაბამის ქცევას, ანუ „როგორ იქცევიან ბიჭები“ ან „როგორ იქცევიან გოგონები.“[3,1-2]

„გენდერული როლები არის კულტურული გავლენის ქვეშ მყოფი სტერეოტიპები, რომლებიც ქმნიან მოლოდინს მამაკაცებისა და ქალების შესაბამისი ქცევისთვის“.[4,15-17], ხოლო გენდერულ როლთან მიმართებაში სხვადასხვა კულტურაში არსებობს კონკრეტული გენდერული ქცევა და თავისებურება, ამ ქცევებს სხვადასხვა ქვეყნის კულტურა კონკრეტულ სქესთან აკავშირებს. ამ როლების გაგება უკვე სკოლამდელი ასაკის ბავშვობის პერიოდიდან იწყება. მაგალითად ერთ-ერთი ექსპერიმენტისას, როცა ბავშვებს ეუბნებოდნენ რომ „ტომი არის ბიჭი რომელსაც ახლო მეგობარი ჰყავს გოგონა და უყვარს სახლობანას თამაში“, ბავშვები ამბობდნენ რომ ტომი სახლობანას თამაშისას ითამაშებდა მანქანებით .

ამ ასაკის ბავშვებს მყარად სჯერათ, რომ ზოგიერთი სათამაშო ბიჭებისთვისაა (მაგალითად ტრაქტორი) ზოგი კი გოგონებისთვის (საკერავი მანქანა), ზოგი პროფესია გოგოსია (მასწავლებელი), ზოგი კი - ბიჭის (ჯარისკაცი). [1, 691-694]

ბავშვებთან სქესის მუდმივობის განცდა დაახლოებით ხუთი ექვსი წლის ასაკიდან ფორმირდება, მანამდე ადამიანის სქესი მათ აღქმაში მჭიდროდ უკავშირდება ისეთ ატრიბუტებს როგორცაა ჩაცმულობა, პროფესია, ვარცხნილობა და ა.შ. სკოლამდელი ასაკის ბავშვებს მიაჩნიათ, რომ გარეგნული ნიშნების შეცვლით შესაძლებელია სქესი შეიცვალოს. რაც შეეხება ამ ასაკში გენდერულ სტერეოტიპებს მრავალი ექსპერიმენტით და კვლევის მიხედვით აღმოჩნდა, რომ სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის დამახასიათებელია **მკაცრი გენდერული სტერეოტიპებით აღქმა და ახასიათებთ ცალმხრივი მსჯელობები**. ოთხი წლის ასაკში ბავშვებმა „ზუსტად იციან“

რომელია ბიჭების შესაფერი სათამაშო, ისევე როგორც რომელია გოგოს ტანსაცმელი და რომელი ბიჭის მათ მეტყველებაში ხშირად გაიგონებთ „ასე აცვიათ ბიჭებს , ასე კი - გოგონებს“. [2,127-129]

ამ ასაკის ბავშვების დამოკიდებულება კარგად ჩანს ერთ-ერთ ექსპერიმენტში, როდესაც როდესაც ბავშვებს უჩვენებდნენ შოტლანდიელ მამაკაცს, კილტით , ფოტოს დანახვისას ბავშვები ხაზგასმით აღნიშნავდნენ რომ „კაცს კაბა არ შეიძლება ეცვას.“ [5,109-114] ეს ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ სკოლამდელი ასაკის ბავშვთა უმეტესობა ვერ აცნობიერებს რომ მახასიათებლები, რომლებიც ასოცირდება სქესთან (სახელი, სათამაშოები, ტანსაცმელი, თმის ვარცხნილობა და ა.შ), ის არ განსაზღვრავს ადამიანის სქესთან მიკუთვნებულობას, რომ მიუხედავად გარეგნული განსხვავებისა შესაძლოა მათ ბევრი რამ საერთო ჰქონდეთ. ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ პროცესში მშობლების ჩართულობას, რათა ადრეული ბავშვობიდან გააცნობიეროს რომ კონკრეტული აქტივობები, ინტერესები და უნარები არ უკავშირდება სქესს და გენდერული როლი ამით არ განისაზღვრება.[6] მსგავსი დამოკიდებულება შექმნის საკუთარი პოტენციალის მეტი გამოვლენის შესაძლებლობას. კვლევები ადასტურებს რომ სკოლამდელ ასაკში როდესაც ბავშვებს ასწავლიან რომ გარკვეული თვისებები ან აქტივობები

მათთვის მიზანშეწონილია ან შეუსაბამოა, რადგან ის გოგო ან ბიჭია შედეგობში ისინი მთელი ცხოვრება ამ გავლენის ქვეშ შეიძლება მოექცნენ. [7]

გენდერული სტერეოტიპების ფორმირებაზე მრავალ სხვა ფაქტორთან (საზოგადოებრივი თუ კოგნიტური) ერთად დიდ გავლენას ახდენს ოჯახი. მშობლები შვილებისთვის შერჩეული აქტივობებით, თუ სათამაშოებით პირდაპირ ახდენენ გავლენას მათ გენდერულ როლზე, რაც ქმნის და აყალიბებს ამ როლთან დაკავშირებით კონკრეტულ მოლოდინებს. მაგალითად, „გოგონებს, რომლებსაც ეცნობათ, რომ ბიჭები ბუნებით უკეთესები არიან მათემატიკაში, ვიდრე მათ, შეუძლიათ განაცხადონ, რომ მათ არ მოსწონთ მათემატიკა და უარი თქვან ამ საგნის მიმართ ინტერესზე. მათ შეიძლება გააგრძელონ სჯერათ, რომ არ არიან კარგად ამ აკადემიურ საგანში და ცუდად ასრულებენ მათემატიკის ტესტებსა და საშინაო დავალებებს.“ [2,133-137]

ბავშვები ასევე სწავლობენ მიზანძვით, ამიტომ იმ ოჯახებში, სადაც მშობლები მკაცრი გენდერული სტერეოტიპული როლებით ცხოვრობენ, ოჯახებში, სადაც ფერიდან დაწყებული ჩაცმულობით დამთავრებული სტერეოტიპებით შემოიფარგლებიან, ბავშვებიც იღებენ მსგავს სქემებს, რაც ბავშვის განვითარების არეალს მნიშვნელოვნად ავიწროებს და ამიტომ დიდი როლი ეკისრება მსგავს საკითხებთან დაკავშირებით მშობლების ცნობიერების ამაღლებას.[8]

დასკვნა

ზოგადად გენდერულ როლთა სტერეოტიპიზაცია ადრეულ ბავშვობაში იწყება და ამ სტერეოტიპების შექმნაში დიდი წვლილი მიუძღვის იმ მიკროსოციუმს სადაც სიცოცხლის პირველ წლებს ატარებს ბავშვი და ამის შემდეგ კი ნელ-ნელა იწყებს მაკროსოციუმში არსებული დამოკიდებულებები გავლენას, როგორ კულტურასა და სოციუმშიც გრძელდება ბავშვის განვითარება. ამიტომ სკოლამდელ ასაკში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მკაცრი გენდერული სტერეოტიპების ფორმირების პრევენციის მიზნით მშობლების დამოკიდებულებები და ქცევის მოდელები. კვლევებით დადასტურებულია, რომ მშობლების ანდროგენული მოდელები ბავშვის ქცევებს ნაკლებად სტერეოტიპულს ხდის, ისევე როგორც სათამაშოები, რომელთა შერჩევაც გენდერული ნიშნით არ ხდება. თამაშების არჩევანის შესაძლებლობები ბევრად ცვლის გენდერულ

სტერეოტიპებს ბავშვებთან. მშობლების მოლოდინების ცვლილება, სადაც არ იქნება მკაცრად გამიჯნული „რას უნდა საქმიანებდეს გოგო და რას ბიჭი“ ცვლის აგრეთვე იმ სტერეოტიპულ დამოკიდებულებებს რაც დღემდე არსებობდა. დღევანდელი საზოგადოება დროთა განმავლობაში მიხვდა და გააცნობიერა, რომ „მამაკაცი“ და „ქალური“ აქტივობებისა და ქცევების სტერეოტიპები არაპროდუქტულია და ზღუდავს ბავშვის განვითარებას, შესაბამისად შერბილდა და დაახლოვდა ის საზღვრები, რომელიც ასე მკაცრად მიჯნავდა ერთმანეთისგან ქალებსა და მამაკაცებს. მსგავსი სტერეოტიპების თავიდან აცილების ერთ-ერთ გზად კი სწორედ მშობლების მხრიდან სკოლამდელი ასაკის ბავშვებთან ჩარჩოების გაფართოება და მათთვის მრავალფეროვანი ალტერნატივებისა თუ გამოცდილების მიღების შესაძლებლობები იქცა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბერკი ლ „ბავშვის ფსიქოლოგია“, გამომცემლობა „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი“., 2010
2. ვულფოლკი ა. „განათლების ფსიქოლოგია.“ გამომცემლობა „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი“., 2009
3. თ.ჩხაიძე „გენდერული იდენტობა“., ელ ჟურნალი „საზოგადოებრივი მეცნიერებები“., 2012; <http://education.ge/index.php?do=definition/view&id=1547> (საიტი ხელმისაწვდომია 10.02.2022 წლის მონაცემებით)
4. Aina, O. E., & Cameron, P. A. (2011). Why does gender matter? Counteracting stereotypes with young children. *Dimensions of Early Childhood*, 39(3)
5. Brannon L., „Gender Psychological Perspectives“., Published 2017 by „Rouledge“ seventh edition.,
6. Jason R., Gender Identity Development in Children <https://www.healthychildren.org/English/ages-stages/gradeschool/Pages/Gender-Identity-and-Gender-Confusion-In-Children.aspx>
7. Owen B.E., Sheri A. B., Lynn S. L „Gender Development“ 2009. Published April 27, 2015 by Psychology Press;
8. Patterns of Gender Development Annual Review of Psychology 2010

Keywords: Gender role, Gender stereotypes

Eka Ninoshvili

PHD Student of GTU

Ender stereotypes with children of preschool age

Summary

Every stage of human development qualitatively changes it, although childhood is the period of the greatest transformation, from which originates the uniqueness of each individual. Along with many human characteristics, the formation of gender identity also begins in childhood. Gender identity is seen as the feeling of a person being a woman or a man, self-identification, but it is not sexuality, as is often thought. The baby is born with a specific biological sex, which is determined by the genes passed down by the parents, although this does not mean that the baby will have a sense of gender identity from the mother's womb.

"The concept of gender refers to what is associated with the unifying sexuality of the roles, actions, and other characteristics that define the content of a woman and a man in a given culture." It should be noted that in the main case, the biological sex of a person often coincides with a gender identity. The formation and development of gender identity takes place over the years, the gender role of a person and the related gender behaviors are already beginning to manifest in preschool children.

As we know the leading behavior for a preschooler is play. If we look at preschool children play, we will clearly see this

A specific feature of the gender stereotype in the content of the games. Which has a significant impact on the further development of man. Researchers argue that "the development of a child's own gender perception system or gender patterns determines the process of assimilating relevant behavioral patterns and rules."² Realizing that people are divided into boys or girls from an early age, it is interesting to see how children perceive the gender difference, what the difference is between men and women, what they think and what behaviors they display at this time. There are numerous studies on this topic that will allow us to find interesting data on the existence of general roles and stereotypes in

preschool children. As we know the leading behavior for a preschooler is play. If we look at preschool children play, we will clearly see this

A specific feature of the gender stereotype in the content of the games. Which has a significant impact on the further development of man

Researchers argue that "the development of a child's own gender perception system, or gender scheme, determines the process of assimilating relevant behavioral patterns and rules."

Realizing that people are divided into boys or girls from an early age, it is interesting to see how children perceive the gender difference, what the difference is between men and women, what they think and what behaviors they display at this time.

There are numerous studies on this topic that will allow us to find interesting data on the existence of general roles and stereotypes in preschool children.

თამარ ბაგრატია

საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

ქალთა მონაწილეობა არჩევნებში მნიშვნელოვანია პოლიტიკური პროცესის ლეგიტიმაციის, ფორმირებული სახელისუფლებო ორგანოების მიმართ ნდობისა და ქალთა პოლიტიკური უფლებების რეალიზაციის კუთხით. მეცნიერთა ინტერესის საგანს წარმოადგენს აბსენტიზმი - აქტიური საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქეების გულგრილი დამოკიდებულება სხვადასხვა დონის არჩევნების, რეფერენდუმებისა და პლემბისციტების მიმართ, ვინაიდან ასეთი კვლევები პოლიტიკოსებს, პოლიტიკურ პარტიებს, მათი ინტერესების მხარდამჭერ ჯგუფებს თუ საზოგადოებას აწვდის ინფორმაციას, რომელსაც საინფორმაციო, პროგნოზისტული, პროპაგანდისტული თუ შემეცნებითი ფუნქცია შეიძლება გააჩნდეს.

საკვანძო სიტყვები: ქალი, არჩევნები, გენდერული თანასწორობა, აბსენტიზმი, პოლიტიკა

აბსენტიზმის გენდერული ასპექტები

(საარჩევნო პროცესი, გენდერი, აბსენტიზმი, პოლიტიკური მონაწილეობა, ელექტორალური ქცევა)

შესავალი

არჩევნები სახელმწიფოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მოქალაქეთა პოლიტიკური მონაწილეობის ყველაზე მასშტაბური ფორმაა. ქალთა მონაწილეობა არჩევნებში მნიშვნელოვანია პოლიტიკური პროცესის ლეგიტიმაციის, ფორმირებული სახელისუფლებო ორგანოების მიმართ ნდობისა და ქალთა პოლიტიკური უფლებების რეალიზაციის კუთხით.

ქალების, როგორც განსხვავებული სოციო-დემოგრაფიული ჯგუფის ელექტორალური ქცევა მრავალი კვლევის ობიექტი ხდება. მათ შორის მეცნიერთა ინტერესის საგანს წარმოადგენს აბსენტიზმი - აქტიური საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქეების გულგრილი დამოკიდებულება სხვადასხვა დონის

არჩევნების, რეფერენდუმებისა და პლემბისციტების მიმართ, ვინაიდან ასეთი კვლევები პოლიტიკოსებს, პოლიტიკურ პარტიებს, მათი ინტერესების მხარდამჭერ ჯგუფებს თუ საზოგადოებას აწვდის ინფორმაციას, რომელსაც საინფორმაციო, პროგნოზისტული, პროპაგანდისტული თუ შემეცნებითი ფუნქცია შეიძლება გააჩნდეს.

IDEA-ს (დემოკრატიისა და საარჩევნო მხარდაჭერის საერთაშორისო ინსტიტუტი) კვლევის მიხედვით, რომლის ფარგლებშიც შეჯერდა 58 ქვეყნის მონაცემი, საერთო ჯამში ქალთა აქტივობა 2%-ით ჩამორჩება კაცთა აქტივობას, თუმცა ქვეყნების მიხედვით, ფიქსირდება განსხვავებული სხვაობები შუა აღმოსავლეთის, აზიისა და ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებში. თანაბარია ავსტრალიასა და არგენტინაში. ქალები უფრო მეტად აქტიურები არიან რუსეთში, ბელორუსსა და ახალ ზელანდიაში.⁹

ევროპარლამენტის არჩევნები ასევე ნათლად ავლენს ამომრჩეველთა გენდერულ სხვაობებს ქვეყნების მიხედვით, 2019 წელს 28 ქვეყანაში გამართულ არჩევნებში საერთო აქტივობამ 50.62% შეადგინა (42% -2014) ქალი ამომრჩევლების 49% და კაცი ამომრჩევლების 52% მივიდა არჩევნებზე. ქალების აქტივობა 8%-ით, ხოლო კაცების აქტივობა 7%-ით გაიზარდა.¹⁰

ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქალთა ელექტორალური ქცევა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პრეზიდენტის არჩევნების შედეგებზე, თუ 1972 და 1976 წლებში არ ფიქსირდებოდა არსებითი სხვაობა ქალ და კაც ამომრჩევლების მხარდაჭერას შორის, ბოლო ცხრა საპრეზიდენტო არჩევნებში ქალები დემოკრატი კანდიდატებისკენ იხრებიან. 2012 წელს ამ სხვაობამ დემოკრატების სასარგებლოდ 10%, ხოლო 2016 წელს კი 11% შეადგინა. დონალდ ტრამპს არჩევნებში კაცების 10%-ით მეტმა დაუჭირა მხარი, მაშინ როდესაც ქალების 13%-ით მეტმა ჰილარი კლინტონს მისცა ხმა.

აშშ-ში ჩამოყალიბდა მოსაზრება იმის შესახებ, რომ როცა ქალები არჩევნებში აქტიურები არიან, ეს ნიშნავს რომ არჩევნებს დემოკრატები იგებენ *When women vote, Democrats win.*¹¹ ყველაზე მეტი ხმა ქალ კანდიდატებს შორის ჰილარი კლინტონმა

⁹ მონაცემი წარმოადგენს სექსობრივ კრილში სხვაობას იმ ქალ და კაც რესპონდენტებს შორის, რომლებმაც კითხვაზე - მონაწილეობთ თუ არა ეროვნულ არჩევნებში, უპასუხეს, რომ ყოველთვის მონაწილეობენ არჩევნებში

¹⁰ <https://euobserver.com/eu-election/143867>

¹¹ S. Wildmanh, „How the Other Half Votes”, The American Prospect, 2004.

მიიღო 2016 წელს - 65 853 516), ხოლო 2020 წლის არჩევნებში ქალების 14%-ით მეტმა მისცა ხმა კანდიდატ ჯო ბაიდენს.¹²

ანალიტიკოსები საფრანგეთის არჩევნების ისტორიიდან ქალ ამომრჩეველთა შესახებ, 1965 წლის საპრეზიდენტო არჩევნებს სამაგალითოდ თვლიან. არჩევნების მეორე ტურში შარლ დე გოლის ამომრჩეველთა 61% ქალებმა შეადგინეს. „რომ არა ქალი ამომრჩეველების ჩართულობა, მე დავამარცხებდი 1965 წელს გენერალ დე გოლს და 1974 წელს ჟისკარ-დ'ესტენს“ ამბობს ფრანსუა მიტერანი 1981 წელს ქალ ამომრჩეველებთან შეხვედრისას.¹³ შარლ დე გოლი და მისი ვაჟი ფილიპი აცხადებდნენ, რომ ყოველთვის სუფრაჟისტების მხარეს იყვნენ და სჯეროდათ, რომ ქალებს შეეძლოთ საზოგადოების სტაბილიზაციაში მნიშვნელოვანი მონაწილეობა მიეღოთ. შარლ დე გოლს კარგად ესმოდა, რომ ქალი ამომრჩეველების საშუალებით ის დაბალანსებდა რადიკალურ ძალებს და ქალები მის პარტიას დაუჭერდნენ მხარს. მან სწორი გათვლა გააკეთა, რაც 1965 წლის არჩევნების შედეგებმა ნათლად დაგვანახა, მიტერანის მხარდამჭერთა შორის პირველ ტურში ქალებმა 13% შეადგინეს, დე გოლის მხარდამჭერთა შორის - 34%. არჩევნების მეორე ტურში კი ქალთა ხმების 61% შარლ დე გოლმა და 39% ფრანსუა მიტერანმა მოიპოვეს.

ამომრჩეველთა ელექტორალური ქცევის გენდერული სხვაობები დიდ ბრიტანეთში დიდი ხანია ფიქსირდება - ქალები უფრო მეტად კონსერვატორებს აძლევდნენ ხმას, ხოლო კაცები - ლეიბორისტებს. თუმცა 2015 წლისა და 2017 წლის არჩევნებს თუ გავანალიზებთ, ელექტორალური ქცევა იცვლება - კაცები კონსერვატორებისაკენ იხრებიან, ხოლო ქალები - ლეიბორისტებისკენ, ამ ცვლილებების მიზეზი ახალგაზრდა ქალების ელექტორალური ქცევის თავისებურებებია. აღსანიშნავია, რომ დიდი ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლის შესახებ რეფერენდუმშიც განსხვავდებოდა მოქალაქეთა ქცევა, ევროკავშირში დარჩენის მომხრეებს შორის უფრო მეტი ქალები იყვნენ, აღსანიშნავია, რომ აქაც გამოვლინდა სქესობრივ-ასაკობრივი დიფერენცირება.¹⁴

ეს ფაქტები კარგად მოწმობს, რომ ქალების, რომლებიც უმთავრესად ელექტორატის უმრავლესობას შეადგენენ, მონაწილეობა მნიშვნელოვანია როგორც

¹² <https://morningconsult.com/2020/10/07/women-voters-poll-presidential-election/>

¹³ A. G. Mazur, "Gender Bias and the State: Symbolic Reform at Work in Fifth Republic France", 1996.

¹⁴ Ipsos, "How Britain voted in the 2016 EU Referendum", September, 2016.

პოლიტიკური უფლებების რეალიზაციის კუთხით, ასევე მათმა აქტიურობამ შესაძლოა არჩევნებზე შედეგებზე გადამწყვეტი გავლენა შეიძლება მოახდინოს.

აბსენტეიზმი გენდერულ ჭრილში : საქართველო

საქართველოში ქალები, 2021 წლის მონაცემებით,¹⁵ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 53.6%-ს შეადგენენ. შესაბამისად, ამ ჯგუფის მონაწილეობას დიდი როლი ენიჭება საარჩევნო პროცესის ლეგიტიმაციის და ხელისუფლების ფორმირების პროცესში.

საქართველოში ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ამომრჩეველთა შესახებ სტატისტიკური მონაცემების სეგრეგაცია სქესის ნიშნით 2014 წლიდან დაიწყო. ცესკოს მონაცემთა ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ არჩევნებში მონაწილე ქალთა და კაცთა აბსოლუტური რაოდენობა მცირედი სხვაობით მერყეობს ქალთა სასარგებლოდ. თუმცა, აქტივობის შეფარდებითი რაოდენობის მიხედვით, კაცი ამომრჩეველები უფრო აქტიურად მონაწილეობენ არჩევნებში. (ცხრ.1)

ცხრ.1. ამომრჩეველთა აქტივობა გენდერულ ჭრილში (2014-2021)

	2014	2016	2017	2018	2020	2021
არჩევნების ტიპი	ადგილობრივი თვითმმართველობის	პარლამენტის	ადგილობრივი თვითმმართველობის	პრეზიდენტის	პარლამენტის	ადგილობრივი თვითმმართველობის
კაცი	46.2	46.24	46.24	46.29	46.4	46.41
ამომრჩეველის რაოდენობა						
ქალი	53.8	53.76	53.76	53.71	53.6	53.59
ამომრჩეველის რაოდენობა						
სხვაობა	7.6	7.52	7.52	7.42	7.2	7.18
აქტივობა	43.3	51.9	45.8	46.8	56.11	51.92
კაცთა აქტივობა	46.7	54.9	49.1	49.5	61.4	55.3
კაცი ამომრჩეველის საერთო რაოდენობიდან						

¹⁵ ამომრჩეველთა აქტივობის შესახებ ყველა სტატისტიკური ინფორმაცია მოპოვებულია ვებგვერდიდან: <https://genderstatistics.cec.gov.ge>

ქალთა აქტივობა ქალი ამომრჩევლის საერთო რაოდენობიდან	40.4	49.3	43.03	44.4	52.07	49.45
სხვაობა	-6.25	-5.6	-6.07	-5.1	-9.33	-5.85
კაცთა აქტივობა არჩევნებში მონაწილეთაგან	49.8	48.9	49.55	49	50.52	49.2
ქალთა აქტივობა არჩევნებში მონაწილეთაგან	50.2	51.1	50.45	51	49.48	50.8
სხვაობა	0.4	2.2	0.9	2	-1.04	1.6

თუ ცხრილში მოყვანილ მონაცემებს გავანალიზებთ, შემდეგი სურათი იკვეთება:

- ქალი ამომრჩევლები საშუალოდ 7%-ით აჭარბებენ კაც ამომრჩეველთა რაოდენობას;
- ქალთა აქტივობა ამომრჩეველთა საერთო რაოდენობიდან მერყეობს 49.5%-დან 51.1%-მდე. მაგ. 2020 წელს არჩევნებში საერთო ჯამში 1%-ით მეტმა კაცმა მიიღო მონაწილეობა, (2014 წლიდან ეს არჩევნები ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც რაოდენობრივად მეტი კაცი მივიდა არჩევნებზე) ხოლო 2016 წელს 2.2%-ით მეტმა ქალმა მიიღო მონაწილეობა და სხვაობის მაქსიმუმი ფიქსირდება.
- რაც შეეხება ქალთა აქტივობას უშუალოდ ქალი ამომრჩევლების კონტიგენტიდან, სხვაობა 2014 წლიდან 2021 წლამდე 5%-დან 9%-მდე მერყეობს კაცების სასარგებლოდ, ყველაზე მაღალი ეს სხვაობა იყო 2020 წელს, ხოლო ყველაზე დაბალი - 2018 წელს.
- საშუალოდ არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღო 1003104 ქალმა ამომრჩეველი (6 არჩევნებში არგამოცხადებული ქალი ამომრჩევლების რაოდენობის საშუალო მაჩვენებელი - იხ.ცხ.2)

ცხრილი 2. ქალთა რაოდენობა, რომელიც არ გამოცხადდა არჩევნებზე

	2014	2016	2017	2018	2020	2021
არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღო (ქალი)	1 112 603	946 698	1 052 433	1 032 770	947 376	926 743

თუ ცესკოს მონაცემებს 2017-2018 წლებში გამართული არჩევნების შედეგების შესახებ თვითმმართველი ერთეულების მიხედვით გავაანალიზებთ (იხ. დანართი 1.) და ქალი ამომრჩევლის აქტივობას მუნიციპალიტეტების მიხედვით შევისწავლით, იკვეთება, რომ რამდენიმე მუნიციპალიტეტში სხვაობა საკმაოდ მაღალია და ქალთა აქტიური საარჩევნო უფლებების რეალიზაციის მნიშვნელოვან პრობლემებზე მიუთითებს.

ეს სხვაობა განსაკუთრებით მაღალია ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში (განსაკუთრებით აზერბაიჯანელებით დასახლებულ მუნიციპალიტეტებში) (მაგ. ლაგოდეხი, საგარეჯო, ბოლნისი, დმანისი, მარნეული) აგრეთვე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც მუსლიმი ქართველები ცხოვრობენ. (ხელვაჩაური, ხულო, შუახევი)

დიდ ქალაქებში, განსაკუთრებით, თბილისში მცხოვრები ქალი ამომრჩევლის მაღალი აქტიურობა ფიქსირდება. (მაგ, 2017-2018 წლებში თბილისში 12-13%-ით მეტი იყო ქალთა აქტივობა, ხოლო რუსთავში სხვაობა 10-12% დაფიქსირდა)

როდესაც აბსენტიზმის გენდერულ ასპექტზე ვსაუბრობთ, ასევე გასათვალისწინებელია ის მნიშვნელოვანი გარემოება, ემიგრანტთა შორის 45.4% კაცია, ხოლო 54.6% - ქალი. ქალების დიდი ნაწილი ერთიან საარჩევნო სიებში ირიცხებიან, მაგრამ ისინი საზღვარგარეთ იმყოფებიან და შესაძლოა, არაერთ მუნიციპალიტეტში მათი დაბალი აქტივობის მონაცემები სწორედ ამ ფაქტორითაც იყოს განპირობებული. ემიგრანტები ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში არ მონაწილეობენ, ხოლო საზღვარგარეთ გახსნილ საარჩევნო უბნებში საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში მათი მონაწილეობა ძალიან

დაბალია. მაგ. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში დარეგისტრირდა მხოლოდ 14170 ამომრჩეველი. მონაილეობა მიიღო 12247-მა ამომრჩეველმა (მათ შორის 58%-მა ქალმა) აღწერის შედეგების მიხედვით, 2002 წლიდან 2014 მდე ემიგრანტთა რაოდენობამ 1 145 712 შეადგინა.¹⁶ მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მათგანი მიმღები ქვეყნის მოქალაქე გახდა, ასევე ემიგრანტთა შორის იქნებიან ასაკობრივად საარჩევნო უფლების არმქონე პირები, არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა მინიმალურია. შესაბამისად, ემიგრანტი ქალები, რომელიც არ მონაწილეობს არჩევნებში სხვადასხვა მიზეზის გამო, შესაძლოა ზოგადად ქალთა დაბალი აქტივობის გამომწვევი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყოს.

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ რომ საქართველოში ქალთა შეფარდებითი აქტივობა საშუალოდ ჩამორჩება კაცთა აქტივობას, თუმცა აბსოლუტური რაოდენობით, არჩევნებში მეტი ქალი მონაწილეობს, ელექტორატში ქალთა რაოდენობის მეტობის გამო. ზოგიერთ მუნიციპალიტეტში აქტივობებს შორის სხვაობა საკმაოდ მაღალია. როგორც მონაცემები აჩვენებს, ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებულ საარჩევნო ოლქებში, ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ცალკეულ ოლქებში. ქალთა აქტივობა მაღალია დიდ ქალაქებში, განსაკუთრებით კი ქალაქ თბილისსა და რუსთავში არჩევნების ტიპების მიხედვით აქტივობის მნიშვნელოვანი გენდერული განსხვავება არ ფიქსირდება. სხვადასხვა ფაქტორებთან ერთად ქალთა დაბალი აქტივობა ასევე შეიძლება განპირობებული იყოს იმ ფაქტორით, რომ ემიგრანტთა შორის ქალები ჭარბობენ, ხოლო ემიგრანტთა მონაწილეობა არჩევნებში მინიმალურია. შესაბამისად, მათი ჩართულობა საარჩევნო პროცესში ქალთა აქტივობის მაჩვენებელს გაზრდიდა, საერთო ჯამში, 2014 წლიდან 2021 წლამდე ჩატარებულ არჩევნებში საშუალოდ ყოველ არჩევნებში 1 000 000 ქალი არღებულობდა მონაწილეობას.

ქალთა საარჩევნო პროცესში აქტიურობის გასაზრდელად მნიშვნელოვანია, შემცირდეს მათი გაუცხოება პოლიტიკური პროცესების მიმართ და ქალებმა

¹⁶ რაღფ ჰაკერტი, მოსახლეობის დინამიკა საქართველოში 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებზე დაფუძნებული მიმოხილვა, 2017 წ. თბილისი.

საარჩევნო პროცესში მონაწილეობა აღიქვან ცვლილებების და კეთილდღეობის მნიშვნელოვან ინსტრუმენტად. დღეს არსებული გაუთვინობიერებული (გულგრილი დამოკიდებულება ზოგადად ყველანაირი პოლიტიკური პროცესის მიმართ) და გაუთვინობიერებელი (გაუცხოება პოლიტიკური პროცესების მიმართ) აბსენტიზმი დემოკრატიულ პროცესს აზიანებს, ვინაიდან აბსენტიზმის მაღალი დონე ნიშნავს: პოლიტიკური სისტემის არასტაბილურობას; სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ მოქალაქეთა ნდობის დაბალ დონეს; პოლიტიკური ხელისუფლების ლეგიტიმურობის შემცირებას; პოლიტიკური კონკურენციის დაბალ დონეს და ნიჰილიზმს პოლიტიკური პროცესების მიმართ.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორებისა, ასევე მნიშვნელოვანია იმ ბარიერების მინიმალიზება, რომლებიც ქალთა აქტიურ მონაწილეობას უშლის ხელს - საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპები და სამოქალაქო განათლებისა და ზოგადად ინფორმირებულობის დაბალი დონე, რაც მოქალაქეთა საარჩევნო პროცესში ჩართულობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. აქვე ხაზი უნდა გავუსვათ პოლიტიკური პარტიების მნიშვნელოვან როლს მათი პოტენციური მხარდამჭერებისა და მომხრეების კონსოლიდაციის კუთხით, რადგან პოლიტიკურ პარტიებს, როგორც საარჩევნო პროცესის უმთავრეს მოთამაშეებს, პოლიტიკური პროცესის ლეგიტიმაციის პროცესში მნიშვნელოვანი როლი ენიჭებათ.

სხვაობა ქალ და კაც ამომრჩეველთა აქტივობებს შორის (აქტივობა აღებული იმავი სქესის ამომრჩეველთა საერთო რაოდენობიდან და შეჯამებულია თვითმმართველი ერთეულების მიხედვით - 2017-2018 წ.)

	2017	2018		2017	2018
თბილისი	12.30	13.34	ცაგერი	-0.31	-2.86
საგარეჯო	-8.23	-12.45	ლენტეხი	2.32	1.90
გურჯაანი	0.06	0.04	მესტია	-6.84	-2.02
სიღნაღი	1.55	3.84	ხარაგაული	-0.41	-3.42
დედოფლისწყარო	0.65	0.08	თერჯოლა	-4.50	-3.90
ლაგოდეხი	-8.87	-6.65	საჩხერე	3.75	1.92
ყვარელი	-3.48	-1.40	ზესტაფონი	-4.52	-3.18
თელავი	-0.36	-0.08	ბაღდათი	-4.97	-2.59
ახმეტა	-1.38	-6.19	ვანი	-4.97	-7.04
თიანეთი	-6.85	-6.42	სამტრედია	9.73	22.43
რუსთავი	9.66	11.56	ხონი	0.58	-0.77
გარდაბანი	-9.01	-9.84	ჭიათურა	-0.91	-0.34
მარნეული	-18.79	-25.56	ტყიბული	1.18	4.82
ბოლნისი	-10.85	-14.71	წყალტუბო	-4.36	-5.28
დმანისი	-6.81	-9.67	ქუთაისი	9.54	8.98
წალკა	1.79	1.81	ოზურგეთი	-1.22	-2.95
თეთრიწყარო	-6.43	-2.84	ლანჩხუთი	-4.39	-3.55
მცხეთა	-7.91	-3.63	ჩოხატაური	-5.44	-3.84
დუშეთი	-3.84	-3.46	აბაშა	-1.85	-4.27
ყაზბეგი	-9.98	-5.98	სენაკი	1.37	0.85
კასპი	-6.55	-5.05	მარტვილი	-5.80	-2.78
გორი	-4.04	-1.06	ხობი	-5.94	-4.18
ქარელი	-8.77	-7.83	ზუგდიდი	-6.40	-6.37
ხაშური	-5.26	-2.46	წალენჯიხა	-7.07	-3.21
ბორჯომი	-0.51	-1.45	ჩხოროწყუ	-5.49	-6.96
ახალციხე	2.07	1.68	ფოთი	1.47	2.71
ადიგენი	-3.48	-7.73	ბათუმი	-0.89	2.13

ასპინძა	-1.69	-2.28	ქედა	-11.19	-8.39
ახალქალაქი	1.48	9.97	ქობულეთი	-11.74	-7.92
ნინოწმინდა	6.72	6.39	შუახევი	-5.20	-9.49
ონი	2.36	5.33	ხელვაჩაური	-20.59	-18.87
ამბროლაური	0.82	3.16	ხულო	-7.24	-9.29

დანართი 1.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. რაღვ ჰაკერტი, მოსახლეობის დინამიკა საქართველოში 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებზე დაფუძნებული მიმოხილვა, 2017 წ. თბილისი.
2. G. Mazur, “Gender Bias and the State: Symbolic Reform at Work in Fifth Republic France”, 1996.
3. S. Wildmanh, „How the Other Half Votes”, The American Prospect, 2004.
1. ვებ-გვერდი: <https://euobserver.com/eu-election/143867>
2. ვებ-გვერდი: <https://genderstatistics.cec.gov.ge>
3. ვებ-გვერდი <https://www.ipsos.com/en-uk/how-britain-voted-2016-eu-referendum>
4. ვებ-გვერდი: <https://morningconsult.com/2020/10/07/women-voters-poll-presidential-election/>

Tamar Bagratia

Georgian Technical University

PHD Student

Gender Aspects of Absenteeism

RESUME

(Electoral process, gender, absenteeism, political participation, electoral behavior)

Elections are a major and most consequential political participation of people in the county’s social and political life. Women’s participation in elections is significant for legitimizing the process and exercising the political rights of women.

The participation of women, as a different socio-demographic group, has become the object of many studies, as such studies provide politicians, political parties, groups supporting their interests or the public with the information that can be used for educational or promotional purposes or for making predictions.

The Central Election Commission of Georgia started to disaggregate the statistical data about the voters by gender starting in 2014. Women make up 53.6% of the total voters in Georgia and thus participation of this group is of great importance.

Based on the data analysis we can conclude that the total number of women and men participating in the elections varies slightly in favor of women. Though, in terms of activeness, compared with women, men more actively participate in elections. For instance, 49.45% of female voters and 55.3% of male voters participated in 2021 local self-governance elections. However, women, who participated in the elections, accounted for 55.3% and that of men accounted for 49.2% in the total number of the voters in the above elections.

This paper analyzes absenteeism in all types of elections that were held from 2014, as well as regional peculiarities of absenteeism. The paper also discusses several historical examples when female voters played a decisive role in the election outcomes.

მარიამ უგულავა
საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

საუკუნეების მანძილზე ქალთა პოლიტიკური ჩართულობის საკითხი შეიცვალა და ახლა საინტერესოა განვიხილოთ რა მდგომარეობაა დღეს. აღნიშნული საკითხი არამხოლოდ საქართველოსთვისაა გამოწვევა, არამედ მსოფლიოს ერთ-ერთ მოწინავე პრობლემას წარმოადგენს, რადგან ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობა პირდაპირ კავშირშია გენდერულ თანასწორობასთან, ქალების როლის აღქმასთან საზოგადოებაში.

ქალების გენდერული როლიდან გამომდინარე, პოლიტიკაში მათ უკეთ შეუძლიათ ქალებისთვის მგრძობიარე საკითხებზე საუბარი, როგორცაა განათლების მიღება, ადრეული ქორწინების თუ ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა შეახებ, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების საკითხები და ბევრი მრავალი თემა, რაზეც ქალბატონებს უკეთ შეუძლიათ პოზიციის ჩამოყალიბება სწორედ მათი სქესის გამო. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კი თუ ეს საკითხები საპარლამენტო დონეზე განიხილება და შესაბამისი ზომები იქნება მიღებული საკანონმდებლო ბაზის გაძლიერების კუთხით, მეტი ქალი პოლიტიკაში მეტი სიმშვიდის და წესრიგის მომტანი იქნება ქვეყნისთვის.

საკვანძო სიტყვები: პოლიტიკა, ქალი, გენდერული კვოტირება, ადრეული ქორწინება

ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობა საქართველოში

შესავალი

საქართველოში, ხშირად, ვამაყობთ ხოლმე ძლიერი ქალი მოღვაწეებით. მუდმივად პირზე გვაკერია შუა საუკუნეების ძლევა მოსილი მონარქის - თამარის სახელი. თუმცა საუკუნეების მანძილზე ქალთა პოლიტიკური ჩართულობის საკითხი

შეიცვალა და ახლა საინტერესოა განვიხილოთ რა მდგომარეობაა დღეს. სტატია თავისი შინაარსით საკმაოდ აქტუალური და საინტერესოა. აღნიშნული საკითხი არამხოლოდ საქართველოსთვისაა გამოწვევა, არამედ მსოფლიოს ერთ-ერთ მოწინავე პრობლემას წარმოადგენს, რადგან ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობა პირდაპირ კავშირშია გენდერულ თანასწორობასთან, ქალების როლის აღქმასთან საზოგადოებაში. თემის მიმდინარეობისას გამოკვლეული იქნება ისეთი საინტერესო საკითხები როგორცაა, ისტორიულად უაღრესად მნიშვნელოვანი ქალი მოღვაწეების როლი, შემდგომ საქართველოსთვის უმძიმესი 90-იანი წლების მაჩვენებელი და ბოლოს დღეს არსებული მდგომარეობა. კვლევის საგანია ისტორიული, და თანამედროვე პოლიტიკური ფაქტების და მოვლენების გაანალიზება რა დადებით შედეგებს მოუტანს ქალთა აქტიური პოლიტიკური ჩართულობა საქართველოს პოლიტიკურ რეალობას და მომავალს.

ქალი მონარქი

საქართველოში, ხშირად, ვამაყობთ ხოლმე ძლიერი ქალი მოღვაწეებით. მუდმივად პირზე გვაკერია შუა საუკუნეების ძღვევამოსილი მონარქის - თამარის სახელი. 1184 წელს ფეოდალურ სამყაროში მოხდა მნიშვნელოვანი ფაქტი, საქართველოს სამეფო ტახტზე ავიდა ქალი, რომელიც დიდებულებმა აკურთხეს, მაგრამ საკუთარი მოთხოვნებიც წაუყენეს. დიდებულებს გვაროვნული არისტოკრატიის უფლებების გაზრდა და მეფის ხელისუფლების შეზღუდვა სურდათ. მეფის წინააღმდეგ ამბოხება იგეგმებოდა. აჯანყებულებთან მოსალაპარაკებლად გონიერმა მეფემ ქალები გაუშვა: კრავაი ჯაყელი და ხუაშაქ ცოქალი. საპატიო მანდილოსნებმა დავალება ბრწყინვალედ შეასრულეს.¹⁷

ხუაშაქ ცოქალი და კრავაი ჯაყელი ჭეშმარიტად ღირსეულ ადგილს იკავებენ ქართული დიპლომატიის ისტორიაში.

ხმა ქალებისა საუკუნის წინ

¹⁷ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, საქართველოს ბიბლიოგრაფიული ლექსიკონი.

ელეონორა ტერ-პარსეგოვა-მახვილაძისა, მინადორა ტოროშელიძე, ქრისტინე შარაშიძე, ელისაბედ ბოლქვაძე და ანა სოლოღაშვილი – ის პირველი ქართველი ქალი პარლამენტარები არიან, რომლებმაც 1919 წლის დამფუძნებელი კრების არჩევნებში გაიმარჯვეს. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხუთივე წევრი აქტიურად ჩაება დამფუძნებელი კრების საქმიანობაში. 1919 წლის დამფუძნებელი კრების არჩევნებისთვის სხვადასხვა პარტიის საარჩევნო სიებში კანდიდატებად სულ ოცამდე ქალი დარეგისტრირდა, დამფუძნებელი კრების წევრის სტატუსი კი მხოლოდ ხუთმა ქალმა მოიპოვა.¹⁸

ყურადღებას გავამახვილებ იმ პერიოდში კიდევ ერთ გამორჩეულ ქალზე კატო მიქელაძეზე რადგან სოციალური აქტიურობა, საზოგადოებაში ქალის როლის აღქმა დიდწილად განაპირობებს ქალების პოლიტიკაში ჩართულობას. მან განათლება საფრანგეთში მიიღო. კატო სწორედ პარიზში ცხოვრებისას გაეცნო ქალთა მოძრაობის ევროპულ გამოცდილებას, 1916 წელს საქართველოში დაბრუნების შემდეგ კი მაშინვე დაიწყო ფემინისტური აქტიურობა და თანამოაზრეების შემოკრება. 1917 წელს მისი ინიციატივით გამოვიდა პირველი და საქართველოში ჯერჯერობით ერთადერთი ფემინისტური გაზეთი “ხმა ქართველი ქალისა”. გაზეთი, რომელიც თითქმის ერთი საუკუნის წინ გამოდიოდა, ყველა იმ თემას აშუქებდა, რომლებიც ქალებისათვის დღესაც აქტუალურია: ოჯახში ძალადობა, პროსტიტუცია, უსაფრთხო სექსუალური ცხოვრება, ქალების პოლიტიკური აქტივობა, – ამ საკითხებზე წერდნენ ქალები 100 წლის წინ. პოლიტიკაში მონაწილეობის გაზრდას მოითხოვდნენ ქალები 100 წლის წინაც.¹⁹

აღსანიშნავია რომ მსოფლიოში პირველი მუსლიმი დეპუტატი ქალი საქართველოდან იყო. ფარი ხანუმ სოფიევას პოლიტიკაში ჩართვა მნიშვნელოვანი პრეცედენტია. განსაკუთრებით მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის მსოფლიოსთვის, როდესაც ქალის არჩევნებში მონაწილეობა, მითუმეტეს მუსლიმი ქალისა, თითქმის

¹⁸ მ.ჭანიშილი ,, ქალები პოლიტიკაში. კვლით თუ მის გარეშე“ თბილისი 2015

¹⁹ იქვე.

წარმოუდგენელია. ის, რომ ასეთი მაგალითი არსებობდა საქართველოში - პირველი რესპუბლიკის თავისებურებებზე მეტყველებს. ფარი ხანუმი ყარაჯალარში მრავალშვილიან ოჯახში დაიბადა, 1918 წელს კი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არჩევნებში მიიღო მონაწილეობა, მშობლიურ რეგიონში კონკურენტები დაამარცხა და ეროვნული კრების დამოუკიდებელი წევრი გახდა. 1918 წლის შემოდგომაზე კი ქართული პრესა სიამაყით წერდა:

“...აღსანიშნავია ერთი ფრიად სამხიარულო მოვლენა, ხმოსანთა რიცხვში შედის ყარაიაზის ოლქიდან წამოყენებული მუსულმანელი ქალი, პარი-ხანუმ სოფიევი. პირველი საეროზო ყრილობა დაინიშნა 2 დეკემბერს...”²⁰

ქალთა პოლიტიკური ჩართულობა 1990-იან წლებში

1990-იანი წლები დაკავშირებულია მნიშვნელოვან პოლიტიკურ და სოციალურ გარდაქმნებთან. პერიოდი, როდესაც ყალიბდებოდა ახალი პოლიტიკური რეალობა, ქალების ისტორიული და თანამედროვე სოციალური მდგომარეობის ანალიზი სხვადასხვა ქვეყანაში ასაბუთებს, რომ ქალების პრობლემები ინტერნაციონალური ხასიათისაა და გამოიხატება ყოველი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების დონით.²¹ შესაბამისად, ქალებმა მოირგეს ახალი როლები. ისინი იძულებული იყვნენ მოეძებნათ არსებობისთვის საჭირო სახსრები, აიღეს თავის თავზე ოჯახის მარჩენალის ფუნქცია, ზოგიერთი გაემგზავრა ემიგრაციაში სწორედ საარსებოს მოპოვების მიზნით. თუმცა, ქალთა ეკონომიკურმა სტატუსმა დაიწია, რამ- დენადაც მათ უწევდათ დათანხმებულიყვნენ დაბალანაზღაურებად სამუშაოს, გადარჩენისთვის ხელი მოჰკიდეს მცირე ბიზნესს და თვითდასაქმებას. მიუხედავად იმისა, რომ ქალები ამ გზით ცდილობდნენ საარსებო წყაროს შექმნას, არაფორმალურ საქმიანობაში ჩართვა მათ

²⁰ ჟურნალი „ინდიგო“ პოდკასტი : „ფარი ხან სოფიევა და პირველი რესპუბლიკა“ თბილისი 2021

²¹ თ.კიკნაძე, ნ. დონაძე „გენდერი – სოციალური და პოლიტიკური სწავლებანი“ თბილისი, 2006

მოწყვლად და დაუცველ მდგომარეობაში აყენებდა და ქალები ეკონომიკურად და პოლიტიკურად გარიყული რჩებოდნენ.²²

1990-იანი წლების სხვადასხვა კვლევები მიუთითებს, საქართველოში პოლიტიკური პარტიების მხოლოდ 6%-ში ეკავათ ლიდერის პოზიციები და 1999 წლისთვის რეგისტრირებული პარტიიდან, ქალები ხელმძღვანელობდნენ მხოლოდ 5%-ს. ზოგადად, ქალთა წარმომადგენლობა ლიდერულ პოზიციებზე 1998-2001 წლებში დაახლოებით 9-11%-მდე მერყეობდა. 2004 წლის პარლამენტში ქალთა წარმომადგენლობა შეადგენდა 9,4%-ს (235 წევრიდან), 2008 წელს კიდევ უფრო შემცირდა ეს მაჩვენებელი და მხოლოდ 6% შეადგინა 150 წევრიან პარლამენტში და 2012 წელს დაახლოებით 11,3%-მდე გაიზარდა²³

ამჟამინდელი საქართველოს გენდერულ პროფილზე გავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორები: ტრადიციული ღირებულებები და კულტურა, საბჭოთა გენდერული თანასწორობის მემკვიდრეობა და გარდამავალი პერიოდის სოციალური და ეკონომიკური გაურკვევლობა. 90-იანი წლები იყო ის პერიოდი, როდესაც უბრალოდ ძალიან ზედმეტი იყო ქალთა პოლიტიკურ წარმომადგენლობაზე საუბარი, რადგან ქალები დაკავებული იყვნენ ოჯახები ფიზიკური გადარჩენით.

საზოგადოების აღქმა და დამოკიდებულება

დღეს ქალთა უფლებების დაცვა და გენდერული თანასწორობისკენ სწრაფვა თანამედროვე მსოფლიოს უდიდესი გამოწვევაა. ნებისმიერი ქვეყნის დემოკრატიის ერთ-ერთი საზომი სწორედ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა ჩართულობა და მათი უფლებების დაცვის ხარისხია.²⁴

²² ქ.ჩხეიძე ,, ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობა საქართველოში 1990-იანი წლების შემდეგ“ თბილისი 2017

²³ ქ.ჩხეიძე ,, ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობა საქართველოში 1990-იანი წლების შემდეგ“ თბილისი 2017

²⁴ თამარ ოგანოვის ბლოგი – ქალები პოლიტიკაში: მიღწევები და გამოწვევები , ქუთაისი 2021

ქალების პოლიტიკური აქტიურობა მეტწილად დამოკიდებულია საზოგადოებაში გავრცელებულ შეხედულებებთან, მათ სოციალურ როლთან. საინტერესოა განვიხილოთ როგორია საზოგადოების აღქმა ზოგადად გენდერული თანასწორობის შესახებ და შემდეგ ქალების პოლიტიკური აქტიურობასთან დაკავშირებით.

საქართველოში დღემდე უაღრესად დიდ პრობლემას წარმოადგენს გენდერის ნიშნით და ოჯახში ძალადობის სისხლის სამართლის საქმეები, აღნიშნული შემთხვევებიდან, რა თქმა უნდა, უდიდესი პროცენტულობით მსხვერპლები ქალები არიან. პრობლემურია არა მხოლოდ საზოგადოების გარკვეული ნაწილის სტერეოტიპული დამოკიდებულებები ქალების მიმართ, არამედ იკვეთება იგივე დამოკიდებულება სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლების მიერ. კერძოდ, ქალის პირადი, სექსუალური ცხოვრებით დაინტერესება, მაშინაც კი, როცა ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს საქმის გარემოებების დასადგენად.²⁵ თუმცა სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ქართულ საზოგადოებაში წინა წლებთან შედარებით ამდღეულია გენდერული თანასწორობის შესახებ შეხედულებები.

გაეროს მიერ მომზადებულ კვლევის ანგარიშის მიხედვით, 10-დან, დაახლოებით, ოთხი კაცი არ თანხმდება, რომ თუ ქალს კაცის თანაბარი კვალიფიკაცია აქვს, მას თანაბარი ხარისხით შეუძლია იგივე სამუშაოს შესრულება. ამასთან, ქალთა ჩართულობის მხრივ მხარდაჭერა საკმაოდ დიდია პოლიტიკის სფეროში, მაგრამ ყოველი მეორე რესპონდენტი მიიჩნევს, რომ კაცები უკეთესი პოლიტიკური ლიდერები არიან, ვიდრე ქალები. როდესაც მკვლევარებმა რესპონდენტებს ჰკითხეს, თუ ვის უფრო წარმოიდგენდნენ პრეზიდენტად, 56 პროცენტმა უპასუხა, რომ მათთვის კანდიდატის სქესს მნიშვნელობა არ ჰქონდა, თუმცა რესპონდენტების 39 პროცენტის აზრით, კაცი უკეთესი კანდიდატი იქნებოდა. ასეთი აზრი მეტწილად კაცებმა გამოთქვეს. "პასუხად კითხვაზე: თუ რას მიიჩნევენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში

²⁵ საქართველოს სახალხო დამცველი „ფემციდის მონიტორინგის ანგარიში“ 2019-2020

მონაწილეობისას ყველაზე დიდ წინააღმდეგობად, ქალებმა საკუთარი ოჯახური მოვალეობები დაასახელეს²⁶.

სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს საქართველოში ადრეული ქორწინება და შედეგად განათლებაწარმეული მოზარდები, ასევე სამსახურიდან ორსულობის გამო გათავისუფლება. პატრიარქალურ სისტემაში როდესაც ქალებს უწევთ უამრავი დაბრკოლების გადალახვა, საზოგადოებრივი სტერეოტიპების, ოჯახური მოვალეობების სამსახურთან შეთანხმება არც თუ ისე მარტივია პოლიტიკურ წარმომადგენლობაზე საუბარი, თუმცა ეს აუცილებელია და როდესაც ქალს აღნიშნულის სურვილი აქვს და ამ დიდ დაბრკოლებებს გადალახავს ვფიქრობ, უპირობოდ მიაღწევს დადებით შედეგებს. მთავარია რომ საზოგადოების ცნობიერება მეტად ამაღლდეს სახელმწიფო თუ არასამთავრობო სექტორის მიერ ჩატარებული სხვადასხვა სახის კამპანიებით.

პოლიტიკა და გენდერული კვოტირება

„კვოტა“ ლათინური სიტყვაა და ის რისამე დასაშვებ რაოდენობას, მიღებულ ნორმას ნიშნავს. ეს არის ნორმა, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში, დავუშვათ, რელიგიური, ეთნიკური, ლინგვისტური უმცირესობებისათვის დაწესებულ შეღავათს გულისხმობს, რათა პარლამენტში მათი წარმომადგენლებიც მოხვდნენ და უმცირესობათა ინტერესებზე ყურადღების გამახვილება შეძლონ. იმავე პრინციპს ეფუძნება ქალთა კვოტები – მრავალ ქვეყანაში კვოტების მეშვეობით არის გარანტირებული პარლამენტში, მთავრობასა თუ პარტიულ სიაში ქალთა გარკვეული რაოდენობის მოხვედრა.

სამართლიანია, თუ ქალსა და კაცს აქვთ თანაბარი სასტატო პირობები და ცხოვრებისეული შესაძლებლობები თავიანთი პოტენციალის სრული რეალიზაციისათვის, თუ ქალები და კაცები თანაბრად სარგებლობენ საზოგადოებრივი სიკეთეებით, თუ თანაბრად მონაწილეობენ პოლიტიკური,

²⁶ გაეროს (UNFPA და UNDP)კვლევის ანგარიში "კაცები, ქალები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში".

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების პროცესში. გენდერული კვოტირების სხვადასხვა ფორმები არსებობს, თუმცა ძირითადად იყოფა სავალდებულო და პარტიულ კვოტებად. ეს გულისხმობს, რომ კვოტები შეიძლება იყოს როგორც კანონით დადგენილი, ასევე პოლიტიკური პარტიების მიერ აღიარებული, რომელთა დაცვა და შესრულება დამოკიდებულია პოლიტიკური პარტიების ნებაზე.²⁷

ამ კუთხით საქართველოში პირველი ნაბიჯები 2011 წელს გადაიდგა, როდესაც მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ კანონში შევიდა ცვლილებები, რაც გულისხმობდა პარტიების ფინანსური წახალისების სისტემის დანერგვას. პარტია, რომელიც პროპორციული საარჩევნო სიის ყოველ ათეულში ორ ქალ კანდიდატს წამოაყენებდა, საბაზო დაფინანსების 10%-იან დანამატს მიიღებდა.²⁸

გენდერული კვოტირების საკითხს საქართველოში ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა და ჩემდა გასაკვირად მათ შორის არაერთი ქალბატონიცაა, მოწინააღმდეგეების აზრით გენდერული კვოტირების შემოღებით პარლამენტი დაკომპლექტდება: არაკომპეტენტური ქალებით, მამაკაცებთან მიმართებით ეწინააღმდეგება თანაბარი შესაძლებლობის პრინციპს და ფიქრობენ რომ არადემოკრატიული პროცესია.

გენდერული კვოტირების შესახებ საინტერესო განმარტებას აკეთებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილებაში²⁹ ნათქვამია, რომ სამართალი მოქმედებს კონკრეტულ საზოგადოებაში, შესაბამისად, მნიშვნელოვანია ამ საზოგადოების თავისებურებების გათვალისწინება. შესაძლოა არსებობდეს ე. წ. გენდერულად ნეიტრალური სამართლებრივი ბაზა, თუმცა პრაქტიკაში არსებული ხელოვნური ბარიერების გამო კონკრეტული ჯგუფები ვერ ახდენდნენ საკუთარი შესაძლებლობების სხვებთან თანასწორად

²⁷ ა.ობოლაძე „გენდერული კვოტირება და საქართველო“ 2017

²⁸ იქვე.

²⁹ ა(ა)იპ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება "ახალი პოლიტიკური ცენტრი", ჰერმან საბო, ზურაბ გირჩი ჯაფარიძე და ანა ჩიქოვანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ N N3/3/1526, 25/09/2020

რეალიზებას. სწორედ სამართლის მიღმა არსებული უთანასწორობის წინააღმდეგ და შესაძლებლობების გათანაბრებისკენ არის მიმართული კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტი და არა შედეგების ხელოვნური გათანაბრებისკენ. სქესთა შორის უთანასწორობის უკეთ წარმოსაჩენად გადაწყვეტილებაში საუბარია იმ შემთხვევებზე, რომლებიც ქალებსა და გოგოებზე არაპროპორციულად ნეგატიურ გავლენას ახდენს, მაგალითად ოჯახში ძალადობა, ადრეულ ასაკში (ბავშვთა) ქორწინება და სხვა. მართალია, ფორმალურად, საკანონმდებლო დონეზე გარანტირებულია კანონის წინაშე თანასწორობა, მაგრამ პრაქტიკაში ქალების და კაცების საწყისი პირობები განსხვავებულია. საკონსტიტუციო სასამართლო ამბობს, რომ სპეციალური, დროებითი ღონისძიება გენდერული კვოტების სახით, არათუ ეწინააღმდეგება თანასწორობის პრინციპს, არამედ, პირიქით, გამომდინარეობს კიდევაც ამ პრინციპიდან.

საქართველოში გენდერული კვოტირების სისტემის შემოღებამ მცირედით გაზარდა პარლამენტში ქალების პროცენტული წილი. რეკომენდირებულია შრომის ბაზარზე ქალების მონაწილეობის ხელშეწყობა, რათა დაიძლიოს საზოგადოებაში არსებული კულტურული სტერეოტიპები, და ქალებისთვის განკუთვნილი ლიდერთა ტრენინგ-პროგრამების დაფინანსება.

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ საქართველოს კანონის 39' მუხლის მიხედვით პარტია, რომელიც 2028 წლამდე ჩატარებული პარლამენტის არჩევნების საფუძველზე, ამ კანონის 30-ე მუხლით დადგენილი წესით იღებს საბიუჯეტო დაფინანსებას, მიიღებს დანამატს იმავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად მისაღები დაფინანსების 30%-ის ოდენობით, თუ მის მიერ პარლამენტის ბოლო არჩევნებზე წარდგენილ პარტიულ სიაში ყოველ სამეულში ერთი კანდიდატი განსხვავებული სქესის წარმომადგენელია. ამ პუნქტით გათვალისწინებული დანამატი გამოყენებული უნდა იქნეს პარტიის სტრუქტურული ერთეულის – ქალთა ორგანიზაციის საქმიანობისთვის. დღეის მდგომარეობით საქართველოს პარლამენტში 143 წევრიდან 27-ია მხოლოდ

ქალბატონი , რაც თითქმის 18.8 % გულისხმობს, თუმცა გენდერულ ბალანსამდე ჯერ კიდევ ბევრია. ვფიქრობ, პარლამენტში ქალების რაოდენობის 30 % იანი ნიშნული მაინც უნდა იყოს გენდერულად სენსიტიური საკითხების გადასაჭრელად. რაც შეეხება ქალების ჩართულობას თვითმმართველობაში, 64 მუნიციპალიტეტიდან მხოლოდ 3 ქალაქის (რუსთავი, დუშეთი, ნინოწმინდა) მერია ქალბატონი, ხოლო რწმუნებული ქალები საერთოდ არ გვყავს.

დასკვნა

მეტი ქალი პოლიტიკაში, ეს ლოზუნგი ძალიან ხშირად გაგვიგია, და რატომ უნდა იყოს ეს ასე ამაზე პასუხი ძალიან მარტივია, ქალების გენდერული როლიდან გამომდინარე, მათ უკეთ შეუძლიათ ქალებისთვის მგრძობიარე საკითხებზე საუბარი, როგორცაა განათლების მიღება, ადრეული ქორწინების თუ ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა შეახებ, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების საკითხები და ბევრი მრავალი თემა, რაზეც ქალბატონებს უკეთ შეუძლიათ პოზიციის ჩამოყალიბება სწორედ მათი სქესის გამო. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კი თუ ეს საკითხები საპარლამენტო დონეზე განიხილება და შესაბამისი ზომები იქნება მიღებული საკანონმდებლო ბაზის გაძლიერების კუთხით, მეტი ქალი პოლიტიკაში მეტი სიმშვიდის და წესრიგის მომტანი იქნება ქვეყნისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, საქართველოს ბიბლიოგრაფიული ლექსიკონი.
2. მ.ჭანიშილი ,, ქალები პოლიტიკაში. კვლით თუ მის გარეშე“ თბილისი 2015
3. ჟურნალი „ინდიგო“ პოდკასტი : „ფარი ხან სოფიევა და პირველი რესპუბლიკა“ თბილისი 2021
4. თ.კვიციანი, ნ. დონაძე „გენდერი – სოციალური და პოლიტიკური სწავლებანი“ თბილისი, 2006
5. ქ.ჩხეიძე ,, ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობა საქართველოში 1990-იანი წლების შემდეგ“ თბილისი 2017

6. თამარ ოგანოვის ბლოგი – ქალები პოლიტიკაში: მიღწევები და გამოწვევები , ქუთაისი 2021
7. საქართველოს სახალხო დამცველი „ფემიციდის მონიტორინგის ანგარიში“ 2019-2020
8. გაეროს (UNFPA და UNDP) კვლევის ანგარიში "კაცები, ქალები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში".
9. ა.ობოლაძე „გენდერული კვოტირება და საქართველო“ 2017
10. ა(ა)იპ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება "ახალი პოლიტიკური ცენტრი", ჰერმან საბო, ზურაბ გირჩი ჯაფარიძე და ანა ჩიქოვანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ N N3/3/1526, 25/09/2020 (საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება)

Mariam Ugulava

PHD Student of GTU

Political representation of women in Georgia

In Georgia, we are often proud of strong female figures, We constantly mention the name of King Tamar. However, the issue of women's political involvement has changed over the centuries and now it is interesting to consider what the situation is today. The article is quite relevant and interesting in its content. This issue is not only a challenge for Georgia, but also one of the leading problems in the world. Because the political representation of women is directly related to gender equality, the perception of the role of women in society. Many Interesting issues will be explored, such as the role of historically extremely important female figures, then the rate of the most difficult 90's for Georgia, and finally the current situation. The subject of the research is the analysis of historical and modern political facts and events, what positive results the active political involvement of women will bring to the political reality and future of Georgia.

თამარ მუჯირი

საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია ჩინეთში ქალთა მონაწილეობის საკითხი პოლიტიკაში. სტატიის მიზანია ჩინეთის პოლიტიკაში გენდერული თანასწორობის მხრივ მიღწეული პროგრესის გაანალიზება. ყურადღება გამახვილებულია შესაბამის სამართლებრივ და ინსტიტუციურ ჩარჩოზე. ავტორი საჯარო ჩანაწერების და რელევანტური მეორადი წყაროების ანალიზზე დაყრდნობით, ცდილობს გამოავლინოს თუ რამდენად აისახება ჩინეთის ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებები რეალურ პოლიტიკურ სისტემაზე. სტატია არის ინტერდისციპლინარული ხასიათის. დასკვნაში ნაჩვენებია, რომ პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის უზრუნველყოფის მხრივ მიღწეული პროგრესის მიუხედავად, ჩინეთის მთავრობის მიერ გატარებული რეგულაციები და პოლიტიკა, როგორც წესი, მხოლოდ მითითებებია, რის გამოც ქალები ჩინეთის პოლიტიკურ სისტემაში კვლავ უმცირესობაში რჩებიან.

საკვანძო სიტყვები: ჩინეთი, გენდერული თანასწორობა, ქალთა მონაწილეობა პოლიტიკაში

ქალები ჩინეთის პოლიტიკაში

შესავალი

გენდერული თანასწორობა სამართლიანი საზოგადოების მნიშვნელოვანი ფუნდამენტია. თანამედროვე ეპოქაში ქალთა ეკონომიკური და სოციალური სტატუსის გაუმჯობესების მიუხედავად, მათი როლი პოლიტიკაში შედარებით ნელა იზრდება. ქალებმა მოიპოვეს არჩევნებში ხმის მიცემისა და სახელმწიფო თანამდებობებზე დანიშვნის უფლება, მაგრამ ქალთა პროცენტული რაოდენობა ძალაუფლების სტრუქტურებსა და გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე მაინც საკმაოდ დაბალია მთელს მსოფლიოში. ამ მხრივ, შედარებით უკეთესი მდგომარეობაა

განვითარებულ ქვეყნებში. 2021 წელს მთავრობაში ქალთა წარმომადგენლობა აშშ-ში - 44%-ს, [1] ხოლო დიდ ბრიტანეთში - 23%-ს შეადგენდა. [2] თუმცა მონაცემები აჩვენებს, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალები ნაკლებად არიან ჩართულნი მთელს მსოფლიოში და გენდერული თანასწორობა პოლიტიკაში შორეულ მიზნად რჩება. გაეროს ქალთა ორგანიზაციის მონაცემებით, 2021 წლისთვის მხოლოდ 24 ქვეყანაში იყო 26 ქალი სახელმწიფოს და/ან მთავრობის მეთაური, ქალთა წილი მთავრობაში მხოლოდ 21%-ს შეადგენდა და აქედან, მხოლოდ 14 ქვეყნის მთავრობაში იყო ქალთა წილი 50% ან მეტი. [3]

პოლიტიკაში ქალთა ჩართულობის დონე ქვეყნების მიხედვით განსხვავდება. წინამდებარე ნაშრომის მიზანია ჩინეთის პოლიტიკაში გენდერული თანასწორობის მხრივ მიღწეული პროგრესის გაანალიზება. ყურადღება გამახვილებულია შესაბამის სამართლებრივ და ინსტიტუციურ ჩარჩოზე. კვლევის მეთოდოლოგია მოიცავს საჯარო ჩანაწერების, შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩოს, სახელმწიფოს მიერ შემუშავებული ინსტიტუციური მექანიზმებისა და რელევანტური მეორადი წყაროების ანალიზს. ნაშრომი არის ინტერდისციპლინარული ხასიათის. ამ ნაშრომით ვცდილობ გამოვაკლინო თუ რამდენად აისახება ჩინეთის ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებები რეალურ პოლიტიკურ სისტემაზე.

პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის

სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩო

პოლიტიკური მონაწილეობა გენდერული თანასწორობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია. ქალთა დაბალი ჩართულობა პოლიტიკაში ბევრი ფაქტორით შეიძლება იყოს გამოწვეული, ინსტიტუციური ბარიერებით და ქალთა სოციალურ-ეკონომიკური სტატუსით დაწყებული, ქალთა მიმართ მიკერძოებული დამოკიდებულებითა და კულტურული ტრადიციების ზეგავლენით დამთავრებული. ჩინელი ქალები ყოველდღიურ ცხოვრებაში ბევრად მეტ სოციალურ და კულტურულ ბარიერს აწყდებიან, ვიდრე დასავლეთში მცხოვრები ქალები, რაც ჩინურ საზოგადოებაში ქალის როლის ზოგად აღქმასთან არის დაკავშირებული.

კონფუციანური სწავლება, რომელიც ჩინეთის ისტორიაში ერთ-ერთი წამყვანი იდეოლოგია იყო, ქალებს ჩაგრულ მდგომარეობაში აყენებდა. ჩინურ კულტურაში ქალი საზოგადოების არასრულფასოვან წევრად იყო წარმოდგენილი. ფეოდალური ჩინეთის ტრადიციებით, ქალი ყოველთვის პატრიარქალური და პატრილინური სისტემის მორჩილი იყო. [4] [5]

კომუნისტური იდეოლოგიის გავრცელებასთან და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის (ჩსრ) დაარსებასთან ერთად, ჩინეთში ქალთა თანასწორობის საკითხმა წინა პლანზე გადაინაცვლა. კანონი ქორწინების შესახებ იყო ერთ-ერთი პირველი, რომელიც ჩსრ-ს დაარსების შემდეგ მიიღეს, რითაც ქალების და კაცების საქორწინო უფლებები ერთმანეთს გაუთანაბრდა. [6] 1955 წელს მათ ძედუნის განცხადებამ, რომ “ქალებს ნახევარი ცა უჭირავთ”, ქალთა პატრიარქალური ზეგავლენისგან განთავისუფლებას მისცა ბიძგი. ქალები თანდათან ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში გააქტიურდნენ. შედეგად, 2020 წლისთვის ქალები ჩინეთის სამუშაო ძალის 43.5% შეადგენდნენ, ხოლო მოქმედი, მე-13 მოწვევის სრულიად ჩინეთის წარმომადგენელთა კრებაში (სახალხო კონგრესში) ქალი დეპუტატების წილი - 24.9%, ხოლო ჩინეთის სახალხო პოლიტიკურ-საკონსულტაციო საბჭოს (ჩსპსს) ეროვნულ კომიტეტში - 20.4% არის. [7] თუმცა, ჩინელი ქალები “ნახევარი ცის დაკავებისგან” ჯერ კიდევ შორს არიან.

გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და პირველი ღონისძიებაა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის ფორმირება. გენდერული თანასწორობა გარანტირებულია ჩსრ-ის კონსტიტუციით, რომლის 48-ე მუხლი უზრუნველყოფს ქალთა და მამაკაცთა თანაბარ უფლებებს ცხოვრების ყველა სფეროში, თანაბარ ანაზღაურებას ერთნაირი სამუშაოსთვის და ქალი კადრების მომზადებასა და არჩევას. [8]

ჩსრ-ის დაარსებიდან არაერთი კანონი და რეგულაცია იქნა მიღებული ქალთა უფლებების სამართლებრივი უზრუნველყოფისათვის, მაგრამ გენდერული თანასწორობის საკითხის წინ წამოწევაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი

ითამაშა ქალთა მე-4 მსოფლიო კონფერენციამ, რომელიც 1995 წელს ჩინეთში ჩატარდა. მასზე მიღებულ იქნა პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა, სადაც 12 სამიზნე სფერო განისაზღვრა, მათ შორის ქალთა გაძლიერება ძალაუფლებაში და გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე და ქალთა განვითარებისთვის ინსტიტუციური მექანიზმების შემუშავება. [9]

ქალთა მე-4 მსოფლიო კონფერენციას შედეგად “ქალთა უფლებებისა და ინტერესების დაცვის შესახებ კანონის” მიღება მოჰყვა. მასში დაწვრილებით არის განსაზღვრული ქალთა სამართლებრივი უფლებები და ინტერესები სხვადასხვა სფეროში, მათ შორის პოლიტიკაში. [10] კანონი უზრუნველყოფს ქალთა თანაბარ პოლიტიკურ, ხმის მიცემისა და არჩევნებში მონაწილეობის უფლებებს. ამასთან, იგი შეიცავს ჩანაწერს კვოტირებასთან დაკავშირებით. “ეროვნული სახალხო კონგრესისა და სხვადასხვა დონის ადგილობრივი სახალხო კონგრესების დეპუტატებს შორის უნდა იყოს სათანადო რაოდენობის ქალი დეპუტატები. სახელმწიფო მიიღებს ზომებს, რათა ეროვნულ სახალხო კონგრესსა და სხვადასხვა დონის ადგილობრივ სახალხო კონგრესებში ქალთა პროპორციული რაოდენობა თანდათან გაიზარდოს”. [10] იმავეს ვკითხულობთ სახალხო კონგრესის საარჩევნო კოდექსის მე-6 მუხლში. [11] მიუხედავად იმისა, რომ გაურკვეველია, თუ რას ნიშნავს “სათანადო რაოდენობა”, ქალთა უფლებების შესახებ კანონის მიღება წინგადადგმული ნაბიჯია, რადგან იგი სპეციალურად გენდერული თანასწორობისა და ქალთა ინტერესების დასაცავად შეიქმნა და არეგულირებს ქალთა პოლიტიკურ, კულტურულ, სამუშაო, საკუთრების, საოჯახო და სხვა მნიშვნელოვან უფლებებს.

1995 წლიდან მოყოლებული ჩინეთის მთავრობამ ზედიზედ ოთხჯერ შეიმუშავა ქალთა განვითარების პროგრამა, რომლის ექვსი პრიორიტეტული მიზნიდან ერთ-ერთი - გადაწყვეტილების მიღების და მართვის პროცესში ქალთა მონაწილეობის განვითარებაა. [12] 2021-2030 წწ. პროგრამით განსაზღვრულია სხვადასხვა დონის გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში ქალთა წილის ეტაპობრივად გაზრდა, ხოლო პარტიის შიგნით ქალი კადრების “რაციონალური პროპორციის” შენარჩუნება. [13]

ამგვარად, ქალთა პოლიტიკაში ჩართულობის უზრუნველყოფა ჩინეთის ხელისუფლების მიზანია, მაგრამ შესაბამისი საკანონმდებლო ფორმულირება დღემდე ბუნდოვანია. ამ მხრივ, გამონაკლისი მხოლოდ ჩინეთის სახალხო კონგრესია.

2007 წელს მე-10 სახალხო კონგრესის მე-5 სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ შემდეგ სახალხო კონგრესში ქალი დეპუტატების პროპორცია უნდა ყოფილიყო არანაკლებ 22%-ისა. [14] ამგვარად, კანონით პირველად განისაზღვრა კონკრეტული კვოტა სახალხო კონგრესისათვის, მაგრამ როგორც უკვე აღვნიშნე, ძალაუფლების სხვა ორგანოებში ზუსტი კვოტირების საკითხი კვლავ ბუნდოვანი რჩება. [15]

2009 წელს ჩინეთის მთავრობამ მიიღო “ადამიანის უფლებების ეროვნული სამოქმედო გეგმა”. ამ დოკუმენტის მიხედვით, ყველა დონის სახალხო კონგრესების, პოლიტიკურ-საკონსულტაციო კონფერენციების და ადგილობრივი მთავრობების ხელმძღვანელობაში უნდა იყოს სულ ცოტა ერთი ქალი წევრი. ამასთან, სამინისტროების და ადგილობრივი მთავრობების სააგენტოების სულ ცოტა ნახევარს მაინც ხელმძღვანელობაში უნდა ჰყავდეს ქალი წევრი, ხოლო პროვინციის, ქალაქის და ოლქის დონეზე სარეზერვო კადრების მინიმუმ 20%-ს უნდა შეადგენდნენ ქალები. [16] “სულ ცოტა ერთი ქალის” მოთხოვნამ გენდერული პოლიტიკის არაეფექტური განხორციელება გამოიწვია. დროთა განმავლობაში ეს მოთხოვნა “მხოლოდ ერთი ქალის” კონცეფციად გარდაიქმნა. ამგვარად, საერთაშორისო პრაქტიკაში დანერგილი რაოდენობრივი ინდექსის ნაცვლად ასეთი კონცეფციის შემოღებამ, პრაქტიკაში ქალთა პოლიტიკური ჩართულობა შეზღუდა. [17] აღსანიშნავია, რომ 2021-2025 წწ. სამოქმედო გეგმა კვლავ იმეორებს პოლიტიკაში ქალთა რაოდენობის სტაბილურად ზრდის ვალდებულებას, მაგრამ კონკრეტული კვოტების შემოღების განზრახვა ისევ არ ჩანს. ამის მიუხედავად, ამავე სამოქმედო გეგმაში, სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, რომ მოხდება “ქალთა უფლებებისა და ინტერესების დაცვის შესახებ კანონის” გადასინჯვა და საკანონმდებლო ჩარჩოს კიდევ უფრო დახვეწა. [18]

გენდერული თანასწორობის პოლიტიკის გატარებისა და მონიტორინგისთვის ჩინეთის მთავრობას შექმნილი აქვს ინსტიტუციური მექანიზმები. 1990 წლიდან სახელმწიფო საბჭოს დაქვემდებარებაში მოქმედებს ბავშვთა და ქალთა ეროვნული სამუშაო კომიტეტი. იგი წამყვანი სახელმწიფო ორგანოა, რომელიც პასუხისმგებელია სამთავრობო უწყებების შესაბამისი საქმიანობის კოორდინაციაზე, ქალთა და ბავშვთა განვითარების პროგრამების განხორციელებაზე და ადგილობრივ დონეზე შესაბამისი კომიტეტების მუშაობის ინსპექტირებაზე. [19]

გარდა ამისა, 1949 წლიდან ფუნქციონირებს სრულიად ჩინეთის ქალთა ფედერაცია. ეს არის წამყვანი სახალხო (არასამთავრობო) ორგანიზაცია, რომელიც ერთგვარი შუამავლის როლს თამაშობს მმართველ პარტიასა და საზოგადოებას შორის. იგი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით იბრძვის ქალთა ემანსიპაციისა და განვითარებისთვის. [20] თუმცა, პარტიაზე დამოკიდებულების გამო, ქალთა ინტერესების დაცვის ნაცვლად, იგი ხშირად პარტიული და სამთავრობო პროპაგანდის გატარებით არის დაკავებული. [21]

გარდა ზემოხსნებული სამართლებრივი და ინსტიტუციური მექანიზმებისა, ჩინეთს რატიფიცირებული აქვს სხვადასხვა საერთაშორისო კონვენციები, მათ შორის, გაეროს კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ. იგი ასევე ჩართულია გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების დღის წესრიგის შესრულებაში.

პოლიტიკაში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისათვის სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩო ჩინეთში თანდათან იხვეწება. ქალთა უფლებებისა და ინტერესების დაცვა, მათს პერიოდიდან დაწყებული დღემდე, ჩინეთის ხელისუფლების გაცხადებული მიზანია. 2015 წელს, გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებამოსილების გაზრდის საკითხებზე მსოფლიო ლიდერების შეხვედრაზე, ჩინეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ “გენდერული თანასწორობისკენ სწრაფვა დიადი საქმეა. ისტორია გვაჩვენებს, რომ ქალთა განთავისუფლებისა და პროგრესის გარეშე, კაცობრიობა თავისუფლებასა და

პროგრესს ვერ მიაღწევდა”. [22] მან ქვეყნებს მოქმედებისკენ მოუწოდა. ეს მოწოდება ჩინეთის პრეზიდენტმა 2020 წელს ქალთა მე-4 მსოფლიო კონფერენციის 25-ე წლისთავთან დაკავშირებით გაეროში გამართულ მაღალი დონის შეხვედრაზეც გაიმეორა. [23]

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ჩინეთი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს თანაბარი პოლიტიკური უფლებების უზრუნველყოფას ქალებისა და კაცებისათვის. კანონმდებლობა საშუალებას აძლევს ქალებს, მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკასა და სახელმწიფო მმართველობაში, თუმცა საინტერესოა ჩინეთის ხელისუფლების ღონისძიებები და რიტორიკა როგორ აისახება რეალურ პოლიტიკურ სისტემაზე. ამ მიზნით, მაღალი დონის გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში ქალთა მონაცემების ანალიზზე დაყრდნობით, ვეცდები შევაფასო ჩინეთის პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის რეალური დონე.

ქალთა მონაწილეობა ჩინეთის პოლიტიკაში

პოლიტიკური მონაწილეობა გენდერული თანასწორობის ერთ-ერთი საზომია, ხოლო ქალთა პროცენტული რაოდენობა პარლამენტსა და ძალაუფლების პოზიციებზე - პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის ყველაზე მიღებული ინდიკატორია.

სრულიად ჩინეთის წარმომადგენელთა კრება (სახალხო კონგრესი) არის ჩინეთის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო. იგი შედგება პროვინციებიდან, ავტონომიური რაიონებიდან, ცენტრალური დაქვემდებარების ქალაქებიდან, სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონებიდან და შეიარაღებული ძალებიდან არჩეული დეპუტატებისგან. კონგრესი ირჩევა ხუთი წლის ვადით და იკრიბება წელიწადში ერთხელ. [24] მოქმედი, მე-13 მოწვევის სახალხო კონგრესი შედგება 2980 დეპუტატისგან, მათ შორის, ქალი დეპუტატები წარმოადგენენ 24.9%-ს. [7] ეს მაჩვენებელი 1-ელი მოწვევის სახალხო კონგრესთან შედარებით ორჯერ მეტია. ამასთან, სახალხო კონგრესის არსებობის ისტორიას თუ გადავავლებთ თვალს, ვნახავთ, რომ ეს, ქალი დეპუტატების ყველაზე მაღალი პროცენტული რაოდენობაა, რაც კი აქამდე ყოფილა, მაგრამ აქვე აღსანიშნავია, რომ 1970-იანი წლებიდან

მოყოლებული, ქალი დეპუტატების წილი სახალხო კონგრესში მუდმივად 21-23%-ის ფარგლებში მერყეობდა. [7] აქედან გამომდინარე, მიუხედავად ისტორიაში ყველაზე დიდი მაჩვენებლისა, აშკარაა, რომ უკვე რამდენიმე ათეული წელია, რაც ქალთა წარმომადგენლობა სახალხო კონგრესში სტაგნაციას განიცდის. პროგრესი არის, მაგრამ ძალიან ნელი. ამასთანავე, საინტერესოა, რომ სახალხო კონგრესის მუდმივმოქმედი კომიტეტის 175 წევრიდან, რომლებიც ყოველ ორ თვეში ერთხელ იკრიბებიან, მხოლოდ 19 (10.8%) არის ქალი, ხოლო კომიტეტის თავმჯდომარეთა საბჭოს 16 წევრიდან, რომლებიც სახალხო კონგრესის ყოველდღიურ საქმიანობაზე არიან პასუხისმგებელნი, მხოლოდ 1 (6.2%) არის ქალი. [25] ამგვარად, სახალხო კონგრესში ქალი დეპუტატების შედარებით მაღალი რაოდენობისა, რეალურად მათი წილი მაღალ პოზიციებზე საკმაოდ დაბალია და “სულ ცოტა ერთი ქალის” კონცეფციას ემთხვევა.

სახელმწიფო საბჭო არის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანო, რომელიც შედგება პრემიერის, ვიცე პრემიერების, სახელმწიფო მრჩევლების, მინისტრების, გენერალური აუდიტორისა და გენერალური მდივნისაგან. მოქმედ სახელმწიფოს საბჭოს ჰყავს 1 პრემიერ-მინისტრი, 4 ვიცე პრემიერი, 5 სახელმწიფო მრჩეველი, 1 გენერალური მდივანი და 26 მინისტრის დონის თანამდებობის პირი. აქედან მხოლოდ ერთი არის ქალი, რომელიც ვიცე პრემიერის თანამდებობას იკავებს. [26] აქვე აღსანიშნავია, რომ ამჟამად ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებსა და სამთავრობო უწყებებში დასაქმებულ საჯარო მოხელეთა ნახევარზე მეტი ქალია, ხოლო ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში ქალების წილი 40%-ზე მეტია. [6] შესაბამისად, სახელმწიფო უწყებებში ქალთა წარმომადგენლობის ზოგადი ზრდის მიუხედავად, აქაც იგივე მდგომარეობაა, რაც სახალხო კონგრესში. ამ მონაცემებიდან კარგად ჩანს, რომ ჩინეთის საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებში ქალთა შედარებით მაღალი წარმომადგენლობის მიუხედავად, წამყვან პოზიციებზე ქალები მაინც უმცირესობაში არიან.

რაც შეეხება სასამართლო ხელისუფლებას, სასამართლო ორგანოებში მომუშავე ქალთა რაოდენობა რეფორმებისა და გახსნილობის პოლიტიკის დაწყების შემდეგ

მკვეთრად არის გაზრდილი. 2017 წლის მონაცემებით, სახელმწიფო ბრალმძებლების 32.6%-ს და მოსამართლეების 32.7%-ს - ქალები წარმოადგენდნენ. [6]

პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის შეფასებისას გასათვალისწინებელია ჩინეთის მმართველობის ფორმა, რომელიც ძირეულად განსხვავდება დასავლური დემოკრატიებისგან. ქვეყანაში, სადაც მმართველ პარტიას წამყვანი როლი უჭირავს ყველა სფეროში, ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის რეალური სურათის დასანახად მხოლოდ ქვეყნის საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ორგანოებში არსებული ვითარების შეფასება საკმარისი სულაც არაა. აუცილებელია ნომენკლატურაში ქალთა ჩართულობის გათვალისწინება. მმართველი, კომუნისტური პარტიის წევრობა სახელმწიფო უწყებებში დასაქმებისა და დაწინაურების მნიშვნელოვანი წინაპირობაა. შესაბამისად, ქალთა წილი მმართველ პარტიაში - პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის და გენდერული თანასწორობის ხარისხის კარგი მაჩვენებელია.

2018 წელს ჩინეთის კომუნისტურ პარტიაში (ჩკპ) ქალთა წილი 27.2% იყო, რაც 1956 წლის მაჩვენებელზე 16.7%-ით მეტია. [6] ჩინეთის სახალხო პოლიტიკურ-საკონსულტაციო საბჭო (ჩსპსს) პარტიის ერთ-ერთი ცენტრალური ორგანოა. ამჟამად, ჩსპსს ეროვნულ კომიტეტში ქალთა წილი - 20.4%-ია, მაგრამ კომიტეტის 293 მუდმივმოქმედი წევრიდან - მხოლოდ 39, ანუ 13.3% არის ქალი. [27] პარტიის კიდევ ერთი ძირითადი ორგანოა ცენტრალური კომიტეტი. ჩკპ მე-19 ყრილობის ცენტრალური კომიტეტის 204 წევრიდან - 10 (4.9%) არის ქალი, პოლიტბიუროს 25 წევრიდან მხოლოდ 1 არის ქალი, ხოლო ყველაზე გავლენიანი გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს - პოლიტბიუროს მუდმივმოქმედი კომიტეტის შვიდივე წევრი კაცია. [28] ამგვარად, პარტიის შემთხვევაშიც, გავლენიან და მაღალ პოზიციებზე ქალები უმცირესობაში არიან.

ზემოთ მოყვანილი მონაცემებიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის უზრუნველყოფის მხრივ მიღწეული პროგრესის მიუხედავად, ჩინეთის მთავრობის მიერ გატარებული რეგულაციები და პოლიტიკა,

როგორც წესი, მხოლოდ მითითებებია, რაც საკმარისი არ არის იმისთვის, რომ ქალებმა და კაცებმა პოლიტიკური ძალაუფლება თანაბრად გაინაწილონ. ქალები ჩინეთის პოლიტიკურ სისტემაში კვლავ უმცირესობაში რჩებიან. ჩინელი ქალები “ნახევარი ცის დაკავებისგან” და პოლიტიკური ძალაუფლების მამაკაცებთან თანაბრად გაყოფისგან ჯერ კიდევ შორს არიან.

დასკვნა

გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნიდან მოყოლებული, ხელისუფლების გაცხადებული მიზანია. პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის უზრუნველყოფისთვის მთელი რიგი სამართლებრივი და ინსტიტუციური ღონისძიებები გატარდა, მაგრამ საზოგადოება, რომელშიც ქალი საუკუნეების განმავლობაში მეორეხარისხოვან წევრად აღიქმებოდა, ქალის როლის მიმართ მიკერძოებული და უარყოფითი დამოკიდებულებისგან ადვილად ვერ გათავისუფლდება. დღეს არსებული ბევრი კანონი და პოლიტიკა, რომელიც ქალთა მონაწილეობას ეხება, სიმბოლური ხასიათისაა, რადგან მათი განხორციელების შეფასების სისტემა არ არსებობს. შედეგად, ჩინეთის პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის რეალური დონე საკმაოდ დაბალია, რადგან გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე ქალების წვდომა შეზღუდულია.

ამ პრობლემის მოსაგვარებლად აუცილებელია, კანონში მკაფიოდ გაიწეროს კვოტირებასთან დაკავშირებული წესები სხვადასხვა დონის საკანონმდებლო და სახელისუფლებო ორგანოებში. ასევე უნდა მოხდეს მონიტორინგის მექანიზმის შემოღება, ხოლო შეუსრულებლობის შემთხვევაში მკაცრი სანქციების დაწესება. კვოტირების და შეფასების სისტემების შემოღების გარდა, აუცილებელია გენდერულ საკითხებზე მომუშავე წამყვანი არასამთავრობო ორგანიზაცია, სრულიად ჩინეთის ქალთა ფედერაცია, უფრო აქტიურად და დამოუკიდებლად ჩაერთოს ქალთა ინტერესების დაცვასთან დაკავშირებული პოლიტიკის განსაზღვრის პროცესში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Center for American Women and Politics, Eagleton Institute of Politics, Rutgers University, "Women Appointed to Presidential Cabinets," 06 04 2021. [Online]. Available: <https://cawp.rutgers.edu/sites/default/files/resources/womenapptdtoprescabinets.pdf>.
2. House of Commons Library, "Briefing Paper No. 01250, Women in Politics and Public Life," 02 03 2021. [Online]. Available: <https://researchbriefings.files.parliament.uk/documents/SN01250/SN01250.pdf>.
3. UN Women, "Facts and figures: Women's leadership and political participation," 15 01 2021. [Online]. Available: https://www.unwomen.org/en/what-we-do/leadership-and-political-participation/facts-and-figures#_edn1.
4. S. Tiefenbrun, *Decoding International Law Semiotics and the Humanities*, Oxford University Press, 2010, p. 349.
5. X. Gao, "Women Existing for Men: Confucianism and Social Injustice Against Women in China," *Interdisciplinary Topics in Race, Gender, and Class*, vol. 10, no. 3, pp. 114-125, 2003.
6. The State Council Information Office of the People's Republic of China, "Equality, Development and Sharing: Progress of Women's Cause in 70 Years Since New China's Founding," 09 2019. [Online]. Available: http://english.www.gov.cn/archive/whitepaper/201909/20/content_WS5d843344.
7. National Bureau of Statistics of China, "Final Statistical Monitoring Report on the Implementation of China National Program for Women's Development (2011-2020)," 12 2021. [Online]. Available: http://www.stats.gov.cn/english/PressRelease/202112/t20211231_1825801.html.
8. The National People's Congress of the People's Republic of China, "Constitution of the People's Republic of China," 04 12 1982. [Online]. Available: http://www.npc.gov.cn/zgrdw/englishnpc/Constitution/node_2825.htm.
9. UN Women, "Beijing Declaration and Platform for Action," 09 1995. [Online]. Available: <https://www.un.org/womenwatch/daw/beijing/platform/index.html>.
10. The Central People's Government of the People's Republic of China, "[კანონი ქალთა უფლებებისა და ინტერესების დაცვის შესახებ] 中华人民共和国妇女权益保障法 (修正)", 26 05 2005. [Online]. Available: http://www.gov.cn/banshi/2005-05/26/content_980.htm.
11. The National People's Congress of the People's Republic of China, "Electoral Law of the National People's Congress and Local People's Congresses of the People's Republic of China," 29 08 2015. [Online]. Available: <http://www.npc.gov.cn/englishnpc/c23934/202012/81779080873d4b268c0dbe53e0b04873.shtml>.
12. National Working Committee on Children and Women under the State Council and Secretariat of the All-China Women's Federation, "China National Program for Women's Development (2011-2020)," 16 11 2020. [Online]. Available: <http://news.cri.cn/20201116/d094f49f-aab7-2895-3600-b04fead5f1db.html>.

13. National Working Committee on Children and Women under State Council, "[ქალთა განვითარების პროგრამა (2021-2030) სრული ტექსტი] 《中国妇女发展纲要（2021—2030年）》全文," 27 09 2021. [Online]. Available: http://www.nwccw.gov.cn/2021-09/27/content_295246.htm.
14. The National People's Congress of the People's Republic of China, "Decision of the Fifth Session of the Tenth National People's Congress on the Number of Deputies to the Eleventh National People's Congress and on the Election of the Deputies," 16 03 2007. [Online]. Available: http://www.npc.gov.cn/zgrdw/englishnpc/Law/2009-02/25/content_1472459.htm.
15. Q. Wang, "In Tailwind, in Headwind: Gender Quotas in China," *Indian Journal of Gender Studies*, vol. 22, no. 3, p. 387–407, 2015.
16. Information Office of the State Council of the People's Republic of China, "Full Text: National Human Rights Action Plan of China (2009-2010)," 14 04 2009. [Online]. Available: <http://www.npc.gov.cn/englishnpc/c2767/200904/4007ed43da6a47b58b357ad48776eb4c.shtml>.
17. Y. L. GUO X., "Women's Political Participation in China," in *Changing State-Society Relations in Contemporary China*, 2016, pp. 249-265.
18. The State Council of the People's Republic of China, "Full Text: Human Rights Action Plan of China (2021-2025)," 09 09 2021. [Online]. Available: http://english.www.gov.cn/news/topnews/202109/09/content_WS6139a111c6d0df57f98dfec.html.
19. China Services Info, "National Working Committee on Children and Women under State Council," 18 12 2018. [Online]. Available: <https://govt.chinadaily.com.cn/s/201812/18/WS5dc288d0498ebcb19057aa9e/national-working-committee-on-children-and-women-under-state-council.html>.
20. [სრულიად ჩინეთის ქალთა ფედერაცია], 中华全国妇女联合会, "[სრულიად ჩინეთის ქალთა ფედერაციის წესდება], 中华全国妇女联合会章程," 28 06 2013. [Online]. Available: <http://www.women.org.cn/col/col35/index.html>.
21. All-China Women's Federation, "About the ACWF," [Online]. Available: <https://www.womenofchina.cn/womenofchina/html1/about/1503/2333-1.htm>.
22. UN Women, "Step it Up: Global Leaders' Meeting on Gender Equality and Women's Empowerment," 2016. [Online]. Available: https://www.unwomen.org/sites/default/files/Headquarters/Attachments/Sections/Library/Publications/2016/UNW_GLM_layout_final_web2.pdf.
23. All-China Women's Federation, "Xi Highlights Women's Contribution, Development at UN Meeting," 02 10 2020. [Online]. Available: <https://www.womenofchina.cn/womenofchina/html1/special/2010/1339-1.htm>.
24. The National People's Congress of the People's Republic of China, "State Structure," [Online]. Available: <http://en.npc.gov.cn.cdurl.cn/statestructure.html>.
25. The National People's Congress of the People's Republic of China, [Online]. Available: <http://www.npc.gov.cn/>.

26. the State Council of the People's Republic of China, "State Council," [Online]. Available: <http://english.www.gov.cn/statecouncil/>.
27. The National Committee of the Chinese People's Political Consultative Conference, "[ჩინეთის სახალხო პოლიტიკურ-საკონსულტაციო საბჭოს მე-13 მოწვევის ეროვნული კომიტეტის მუდმივმოქმედი წევრების სია] 中国人民政治协商会议第十三届全国委员会常务委员名单," 14 03 2018. [Online]. Available: <http://www.cppcc.gov.cn/zxww/2018/03/14/ARTI1521024517368985.shtml>.
28. [ჩინეთის კომუნისტური პარტია] 中国共产党新闻网, "[ჩინეთის თანამდებობის პირები] 中国政要," [Online]. Available: <http://cpc.people.com.cn/GB/64162/394696/index.html>.

Tamar Mujiri

Doctoral Student in International Relations

Georgian Technical University

Women in Chinese Politics

Abstract

The article deals with the problem of women's political participation in China. The purpose of the article is to analyze China's progress in achieving gender equality in politics. Considerable attention is given to the relevant legal and institutional framework. Based on the analysis of public records and relevant secondary sources, the author attempts to identify how the measures taken by the Chinese government affect the political system in reality. The paper is interdisciplinary in nature. The conclusion dwells upon the finding that despite increased women's political participation, the regulations and policies adopted by the Chinese government tend to be directives, therefore, women in politics remain to be a minority in China.

Keywords: China, gender equality, women's political participation

ირინა მელქაძე

საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

ფართოდ გავრცელებული და ხშირად არაზუსტი შეხედულებებია ქალისა და მამაკაცის უნარებზე, თვისებებზე, სოციალურ ქცევასა და სოციალურ ფუნქციებზე. დღეს, განათლების სისტემის გარდაქმნას, დიდი მნიშვნელობა ენიჭება კერძოდ, ძალისხმევას საიმისოდ, რომ შეიცვალოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგთა და ადმინისტრატორთა ის დამოკიდებულებები, რწმენები და პრაქტიკა, რომლებიც უთანასწორობის განმსაზღვრელ ფაქტორებს შორისაა.

ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში გენდერული ხედვის ინტეგრაციისათვის ძირეული მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლებას. ამ საგნების სწავლების მიზნები და შინაარსი იძლევა შესაძლებლობას, მოსწავლეებისათვის როგორც გენდერული თანასწორობის თეორიული საფუძვლების გაცნობის, ასევე მოსწავლეებში გენდერული მგრძობელობის, გენდერული ანალიზის უნარ-ჩვევების გამომუშავებისა და სქესთა თანასწორობის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების გამყარების. საკითხისადმი სწორი მიდგომისას ქვეყანას ეყოლება მეტი დემოკრატიულად მოაზროვნე და წარმატებული ახალგაზრდა.

საკვანძო სიტყვები: ქალი, განათლება, სკოლა, სახელმძღვანელო, გენდერული თანასწორობა

გენდერი სასკოლო სახელმძღვანელოებში

(გენდერული თანასწორობის საკითხი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში)

შესავალი

კვიპროსის მითიურმა მეფემ და მოქანდაკემ, პიგმალიონმა გამოაქანდაკა ქალი, რომელიც შეუყვარდა. მან აფროდიტეს სთხოვა, სული ჩაედგა ქანდაკებისთვის, რაც ქალღმერთმა შეუსრულა კიდეც. პიგმალიონს სახელოსნოში ზუსტად ისეთი გალათეა დახვდა, რომელზეც ოცნებობდა. მსგავსი ფსიქოლოგიური მოვლენა, რომელიც მოლოდინს ამართლებს, საფუძვლად უდევს პიგმალიონის, ან როზენტალის ეფექტს. განათლების ჭრილში ეს გულისხმობს იმას თუ რამდენად ახდენს გავლენას მასწავლებლის დადებითი თუ უარყოფითი დამოკიდებულება მისი მოსწავლეების აკადემიურ წარმატებაზე. რომელიც შემდგომში განაპირობებს მაღალი ღირებულებების, სამართლებრივი და დემოკრატიული, ქართული სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას.

ფართოდ გავრცელებული და ხშირად არაზუსტი შეხედულებებია ქალისა და მამაკაცის უნარებზე, თვისებებზე, სოციალურ ქცევასა და სოციალურ ფუნქციებზე. არაერთი კვლევა აჩვენებს, რომ ქართულ საზოგადოებაში ღრმა უთანასწორობა არსებობს მოქალაქეთა სხვადასხვა ჯგუფს შორის. ქალები და გოგონები, ეთნიკური და ეროვნული უმცირესობები (განსაკუთრებით, ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონები), რელიგიური უმცირესობები, მთის მოსახლეობა, სოფლის მოსახლეობა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები და სხვა ჯგუფები სხვადასხვა ფორმის დისკრიმინაციას განიცდიან და თანასწორად არ მიუწვდებიან ხელი რესურსებსა და შესაძლებლობებზე.

გენდერული ასპექტი განათლებაში

ზოგადი განათლების სისტემა, რომელიც უნდა ემსახუროდეს იმას, რომ პიროვნული ზრდისა და პროფესიული განვითარების საფუძველი უზრუნველყოს თანასწორად ყველა მოქალაქისათვის, მათი ოჯახის რესურსების, გენდერის, ეთნიკური, რელიგიური თუ სხვა განსხვავებების მიუხედავად, ხშირად ვერ ასრულებს

ამ მისიას და, მეტიც, ხელს უწყობს იმ მექანიზმების კვლავწარმოებას და განმტკიცებას, რომლებიც უთანასწორობის მიზეზია. მართალია, უთანასწორობის განმსაზღვრელი ბევრი სხვადასხვა სისტემური და

სტრუქტურული ფაქტორი არსებობს, მაგრამ მისი ზოგიერთი ასპექტის დაძლევისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს განათლების სისტემის გარდაქმნას, კერძოდ, ძალისხმევას საიმისოდ, რომ შეიცვალოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგთა და ადმინისტრატორთა ის დამოკიდებულებები, რწმენები

და პრაქტიკა, რომლებიც უთანასწორობის განმსაზღვრელ ფაქტორებს შორისაა.

მეორე მხრივ, საქართველოს ეკონომიკური განვითარების დამაბრკოლებელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად მიჩნეულია შრომითი კაპიტალის დაბალი კვალიფიკაცია ზოგადად და, კერძოდ, პროფესიონალი ტექნიკოსებისა და STEM სპეციალისტების (საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, ტექნოლოგიები, საინჟინრო

საქმე, მათემატიკა) ნაკლებობა. გენდერის მიხედვით სხვაობა ხელფასში ასეთია:

ქალები გამოიმუშავენ დაახლოებით 40%-თ ნაკლებს, ვიდრე კაცები ანალოგიური სამუშაოსთვის (გეოსტატი 2014). ჰორიზონტალური სეგრეგაცია კი შემდეგია: ქალები და კაცები გადანაწილებულები არიან სხვადასხვა

პროფესიებში და პროფესიები, რომლებიც „ქალურად“ მიიჩნევა, როგორც წესი, უფრო დაბალანაზღაურებადია, ვიდრე ტიპურად “მამაკაცურად” მიჩნეული პროფესიები (მაგალითად, ექთანი და ექიმი). ხოლო ვერტიკალური სეგრეგაცია: დასაქმების ერთსა და იმავე სფეროშიც კი, ქალებს უფრო დაბალი თანამდებობები უკავით, ვიდრე კაცებს: ბევრად მეტი კაცია დირექტორებს,

მენეჯერებსა და ადმინისტრაციული ერთეულების ხელმძღვანელებს შორის. განათლების სფეროს რაც შეეხება, 2013-2015 წლებში კაცების საშუალო ხელფასი შეადგენდა 550 ლარს, ხოლო ქალებისა - 428.5 ლარს (აქ განსხვავება 22%-ზე ნაკლებია, უკეთესია, ვიდრე საერთო სურათი - მაგრამ მაინც მნიშვნელოვანია, გეოსტატი, 2014).

იქ, სადაც ხელფასში გენდერულ განსხვავებაზე ლაპარაკისას ორ სხვადასხვა რიცხვს გულისხმობენ: „ბრუტო“ (unadjusted) განსხვავება და დაზუსტებული (adjusted)

განსხვავება. პირველი არის სხვაობა მამაკაცებისა და საშუალო ხელფასებს შორის. ხოლო მეორეა იგივე სხვაობა მას შემდეგ, რაც გათვალისწინებული იქნება ისეთი ფაქტორები, როგორცაა განსხვავებები სამუშაო საათების რაოდენობაში, პროფესიებში, განათლების დონეში, სამუშაო გამოცდილებაში, პირადი არჩევანი და ა.შ. მაგალითად, თუ ადამიანი

აიღებს დეკრეტულ შვებულებას, ის სავარაუდოდ ვერ გამოიმუშავებს იმდენივეს,

რამდენსაც ის, ვინც ასეთ შვებულებას არ აიღებს. ასეთი ფაქტორები ნაწილობრივ

განსაზღვრავს იმას, რომ ქალები ნაკლებს გამოიმუშავებენ კაცებთან შედარებით. მაგრამ ყველა ასეთი ფაქტორის გათვალისწინებითაც კი, მთელ მსოფლიოში, ხელფასში გენდერული განსხვავება მაინც არსებობს. „ბრუტო“ განსხვავებები ბევრად უფრო მაღალია. ხელფასში გენდერული განსხვავება იწვევს იმას, რომ პენსიონერი ქალების პენსიაც უფრო დაბალია და ხადაზმულ ქალებს კაცებზე მეტად ემუქრებათ სიღარიბეში ცხოვრების საფრთხე. დისკრიმინაციას, როგორც ხელფასში გენდერული განსხვავების გამომწვევ ფაქტორს, ევროპის საბჭო რამდენიმე კატეგორიად ყოფს:

- ✓ პირდაპირი დისკრიმინაცია: როცა ქალს კაცზე ნაკლებს უხდიან იმავე სამუშაოსთვის. ასეთი დისკრიმინაცია შედარებით ნაკლებია ევროკავშირი ქვეყნებში არსებული ძლიერი ანტიდისკრიმინაციული კანონის წყალობით.
 - ✓ არაპირდაპირი დისკრიმინაცია: ქალის შრომის ნაკლებად დაფასება, ტიპურად ქალურ პროფესიებად მიჩნეულ სფეროებში ნაკლები ხელფასები (კვლევებმა უჩვენა, რომ როცა საქმიანობის რომელიმე სფეროში ქალების დომინირება იწყება, ამ სფეროში ხელფასები იკლებს, ამ სფეროს მნიშვნელობის თუ მასში გაწეული შრომის ღირებულების მიუხედავად).
- ხშირად ისმის კითხვა: ჩვენთან ხომ კანონი კრძალავს სქესის მიხედვით

დისკრიმინაციას, მაშინ როგორ შეიძლება კაცებს მეტს უხდიდნენ? ამ კითხვაზე პასუხი რამდენიმე კომპონენტს შეიცავს:

1. ვერტკალური სეგრეგაცია:

✓ იქაც კი, სადაც ხელფასები კანონით რეგულირდება - საჯარო სექტორის დიდ ნაწილში, მათ შორის, საჯარო სკოლებში - განსხვავება იქმნება იმის ხარჯზე, რომ კაცებს უფრო მაღალი თანამდებობები უკავიათ და, შესაბამისად, უფრო მაღალი ხელფასი აქვთ (საშუალოდ).

✓ რატომ უკავიათ კაცებს უფრო მაღალი და მაღალანაზღაურებადი თანამდებობები? - ამას ნაწილობრივ განსაზღვრავს ისეთი ფაქტორები, როგორცაა არათანასწორი შესაძლებლობები განათლებაში, კარიერაში (ოჯახური ტვირთი აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია). მაგრამ, ამ ფაქტორების გვერდით, არსებობს მნიშვნელოვანი დისკრიმინაცია სამსახურებში, კერძოდ, დაწინაურებისა და ხელფასის მომატების შესახებ კონკრეტულ გადაწყვეტილებებში.

2. ჰორიზონტალური სეგრეგაცია:

✓ საერთო საშუალო ხელფასში განსხვავების ნაწილი აიხსნება პროფესიებში

ქალებისა და კაცების არათანაბარი განაწილებით. მაგალითად, მეტი ქალია ექთანი, მეტი კაცია ექიმი; ექიმებშიც მეტი კაცია ქირურგი და მეტი ქალია თერაპევტი ან ოჯახის ექიმი.

✓ ეს ფაქტორი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტემ დარგებში უთანასწორობაზე მსჯელობისას, რადგან მთელ მსოფლიოში სტემ დარგებში მეტია ანაზღაურება, ვიდრე ჰუმანიტარულ დარგებში.

3. ქალების ორმაგი (ოჯახი და ანაზღაურებადი სამსახური) ტვირთი და სათანადო

ხელშეწყობის არქონა სამსახურებში. ეს ფაქტორი რამდენიმე დონეზე მუშაობს:

✓ ნაწილობრივ განსაზღვრავს ვერტიკალურ სეგრეგაციას (რადგან ბარიერია

ქალებისთვის განათლებისა და კარიერული წინსვლის შესაძლებლობებში), რაც უკვე ითქვა;

✓ პირდაპირი ფაქტორია ხელფასის განსხვავებაში, რამდენადაც ქალებს ნაკლებად შეუძლიათ დამატებით საათებში მუშაობა;

✓ განაპირობებს სუბიექტურ ფაქტორს - თვითონ ქალების არჩევანს, ნაკლებ დატვირთული და შედარებით მოქნილი გრაფიკის მქონე სამსახურები და პროფესიები ეძებონ;

✓ ნაწილობრივ განსაზღვრავს დისკრიმინაციას - დამქირავებლები თავს არიდებენ ქალი თანამშრომლების აყვანას ან ნაკლებად აფასებენ მათ, დეკრეტული შვებულების და ბავშვებიანი თანამშრომლებისათვის გასაწევი შეღავათების გამო.

4. გარდა საჯარო სექტორისა, სადაც კანონი აკონტროლებს, რომ ერთსა და იმავე თანამდებობაზე ადამიანებს ერთი და იგივე ხელფასი ჰქონდეთ, არსებობს დიდი

კერძო სექტორი, სადაც ასეთი კანონები ნაკლებად მუშაობს ან ძნელი აღსასრულებელია. არა მხოლოდ კერძო, არამედ საჯარო სექტორშიც არსებობს ინდივიდუალური კონტრაქტები, რითაც საჯარო სექტორშიც შემოდის პირდაპირი დისკრიმინაციის შესაძლებლობა. აქაც, დამქირავებელთა გადაწყვეტილებები ნაწილობრივ მაინც დამოკიდებულია მიკერძოებასა და სტერეოტიპებზე, იმაზე, რომ კულტურაში ზოგადად კაცს მეტი ღირებულება ენიჭება. ხოლო ნაწილობრივ დამოკიდებულია იმ რაციონალურობაზე, რომ ქალი თანამშრომელი, მისი ოჯახური მოვალეობების გამო, ნაკლებად შეძლებს გვიანამდე ან შაბათ-კვირას მუშაობას, მივლინებებში სიარულს და ა.შ.

არაერთი საერთაშორისო კვლევა და ექსპერიმენტი ადასტურებს მსოფლიო მასშტაბით განათლების სისტემაში გენდერული უთანასწორობის საკითხების

არსებობას. ჰარვარდის უნივერსიტეტში ჩატარდა ექსპერიმენტი, რომლის დროსაც კლასი დაყვეს ორ ჯგუფად. ერთავე ჯგუფს დაურიგდა იდენტური მოკლე ბიოგრაფიები, სადაც აღწერილი იყო ადამიანის რეალური ისტორია, თუ, როგორ მიაღწია კარიერაში დიდ წარმატებას, პიროვნული და პროფესიონალური უნარების, ცოდნის და გამოცდილების გამოყენებით. ერთადერთი განსხვავება ჯგუფებისთვის მიცემულ მოკლე ბიოგრაფიებს შორის იყო. ერთ ჯგუფში დარიგებულ ბიოგრაფიას ეწერა ქალის სახელი (ჰაიდი), მეორეში დარიგებულს

- კაცის (ჰაუარდი). შედეგად მონაწილეებმა ორივე - ჰაიდიც და ჰაუარდიც - კომპეტენტურ ადამიანად შეაფასეს, მაგრამ ჰაიდი მათ პიროვნულად არ მოეწონათ. თქვეს, რომ არ ისურვებდნენ მასთან ერთად მუშაობას. კაცების შემთხვევაში, კორელაცია პიროვნულ სიმპათიასა და წარმატებას შორის დადებითი იყო, ხოლო ქალების შემთხვევაში - უარყოფითი (ანუ რაც უფრო წარმატებულია ქალი, მით უფრო ნაკლებად მოსწონთ ის პიროვნულად კაცებსაც და ქალებსაც). გამომდინარე იქედან, რომ წარმატებული ქალი ეწინააღმდეგება ქალის „ტრადიციულ“ და სტერეოტიპულ აღქმას, სცდება საზოგადოებაში დაწესებულ ნორმებს. ამიტომ, ადამიანებს მისდამი ხშირად ნეგატიური დამოკიდებულება უყალიბდებათ. ეს მოვლენა საკმაოდ სერიოზულ დაბრკოლებებს უქმნის ქალებს, რომლებიც ცდილობენ, იყვნენ წარმატებულნი, განსაკუთრებით კი - სტერეოტიპულად „კაცურ“ სფეროებში (მეცნიერებაში, პოლიტიკაში და ა.შ.)

გენდერული ნიშნით განსხვავება გოგონებსა და ვაჟებს შორის მკვეთრად ჩანს კიდევ ერთ ექსპერიმენტში, რომელიც მათემატიკის სწავლებაში ჩატარდა.

ამ ფსიქოლოგიური კვლევის დროს მონაწილეები თანაბრად გაყვეს ორ ჯგუფად. ორივე ჯგუფში იყვნენ გოგონებიც და ბიჭებიც. მათ 10 წუთის განმავლობაში უნდა ამოეხსნათ 7 რთული მათემატიკური ამოცანა. დაწყებამდე ერთ ჯგუფს უთხრეს, რომ ტესტის მიზანი იყო, გაერკვია, რატომ არიან გოგონები უფრო სუსტები მათემატიკაში, ვიდრე ბიჭები. მეორე ჯგუფისთვის ასეთ რამ არ უთქვამთ. შედეგად ჯგუფში, რომელშიც ტესტირების წინ ნეგატიურ სტერეოტიპზე გაამახვილეს

ყურადღება, გოგონებმა გაცილებით ცუდად დაწერეს. მეორე ჯგუფში კი არ იყო საგრძნობი განსხვავება ბიჭებისა და გოგონების შედეგებს შორის. სტერეოტიპების გავლენა იმდენად ძლიერია, რომ ნეგატიური სტერეოტიპების უბრალოდ ხსენებაც კი საკმარისია, რომ ამან უარყოფითი გავლენა იქონიოს შედეგებზე. ამას სტერეოტიპული საფრთხე ეწოდება.

საზოგადოდ რეკომენდებულია, რომ სასწავლო მასალების შინაარსი რეალისტური იყოს იმ სოციალურ და კულტურულ კონტექსტებთან მიმართებაში, რომლებშიც ისინი გამოიყენება. თუმცა ეს რეკომენდაცია სიფრთხილით უნდა მივიღოთ, რადგან მისი პირდაპირი მნიშვნელობით გაგება შეიძლება სტერეოტიპებისა და მიკერძოების გაძლიერებას უწყობდეს ხელს. თვითონ რეალობა არათანასწორი - მართალია, ის არასოდეს არ შეესაბამება სტერეოტიპებს ზუსტად, ზოგად კონტურებში ის ხშირად თანხმობაშია მათთან:

✓ რეალობაა, რომ ქალები ასრულებენ საოჯახო საქმის უდიდეს ნაწილს, თუმცა არსებობენ კაცებიც, რომლებიც მონაწილეობენ ასეთ საქმეებში;

✓ რეალობაა, რომ უფრო მეტ ოჯახში „მარჩენალი“ კაცია, თუმცა, სტერეოტიპების საწინააღმდეგოდ, ბევრი ოჯახის ეკონომიკური უზრუნველყოფა ქალის (ან ქალების) პასუხისმგებლობაა;

✓ რეალობაა, რომ უფრო მეტი ბიჭი ირჩევს პროფესიად ფიზიკოსობას ან საინჟინრო საქმეს, თუმცა, სტერეოტიპების საწინააღმდეგოდ, ბევრი წარმატებული ქალიც არის ამ დარგებში.

სტერეოტიპები ძალიან მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ იმას, თუ როგორ ვხედავთ რეალობას. ზოგიერთი სტერეოტიპი პირდაპირ ეწინააღმდეგება რეალობას (გავიხსენოთ რწმენა, რომ გოგონებს ნაკლებად ეხერხებათ მათემატიკის სწავლა, ვიდრე ბიჭებს), მაგრამ ეს რეალური ფაქტები ფართოდ ცნობილი არ არის და იმის საყოველთაო წარმოდგენას, თუ რა არის რეალობა, განსაზღვრავს სტერეოტიპები. ასე რომ, ბევრ შემთხვევაში „უფრო რეალისტურად“ შეიძლება

გვეჩვენებოდეს ის შინაარსი, რომელიც სულაც არ შეესაბამება რეალობას.

საქართველოს პარლამენტმა 2010 წლის 26 მარტს მიიღო კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“, რომლის უმთავრესი მიზანია საკანონმდებლო დონეზე სქესის ნიშნით ადამიანთა თანასწორობის პრინციპების განმტკიცება და გენდერული თანასწორობის მისაღწევად შესაბამისი საკანონმდებლო გარანტიების შექმნა. კანონი აღიარებს ადამიანთა თანასწორობას სოციალური და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, როგორცაა შრომითი ურთიერთობები, განათლებისა და მეცნიერების სფერო, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სფერო, საოჯახო ურთიერთობები, საინფორმაციო რესურსებით სარგებლობა, საარჩევნო უფლებების რეალიზაცია და სხვ. კანონით განსაზღვრული გენდერული თანასწორობის რეალურ ცხოვრებაში დასამკვიდრებლად მნიშვნელოვანია მისი დანერგვა განათლებაში. კერძოდ კი სკოლებში, სხვადასხვა დისციპლინების სწავლებისას.

ტერმინი გენდერი განიმარტება, როგორც სქესთა შორის ურთიერთობის სოციალური ასპექტი, რომელიც გამოხატულია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და გულისხმობს სოციალიზაციით განპირობებულ შეხედულებებს ამა თუ იმ სქესზე. ხოლო გენდერული თანასწორობა ეს არის ადამიანის უფლებათა ნაწილი, რომელიც გულისხმობს ქალისა და მამაკაცის თანასწორ უფლება-მოვალეობებს, პასუხისმგებლობას და თანასწორუფლებიან მონაწილეობას პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში; იგულისხმება, რომ ქალსა და მამაკაცს აქვთ თანაბარი პირობები და ცხოვრებისეული შანსები თავიანთი პოტენციალის სრული რეალიზაციისათვის, თანაბრად მონაწილეობენ პროცესებში და თანაბრად სარგებლობენ საზოგადოებრივი სიკეთეებით, შესაძლებლობებითა და რესურსებით. მათი ინტერესები თანაბრად უნდა იყოს გათვალისწინებული ყველა დონეზე, ხოლო მათი წვლილი თანაბრად დაფასებული.

ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაერთიანებული ერების კონვენციას 1994 წლიდან საქართველოც შეუერთდა. ამ კონვენციის მოთხოვნების შესრულების ვალდებულება იკისრა ცხოვრების ყველა

სფეროში, მათ შორის, განათლებაშიც. 1995 წელს საქართველო ასევე შეუერთდა პეკინის სამოქმედო პლატფორმას, სადაც იკისრა ვალდებულება ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებით. აღნიშნული გეგმა 1998-2000 წლებში შემუშავდა, სადაც ასევე აისახა სასკოლო სახელმძღვანელოების გენდერული ანალიზის განხორციელების საჭიროება. გენდერული ანალიზი - გულისხმობს ქალსა და მამაკაცზე ამა თუ იმ პოლიტიკის, პროგრამის, სტრატეგიული მიდგომის, ინსტიტუტის განსხვავებული ზემოქმედების გამოვლენასა და შესწავლას. ნებისმიერი მასალის საგულდაგულო შესწავლას მასში გენდერული თანაფარდობის (თანასწორობის ან მათი ნაკლებობის) გამოსავლენად.

2006 წლის 24 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფცია, ხოლო 2007 წელს დაამტკიცა გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2007-2009 წლების სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმით გენდერული თანასწორობის მიღწევისათვის განათლების სფეროში შემდეგი ღონისძიებები დაიგეგმა:

- ✓ განათლების სისტემაში გენდერთან დაკავშირებული სტერეოტიპების ჩანაცვლება ახალი, გენდერულ თანასწორობაზე ორიენტირებული ხედვით განათლების ყველა საფეხურზე;
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებში გენდერული ასპექტების გათვალისწინება;
- ✓ განათლების სამინისტროს საგანმანათლებლო სტანდარტების შემუშავებელ შესაბამის ჯგუფში გენდერული საკითხების ექსპერტების ჩართვა;
- ✓ სახელმძღვანელოების გენდერული ექსპერტიზის განხორციელება სახელმძღვანელოებში გენდერული თანასწორობის გათვალისწინებით;
- ✓ პედაგოგთა უწყვეტი განათლების სისტემაში გენდერულ საკითხთა სწავლების კომპონენტის ჩართვა. (გენდერული თანასწორობის საბაზისო საკითხების შესახებ ინფორმაციის ჩართვა პედაგოგთა უწყვეტი განათლების პროგრამაში)

კვლევა, რომელიც 2006 წელს საქართველოს ქალთა ორგანიზაციების კოალიციის სამუშაო ჯგუფმა „ქალი და განათლება“ ეუთოს დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის ბიუროს პროექტის ფარგლებში განახორციელა დაწყებითი კლასების სახელმძღვანელოების გენდერული ანალიზი. კვლევის მთავარი დასკვნა სახელმძღვანელოებში საკმარისად ძლიერი გენდერული სტერეოტიპების შემცველობას ადასტურებდა. კვლევის მიზანი იყო დაბალანსებულია საბაზო საფეხურის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების სასწავლო სახელმძღვანელოები გენდერული თანასწორობის კუთხით დაბალანსების გამოვლენა. კერძოდ: ასახავს თუ არა გენდერული თანასწორობის საკითხებს, ამყარებს თუ არა მოსწავლეებში პოზიტიურ დამოკიდებულებას სქესთა თანასწორობის შესახებ, გვხვდება თუ არა სასწავლო მასალებში გენდერული სტერეოტიპები, არსებული ანალიზის საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავება განათლების სისტემაში გენდერული ხედვის ინტეგრაციის ხელშეწყობისათვის. წინასწარი დაშვებით, ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის საბაზო საფეხურზე (VII-IX კლასი) საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლება ვერ უზრუნველყოფს სქესთა თანასწორობის იდეის განვითარების ხელშეწყობას. კვლევის ფარგლებში შესასვლილი იყო 2012 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, საბაზო საფეხურის 8 სახელმძღვანელო : საქართველოს ისტორია, ისტორია და სამოქალაქო განათლება.

დასკვნა

სახელმძღვანელოების გენდერულ ანალიზის განსახორციელებლად მკვლევარებმა გამოიყენეს, როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მეთოდები. შესწავლილ იქნა მდებრობითი და მამრობითი პერსონების რეპრეზენტაციის რაოდენობრივი მაჩვენებლები ილუსტრაციებში და ტექსტში. როგორც ტექსტი, ისე ილუსტრაციები შესწავლილ იქნა თვისებრივი მეთოდებითაც. გამოვყოფილ იქნა ისეთ

კატეგორიები, როგორცაა: მამაკაცისა და ქალის თვისებები, საქმიანობა და გენდერული როლები (საოჯახო სტატუსი, პროფესიული აქტივობა). ასევე იძლევა თუ არა სახელმძღვანელოები გენდერული თანასწორობის საკითხების შესახებ თეორიულ ცოდნას და განხილულია თუ არა სახელმძღვანელოებში შესასწავლი საკითხები გენდერულ ჭრილში.

შედეგად საზოგადოებრივი მეცნიერებები სახელმძღვანელოებში სქესთა თანასწორობის საკითხების ასახვის დროს გამოიკვეთა საერთო ტენდენციები. კერძოდ რაოდენოვრივში ასეთი შედეგი დადგა:

✓ სახელმძღვანელოს ავტორთა უმრავლესობა - 66% მამრობითი სქესისაა, ხოლო ქალი ავტორები მხოლოდ 34%-ს შეადგენენ.

✓ ილუსტრაციების რაოდენობა, რომელზეც მხოლოდ მამრობითი სქესია გამოსახული (77%), მკვეთრად აღემატება მხოლოდ მდედრობითი სქესის გამოსახულებიან ილუსტრაციებს (საერთო რაოდენობის 7%).

✓ ილუსტრაციათა 16%-ზე ორივე სქესის წარმომადგენლები არიან გამომხატული.

✓ ქალთა სქესი, მათი როლი და დამსახურება მწირადაა წარმოდგენილი.

✓ გამოჩენილი ადამიანების დიდი უმრავლესობა მამაკაცია.

✓ სახელმძღვანელოში მოხსენიებულია მდედრობითი სქესის სულ 80-მდე ისტორიული პირი.

რაც შეეხება თვისებრივს შემდეგია:

✓ მამაკაცი არის მეფე-მბრძანებელი, გადაწყვეტილების მიმღები, მებრძოლი, მხედართმთავარი ან მეამბოხე, აქტიური მოღვაწე. იგი „ქმნის“ ისტორიას, ხოლო ქალი პასიურ, „უმნიშვნელო“ როლშია.

✓ ილუსტრაციებზე მამაკაცები, მათზე დაკისრებული როლებიდან გამომდინარე, ბევრად აქტიურები, შეუპოვრები, მებრძოლნი არიან, ხოლო ქალები, ძირითადად, შრომით ან გართობით არიან დაკავებულნი.

✓ ასეთი ილუსტრაციები ემსახურება მცდარი სტერეოტიპული აზროვნების განმტკიცებას, რომლის მიხედვითაც ქალთა როლი „პასიურია“, ხოლო მამაკაცისა - „მნიშვნელოვანი“.

ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში გენდერული ხედვის ინტეგრაციისათვის ძირეული მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლებას. ამ საგნების სწავლების მიზნები და შინაარსი იძლევა შესაძლებლობას, მოსწავლეებისათვის როგორც გენდერული თანასწორობის თეორიული საფუძვლების გაცნობის, ასევე მოსწავლეებში გენდერული მგრძობელობის, გენდერული ანალიზის უნარ-ჩვევების გამომუშავებისა და სქესთა თანასწორობის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების გამყარების. საკითხისადმი სწორი მიდგომისას ქვეყანას ეყოლება მეტი დემოკრატიულად მოაზროვნე და წარმატებული ახალგაზრდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ირმა ხომერიკი მანანა ჯავახიშვილი თამარ აბრამიშვილი „გენდერული თანასწორობის საკითხი საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლებისას სახელმძღვანელოების გენდერული ანალიზი“, თბილისი 2012
<https://cciiir.ge/images/pdf/genderuli%20tanascorobis%20sakitxebi.pdf>
2. საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, თბილისი 2010
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/91624?publication=9>
3. ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია, რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 1994წ. 22 სექტემბრის N 561 დადგენილებით
<https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi9.pdf>
4. საქართველოში ქალთა უფლებების დაცვის ღონისძიებების განმტკიცებათა შესახებ, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება #511, თბილისი 1999
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/113068?publication=0>

5. საქართველოს პარლანეტის დადგენილება „საქართველოს გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ, თბილისი 2006

6. „გენდერული თანასწორობის ეროვნული გეგმა“ , თბილისი 2018

<https://georgia.unwomen.org/ka/news/stories/2018/04/government-of-georgia-approves-two-2018-2020-national-action-plans>

7. ისტორია, მე-7 კლასი, ე. მეძმარიაშვილი, მ. პაპაშვილი, რ. დაუშვილი, თ. პაპასქირი, ლ. გიორგობიანი, გამომცემლობა „კლიო“

8. ისტორია, მე-7 კლასი, გ. სანიკიძე, ლ. გორდეზიანი, ლ. ფირცხალავა, გამომცემლობა „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“

9. ისტორია, მე-8 კლასი, ე. მეძმარიაშვილი, თ. პაპასქირი, მ. პაპაშვილი, რ. დაუშვილი, ო. ჯანელიძე, ა. თაბუაშვილი, თ. ხატიაშვილი, მ. კავთიაშვილი, გამომცემლობა „კლიო“

10. ისტორია, მე-8 კლასი, გ. სანიკიძე, რ. გაჩეჩილაძე, ლ. გორდეზიანი, ნ. კილურაძე, ზ. მიმინოშვილი, გამომცემლობა „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“

11. საქართველოს ისტორია, მე-9 კლასი, ო. ჯანელიძე, ა. თაბუაშვილი, ლ. თავაძე, ნ. ირემაშვილი, გამომცემლობა „კლიო“

12. საქართველოს ისტორია, მე-9 კლასი, ნ. ასათიანი, მ. ლორთქიფანიძე, ფ. ლომაშვილი, რ. მეტრეველი, გ. სანიკიძე, გ. ოთხმეზური, გამომცემლობა „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“

13. სამოქალაქო განათლება, მე-9 კლასი, ნ. ტალახაძე, თ. ქალდანი, თ. ბრეგვაძე, ი. პეტრიაშვილი, გამომცემლობა „სიდი“

14. სამოქალაქო განათლება, მე-9 კლასი, თ. მეიფარიანი, ლ. მიქიაშვილი, ი. ჯალაღანია, მ. გონაშვილი, მ. თოქმაზიშვილი, დ. შავლობაშვილი, რ. დალაქიშვილი, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“

Gender in school textbooks

(The issue of gender equality in general education schools)

Resume

In modern society, there are widespread and often inaccurate views about the skills, qualities, social behavior and social functions of women and men. Numerous studies show that in Georgian society there is a deep inequality between different groups of citizens.

In 2006, the working group of the Coalition of Women's Organizations of Georgia "Women and Education" carried out a gender analysis of textbooks for primary school within the framework of the project of the OSCE Office for Democracy and Human Rights. The main conclusion of the study confirmed the presence of fairly strong gender stereotypes in textbooks. The aim of the study was to strike a balance between textbooks on gender equality in basic history and civic education. In particular: Does it reflect issues of gender equality, does it reinforce positive attitudes of students towards gender equality, does it show gender stereotypes in teaching materials, develops recommendations based on existing analysis to promote gender mainstreaming in the education system. With admission, teaching social sciences at the basic level of the general education system (grades VII-IX) does not contribute to the development of the idea of gender equality. The study included textbooks awarded by the Ministry of Education and Science in 2012, 8 basic level textbooks: history, history and civic education of Georgia.

The teaching of social sciences is fundamental to integrating a gender vision into the general education system. The objectives and content of teaching these subjects enable students to get acquainted with the theoretical foundations of gender equality, as well as to develop in students gender sensitivity, gender analysis skills and form a positive attitude towards gender equality. With the right approach to the issue, there will be more democratic and successful youth in the country.

ირინა ცერცვაძე

საქართველოს ტექნიკური

უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

კულტურა კარნახობს საზოგადოების წევრებს გენდერულ ნორმებსა და ქცევებს. ქალები და მამაკაცები აქტიურად ირჩევენ ურთიერთობების წესებს შედეგების მისაღწევად. ამ არჩევნას სოციოკულტურული ნორმები უდევს საფუძვლად.

კომუნიკაცია - ადამიანთა საბაზისო მოთხოვნილებაა. ადამიანი სოციალური არსებაა და ყოველდღიურად უამრავი კონტაქტების დამყარება უხდება. სოციალური კომუნიკაციების ფუნქციები ძალიან წააგავს მართვის და სიგნალიზაციის იმ პროცესებს, რომელსაც ადგილი აქვს ცოცხალ ორგანიზმებსა და ცხოველთა სამყაროში. მათ ძირითად ფუნქციას სისტემის მდგრადობის შენარჩუნება წარმოადგენს. ნაშრომში გაანალიზებული გენდერული ასპექტი საზოგადოებრივ ურთიერთობებსა და ეფექტური კომუნიკაციის წარმართვის პროცესში.

საკავანძო სიტყვები: გენდერული როლი, ქალი, საზოგადოებასთან ურთიერთობა, კომუნიკაცია

გენდერული როლის მნიშვნელოვანი ასპექტები საზოგადოებრივ ურთიერთობებსა და ეფექტური კომუნიკაციის წარმართვის პროცესში

შესავალი

გენდერული დიფერენციაცია და ასიმეტრია არსებობს ყველა საზოგადოებასა და კულტურაში. გენდერული როლი, მასკულინური (მამაკაცური) და ფემინური (ქალური) სოციოლოგიური ქცევებით არის განსაზღვრული, რომელიც სხვადასხვა კულტურის მიერ განპირობებულ ქცევებს გულისხმობს და მოიცავს იმ ნიშან-თვისებებს, რომელსაც მათ საზოგადოება ბიოლოგიური სქესის მიხედვით უწესებს.

გენდერული როლების ტრადიციული ხასიათით ჩამოყალიბებას თავისი ისტორიული წინაპირობა ჰქონდა. ეს მომდინარეობს საზოგადოების განვითარების უძველესი ხანიდან და დამოკიდებულია კონკრეტულ სოციოეკონომიკურ, პოლიტიკურ, კულტუროლოგიურ კონტექსტზე და განიცდის სხვადასხვა ფაქტორების გავლენას რასის, ეთნიკურობის, კლასის, ასაკის მიხედვით.

გენდერული როლები ფართოდ განსხვავდება თითოეული კულტურის ფარგლებში და კულტურებს შორის. პიროვნების ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებით გენდერული როლები შეიძლება შეიცვალოს. გენდერი საზოგადოებაში ვლინდება სხვადასხვა საშუალებებით. ენა თამაშობს ძირითად როლს მის იდენტიფიცირებაში. „ენა, ვინაიდან სოციალური პრაქტიკის სფეროს განეკუთვნება, ისიც აგრეთვე ადამიანის ვინაობის ჩამოყალიბებაში მონაწილეობს,“ - სოფი ბაი.

ნებისმიერი სფეროს წარმატებულად წარმართვისათვის მნიშვნელოვანია ეთიკურ ნორმებთან ერთად საზოგადოებრივი ურთიერთობები, ეფექტური კომუნიკაციის დამყარება სოციალურ ჯგუფებთან, ინფორმაციის სწორად მიწოდება. კომუნიკაციის დროს მნიშვნელოვანია გენდერის როლის გათვალისწინება. გენდერული კომუნიკაცია შეიძლება იყოს შემთხვევითი ან განზრახული. ნებისმიერ დროს ჩვენ შემთხვევით ან განზრახ ვაგზავნით შეტყობინებას, რომელზეც ჩვენმა ან სხვა ადამიანის გენდერმა იქონია ზეგავლენა. ამიტომ თვლიან, რომ ამ დროს გვაქვს გენდერული კომუნიკაცია, რაც იწვევს სხვადასხვა რეაქციას. გენდერული შეტყობინებით ჩვენ ხელს ვუწყობთ და ვაძლიერებთ აზროვნებისა და ქცევის მანერას.

საზოგადოებასთან ურთიერთობის (PR) თანამედროვე სამსახურის პრაქტიკისა და თეორიის ფუძემდებელი სემ ბლეკის განმარტებით, კომუნიკაციის ჰარმონიულობის მისაღწევად მნიშვნელოვანია: სამართლებრივი საფუძველი, სრული ინფორმაციულობა და გამჭვირვალობა.

კომუნიკაცია - ადამიანთა საბაზისო მოთხოვნილებაა. ადამიანი სოციალური არსებაა და ყოველდღიურად უამრავი კონტაქტების დამყარება უხდება. ჰაროლდ ლასუელი კომუნიკაციას განიხილავდა, როგორც სოციალური მნიშვნელობის მქონე

პროცესს, რომელსაც გააჩნია შინაგანი სტრუქტურა და მიმართულება. ვინაიდან კომუნიკაცია სიცოცხლის ყველა ფორმისთვის არის დამახასიათებელი, სოციალური კომუნიკაციების ფუნქციები ძალიან წააგავს მართვის და სიგნალიზაციის იმ პროცესებს, რომელსაც ადგილი აქვს ცოცხალ ორგანიზმებსა და ცხოველთა სამყაროში. მათ ძირითად ფუნქციას სისტემის მდგრადობის შენარჩუნება წარმოადგენს.

ჰაროლდ ლასუელი განსაზღვრავს მასობრივი კომუნიკაციის სამ მთავარ სოციალურ ფუნქციას: საინფორმაციო ფუნქცია (გაცნობით/შემეცნებითი ხასიათის); კორელაციური ფუნქცია (ინფორმაციის ახსნა/ინტერპრეტაცია); კულტურული მემკვიდრეობის „ტრანსმისიის„ (გადაცემის) ფუნქცია, რომელიც კომუნიკაციის შემეცნებით - ლუტუროლოგიურ ასპექტს წარმოადგენს. სწორედ ეს ფუნქცია უზრუნველყოფს კულტურის მემკვიდრეობითობასა და უწყვეტობას. თანამედროვე ამერიკელი სოციალური ფსიქოლოგი, ელიოტ არონსონი თავისი წიგნის „სოციალური ცხოველი„ მესამე თავში მსჯელობს მასობრივი კომუნიკაციის პროცესის შესახებ და ყურადღებას უთმობს „ლასუელის ფორმულის„ სამ ძირითად ასპექტს: კომუნიკაციის წყაროს, ბუნებასა (ინფორმაციის მიწოდების ფორმა) და აუდიტორიას (რაგვარობა)

კომუნიკაციის წყაროსადმი ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაა სარწმუნოება, პრესტიჟულობა, კომუნიკაციის ავტორიტეტულობა, რაც თავის დროზე არისტოტელემ პირველმა გაამახვილა ყურადღება. იგი ორატორის პიროვნულ ღირსებებს, დადებით თვისებებს, კეთილშობილურ ბუნებასა და ზნეს მიიჩნევდა დარწმუნების მთავარ იარაღად.

გარესამყაროსთან ურთიერთობის პროცესში ადამიანი გრძნობითა და აზროვნებითი არხებით იღებს და გადაამუშავებს ინფორმაციას. თითოეული ჩვენგანის სუბიექტურ სამყაროში ინფორმაცია წარმოდგენილია: ვიზუალური, აუდიალური, კინესთეტიკური არხებით, ან აზრების სახით (ანუ როგორც უწოდებენ დიჯიტალურად). დადგენილია, რომ ვერბალური სახით ინფორმაცია მხოლოდ 1/3 - დი, დანარჩენი კი არავერბალურად გადაიცემა. ამასთან ადამიანები არავერბალურ

მანიშნებლებს (ხმის, ტონი, გარეგნობა, მზერა..) უფრო მეტად ენდობიან, ვიდრე ვერბალურს. ფიზიკური გარემო და ურთიერთობის სახე განსაზღვრავს კომუნიკაციის პროცესსა და კონტექსტს. კომუნიკაციის კონტექსტში შედის კულტურაც.

კულტურა განაპირობებს ადამიანათა სოციალური ჯგუფების ცხოვრების სტილს, რომელიც ერთი თაობიდან მეორეში კომუნიკაციის მეშვეობით გადადის. ადამიანები არ ირჩევენ კულტურას, ისინი გარკვეულ კულტურულ სივრცეში იზადებიან.

კულტურა საზოგადოების შინაგანი მახასიათებელია, რომელიც ააშკარავებს მის არსს.. კულტურა არსებობს იმდენად, რამდენადაც არსებობს ადამიანი, რადგანაც წარმოდგენელია ადამიანის მოაზრება კულტურის გარეშე, ისევე როგორც კულტურისა - ადამიანის გარეშე. ეფექტური ვერბალური კომუნიკაციის წარმართვის პროცესში, მნიშვნელოვანია ენის ფუნქციების სრულყოფილად გამოყენება: ურთიერთობის წარმართვა, გრძნობების გამოხატვა, ინფორმაციის შინაარსის გადაცემა. უძველესი დროიდან განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობდნენ ის პიროვნებები, რომელთაც სოციალური მართვის სფეროში თავისი კომუნიკაბელურობითა და ეფექტური კომუნიკაციის წარმართვით შეეძლოთ მოეგვარებინათ საკითხები. ადამიანები ურთიერთობებისთვის არავერბალურ კომუნიკაციის იყენებდნენ. (ჟესტები, გამომეტყველება, ემოცია, მზერა...) ის განხილულია არისტოტელეს და პლატონის ნაშრომებში.

უძველესი რომის სახელმწიფოს პოლიტიკური მოღვაწე, ორატორი - ციცერონი განსაკუთრებით მნიშვნელობას ანიჭებდა ფსიქოლოგიას, მსმენელთა ინტერესებს, გემოვნებას. მისი აზრით, ორატორის ამოცანაა ესთეტიკურად გაართოს მსმენელი, ზეგავლენა მოახდინოს ხალხის მოქცევაზე, ნებისყოფაზე, რათა ჩართოს ისინი აქტიური მუშაობაში. ძველ საბერძნეთში ყველაზე მეტად ფასდებოდა ურთიერთობის უნარი, თანამოსაუბრის დარწმუნება. საუკეთესო ორატორებს, სოფისტებს მიმართავდნენ ხოლმე. საჯარო დიალოგის ხელოვნება ერთმანეთის წინაშე პრინციპული თანაბრობით არის გამოხატული - იულიუს ცეზარი.

არავერბალური კომუნიკაციის წარმართვის პროცესში „სხეულის ენის გამოყენება,, ხუთი ტიპის ფუნქციას მოიცავს: ემბლემები (რომელიც სიტყვის მაგივრად იხმარება); ილუსტრატორები (წარმოთქმული სიტყვების ილუსტრაცია შესტების გამოყენებით); გრძნობების მაჩვენებლები (ემოციის გამოხატვა); რეგულატორები (აკონტროლებს მოსაუბრის მეტყველებას მაგ: მზერა), ადაპტორები (ჩვეულებრივ ადამიანის რაიმე მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ემსახურება).

გენდერული განსხვავებები არავერბალურ კომუნიკაციაში

ხმის სიმაღლე - ქალები მიდრეკილნი არიან მაღალი ხმის ტემბრისკენ, რაც განპირობებულია საზოგადოებაში მათი პასუხისმგებლობის ზრდით. ის ასოციაციით, დაბალ ხმას ძალაუფლებასთან, საიმედოობასთან აკავშირებს. ძალაუფლების მქონე ქალი (მაგ. პოლიტიკოსი) საგანგებოდ იყენებენ დაბალი რეგისტრის ხმას უხერხული მდგომარეობის გასაწეიტრალეზლად;

➤ **მოდულაცია** - ქალები მიდრეკილნი არიან მზარდი ტონისკენ (დაახლოებით 5 ტონი) კაცები, საუბრისას იყენებენ დაბალ ტონს;

➤ **მახვილი** - მამაკაცები ხმამაღლა საუბრობენ და იყენებენ მახვილს, რათა ხაზი გაუსვან მნიშვნელოვან საკითხს;

➤ **წარმოთქმა** - ქალები უფრო გარკვევით მეტყველებენ, ვიდრე მამაკაცები;

➤ **გრამატიკა/ჰიპერკორექცია** - ქალები, ზუსტ გრამატიკულ ფორმებს იყენებენ მეტყველებაში;

➤ **აღწერა** - მამაკაცები, ზოგადად აღწერენ სხვადასხვა მოვლენებს, ქალები - დეტალურად;

➤ **კითხვები** - მამაკაცებს შესწვეთ უნარი სწრაფად მოახდინონ საუბრის დროს მიღებული ინფორმაციის ინტერპრეტირება; ქალები - კითხვებით ცდილობენ ინფორმაციის მოძიებას;

➤ **გენდერის კონსტრუირება** ხდება როგორც ვერბალური, ასევე არავერბალური კომუნიკაციით. საუბრები, გაზეთები, ტელევიზია, რეკლამები,

სამეცნიერო და აკადემიური ჟურნალები, მუსიკა, კინო და კომუნიკაციის ყველა ფორმა, რომლებიც გადასცემს შეტყობინებებს აყალიბებს გენდერის გაგებას.

კულტურა კარნახობს საზოგადოების წევრებს გენდერულ ნორმებსა და ქცევებს. ქალები და მამაკაცები აქტიურად ირჩევენ ურთიერთობების წესებს შედეგების მისაღწევად. ამ არჩევნას სოციოკულტურული ნორმები უდევს საფუძვლად.

ენის გენდერული თავისებურება მედიაში გამოიხატება. რეკლამაში ქალების როლთან დაკავშირებით ერთ-ერთი ყველაზე ადრეული და ცნობილი კვლევა ჩაატარა ქალთა ეროვნულმა ორგანიზაციამ ამერიკაში და გამოაქვეყნა ნიუ- ორკ ტაიმსის ჟურნალში. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ რეკლამების 1/3 აჩვენებს ქალებს, როგორც მამაკაცზე დამოკიდებულ საოჯახო სუბიექტს. ორივე სქესის წარმომადგენლებისთვის, მნიშვნელოვანია მათი ვიზუალი, ჩაცმულობა როგორც სოციალურ წრეებში, ასევე სატელევიზიო სივრცეში.

გენდერული როლების განხილვისას, ეფექტური კომუნიკაცია მოიცავს ასევე კონკრეტულ უნარ-ჩვევების გამომუშავებას. კომუნიკაციის უნარი თანდაყოლილი თვისება არ არის. მისი სწავლა, დახვეწა შესაძლებელია. ადამიანი სოციალური არსებაა და ყოველდღიურად უხდება ინფორმაციის მიღება-გაცვლა გარკვეული მიზნის მისაღწევად. ეფექტური კომუნიკაცია გულისხმობს არამარტო ინფორმაციის მიწოდებას, არამედ მიღებასაც. მისი მიზანია, სასურველი საპასუხო რეაქციის გამოწვევა მეორე ადამიანში. ვერბალური კომუნიკაციის წარმართვისას, პრობლემის წარმოშობის ორი მიზეზი არსებობს: არასწორი საუბარი და არასწორი მოსმენა. მსმენელი ყველაზე კარგად იმახსოვრებს საუბრის დასაწყისს და ბოლო ნაწილს. ასევე მნიშვნელოვანია შეგვეძლოს საუბრის მთავარი მესიჯის და სწორად დასმული პოზციონირების ჩამოყალიბება. აქტიური მოსმენა ეფექტური კომუნიკაციის საფუძველია. **მილტონ ერიქსონი** იყო პირველი, ვინც თქვა, რომ არსებობს ასოციაციური კავშირი. სიტყვას კომუნიკაციისას 11% უჭირავს, ხმას ,ინტონაციას 27%, ჟესტებს მიმიკას და სხვა არავერბალურ მანიშნებლებს 62%..

ყველა ადამიანს, გენდერული როლის მიუხედავად, თავისი სუბიექტური, უნიკალური შინაგანი სამყარო აქვს, ამის გამო ერთსა და იმავე მოვლენას სხვა და სხვა ადამიანი თავისი სუბიექტური რეალობიდან გამომდინარე განსხვავებულად აღიქვამს. კომუნიკაციაში არსებობს ოთხი ძირითადი ელემენტი: გამგზავნი. შეტყობინება, არსი, მიმღები. კომუნიკაციის ეფექტური წარმართვის პროცესში სოციალურ ჯგუფებს შორის მნიშვნელოვანია ეთიკის ნორმების დაცვა. რომელიც განსაზღვრავს ორგანიზაციის, პიროვნების იმიჯს. იგი მრავალფაქტორიანი ფენომენია, რომელზეც გავლენას ახდენს როგორც შინაგანი, ასევე გარეგანი ფაქტორები. ეთიკური სტანდარტების დამკვიდრება, ნდობა, რეპუტაცია და სოლიდურობის ერთიანობა ორგანიზაციის, პიროვნების შესაბამისი იმიჯის განმსაზღვრელია.

„პროფესიული ეთიკის“ ნორმების დაცვით, საზოგადოებასთან აქტიური და ეფექტური კომუნიკაცია, ემოციური, ფუნქციური და მორალური, აბსოლუტური, ეგზისტენციალური (გადაწყვეტილებას მყისიერი პრაქტიკული არჩევანის საფუძველზე იღებს. ეს მიდგომა გარკვეულწილად ემყარება არისტოტელეს მოსაზრებას - არასოდეს თქვა, არასოდეს) და სიტუაციური (სიტუაციონალისტს სწამს, რომ ნებისმიერი გადაწყვეტილების საფუძველს ქმნის ის რაღაც, რასაც უმცირესი ზიანისა და უდიდესი სიკეთის მოტანა შეუძლია, ამას ხშირად უტალიტარულ მიდგომას უწოდებენ) ღირებულებების ერთობლიობა განსაზღვრავს ნებისმიერი სფეროს წარატებას, პიროვნების პრეზენტაბელობას, ორგანიზაციის იმიჯსა და რეზონანსულობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1 ბაი სოფი (მთარგმნელი ქ. ჯაში) სქესი და კომუნიკაციის პროცესი, სამეცნიერო შრომათა კრებული „ენა და კულტურა,, თბ 2005;
- 2 ნ.ლოდარია „სოციოლინგვისტიკა,, გამომც „მეცნიერება,, 2022 წ

3 ლ.კაპანაძე, ე. ხახუტაშვილი „საზოგადოებასთან ურთიერთობა„ - თსუ 2003წ.

4 <https://www.civiceducation.ge/ka/lessons/4-38>

Irina Cercvadze

PHD Student of GTU

Important aspects of gender roles in the process of conducting public relations and effective communication

Resume

In The Article it is reviewed the definitions of public relations (PR) and other related disciplines used in the work. The scientific-theoretical foundations of PR as a modern technology and its role in the process of democratization of public life and the interaction of social subjects are discussed. All the modules and PR tools that influence public opinion in the modern era are analyzed. Many public relations strategies used to communicate with large audiences are also discussed. Depth analysis of the concept of PR reveals that public relations is a gradual, purposeful, planned process that establishes a process of strategic communication with the target audience, defines relationships and indicators of influencing public awareness, enabling the individual to express himself / herself.

The Article talks about that as well The traditional character of gender roles, Gender differences in nonverbal communication.

includes deep analysis of the main tools and mechanisms of PR influence, which influences on Gender Processes; The main function of PR in public relations is also discussed in detail - the main elements of image creation and formation, which are formed as a result of benevolence and trust. The components that help a person to integrate into society with an appropriate image are defined.

მარიტა ზუბიაშვილი

საქართველოს ტექნიკური

უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

გენდერული თანასწორობა ნიშნავს ქალის როლის გაზრდას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, თუმცა, ეს პროცესი მთელი რიგი სირთულეებით მიმდინარეობს განსაკუთრებით მუსლიმანურ ქვეყნებში, სადაც ქალს უამრავი რამ ეკრძალება და მის უფლებებზე მაღლა ტრადიცია და ადათი დგას. ჩვენს საზოგადოებაშიც არ არის ამ კუთხით სახარბიელო მდგომარეობა - ბოლო დროს ჩატარებული კვლევისა და გამოკითხვის შედეგებით იკვეთება, რომ ქართული საზოგადოება ჯერ კიდევ აღიარებს სტერეოტიპებს.

საქართველოში ქალთა პასიური მდგომარეობა გენდერული თანასწორობის პოლიტიკის სუსტ მხარედ განიხილება, ქართული საზოგადოება გენდერსა და გენდერულ თანასწორობაზე საკმარისად ინფორმირებული არ არის, რაც სხვადასხვა სოციალური აქტოვებებისა და ამ საკითხზე მიღებული კანონების ეფექტურად აღსრულებას მნიშვნელოვნად ართულებს.

2019 წელს გენდერული თანასწორობის პროგრამის ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით დადგინდა, რომ აუცილებელია საზოგადოებამ და სახელმწიფომ ყურადღება გაამახვილოს ისეთ საკითხებზე, როგორც არის ქალთა მონაწილეობის გაზრდა პოლიტიკაში, სიღრმისეულად უნდა იქნეს შესწავლილი განათლების, ჯანდაცვის და დასაქმების სფეროები გენდერული დისკრიმინაციის კუთხით, კვლევის ფარგლებში თითქმის ყველა გამოკითხული რესპოდენტი ერთმნიშვნელოვნად თანხმდებოდა იმაზე, რომ გენდერული ბალანსი პირველ რიგში სახელმწიფომ უნდა დაარეგულიროს და ამ ცვლილებების გატარება არ უნდა იყოს საერთაშორისო საზოგადოების მოთხოვნით განპირობებული, აღნიშნული პროცესების ხელშეწყობა საქართველოში დემოკრატიის განვითარების ერთ-ერთი წინაპირობაა, ასევე მნიშვნელოვანია საზოგადოების დამოკიდებულება,

აუცილებელია ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება რაც რთულ, მაგრამ მიღწევად ამოცანად მიიჩნევა.

საკვანძო სიტყვები: სამოქალაქო საზოგადოება, გენდერი. კონცეპტი, გენდერული თანასწორობა, დემოკრატია, ქალის როლი.

სამოქალაქო საზოგადოების გენდერული კონცეპტი

შესავალი

სამოქალაქო საზოგადოების ტრადიცია, თანამედროვე თეორია და პრაქტიკა, ცნების განსაზღვრის კონცეპტუალიზაცია და განვითარება, ჯერ კიდევ არისტოტელეს პერიოდიდან იწყებს ჩამოყალიბებას. სამოქალაქო საზოგადოება საუკუნეების განმავლობაში წარმოადგენდა თეორიული დებატების საგანს სხვადასხვა ფილოსოფოსებისა და მოაზროვნეთა წრეებში, რომლებიც ცდილობდნენ წარმოედგინათ უკეთესი საზოგადოების პროექტის ნიმუში, განიხილავდნენ თუ როგორი უნდა ყოფილიყო ამგვარი საზოგადოებრივი მოწყობის წესრიგი, მისი ბუნება და მახასიათებლები, მოქალაქეების უფლებები და მოვალეობები და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, როგორ უნდა მომხდარიყო კერძო და საზოგადოებრივი ინტერესების დაბალანსება. თეორეტიკოსები ცდილობდნენ მიეღოთ პასუხი ისეთ კითხვებზე, თუ როგორი ინტერაქცია უნდა დაემყარებინათ მოქალაქეებს ერთმანეთთან ცივილიზებული და სამოქალაქო ნორმების დაცვით, ისე რომ, შეემუშავებინათ საერთო ინტერესები და ამავე დროს არ დაერღვიათ მოქალაქეთა ინდივიდუალური ავტონომია. აღნიშნული საკითხების სხვადასხვა ინტერპრეტაციამ სამოქალაქო საზოგადოების დეფინიციათა სიმრავლე განაპირობა. [1.27-30] ამდენად სამოქალაქო საზოგადოების განსაზღვრება და მისი მახასიათებლები ხშირად მოცემული პერიოდის ან გეოგრაფიული არეალის მიხედვითაც განსხვავდება.

2019 წელს გენდერული თანასწორობის პროგრამის ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით [2] დადგინდა, რომ აუცილებელია საზოგადოებამ და

სახელმწიფომ ყურადღება გაამახვილოს ისეთ საკითხებზე, როგორც არის ქალთა მონაწილეობის გაზრდა პოლიტიკაში, სიღრმისეულად უნდა იქნას შესწავლილი განათლების, ჯანდაცვის და დასაქმების სფეროები გენდერული დისკრიმინაციის კუთხით, კვლევის ფარგლებში თითქმის ყველა გამოკითხული რესპოდენტი ერთმნიშვნელოვნად თანხმდებოდა იმაზე, რომ გენდერული ბალანსი პირველ რიგში სახელმწიფომ უნდა დაარეგულიროს და ამ ცვლილებების გატარება არ უნდა იყოს საერთაშორისო საზოგადოების მოთხოვნით განპირობებული.

სამოქალაქო საზოგადოების გენდერული ასპექტი

ქართული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების არსებობა საბჭოთა პერიოდიდან იღებს სათავეს, მათ საქმიანობაზე ხელისუფლებას და მმართველ პარტიებს სრული კონტროლის მექანიზმები გააჩნდათ, მას შემდეგ რაც ჩვენმა ქვეყანამ დამოუკიდებლობის მოპოვება შეძლო ევროპისა და ამერიკის ქვეყნების მიერ გამოიკვეთა ინტერესი გადადგმულიყო ქმედითი ნაბიჯები სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო საზოგადოების ცალკეული ინსტიტუტების ჩამოყალიბება მე-19 საუკუნიდან დაიწყო, საქართველოში ქვეყნის განვითარების ერთ-ერთ აუცილებელ პრიორიტეტად მათი გაძლიერება საბჭოთა სისტემის რღვევის შემდგომ პერიოდიდან იღებს სათავეს.

ამ პერიოდიდან საქართველოში ფორმირებას იწყებს ჯანსაღი გარემო სამოქალაქო აქტივობისთვის, მოქალაქეთა სხვადასხვა ჯგუფებს თავიანთი ახალი იდეებით და ინიციატივებით უკვე მნიშვნელოვნად მიუწვდებათ ხელი ახალი რესურსების მოსაპოვებლად, რამაც სამოქალაქო აქტივობების გამოვლენა ძირითადად არასამთავრობო ორგანიზაციების (NGO) იდეით ჩამოაყალიბა. [3.13-70]

თანამედროვე მსოფლიოში სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობის განსაზღვრება დაკავშირებულია დემოკრატიული ღირებულებების მაღალ ხარისხთან. სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისთვის აუცილებელია ისეთი დემოკრატიული პრინციპების არსებობა, რომელშიც საზოგადოებრივი ცხოვრების

ხელშეუხებლობა, საკუთრების, სიტყვის, ასოციაციების თავისუფლება, კანონის წინაშე ყველა მოქალაქის თანასწორობა იგულისხმება.

სამოქალაქო საზოგადოების არსებობა განაპირობებს სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფების მისწრაფებების და შეხედულებების გათვალისწინებით ჯანსაღი და გამჭვირვალე პროცესების მიმდინარეობას.

სამოქალაქო საზოგადოების მთავარი ამოცანა მოქალაქეთა ინტერესების გატარების მცდელობა და მათი უფლებების დაცვაა. სამოქალაქო საზოგადოება არსებობს როგორც დამოუკიდებელი ინსტიტუტი რომელშიც ადამიანები ნებაყოფლობით, სამოქალაქო ინიციატივების მხარდასაჭერად ერთიანდებიან, მოქმედებენ სახელმწიფოსგან დამოუკიდებლად და მათი ძალისხმევა მიმართულია საერთო ინტერესების განსახორციელებლად. [4]

სამოქალაქო საზოგადოება საშუალებას იძლევა ეფექტურად შეუწყოს ხელი სხვადასხვა სოციალური ჯგუფების ინტერესებისა და უფლებების დაცვას, მათ შორის საკანონმდებლო ინიციატივების პოპულარიზაციის გზით. სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტები, რომლების სხვადასხვა სოციალური ჯგუფების თანამშრომლობის საფუძველზე მუშაობენ, აგვარებენ სოციალურ წინააღმდეგობებს და უზრუნველყოფენ სოციალური ურთიერთობების ჰარმონიულობას, ამდენად იგი ჯერ-ჯერობით ერთადერთი იდეაა, რომელშიც ერთნაირადაა გათვალისწინებული როგორც სახელმწიფოს ინსტრუმენტალურობა, ასევე ერის, საზოგადოებისა და პიროვნების თავისუფლება, ამასთან ეს საჭიროებები აუცილებლად უნდა ახდენდეს გავლენას ქვეყნის საერთო სახელმწიფოებრივ ფუნქციონირებაზე.

სამოქალაქო საზოგადოების მიერ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე ზემოქმედების ხარისხი დაბალია, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს არ აქვთ ძლიერი საყრდენი საზოგადოების ფართო ფენების სახით, ვინაიდან სამოქალაქო ჩართულობა ქვეყანაში საკმაოდ სუსტია, მასზე გავლენას ქვეყანაში არსებული მძიმე ეკონომიკური ფონი და პანდემიისგან გამოწვეული პროცესებიც ახდენს, სექტორი სრულფასოვნად ვერ ვითარდება, რის მიზეზადაც ჩვენს საზოგადოებაში

დემოკრატიული უნარ-ჩვევებისა და ტრადიციების ნაკლებობაც შეიძლება ჩაითვალოს, სამოქალაქო სექტორი ვერ იქცა მთლიანად საზოგადოების ინტერესების წარმომადგენლობის გარანტად. უნდა ითქვას რომ არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილს საქართველოში საზოგადოების ფართო მასების მხარდაჭერა არ გააჩნიათ, რადგან არასამთავრობო ორგანიზაციებში მუშაობა ხშირად პირადი კეთილდღეობის და დასაქმების ალტერნატიულ საშუალებად მიიჩნევა, ამასთან ვინაიდან, ადმინისტრაციული რესურსების დიდი ნაწილი სახელმწიფოს მიერ არის კოორდინირებული, სამოქალაქო საზოგადოებისთვის პოზიტიური ცვლილებების მიღწევის მნიშვნელოვანი გზა სახელმწიფო სტრუქტურებთან ურთიერთთანამშრომლობაა.

სამოქალაქო საზოგადოება არის ინტერპერსონალური, საზოგადოებრივი ურთიერთობების ერთიანი სისტემა, რომელიც მოიცავს სახელმწიფოს, მოქალაქეებს და საზოგადოებრივ ინსტიტუციებს (საზოგადოებრივი გაერთიანებები და მოძრაობები, სამეზობლო კავშირები, პოლიტიკური პარტიები, მედია, ფონდები, დიასპორები და ა.შ) რომლებიც მოქმედებენ ნებაყოფლობითი პრინციპების, თანასწორობის, კანონიერი უფლებებისა და თავისუფლებების გამოყენების საფუძველზე, არის ნებაყოფლობითი, ავტონომიური, თვითორგანიზებადი და თვითმართვადი ჯგუფებისგან შემდგარი საზოგადოებრივი ცხოვრების სფერი, რომელიც წარმოადგენს შუალედურ რგოლს მოქალაქეებისა და სახელმწიფოს შორის, შესაბამისად, ჯანსაღი სამოქალაქო საზოგადოების არსებობა ქვეყნის დემოკრატიული განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა, თანამედროვე საზოგადოების ბედი მეტწილად დამოკიდებულია ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებაზე, სწორედ ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების ფორმირება წარმოადგენს დემოკრატიული განვითარების ქვაკუთხედს, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა საქართველოს წინსვლისა და სამართლიანი სახელმწიფოს შექმნის გზაზე ეკონომიკური, პოლიტიკური და სამართლებრივი რეფორმების გატარებისას.

მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობა მეტნაკლებად დადებითად ხასიათდება, იგი არ არის წევრობაზე ორიენტირებული სექტორი. ქართული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების თანამეგობრობა წლების მანძილზე ყალიბდებოდა როგორც დასავლური დაფინანსების წყაროებთან კავშირში მყოფი კასტა, რომელიც საზოგადოებაში გაბატონებული სტერეოტიპების მიხედვით საკმაოდ დაშორებულია მოქალაქეთა ინტერესებს.

სამოქალაქო საზოგადოების ცნების გარშემო ხანგრძლივი დებატები განპირობებულია იმით, რომ სამოქალაქო საზოგადოების დისკურსების სხვადასხვა კონტექსტში და გეოგრაფიულ რეგიონში განსხვავებულია. მკვლევართა უმეტესობა აღიარებს, რომ სამოქალაქო საზოგადოება არის დასავლური კონცეპტი, რომელიც ისტორიულად დაკავშირებულია მოქალაქეთა უფლებების დაცვასა და ემანსიპაციასთან.

სამოქალაქო საზოგადოება დასავლურ ლიბერალურ-დემოკრატიულ კონტექსტში მიიჩნევა მნიშვნელოვან რგოლად დემოკრატიული წყობის, ინდივიდუალური თავისუფლების, სოციალური პლურალიზმის მისაღწევად და განსამტკიცებლად. სამოქალაქო საზოგადოების კონცეპტი, რომელსაც ლიბერალური წარმოშობის ფესვები გააჩნია, თანამედროვე პირობებში სხვადასხვა კულტურებს შორის დიალოგის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველი გახდა.

სამოქალაქო საზოგადოების შესახებ თანამედროვე ლიტერატურაში გვხვდება არასამთავრობო ორგანიზაციების სამი როლი: ოპერაციონალური (ფანდრაიზინგი, სერვისების მიწოდება), საგანმანათლებლო (საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება), ადვოკატირება. ადვოკატირება - წარმოადგენს ცალკეული მოქალაქეების ან ჯგუფების უფლებების და ინტერესების დაცვის მექანიზმს, რომლებსაც გარკვეულ სოციალური პირობების ზეგავლენით არ შეუძლიათ თვითონ დაიცვან საკუთარი უფლებები. ამგვარი ჯგუფის მაგალითია ქალები, რომლებიც სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემებით განიცდიან დისკრიმინაციას საზოგადოებაში. [1.19-22]

ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრაზე მსჯელობა საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე უფრო და უფრო აქტუალურია. გაერთიანებული ერების ორგანიზაციისთვის გენდერული უთანასწორობის საკითხები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია, რომელიც გლობალურ პრობლემათა რიცხვს მიეკუთვნება და მათი რეკომენდაციით წევრ სახელმწიფოებს ურჩევენ შეცვალონ არსებული გენდერული მოდელები, რომლებიც პატრიარქალურ მიდგომებსა და ორმაგ სტანდარტებს ეყრდნობიან.

თანამედროვე მეცნიერებაში ტერმინი „გენდერი“ (gender), სქესის სოციალური ფენომენისა და სოციოლოგიური დისკურსის აღსანიშნავად იხმარება. იგი საზოგადოების სოციალური სრტუქტურის ერთ-ერთი საბაზისო განზომილებაა, რომელიც სხვა კულტურულ და სოციალურ-დემოგრაფიულ მონაცემებთან ერთად (რასა, ასაკი, ეთნოსი, სტრატა) აყალიბებს სოციალურ სისტემას. ეს არის გარკვეულ კულტურაზე დაფუძნებული, მამაკაცებსა და ქალებს შორის საზოგადოების ძირითად სოციალურ ინსტიტუტებში თეორიული მიდგომების სოციალური ურთიერთობების ფუნდამენტური მაჩვენებელი.

გენდერული თანასწორობა, ქალის როლი პოლიტიკასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში, ქალი, როგორც სამოქალაქო აქტივისტი და არა მხოლოდ ოჯახის "ბურჯი", ეს ფრაზები დღესდღეობით საქართველოში ძალიან აქტუალურია და ხშირად გვესმის. გლობალიზაციის პროცესმა და მსოფლიოში მიმდინარე ახალმა გამოწვევებმა წინ წამოწია ქალის როლი თანამედროვე პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებში.

გენდერული თანასწორობა ნიშნავს ქალის როლის გაზრდას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, თუმცა, ეს პროცესი მთელი რიგი სირთულეებით მიმდინარეობს განსაკუთრებით მუსლიმანურ ქვეყნებში, სადაც ქალს უამრავი რამ ეკრძალება და მის უფლებებზე მაღლა ტრადიცია და ადათი დგას. ჩვენს საზოგადოებაშიც არ არის ამ კუთხით სახარბიელო მდგომარეობა - თითქმის ყველა ჩატარებული კვლევისა და გამოკითხვის შედეგით იკვეთება, რომ ქართული საზოგადოება ჯერ კიდევ აღიარებს

სტერეოტიპებს. საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი დღესდღეობით ეტაპობრივად ნაწილი ისწავვის ევროპული და დასავლური ცივილური ღირებულებებისკენ და სწორად აფასებს ქალის როლს, როგორც საშინაო ისე საგარეო საქმეებსა თუ პრობლემებში, ამაზე მეტყველებს საქართველოში მოქმედი პოლიტიკური სისტემა, სადაც მრავლად შევხვდებით ქალს როგორც დაბალ, ისე უმაღლეს თანამდებობებზე. მინისტრები, ადვოკატები, მოსამართლეები, პარლამენტის წევრები და ა.შ. [5]

საქართველოში კვლავ არის შემორჩენილი და შენარჩუნებული სტერეოტიპული დამოკიდებულებები გენდერული თანასწორობის შესახებ. 2013 წელს „ტრენინგებისა და კვლევის ჯგუფის“ მიერ ორგანიზებული კვლევის ფარგლებში გამოკითხულთა 64 პროცენტი გენდერულ თანასწორობას მიიჩნევდა ქალისათვის და მამაკაცისათვის თანაბარი უფლებების მინიჭებას, თუმცა ეს მაჩვენებელი 2019 წლისათვის 10 პროცენტით გაიზარდა, რამაც გარკვეული იმედის მომცემი ნაპერწკალი გააჩინა ქვეყნის განვითარების მომავალ სტადიაზე.

რთული სათქმელია, საიდან ამგვარი იღებს სტერეოტიპული აზროვნება სათავეს, მაგრამ ფაქტია, რომ მოკლებულია კრიტიკულ ასპექტს და ძალიან ბევრ შემთხვევაში ემყარება მცდარ შეხედულებებს. გენდერული სტერეოტიპების ჩამოყალიბებაში, პირველ რიგში დიდია კულტურული, ისტორიული და რელიგიური ფაქტორების მონაწილეობა. [2]

ქალთა პასიურობის მიზეზები

ქალთა პასიური მდგომარეობა გენდერული თანასწორობის პოლიტიკის სუსტი მხარეა, ქართული საზოგადოება გენდერსა და გენდერულ თანასწორობაზე საკმარისად ინფორმირებული არ არის, რაც სხვადასხვა სოციალური აქტოვობებისა და ამ საკითხზე მიღებული კანონების ეფექტურად აღსრულებას საკმაოდ ართულებს.

ექსპერტები საუბრობენ საქართველოს მოსახლეობის მხრიდან ინდიფერენტულ დამოკიდებულებაზე, მათი თქმით მეტი ტრენინგის

გამოცდილება და უწყვეტი ინფორმაციულობა გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებით საზოგადოების დამოკიდებულებებს მნიშვნელოვნად შეცვლის და საზოგადოება არსებულ ვითარებას სწორად შეაფასებს.

ქალთა პასიური მდგომარეობის ერთ-ერთ ახსნად ეკონომიკური სიდუხჭირეც განიხილება, სამწუხაროდ ბოლო დროს ქვეყანაში განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, რომ სიღარიბის ფონზე შეუძლებელია ქალს ჰქონდეს მოტივაცია და დრო სხვადასხვა სოციალურ და პოლიტიკურ პროცესში ჩართულობისთვის, მდგომარეობას ქალთა დიდი ნაწილის ემიგრაციაში ყოფნაც ართულებს.

გენდერული პოლიტიკის წარმატებით განხორციელებისთვის საჭიროა სახელმწიფო ინსტიტუტების აქტიური ჩართვა, უფრო მეტი დაფინანსების წყაროების მოძიება, ასევე ქალთა კონსოლიდაცია, რაც მნიშვნელოვნად დაეხმარება ჩვენს ქვეყანას გენდერული თანასწორობის პოლიტიკის დამკვიდრებაში.

საქართველოში ქალთა საზოგადოებრივი საქმიანობა მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან იწყება, იმ დროინდელი საზოგადო მოღვაწე ქალების ძალისხმევით საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში დაარსდა სკოლები და პროფესიული სასწავლებლები ქალებისთვის, სისტემატიურად იბეჭდებოდა სტატიები ქალთა პრობლემების შესახებ სხვადასხვა ჟურნალებში, ხოლო 1909 წელს დაარსდა კავკასიაში პირველი უმაღლესი სასწავლებელი - ქალთა უმაღლესი კურსები.

ქალთა აქტიურობა ასევე მიმართული იყო სხვადასხვა საზოგადოებრივი გაერთიანებების და კავშირების შექმნისაკენ, რომელთა მიზანი ქალთა განათლება და საზოგადოებრივ ასპარეზზე გააქტიურება მოიაზრებოდა, ქალთა ორგანიზაციების მასობრივი შექმნის ტენდენციები საქართველოში 1905 წლის რევოლუციის შემდეგ გაჩნდა, გამოკვეთილ საგანმანათლებლო და საქველმოქმედო სფეროს დაემატა ქალთა უფლებათა დაცვა, 1907 წელს შეიქმნა „ტფილისის ქალთა წრის კომისია“, პირველი ნაბიჯები რომელიც ქალთა კომისიამ განახორციელა იყო მოწოდების გავრცელება, რომლითაც ისინი მოუწოდებნენ საზოგადოებას, ილია ჭავჭავაძის მიერ დაფუძნებული „ქართველთა შორის წერა-კითხვის

გამავრცელებელი საზოგადოების ფონდის“ მხარდაჭერისკენ, ანალოგიური ქალთა ჯგუფები დაარსდა ბათუმში, სოხუმში, თელავში, ახალციხეში, გორში და სხვ.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ქალთა მოძრაობაში იწყება ბრძოლა ქალთა და ბავშვთა უფლებების დაცვისთვის, იზრდება ეროვნული, ზოგად-სოციალური და საერთაშორისო საკითხების, მშვიდობის და უსაფრთხოების პრობლემების სპექტრი. ქალთა მოძრაობის განვითარებაში უდიდესი როლი შეასრულა გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ. შექმნის დღიდან (1945 წლის 24 ოქტომბერი) იგი არის თანასწორი უფლებების გარანტი. გაერომ მიიღო კონვენცია ქალთა მიმართ ყველა სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ. დიდია ამ საკითხში იუნესკოს წვლილიც, რომელიც 1946 წელს შეიქმნა. გარდა საერთაშორისო თანამშრომლობისა განვითარების განათლების და კულტურის დარგში, სამეცნიერო-ტექნიკური და კულტურული ინფორმაციის გავრცელებისა, იუნესკომ შექმნა პროგრამა განათლების დარგში დისკრიმინაციის წინააღმდეგ და ეროვნული კულტურების დაცვისთვის. 1946 წელს შეიქმნა ქალთა მდგომარეობის სპეციალური კომისია, რომელიც გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს ფარგლებში მოქმედებს. გაეროს შექმნისას 51 ქვეყნიდან, რომლებიც მისი წევრები გახდნენ, მხოლოდ 30 მათგანში ქალები, მამაკაცებთან თანაბრად, ინაწილებდნენ საარჩევნო და საჯარო სტრუქტურებში ხელმძღვანელობის უფლებას, და მაინც გაეროს მიერ მიღებულ დოკუმენტებში დეკლარირებულ იქნა თანაბარი უფლებები. ისინი შეტანილ იქნა ადამიანის უფლებათა დეკლარაციაში, რომლის მიღების ინიციატორიც ელეონორა რუზველტი გახდა. თითქმის 30 წლის განმავლობაში გაეროს სისტემის ჩარჩოში ხორციელდებოდა ინფორმაციის შეგროვება და სტრატეგიის შემუშავება ქალთა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ პროცესებში ჩართვის მიზნით, სპეციალურმა კომისიამ შექმნა ადამიანის უფლებათა დაცვის პირველი ინსტრუმენტის შტრიხები. დეკლარაციის პრონციპების იურიდიულად აღიარებულ ვალდებულებად ჩამოყალიბებისათვის იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებმაც მოახდინეს მისი რატიფიცირება. [6. 33-165]

დასკვნა

ბოლო პერიოდში საქართველოში მნიშვნელოვნად გაიზარდა ქალთა როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მაგრამ სამწუხაროა ის ფაქტი, რომ არის სფეროები სადაც ქალის ჩართულობა ისევ და ისევ დაბალია და ისევ გვიწევს შებრძოლება სტერეოტიპებთან და საზოგადოებრივ აზრთან. საზოგადოებრივი დამოკიდებულებები და შეხედულებები ამა თუ იმ სფეროსთან დაკავშირებით დიდწილად განპირობებულია იმით თუ რამდენად აქტიური შეხება აქვთ საზოგადოების წევრებს ამ საკითხთან დაკავშირებით.[7]

ექსპერტთა აზრით დღევანდელ სახელმწიფოს სათავეში მყოფ პირებს არ გააჩნიათ ძლიერი სურვილი და მოტივაცია ქალთა პრობლემების მოგვარების გზების ძიებისთვის, რაც ფინანსების სიმწირით აიხსნება, სწორედ სათანადო ფინანსების არქონის გამო ბევრი ქალთა პრობლემა დღესდღეობით მოუგვარებელია, ქალთა მძიმე მატერიალური მდგომარეობა კი მათი მხრიდან პასიურ პოზიციას იწვევს რაც გენდერული თანასწორობის კონცეპტის განხორციელებაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა.

საქართველოში ქალთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ ჩვენს ქვეყანაში თანასწორობის ხელშემწყობი ინსტრუმენტები საკმაოდ სუსტი და არასაკმარისად კოორდინირებულია, ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ აუცილებელია, საკანონმდებლო სფეროში არსებული ცვლილებების ფორმირება და ქართულ რეალობასთან მიმდებლობა.[8]

სახელმწიფოს არასაკმარისად ძლიერი ნება გენდერული წესრიგის ფორმირებაში, სახელმწიფოსა და დონორების მხრიდან არასაკმარისი ფინანსები და ყველაზე მნიშვნელოვანი საზოგადოების არასწორი დამოკიდებულება გენდერულ საკითხებთან მიმართებაში - ეს ის პრობლემებია, რომლებიც გენდერულ ჭრილში ქვეყნის განვითარებას უშლის ხელს.

მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო საზოგადოების განმსაზღვრელი მახასიათებელი სახელმწიფოსგან დამოუკიდებლად კოორდინაციას გულისხმობს, საქართველოში ის მაინც სახელმწიფოსთან ახლო კონტაქტში და სახელმწიფოს მიერ დაწესებულ პარამეტრებსა და ჩარჩოებში ვითარდება.

ამ ეტაპზე საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ასოციაციების მუშაობაში მნიშვნელოვანი ხარვეზია, რომ ჯერ კიდევ არ არსებობს სტაბილური, სისტემატური და ორგანიზებული კავშირი სამოქალაქო ჯგუფებს შორის, ასევე სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებაში არსებობს პრობლემები, რომელიც მჭიდრო კავშირშია სახელმწიფო ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთქმედების პრობლემასთან.

პირდაპირი კავშირი სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების საქმიანობასა და სახელმწიფოს სუვერენიტეტის უზრუნველყოფას შორის გამოიხატება მოსახლეობის სურვილით დაარეგულიროს საზოგადოებაში მიმდინარე პროცესები და ხელი შეუწყოს სოციალური დიალოგს, რომელშიც ჩართულია დაინტერესებული მხარეების რაც შეიძლება მეტი წარმომადგენელი, სახელმწიფო ხელისუფლების ინსტიტუტების მხრიდან სოციალურ პროცესებში ჩარევა იმ შემთხვევებში, როდესაც ეს არის საჭირო დარღვეული უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად და აღსადგენად, წარმოადგენს სოციალური ურთიერთქმედების სფეროს ჰარმონიული განვითარების და სოციალური დიალოგის ხარისხის გაუმჯობესების გარანტიას.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ უნდა გაძლიერდეს კერძო და საჯარო სექტორთან თანამშრომლობა, იმისთვის, რომ გამოიკვეთოს ძირითადი საჭიროებები, რაც დღეს წითელ ხაზებს წარმოშობს და რომელთა გადაკვეთის გზების ძიების პროცესში ჩართულობა მათი პირდაპირ მოვალეობად შეიძლება ჩაითვალოს, მნიშვნელოვანი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლების თანამშრომლობა ბიზნესკომპანიებთან რათა ჩამოყალიბდეს მათ შორის ურთიერთგაგება, ისეთ საკითხებზე ყურადღების გამახვილება როგორც არის უმუშევრობა, ურბანული განვითარება, სიღარიბე, ჯანმრთელობის დაცვა,

გენდერული უთანასწორობა და სხვა, უპირობოდ წარმოადგენს იმ საჭიროებებს, რაც დღეს მოსახლეობის უმრავლესობას აწუხებს და რომელთა გადაჭრის გზების ძიება პროცესში მონაწილე ყველა მხარემ აქტიურად უნდა განახორციელოს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. წურჭუმია მანა “გენდერული თანასწორობის პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში”, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XI, თბილისი 2013– 2014
2. <https://georgia.unfpa.org/ka/topics/%E1%83%92%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90> (გადამოწმებულია 10.03.2022წ)
3. ნოდია გია “სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში: მიღწევები და გამოწვევები” თბ. 2005
4. <https://www.civiceducation.ge/ka/lessons/1-8> (გადამოწმებულია 10.03.2022წ)
5. <https://intermedia.ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90/53522-%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98/19/> (გადამოწმებულია 10.03.2022წ)
6. ნ.ღამბაშიძე „ქართველ ქალთა ლიტერატურულ-პუბლიცისტური მოღვაწეობა XIX საუკუნის მეორე ნახევარში“ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი თბილისი 2020წ.
7. <https://www.civiceducation.ge/ka/lessons/1-8> (გადამოწმებულია 10.03.2022წ)
8. <https://developmentgoals.wordpress.com/2013/04/23/gender/> (გადამოწმებულია 09.03.2022წ)

The gender concept of civil society

Resume

The tradition of civil society, modern theory and practice, conceptualization and development of the definition of the concept, dates back to the time of Aristotle. Civil society has for centuries been the subject of theoretical debate among various philosophers and thinkers who have sought to model a better society, discussing what such a public order should look like, its nature and characteristics, the rights and responsibilities of citizens and, most importantly, how to make it private. And balancing the public interest. Theorists sought to answer questions about how citizens should interact with one another in a civilized and civilized manner, so as to develop common interests while at the same time not violating the individual autonomy of citizens. Different interpretations of these issues have led to a plethora of definitions of civil society. Thus the definition of civil society and its characteristics often differ according to a given period or geographical area.

According to the results of a survey conducted under the Gender Equality Program in 2019, the public and the state need to focus on issues such as increasing women's participation in politics, education, health and employment in terms of gender discrimination. Agreed that gender balance should be regulated first by the state and that these changes should not be driven by the demands of the international community.

Keywords: „Gender“, „Civil Society“, „Research“, „Gender Discrimination“

მადონა კანტიძე
საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია, თუ რა უჭირავთ ქალებს პოლიტიკაში როგორც ამერიკის, ასევე ევროპის ქვეყნებში. რა ძირითადი განსხვავებებია გამოკვეთილი და ზრდის/კლების როგორი დინამიკით ხასიათდება ქალთა როლი პოლიტიკაში. ნაშრომში წარმოდგენილია ემპირიული კვლევა. განხილულია ამერიკისა და ევროპის ქვეყნებში ჩატარებული კვლევები. ერთ-ერთი კვლევა ეხება ლათინური ამერიკის ქვეყნებს, სადაც ბოლო წლების განმავლობაში მკაფიოდ გამოიკვეთა ქალთა როლი როგორც სოციალურ, ასევე პოლიტიკურ ინსტიტუტებში.

ასევე წარმოდგენილია აშშ-ს კვლევა, რომელიც ამერიკულმა ვებ გვერდმა გამოაქვეყნა, (www.statusofwomeninthestates.com) ნაჩვენებია თუ როგორი პროცენტული წილით ხასიათდება ქალთა როლი სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურაში და როგორია მათი ცვლილება დინამიკაში.

რაც შეეხება ევროპის ქვეყნებს, განხილულია ევროპარლამენტის რეზოლუცია „ქალები პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში- ხარისხი და თანასწორობა“, სადაც ნაჩვენებია და ხაზგასმულია ქალთა როლის მნიშვნელობა პოლიტიკაში.

კვლევებმა დაადასტურა, რომ ქალთა როლი პოლიტიკაში, როგორც ამერიკის, ასევე ევროპის ქვეყნებში წლიდან წლამდე უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. ხოლო ის ქვეყნები, რომლებიც ქალთა როლს არ მიიჩნევენ მნიშვნელოვნად, ხასიათდებიან სუსტი დემოკრატიით, რადგან ისინი ეწინააღმდეგებიან გენდერული თანასწორობის პრინციპს, რომელიც დემოკრატიის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია.

საკვანძო სიტყვები: ქალი, პოლიტიკა, გენდერი, როლი, თანასწორობა, აშშ, ევროპა

ქალთა როლის მნიშვნელობა ამერიკისა და ევროპის ქვეყნების პოლიტიკაში შესავალი

გენდერული თანასწორობა ერთ-ერთი უმთავრესი როლის მატარებელია ადამიანთა დაცვასა და დემოკრატიის ფუნქციონირებაში. ისევე, როგორც მამაკაცთა უნარები, გამოცდილება და პრობლემებია წარმოდგენილი საზოგადოებრივ ყოფასა და კანონებში, ასევე აუცილებელია ქალთა უნარების, გამოცდილებისა და პრობლემებზე ყურადღების გამახვილება. მითუმეტეს, რომ გენდერული თანასწორობა ქვეყნების ეკონომიკური ზრდის მთავარ ფაქტორადაა აღიარებული გაეროს მოსახლეობის ფონდის მიერ. ფონდს სჯერა, რომ ეკონომიკური ზრდა და სოციალური თანასწორობა მჭრიდო კავშირშია ერთმანეთთან და ხელს უწყობს ქვეყნის განვითარებას, ასევე აყალიბებს ისეთ გარემოს, სადაც ქალებიც და მამაკაცებიც თვითგანვითარების ერთნაირ, ხელსაყრელ პირობებში იმყოფებიან.³⁰

ისეთი საერთაშორისო სტანდარტები, როგორცაა გაეროს კონვენცია- ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW), ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია (ECHR) ემსახურება პოზიციას, რომ ქალებსა და მამაკაცებს უნდა ჰქონდეთ თანასწორი უფლებები ცხოვრების ყველა ასპექტზე, არა მხოლოდ პოლიტიკაში, ისინი თანაბრად უნდა იღებდნენ მონაწილეობას ქვეყნის დემოკრატიულ პროცესში. ევროპის საბჭო წლების განმავლობაში გენდერულ თანასწორობის მნიშვნელობას უსვამს ხაზს, არა მხოლოდ ძირითად კონვენციებში, ასევე მინისტრთა კომიტეტის, საპარლამენტო ასამბლეისა და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის რეკომენდაციებში.³¹

მსოფლიოს ბევრმა ქვეყანამ ხანგრძლივი პერიოდი გამოიარა ქალთა უფლებების ზრდის საკითხებში, თუმცა დღეისათვის პროგრესი აშკარაა. 2015 წლიდან ქალებს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში აქვთ ხმის მიცემის უფლება. პირველი ქვეყანა,

³⁰30 (ღვინიანიძე ლ., 2014)

³¹31 (პარტნიორობა კარგი მმართველობისათვის, 2017)

რომელმაც ქალებს ხმის მიცემის უფლება მისცა, იყო ახალი ზელანდია (1893 წ.), ხოლო ბოლო ქვეყანა იყო საუდის არაბეთი (2015 წ.). 21-ე საუკუნეში უკვე რამდენიმე ქვეყანას ქალები ხელმძღვანელობენ, ეს ქვეყნებია: ფინეთი, ლიბერია, ბრაზილია, ლიეტუვა, კოსტა რიკა და მათ შორის საქართველო. ეს მიღწევები დიდწილად შესაძლებელი გახდა გენდერული თანასწორობის ზომების წყალობით. არაბულ რეგიონშიც კი, სადაც პროგრესი ყველაზე ნელი იყო, 12 ქვეყნის მიერ კვოტების მიღებამ, ხელი შეუწყო ქალების პროცენტული წილის ზრდას პარლამენტში 10%-დან 18%-მდე, 2012-2017 წლებში.³²

ახალი პოლიტიკური ძალა ლათინურ ამერიკაში. მიუხედავად იმისა, რომ ეთნიკური, ეასობრივი და რელიგიური უმცირესობები. ჩვეულებრივ მოსახლეობის დაბალ პროცენტს წარმოადგენენ, ქალები 50% და კიდევ უფრო მეტს შეადგენენ ლათინური ამერიკის ქვეყნებში და არამარტო. ეს ნიშნავს, რომ მილიონობით ქალი იბრძვის საკუთარი უფლებებისათვის ქვეყნების დამოუკიდებლობის მომენტიდან.

პოლიტიკურ თანამდებობებზე მოსვლით, ქალები ასევე იბრძვიან სხვა ქალთა სოციალური პრობლემების მოგვარებისათვის და ეხმარებიან მათ, გახდნენ საზოგადოების სრულუფლებიანი წევრები.

Update Institute_მა დაამზადა აუდიოვიზუალური სერიები და გამოაქვეყნა კვლევა, რომელიც მიემდვნა 14 თვის განმავლობაში ხელისუფლებაში მყოფი ლათინოამერიკელი ქალების საქმიანობის ანალიზს.

ლათინურ ამერიკაში მკაფიოდ იცვლება პოლიტიკური საქმიანობის გზები. რეგიონში ფემინისტურმა მოძრაობებმა ლიდერის თანამდებობებზე მოიყვანა ისეთი ფიგურები, როგორცაა- მარიელ ფრანკო ბრაზილიაში, ბეატრიზ სანჩესი ჩილეში და კლაუდია ლოპესი კოლუმბიაში, რაც შთააგონებს ახალ თაობას.

როგორც კვლევა Update Institute-ი განმარტავს, აუცილებელია ფემინისტურ პოლიტიკაზე საუბრის დროს ვახსენოთ სოციალურ ქსელში ორგანიზებული

³² (MASAD, 2020)

არგენტინული მოძრაობა: Ni Una Mentos, რომელმაც 2015 წლის 3 ივნისს არგენტინის 80 ქალაქიდან შეკრიბა 300 000 ქალი და მსვლელობა გამართა.

ქალები პოლიტიკაში ქმნიან განსხვავებას, როდესაც ისინი აცნობიერებენ უთანასწორობას. არგენტინაში ქალები წარმოადგენენ სენატის 42%-ს და დეპუტატთა პალატის 39%-ს, არგენტინა გახლდათ პიონერი ქალთა პოზიციების კვოტების მიღებაში კონგრესისთვის.

ბოლივიაში პარლამენტის 52%-ს ქალები შეადგენენ, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია ლათინურ ამერიკაში.

ჩილეში ბოლო საკანონმდებლო არჩევნებზე, ქალ სენატორთა რაოდენობა 6-დან 10-მდე გაიზარდა, სულ 43 სენატორიდან, ხოლო დეპუტატთა საერთო რაოდენობა 19-დან 35-მდე, სულ 155 დეპუტატიდან.

ბრაზილიაში ფედერალური დეპუტატების რაოდენობის ზრდა 15% იყო: 51-დან 77-მდე, აღსანიშნავია რომ უმრავლესობა მათგან თეთრკანიანი ქალია. მათგან 43-მა პირველად დაიკავა ფედერალური დეპუტატის თანამდებობა.

საინტერესოა ფაქტი, რომელიც კვლევამ აჩვენა, იმ ქვეყნებში სადაც ქალები იყვნენ მმართველობაში, Covid-19 პანდემიის შედეგები, ისეთები როგორცაა ინფიცირებისა და სიკვდილიანობის მაჩვენებელი, ბევრად დაბალი იყო, ვიდრე მამაკაცთა მიერ მართულ ქვეყნებში.


ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მკვლევარები ასკვნიან, რომ ქალთა წარმომადგენლობის ზრდა პოლიტიკაში, არამხოლოდ გელდერულ თანასწორობას ქმნის, ასევე იწვევს ინსტიტუციურ ცვლილებებს და აუმჯობესებს სოციალურ კლიმატს ქვეყნებში, სადაც ქალთა წარმომადგენლობა საზოგადოებაში მეტ-ნაკლებად შეზღუდულია გარკვეული სტერეოტიპების გამო.³³

ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის ტენდენციები აშშ-ში. 2004 წლიდან 2015 წლამდე ქალების წარმომადგენლობითი წილი შტატის საკანონმდებლო ორგანოებში, აშშ-ს სენატსა და წარმომადგენელთა პალატაში გაიზარდა, ხოლო შტატის არჩევით

³³ (Democracia Abierta, 2020)

აღმასრულებელ ოფისში შემცირდა. 2015 წელს აშშ-ს სენატის 100 წევრიდან 20 ქალია, ხოლო აშშ-ს წარმომადგენელთა პალატის 435 წევრიდან 84. 2004 წელთან შედარებით ზრდის საშუალო მაჩვენებელი 6-10% გახლავთ, მიუხედავად პროცენტული ზრდისა, ქალთა წარმომადგენლობა კონგრესში, გაცილებით დაბალია ქალების მთლიან წილზე მოსახლეობაში. IWPR-მა გამოთვალა, რომ ასეთი ტემპით 1960 წლიდან მოყოლებული, ქალები აშშ-ს კონგრესში ადგილების 50% 2117 წლამდე ვერ მიაღწევენ.³⁴ 2020 წლამდე ქალთა რიცხვის ზრდა შემდეგნაირად გამოიყურება: იხ. ნახაზი 1.

The number of women of colour in Congress has increased over time



Source: Center for American Women and Politics



მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ში არსებობს მრავალი ინსტიტუტი, რომელიც ხელს უწყობს ქალთა სამოქალაქო და პოლიტიკურ აქტივობებში ჩართულობას, ქალთა პოლიტიკური მონაწილეობისა და ლიდერობის დაბრკოლებები მაინც არსებობს. როგორც გამოცემები „ქალების სტატუსი შტატებში“ აჩვენებს, ქალები ხასიათდებიან ნაკლები ეკონომიკური რესურსით მამაკაცებთან შედარებით, რაც მათ უზღუდავთ წვდომას მნიშვნელოვან მხარდაჭერაზე, რაც მათ დაეხმარებათ თანამდებობებზე კენჭისყრაში წარმატების მიღწევაში.

³⁴ (status of women in the states, 2015)

ევროპარლამენტის რეზოლუცია „ქალები პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში- ხარისხი და თანასწორობა“. ევროპარლამენტი უკვე მე-20 საუკუნის შუა ხანებიდან აქტიურად ცდილობს გაზარდოს ქალთა როლი პოლიტიკაში, როგორც თანამდებობებზე მათი დანიშვნით, ასევე პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. მიუხედავად ხანგრძლივი მცდელობის პერიოდისა, დღეისათვის ევროპის ქვეყნებში კვლავ არსებობს დისბალანსი ქალებისა და მამაკაცების მონაწილეობაში, პოლიტიკური და საჯარო გადაწყვეტილებების დროს.

გარემოებას ართულებს ის ფაქტი, რომ კულტურული დამოკიდებულებები, ასევე სტრატეგიები და მეთოდები ძლიერ განსხვავდება ეროვნულ დონეზე ევროკავშირში და მის წევრ ქვეყნებში. მიუხედავად იმისა, რომ ევროპარლამენტში ქალთა წარმომადგენლობა გაიზარდა 35%-მდე, ჯერ არ მიუღწევია პარიტეტს. ქალები უფრო ნაკლებად არიან წარმოდგენილნი კომიტეტებსა და პოლიტიკურ ჯგუფებში წამყვან პოზიციებზე.

ბოლო წლებია გენდერული ბალანსი ევროკავშირის მასშტაბით უცვლელი რჩება. 24%-ს ქალები წარმოადგენენ, 76%-ს კი მამაკაცები, ქალები მინისტრთა მხოლოდ 23%-ს წარმოადგენენ.

კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, აცხადებს, რომ ევროკავშირის ყველა სახელმწიფომ უნდა მიიღოს ყველა შესაბამისი ზომა, რათა აღმოფხვრას ქალთა დისკრიმინაცია და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა ხელს უწყობს:

- ✓ რეფორმებს საარჩევნო სისტემებში, რათა უფრო ხელმისაწვდომი გახადოს ქალთა წარმომადგენლობისთვის;
- ✓ გენდერულად მგრძობიარე სამოქალაქო განათლებისა და ასევე გენდერული სტერეოტიპების აღმოფხვრა ქალი კანდიდატების მიმართ, როგორც პოლიტიკურ პარტიებში, აგრეთვე მედიაში და სხვ.

ევროპარლამენტი მიესალმება არჩევნების პარიტეტულ სისტემებს/გენდერულ კვოტებს, რომლებიც შემოღებულია ზოგიერთ წევრ ქვეყანაში კანონდებლობით. ასევე

მოუწოდებს სხვა წევრ ქვეყნებსაც, რომ მათაც განიხილონ საკანონმდებლო ზომების შემოღება, რათა მიაღწიონ პროგრესს პარიტეტისკენ და უზრუნველყონ ამ ზომების ეფექტურობა. შედეგად, გამარტივდება ქალებისა და მამაკაცების რიცხვის დაბალანსება პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.³⁵

დასკვნა. მიმოხილული ინფორმაციის შედეგად, აშკარაა რომ ქალთა როლის ზრდა აქტიურად მიმდინარეობს, როგორც აშშ-ს, ლათინური ამერიკის, ასევე ევროპის ქვეყნებში. მართალია გარკვეული დისბალანსი კვლავ ფიქსირდება გენდერული თვალსაზრისით, თუმცა არის პოზიტიური სვლები, როგორც საკანონმდებლო, ასევე საზოგადოებრივ დონეზე.

როგორც კვლევები ცხადჰყოფენ, ქალთა მონაწილეობა პოლიტიკაში, ხელს უწყობს გენდერული თანასწორობის განვითარებას და გავლენას ახდენს როგორც პოლიტიკის საკითხების სპექტრზე, ასევე შემოთავაზებული გადაწყვეტილებების ტიპებზე.³⁶ აგრეთვე, პრაქტიკა ამტკიცებს, რაც უფრო მეტი ქალი მოდის პოლიტიკაში, იზრდება ისეთი პოლიტიკის შემუშავება, რომელიც ხაზს უსვამს ცხოვრების ხარისხს და ასახავს ოჯახების, ქალების და ეთნიკური, ასევე რასობრივი უმცირესობების პრიორიტეტებს. აღნიშნული კი ემსახურება საზოგადოების წევრთა თანაბარუფლებიან სოციალიზაციას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. პარტნიორობა კარგი მმართველობისათვის, .. (2017). *რეგიონული კვლევა ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობის შესახებ აღმოსავლეთ ქარტნიორობის ქვეყნებში*. სტრასბურგი: ევროპის საბჭოს გამომცემლობა.
2. ღვინიაიძე ლ., მ. ვ. (2014). *ქალები და პოლიტიკური წარმომადგენლობა*. თბილისი: ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი.

³⁵ (The European Parliament, 2012)

³⁶ (Sandra Pepera., 2018)

3. Democracia Abierta, .. (2020). *Women: the new political force in Latin America*.
<https://www.opendemocracy.net/en/democraciaabierta/mujeres-nueva-fuerza-politica-de-america-latina-en/?fbclid=IwAR3MqGcCyw8o8J7vP2PJRgEmMwI7gvVBbNLTBi35MPI35zJfXtJlz1O3XaE>.
4. MASAD, R. (2020). *The struggle for women in politics continues*.
https://www.undp.org/blog/struggle-women-politics-continues?utm_source=EN&utm_medium=GSR&utm_content=US_UNDP_PaidSearch_Brand_English&utm_campaign=CENTRAL&c_src=CENTRAL&c_src2=GSR&gclid=EAiaIQobChMI0anvgNix9gIVVuN3Ch3RKwagEAAyAAEgL49fD_BwE.
5. Sandra Pepera. (2018). *Why Women in Politics?* Democratic Institute.
6. status of women in the states, .. (2015). *Trends in Women's Political Participation*.
<https://statusofwomendata.org/explore-the-data/political-participation/political-participation-full-section/?fbclid=IwAR3DR1yD9uLCKa2TcANzaum3laQ4jsT5J23sdQoYDUqorkea-NwmeOCFShU#pptrends>.
7. The European Parliament, .. (2012). *women in political decision-making – quality and equality*. https://www.europarl.europa.eu/doceo/document/A-7-2012-0029_EN.html.

The importance of the role of women in American and European politics

Abstract

The aim of the study is to investigate the role of women in politics in both the United States and Europe. What are the main differences and what are the dynamics of growth / decrease in the role of women in politics?

Methodology - The paper presents an empirical study. Studies conducted in the Americas and Europe are reviewed. One of the studies concerns Latin American countries, where the role of women in both social and political institutions has become clear in recent years.

Also presented is a US study published by the American website (www.statusofwomeninthestates.com) showing the percentage of women's role in various state structures and their change in dynamics.

As for the European countries, the European Parliament resolution "Women in the political decision-making process - quality and equality" is discussed, which shows and emphasizes the importance of the role of women in politics.

Conclusion - The reviewed studies have confirmed that the role of women in politics is gaining more and more importance from year to year in both American and European countries. And countries that do not consider the role of women to be important are characterized by weak democracies because they oppose the principle of gender equality, which is an important part of democracy.

Keywords: Woman, Politics, Gender, Role, Equality, USA, Europe.

აბსტრაქტი

ეკონომიკური კრიზისის პირობებში, როცა არსებითად მაღალია კონკურენცია შრომით ბაზარზე, განსაკუთრებით იმატებს სამუშაო ადგილზე ისეთი ნეგატიური მოვლენა, როგორცაა მობინგი. ამასთან, მობინგის მსხვერპლი მეტწილად არიან ქალები. ეს განპირობებულია იმით, რომ საზოგადოება ჯერ კიდევ პატრიარქალურია და მამაკაცებს უფრო მაღალი პოზიცია უჭირავთ საზოგადოებაში. ხელმძღვანელ თანამდებობებს საქართველოში მეტწილად მამაკაცები იკავებენ და, შესაბამისად, ვერტიკალური მობინგის სუბიექტები ხშირად სწორედ მამრობითი სქესის წარმომადგენლები არიან. შრომით ორგანიზაციებში თანამშრომელთა შორის ნეგატიური ინტერაქციები, შრომითი კოლექტივის შიგნით არსებული დაპირისპირებები გავლენას ახდენს არა მარტო შრომის პროდუქტიულობასა და ხარისხზე, არამედ მოტივაციასა და წარმატების მიღწევაზე. სტატიაში განხილულია მობინგის გენდერული ასპექტები, თუ როგორ არის საქართველოს შრომით ორგანიზაციებში ეს მოვლენა დაკავშირებული ორგანიზაციულ კულტურასთან, რა დამოკიდებულება აქვთ ქალებსა და მამაკაცებს აღნიშნული მოვლენის მიმართ, რომელი მობინგ მოქმედებები იკვეთება სხვადასხვა სქესის წარმომადგენლებთან მიმართებაში და რომელ მობინგ მოქმედებებს იყენებენ ისინი. პრობლემების იდენტიფიცირების მიზნით, კვლევის რაოდენობრივი მეთოდით კვლევა ჩავატარეთ სხვადასხვა შრომით კორგანიზაციაში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 18-დან 70 წლამდე 562-მა როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში დასაქმებულმა პირმა. აქედან 190-მა მამაკაცმა (33.8%) და 372-მა ქალმა (66.1 %). საყურადღებოა თვითონ ის ფაქტიც, რომ ამ საკითხზე კვლევით დაინტერესდნენ უფრო ქალები, ვიდრე მამაკაცები.

საკვანძო სიტყვები: გენდერული თანასწორობა; მობინგი; სქესობრივი ნიშნით დისკრიმინაცია, ფსიქოლოგიური ზეწოლა

მობინგის გენდერული ასპექტები საქართველოს შრომით ორგანიზაციებში შესავალი

ბოლო რამდენიმე ათეული წელია მსოფლიო მეცნიერთა ყურადღება მიმართულია შრომით კოლექტივებში ისეთი ნეგატიური ინტერპერსონალური და ინტერჯგუფური ურთიერთქმედებისკენ, რგორცაა მობინგი სამუშაო ადგილებზე. მობინგი განიხილება როგორც ჯგუფის წევრებისგან ამავე ჯგუფის დანარჩენი წევრების ან წევრის ფსიქოლოგიური შევიწროება, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს არა მარტო ობიექტის ფსიქიკურ და ფიზიკურ ჯანმრთელობაზე, არამედ მთლიანად ორგანიზაციაზე, რაც გამოიხატება არა მარტო ეკონომიკურ ზარალში, არამედ ლახავს მის იმიჯს, რეპუტაციას და ავტორიტეტს.

მიუხედავად იმისა, რომ ამ პრობლემას საქართველოს შრომით კოლექტივებში არც ისე იშვიათად აქვს ადგილი, იგი დღემდე შესწავლილი და ნაკვლევი არ არის.

საქართველოში აღნიშნულ სოციალურ-ფსიქოლოგიურ ფენომენზე საუბარს გაურბიან. თვითონ მობინგის ობიექტებიც კი, ვის მიმართაც ფსიქოლოგიური შევიწროება ხორციელდება და ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი არიან, ერიდებიან ამ თემაზე საუბარს და ამ ფაქტის აღიარებასაც კი. როგორც საჯარო, ასევე კერძო დაწესებულებების ხელმძღვანელებმა, რომელთაც კვლევის ჩასატარებლად თხოვნით მივმართეთ, იმის გარკვევის შემდეგ, თუ რა საკითხს ეხებოდა კითხვარი, უარი განგვიცხადეს მათზე დაქვემდებარებულ ორგანიზაციაში კვლევის წარმოებაზე. ეს ცალსახად მეტყველებს იმ მდგომარეობაზე, რომელიც შეიძლება იყოს აღნიშნულ დაწესებულებებში მობინგის თვალსაზრისით.

როგორც ევროპის პარლამენტის 2014-2019 წლის ანგარიშშია აღნიშნული, სექსუალური შევიწროება და მობინგი - სქესობრივი ნიშნით დისკრიმინაციის ორი უკიდურესი, მაგრამ ფართოდ გავრცელებული ფორმაა, რომლის მსხვერპლთა 90%

ქალები შეადგენენ. სამწუხაროდ, საზოგადოებაში აღნიშნულ საკითხზე ინფორმაციის ნაკლებობაა. გარდა ამისა, საზოგადოებრივი აზრი ახდენს არა მობინგის სუბიექტის, არამედ მსხვერპლის სტიგმატირებას. ეს კი ხელშემშლელი ფაქტორია მობინგ ფაქტების საპრევენციოდ. საზოგადოების მხრიდან სწორედ ასეთი დამოკიდებულების შედეგია ისიც, რომ მსხვერპლი მის მიმართ განხორციელებული შევიწროების გახმაურებას და შესაბამისი რეაგირების მოთხოვნას გაურბის.

მობინგის გენდერული ასპექტები

მიმართულების ვექტორის მიხედვით მობინგიდ 2 სახე შეიძლება გამოვყავით:

1. ჰორიზონტალური (კოლეგებს შორის);

2. ვერტიკალური - ბოსინგი (ხელმძღვანელის მხრიდან დაქვემდებარებულზე);

სტაფინგი (დაქვემდებარებულებიდან ხელმძღვანელზე); „სენდვიჩის“ ტიპის (მობინგი მოდის ერთდროულად ზევიდან და ქვევიდან);

ამ მოვლენასთან დაკავშირებული ყველაზე დიდი სირთულე იმაშია, რომ პრაქტიკაში თითქმის შეუძლებელია დამტკიცება, რომ ზუსტად მობინგის გამო დასაქმებულს აქვს თავის ტკივილი, უგუნებობა, შფოთვა, ფრუსტრაცია, დაბალი თვითშეფასება, დაქვეითებული კონცენტრირების უნარი, დაბალი შრომისუნარიანობა, ზოგადად, სტრესულ მდგომარეობაშია ან სხვადასხვა დაავადებები უვლინდება.

მნიშვნელოვანია, განისაზღვროს მობინგის მონაწილეთა (როგორც მობერების, ასევე მსხვერპლის) სქესობრივი ასპექტები დღეს, როცა საზოგადოება პატრიარქალური იდეოლოგიიდან გენდერული თანასწორობის პრინციპზე გადადის. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია დავადგინოთ, ერთნაირ სქესს შორის უფრო ხშირია მობინგ მოქმედებები. თუ სხვადასხვა სქესს შორ

გამოკითხვამ აჩვენა, რომ საქართველოში მობინგს უფრო ხშირად განიცდიან კოლეგების მხრიდან (59%), ვიდრე ზემდგომების მხრიდან (41%).

გამოკითხულთა 72% ერთხელ მაინც შეჯახებია კოლექტივის მხრიდან მობინგს. მობინგს ქალები განიცდიან უფრო ხშირად (81%), ვიდრე მამაკაცები (19%). ქალები

უფრო ხშირად უჩივიან ურთიერთობის ისეთ სირთულეებს, როგორებიცაა შური, ზურგს უკან ჭორაობა. მამაკაცებთან მობინგი სრულიად განსხვავებულია. მათთვის უფრო მნიშვნელოვანია დაძაბული ატმოსფერო და გარემოცვის მომატებული გაღიზიანებულობა, თუმცა როგორც ირკვევა, ბევრი მათგანი საკმაოდ მომთმენია მობინგის მიმართ. მამაკაცებს მიაჩნიატ, რომ ქვეყანაში არსებული კრიზისისა და სამუშაო ადგილების ნაკლებობის გამო დასაქმებულებმა უნდა ითმინონ მათ მიმართ განხორციელებული ფსიქოლოგიური ზეწოლა.

მამაკაცები მიიჩნევენ, რომ მობინგის გამომწვევი მიზეზებიდან ერთ-ერთია ფინანსური კომპონენტი. მათი აზრით, დაბალი ხელფასები იწვევს თვითშეფასების დაქვეითებას, რაც გარემოცვას ავტომატურად ხდის უფრო აგრესიულს და მოძალადეს.

კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში კოლეგების მხრიდან თავდასხმების ყველაზე გავრცელებული ფორმაა სიტყვიერი შეურაცხყოფა; გამოკითხულთა იმ 84%-ს, ვისაც გუნდში პრობლემები შექმნია, განსაკუთრებით აღიზიანებდათ ეს ფორმა. აღმოჩნდა, რომ სიტყვიერი შეურაცხყოფა მამაკაცებს (44%) უფრო მეტად აღიზიანებთ, ვიდრე ქალებს (36%).

მობერი მამაკაცების და ქალების მიერ გამოყენებული ტაქტიკა არსებითად განსხვავებულია. მობინგ იარაღად მამაკაცები მიმართავენ ადმინისტრაციული რესურსის, ხოლო ქალები - სოციალური კავშირების გამოყენებას.

თუ განსახილველ პრობლემასთან დაკავშირებით გენდერულ მიდგომას გამოვიყენებთ, მაშინ მამაკაცები (69%) უფრო ხშირად ხდებიან მობერები, ვიდრე ქალები (31%). როგორც მამაკაცი, ასევე მობერი ქალების "მსხვერპლი" უფრო ხშირად ქალია(57%), ვიდრე მამაკაცი(43%) . მამაკაცები უფრო აგრესიულები არიან და მიდრეკილნი არიან ფიზიკური ძალის დემონსტრირებისკენ. ქალები უფრო დახვეწილად მოქმედებენ, ცდილობენ რა დამალონ თავიანთი ცუდი ზრახვები. თუ მათ სჭირდებათ ზეწოლა და აგრესია თავიანთი მიზნების განსახორციელებლად, ისინი საამისოდ უფრო მამაკაცს იყენებენ, ვიდრე თავად ამჟღავნებენ ამას. მათი პრინციპია - „შავი საქმე მათ მაგივრად მამაკაცმა გააკეთოს“. ჰ. ლეიმანი, რომლის

მეცნიერული მოღვაწეობა მოზინგის თემას მიეძღვნა, თავის შრომებში ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ მამაკაცები, როგორც წესი, იყენებენ ისეთ მოზინგ ქმედებებს, როგორცაა მუქარა, მსხვერპლის იგნორირება, პოლიტიკურ ან რელიგიურ შეხედულებების კრიტიკა, საუბრის მუდმივი შეწყვეტინება და ადამიანის ღირსების შემლახველი საუშაოს მიცემა. ქალებს უფრო ხშირად აქვთ ნეგატიური შეფასებები მოზინგის მსხვერპლთა შესახებ, დაცინვა კოლექტივის სხვა წევრების თანდასწრებით, ცრუ მადისკრედიტებელი ინფორმაციის გავრცელება, გამოხატვის და მოსაზრების გამოთქმის შეზღუდვა, ფიზიკურ ნაკლოვანებებზე დაცინვა. [2, c. 18]

მამაკაცების მიმართ უფრო ხშირად გამოიყენება სამუშაოს ნეგატიური შეფასება, სამუშაო გადაწყვეტილებების მიმართ უნდობლობა, პირადი ცხოვრებისა და სამუშაო კომპეტენციის კრიტიკა, შეურაცხმყოფელი სიტყვები, გინება, თანამშრომელთან კონტაქტის თავიდან აცილება, თანამშრომლის მიმართ შეურაცხმყოფელი სიტყვები. ქალების მიმართ უფრო ხშირად გამოიყენება ისეთი მოზინგ მოქმედებები, როგორცაა კვალიფიკაციის შეუსაბამო დავალებების მიცემა, აზრსმოკლებული დავალებების მიცემა, დავალების საერთოდ მიუცემლობა (რაც მას უყალიბებს უსარგებლობის განცდას), იგნორირება (რაც მას თავს ცარიელ ადგილად აგრძნობინებს), ანუ ისეთი მოპყრობა, რაც მის სოციალურ სტატუსს დააქვეითებს.

ამრიგად, მამაკაცები უფრო ხშირად განიცდიან თავდასხმებს სოციალურ ავტორიტეტზე, ხოლო ქალები უფრო ხშირად განიცდიან შეტევებს სამუშაოს პროფესიონალურ ხარისხზე და სოციალურ ურთიერთობებზე.

აღმოჩნდა, რომ ქალები უფრო უარყოფით დამოკიდებულებას აფიქსირებენ მოზინგის მიმართ, ვიდრე მამაკაცები. კვლევამ გვაჩვენა, რომ კონფლიქტების მოგვარებისას მამაკაცებისთვის მეტოქეობის სტრატეგია უფრო დამახასიათებელია, ანუ კონკურენტული ურთიერთობები დაკავშირებულია კონფლიქტურ ქცევასთან. ქალები კი ირჩევენ კომპრომისულ სტრატეგიას, ცდილობენ რა აღმოფხვრან წინააღმდეგობები.

მამაკაცები ცდილობენ დაფარონ მათ მიმართ განხორციელებული მოზინგი. ისინი ქალებთან შედარებით გაცილებით იშვიათად აცხადებენ, რომ მოზინგის მსხვერპლი არიან. მამაკაცებს სურთ, გამოჩნდნენ ფსიქოლოგიურად ბევრად იმაზე ძლიერი, ვიდრე რეალურად არიან. ამიტომ ისინი მაქსიმალურად ცდილობენ, უარყონ მათ მიმართ განხორციელებული მოზინგი, რაც კიდევ უფრო ართულებს საქართველოს შრომით კოლექტივებში ამ მიმართულებით არსებული რეალური სურათის წარმოჩენას.

მოზინგთან მიმართებაში იგრძნობა ქართული სტერეოტიპის გავლენა - მოზინგის მსხვერპლად ყოფნა სირცხვილად და მიუღებელ ფაქტად მიაჩნიათ, განსაკუთრებით, მამაკაცებს.

დასკვნა

ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, მოზინგს, როგორც სოციალურ მოვლენას, შეუძლია ორგანიზაციის ეფექტური საქმიანობა შეაფერხოს, გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ნეგატიური ცვლილებები შრომით ქცევებში და იქცეს თანამშრომელთა წარმატების დემოტივატორად, რომ აღარაფერი ვთქვათ იმ ნეგატიურ გავლენაზე, რასაც მსხვერპლის ფსიქიკურ და ფიზიკურ ჯანმრთელობაზე ახდენს. ორგანიზაციების ხელმძღვანელებს არ აქვთ გაცნობიერებული მოზინგის ზეგავლენა შრომის ნაყოფიერებაზე.

მოზინგის საწინააღმდეგო მექანიზმი უნდა იყოს თანმიმდევრული სტრატეგიული და ტაქტიკური რეაგირებების ერთობლიობა, რომელიც პირველ რიგში, კოლექტივში მოზინგის პრევენციაზე იქნება მიმართული. ამასთან, მსოფლიოში ცნობილი მექანიზმების გამოყენებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მოზინგში მონაწილე პირთა ქართული ეროვნული თავისებურებები.

გენდერული თანასწორობის პრონციპიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია არა მარტო დასაქმებულ ქალთა უფლებების გაძლიერება, არამედ დასაქმებულ მამაკაცთა უფლებების დაცვაზე ყურადღების მიქცევა, რამდენადაც მამაკაცები ქართული

ეროვნულ-კულტურული მენტალიტეტის გავლენით, მატ მიმართ განხორციელებულ ფსიქოლოგიური შევიწროების- მობინგის ფაქტებზე ხამაღლა ვერ აცხადებენ, რაც საბოლოო ჯამში აისხება მათ ფიზიკურ ა ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე.

მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებაც, რომ სამსახურში მობინგის მსხვერპლი მამაკაცი, უგროვდება რა ამოუთქმელი ნეგატიური ემოციები, აგრესიის ჰიდრავლიკური თეორიიდან გამომდინარე, შესაძლოა ოჯახში თვითონ იქცეოდეს აგრესიულად და იყოს ოჯახური ძალადობის ინიციატორი.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე სასურველია:

- „საქართველოს შრომის კოდექსში“ სამუშაო ადგილზე შევიწროების დაუშვებლობასთან დაკავშირებით 2020 წლის სექტემბერში შესული დამატებების სათანადო იმპლემენტაცია მოხდეს და შესაბამისი მუხლები ქმედითი გახდეს და არ დარჩეს მხოლოდ ფურცლებზე გაწერილ უმოქმედო ნორმებად;

- მნიშვნელოვანია ორგანიზაციაში ეთიკის კოდექსის შემუშავება, რომელშიც ერთმნიშვნელოვნად დაუშვებელი იქნება მობინგი. ამასთან გენდერული თანასწორობა იყოს არა რომელიმე მხარის სასარგებლოდ წარმართული, არამედ არსებობდეს ბალანსი და თანაბრად იყონ მობინგისგან დაცული როგორც ქალები, ასევე მამაკაცები;

- მნიშვნელოვანია ასევე, შრომის სწორი ორგანიზება, თანამშრომლებისთვის ნათელი და გასაგები გრძელვადიანი მიზნები და განვითარების გეგმები, მკაფიო თანამდებობრივი ინსტრუქციები. კარიერული ზრდის შესაძლებლობა თანაბრად არსებობდეს როგორც მამაკაცებისთვის, ასევე ქალებისთვის.

- პროაქტიული მოქმედებები - კონფლიქტების დროული მოგვარება, რათა არ მოხდეს მათი გადაზრდა მობინგში. დღევანდელი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან და, შესაბამისად, სტრესული სიტუაციებიდან გამომდინარე, როცა პანდემიამ კიდევ უფრო გაამძაფრა შფოთვა, სტრესი, გაღიზიანებულობა და დესტრუქციული ინტერაქციები, მათ შორის, შრომით კოლექტივებში, სასურველია, ყველა ორგანიზაციას პერსონალის მართვის განყოფილებაში ჰყავდეს პროფესიონალი

ფსიქოლოგი, რომელიც იმუშავებს როგორც კონფლიქტების მოგვარებაზე, ასევე მობინგის გამოვლენაზე და დაეხმარება მობინგში მონაწილე პირებს, ჩაატარებს ტრენინგებს ამ მიმართულებით და გაუწევს ფსიქოლოგიურ კონსულტაციას მობინგის ობიექტებს. იგი გააანალიზებს სამუშაო ატმოსფეროს, გამოავლენს ორგანიზაციის ინტერაქციულ პრობლემებს, შეიმუშავებს მათი გადაჭრის გზებს.

- საზოგადოების ცნობიერების ამაღლება აღნიშნულ ნეგატიურ ფენომენთან დაკავშირებით, მისი თავიდან აცილების მეთოდებით საზოგადოების ინფორმირება.

- გენდერული თანასწორობის პრინციპის გატრეზა ხელმძღვანელ პოზიციებზე დასანიშნ პირთა შერჩევისას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ნიჟარაძე, გ/მშვიდლობაძე, რ./ასათიანი, თ. /ციხისთავი, თ. (2010), კონფლიქტები, კონფლიქტების და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი.
2. European Parliament/ REPORT on measures to prevent and combat mobbing and sexual harassment at workplace, in public spaces, and political life in the EU (2018/2055(INI) https://www.europarl.europa.eu/doceo/document/A-8-2018-0265_EN.pdf [12.02.2022]
3. Zuschlag, B. Mobbing: Schikane am Arbeitsplatz <https://books.google.ge/books?id=4KrRzxPnEqYC&lpg=PA3&dq=Meyers%20Gros ses%20Taschenlexikon%20%20mobbing&pg=PP1#v=onepage&q=Meyers%20Gros ses%20Taschenlexikon%20%20mobbing&f=false> [12.02.2022]
4. Leymann H. Mobbing and psychological terror at workplaces // Violence and Victims. 1990. N5.P.19–125
5. Hoel H., Cooper C. Destructive conflict and bullying at work // Extracts of study report compiled for Launch of the Civil Service Race Equality Network

(September, 2001)

<http://www.bollettinoadapt.it/old/files/document/19764Destructiveconfl.pdf>

ბაბაბა: [14.05.2021]

6. Knorz, C/Zapf, D. (1996) mobbing: Eine extreme form sozialer stressoren am arbeitsplats. In: Zeitschrift fuer Arbeits und Organisationspsychologie. Heft1. Goettingen, Stuttgart: Verlag fuer Angewandte Psychologie
7. Einarsen S., Hoel H., Zapf D., Cooper C. (ed.) Bullying and Emotional Abuse in the Workplace. International perspectives in research and practice. London: Taylor & Francis e-Library, 2004.
8. Neuberger, O. (1994) mobbing: uebel mitspielen in organisationen. Muenchen Rainer Hampp verlag.
9. Колодей К. 2007, Моббинг. Психотеррор на рабочем месте и методы его преодоления/пер. С нем.-Х.: Изд-во Гуманитарный центр,2007.

Marine Berdzenadze

PHD Student of GTU

Gender Aspects of Mobbing in Labor Organizations of Georgia

Abstract: In the context of the economic crisis, when competition in the labor market is significantly high, negative phenomena such as mobbing in labor organizations and institutions are especially intensified. However, the victims of mobbing are mostly women. This is due to the fact that society is still patriarchal and men occupy a higher position in society. At the same time, in Georgia, the leading positions are mainly occupied by men and, therefore, the subjects of vertical mobbing are most often men. Negative interaction between employees in labor organizations, systematic disagreements between employees affect not only productivity and quality of work, but also the motivation and success of personnel. The energy that needs to be spent on creating a quality product in the labor process is spent on psychological pressure between employees and the fight against it.

The article discusses the gender aspects of mobbing, how this phenomenon is related to the organizational culture in Georgian work collectives, how women and men relate to this event, what mobbing actions are taken against representatives of different genders and what mobbing actions they use.

In order to identify the problems, we conducted a quantitative survey of various labor organizations, which involved 562 people from 18 to 70 years of age employed in both the public and private sectors. Of these, 190 were men (33.8%) and 372 were women (66.1%). It is noteworthy that more women than men were interested in research on this issue.

Key words: Gender equality; Mobbing; Sex discrimination, Psychological pressure

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია მედიაში ქალთა მიმართ დისკრიმინაცია და ვიქტიმიზაცია, რომელიც საკმაოდ რთული და მრავალმხრივი პროცესია და უარყოფით გავლენას ახდენს ქალის ფიზიკურ, ემოციურ, ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე. ყურადღება გამახვილებულია მედიის მიერ დანაშაულში მონაწილე ქალების მიმართ დისკრიმინაციული ენის ზოგადი პროფილის აღწერა-შესწავლაზე; შესწავლილია დანაშაულში მონაწილე ქალების სოციალური როლი და მათთან დაკავშირებული სოციალური წარმოდგენები. საუბარია მედიის მიერ შერჩეულ მხარდაჭერის სტრატეგიაზე, რომელიც შეიძლება დამნაშავე-კაცის მიმართ უფრო მეტი ლმობიერებით მყდვანდებოდეს ვიდრე ქალის, განსაკუთრებით, როცა კაცი ძლიერი სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური სტატუსით გამოირჩევა. სტატიის ძირითად ნაწილში განხილულია, მედიის დისკრიმინაციული ენა (გამონათქვამები თვალსაზრისები) დანაშაულში მონაწილე ქალსა და კაცს შორის განსხვავებების შემთხვევაში. და ბოლოს, ავტორი გამოთქვამს შემაჯამებელ ვარაუდებს და გამოაქვს დასკვნები და ადასტურებს, რომ მედია განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს დანაშაულში მონაწილე ქალის მიმართ, და ახდენს დანაშაულის პოპულარიზაციას, რაც ქალი-დამნაშავეს/მსხვერპლის ზოგად დამახინჯებულ პროფილს და დანაშაულის მოტივაციის დამახინჯებულ აღქმას ქმნის. რაც თავის მხრივ, იწვევს ქალის მიერ დანაშაულზე რეაგირების უუნარობას და შესაბამისად, ხშირად ქალის მეორეულ ვიქტიმიზაციას და დისკრიმინაციასაც. ავტორი ადასტურებს, რომ მედია სოციალური ვიქტიმიზაციის ძირითადი მექანიზმია და შეუძლია არამხოლოდ, ქალის მიმართ დისკრიმინაცია და ვიქტიმიზაცია გამოიწვიოს, არამედ მთელი საზოგადოების მიმართ ვიქტიმიზაციის შიში შექმნას სწორედ ამიტომ, ავტორი გამოთქვამს ვარაუდს ქალთა დისკრიმინაციისა და ვიქტიმიზაციის მედია-

ვიქტიმიზაციის ქვეკატეგორიად³⁷ ჩამოყალიბების შესახებ, რაც ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის საუკეთესო გზების დასახვისთვის აუცილებელია.

საკვანძო სიტყვები: მედია; მედია-ვიქტიმიზაცია, დისკრიმინაციული ენა; ქალთა დისკრიმინაცია, ვიქტიმიზაცია.

ქალთა მიმართ დისკრიმინაცია და ვიქტიმიზაცია მედიაში

შესავალი

თანამედროვე საზოგადოებაში, სადაც ინფორმაცია საყოველთაოა, ახალი ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის სწრაფი განვითარების შედეგად ძლიერდება „ვიზუალური კულტურაც“. შესაბამისად, მედიისათვის სურათს და მის დრამატიზაციას, ასევე რეპრეზენტაციას ყველაზე მნიშვნელოვანი როლი აქვს, რადგან გადმოცემული ამბის შინაარსს აძლიერებს [1]. მედია არა მხოლოდ საზოგადოების ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს, არამედ აყალიბებს, ქმნის, მოსაზრებებს, შეხედულებებს, სურათებს, რომლებიც საზოგადოებაზე პირდაპირ გავლენას ახდენენ [2].

მედიის ინტერესი დანაშაულში მონაწილე ქალის მიმართ დიდია, რაც მრავალი სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური ფაქტორითაა განპირობებული [3]. მნიშვნელოვანია, რომ მედიის დამოკიდებულებები ქალების მიმართ სტერეოტიპულიცაა [4]. მედია ქალებს ხშირად წარმოაჩენს შეურაცხმყოფელი სახით, ქალები წარმოდგენილი არიან სექსუალური სურვილის ობიექტად; ასევე მედია ქალებს ანიჭებს მეუღლის ან/და დედის როლს იმგვარად, რომ სხვა როლები, რომლებიც დღეს ქალებს საჯარო, საზოგადოებრივ, ბიზნესსექტორებში უკავიათ სრულებით იკარგება [5]. მედია კაცებთან შედარებით ქალებს არასრულფასოვნად

³⁷ იხ. კუკულაძე,მ.,„მედია-ვიქტიმიზაცია“ ჟურნალი, განათლება 4(35), გვ.30, სტუ, 2021. სტატიაში განხილულია მედია-ვიქტიმიზაციის ვიქტიმიზაციის ცალკე კატეგორიად გამოყოფის აუცილებლობა.

წარმოაჩენს. უფრო მეტიც, ძალადობის შემთხვევაში ქალები ძალადობის მაპროვოცირებელ პირებად არიან წარმოდგენილი. შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ მედიაში დღემდე გვხვდება ქალების მიმართ სტერეოტიპული და დისკრიმინაციული შეხედულებები. აღნიშნულის შესასწავლად, საჭიროდ მიგვაჩნია დანაშაულში მონაწილე ქალების მიმართ მედიის დისკრიმინაციული ენის ზოგადი პროფილის აღწერა-შესწავლა.

ქალთა დისკრიმინაცია და ვიქტიმიზაცია მედიაში

დანაშაულის სიმძიმისა და გარემოებიდან გამომდინარე, შესაძლებელია მედიამ კვირებისა და თვეების განმავლობაში გააშუქოს ესა თუ ის კონკრეტული დანაშაული. დანაშაული მუდმივად წარმოადგენს მედიისა და საზოგადოების ყურადღებისა და განსჯის საგანს [2]. აღსაღნიშნავია, რომ ძალადობის თითოეული ფაქტი თავისი არსით ერთდროულად როგორც კონფლიქტის, ასევე სიახლის შემცველიცაა, რაც მის მიმართ მუდმივ ინტერესსა და განსაკუთრებულ „მიზიდულობას“ განაპირობებს. საზოგადოება დანაშაულს ხშირად ერთგვარ „სანახაობად“ აღიქვამს და ბევრისათვის არსებული რეალობიდან და პრობლემებიდან დისტანცირებისა და თავის არიდების საშუალებას წარმოადგენს. არაერთხელ გვინახავს სისხლიანი „წითელი“ დანაშაული როგორ იქცევა „ყვითელ“ ამბად ანუ დანაშაულებრივი მოვლენები როგორ გარდაიქმნება „სანახაობად“ და როგორ ყალიბდება და მრავლდება ინდივიდუალური აღქმები, რომლებიც შემდგომში საზოგადოებაზე პირდაპირ გავლენას ახდენენ [6]. სურათები, რომლებსაც მედია ქმნის განმეორებითი ხასიათი აქვს. განმეორებითი სიტყვებით ძლიერდება გაბატონებული სოციალურ ღირებულებები და ყალიბდება გარკვეული შეხედულებები, წარმოდგენები, გენდერული სტერეოტიპები [7], რომლებიც წარმოადგენენ ქალის დისკრიმინაციისა და ვიქტიმიზაციის ფორმებს.

მედიის მიერ დანაშაულის გაშუქება და მის მიმართ მიდგომები ხშირად განსხვავდება, როდესაც დანაშაულს ჩადის ქალი. *რითი განსხვავდება მედია სივრცეში ქალი-დამნაშავე, კაცი-დამნაშევისგან?* ქალის მიერ ჩადენილი დანაშაული მედიის ყურადღებას იპყრობს, რადგან ძალადობა და აგრესია ადამიანის ცნობიერებაში

აღქმულია როგორც კაციდან მომდინარე ქცევა [8]. ქალი ძირითადად სინაზესა და მგრძნობელობას უკავშირდება [8]. თუმცა ქალების ამგვარი აღქმა ქარწყლდება, როდესაც იგი თავისი სქესის სოციალური წესებს „არღვევს“ და დანაშაულს სჩადის [9]. მედიის მიერ ქალების მუდმივად ობიექტივში ყოფნა არა მხოლოდ პრობლემაა, არამედ ქალთა მიმართ ძალადობის ფორმაც შეიძლება ჩაითვალოს. ქალებზე დაკვირვებით, მანიპულირებით, შეურაცხყოფით და მათი უარყოფითი განხილვით, მედია ხელს უწყობს ქალების არასრულფასოვან „ადამიანებად“ აღქმას. ასევე მედია მიდრეკილია, ცალკეული დამნაშავისა და მსხვერპლის მიმართ ბრალდებები გაამლიეროს და ხშირად ეს სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა ფრაზების, გამონათქვამების მეშვეობით ხდება. მაგალითად: - „სიკვდილის ანგელოზი“, „შავი ქვრივი“, „ობობა ქალი“ ან „სერიული მკვლეელი ქალი“, „ემოციურად არასტაბილური“, „პარანოიდი“, „სექსუალურად დევიანტი“, „ცუდი დედა“, „ცუდი ცოლი“ [9]. ეს ფრაზები და გამონათქვამები საზოგადოების ყურადღებას იპყრობს და ქალი მისი განსჯის ობიექტი ხდება. მსგავსი დახასიათებები ქალებთან შედარებით კაცების მიმართ ხშირად არ ვლინდება, რადგან მათი ქმედება გენდერის სოციალური კონსტრუქციის დარღვევას არ წარმოადგენს [8]. მაგალითად, სერიულ მკვლელს უწოდებენ სერიულ მკვლელს და სიტყვა „მამაკაცს“ ან „კაცს“ არ ახსენებენ. მაშინ როდესაც ქალის შემთხვევაში ხაზგასმულია მისი სქესი - ქალი სერიული მკვლეელი. გარდა ამისა, ქალის დანაშაულებრივი ქცევა ზოგჯერ შეიძლება დაუკავშირონ ქალის ჰორმონალურ-რეპროდუქციული სისტემის დარღვევას და ა.შ... ქალის მიმართ ამგვარი მიდგომები და ვიქტიმიზაცია სწორი არ არის. იქმნება ქალი-დამნაშავის დამახინჯებული ზოგადი პროფილი და დანაშაულის მოტივაციის დამახინჯებული აღქმა [9].

რა ხდება როდესაც დანაშაულში მონაწილე ქალი მსხვერპლია? მაგალითად, როდესაც ქალი აცხადებს, რომ იგი ოჯახური ძალადობის მსხვერპლია, ხშირად მის წინააღმდეგ დიდი აგრესია ჩნდება, ხდება დისკრიმინაციის და ვიქტიმიზაციის მსხვერპლი, რის გამოც ითრგუნება და ქალების დიდი ნაწილი უფლებების დაცვის

ნაცვლად დუმილს ამჯობინებს, ასევე წყვეტს სამართლებრივ დავებს და ა.შ [3] საქმე განსაკუთრებით რთულდება, თუ დანაშაულის ერთ-ერთი მონაწილე ცნობილი პირია (მსახიობი, სპორტსმენი, პოლიტიკური ან საზოგადო მოღვაწე და ა.შ), რომელთა ცოლებსა და პარტნიორებს სწორედ საზოგადოებრივი წნეხისა და კაცების მიმართ შემწყნარებლური დამოკიდებულების გამო განსაკუთრებით უჭირთ სიმართლის დამტკიცება. მედია დანაშაულში მონაწილე პირების მიმართ მხარდაჭერის სტრატეგიას თავისი სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე ხშირად თავიდანვე ირჩევს[10] აშუქებს მოძალადე, ცნობილი ადამიანების გულშემატკივრების რაოდენობას და კომენტარებს; განცხადებების ნაწილში ძირითადად გამოიყენება სიტყვა „მაგრამ“ მიუხედავად იმისა, რომ მას წინ ძალადობის დაგმობა უსწრებს. არაერთხელ მოგვისმენია, ქალების მიმართ გამოთქმული კომენტარი, რომ მან თავად გამოიწვია ძალადობრივი ქცევა, ისინი არიან დანაშაულის მაპროვოცირებელი პირები და ა.შ.

დასკვნა

მედიის დისკრიმინაციული ენის ზოგადი პროფილის აღწერა-შესწავლისას, ცხადი ხდება დანაშაულში მონაწილე ქალები რატომ იწვევენ მედიის დიდ ყურადღებას. ვფიქრობთ სტერეოტიპული დამოკიდებულებიდან გამომდინარე „ირღვევა“ ქალის სოციალური როლი, როლთან დაკავშირებული წარმოდგენები და ა.შ. მედია თავისი ინტერესებიდან გამომდინარე ხშირად დამნაშავე კაცის მიმართ ქალთან შედარებით შეიძლება ღმობიერი იყოს, რაც რეალობის დამახინჯებას, ქალების მიმართ დისკრიმინაციასა და ვიქტიმიზაციას იწვევს. უნდა აღინიშნოს, რომ მედია სოციალური ვიქტიმიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმია და შესაბამისად, მედიისა და ქალთა დისკრიმინაციის და ვიქტიმიზაციის ურთიერთმიმართების საკითხები სამეცნიერო შესწავლის აუცილებლობას მოითხოვს. შესაბამისად, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ქალთა დისკრიმინაციისა და ვიქტიმიზაციის საკითხები მედია-ვიქტიმიზაციის ქვეკატეგორიად ჩამოყალიბდეს [11]. ქვეკატეგორიად ჩამოყალიბება ასევე იმიტომაცაა მნიშვნელოვანი, რომ მედია,

როგორც ძალაუფლების სისტემა იწვევს სოციალურ რეაქციებს, რომლებიც ქალის პასიურობას, დანაშაულზე რეაგირების უუნარობას, მსხვერპლად ქცევის ან/და მსხვერპლად ხელახლა ქცევის შიშს განაპირობებენ; ახდენს დანაშაულის პოპულარიზაციას და შეუძლია განაპირობოს დანაშაულის „ემოციური ხასიათი“, ჩამოაყალიბოს საზოგადოებრივი აზრი, განავრცოს შიში, წარმოქმნას რეალური და არარეალური საფრთხის შეგრძნებები, დაუცველობის განცდა და ა.შ. ამიტომ შესაძლებელია მისი არა მხოლოდ ქალთა დისკრიმინაციისა და ვიქტიმიზაციის წყაროდ, არამედ მთელი საზოგადოების ვიქტიმიზაციის შიშის წყაროდ მოაზრება.

სამეცნიერო მიმოქცევაში მედიის მიერ გამოწვეული ქალთა მიმართ დისკრიმინაციის და ვიქტიმიზაციის საკითხების შესწავლა დაგვეხმარება ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის საუკეთესო გზების დასახვაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Jewkes, Y. „The Construction of Newsy, excerpt from Media and Crime, London:2004.
2. Wykes, M. News, Crime and Culture, Pluto Press, 2001.
3. Gartner R. and McCarthy B. The Oxford Handbook of Gender, Sex, and Crime Oxford University Press,2014.
4. Byerly, C and Ross, K. Women and Media, A critical Introduction, Blackwell Publishing Ltd,2006.
5. Carter, C., Steiner, L. & McLaughlin, L. (ed.) The Routledge Companion to Media and Gender, Routledge, Taylor & Francis Group, 2014.
6. პანუსის, გ. გამოყენება და ბოროტად გამოყენება,გამომცემლობა იურიდიული ბიბლიოთეკა, 2008 Γ.Πανούσης, ΚΑΘ' ΥΠΕΡΒΟΛΗΝ Χρήσεις & Καταχρήσεις, εκδοσεις νομική βιβλιοθήκη,2008.
7. Hall, S et al.Policing the crisis: Mugging, the state and law and order, London:Mamillan.1978.
8. Boyle, K. Media and Violence, Gendering the Debates, SAGE Publications Ltd,2005.

9. Eastal, P., Bartels, L., Holland, K. and Nelson, N. preprint of the following publication: How Women who Kill are Portrayed in Newspaper Media? Connections with Social Values and the Legal System, Women Studies International Forum, 2015 <https://www.researchgate.net/publication/277077900> How are women who kill portrayed in newspaper media Connections with social values and the legal system
10. კარდარა, ა. ტრომოკრატია და მედია , გამომცემლობა ანტ.ნ. საკულა, 2003.
 Αγγελική Καρδαρά, Τρομοκρατία και ΜΜΕ, εκδόσεις ΑΝΤ. Ν. Σάκκουλα, 2003
11. კუკულაძე,მ; „მედია-ვიქტიმიზაცია“ ჟურნალი, განათლება 4(35) სტუ, 2021.

Mariam Kukuladze

PHD Student of GTU

Discrimination against women and victimization in the media

Summary

The article discusses discrimination and victimization of women in media, which is quite complicated and compulsory process, it has a negative effect on women's physical, emotional and psychological state. The article emphasizes the rude language used in media towards the women participating in the crime, as well as the role of those women in society and the society's attitude towards them. The article discusses also the supportive strategy of media which could be more loyal in case of male offender especially when he has high social, economic and financial status. The article mainly focuses on discriminative language of the media {expressions, opinions} used towards male and female and the differences between them. In the end of the article the author expresses deductive speculations, draws conclusions and states that media is particularly interested in case of women offenders and thus, encourages the popularization of crime that itself causes woman offender or victim's wrong profile and wrong understanding of motivation of crime. As a result, it causes inability of woman to react to the crime and woman's secondary victimization and discrimination. The author confirms that media is the main mechanism of social victimization and can cause not only

discriminations and victimization of woman but woman's fear of the whole society that's why the author expresses her opinion to identify women's media victimization as a separate subcategory of woman's victimization and discrimination. This could be an excellent tool to create new mechanisms to prevent woman's discrimination and victimization.

Key words: media, media-victimization, discriminative language, woman's discrimination victimization.

მარიამ წიკლაური
საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტაქტი

სამეწარმეო აზროვნება (შესაძლებლობების აღმოჩენა, ხედვა, ეთიკური და მდგრადი აზროვნება, იდეების შეფასება, მოტივაცია და შეუპოვრობა, რესურსების მობილიზება, სწავლა, გამოცდილება, დაგეგმვა, მართვა და ა.შ.), კრეატიულობა ან ფიქრი იმაზე, თუ როგორ დავენერგოთ სიახლე, თანაბრად მნიშვნელოვანია კარიერული წინსვლისთვის, როგორც მამაკაცებისთვის, ისე ქალებისთვის. ქალთათვის შესაძლებლობების გაფართოება ბიძგს აძლევს ეკონომიკის განვითარებას და ხელს უწყობს პროდუქტიულობის ზრდას, თუმცა გენდერულ უთანასწორობას ყველა საზოგადოებაში ღრმად აქვს ფესვები გადგმული და შესაბამისად, დაბალია ქალთა წარმომადგენლობა ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში. გენდერული თანასწორობა და ქალთა ეკონომიკურ გაძლიერება, როგორც ყველაზე ეფექტიანი მიდგომა ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობისა და სიღარიბის აღმოსაფხვრელად, გენდერზე დაფუძნებული სტრუქტურული ბარიერების ძირეული მიზეზების აღმოფხვრა - ქალებს ეხმარება სამეწარმეო ამბიციების გადაჭრაში - ეკონომიკური დამოუკიდებლობის მისაღწევად.

ზოგადად, ტექნიკური უნარები და ცოდნა აუცილებელია წარმატებისთვის, მაგრამ ლოიალური უნარები და ემოციური ინტელექტი თანაბრად მნიშვნელოვანია. ქალებს შეუძლიათ გამოიყენონ თავიანთი გამოცდილება და უნარები ემოციური ინტელექტით, რათა სწორად მართონ თავიანთი კომპანიები. ასევე, როგორც მეწარმემ, ქალს შეუძლია იცხოვროს უფრო ავთენტური ცხოვრებით და შექმნას კორპორატიული კულტურა, რომელიც უფრო შესაფერისია საკუთარი ღირებულებებისთვის.

ინდუსტრიების უმეტესობა მამაკაცთა დომინირებითაა დაკავებული. ეს უფრო გამოწვევაა, როდესაც ქალი მოდის ლიდერად და აძლევს მამაკაცებს მიმართულებებს. ასევე, ბევრი ინვესტორი სკეპტიკურად არის განწყობილი ქალების ხელმძღვანელობით კომპანიებში ინვესტიციების მიმართ, რადგან მათ ჰგონიათ, რომ ქალები ვერ იქნებიან წარმატებულნი. ერთ-ერთი მთავარი დაბრკოლება და გამოწვევა მეწარმე ქალებისთვის არის მრჩევლების და მენტორების ნაკლებობა. ქმედითი მრჩევლების და მენტორების ნაკლებობა ზღუდავს მათ პროფესიულ ზრდას.

საკვამო სიტყვები: ქალი, ეკონომიკური გაძლიერება, მეწარმეობა, პოლიტიკა, გენდრული თანასწორობა, კომპეტენცია, ძალისხმევა.

ქალთა მეწარმეობის პრობლემები და თავისებურებები

შესავალი

სამეწარმეო აზროვნება, კრეატიულობა ან ფიქრი იმაზე, თუ როგორ დავნერგოთ სიახლე, თანაბრად მნიშვნელოვანია კარიერული წინსვლისთვის, როგორც მამაკაცებისთვის, ისე ქალებისთვის. ქალთათვის შესაძლებლობების გაფართოება ბიძგს აძლევს ეკონომიკის განვითარებას და ხელს უწყობს პროდუქტიულობის ზრდას, თუმცა გენდერულ უთანასწორობას ყველა საზოგადოებაში ღრმად აქვს ფესვები გადგმული და შესაბამისად, დაბალია ქალთა წარმომადგენლობა ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში. გენდერული თანასწორობა და ქალთა ეკონომიკურ გაძლიერება, როგორც ყველაზე ეფექტიანი მიდგომა ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობისა და სიღარიბის აღმოსაფხვრელად, გენდერზე დაფუძნებული სტრუქტურული ბარიერების ძირეული მიზეზების აღმოფხვრა - ქალებს ეხმარება სამეწარმეო ამბიციების გადაჭრაში - ეკონომიკური დამოუკიდებლობის მისაღწევად.[1.11]

ეკონომიკის გენდერული ასპექტი

ქალთა მეწარმეობა ხაზს უსვამს ქალთა ლიდერობის უნარების, გადამწყვეტი და ინოვაციური იდეების გამოყენებას ეკონომიკური და სოციალური განვითარებისთვის,

ქალთათვის შესაძლებლობების გაფართოება ბიძგს აძლევს ეკონომიკის განვითარებას და ხელს უწყობს პროდუქტიულობის ზრდას, თუმცა გენდერულ უთანასწორობას ყველა საზოგადოებაში ღრმად აქვს ფესვები გადგმული და შესაბამისად, დაბალია ქალთა წარმომადგენლობა ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში.[2.]

ბოლო წლების განმავლობაში, საქართველოში არაერთი კვლევა ჩატარდა - ქალების ეკონომიკური არააქტიურობისა და არაფორმალური დასაქმების მიზეზებისა და შედეგების დასადგენად, რომელთა ძირითადი მიზანი იყო ქალთა ეკონომიკური შესაძლებლობებისა და მეწარმეობრივი პოტენციალის გამოვლენის ხელშეწყობა.

გენდერულ თანასწორობა და ქალთა ეკონომიკურ გაძლიერება, როგორც ყველაზე ეფექტიანი მიდგომა ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობისა და სიღარიბის აღმოსაფხვრელად, გენდერზე დაფუძნებული სტრუქტურული ბარიერების ძირეული მიზეზების აღმოფხვრა - ქალებს ეხმარება სამეწარმეო ამბიციების გადაჭრაში - ეკონომიკური დამოუკიდებლობის მისაღწევად.[1.18]

მეწარმე ქალებს დიდი სურვილი აქვთ მონაწილეობა მიიღონ ციფრულ ეკონომიკაში, მაგრამ ბევრ მათგანს არ აქვს წვდომა შესაბამის ფინანსებზე, საბაზისო IT უნარ-ჩვევებზე ან უბრალოდ, მათ არ გააჩნიათ ნდობის ფაქტორი. ამ თვალსაზრისით, მეწარმე ქალებისთვის ინკლუზიური ბაზრებისა და შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად, გარკვეული სახის სამუშაოებია გასაწევი. სასურველია გაიზარდოს მეწარმე ქალების რაოდენობა, რომლებიც ონლაინ პლატფორმებით მოახდენენ საქმიანობის რეალიზაციას და რა თქმა უნდა, ამისათვის აუცილებელია შესაბამისი ტრენინგების განხორციელება მათთვის.

ქალ-მეწარმეთა წინაშე მრავალი პრობლემა იჩენს თავს. ბევრ ქვეყანაში დაფუძნებული ქალ მეწარმეთა ასოციაცია მუშაობს შესაბამის საკითხებზე და შესაბამისად, ასოციაციას შეუძლია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს მხარდაჭერის ღონისძიებების შემუშავებაში, რათა უზრუნველყოს მეწარმე ქალთა საჭიროებები დროულად, მათ შორის ფინანსური წიგნიერების, ციფრული უნარებისა და ბიზნესის

უწყვეტობის სტრატეგია. ბოლო პერიოდში, ყოველივე ამას დაემატა, ფოკუსირებული შესაძლებლობების გაძლიერების დახმარება - COVID-19 პანდემიიდან გამომდინარე.

პანდემიის დროს მეწარმე ქალებიც აწყდებიან სირთულეებს, რომლის გადასაჭრელადაც ბევრმა მათგანმა განახორციელა ბიზნეს მოდელის ადაპტირება.

ქალთა მეწარმეობის განვითარებისთვის, პრაქტიკამ აჩვენა, რომ კარგად მუშაობს სახელმწიფო ხელშეწყობის პროგრამები, ასოციაციები, სხვადასხვა პროექტები და შესაბამისად, შეხვედრების და სხვადასხვა დაგეგმილი ღონისძიებების ფარგლებში გამართული დისკუსიებით კარგად იკვეთება ქალთა საკუთრებაში არსებული ბიზნესების ინოვაციური და მუდმივი მხარდაჭერის აუცილებლობა. გარდა ამისა, მსგავსი შეხვედრებით ხდება გამოცდილებების გაზიარება. COVID-19-ის, მცირე ბიზნესის და გენდერული უთანასწორობის კვეთა ხაზს უსვამს სამყაროს ურთიერთდამოკიდებულებას და მეწარმე ქალთა მხარდაჭერის მნიშვნელობას კრიზისის დროს.

მეწარმე ქალებისთვის რთულ პერიოდებში, საქართველოში სხვადასხვა პროგრამები იყო წარმოდგენილი - ქალების მიერ მართული ბიზნესის ზრდაზე - ფინანსებზე ხელმისაწვდომობით, ციფრული და ბიზნეს უნარებისა და ხელსაყრელი პოლიტიკის გარემოს შექმნის მიზნით. ქალები უძღვებიან მეწარმეობას და წარმატებით ახორციელებენ ბიზნესს, შეუძლიათ გადალახონ სხვადასხვა გამოწვევები, სათანადოდ გამოიყენონ სხვადასხვა შესაძლებლობები და პერსპექტივები საკუთარი მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად.

ქალ-მეწარმეთა საქმიანობას რიგი თავისებურებები ახასიათებს.

ზოგადად, ტექნიკური უნარები და ცოდნა აუცილებელია წარმატებისთვის, მაგრამ ლოიალური უნარები და ემოციური ინტელექტი თანაბრად მნიშვნელოვანია. ემოციური ინტელექტი ლიდერობაში ნიშნავს თვითშემეცნებას, თანაგრძნობას და მოსმენის უნარს. მიუხედავად იმისა, რომ ამ მახასიათებლების გაზომვა ძნელია, ქალებს შეუძლიათ გამოიყენონ თავიანთი გამოცდილება და უნარები ემოციური ინტელექტით, რათა სწორად მართონ თავიანთი კომპანიები.

მრავალი კომპანიის კორპორატიულ კულტურას შეუძლია იმუშაოს ქალების წინააღმდეგ, მაგრამ როდესაც ქალი ხელმძღვანელობს საკუთარ კომპანიას, მას აქვს შესაძლებლობა შექმნას გარემო, რომელიც შესაფერისია კომპანიაში მომუშავე სხვა ქალებისთვის. როგორც მეწარმე, ქალს შეუძლია იცხოვროს უფრო ავთენტური ცხოვრებით და შექმნას კორპორატიული კულტურა, რომელიც უფრო შესაფერისია საკუთარი ღირებულებებისთვის.[1.29]

ინდუსტრიების უმეტესობა მამაკაცთა დომინირებითაა დაკავებული. ეს უფრო გამოწვევაა, როდესაც ქალი მოდის ლიდერად და აძლევს მამაკაცებს მიმართულებებს. მიუხედავად იმისა, რომ კორპორაციების უმეტესობას სჯერა გენდერული თანასწორობის და თანხმდება, რომ საუკეთესო ადამიანმა, განურჩევლად სქესისა, უნდა უხელმძღვანელოს სამუშაოს, ყოფილა მრავალი შემთხვევა, როდესაც ქალი გენდერულად ნეიტრალური სახელით უძღვებოდა სამუშაოს. ეს ადასტურებს იმას, რომ არაცნობიერი ორგანიზაციული გენდერული მიკერძოება ნამდვილად არსებობს.

ბევრი ინვესტორი სკეპტიკურად არის განწყობილი ქალების ხელმძღვანელობით კომპანიებში ინვესტიციების მიმართ, რადგან მათ ჰგონიათ, რომ ქალები ვერ იქნებიან წარმატებულნი, როგორც მეწარმეები. ისინი ფიქრობენ, რომ მეწარმე ქალები ვერ შეძლებენ თავიანთი კომპანიის წარმართვას წარმატებისკენ, რის შედეგადაც, მათი აზრით, კომპანია შესაძლოა ზარალზე გავიდეს. სწორედ ასეთი მიდგომა იწვევს ინვესტორების ყოყმანს მეწარმე ქალთა ფინანსური მხარდაჭერის პროცესში.

კიდევ ერთი მთავარი დაბრკოლება და გამოწვევა მეწარმე ქალებისთვის არის მრჩევლების და მენტორების ნაკლებობა. ქმედითი მრჩევლების და მენტორების ნაკლებობა ზღუდავს ქალების პროფესიულ ზრდას.[2]

მაღალი დონის ბიზნეს სამყაროს უმეტესი ნაწილი ჯერ კიდევ მამრობითი სქესის დომინანტია და მეწარმე ქალებს ძალიან უჭირთ შექმნან საკუთარი გზა და ხელი შეუწყონ დანერგვას და კავშირებს ზოგიერთ უმაღლეს ბიზნეს ქსელში. თუმცა,

არსებობს მრავალი მაგალითი, რომლებშიც ვხვდებით ქალებს, როგორც წარმატებულ მეწარმეებს უაღრესად კონკურენტუნარიან ბიზნეს გარემოში. მათ დაამტკიცეს, რომ არანაკლებნი არიან თავიანთ მამრობითი სქესის კოლეგებზე ორგანიზაციული მიზნების რეალიზებაში და კომპანიის წარმატების მწვერვალებამდე მიყვანაში.

დღეს ბევრი ქვეყანა ამაყობს თავისი მეწარმე ქალებით, რომლებმაც მიაღწიეს წარმატების სიმაღლეებს დიდი ძალისხმევით და გადალახეს სხვადასხვა სირთულეები. მიუხედავად ამისა, ძალიან ცოტაა ქალი, ვინც ასეთ მაღალ თანამდებობებს იკავებს დიდ კომპანიებში.

ევროკომისია ხელს უწყობს ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას და ქალთა მეწარმეობას. მეწარმე ქალების მიერ გამოხატულ საჭიროებებზე დაყრდნობით, კომისიამ წახალისა ქსელის შექმნა, რომლებიც ეხმარება ქალებს საკუთარი შესაძლებლობებისადმი ნდობის ჩამოყალიბებაში.[2]

Enterprise Europe Network (EEN) აერთიანებს 21 პარტნიორ ორგანიზაციას 14 ქვეყანაში. ჯგუფი აკავშირებს მეწარმე ქალებს ქსელის ბიზნესისა და ინოვაციების მხარდაჭერის აქტივობებთან და უზრუნველყოფს კონკრეტულ სერვისებს, როგორცაა ბიზნეს პარტნიორობა, უცხოურ ბაზრებზე წვდომა, ადგილობრივ ქსელებთან თანამშრომლობა, ასევე ევროკავშირის დაფინანსებაზე წვდომა.

2016 წელს ევროპის ახალი უნარების დღის წესრიგის ფარგლებში შემუშავდა ევროპული მეწარმეობის კომპეტენციების ჩარჩო (EntreComp) და მხარი დაუჭირეს ევროპის მოქალაქეებისა და ორგანიზაციების სამეწარმეო შესაძლებლობების გაუმჯობესებას.

მეწარმეობა არის კომპეტენცია, რომლის განვითარების შესაძლებლობა ყველა მოქალაქეს უნდა ჰქონდეს, განურჩევლად სქესისა. EntreComp აღიარებს შესაძლებლობას, ნებისმიერ სიტუაციაში მეწარმედ ყოფნისა - სასკოლო მერხიდან ინოვაციამდე სამუშაო ადგილზე, სათემო ინიციატივებიდან - გამოყენებით სწავლებამდე.

მეწარმეობის კომპეტენცია აღიარებულია, როგორც სიცოცხლის კომპეტენცია, რომელიც ეხება პიროვნულ განვითარებას და განხორციელებას, დასაქმების პოვნას და წინსვლას, ასევე ახალი საწარმოების წამოწყებას, დაწყებული კომპანიებიდან, სოციალური საწარმოებიდან ახალ ბიზნესამდე. შესაბამისად, EntreComp-ში წარმოდგენილი კომპეტენციები არ არის პირდაპირ კავშირში კომპანიის დაარსებასთან/მართვასთან, მაგრამ ეხება სამეწარმეო აზროვნებას (როგორცაა შესაძლებლობების აღმოჩენა, ხედვა, ეთიკური და მდგრადი აზროვნება, იდეების შეფასება, მოტივაცია და შეუპოვრობა, რესურსების მობილიზება, სწავლა. გამოცდილება, დაგეგმვა, მართვა და ა.შ.). კრეატიულობა ან ფიქრი იმაზე, თუ როგორ უნდა დავნერგოთ სიახლე, თანაბრად მნიშვნელოვანია კარიერის წინსვლისთვის ან ახალი ბიზნეს იდეების მოსაფიქრებლად.[3.67]

ინიციატივის აღება, ერთგავრი მობილიზება და სხვათა იდეის გათვალისწინება სასარგებლო უნარებია - ფინანსური სახსრების მოზიდვისათვის. ამ პროცესის გასახორციელებლად, ფინანსების გონივრულად გამოყენებისათვის, აქტუალურია საკუთარი საქმიანობის დამოუკიდებლად წარმართვა. EntreComp-ის, როგორც სამეწარმეო კომპეტენციებისა და უნარების განვითარების მთავარი პოლიტიკის ინსტრუმენტის განხორციელების ხელშეწყობისთვის, ერთ-ერთი მიზანია ქალთა სამეწარმეო განვითარების მხარდაჭერა, რომელიც ფოკუსირებულია სამეწარმეო კომპეტენციების შექმნასა და გაძლიერებაზე.

დასკვნა

ეკონომიკის რეფორმირებამ და საბაზრო ურთიერთობებმა გააუარესა ქალთა სოციალურ-ეკონომიკური და პიროვნული მდგომარეობა. აშკარად შეინიშნება ქალთა უმაღლესი საგანმანათლებლო და პროფესიული პოტენციალის მიმართ მოთხოვნის მიღვეადობის ტენდენცია, მაშინ როცა ისინი შეადგენენ უმუშევართა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტს და ოფიციალურად დარეგისტრირებულ უმუშევართა თითქმის 75 %-ს. ამას მოსდევს ნეგატიური სოციალური შედეგები. რამდენადაც მაღალია განათლებული ქალბატონების წილი, შეგვიძლია ვისაუბროთ ქალთა

მეწარმეობის განვითარების დიდ პოტენციალზე, რომლის რეალიზაცია შესაძლებელი იქნება გარკვეული სახელმწიფო მხარდაჭერის პირობებში. ქალთა მეწარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერის აქტუალობა დაკავშირებულია როგორც ქალთა სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასთან საზოგადოებაში, ასევე შრომის ბაზარზე ქალთა ქცევის თავისებურებებთან, მათ დაბალ მობილობასა და კონკურენტუნარიანობასთან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2019, 2019 წლის სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიში,
2. მცირე და საშუალო საწარმოს განვითარების ეროვნული ფონდის ვებ-გვერდი და 2016-2017 წლის ანგარიში
3. Mustafa Turkmen, The Effect of Women Entrepreneur Problems on Self-entrepreneurship Characteristics, 2017

Mariam Tsiklauri,
GTU, PhD student

Problems and Peculiarities of Women Entrepreneurship

Resume

Entrepreneurial thinking (opportunity discovery, vision, ethical and sustainable thinking, idea evaluation, motivation and perseverance, resource mobilization, learning, experience, planning, management, etc.), creativity or thinking about how to innovate are equally important for careers. both men and women. Women's empowerment provides an impetus to economic development and increases productivity, although gender inequality is deeply ingrained in all societies and hence women's representation in economic decision-making processes is low. Gender Equality and Women's Economic Empowerment as the Most Effective Approach to Promoting Inclusive Economic Growth and Poverty Eradication

Addressing the root causes of gender-based structural barriers – helping women pursue their entrepreneurial ambitions – to achieve economic independence.

In general, technical skills and knowledge are essential to success, but loyalty skills and emotional intelligence are just as important. Women can use their experience and emotional intelligence skills to properly manage their companies. In addition, as an entrepreneur, a woman can lead a more authentic life and create a corporate culture that is more in line with her own values.

Most industries are dominated by men. It is much more difficult when a woman becomes a leader and gives instructions to men. In addition, many investors are skeptical about investing in women-led companies because they believe that women will not succeed. One of the main barriers and challenges for women entrepreneurs is the lack of advisors and mentors. The lack of effective advisors and mentors limits their professional growth.

Key words: economic development, entrepreneurial skills, competence, efforts.

ლია ანთაძე

საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

სტატიაში საუბარია გენდერულ თანასწორობოზე და ქალის როლზე საქართველოში. ამ კუთხით წარმოდგენილი იქნება ქართველი ქალების ისტორია. ვისაუბრებთ ქალებზე, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს გენდერულ საკითხში, არსებულ მდგომარეობაზე, გატარებულ ღონისძიებებზე და ქალის ლიდერობაზე. გამოვიყენებთ გენდერულ საკითხთან დაკავშირებულ მასალებს, ქართულ ჟურნალებს, სახელმძღვანელოებს, საქართველოს კანონს - ქალთა მიმართ ძალადობის კუთხით და ა.შ.

თანამედროვე სამყარო ქალებს და კაცებს საზოგადოების თანასწორუფლებიან წევრებად მიიჩნევს და თანასწორი უფლებებით, სტატუსებით და პასუხისმგებლობით ახასიათებენ. თუმცა რეალობაში არსებობს რიგი გენდერული სხვაობები და გამოწვევები.

დღეს, გაეროს მოსახლეობის ფონდი ოცდაათ წელზე მეტია ხელს უწყობს გენდერულად სენსიტიური მონაცემების შეგროვებას და პროექტს, რომელიც აუმჯობესებს ქალთა ჯანმრთელობას და მათი ცხოვრების არჩევანის გაფართოებას. თუმცა, ჯერ კიდევ საქართველოში, პროგრესულად მოაზროვნე, დიდი ილია აღიარებდა ქალის უფლებებს. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე სამყაროში აღიარებულია გენდერული თანასწორობა, ქალის როლი საქართველოში ყოველთვის განსაკუთრებული იყო.

უამრავი კვლევა არსებობს, რომლის მიხედვითაც ჩანს, რომ ქალის როლი მსოფლიოს ყველა წერტილში განსხვავებულია, განსხვავებულია მათი უფლებები, შესაძლებლობები, რაც გამოწვეული ისტორიიდან, კულტურიდან, გეოგრაფიული მდებარეობიდან, სოციალური პირობებიდან, რელიგიიდან და ა. შ.

ვფიქრობ, რომ სახელმწიფო მაშინ არის ძლიერი და დემოკრატიული, როდესაც ყველას აქვს თანაბარი შესაძლებლობა, როდესაც თითოეულ ადამიანს შეუძლია საკუთარი პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენება.

საკვანძო სიტყვები: ქართველი ქალები, თანასწორობა, უფლებები, დემოკრატია, კულტურა, ისტორია.

ქალის როლი საქართველოში

შესავალი

გენდერი ეხება ქალის და კაცის როლებთან დაკავშირებულ სოციალურ შესაძლებლობებს. ქალებს ყოველდღიურ ცხოვრებაში სხვადასხვა როლის მორგება უწევთ - დედის, საქმიანი ქალის, დიასახლისის და ა.შ. დროთა განმავლობაში ქალის როლი, სხვადასხვა საზოგადოებაში მნიშვნელოვნად ან უმნიშვნელოდ იცვლება.

გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN WOMEN) გენდერს განმარტავს, როგორც როლებს, რომლებსაც საზოგადოება მამაკაცისა და ქალისთვის შესაბამისად მიჩნევს. ეს სოცილურად ჩამოყალიბებული მახასიაებლები, შესაძლებლობები და ურთიერთობებია, რომელთა დასწავლა ხდება სოციალიზაციის პროცესში და იცვლება დროისა და კონტექსტის შესაბამისად. გენდერი განსაზღვრავს იმას თუ რა არის ნებადართული, ღირებული და რა მოლოდინები არსებობს გარკვეული ადამიანების მიმართ სხვადასხვა კონტექსტში. გენდერი, მნიშვნელოვანი და ფართო სოციალურ-კულტურული კონტექსტის ნაწილია, ისევე როგორც სხვა სოციალურ კულტურული ანალიზის კრიტერიუმები: ასაკი, სოციალური კლასი, ეთნიკური უმცირესობები და ა.შ. [1.15].

გენდერის გაგება 70-იანი წლებიდან უფრო მეტად იქნა გამოყენებული, მრავალმა ჰუმანიტარმა მიიღო ტერმინი „გენდერი“, რის საფუძველზეც ყალიბდება წარმოდგენა მამაკაცსა და ქალზე. ეს ტერმინი საჭირო გახდა, იმიტომ, რომ მკვლევრებს ერთმანეთისგან გაემიჯნათ ბიოლოგიური სქესი. გენდერული კვლევის პოპულარიზაციას იმანაც შეუწყო ხელი, რომ იგი არ ფოკუსირდება მხოლოდ ქალებზე,

არამედ კაცებზეც, რადგან მოხდეს მათი როგორც ორივე სქესის სოციო-კულტურლი ფენომენის შესწავლა. როგორც აღვნიშნეთ, გენდერი არის სოციალური კატეგორია, რომელიც ისტორიულად არსებობს და ეპოქებისა და კონტექსტის გათვალისწინებით მუდმივ ცვლილებას განიცდის.

გენდერული როლების ტრადიციული ხასიათის ჩამოყალიბებას თავისი ისტორია გააჩნია. პირველყოფილ ადამიანებს სჭირდებოდათ გამრავლება და გადარჩენა, მნიშვნელოვანი იყო კაცისთვის ნადირობა, ნაშიერების დაცვა მტაცებელი ცხოველებისგან, ქალებს კი ხშირი ორსულობის, თუ მშობიერობის გამო უწევდათ სახლში დარჩენა, შვილებზე ზრუნვა, რამაც ბუნებრივი სახე მიიღო და სამომავლოდ გადაიზარდა სტერეოტიპებში, რის აღმოფხვრაზეც დღეს მთელი მსოფლიო ზრუნავს და ატარებს რიგ ღონისძიებებს [2.22].

საქართველოში ჩატარებული ღონისძიებები

საქართველოს პარლამენტმა 2010 წლის 26 მარტს მიიღო კანონი: გენდერული თანასწორობის შესახებ“, რომლის მიზანია საკანონმდებლო დონეზე სქესის ნიშნით ადამიანთა თანასწორობის პრინციპების განმტკიცება და გენდერული თანასწორობის მისაღწევად შესაფერისი საკანონმდებლო გარანტიების შექმნა.

საქართველოს კანონი აღიარებს სქესის ნიშნით ადამიანების თანასწორობას ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, თუნდაც განათლების, მეცნიერების, შრომის, საოჯახო ურთიერთობების და სხვა სფეროში[3.45].

ამის გარდა 1999 წელს მიღებულ იქნა 511-ე დადგენილება, რაც ითვალისწინებდა ქალთა უფებების დაცვის ღონისძიებებს საქართველოში.

ასევე, 2006 დამტკიცდა საქართველოს კანონი- ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება 2020 წლის საარჩევნო კოდექსში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები იყო, რის შედეგად, საქართველოში პირველად შემოღებული იქნა კვოტები ქალთა პოლიტიკური ჩართულობის გაზრდის მიზნით.

ქართველი ქალები ისტორიიდან

ჯერ კიდევ 1183 წელს გამეფებული თამარ მეფე გვყავდა, რომლის მმართველობასაც წინააღმდეგობა გაუწია არისტოკრატის ნაწილმა, თუმცა თამარმა წარმატებით გაანეიტრალა მოწინააღმდეგეების დამოკიდებლობა, რითაც ქალის პოზიცია მნიშვნელოვნად გამოიკვეთა[4.27].

აქვე შეიძლება გავიხსენოთ, ბარბარე ერისთავი, პირველი ფემინისტი, ის მე-19 საუკუნეში ცდილობდა ადამიანების ცხოვრების შეცვლას უკეთესობისკენ. ის საჯაროდ ლაპარაკობდა ქალების უფლებების და მდგომარეობის შესახებ.

საქართველოში ქალებმა ხმის მიცემის უფლება 1918 წელს მოიპოვეს და 1919 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოს დამფუძნებელ კრებაში, ხუთი ქალი დეპუტატი საქმიანობდა.

ქართულ ისტორიაში, მნიშვნელოვან როლს წარმოადგენს ოლღა გურამიშვილი, ილია ჭავჭავაძის მეუღლე. ოლღა საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი იყო. ის ჩართული იყო ქართველ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოებაში. ასევე ხელმძღვანელობდა ქართველ ქალთა ჭრა-კერვის სკოლას.

აღსანიშნავია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პირველი სტუდენტი ქალი - მედეა ღამბაშიძე იყო, ის 19 წლის ასაკში, ჩაირიცხა სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე [5.31].

ჩვენ შეგვიძლია გავიხსენოთ კიდევ სხვა ქალები, რომლებმაც საქართველოს ისტორიაში გარდამტეხი როლი შეიტანეს და ქალთა უფლებები წინ წამოწიეს. რომ ქართველი ქალები, ოდითგანვე განსაკუთრებული სიძლიერით გამოირჩეოდნენ. ქართული ისტორია გვეუბნება, რომ ქალის როლი ძლიერი და უსაზღვროა.

ქალი, როგორც ლიდერი საქართველოში

ქალთა უფლებების დაცვა და გენდერული თანასწორობის მიღწევა თანამედროვე მსოფლიოში დიდ გამოწვევას წარმოადგენს და მათ შორის ჩვენს ქვეყანაშიც. ჩატარებული თანამედროვე კვლევები ცხადყოფს თუ რა გამოწვევების

წინაშე დგას თანამედროვე საქართველო გენდერული კუთხით, როგორც არის მაგალითად ლიდერობა და ქალის ჩართულობა. რომელიც საჭიროებს ეფექტიან, პოზიტიურ ქმედებას.

გამოწვევებთან მიმართებაში, გამოვიყენებ კვლევას, რომელიც არის - „კაცები, ქალები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში“, რომელიც ჩატარდა 2013 და 2020 წელს, გამოქვეყნებულია შვედეთის მთავრობის მიერ დაფინანსებული გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობისთვის“ მხარდაჭერით, აჩვენებს, რომ მრეწველობიდან მიღებული სარგებელი მამაკაცებსა და ქალებზე არათანაბრად არის გადანაწილებული, ქალებთან შედარებით მამაკაცებს მეტად მიუწვდებათ ხელი სარგებელზე. ქალები ძირითადად მათი კარიერული წინსვლის და ლიდერული უნარების ხელშემშლელ ფაქტებად ოჯახურ ვალდებულებას ასახელებენ. ასევე სამოქალაქო, თუ პოლიტიკური ჩართულობის მხრივ ქალები ნაკლებად არიან ჩართულები, ვიდრე კაცები. რომ ჯერ კიდევ არსებობს ქალის მიმართ გარკვეული ჩარჩოები, რაც ხელს უშლის ლიდერობაში[6.7].

აღსანიშნავია, რომ 2013 წელთან შედარებით 2020 წლის მონაცემებმა აჩვენა, რომ ქალზე როგორც ლიდერზე შეხედულება წინ წამოიწია. რომ კომპანიების მოგება 50% -ით მაღალი მაშინ არის, როცა ლიდერი და მენეჯერი ქალია, მეტიც, მაღალ პოზიციაზე მყოფი ქალები უფრო მეტად ახერხებენ თანამშრომლების კმაყოფილებას. ასევე ქალები მეტად დემოკრატიული ლიდერები არიან, ვიდრე კაცები[7]. საამაყოა, რომ ჩვენი ქვეყნის სათავეში გვყავს ქალი პრეზიდენტი, ასევე გვყავს სხვა ქალი პოლიტიკოსები და წარჩნებული ქალები, რის საფუძველზეც შეიძლება ითქვას, რომ რიგ ქვეყნებთან შედარებით ამ მხრივ ჩვენს ქვეყანაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქალს და ქალის შესაძლებლობებს.

შეჯამება

და ბოლოს, გენდერი სქესის სოციალური მახასიათებელია, რომელიც გამოხატავს საზოგადოების მიერ დადგენილ მენტალურ, ემოციურ, ფუნქციურ განსხვავებას კაცსა და ქალს შორის. გენდერული სტერეოტიპები ფართოდ

გავრცელებული და ხშირად არაზუსტი შეხედულებებია ქალისა და კაცის უნარებზე, სოციალურ ქცევასა და სოციალურ ფუნქციებზე.

ჩვენს მიერ დამუშავებული მასალებიდან, კვლევებიდან და ისტორიული წარსულიდან ჩანს, რომ საქართველოში ქალს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა, რომ მე-13 საუკუნეში შეინიშნებოდა გენდერული თანასწორობა და თანამედროვე საქართველოში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ქალის უფლებების შესანარჩუნებლად[8].

კანონის მიხედვით ყველა ადამიანი თავისუფალი და თანასწორია, თუმცა დღეს არსებობს, რიგი გამოწვევები, რასაც ცხადყოფს კვლევები, რომ კაცთან შედარებით ქალის შემოსავლები, შესაძლებლობები და მიღწევები ნაკლებია, რაც საჭიროებს კიდევ სხვა დამატებით ღონისძიებებს, ეფექტიან და პოზიტიურ ქმედებებს.

გამოყენებული ლიტერატურა

- 1.სახელმძღვანელო, გენდერისა და მრავალფეროვნების მენისტრიმინგი-
<https://duz92c7qaoni3.cloudfront.net/documents/gender-diversity-toolkit-georgian.pdf>
- 2.ი. ხომერიკი, მ. ჯავახიშვილი, თ. აბრამიშვილი, გენდერული თანასწორობის საკითხები, საზოგადოებრივი მეცნიერების სწავლებისას, თბილისი, 2012 წ.
3. საქართველოს კანონი, ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ-
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/26422?publication=21>
4. ო. კისი, თ. მელაშვილი, ქალები და ისტორია, ჰაინრიკ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისი, 2021 , ჰაინრიკ ბიოლის ფონდის კიევის ოფისი, 2021
5. თ. კინწურაშვილი, თ. ხორბალაძე, ქ. მსხილაძე, ქალები წარსულიდან, თბილისი, 2013 წ.
6. კაცები, ქალები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში, 2020წ.

ელ რესურსები

7. <https://womenpower.ge/article/%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%AA-%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%93%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98/>

8. <https://feminism-boell.org/ka/2014/05/08/peminizmi-da-kalis-uplebebi-mozraoba-napiridan-centrisaken>

Keywords: Georgian woman, equality, rights, democracy, culture, history.

Lia Antadze

PHD student of GTU

Role of women in Georgia

Resume

The article talks about gender equality and the role of women in Georgia. In this regard, the history of Georgian women will be presented. We will talk about women who have played an important role in gender issues, the current situation, extravagant measures and women's leadership. We will use gender materials, Georgian magazines, textbooks, Georgian law on violence against women, etc.

The modern world considers women and men as equal members of society and is characterized by equal rights, statuses and responsibilities. However, in reality, there are a number of gender differences and challenges.

Today, for more than thirty years, the United Nations Population Fund has been promoting the collection of gender-sensitive data and a project that improves women's health and expands their life choices. However, still in Georgia, a progressive thinker, the great Ilia recognized women's rights. Although gender equality is recognized in the modern world, the role of women in Georgia has always been special.

There is a lot of research showing that the role of women is different in different parts of the world, their rights, opportunities are different due to history, culture, geographical location, social conditions, religion and so on. Sh.

I think a state is strong and democratic when everyone has equal opportunities, when each person can make the most of their potential.

აბსტრაქტი

სტატიაში განხილული თემატური საკითხი - ქალთა ეკონომიკური გაძლიერება მდგრადი განვითარების პირობებში, გენდერული თანასწორობის მიღწევის მთავარი პრიორიტეტია. დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარების და ჩამოყალიბების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანი გარდა პოლიტიკური და სოციალური იდეისა ასევე უნდა ეფუძნებოდეს გენდერული თანასწორობის იდეასაც, რაც გულისმობს ქალისა და მამაკაცის თანაბარი უფლება-მოვალეობების, პასუხისმგებლობისა და სოციალ-პოლიტიკურ ცხოვრებაში თანაბარი ჩართულობის უზრუნველყოფას. გაერთიანებული ერების მდგრადი განვითარების 5-ე მიზანს განეკუთვნება საზოგადოებაში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა. გამომდინარე აქედან საქართველოს მთავრობა აქტიურად მუშაობს ქვეყანაში 2030 წლისთვის ქალთა ეკონომიკური გაძლიერების და თანასწორი ეკონომიკური შესაძლებლობების უზრუნველყოფისთვის და გადაწყვეტილების მიღების პროცესში გენდერული ბალანსის დაცვის მიმართულებით. გლობალური კვლევების თანახმად, ქალის პოტენციალი მსოფლიოში ყველაზე ნაკლებად გამოყენებული ეკონომიკური რესურსია, პანდემია კი კიდევ უფრო ამძაფრებს ამპრობლემას. მსოფლიო კვლევების თანახმად, გლობალურ დონეზე, პანდემიის შედეგად ქალებში სამუშაო ადგილების დაკარგვის მაჩვენებელი დაახლოებით 1.8-ჯერ აღემატება იგივე მაჩვენებელს მამაკაცებში.

გაეროს საქართველოს ოფისმა თანამშრომლობის 2021-2025 წლების ხელშეკრულების ფარგლებში დასახული მიზნებისა და ამოცანების შესრულების მიზნით ჩამოაყალიბა გაფართოებული გენდერის თემატური ჯგუფი (GTG) რომელსაც გაერთიანებულია გენდერის სფეროს ყველა საკონტაქტო პირი და აღნიშნული ჯგუფი

მუშაობს ქვეყანაში გენდერული თანასწორობის და ქალთა გაძლიერების მიმართულებით.

საკვანძო სიტყვები: გენდერული თანასწორობა, მდგრადი განვითარება, თანამშრომლობის ხელშეკრულება, ქალთა გაძლიერება, ქალთა უფლებები.

ქალთა ეკონომიკური გაძლიერება მდგრადი განვითარების პირობებში

შესავალი

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მდგრადი განვითარების განსაზღვრული 17 მიზნიდან მეხუთე მიზანი გენდერული თანასწორობის მიღწევასა და ყველა ქალისა და გოგონას შესაძლებლობების გაუმჯობესებას ეხება, ხოლო მერვე მიზანი სტაბილური, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, სრული და პროდუქტიული დასაქმება და ყველასათვის ღირსეული სამუშაოს უზრუნველყოფა წარმოადგენს. სახელმწიფოებმა ამ მიზნებს 2030 წლისთვის უნდა მიღწიონ და უდავოა, რომ ზემოთ ხსენებული ორივე მიზნის მიღწევა შეუძლებელია ქალთა ეკონომიკური გაძლიერების გარეშე.

ეკონომიკისა და სოციალური მეცნიერების დოქტორი ელიზაბეტ კლაცერი გვთავაზობს, ჯერ სიტყვა „გაძლიერება“ განვმარტოთ – გაძლიერება, ანუ ვინმესთვის ძალის/ძალაუფლების მიცემა რაღაცის გასაკეთებლად, რომელიც თავის მხრივ ახალ შეკითხვების ბადებს: რას ნიშნავს „ძალაუფლება“? გაძლიერება, ანუ ფლობდე ძალაუფლებას, აკეთო რა? ხშირად, ქალების ეკონომიკური გაძლიერება განიხილება კონკრეტული ქალებისთვის შესაძლებლობის მიცემის ჭრილში, მაგალითად: უნარ-ჩვევების შეძენა, ტრენინგები, საბანკო კრედიტი და/ან საკუთრების უფლება, ანაზღაურება დი ანაზღაურების გარეშე სამუშაო, ხოლო სტრუქტურული ბარიერები და ეკონომიკური ძალაუფლების ურთიერთდამოკიდებულება მეტწილად უგულებელყოფილია.

ასეთი მიდგომა გამორიცხავს ექსკლუზიურ ძალაუფლებას, განსაკუთრებით კი ეკონომიკაში, და სახელმწიფოს მიერ გენდერულ ბიუჯეტირებაზე აკეთებს აქცენტს. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ქალებისთვის ტრადიციულად მინიჭებული როლები უნდა შეიცვალოს ყველა დონეზე. ქალებისთვის წინასწარ განსაზღვრული სამუშაო ადგილები, რომელიც არც მაღალი შემოსავლის ქონის და არც კარიერული წინსვლის შესაძლებლობას მოიაზრებს, უკან უნდა მოვიტოვოთ და შევქმნათ ჯანსაღი მიდგომა, რაც გულისხმობს ძალაუფლების განაწილებას, ქალების ეკონომიკურ გაძლიერებას, სადაც ქალებს ექნებათ თანაბარი წვდომა უსაფრთხო და სუფთა გარემოზე, პიროვნულ დაფიზიკურ ხელშეუხებლობაზე.

ქალთა ეკონომიკური გაძლიერება სახელმწიფო ინსტიტუტების დონეზე ნიშნავს გენდერულ მეინსტრიმინგს, რაც გულისხმობს ისეთ სახელმწიფო პოლიტიკისა და პროგრამების ფორმირებას, სადაც ქალებისა და კაცების მდგომარეობას და საჭიროებებს შორის განსხვავებების გათვალისწინება. იგი არის პროცესი, რის ფარგლებშიც ხდება ყველა სფეროსა და ყველა დონეზე დაგეგმილი კანონმდებლობების, პოლიტიკისა და პროგრამების შეფასება მათი გავლენის მიხედვით ქალებსა და კაცებზე. რომლის საბოლოო მიზანს წარმოადგენს გენდერული თანასწორობის მიღწევა.

ქალთა ეკონომიკური გაძლიერება სოციუმის დონეზე

მოიცავს საშინაო შრომის თანაბარ განაწილებას, ქალების და კაცების თანაბარ ჩართულობას სოციალურ, კულტურულ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ ცხოვრებაში, თანაბარ შესაძლებლობებს დასაქმების ადგილებზე, ისეთი მნიშვნელოვანი რესურსების განაწილებას, როგორც არის დრო, სივრცე, ინფორმაცია და ფული, განათლება, ახალი ტექნოლოგიები, ჯანდაცვის მომსახურებები, საცხოვრებელი სახლი, ტრანსპორტი, დასვენებადაა. შ.

ქალთა ეკონომიკური გაძლიერებიდან სარგებელს მიიღებენ არა მხოლოდ ქალები, არამედ – კაცები და მთლიანად საზოგადოება. მსოფლიო ბანკის შეფასების მიხედვით, დასაქმებასა და მეწარმეობაში ქალების არათანაბარი

მონაწილეობით მთლიანი შიდა პროდუქტის 11% იკარგება. შესაბამისად, დროა, ეფექტური ნაბიჯები გადავდგათ ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიმართულებით, როგორც ცენტრალურ, ისე – ადგილობრივი ხელისუფლებების დონეზე, იმისათვის, რომ ვიცხოვროთ თანასწორ, ჯანსაღ და უკეთეს გარემოში, რომელიც ორიენტირებულია მომავალი თაობების მდგრად განვითარებაზე.

უმუშევრობა კვლავაც რჩება ქვეყნის წინაშე მდგარ მთავარ სოციალურ გამოწვევად. ამასთან, ქალთა უმუშევრობა ხასიოდება დამატებითი ბარიერებითა და ფაქტორებით, როგორცაა კულტურული დამოკიდებულებები, ბავშვის მოვლა-პატრონობის ტრადიციული ვალდებულება, განსხვავება ხელფასებში და ა.შ. აღნიშნული გარემოებები კიდევ უფრო ართულებს ქალთა დასაქმების შესაძლებლობებს საქართველოში.

საქართველოში ქალთა დასაქმების და პროფესიული განვითარების შესაძლებლობების გაძლიერებას მნიშვნელოვნად აფერხებს საზოგადოების ტრადიციული დამოკიდებულებები. ჩატარებული კვლევები გჩვენებს, რომ წარმოდგენები ოჯახში ქალისა და კაცის ფუნქცია-მოვალეობებთან დაკავშირებით საკმაოდ ტრადიციულია. ქართულ საზოგადოებას ახასიათებს გარკვეული ოჯახური იერარქია და სუბორდინაცია ოჯახის წევრებს შორის, რომელიც ქალისა და კაცის როლებზე სტერეოტიპულ, ტრადიციულ და, ხშირ შემთხვევაში, პატრიარქალურ წარმოდგენებს ეფუძნება. ერთ-ერთი ასეთი წარმოდგენა, რომელიც ფუნდამენტურად შეიძლება მოვიაზროთ ქართული ოჯახისთვის, ეხება კაცის, როგორც ძირითადი შემომტანის, მარჩენალის როლს. მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილის აზრით, იდეალურ შემთხვევაში ოჯახის მარჩენალი კაცი უნდა იყოს (88 %), მაშინ, როდესაც მოსახლეობის მხოლოდ 1% თვლის, რომ ეს ფუნქცია ქალმა უნდა შეითავსოს. 11% მიიჩნევს, რომ მამაკაცსა და ქალს თანაბრად უნდა შეჰქონდეთ წვლილი ოჯახის რჩენაში. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განსაკუთრებული განსხვავება არაა ქალაქის და სოფლის ტიპის დასახლებებ შორის. ქალაქის მოსახლეობის 86%, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებების 90% მიიჩნევს, რომ ოჯახის

მარჩენალი კაცი უნდაიყოს. თუმცა, საინტერესოა, რომ რეალობის შეფასებისას გამოკითხულები აფიქსირებენ, რომ საქართველოს ოჯახებში სიტუაცია მათი წარმოდგენილი იდეალისგან განსხვავდება - კვლევის მონაწილეების 34% თვლის, რომ საქართველოს ოჯახებში დღესდღეობით ოჯახის მარჩენალი ქალია.

ქალთა ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით მნიშვნელოვანია ქალთა ეკონომიკური შესაძლებლობების გლობალური ინდექსი, რომელიც ზომავს ქალთა ეკონომიკურ აქტივობას. იგი ქალების ეკონომიკურ შესაძლებლობებს აფასებს 5 მსხვილი კომპონენტი სმიხედვით – შრომის პოლიტიკა და პრაქტიკა; ფინანსებზე ხელმისაწვდომობა; განათლება და პროფესიული სწავლება; ქალთა სამართლებრივი და სოციალური სტატუსი და ზოგადი ბიზნესგარემო.

ქალების ეკონომიკური შესაძლებლობების ინდექსის მიხედვით პირველ სამეულში შედიან: შვედეთი, ნორვეგია და ფინეთი. მათი პირველობა ძირითადად განპირობებულია დასაქმების, საშუალო განათლების ხანგრძლივობის და ზოგადი ბიზნესგარემოს მაღალი მაჩვენებლებით.

ქალების ეკონომიკურ გაძიერებას საქართველოში აქტიურად უწყობს ხელს ევროკავშირი. ENPARD-ის პროგრამის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს სწორედ სოფლად მცხოვრებ ქალთა ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართულობა წარმოადგენს. ENPARD-ის სოფლის განვითარების პროექტების ფარგლებში საქართველოს 8 მუნიციპალიტეტში ჩამოყალიბებულ ადგილობრივი განვითარების ჯგუფებში არა ერთი აქტიური ქალბატონი მონაწილეობს და საკუთარ ბიზნეს-საქმიანობასაც ახორციელებს.

2020 წელს საქართველოს შრომის კოდექსში შევიდა რიგი ცვლილებები ქალთა ეკონომიკური გაძიერების კუთხით. კერძოდ, დამსაქმებელი ვალდებულია ქალი და კაცი დასაქმებულების მიერ თანაბარი სამუშაოს შესრულების შემთხვევაში უზრუნველყოს მათთვის თანაბარი შრომის ანაზღაურება. ცვლილება მოიცავს დეკრეტული შვებულების შემდგომ პროფესიულ გადამზადებას და სამსახურის შენარჩუნების გარანტიებსაც. ამასთან, ბავშვის მოვლის გამო შვებულების აღების

უფლება კაცებსაც ექნებათ, რაც ქალთა აუნაზღაურებელი საოჯახო შრომის გადანაწილების თვალსაზრისით, მნიშვნელოვან ინაბიჯია და, საბოლოოდ, ქალთაე კონომიკურ გაძლიერებაზე აისახება. თუმცა, კვლავ პრობლემად რჩება დეკრეტული შვებულების ღირსეული ანაზღაურება და ქალისა და კაცის თანაბარი ღირებულების შრომის გაზომვის მეთოდოლოგიის არ არსებობა, რომელიც აუცილებელია კანონში არსებული ჩანაწერის აღსრულებისთვის.

ეკონომიკური გაძლიერების მიმართულებით სახელმწიფო სხვადასხვა პროგრამას ახორციელებს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის ერთ-ერთი პრიორიტეტი ქალი მეწარმის მიერ ბიზნესის დაწყება/გაფართოებაა, რაცგულისხმობს სგანაცხადის შეფასების ეტაპზე, მისთვის დამატებითი ქულის მინიჭებას. აღსანიშნავია, რომ 2020 წელს, პროგრამის ფარგლებში, გამარჯვებულ სშორის 48.8% ქალია.

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგიაში, მკაფიო და ინტეგრირებული გენდერული საკითხები. გამახვილებულია ყურადღება გენდერული სტატისტიკის წარმოების აუცილებლობაზე. გამოვლინდა, რომ ქალების წვდომა ისეთ რესურსებზე, როგორებიცაა მიწა და ფინანსები, შეზღუდულია, ისევე როგორც ქალების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სტრატეგიის განხორციელების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ქალთა, ახალგაზრდებისა დასხვა მოწყვლადი ჯგუფების ჩართულობის სტიმულირებას.

დასკვნა

ქალთა ეკონომიკური გაძლიერება ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესი პროცესია. იგი ეკონომიკურად არააქტიურ მოსახლეობას ეკონომიკურად აქტიურს ხდის, რაც საბოლოოდ ხელს უწყობს უფრო მეტი სიმდიდრის და კეთილდღეობის შექმნას ქვეყანაში. იმისათვის, რომ ქალი

ეკონომიკურად გაძლიერდეს, საჭიროა, მას ჰქონდეს ფინანსებსა და რესურსებზე ხელმისაწვდომობა, ზურგს უმაგრებდეს მყარი და ეფექტური ინსტიტუტები და, რაც მთავარია, გააჩნდეს არჩევანის საშუალება და კონტროლი საკუთარ ცხოვრებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ავტორთა კოლექტივი, „ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისკენ მიმართული სახელმწიფო პოლიტიკა: შესაძლებლობები და გამოწვევები“, 2021, თბილისი
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevroba>
3. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/5003141?publication=0>
4. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021–2027 წლების სტრატეგია <https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/20395>
5. მდგრადი განვითარების მოზნები [.https://www.unicef.org/georgia/ka/](https://www.unicef.org/georgia/ka/)

Bela Kutibashvili

PHD student of GTU

conomic empowerment of women in the context of sustainable development

Resume

The thematic issue discussed in the article - the economic empowerment of women in the context of sustainable development, is a key priority in achieving gender equality. One of the important goals of the development and establishment of a democratic state, in addition to the political and social idea, must also be based on the idea of gender equality, which means ensuring equal rights and responsibilities, responsibility and equal participation in socio-political life. The 5th goal of the United Nations Sustainable Development is to ensure gender

equality in society. Therefore, the Government of Georgia is actively working to ensure the economic empowerment of women and equal economic opportunities in the country by 2030 and to protect the gender balance in the decision-making process. According to global studies, women's potential is the least used economic resource in the world, and a pandemic exacerbates this problem. According to world studies, globally, the rate of job losses in women due to pandemics is about 1.8 times higher than the same rate in men.

The UN Office in Georgia has set up an Extended Gender Thematic Group (GTG) to achieve the goals and objectives set out in the 2021-2025 Partnership Agreement, which brings together all Gender contacts and works to promote gender equality and women's empowerment in the country.

აბსტრაქტი

საქართველოს პარლამენტმა 2010 წლის 26 მარტს მიიღო კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“ და შეიმუშავა ეროვნული სამოქმედო გეგმა. თუმცა, ბოლო წლებში მიღწეული პროგრესის მიუხედავად, ქალები კვლავ ნაკლებად მონაწილეობენ გადაწყვეტილების მიღების პროცესებში და ეკონომიკურად არამყარი პოზიციები უჭირავთ.

გენდერული თანასწორობის პრობლემები სპორტშიც შესამჩნევია. თუმცა დისკრიმინაციული მომენტები აქ გაცილებით ნაკლებია ვიდრე სხვა სფეროში. როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ გენდერული თანასწორობის პრობლემებზე სპორტში, აუცილებელია გავმიჯნოთ ორი რამ:

1. ქალების მონაწილეობა სასწავლო საწვრთნო პროცესსა და სპორტულ შეჯიბრებებში
2. ქალების მონაწილეობა სპორტის მმართველ სტრუქტურებში

ქალების მონაწილეობა სასწავლო საწვრთნო პროცესში ნებაყოფილობითია და თავად ქალზეა დამოკიდებული სპორტის რომელი სახეობა აირჩიოს, აქ არანაირ შეზღუდვას ადგილი არ აქვს. არ ყოფილა შემთხვევა ქალთა სექსის წარმომადგენელს გამოეთქვას სურვილი რომელიმე სპორტულ სექციაში გაწევრიანების შესახებ და მისთვის უარი ეთქვათ, ერთადერთი დასაშვები იყო, რომ მწვრთნელს რჩევა მიეცა მისთვის სპორტის სხვა სახეობაში ეცადა ძალები.

საქართველოში პრობლემა არის სპორტის ამა თუ იმ სახეობაში მოვარჯიშე ქალთა რაოდენობის ზრდა, რადგან კაცებთან შედარებით იგი კატასტროფულად დაბალია, და ამის მიზეზი ალბათ საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრებული ტრადიციაა. ჩვენში რატომღაც ჯერ კიდევ მიიჩნევენ, რომ სპორტში ქალის ადგილი არაა. ქართული საზოგადოების დიდი ნაწილი ძნელად შორდება დამამცირებელ

წარმოდგენას იმაზე, რომ სპორტი - ეს ძლიერთა ანუ მამაკაცთა ხვედრია. სიტყვები „ქალი და სპორტი“ ბევრ ადამიანში იწვევს უარყოფით რეაქციას, რომ ქალის ადგილი არა სპორტში, არამედ სამზარეულოშია.

ნაშრომში წარმოდგენილია ის მიზეზები და ანალიზი, რომელიც განაპირობებს ქალის სპორტში ჩართულობის მიმართ ნეგატიურ დამოკიდებულებას. გამოიკვეთა რამდენიმე ფაქტორი, რომელიც განაპირობებს კაცის უპირატესად აღქმას სპორტის სფეროში და შესაბამისად, ქალისთვის სპორტის ნაკლებად თავსებადობას.

საკვანძო სიტყვები: სპორტი და გენდერი, სასწავლო, საწვრთნო-საშეჯიბრო პროცესი, ქალები ოლიმპიურ თამაშებზე.

სპორტი და გენდერი

შესავალი

თანამედროვე მეცნიერებაში ტერმინი „გენდერი“ სქესის ბიოლოგიური გაგებისგან განსხვავებით, სქესის სოციალური ფენომენია და სოციოლოგიური დისკურსის აღსანიშნავად იხმარება. იგი საზოგადოების სოციალური სტრუქტურის ერთ-ერთი საბაზისო განზომილებაა, რომელიც სხვა კულტურულ და სოციალურ-დემოგრაფიულ მონაცემებთან ერთად აყალიბებს სოციალურ სისტემას.

გენდერული როლების განსაზღვრა სუბიექტურია და კონკრეტულ კულტურულ-ისტორიულ ხასიათს ატარებს. თითოეულ საზოგადოებას აქვს თავისი ჩვეულებები, ტრადიციები და ნორმები, ადათ-წესები. სწორედ ეს წეს-ჩვეულებები განსაზღვრავს სოციალურ-სქესობრივ როლებს მამაკაცებსა და ქალებს შორის საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში.

ქალი სპორტში

აღნიშნული პრობლემატიკა საქართველოში განსაკუთრებული ყურადღებისა და ანალიზის საგანი მე-20 საუკუნის 90-იან წლებში მოექცა, როდესაც ქვეყანაში მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სოციალური გარდაქმნები დაიწყო. აღნიშნული პროცესების გენდერულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით შესწავლა, საშუალებას

იძლევა შემუშავდეს ისეთი ტექნოლოგიები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ქალის რესოციალიზაციას, საზოგადოებაში მისი როლისა და სტატუსის ამაღლებას. გასული საუკუნის ბოლოდან მოყოლებული დღემდე ამ კუთხით საკმაოდ ბევრი რამ გაკეთდა. და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ქვეყანამ მიიღო კანონი გენდერის შესახებ, რომელიც ტერმინ გენდერს ასე განმარტავს „გენდერი – სქესთა შორის ურთიერთობის სოციალური ასპექტი, რომელიც გამოხატულია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და გულისხმობს სოციალიზაციით განპირობებულ შეხედულებებს ამა თუ იმ სქესზე.“გენდერული თანასწორობა კი ნიშნავს, რომ ქალსა და მამაკაცს აქვთ თანაბარი პირობები და ცხოვრებისეული შანსები თავიანთი პოტენციალის სრული რეალიზაციისათვის. თანაბრად მონაწილეობენ პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების პროცესებში და თანაბრად სარგებლობენ საზოგადოებრივი სიკეთეებით, შესაძლებლობებითა და რესურსებით.

დღეისათვის, დემოკრატიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და აქტუალური შემადგენელი ნაწილია გენდერული ბალანსი. თუმცა ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობის დაცვას ხშირად ზღუდავს საზოგადოებრივი აზრი, რომელსაც განაპირობებს რელიგია, ტრადიციები და სხვადასხვა სტერეოტიპები.

სხვადასხვა სახელმწიფო განსხვავებულ გენდერულ პოლიტიკას ატარებს, ზოგიერთი ხელს უწყობს გენდერული ბალანსის დამკვიდრებას, ზოგიერთი კი ბიძგს აძლევს ქალისა და მამაკაცის ტრადიციული როლის შენარჩუნებას. აზრთა სხვადასხვაობა არსებობს როგორც ქვეყნებს შორის, ასევე მათ ფარგლებშიც. სხვადასხვაგვარია საზოგადოების რეაქცია, სახელმწიფოს მიერ გატარებულ გენდერულ პოლიტიკაზე. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოება, რომელშიც ქალის როლი სათანადოდ არ არის დაფასებული, ჰარმონიულად ვერ განვითარდება.

საერთაშორისო არენაზე ქალების თანასწორუფლებიანობის მისაღწევად 1979 წლის 18 დეკემბერს გართიანებული ერების ორგანიზაციამ მიიღო კონვენცია ქალების

მიმართ ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაციის ლიკვიდაციის შესახებ (CEDAW). საქართველო ამ კონვენციას 2006 წელს შეუერთდა და აიღო ვალდებულება საერთაშორისო ნორმების შესაბამისად, უზრუნველყოს ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორუფლებიანობა საზოგადოებრივ, კულტურულ, ეკონომიურ და სოციალურ სფეროებში, რადგან გენდერული ბალანსის დაცვის პრობლემა საქართველოშიც არსებობდა და დროთა განმავლობაში მეტ აქტუალურობასაც იძენდა.

საქართველოს პარლამენტმა 2010 წლის 26 მარტს მიიღო კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“ და შეიმუშავა ეროვნული სამოქმედო გეგმა. თუმცა, ბოლო წლებში მიღწეული პროგრესის მიუხედავად, ქალები კვლავ ნაკლებად მონაწილეობენ გადაწყვეტილების მიღების პროცესებში და ეკონომიკურად არამყარი პოზიციები უჭირავთ. ჩვენს ქვეყანაში საჯარო სამსახურში მაღალ თანამდებობებზე წარმოდგენილი 87% მამაკაცი და მხოლოდ 13% ქალია.

გენდერული თანასწორობის პრობლემები სპორტშიც შესამჩნევია. თუმცა დისკრიმინაციული მომენტები აქ გაცილებით ნაკლებია ვიდრე სხვა სფეროში. როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ გენდერული თანასწორობის პრობლემებზე სპორტში, აუცილებელია გავმიჯნოთ ორი რამ:

3. ქალების მონაწილეობა სასწავლო საწვრთნო პროცესსა და სპორტულ შეჯიბრებებში
4. ქალების მონაწილეობა სპორტის მმართველ სტრუქტურებში

ქალების მონაწილეობა სასწავლო საწვრთნო პროცესში ნებაყოფილობითია და თავად ქალზეა დამოკიდებული სპორტის რომელი სახეობა აირჩიოს, აქ არანაირ შეზღუდვას ადგილი არ აქვს. არ ყოფილა შემთხვევა ქალთა სქესის წარმომადგენელს გამოეთქვას სურვილი რომელიმე სპორტულ სექციაში გაწევრიანების შესახებ და მისთვის უარი ეთქვათ, ერთადერთი დასაშვები იყო, რომ მწვრთნელს რჩევა მიეცა მისთვის სპორტის სხვა სახეობაში ეცადა ძალები.

თუ გადავხედავთ ოლიმპიური სპორტის ისტორიას, ნათლად ჩანს, რომ ქალების მონაწილეობა სპორტულ შეჯიბრებებში ოდითგანვე შეიცავდა

დისკრიმინაციულ მომენტებს. ცნობილია, რომ ძველბერძნული ოლიმპიური თამაშებში, რომელიც სათავეს ჩვენს წელთაღრიცხვამდე 776 წლიდან იღებს და თითქმის 12 საუკუნის მანძილზე უწყვეტად იმართებოდა, ქალებს არათუ საასპარეზოდ არამედ მაყურებლადაც ეკრძალებოდათ სტადიონზე ყოფნა. ისტორიული წყაროებიდან ისიც ცნობილია, რომ ანტიკური ხანის ბერძენ გოგონებს ძალიან უყვარდათ სპორტი, ამიტომ ოლიმპიური თამაშების სანაცვლოდ მათთვის ცალკე ტარდებოდა შეჯიბრებები და მასზე დასწრება კატეგორიულად ეკრძალებოდათ კაცებს.

ოლიმპიური თამაშები ჩვენი წელთაღრიცხვის 394 წელს აიკრძალა. მის აღდგენას 1500 წელი დასჭირდა, თუმცა თამაშებზე ქალების არ დაშვების ტრადიცია გაგრძელდა და თანამედროვეობის პირველ ოლიმპიურ თამაშებზე 1896 წელს ქალები არ მონაწილეობდნენ. უკვე ოთხი წლის შემდეგ, ქალებმა, მსოფლიო ისტორიაში პირველად, მიიღეს მონაწილეობა 1900 წლის პარიზის მეორე ოლიმპიურ თამაშებზე, ისინი ასპარეზობდნენ ცხენოსნობაში, ჩოგბურთსა და გოლფში. ამ პერიოდიდან მოყოლებული ოლიმპიურ თამაშებზე მონაწილე ქალთა რაოდენობა მუდმივად იზრდება.

ქალები ოლიმპიურ თამაშებზე:

1900 წელი, პარიზი, II	ოლიმპიური თამაშები - 2.2%
1924 წელი, პარიზი, VIII	ოლიმპიური თამაშები - 4,4%
1956 წელი, მელბურნი, XVI	ოლიმპიური თამაშები - 13.3%
1980 წელი, მოსკოვი, XXII	ოლიმპიური თამაშები - 21,5%
2004 წელი, ათენი, XXVIII	ოლიმპიური თამაშები - 40,7%
2012 წელი, ლონდონი, XXX	ოლიმპიური თამაშები - 44,2%

აღსანიშნავია ერთი ფაქტიც, 2012 წლის ლონდონის XXX ოლიმპიურ თამაშებზე, პირველად ოლიმპიური თამაშების ისტორიაში, ყველა მონაწილე ქვეყნების შემადგენლობაში შედიოდა ქალები. ხოლო ამერიკის შეერთებული შტატების გუნდში

ქალები უფრო მეტი იყო ვიდრე მამაკაცები და მათ მედლების მეტი რაოდენობა მოიპოვეს.

საქართველოში პრობლემა არის სპორტის ამა თუ იმ სახეობაში მოვარჯიშე ქალთა რაოდენობის ზრდა, რადგან კაცებთან შედარებით იგი კატასტროფულად დაბალია, და ამის მიზეზი ალბათ საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრებული ტრადიციაა. ჩვენში რატომღაც ჯერ კიდევ მიიჩნევენ, რომ სპორტში ქალის ადგილი არაა. ქართული საზოგადოების დიდი ნაწილი ძნელად შორდება დამამცირებელ წარმოდგენას იმაზე, რომ სპორტი - ეს ძლიერთა ანუ მამაკაცთა ხვედრია. სიტყვები „ქალი და სპორტი“ ბევრ ადამიანში იწვევს უარყოფით რეაქციას, რომ ქალის ადგილი არა სპორტში, არამედ სამზარეულოშია.

ჩემი თემის ინტერესს წარმოადგენს იმ მიზეზების გამოკვეთა და ანალიზი, რომელიც განაპირობებს ქალის სპორტში ჩართულობის მიმართ მსგავს დამოკიდებულებას. გამოიკვეთა რამდენიმე ფაქტორი, რომელიც განაპირობებს კაცის უპირატესად აღქმას სპორტის სფეროში და შესაბამისად, ქალისთვის სპორტის ნაკლებად თავსებადობას. ეს ფაქტორებია:

1. ქალის განსხვავებული ბუნება (ბიოლოგიური ფაქტორი)- ქალის, როგორც სუსტი არსების აღქმა მამაკაცთან შედარებით
2. ქალის ოჯახში დაკავებულობა
3. სპორტული საქმიანობის სპეციფიკა
4. ოჯახის წევრების (განსაკუთრებით მეუღლის) ნეგატიური დამოკიდებულება.

იმის მიუხედავად, რომ საქართველოში ჯერ კიდევ ფესვადგმულია აზრი, თითქოს ქალის ადგილი მხოლოდ სამზარეულოშია, დრომ დაამტკიცა, რომ ქართველი ქალები სპორტშიც არავის უდებენ ტოლს. ამის დასტურია ის დიდი გამარჯვებები, რომლებიც ჩვენს ქვეყანას მოუტანეს ისეთმა სახელოვნამა სპორტსმენებმა, როგორებიცაა: მზია ჯულელი, ნინო დუმბაძე, ელენე გოკიელი. ნადეჟდა დვალისვილი-ხნიკინა, ქეთევან ლოსაბერიძე, ნინო დრონოვა, საიდა გუმბა,ლიანა

ცოტაძე, ლეილა მესხი, მათა აზარაშვილი, ნინო სალუქვაძე, ნონა გაფრინდაშვილი, მათა ჩიბურდანიძე და მრავალი სხვა.

რაც შეეხება ქალების მონაწილეობას სპორტის მმართველ სტრუქტურებში, ეს საკითხი დღესაც პრობლემატურია და ნამდვილად აქვს ადგილი დისკრიმინაციულ მომენტებს. ავიღოთ მსოფლიო ოლიმპიური მოძრაობის მმართველი ორგანო, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი (იგი დაარსდა 1894 წელს). მისი უმაღლესი მმართველობის შემადგენლობაში 85 წლის განმავლობაში მხოლოდ კაცები დომინირებდნენ. ქალი პირველად მხოლოდ 1981 წელს იქნა შეყვანილი.

ვერ ვიტყვით, რომ ანალოგიური სიტუაციაა საქართველოში, რადგან დამოუკიდებელი საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პირველი პრეზიდენტი ნონა გაფრინდაშვილი იყო, თუმცა პატრიარქატისაკენ მიდრეკილება აქაც შეიმჩნევა და ნონა გაფრინდაშვილის წასვლის შემდეგ საქართველოს ოლიმპიური მოძრაობის 25 წლიან ისტორიაში ნინო სალუქვაძე მეორე ქალია ვისაც ერგო პატივი იყოს ეროვნული ოლიმპიური მოძრაობის უმაღლეს მმართველობაში. ამ მხრივ საერთოდ მძიმე სურათია საქართველოს სპორტის სამინისტროს უმაღლეს მმართველობაში (მინისტრი ან კომიტეტის თავმჯდომარე და მისი მოადგილეები). 1945 წლიდან დღემდე მხოლოდ ერთადერთი ქალი იყო, რომელსაც სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა ეკავა წინა საუკუნის სამოციან წლებში (თამარ მანაგაძე).

დასკვნა

ოლიმპიური თამაშები ჩვენი წელთაღრიცხვის 394 წელს აიკრძალა. მის აღდგენას 1500 წელი დასჭირდა, თუმცა თამაშებზე ქალების არ დაშვების ტრადიცია გაგრძელდა და თანამედროვეობის პირველ ოლიმპიურ თამაშებზე 1896 წელს ქალები არ მონაწილეობდნენ. უკვე ოთხი წლის შემდეგ, ქალებმა, მსოფლიო ისტორიაში პირველად, მიიღეს მონაწილეობა 1900 წლის პარიზის მეორე ოლიმპიურ თამაშებზე, ისინი ასპარეზობდნენ ცხენოსნობაში, ჩოგბურთსა და გოლფში. ამ პერიოდის დასრულებული ოლიმპიურ თამაშებზე მონაწილე ქალთა რაოდენობა მუდმივად იზრდება

ამ ნაშრომით შევეცადე აღმეწერა ის მდგომარეობა, რაც გენდერული თანასწორობის კუთხით დღეს ქართულ სპორტში არსებობს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ჯ. ძაგანია /ოლიმპიური თამაშები, გამომც. „გლობალ პრინტი“, 2004წ.
2. ჯ. ძაგანია /ქართული სპორტის ქრონიკები, 2012.
3. Жук Е.И. История гендерного контроля в спорте: медицинские и правовые аспекты / Медицинское право, 2012, N 6. <http://www.center-bereg.ru/f342.html>
4. Кун Л. Всеобщая история физической культуры. М.,1982.
5. გენდერული ზეგავლენის ანალიზი
http://pbo.parliament.ge/images/Sport_Gender_Analysis_GEO_2020.pdf
6. ძაგანია ნ. სადისერტაციო ნაშრომი

Sofio Caciashvili

PHD student of GTU

Sport and Gender

Abstract

In modern science, the term "gender" is a social phenomenon of gender, unlike the biological understanding of sex, and is used to denote sociological discourse. It is one of the basic dimensions of the social structure of the society, which forms the social system together with other cultural and socio-demographic data. Defining gender roles is subjective and has a specific cultural-historical character. Each society has its own customs, traditions and norms, customs. It is these customs that determine the socio-sexual roles between men and women in various spheres of public life. On March 26, 2010, the Parliament of Georgia adopted the Law "On Gender Equality" and developed a national action plan. However, despite the progress

achieved in recent years, women still participate less in decision-making processes and occupy economically unstable positions. Gender equality problems are visible in sports as well. However, discriminatory moments are much less here than in other areas.

When we talk about gender equality issues in sports, it is necessary to distinguish two things: 1. Women's participation in the educational training process and sports competitions 2. Women's participation in sports management structures Women's participation in the educational training process is voluntary and it depends on the woman herself which sport to choose, there are no restrictions here. There was no case where a female representative expressed her desire to join a sports section and was refused, the only admissibility was that the coach advised her to try another sport. The problem in Georgia is the increase in the number of women practicing in one or another type of sport, because compared to men, it is catastrophically low, and the reason for this is probably the tradition established for centuries. For some reason, we still believe that there is no place for women in sports. A large part of the Georgian society can hardly get away from the humiliating notion that sport is the lot of the strong or men. The words "women and sports" cause a negative reaction in many people, that a woman's place is not in sports, but in the kitchen. The interest of my topic is to outline and analyze the reasons that lead to such attitude towards women's participation in sports. Several factors have been identified that lead to the perception of men as dominant in the field of sports and, accordingly, to the less compatibility of sports for women.

ნათია აბულაძე

საქართველოს ტექნიკური

უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია პრობლემური დამოკიდებულება და სტიგმატიზაციის სოციალური გავლენა, ასევე გენდერული განსხვავებები ამ კუთხით. სიტყვა „დამოკიდებულება“ ყოველდღიურ ცხოვრებაშიც ძალიან ხშირად იხმარება, თუმცა სად გადის ზღვარი ჩვეულებრივ სურვილსა და პრობლემურ ქცევას შორის, საკმაოდ რთული გასარკვევია. ისმის მრავალი შეკითხვა: რა უდევს საფუძვლად თითოეული ინდივიდის ქცევას, რა მაპროვოცირებელი ფაქტორები არსებობს, რომლებიც ადამიანის ქცევის განმსაზღვრელია, როგორია საზოგადოების სოციალური გავლენა და სტიგმა ამა თუ იმ ქცევითი დარღვევის შემთხვევაში. ადამიანის ქცევას მრავალი კომპონენტი განსაზღვრავს. გენდერული ნიშნით სტიგმატიზაცია და დისკრიმინაციული მიდგომა აფერხებს პრობლემური დამოკიდებულების მქონე ინდივიდთა დახმარებას და მკურნალობას. თანამედროვე სამყაროში ხშირია ადამიანების მიმართ გარკვეული „იარლიყების“ მიკერება, სხვადასხვა ნიშნით დისკრიმინაცია, განსაკუთრებით ეს ეხება ადიქციური ქცევის მქონე პირებს. მათი სოციალური იდენტობა გაუფასურებულია და ერთი მხრივ განიცდიან საზოგადოების მიერ გარიყვასა და იზოლაციას, მეორე მხრივ საკუთარი პრობლემების გადალახვა და დამოკიდებულების კონტროლი უწევთ. სტიგმის და დისკრიმინაციის შიში ხდება ხშირ შემთხვევაში გადადებული მკურნალობის მიზეზი. საზოგადოების სათანადო ინფორმირება თამამდამოკიდებულების შესახებ, მეტი ემპათია და პიროვნული თავისუფლება და დამოუკიდებლობა თითოეული ინდივიდის მხრიდან პრობლემის გადაჭრის დასაწყისია. საზოგადოების წევრები ხშირად ხდებიან სოციალური გავლენის მსხვერპლნი, რაზეც ხშირ შემთხვევაში კულტურა და გავრცელებული სტერეოტიპები ახდენენ ზეგავლენას.

საკვანძო სიტყვები: პრობლემური დამოკიდებულება, სტიგმატიზაცია, გენდერული განსხვავებები, სოციალური გავლენა.

პრობლემური დამოკიდებულების სტიგმატიზაცია და გენდერული განსხვავებები

შესავალი

რა არის ქცევითი დამოკიდებულება, ადიქცია? აზარტული თამაშის თუ სხვა ქცევითი დარღვევის შემთხვევაში ტვინის იგივე უბნები აქტიურდება, რაც ნივთიერებებზე დამოკიდებულების დროს, შესაბამისად მათ შორის საკმაო მსგავსებაა. „ქცევა ვერ განხორციელდება, თუ ადამიანს არ შეუმუშავდა განწყობა, ანუ, ქცევისადმი მზაობა. ეს მზაობა კი მას მხოლოდ მოთხოვნილების საფუძველზე ვერ გაუჩნდება, საჭიროა სათანადო სიტუაციაც, ანუ, სხვა სიტყვებით, გარემო პირობები.“ [3,132] როცა პრობლემური დამოკიდებულება სახეზეა, ქცევა ხდება განმეორებადი, ადამიანს აქვს მზაობა ჩაიდინოს სარისკო და ექსტრემალური საქციელი, ადგილი აქვს ემოციების მართვაზე კონტროლის დაკარგვას. ადიქტიური ქცევა ყოველდღიურ ურთიერთობებში ხდება იმედგაცრუების ერთ-ერთი მიზეზი, ფინანსები იკარგება დამოკიდებულების შენარჩუნებისთვის და პრობლემური ქცევის შედეგების ნაკლებად გათვინობიერება ხდება. დიმიტრი უზნაძემ ქცევის ახსნის ფსიქოლოგიური მოდელი შეიმუშავა, რომელიც განწყობის თეორიის სახელით არის ცნობილი. ამ თეორიის მიხედვით ცოცხალ ორგანიზმს ახასიათებს ორი თავისებურება: მიზანშეწონილი ქცევა და მოთხოვნილება, შესაბამისად „ცოცხალი ორგანიზმისა და გარემოს ურთიერთობა მოთხოვნილების ნიადაგზე ყალიბდება. სანამ ცოცხალი არსება საზოგადოდ რაიმე მნიშვნელოვან ქცევას ჩაიდენდეს, იგი უკვე მანამდეა ისე მოდიფიცირებული, რომ მან სწორედ ეს ქცევა უნდა ჩაიდინოს. სანამ ცოცხალი არსება რაიმე ქცევას მიმართავდეს, მას უკვე მანამდე აქვს ეს ქცევა განწყობის სახით მოცემული.“ [3] უზნაძის თეორიის მიხედვით, ადამიანის ქცევა მოცემულ მომენტში ამა თუ იმ მისი განწყობის რეალიზაციად უნდა ჩავთვალოთ. სპეციფიკური თავისებურება, რაც ადამიანს განასხვავებს ცხოველისგან, არის ის, რომ მის

ცხოვრებაში წამყვანი როლი უჭირავს ცნობიერებას. „ცხოველის განწყობას აქტუალური იმპულსის სიტუაცია ქმნის, ხოლო ადამიანის განწყობას, რომელიც მის ქცევას უდევს საფუძვლად, გაცნობიერებული წარმოსახული სიტუაცია.“[3,145] როცა ესა თუ ის გარემოება ადამიანზე ახდენს ძლიერ შთაბეჭდილებას, მას უყალიბდება ფიქსირებული განწყობა. აქედან გამომდინარეობს ფაქტი, რომ პათოლოგიური ქცევის შემთხვევაში განწყობის შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

სტიგმატიზაცია

რაც შეეხება საზოგადოების მხრიდან ქცევითი დამოკიდებულების მქონე პირების მიმართ დისკრიმინაციულ დამოკიდებულებას, აქ საყურადღებოა სტიგმატიზაციის თეორია და ამ მხრივ გენდერული განსხვავებები. ადამიანების ქცევების შესახებ არსებული ინფორმაციის თავისებურად გადამუშავებით ხშირად მას „დევიანტის“ იარლიყს აკერებენ. საზოგადოებაში გაბატონებულია გარკვეული ნორმები და მათი დარღვევით ადამიანი სხვადასხვა სანქციებით ისჯება. დევიანტური ქცევის კვლევაში ჩამოყალიბდა რამდენიმე ახალი მიდგომა, რომელიც განიხილავს იმას, თუ როგორ ექცევიან ადამიანს, რომელსაც დევიანტის იარლიყს აკერებენ. ჰოვარდ ბეკერმა შექმნა თეორია, რომლის მიხედვითაც დევიაცია სინამდვილეში განპირობებულია იმით, რომ საზოგადოებაში არსებული გავლენიანი ჯგუფები ცდილობენ ქცევის გარკვეული სტანდარტები მოახვიონ თავს ირგვლივ მყოფთ. ბეკერის ეს კონცეფცია „სტიგმატიზაციის“ თეორიის სახელით არის ცნობილი.

რა არის სტიგმა? ძველ საბერძნეთში ის აღნიშნავდა „დაღს, ნიშანს“. ნიშნის მატარებელი ადამიანი კი მორალური დეფექტის მქონედ აღიქმებოდა საზოგადოების მხრიდან. საუკუნეების შემდეგ ამ ტერმინმა ახალი კონოტაცია შეიძინა. სტიგმის ერთ-ერთი პირველი სრულყოფილი განმარტება ეკუთვნის სოციოლოგს, ირვინგ გოფმანს. თავის მონოგრაფიაში „სტიგმა“, ამ ფენომენის ახსნა დაიწყო პატარა გოგონას ამბის მოყოლით, რომელიც ცხვირის გარეშე დაიბადა. ყველა ადამიანი ამა თუ იმ ხარისხით სტიგმატიზირებულია. გოფმანი განიხილავდა „ფაქტიურ და რეალურ სოციალურ იდენტობას“ შორის დაპირისპირებას. ერთი აღნიშნავს იმას, თუ როგორი უნდა იყოს

ადამიანი, მეორე კი როგორც ის საკუთარ თავს წარმოიდგენს. როდესაც ამ ორ სფეროს შორის კონფლიქტი იბადება, ადამიანს „იარლიყს“ აკერებენ. თუმცა ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ ამა თუ იმ დროსა და გარემოებაში ნებისმიერი ადამიანი განიცდის სტიგმატიზაციას. მაგალითად, ჭარბწონიანი ადამიანი გამხდარი ადამიანების გარემოცვაში, მუსულმანი ქრისტიანულ საზოგადოებაში და მრავალი სხვა. თანამედროვე საზოგადოებაში სტიგმატიზირებული ადამიანის სოციალური იდენტობა გაუფასურებულია და მას გარკვეულწილად საზოგადოების მიერ შექმნილ „იარლიყებს“ აკერებენ. სხვადასხვა მოტივი შეიძლება გახდეს სტიგმატიზაციის სოციალური გავლენის მიზეზი-გენდერი, ორიენტაცია, ქცევითი დამოკიდებულება, ფიზიკური თუ ფსიქიკური დაავადებები. სტიგმატიზაციის სოციალური გავლენა იმდენად დიდია, რომ ქცევითი დამოკიდებულების მქონე პირს უწევს გადალახოს არა მხოლოდ საკუთარი პრობლემა, არამედ დისკრიმინაციული მიდგომა და საზოგადოების წინასწარი განწყობა მათ მიმართ. საზოგადოების მხრიდან გამძლიერების და მორალური მხარდაჭერის ნაცვლად, ინდივიდი დგება ახალი პრობლემების წინაშე, რასაც დაბალი თვითშეფასება და თვითეფექტურობა ჰქვია. პრობლემური დამოკიდებულების მქონე ადამიანები ხშირ შემთხვევაში ერიდებიან დახმარების ძიებას სწორედ საზოგადოებაში გავრცელებული სტიგმის გამო. სტიგმატიზირების პროცესი ხშირად დაკავშირებულია საზოგადოებაში მყარად არსებულ სტერეოტიპებთან, იქნება ეს გენდერული თუ სხვა ნიშნით. სტიგმატიზირებულნი ხშირად ხდებიან უარყოფითი დამოკიდებულების, იზოლაციის, გარიყვის, გაუფასურების მსხვერპლნი. ეს ყველაფერი აზარალებს არა მხოლოდ დამოკიდებულების მქონე პირს, არამედ მასთან დაკავშირებულ პირებს, ოჯახის წევრებს, მეგობრებს.

პრობლემური დამოკიდებულება და გენდერული განსხვავებები

სტიგმა და დისკრიმინაცია პრობლემური დამოკიდებულების მქონე პირებში ისევე აფერხებს მკურნალობას და დახმარების ძიებას, როგორც ფსიქიკური დარღვევების და ნივთიერებებზე დამოკიდებულ პირებში. მიზეზები, რაც მათ

აფერხებთ, დაკავშირებულია საზოგადოებაში მათ რეპუტაციასა და თვითშეფასებასთან, გაურბიან შფოთვას, სირცხვილის გრძნობას და რაც მთავარია, იარლიყების მიკერებას. სტიგმის შიში ხდება ხშირ შემთხვევაში გადადებული მკურნალობის მთავარი მიზეზი. ყველაზე გავრცელებული სტერეოტიპები, რომლებიც პათოლოგიური მოთამაშის პორტრეტს ქმნის-საკუთარ თავზე კონტროლის დაკარგვა, უპასუხისმგებლობა, ტყუილი და არაკეთილსინდისიერება. ადამიანები, რომლებიც პრობლემურ გემბლინგში არიან ჩაბმულნი, ხშირად სუსტი ნებისყოფის, უპასუხისმგებლო, მატყუარა ადამიანებად არიან აღქმულნი კოლეგების და ოჯახის წევრების მიერ. სტიგმას, სირცხვილსა და შფოთვას განიცდიან პრობლემური დამოკიდებულების მქონე პირები, რომლებიც მიუღებელნი არიან საზოგადოების უმრავლესობისთვის.

არსებობს გენდერული ნიშნით განსხვავებები დამოკიდებულების მქონე პირებში, რომლებიც ითხოვენ დახმარებას. მამაკაცები მოსალოდნელი სტიგმის, სირცხვილის, შფოთვის გამო თავს იკავებენ, მდებრობითი სქესის წარმომადგენლები კი ხშირად სოციალური ურთიერთობების დაკარგვის შიშით ცდილობენ მკურნალობის და დახმარების თხოვნის გადადებას. რაოდენობრივი კვლევების მიხედვით, რომლებიც პრობლემური გემბლინგის კუთხით ჩატარდა, გამოვლინდა შემდეგი მიმართება: საზოგადოების მხრიდან სტიგმა თამაშობს უდიდეს როლს იმ კუთხით, რომ ქალი მოთამაშეები უფრო ნეგატიურად არიან აღქმულნი, ვიდრე მამაკაცები. ეს ფაქტი კიდევ უფრო ნათლად წარმოადგენს მიზეზს, თუ რატომ ებმებიან მკურნალობის პროცესში პრობლემური დამოკიდებულების მქონე ქალები უფრო ნაკლებად, სიტუაცია იგივეა ალკოჰოლზე დამოკიდებული ქალების შემთხვევაშიც. მოთამაშეები, რომლებიც დახმარების ძიებაში არიან, ფართო სპექტრის ფსიქოლოგიური პრობლემების ინტენსივობით გამოირჩევიან, ვიდრე ისინი ვინც არ ითხოვენ მკურნალობას. ჩატარდა კვლევა, სადაც მონაწილეობდა ოთხი ჯგუფი:

- ადამიანები, რომლებისთვისაც აზარტული თამაშები გართობას წარმოადგენს.

- ადამიანები, რომლებისთვისაც გემბლინგი პრობლემურ ქცევასთან არის დაკავშირებული.
- პრობლემური დამოკიდებულების მქონე პირთა ოჯახის წევრები.
- ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლები, რომლებიც მკურნალობის პროცესს წარმართავენ.

თამაშდამოკიდებულების პრობლემის უკეთ შესაცნობად, მკვლევრებს აინტერესებთ არა მხოლოდ დამოკიდებულების მქონე პირთა პირადი გამოცდილება, არამედ იმ გარემომცოფი ადამიანების, ოჯახის წევრების, რომლებზეც პრობლემური დამოკიდებულება გავლენას ახდენს. ტორონტოსა და ონტარიოს მასშტაბით იქნა კვლევა ჩატარებული: “ბრეინსტორმინგის“ მეთოდის დახმარებით, მონაწილეებს სთხოვეს აღეწერათ გემბლინგის სასიამოვნო ასპექტები და ნეგატიური გარემოებები. კვლევის მონაწილეები მიიჩნევენ, რომ სოციალურ მოლოდინებს არ ამართლებენ, როდესაც ვერ აკონტროლებენ პრობლემურ დამოკიდებულებას და ამ ყველაფერს ისინი მიჰყავს სირცხვილის, შფოთვის და დანაშაულის შეგრძნებასთან. მათი უდიდესი ნაწილი მიიჩნევს, რომ პრობლემური გემბლინგი გაცილებით უფრო რთულად განიკურნება, ვიდრე ნივთიერებებზე და ალკოჰოლზე დამოკიდებულება, რადგანაც ამ შემთხვევაში გარეგანი სიმპტომატიკა არაა სახეზე. ეს კი მკურნალობის დაწყების პროცესს უფრო აფერხებს. საკუთარი თავის პატივისცემის დაკარგვა, ფრუსტრაცია, სირცხვილის გრძნობა, იმედგაცრუება, ემოციური აშლილობა, ოჯახური ურთიერთობების ნგრევა, არაკეთილსინდისიერება, თაღლითობა-ეს არის ჩამონათვალი, რომელიც მამაკაცი რესპონდენტების მხრიდან იქნა დასახელებული, როგორც სტიგმასთან დაკავშირებული ბარიერები. ფინანსურ პრობლემებთან დაკავშირებული სირცხვილის შეგრძნება ორივე სქესის წარმომადგენლების მიერ იქნა წარმოდგენილი, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი ბარიერი. კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, დამოკიდებულების მქონე პირების მკურნალობის და დახმარების შემთხვევაში, აუცილებლად გასათვალისწინებელია გენდერული განსხვავებები და აღქმები, რაც საზოგადოებაში არის ჩამოყალიბებული.

დასკვნა

სხვადასხვა სოციალური, ფსიქოლოგიური თუ ბიოლოგიური მოტივით იწყება თამაში, თუმცა გარდაიქმნება თუ არა პერიოდული თამაში პრობლემურ დამოკიდებულებაში, ეს უკვე სხვადასხვა ფაქტორზეა დამოკიდებული. სასურველია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, თუ რას ნიშნავს პრობლემური დამოკიდებულება, რა ინტენსივობით თამაშობს თამაშდამოკიდებული პირი და იმ ფაქტის გათვინობიერება, რომ ყველა ადამიანი, ვინც აზარტულ თამაშებშია ჩაბმული, არ არის პრობლემური დამოკიდებულების მქონე. პრობლემური დამოკიდებულების მქონე ინდივიდები სტიგმაზე დაფუძნებული სტერეოტიპების, დისკრიმინაციული ქმედებების, იზოლაციის სამიზნეები ხდებიან საზოგადოების მხრიდან. განსაკუთრებით საგულისხმოა გენდერული ნიშნით დამოკიდებულების მქონე პირთა სტიგმატიზირება. ამას ცხადყოფს ზემოთ არსებული კვლევის შედეგებიც, რომლის მიხედვითაც მოთამაშე ქალები უფრო უარყოფითად აღიქმებიან საზოგადოების მხრიდან, ხოლო მამაკაცები ასევე საზოგადოების მხრიდან ნეგატიური გავლენის მსხვერპლნი არიან და ფინანსურ პრობლემებთან დაკავშირებულ სირცხვილის გრძნობას აღიქვამენ მკურნალობის და დახმარების თხოვნის მთავარ ბარიერად. პრობლემის გადაჭრა უნდა დაიწყოს საზოგადოების ინფორმირებით, თამაშდამოკიდებულება არ არის განაჩენი და შესაძლებელია მისი კონტროლი და მართვა. ნაკლები სტიგმატიზირება და ანტიდისკრიმინაციული მიდგომა გენდერული ნიშნით, მეტი ემპათია და თანადგომა ნაკლებ ბარიერს შექმნის და პრობლემური დამოკიდებულების მქონე ინდივიდებში დახმარების და მკურნალობის დონეს აამაღლებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Jon E. Grant, „DSM-5 AND GAMBLING“, Chicago, IL 1933
2. www.drugprevention.ge “რას წარმოადგენს ქცევითი დამოკიდებულება/ადიქცია“, თბ, 2019.

3. დიმიტრი უზნაძე, „განწყობის ფსიქოლოგია“,2009
4. www.socium.ge “დევიაცია და სოციალური კონტროლი “
5. ლ.ხეჩუაშვილი, ლექსიკონ-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში, „სტიგმა“,თბ 2015
6. A.Baxter,C.Salmon, K.Dufresne, A.Carasco Lee, L.Matheson “Gender differences in felt stigma and barriers to help-seeking for problem gambling” 2015
7. www.socium.ge “გოფმანის სოციოლოგიური შეხედულებები“

Key words: Problematic addiction, stigmatization, gender differences, social impact.

Natia Abuladze

PHD Student of GTU

Stigmatization of problematic attitudes and Gender differences

Resume

The work discusses problematic addiction and social impact of stigmatization as well as gender differences. The word “addiction” is often used in everyday life, but it’s hard to draw a line between ordinary desire and problem addiction. There are many questions to be answered: What is the main basis for people’s behavior, which provoking factors determine human conduct, how stigmatization and opinions of others’ influence addicted person’s decisions. Many variables affect human behavior. Gender stigmatization and discriminative attitude delay help-seeking and treatment of people who are involved in problematic gambling. Even in modern society, it’s very often when some individuals are “labeled” or discriminated against in different ways, especially addicts. Their social identity is depreciated because of isolation from society and moreover they have to deal with their addiction. The fear of stigmatization and discrimination becomes the main reason of delayed treatment. The best way to solve the problem is spreading more information about problematic gambling, more empathy, personal freedom and independence. Social stereotypes often affect individuals’ behavior in a detrimental way.